ISSN 0132 - 64

ეროვნული ბიბლიოთეკა



7-8

1995

ფრიდონ ხალვაში — 70



გენდოგი

ყველაზე მეტად დედას ვენდომი,
ასე გენდომი შენც, პოეზიავ.
ყველაზე მეტად მიწას ვენდომი,
ასე გენდომი შენც, პოეზიავ.
ნამდვილ სიყვარულს ვინ არ ენდომა,
ასე გენდომი შენც, პოეზიავ.
სამშობლოს მედით თუ უმედომით
ჯალამი ხანჯლად მომილესია.
გული იმახის: მინდა, გავმედო,
ვუწოდო თვითონ სისხლს პოეზია,
ყველა შერისხვის, ყველა შენდომის
ფერფლი მხურვალე შუმლზე სთესია.
როგორც სიცოცხლის ღელვას ვენდომი,
ასე გენდომი შენც, პოეზიავ!

ცისკარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლისი-აგვისტო №7-8

საქართველოს მწერალთა კავშირის სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

დაარსებულია
1852
აღდგენილია
1957

თბილისი
1995

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

გამოიღვიძე, ქნარო!

3. ფსალმუნები — გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა.

პოეზია და პროზა

7. შოთა ზოიძე — უსანძციო სონეტები
12. ბივი მაღულარია — შეხვედრა გამზირზე. რომანი.
48. ჯემალ ჯაყელი — ლექსები
52. დავით თედორაძე — ლექსები
58. ვახტანგ ახვლედიანი — ნოველები
75. მერაბ აბაშიძე — გზანი შეუცნობლისკენ. მოთხრობა.
88. ეუეუნა ხაჯიშვილი — ლექსები
93. ლელა გაბური — ლექსები
96. ზვიად რატიანი — არითმია, ერთჯერადი გამოყენების კომა
100. ზურაბ ლობჟანიძე — ლექსები
103. ჯემალ ხოფერია — გზები, რომანის ფრაგმენტები.
132. ნინო ხაბეიშვილი — მოგონებები ოქრეს ტბაზე
136. ირინე იმერლიშვილი — ნოველები
139. ზურაბ ზოიძე — ლექსები
142. ლია ჭყონია — ლექსები
143. ინგა ფალიანი — ნოველები
164. ნანა შაბათაშვილი-დავარაშვილი — ლექსები

ახალი თარგმანები

165. სვეტლანა ალილუევა — ფიგნი შვილიშვილთათვის

ლიტერატურული

171. თეიმურაზ ფანჯიკიძე, ბრივერ ფარულავა — რელიგიური და ეროვნული

წერილები

184. თენგიზ ჩხაიძე — უსაზრისო ყოფა
193. აკაკი მინდიაშვილი — „უჩემოდ არაფრის ქმნა არ შეგიძლიათ“
208. გიორგი კანკავა — „ოთარაანთ ქვრივი“, „ფეოდალ-კრულვიანი საკითხავი“, ანუ საკუთარ ისტორიასთან „ჩატეხილი ხიდი“
222. სემიონ ფრანკი — „ქრისტიანული სოციალიზმის პროგლემა“

მილოცვა

231. ჩვენი ქალბატონი ეთერი

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია
სარედაქციო საბჭო
ბაღათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
გიორგი ბაქაიძე
მთ.რედ. მოადგილე

დავით თედორაძე
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
დავით მჭედლური

ჯემალ ქირია
პასუხისმგებელი მდივანი

ჯანო ჯანელიძე

სპონსორია გამომცემლობა „აჭარა“,
დირექტორი
დავით თედორაძე

ჟურნალზე მუშაობდნენ:
ზურაბ ფირცხალაიშვილი,
ზურა კილაძე,
ქეთევან ხალვაში,
ეთერ ბუქიძე,
ნატო ოსანაძე,
მაია მესხიძე,
იზოლდა ლაშხია,
რუსუდან მეგრელიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲔᲑᲘ

ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲘ 50

ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲘ ᲐᲡᲐᲤᲘᲡᲐ

1. ღმერთების ღმერთი —
ადონაი ალაპარაკდა
და გაეზრახა ქვეყნიერებას
მზის აღსავლიდან
დასავალამდე.
2. სიონის მთიდან —
მშვენებათა სრულქმნილებიდან
გამოგვეცხადა უფალი ჩვენი.
3. მოვალს ღმერთი და
მდუმარებას როდი მოიტანს —
სახმილი მისი შემუსრავს ყოველს
და შემოგარეს ქარიშხალი გარემოიცავს.
4. მაღლით
ზეცას და დედამიწას გაეზრახება
განსაკითხავად თავისი ხალხის:
5. „შემომიკრიბეთ წმინდანთა დასნი,
ვინც აღთქმა მომცა
სამსხვერპლოზე აღსასრულებლად“.
6. ცათა საუფლო განაცხადებს სიმართლეს მისას,
რადგან ღმერთია მსაჯული იგი.
7. „ისმინე ჩემი, ჩემო ხალხო,
და გაგენდობი,
შენც, ისრაელო, დაგემოწმები, —
ეს მე ვარ ღმერთი —
უფალი შენი.
8. განა მსხვერპლისთვის დაგამუნათებ:
მე შენი ყოვლად-აღსავლენი
შესაწირველი
თვალწინ მეგულვის მარად და მარად.
9. არ შევიწირო ზვარაკები შენი სახლიდან,
არცა წავგვარო ერკემლები
ფარეხთა შენთა.
10. ჩემია ყოვლი ბინადარი ტყეთა და
ველთა,
ნადირ-ცხოველი მირიად მთათა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. შემისწავლია
მთიანეთის ყველა ფრთოსანი
და მხეცნი უდაბნოისანი
ჩემთან არიან.
12. რომც მშივრად დავშთე, არას გეტყვი,
რადგან ჩემია
დედამიწა და
სავსება მისი.
13. განა გავძღები ზვარაკთა ხორცით,
ერკემლის სისხლით
მოვიკლავ წყურვილს?
14. შესწირე შენს ღმერთს
შენეული სამადლობელი
და აღთქმა შენი აღასრულე
მაღალთა შინა.
15. შეჭირვების ჟამს შემომდაღადებ,
მე აგბედობას გამოგარიდებ,
შენ — საგალობლით
შეგასხამ ქებას.“
16. ბოროტეულს კი ესიტყვა ღმერთი:
„რისად ქადაგებ სამართალს ჩემსას
და ბაგით დაგაქვს
ჩემეული აღთქმა-პირობა?
17. აკი შენ თვითონ განუდექ სწავლას
და სიძულვილით უკუაგდე
სიტყვანი ჩემნი.
18. ნახე ქურდი და
თანაუდექი,
მეძავს მიანდე წილხვედრი შენი
19. ავის სათქმელად მომართე პირი,
განპოხილია შენი ენა
ლიქნით და ზაკვით.
20. ზიხარ და
ძმისთვის იზრახავ ბოროტს,
დედაშენის ძეს ამუნათებ
მოსაყივნებლად.
21. ესე ყოველი იმოქმედე
და მე დავდუმდი,
ალბათ გეგონა დამიმსგავსებდი,
მაგრამ გამხელ და
შენეულ ცოდვებს
დაუფარავად გაგიფენ თვალწინ.
22. თქვენ კი,
რომელთაც დაივიწყეთ უფალი თქვენი,
გულისხმაყავით ესე ყოველი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ მოგსრავთ და
ვედარავინ შეგეშველებათ.
23. სამადლობელთა შემწირველნი განმადიდებენ
და მართალ გზაზე მოსიარულეს
ხსნა ღმერთისაგან მოევლინება.“

ფსალმუნი 51

ლოტბარისადმი. დავითის ფსალმუნი.

რაჟამს მოვიდა მასთან ნათან წინასწარმეტყველი, მას შემდეგ, როცა ბათ-შებაყთან შევიდა.

3. მიწყალე, ღმერთო, შენი წყალობით
და შენი მრავალმოწყალებით,
მოწყალევ ჩემო,
წარხოცე ჩემი დანაშაული.
4. განბანე ჩემი უკეთურობა
და ჩემთა შეცოდებათაგან
განმასპეტაკე.
5. რადგან მე ვუწყი ჩემეული უსჯულოება,
დღენიადაგ თანამდევენ
ცოდვანი ჩემნი.
6. შენ ერთს, შენ გცოდე,
უფალო ჩემო,
წინაშე შენსა აღვასრულე დანაშაული,
ჭეშმარიტია შენი სიტყვები
და უტყუარი —
სამსჯავრო შენი.
7. უსჯულოებით ჩავისახე,
აჰა, ესერა,
ცოდვით დამბადა დედამან ჩემმან.
8. გესათნოება დაფარული ჭეშმარიტება
და განმიცხადებ იდუმალ სიბრძნეს.
9. მასხურე შენი უსუპი და
განვიწმინდები,
განმბანე მე და,
უფალო ჩემო,
განვსპეტაკდები უფროის თოვლის.
10. მასმინე მე ხმა სიხარულის
და ხმა გალობის,
რომ ჩემი ძვლები —
ნაგვემი შენგნით
სასიხარულოდ აღმეძრას ისევ.
11. უკუარიდე პირი შენი
ცოდო-ბრალს ჩემსას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსჯულოება წარხოცე ჩემი.
12. მართალი გული მომმადლე კეალად
და გეამსა შიგან განმიახლე
სპეტაკი სული.
13. ნუ უკუმაგდებ, უფალო, შენგან,
ნუ წამგვრი სულსა მშვენიერსა
სიწმინდის შენის.
14. კეალავ განმახარე შენმიერი მაცხოვარებით,
განმაძლიერე ზეგარდმო სულით.
15. მე კი ვასწავლი უსჯულოებს
ბილიკებს შენსას, —
ცოდვილნი შენდა მოიქცევიან.
16. მიხსენ სისხლიდან,
სისხლისთხევიდან —
ო, ღმერთო, ღმერთო,
ღმერთო ჩემი მაცხოვარების, —
და ენა ჩემი განადიდებს
სიმართლეს შენსას.
17. განხვენ, უფალო, ბაგენი ჩემნი
და პირი ჩემი გიგალობებს ქება-დიდებას.
18. რამეთუ მსხვერპლი შესაწირად, შენ არ ისურვე,
არც ძღვენი ყოვლად-აღსავლენი
არა ინდომე.
19. ღმერთის მსხვერპლი და შესაწირავი მოდრეკილი და
მორცხვი სულია,
მორიდებულ და მოდრეკილ გულებს
ნუ მისცემ, ღმერთო, მოლიზღართა შესალანძღავად.
20. იყავნ, უფალო, ნება შენი და
კეთილმძღეობა მოჰმადლე სიონს
და ზღუდეები აღუშენე იერუსალიმს.
21. მაშინ ისურვებ მართლის შესაწირს,
აღსავლენსა და
ყოვლად დასაწველს —
და სამსხვერპლოზე ზვარაკები აღევლინება.

ებრაულიდან თარგმნა ჭემალ აჩიაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოთა ზოიძე

უსანქციო სონეტები

1.

წარსულის ხსოვნა მივბარე კეთილ მეზობელს,
მომავლის გზები დავაზმანე ტაძარს ზარებად,
სიკვდილის შიშით ზიარება არ მეზარება,
მე ჩემს ეზოში ყოველ დილით ვზვდები ეზოპეს.
აქ აღიმართა უპირველეს ჯვარი ნინოსი,
აქ აღაღინა რუსთაველმა ღვთიური ღოცვა,
აქ მოინთლა, მზით აივსო და მერე , როცა
თვალწინ დადუდა ინდოეთი, განგი, ნილოსი,
ყოველი ღამე მესხურ ოდის კართან ათია,
სახელი მისი პოეზიის ათინათია
და უკვდავია უკუნითი უკუნისამდე.
ახლა აქ ვარ, აქ გარილი სამარის პირას,
აქ ჭორონისპირ ამოზრდილი ტირიფი ტირის...
მე შორი გზა მაქვს გასავლელი მასთან მისვლამდე.

2.

ვინ იცის, იქნებ დამიღამდეს მასთან მისვლამდე,
ეს გზა შორაა, როგორც ცა და მიწა ერთთან,
დღეს ჩემი შემწე ყოველისშემძლე მზოლოდ ღმერთია,
სამყაროს ჩემსას უმისოდ ვერ გადანისლავენ.
გულზე მაწნია განაწენი დროის და სივრცის,
წლები, რომლებიც ამ უკამო ჟამში გავლილ,
ავსილი ჯამით საწამლავი ბევრი დავლილ,
უკმური ჟამი რას მიქადის არავინ იცის?!
და მაინც ვდგავარ ფეზშიშველი და თმაშლილი,
ჩემი პობია ჩემს მღელვარე დროსთან კავშირი,
დროსთან, რომელიც ყოველივეს გადაფასებს.
მოდიდან გავა ყალში ტაში, ყალში ტიტული,
ხელში შეგვრჩება ზოგიერთის მხოლოდ ფიტული
და გაეხსნება ასპარეზი მრავალ ათასებს.

3.

მწამს გაეხსნება ცხოვრების გზა მრავალ ათასებს,
მანამდე ყველა მედროვე და კონსერვატორი,
მანამდე ყველა ჩექრთამე და მისი პატრონი,
ჯერ კიდევ თავის უსირცხვო გვამს ძვირად აფასებს.
ჯერ კიდევ კახა ტრადიციის უარმყოფელი,
სავსე თეძოებს ვნებაშლილ ვირებს სთავაზობს.
ემორჩილება ცარიელ გვამს — „ჩემო ლამაზო“,
ჩემო კეთილო, შენით მიყვარს წუთისოფელი“.
ასე ნებდება, ეფერება, ელაქუცება,
დღე, დღე თენდება და ღამდება ისევ უცვლელად,
შებინდებისას ცას გააპობს სტვენით ტროლა.
ღამე დაცვარავს სამყურას და დილის ნიავით
ზვების ჩრდილში შეირხევა ტოტი ქლიავის
და ოდის კარი გაიღება თითო-ოროლა.

4.

შარაზე მგზავრი გამოჩნდება თითო-ოროლა,
ბებერი მწყემსი გაუდგება მინდორში ნახირს,
გამოვა გარეთ და წაბაძავს გუგულის ძახილს
ბიჭი — მერცხალი, ახტაჯანა ბოგო — ოლოლი.
მზარზე შეისვამს სიფლის დილა ვეება კოცონს,
მწვანე ბორცვებზე ცხრათვალა მზე გაფენს ხალიჩებს,
ზვებს და ფოთლებს მხნეობას და სითბოს ანიჭებს
და ბოსტნის ბოლოს ლოყაწითელ ყვავილებს კოცნის.
მზით იმოსება დედულეთის ყოველი ადლი,
მოედინება წყაროსავით ბუნების მადლი,
თავს იწონებენ ნაბღალნი მთები გარშემო.
გაბნეულია და ზეიმობს ირგვლივ ყოველი,
სხვა სასწაული მე არც მინდა და არც მოველი,
ჩემს მამულში ვარ, ჩემს მიწაზე და ჩემს ხალხში ვარ.

5.

დარეკეს ზარი და აივსო ეზო ბავშვებით,
ბავშვი ბავშვია და დარბიან ეზოს გარშემო,
ჩვენი ბავშვებით საქართველოს მუდმივ ვალში ვართ,
ვალს გადავიხდით უმოწყალოდ თუ არ დავშვრებით.
შამფურა ბიჭი სამფეროვანს მოარხევს დროშას,
ჩვენი იმედი, ჩვენი რწმენა, ჯავარი ჩვენი,
გოგონებს მკერდზე საქართველოს დროშები შვენით,
დროშა, რომელიც თავისუფალს გვაუწყებს დრო-ჟამს.
კეთილი იყოს ეს ავსება და განათება,
თავისუფლების მტერს სიკვდილი და ანათემა,
ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბალი ჩვენთა ხელთ არი.
გამოჩნდა სივრცე და ვარსკვლავნა გამოანათა,
ბედის ვარსკვლავმა, ჩემი დაო, ჩემო სანათა,
ვხედავ ვინ არის საქართველოს კარგი მხედარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6.

და ეყოლება პატრონი და წინ გამზედავი.
კითხვა, რომელიც ჩვენ დაგვისვა თავად ცხოვრებამ,
პასუხს მოელის დროის სამი განზომილებით,
ახლა ჭირდება საქართველოს კარგი მხედარი,
ხატი და რჯული, ჩვენ რომ ჩვენი საქმე ვაკეთოთ,
ჩემი ზეადრეა სიმართლესთან დამბობლება,
მე მშობლიური არაფერი მეუცხოვება.
ვარ მოდებული ღობე-ყორეს ვაზის ლერწოვით,
სულ მალე ბუდეს მიატოვებს ჩემი არწივი,
მიატოვებს და გადმიზედავს ციდან სამყაროს.
მე კი, მე, ჩემი საქართველო, ჩემო ტაძარო,
შენ, ჩემო დედავ, ხილო სხვისთვის დედინაცვალო,
მოვდივარ შენსკენ, ვარსკვლავების მომფავს მაყარი.
მეტი ექნება მამულს ჩვენსას მზე და სიკეთე

7.

შენს ღელე-ღერდას, შენს მთა-გორებს ვერვინ გამყაროს,
ჩემო მტანჯველო და ათასჯერ ჩემთვის ტანჯულო,
მტერი, რომელიც ვერ იქნა და ვერ მოვარჯულე,
იქნება საღმე ვიწრო გზაზე გადამეყაროს.
ეს ახირება ნუ იქნება დარდის მიზეზი,
სადარდელს ჩემსას ვინ დაუდოს ზღვარი ბოლომდე,
ბოლომდე შენდე თუკი ერთხელ გულით მომენდე
და ნახე ჩემი სიყვარული უფაქიზესი.
ღმერთმა ქნას, წაკმა დატრიალდეს ჩემი ბორბალი,
მე წარსულს ჩემსას სისხლიანი მკერდი მოვბანე
და შევუხვიე ვაზის ლერწით გულის იარა.
ახლა კი დროა, თავი მივცე მაღალ მწვერვალებს,
გაზაფხულისკენ მოვბრუნო ეს თებერვალი,
რომ ჩემს ეზოში სიხარულმა ჩამოიაროს

8.

დღეს მე ვიწამე მხოლოდ ერთადერთი სამება,
ყველაფერს ერთად ადგილი აქვს ხალხში და დროში,
ცხოვრებისათვის კმარა ერთი უბრალო გროში,
სიცოცხლისათვის მხოლოდ წვა და მხოლოდ წამება,
ბუნებას უყვარს იდუმალი პარადოქსები,
ჩემი სახლ-კარი მოვრიდე ზვავსაშიშ ზონას,
სასწორით ხელში დგას თემიდა, ყველაფერს წონის,
ეს არის ჩვენი ბედისწერის დღე და მოსწრება.
თანდათანობით ფართოვდება ფიქრის საგანი,
— ვინ გაუზომა დედამიწას სიგრძე-სიგანე
და ვინ უწოდა ადამიანს ადამიანი?!
შებოჭილია არტახებით ჩემი ცხოვრება,
ამქვეყნიური არაფერი მეუცხოვება,
რადგანაც, ვიცი, მეტისმეტად დავიგვიანე.

9.

დღეს მეცხრე დღეა, რაც დაწერე შენზე სონეტი,
მეცხრე სონეტიც აღიმართა, როგორც ცხრა მუზა,
მდევარ ბედს ვერსად გაექცევი, ვერსად წაუხვალ,
სულ სხვა საქმეა რა დრო არის და რა მომენტი.
გრიგალი ჩადგა, ზღვა დაწყნარდა, ცა მოიწმინდა,
თვარ მანდილოსანს მიაჭრილებს თეთრი კარეტა,
მე დღე და ღამე ატუზული ვარ შენს კარებთან,
სხვა არაფერი — მხოლოდ შენი სიცოცხლე მინდა.
ღმერთმა შეგინდოს, რასაც მტანჯავ, რასაც მაწვალებ,
ერთ მშვენიერ დღეს ყულფად ვაქცევ მე შენს ნაწვავებს,
და კიმედია ტრაგედიით გათამაშდება.
თანმდევ ჩემი აღსარება ვის ჩავბარო,
ვის ჩავბარო აღსარება ჩემო მთა-ბარო,
ვიდრემდის ჩემი ბობოქარი სული დაშთება?!.

10.

მეათე სონეტს მივფრქვევ ჩემი სათქმელი,
ჩემი სათქმელი მივაზავე მზეს და განგებას,
ვინ მეკითხება განგებ სოფლის მე რა ვამბე ვარ,
შენ სად დაგტოვე, ეს სად დაგზვეი და შენ სად მელი?
მე საქართველოს ნაწილი ვარ სისხლი სისხლთაგან,
ხორცი ხორცთაგან საქართველოს მე ვარ ნაწილი,
ტანზე მაცვია შავი ჩოხა, შავი ყაწმითი,
ვარ გარუჯული საქართველოს ცხელი მზისაგან.
შენს სიხარულში ბევრი ჩემი ცრემელი ერია,
მე ვიცი, შენს მრევლს ჩემი მტერი ვერ მოერია,
სასოწარკვეთის საფუძველი რა მაქვს თავარა კი?!
ღმერთო, მომასწარ იმ ჩემს ანატრ თავისუფლებას,
მე შემიძლია ჩემს თავს მივეც ამის უფლება,
შენთან მოვიდე და ქართულად გელაპარაკო!

11.

სიტყვა, რომელიც ჯერ არ მითქვამს, შენ შთამაგონე,
მისი იმედით დავალ ასე თავაწეული,
მისით სავსეა ყველა ნერვი ჩემი ხხეული.
შენ მე წარმტაცე საიდუმლო ღა დამაღონე.
მაშინ, როდესაც „საქართველოს გოლგოთას“ ვწერდი
და წიწამურის ტრაგედია გულზე მეხატა,
სხვა გზა არ იყო, ვალი უნდა გადამეხადა,
სულერთი იყო სად დავსვამდი ძმიმეს და წერტილს.
მაგრამ გამოჩნდა უნებლიეთ კითხვის ნიშანი,
კითხვის ნიშანი შემპარავი და გამთიშავი
და ყველაფერი აირია, როგორც ბაზარი.
მე აქ ვარ ახლა თქვენი მონა, თქვენი მორჩილი,
ჩემს გემბანს ტალღა მოასკდება თეთრი ყოჩივით,
რომ ყველა ნეანი დამილეწოს, დამცეს თავზარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

12.

წავიდა ის დრო, შენ რომ შენი გეგონა მარტო,
შენი გეგონა ეს ქვეყანა, ის დრო წავიდა,
ჩემი დრო დადგა და ცხოვრების ჯიწყებ თავიდან
და ერთი-ერთზე ვიწრო გზაში შეხვედრას ვნატრობ.
შენი წარსული გახატია კახპა გავაზე,
შენმა პატრონმა ყელშში თავი გაყო თავისით.
თავისუფლება პატიოსან თვალად დავისვეთ,
რა აზრისა ხართ, ქალბატონო, ახლა ამაზე?
შენს ქმარს საცოდავს, კიდევ კარგი, ღმერთმა უშვილა,
და შენი კეროც მიიბარა მიწამ უშვერად,
შენ კი აქ დარჩი, რომ საკუთარ ცოდვებს უყურო.
დღეს ყველაფერი მორჩილდება დროს და განგებას,
უფლის განგებას, ქალბატონო, მე რა გამგე ვარ.
ღმერთმა მტერიც კი არ მანახოს ულუმაპუროდ.

13.

აკი ძაღლივით ჯაჭვს აიწყვეტს მთებში არაგვი,
თავქვე ეშვება, ყეფით უტევს „ატეხილ ჭალებს“,
ამ პირველქმნილი სილამაზით რად გავიმსჭვალე?!
ამ გაზაფხლით მოსაკლავი არ ვარ თვარა კი.
მე ბევრი რამე შევიძულე... და შევიყვარე
ის, რაც მთავარი და მთავარზე უმთავრესია,
ჩემი მამული, ჩემი მხარე, ჩემი მესია,
ჩემი მესია — ჩემი მიწა და ჩემი მხარე.
ჩემი ცხოვრება გაცილებით უფრო რთულია,
ვიდრე ჩანს, რადგან ხშირად შუქი ვამორთულია,
შუქი, რომელიც გადათელავს ღამეს კუნაპეტს.
თეთრი არაგი სიბნელეშიც არაგვიანობს,
მოკქუხს, მოღელავს და არასდროს არ აგვიანებს;
შავ არაგს თავის ძლევამოსილ ტალღებს უმატებს.

14.

„ტანო-ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარტო“,
რომელი ერთი ჩამოვთვალო, რომელი ერთი,
მე მირჩევნია თვალებს შენსას დეკალტე მკერდი,
ოღონდ ამელამ, ოღნავ ეღინ სახლის კარები.
ვწერდი და ვწვავდი უმოწყალოდ, ვწერდი და ვწვავდი,
სიბილწეს შენსას ვერ დაიტევს ჩემი სონეტი,
შე არასოდეს არ ყოფილაარ შენი პოეტი,
ხელ ერთი იყო ჩემთვის მაშინ, შენ როგორ გწამდი.
შენს, წითელ მანდატს ასდიოდა ლოგინის სუნი,
ალსტუფიანი ჯაყოების ვნებას და ხურვილს
ყოლიელი და მეფიდურად შეფარებული.
მე ვაბელსა ვარ, თუნდ ამაგინ მკერდით დანაზე
რომ არასოდეს არ ვიქნები შენისთანაზე
გაყადრებული, რომ აღარ ვთქვა შეყვარებული.

15.

ვნებათა ღელვა აბობოქრდა, როგორც ორღანი,
არწყვანს თავის კანონი აქვს, წესი და რიგი,
კანონის იქით იშზირება, ვინ არის იგი,
ან ამ წვრილმანზე ფიქრი ჩემი რატომ მოვდალე?!
რატომ აიგსო მოღიდინით ცეცხლგამძლე ყუთი,
პატარა გული — ბობოქარი შავი ზღვის ტალღა,
ვინ ეზიდება ფიქრებს ჩემსას მაღლა და მაღლა,
ჩემი სიცოცხლე ასაფრენი წამია ნუთუ?!
განკითხვის ნაცვლად ბობოქარი ტაში და ტაში,
მეც იქ ვიყავი, ერუანტელი მივლიდა ტანში,
არა მონური მორჩილების, არამედ — რისხვის.
მე ის ცხოვრება შიშველ ტკბილში მიყრიდა ნემსებს
და ვწერდი ჩემთვის ჟამიჟამად უწმაწურ ლექსებს,
რომ გაყინვოდათ მსუნაგ ბოსებს ძარღვებში სისხლი.

16.

ვერ მოვარჯულე ეკულმართი ბედი მდევარი,
მივყვები ბილიკს ზოგჯერ სული მიჭირავს კბილით,
შხაპუნა წვიმა გადარეცხავს ბილიკებს დილით.
მწვანე ფოთლებში გამოხელის თვალებს მტევანი.
მოულოდნელად აღიმართა წინ რუბიკონი,
რა გაამართლებს თუ გადატყდა ხმალი ვადაში,
მზის ნაფეხურებს ცხელ ქვიშაზე წვიმა გადაშლის,
სივრცეს გაბაზავს წვროს გუნდი, როგორც სტრიქონი.
დღიურებს ბევრი უდღეური სახელი შერჩა,
ისე ვით ომის ისტორიას წყეული ქერჩი,
უსახელოდ რომ შეიწირა ჩვენი ბიჭები.
თითქოს ვიღაცამ გულზე ბსარი დანა დამისვა,
წამით შეირწა დედამიწა და ჩამრთხლა.
ცოტა კიდევ და ჩემს საფლავსაც დაბიკუბენ.

17.

ჩემს თვალწინ ბევრი ბობოქარი წელი დასრულდა,
წლები დასრულდა ძიების და „ელდორადოსი“,
სხვა დრო მოვიდა, სულ სხვა ჟანი და სხვა პათოსი,
სხვა გზა არა მაქვს და პაემანს ვნიშნავ წარსულთან.
„სისხლიან სონეტს“ დავდევნე ჭაღარა რითმი,
რითა სიმაღლე მივუმატო მამულის დროშას,
წლები, რომლებიც ჩამეხარჯა იმ თახსირ დროში,
წამოეწევა ჩემს ცხოვრებას მთლიანად თითქმის.
ახლა, როდესაც ჩვენი ყოფნა-არყოფნა წყდება,
ბევრი ნიღაბთ შეიმოსა და გული მწყდება,
თავად განგებაც ვერ გაარჩევს მტყუანს და მართალს.
დროსთან ჭიდალი ალამაზებს ისევ ცხოვრებას,
ჩვენ კი ზოგი რამ ტყუილუბრალოდ გვეუცნაურება,
რადგან ქვეყანას უკანონო კანონი მართავს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

18.

დაუდევრობას ჩვენსას ჩვენი ღმერთი შევწირეთ,
ღმერთი ღმერთია, იმიტომ, რომ იგი ერთია,
მე მაინც მჯერა ჩემი შემწე ისევ ღმერთია,
რადგანაც ჩემი წინათგრძნობა ახდა მეტწილად.
წნელის ღობეზე შეფრენილი ყივის მამალი,
მიიზლაზნება კამეჩივით შუადღის ჩრდილი,
ქალმა, რომელსაც დაეკარგა ქალაქში შვილი,
ვერსად იპოვა დაქანცული ხელის წამალი.
აგვისტოს მწუხრი ვარსკვლავების ციცანთელებს
მიერეკება და საამურ დილას ათენებს,
რომ ადამიანს გაუღვიძოს ჟინი ცხოვრების.
გამოზოგილი სათნოება გამოგველია
და ძველებურად პაემანზე აღარ გველიან,
კარგს არ გვიქადის ერთმანეთის გაუცხოება.

19.

კვლავ მითვალთვალებს სიმარტოვე, როგორც აგენტი,
კვლავ ავიეშირებს ჩემს ნაბიჯებს მარჯვნივ და მარცხნივ,
იოტისოდენა გულგრილობა, იქვეა მარცხი,
შექსპირისეულ ტრაგედიის ერთი ფრაგმენტი.
მე გამოვდივარ ტრაგედიის პატარა როლში,
თოფი გავარდა და უეცრად დაეშვა ფარდა,
ვინ განიცადა ეს სიკვდილი პიეტის კარდა,
პიეტის კარდა ვინ დაკალდა ხალხსა და ცოლ-შვილს.
რამდენჯერ მწარე სიმართლე ვთქვი, იმდენჯერ მომკლეს,
არ დაინდობენ მომავალში ალვეთის ბიკვერს...
რაღას გვიშველის ცარიელი ვაი და ვიში.
მწარეა ზვედრი მარტისელის და მარტოკაცის,
როცა რეგვენი თავზე გაზის და სიქას გაცლის,
შენ კი საშობლო გელანდება და გწეწავს შიში.

20.

მეოცე სონეტს საუკუნე ჯუღვნი მეოცეს,
რომელიც თითქმის ეს-ეს არის ხელში ჩაგვადა,
სუფთა სინდისი, სუფთა ფიქრი, სუფთა ქანგბადი
მე ჩემმა დიდმა წინაპრებმა გადმომილოცეს.
„რევოლუციურს, ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს“
ხალხი უსმენდა, ხალხი უსმენს გულმოდგინებით,
ის დაიღალა და იჯერა გული გინებით
და პერონზე დგას მოლოდინში ბოლო ეკგონის.
მე იმ ეკგონთ დამანახეს ცივი ციმბირი,
გადავდე თავი, მოვაშორე შენსკენ სირბილითა,
იმ გზით, რომელიც საშობლოში მიგვიყვანს მზოლოდ.
ვინც მიცნობს, ყველამ კარგად იცის ჩემი წარსული,
მე ახლა განგებ არ ვახსენე ხმალი საარსული,
ეს ყველფერი ისტორიის ქურუმებს ვთხოვოთ.

21.

გვიახლოვდება საუკუნე ოცდამეერთე,
აქ ჩერნობილის ტრაგედია უსისხლოდ ბოლავს,
ჭეშმარიტება დადგინდება ბოლის და ბოლის,
ბოლის და ბოლის გაუგებენ მიწაზე ღმერთებს.
ბირთვული საფრთხე კურცხალივით ცაზე კიდია,
ჩვენ არ გავქრებთ ჩელენჯერის ეკიპაჟივით,
მე ვარ ძმეული საკაძის ერთი ვაჟივით,
წუთიდა დამრჩა, რისკ-ფაქტორი ისე დიდია.
მადლობა უფალს, მეც ამ დღეებს რომ მოვეწწარი,
მეც ამ სიხარულს ვეფერები ხსოვნის დღესავით
და ვიმეორებ ეამის-ჟამად — ჩვენთან არს ღმერთი.
ვიცი სიმართლე ხმალზე უფრო ბასრი ხმალია,
მაგრამ ეს ხმალი ძნელზე ძნელად მოსახმარია...
მინდა სიმართლე ჩვენს გულებში ცეცხლივით ენთოს.

22.

ბალაკტიონი, ლეონიძეც, იყო გრანელიც...
აგერ ახლაან დავიტირე გოგი ცაბაძე,
მე აქ ვარ ახლა, მათ სიკვდილში ვეღარ წავბაძე,
რომ არ მეზიალ 9 აპრილის ცხელი გვამები.
რომ გაუძრთელოს აპეური უღელს მონობის,
რომ დაჩოქოს ჩვენი ურჩი გოგო-ბიჭები,
რა ამბავია, სოღანლუღთან რატომ იჭექს?
საქართველოსკენ ჯარს მოუძღვის რიდიონოვი.
ლიცვ კურთლე ალავლინს უნტარეცმა,
ვიდრე დემონმა ჩვენს მკერდებზე დანა ალესა,
გამოთვლილი აქვს ყველა წუთი მწიფარ იუდას.
და ქართულ მიწას მივაბრეთ ოცი ცხედარი,
მერაბ კოსტავა კვლავ აქ არი, კვლავაც მზნედ არი,
მაგრამ ხელ მალე ამათ სულებს ამბავს მიუტანს.

23.

მზეს შურდულივით სხივი სტეორეკა ზევს მწკვნე კონცხთან,
თეთრი მანდილი გამორიყა ტალღამ ნაპირთან,
გუშინ ცხოვრებამ აქ ისეთი რამე დამპირდა,
რომ აგვისტოს ცას იდუმალი ვარსკვლავი მოწყდა.
ეს ჩემს მომავალს მიეახლედე წარსულისაკენ,
ბოლის და ბოლის ხაზიკარი აქვს უსაზღვროებას,
რთან არის სხვაზე უარესი ჩემი დროება,
ან უკეთესი — ყოველივეს ვეძებ და ვარკვევ.
მოავრობის სახლთან მოშმშვლე ხალხის კარავი,
ნუთუ არ ფიქრობს ხალხის ბედზე ახლა არავინ?!
ან რას ითხოვენ შავოსანი მანდილოსნები?!
რეალისტური სპექტაკლები თვით ხალხმა დადგა,
თვით ხალხი გაბდა გამგებელი ყველაფრის რადგან,
მე შემიძლია ვიოცნებო ნამდვილ ოცნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24.

დრომ მოიტანა ყველაფერი ჩვენში რაც ხდება,
ძირს ლოზუნგები, მიტინგების გვიდგას დრო-ჟამი,
პიროვნებების დიქტატურა უნდა მოვშალოთ,
ყალბი დიდება ნელა, მაგრამ მაინც მარცხდება.
დემოკრატია ზოგს ჰგონია ნარდის თამაში,
რევოლუციის ტოლფასია მეტი თუ არა,
წამოდგა ხალხი და ჭუხილით გადაუარა
ძველს და დრომოჭმულს, რაც სუფევდა ჩვენს ქვეყანაში.
მადლობა უფალს, ამ ყველაფრის ვარ თვითმხილველი,
გადათვლილია წყალში თევზი, ცაში ფრინველი,
ვისი ბრალია რომ არ მოგვცა ფუტკარმა თაფლი?!
ზოგი ცალტკინა, ზოგი ბეცი, ზოგი პინგვინი,
შემოსილია ხვეისი წილი მზით და გვირგვინით,
გვირგვინით არა ხელოვნურით, არამედ დაფნის.

25.

გადავიკითხე რობაქიძის „გველის პერანგი“,
მზიანი დღეა და ფოთლებზე ნამი იცინის,
რუსეთს ეწვია ემიგრანტი სოლჟენიცინი,
ძველი აზრებით და ახალი არქიპელაგით.
რუსი მწერალი რუსეთს ძველი მოდელით აწყობს.
იმპერიული აზრი მართავს იმის გონებას,
აწ უკრაინა აღარავის დაემონება,
ჩვენი სირცხვილი ჩამოურეცხოთ ჩვენსავე აწმყოს.
სოლჟენიცინი ემიგრანტი ბოლო რუსია...
და, რა თქმა უნდა, სულს ხვეს ფიქრობს ბელორუსია...
კაცმა არ იცის საით წავა შუა აზია...
კაცი, რომელიც ტყემალს კრეფს და ბალი ჰგონია, —
თვით ხალხმა შეთხზა და ხალხშივე გამიგონია,
ყველა სიბრძნეზე ბრძნული სიბრძნე ხალხის აზრია!

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მაღულარია

შეხვედრა გამზირზე

რომანი

I

ნაშუადღევს, ერთ-ერთი სამცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან, რომელიც ამ სამოიდე წლის წინათ ახალ შენობაში გადავიდა და, ასე ვთქვათ, თავის საბოლოო თავშესაფარი დაიმკვიდრა, გამოვიდა მოხდენილად ჩამული, სუფთად გაპრესული, მაღალი, ჭაღარა, სასიამოვნო გარეგნობის მქონე სოლიდური მამაკაცი და, ძველი ჩვეულებისამებრ, იქაურობას ისე მოავლო თვალი, თითქოს მის წინ შავი ლიმუზინი უნდა ჩამომდგარიყო, მაგრამ ირგვლივ ლიმუზინივით შავი არაფერი ჩანდა. დღე ნათელი და ალერსიანი იყო, ცა უმანკო, უწყინარი, ნაგებობათა კონტურები — მსუბუქი, მოოქროვილი. ბერიკაცმა ნიავისაგან აშლილ ჭაღარა თმაზე ხელი გადაისვა და გადაწყვიტა, სიჭაბუკე გაეხსენებინა, — გამზირზე ფეხით გაესეირნა. მის გმოხედვაში იყო რაღაც ქედმაღლური, მომთხოვნი, მაგრამ საუწყებო მანქანა მას უკვე აღარ ემსახურებოდა, საკუთარი კი შვილიშვილს აჩუქა, რადგან ბოლო დროს მანქანის ტარება უჭირდა. ამიტომ მცირე ხანს შეჩერდა, ირონიულად გაიღიმა და შემდეგ ფეხით გაუყვა გზას. იგი არა მარტო გარეგნობით იყო სოლიდური, არამედ ასაკითაც. იმ დღეს, როცა სამეცნიერო დაწესებულებიდან გამოვიდა, ოთხმოცდასამი წელი შეუსრულდა. თანამშრომლებს ეს თარიღი ახსოვდათ და, რა თქმა უნდა, მოულოცეს, მაგრამ ამ მოლოცვას აკლდა ძველებური რიხი, გაქანება და მდიდრულად დასაჩუქრება. აკლდა იმიტომ, რომ ორი ათეული წლის მანძილზე ამ ინსტიტუტის დირექტორი იყო, ახლა კი კონსულტანტად ითვლებოდა და ხელში რეალური ძალაუფლება არ ეჭირა. მიუხედავად ამისა, ბედს მაინც არ ემდუროდა. იმ დროში და იმ ცოდვის კითხვაში, მან რომ გამოიარა, ოთხმოცდასამ წლამდე მოყრა სახუმარო საქმე არ იყო. ახლა, ამ სიშორიდან წარსული რაღაცნაირად გაბუნდოვანებული, გაფერმკრთალებული, არეულ-დარეული ჩანდა, მაგრამ რამხელა შინაგანი ძალა, ჭკუა, გამჭრიახობა, მოსალოდნელი წარმატებისა თუ წარუმატებლობის გათვალისწინება იყო საჭირო იმისთვის, რომ ბოლომდე დაუმარცხლებლად ეელო და იმ ასაკამდე მოეღწია, რომლის იქით ძრწოლა და ისეთ რაღაცეებზე ფიქრი იწყება, რაც მხოლოდ ხანდაზმული ბერიკაცების საფიქრალია. ცხოვრებისა და ოჯახის წინაშე ვალი მოხდილი ჰქონდა, არავისი არაფერი ემართა, თავისუფალი დრო მთლიანად მას ეკუთვნოდა და შეეძლო ისე გაეტარებინა, როგორც მოისურვებდა. ინსტიტუტში ხანდახან თუ შეიკლიდა, ისიც თავის შესახსენებლად, თორემ მისი კონსულტაციები არავის არაფერში სჭირდებოდა. არც ეკითხებოდა არავინ არაფერს. მაგრამ ამის გამო, საკმაოდ სოლიდურ თანხას, კონსულტანტობისათვის რომ ერგებოდა, რეგულარულად ღებულობდა. დღესაც ისე ჩაიდო ჯიბეში, როგორც კანონიერად გამომუშავებული. ასეთი იყო უსიტყვო შეთანხმება მასსა და ადმინისტრაციას შორის და ამ შეთანხმებას მის სიკვდილამდე ვერავინ დაარღვევდა.ანდა რატომ უნდა დაერღვიათ? მართალია, აქტიურ ცხოვრებას აღარ ეწეოდა, აღარ იყო ჩაფლული ინტრიგებსა, ქიშპობასა და მაბეზღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობაში და თუ თვეში ორჯერ ხელფასს ლებულობდა, ეს მან საზოგადოებრივი მოღვაწეობით, მუყაითი შრომითა და ორგანიზატორული ნიჭით დაიმსახურა, რაც დაუფასეს კიდეც. არც სამეცნიერო ხარისხები აკლდა, არც წოდებები და არც ჯილდოები. ორდენებითა და მედლებით მთელი ყუთი ჰქონდა გამოტენილი. ამიტომაც არ ჩაიკეტა სახლში, ამიტომაც ეჭირა თავი ისე, თითქოს ჯერაც საჭირო კაცი იყო და ისე არ დაჩაჩანაკებულა, რომ მისი პროფესიონალიზმი მის დაბერებასთან ერთად გაუფასურებულიყო.

თუმცა, ასე ფიქრი სახიფათო უფრო იყო, ვიდრე გამამხნევებელი და დამამშვიდებელი. ასაკს თავისი გაჰქონდა, სიღრმეებში ითრევდა და ფეხებს უსველებდა. ცხოვრების გარეგნული მხარე ისე აღარ აინტერესებდა, როგორც განვლილი გზა და იმის შეფასება, რაც უკან მოიტოვა, რაც სულ უფრო ძალუმად მოითხოვდა სიცრუის, სიყალბის, გამოუვალი მდგომარეობის მომიზეზების უკუგდებას და იმ ცხოვრების მკაცრი, უკომპრომისო თვალით დანახვას, რომელიც მხოლოდ მისი იყო და სხვისი არავისი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.მართალია, ყოველივე ამაში გარკვევასა და ყველაფრისთვის შესაბამისი ადგილის მიჩენას მისი დაღლილი გონება კი არა, უახლესი ელექტროგამომთვლელი მანქანაც ვერ შეძლებდა, მაგრამ ამის გამო ისეთმა, პასუხს რომ სთხოვდა და ამ ბოლო დროს თითქმის ყოველდღე ანსენებდა თავს, არ სუსტდებოდა, არ იჩქმალებოდა.

ფეხით სიარულს იმდენად გადაჩვეული არ იყო, რამდენადაც ეხამუშებოდა. საუწყებო მანქანა იმ დღიდან ემსახურებოდა, რა დღესაც ისინი დირექტორებს მიამაგრეს. მაშინ ქარხნის დირექტორი იყო და მანქანა ისე მოერგო, როგორც პირველი ორდენი. მას შემდეგ არც სამსახურში წასულა საზოგადო ტრანსპორტით და არც შინ დაბრუნებულა. იცვლებოდა მისი ცხოვრების წესი, ის ჩვევები, წლიდან წლამდე სულ უფრო ღრმად რომ იდგამდა ფეხს მის ფსიქიკაში. მერე, როცა ავტომანქანების მოსახლეობაზე გაყიდვა დაიწყეს, ინსტიტუტისათვის გამოყოფილი პირველი ავტომანქანა თვითონ შეიძინა, მისი ტარებაც ისწავლა, მაგრამ საკუთარ მანქანაზე შვილი დასვა და როცა საუწყებო მანქანა ფუჭდებოდა ან მძღოლი ავად ხდებოდა, სამსახურში შვილს მიჰყავდა და უკანაც მას მოჰყავდა. ეს ჩვევა ისე ჰქონდა გამჯდარი ძვალრბილში, რომ ახლა თავს თუ დაჩაგრულად არა, იმაზე უფრო დაბერებულად გრძნობდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. შეიძლება ამ გრძნობას ისიც ამძაფრებდა, რომ ქუჩაში ფეხით მიმავალი უფრო დაუცველი, შეუნიღბავი, შეუჯავშნავი ჩანდა, მარტო შეუჯავშნავი კი არა, იმ საზოგადოებრივ წონასა და იმ მბრძანებლურ იერს მოკლებული, მანქანაში მჯდარს რომ ჰქონდა. ყველაფერი ეს აფორიაქებდა, საღერღელს უშლიდა, ზოგჯერ კი ისეთ ფიქრებამდე მიჰყავდა, აქამდე ახლოს რომ არ იკარებდა. მისი ხნის კაცისათვის სულიერი სიმშვიდის დაკარგვა ჯანმრთელობის დაკარგვასაც უდრიდა. ამიტომ ამ საფრთხისათვის რაც შეიძლება მალე უნდა მოეღო ბოლო, თანაც სხვებისაგან შეუმჩნევლად, ისე, როგორც უადგილო ადგილას გამოსულ მუწუკს რომ გამორწყავენ ხოლმე.

გამზირზე ფეხით გამოსეირნებას მხოლოდ ის ამართლებდა, რომ მშვენიერი დარი იდგა, გაყვითლებული ფოთლები ფარფატით ცვივოდნენ ტროტუარზე და ფეხებში ებლანდებოდნენ. ამ ფოთლებს ჰგავდნენ მისი დაულაგებელი ფიქრებიც. სხვებს იმიტომ არ უნდა სცოდნოდათ არაფერი, რომ საკუთარ თავთან ჭიდილში მაინც ვერავინ დაეხმარებოდა — ვერც ცოლი, ვერც შვილები და ვერც მეგობრე-

ბი. თუმცა სად ჰყავდა მეგობრები. ვინც არ ჩამოუცილებია, თვითონ ჩამოსცილდა. ამიტომ სიბერეში მარტო დარჩა და ყოველ წყენას, ტკივილს, უგუნებობას თვითონ უნდა გამკლავებოდა, თვითონ უნდა ამოექოლა ის ბზარი, საიდანაც ცივი ქარი უბერავდა და მტრულად განწყობილი ფიქრები მოეთოკა. მართალია, ბზარი უცბად არ გაჩენილა, გაორება მისთვის უცხო ხილი არ იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს ისე გაფართოვდა, რომ მისი არ-შემჭნევა აღარ შეიძლებოდა. უკან მოხედა ჟურანტყლს ჰგვრიდა, ტკივნს უმღვრევდა, გაურკვევლობის ბურუსში ახვევდა. ამიტომ თავქარიანობა იქნებოდა იმის უგულებელყოფა, რაც მის სიცოცხლესა და კეთილდღეობას საფრთხეს უქმნიდა. სიბერეში არა მარტო სიმშვიდე და უზრუნველყოფილი ცხოვრება სჭირდებოდა, არამედ წლების მანძილზე შესისხორცებული პირვილეგიებიც. პრივილეგიები იცავდნენ, ამხნევებდნენ, დაფიქრების უფლებას არ აძლევდნენ, ხოლო კაცის მტერი რომ ფიქრია, ეს მან დიდი ხანია შეიგნო. სწორედ ზედმეტმა ფიქრმა იცის ნაადრევად გაჭაღარავება, სახის კანის დაჭკნობა, სულში წყლულის გაჩენა. აქამდე მისი უპირატესობა ის იყო, რომ ტვინი არასოდეს უჭყლეტია, არჩევანის წინაშე ორჭოფობა არ დაუწყია, განყენებული იდეა საკუთარ კეთილდღეობაზე მაღლა არ დაუყენებია. ყოველთვის იმას აკეთებდა, რასაც მისგან არსებული ვითარება მოითხოვდა, ყოველთვის ისე იქცეოდა, როგორც საღი აზრი კარნახობდა. მთელი სიცოცხლის მანძილზე შრომა და პასუხისმგებლობა სხვებზე ნაკლები ჰქონდა, შემოსავალი და პრივილეგიები კი სხვებზე მეტი. სწორედ ამიტომ აფასებდნენ და აწინაურებდნენ. რა დაბადების დღეებსა და იუბილეებს არ უხდიდნენ, რა ხოტბას არ ასხამდნენ, რა საჩუქრებით არ ასაჩუქრებდნენ. მაგრამ მისმა ზარმაც დარეკა და ყველაფერი ეს წარსულს ჩაბარდა. თანამდებობის დაგვიანებულ ერთად, ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების პატივისცემაც დაკარგა, აღარ ელაქუცებოდნენ, აღარ ემსახურებოდნენ, ზურგს უკან კი, ალბათ, დასცინოდნენ კიდეც. თუმცა ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ბოლო დროს ხელისუფლებისათვის ბრძოლის მეთოდები დაიხვეწა, ცინიზმი გაათკეცდა. ახალგაზრდა თაობას ცოდნაც მასზე მეტი ჰქონდა, ალღიც უფრო გამახვილებული და იმაშიც უფრო დაოსტატებული და დაგეშილები იყვნენ, რაც მისგან და მისთანებისგან ისწავლეს.

ბერიკაცს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს შინაგანად პატარავდებოდა, რიხი და სითამამე აკლდებოდა. ის სამყარო, ირგვლივ რომ ერტყა, ჩრდილებით ივსებოდა, ოდესღაც ნათელი აზრები იცრაცებოდა, ბუნდოვანდებოდა. ამის დამადასტურებელი ფაქტი ერთ-ერთ თანამშრომელთან ბუფეტში შეხვედრა და მასთან გამოლაპარაკება იყო. ბუფეტში წყურვილის მოსაკლავად, ჩაის დასალევად შევიდა. დაკავებული მხოლოდ ერთი მაგიდა აღმოჩნდა. იმ მაგიდასთან ერთი უხიაგი თანამშრომელი, რაულ ნამჯიშვილი იჯდა. თვითონაც არ იცოდა რატომ, მაგრამ იგიც ამ მაგიდასთან ჩამოჯდა, ჩაის ჭიქა წინ დაიდგა და შედარებით ახალგაზრდა კაცის ბოღმიან მზერას წააწყდა. რაული შავგვრემანი, შეუხედავი, უხასიათო კაცი იყო, მაგრამ უაღრესად ნიჭიერი, მშრომელი და დაურიდებელი. თანამშრომლებს არა მარტო პირდაპირობისათვის არ უყვარდათ, არამედ იმის გამოც, რომ ბუნებამ მისთანა ახირებულ და შეუხედავ კაცს ნიჭი დაამადლა. მიუხედავად ამისა, პატივს მაინც სცემდნენ და მასთან გამოლაპარაკებას ერიდებოდნენ. თვითონ ნამჯიშვილს კი ყველაზე მეტად ის აცოფებდა, რომ მისი ნიჭი ამაოდ იხარჯებოდა უნიჭობისა და უსაქმურობის ჭაობში, იმ

დაწესებულებაში, რომელიც ხალხით იყო სავსე, მაგრამ მისთვის მაინც უდაბნოს ჰგავდა. ამის გამო იბოღმებოდა, იღრინებოდა, საკუთარ გულს ასკდებოდა. ერთი-ორჯერ გოგოებიც კი მიუგზავნეს, იქნებ ცოტა მოტყდეს, მორბილდესო, მაგრამ მისი ხაზგასმული უყურადღებობით გაანჩხლებულნი უკან გამორბოდნენ. აი, ასეთი კაცი იჯდა მის წინ და პურსა და ძეხვს ისე შეექცეოდა, თითქოს ერთიც მოწამლული იყო და მეორეც. სხვა დროს არათუ მის მაგიდასთან ჩამოჯდებოდა, არც კი შეამჩნევდა, მაგრამ ახლა რაღაცამ უბიძგა, რაღაც ისეთმა, რაც გაცნობიერებული არ ჰქონდა.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო ექსდირექტორო? თქვენ რომ დაგინახეთ, ისეთი გრძნობა შემექმნა, თითქოს ამ საღორეში ბნელი დერეფნიდან შემოიპარეთ, — უთხრა რაულმა და გაქონილი ხელები ერთმანეთს შეაწმინდა.

— მას შემდეგ, რაც დირექტორი აღარა ვარ, ბოღმა კიდევ უფრო მოგმატებიათ, რაულ.

— ამ სიკეთეს ჩვენში რა გამოლევს, ბოღმა რომ არა, ქვის სროლას იმ დღიდან დავიწყებდი, რა დღესაც აქ ფეხი შემოვდგი.

— ის დღე მეც კარგად მახსოვს, ჩემო რაულ, და მაშინ ულვაშებაცმაცუნებული ვირთხის გამომეტყველება უფრო გქონდათ, ვიდრე ქვის მსროლელის.

— მაშინ არ ვიცოდი, საგირთხეში თუ ამოვყოფდი თავს. რაც შეეხება ქვის სროლას, იმ დროს ამისათვის ციხეში ხვამდნენ კაცს.

— თქვენ თუ გგონიათ, მარტო ეს ინსტიტუტია საგირთხე, ძალიან ცდებით. საგირთხეა მთელი ეს ქვეყანა. გარდა ამისა, ქვის სროლა სრულიადაც არ ნიშნავს მეამბოხეობას. თქვენ ის გაცოფებთ, სიბნელეში რომ ვერ პოულობთ იმას, რისი პოვნის იმედიც გქონდათ, მაგრამ სიბნელეში რომ რამე იპოვო, ცოტაოდენი სინათლე მაინც უნდა შემოდიოდეს საიდანღაც.

— საიდან უნდა შემოდიოდეს სინათლე, როცა ყველა სარკმელს, ყველა ჭუჭრუტანას თქვენისთანა ბნელეთის მოციქულები ეფარებიან ზურგით. თუმცა ეს თქვენი პირდაპირი მოვალეობაა და, რას იზამთ, ბნელის გასაშუქებლად თავს ხომ ვერ გაიფუჭებთ. მაგრამ დავანებოთ ამას თავი. ყველაზე მეტად ის მაკვირვებს, რატომ ხარჯავთ ამდენ ფულს იმაში, რაც არ გჭირდებათ,— მეცნიერებასა და ხელოვნებაში. აი, ამისათვის მართლაც უნდა გაგაძროთ ტყავი კაცმა, მაგრამ სადაა პატრონი.

დრო შეიცვალა, თორემ ასეთი რამ რომ გაეფიქრებინა კიდეც რაულ ნამჯიშვილს, ხმამაღლა მაინც არ იტყოდა.

— ჩვენ იმის ყიდვა კი არ გვინდა, რაულ ბატონო, რაც თქვენ მიგაჩნიათ ფასეულობად, არამედ იმისი, რასაც ილუზია ჰქვია და რაც პურზე ნაკლებად არ სჭირდებათ გლახაკთა და უპოვართ. რა შეგიძლიათ მისცეთ თქვენ ადამიანს იმის ფასი, რასაც ჩვენ ვაძლევდით და ჯერაც ვაძლევთ ხალხს. ჩვენი საქმიანობის მასშტაბებთან შედარებით, თქვენი ლაბორატორიაში ფუსფუსი ჩხირკედელაობაა და მეტი არაფერი.

— იცით, რას გეტყვით, ბატონო ექსდირექტორო, დიდ ტყუილს ისეთივე მყრალი სუნი უდის, როგორც პატარას. თუ თქვენს მიერ შეთითხნილი ილუზია ასე საჭიროა ხალხისათვის, თქვენმა თავმა რაღა დაგიშავათ, რატომ არ იზიარებთ, რატომ აქარწყლებთ თვალთმაქცობითა და ცინიზმით. თქვენ აქ უპოვარნი და გლახაკნი ახსენეთ. იმაზე მეტი უზნეობა რა შეიძლება იყოს ამ ქვეყანაზე, ვიდრე უპოვართა და გლახაკთა შეგნებულად მოტყუებაა?

— თქვენ ჯერ ახალგაზრდა და გულუბრყვილო ხართ, ჩემო რაულ. მას

შემდეგ, რაც კაცობრიობა არსებობს, უპოვართ და ვლახაკთ ყოველთვის ატყუებდნენ და დღესაც ატყუებენ. სწორედ ამისთვის იქმნებოდა მითები, რელიგიები, იდეოლოგიები. უილუზიოდ იმის ატანა, რასაც ცხოვრება ჰქვია, თითქმის შეუძლებელია.

— თქვენ როგორღა იტანთ?

— ჩვენც გვიჭირს, მაგრამ ჩვენ ქურუმები ვართ და უნდა ავიტანოთ.

— ქურუმები კი არა, ხელისუფლების მიმტაცებლები და მოძალადეები ხართ. ძალად ახვევთ ხალხს თავზე ისეთ სისულელეებს, რაც საღ აზრსა და ისტორიულ გამოცდილებას ეწინააღმდეგება. იქ, სადაც თქვენს ბატონობასა და მჩხიბაობას წყალი უდგება, ყოველგვარი ლოგიკა, ყოველგვარი ზნეობა გამორიცხულია. ეს კი, არა მარტო ცინიზმია, არამედ მძიმე დანაშაულიც. თუმცა ცოდვა და დანაშაული ყველას ერთად იმდენი გაქვთ ჩადენილი, ვერავითარი საწყალითი ვერ აირწყვება.

რაულ ნამჯიშვილი თანდათან ეშხში შედიოდა და ბრალმდებლის როლი უფრო მოსწონდა, ვიდრე განმსჯელის.

— ბოროტება, დანაშაული და სისასტიკე თუ მატულობს, ჩემო რაულ, თორემ კლებით ჯერჯერობით არ კლებულობს. ასე იყო წარსულში და ამას ისტორია ცხადად ადასტურებს. ცხოვრება საცერია, კაცობრიობას კი მოკლე მეხსიერება აქვს. ერთი საუკუნის შემდეგ ყველაფერი ის, რაც ჩვენში ხდება, რომანტიკული ელფერით შეიმოსება და ისინი, ვისაც შენ ახლა ბრალს სდებ, დამნაშავენი კი არ იქნებიან, არამედ დიადი პერსონაჟები. მათი სახელი ძლიერებასთანაა დაკავშირებული, ძლიერებს კი ხალხი არ ივიწყებს. ისტორია იგივე მითია და ამ მითის გამოყენება ყველას ისე შეუძლია, როგორ ინტერპრეტაციასაც მისცემს. რა დროც უნდა დადგეს, ვის რა ექნება იმის საწინააღმდეგო, რომ ქვეყნად ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია მოისპოს, სოციალური თანასწორობა დამყარდეს, ვინ დაარქმევს ბოროტმოქმედებას იმას, რომ საზოგადოების მიერ შექმილი დოვლათი მთელ საზოგადოებას ეკუთვნოდეს და არა მხვეჭელებს, ვინ დაადანაშაულებს კაცთმოძულეობაში იმას, ვინც უმუშევრობას ადამიანის დამამცირებელ მოვლენად თვლის? ღრმა კვალს ისტორიაში იდეები ტოვებენ და არა მათი კონკრეტული გამოვლინებანი. ის, რაც იყო, არავის სტკივა, მტკივნეული ის არის, რის-ზემოქმედებასაც საკუთარ თავზე განიცდი.

— ტყუილა ფიქრობთ, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ აქ დახატეთ. ხალხი უკვე იღვიძებს, თავისუფლდება სიბრმავისა და სიყრუისაგან. ხოლო როცა თქვენს ძვირად ღირებულ ილუზიას მთლიანად მოიშორებს თავიდან, ისეთ რამეებს გამოგიჩხრეკთ, რაც გაცნობიერებულიც კი არა გაქვთ. ხალხიც და ცალკეული პიროვნებებიც იმაზე გონიერია, ვიდრე თქვენ გგონიათ. აი, ესაა თქვენი ყველაზე დიდი შეცდომა და სწორედ ამან გამოუთხარა ძირი თქვენს პროვინციულ ყოყლოჩინობას.

სიბერეში ბევრ ისეთ რამეზე აეხილა თვალი, რაც მანამდე შეუმჩნეველი რჩებოდა. წესით, ეს ქვების მსროლელი კაცი უნდა სძულებოდა, თუ არ ეძულებოდა, ამგვარი დამოკიდებულება მაინც უნდა გამოემჟღავნებინა მის მიმართ, მაგრამ წლების მანძილზე გამომუშავებულმა ჩვევამ ამჯერად უღალატა. მოჰაქერე ცნობისმოყვარეობას უფრო იწვევდა, ვიდრე სიძულვილს და ეს ცოტათი აფიქრებდა. სიძულვილის გოძნობის დაკარგვა საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაკარგვას უდრიდა. იგი შეგნებულად დადგა იქ, სადაც იდგნენ ძლიერნი ამა ქვეყნისა, სადაც გულჩვილობა და შემწყნარებლობა ლაჩრობად ითვლებოდა. ამიტომ არ უნდა დალაპარაკებოდა, თავი არ უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაეტოლებინა ისეთი კაცისათვის, მის წინ რომ იჯდა და გულს იოხებდა, მაგრამ საკუთარ თავს ვერ ერეოდა, იმასაც ვერ ახერხებდა, რომ ამდგარიყო და იქაურობას გასცლოდა.

— ჯერ ერთი, რაულ ბატონო, მითები, რელიგიები და იდეოლოგიები პროვინციებში იქმნება და არა მეტროპოლიაში, ასეთი შობადობისათვის მეტროპოლია ბერწია და ჯანსაღ ნაყოფს ვერ იძლევა, მეორეც, თქვენ კიდევ დიდხანს ინანებთ, ის ილუზია რომ გათელეთ ფეხით, რომელიც ჰურს გაჭმევდათ და გასულდმულებდათ. დაიწყებთ ბოდიალს ერთი მცდარი აზრიდან მეორისაკენ, დაისისხლიანებთ ფეხებს, ჩაიხლეჩთ ხმას, მოუშვებთ წვერს, დაიმშვეთ და დაზღმურტლიანდებით, მაგრამ იმას მაინც ვერ მიაგნებთ, რაც ახლა სწორი და გონივრული გეჩვენებათ. ჩაერევით ისეთ რამეებში, რაც თქვენი საქმე არაა, ერთის მაგივრად, ას და ათას შეცდომას დაუშვებთ, არა მარტო გაბოროტდებით, არამედ საკუთარ სისხლსა და ხორცსაც კი არ დაინდობთ და მართლა ისე დავიწროვდებით და გაპროვინციალდებით, რომ დღის სინათლეზე გამოსვლას ბნელ სოროში ჯდომას ამჯობინებთ. თქვენ რომ ბოლომდე გქონდეთ გაცნობიერებული, ვინა ხართ და რა დონეზე დგახართ, დაუფიქრებლად არ დაიწყებდით ქვების სროლას და ღვარძლიან ბეჭუტურს.

— ბარემ ისიც დაგემატებინათ, ბატონო ექსდირექტორო, რომ თქვენი გადაშენების შემდეგ, მეორედ მოსვლის ხანა დადგება. ბატონობა სიცრუითა და მუქარით დაიწყეთ, მთელი სიცოცხლე უგუნურობასა და უზნეობაში გაატარეთ, ახლა კი, როცა სიკვდილი მოგითხლოვდათ, როცა ინგრევა ის გოდოლი, ქოხებსა და მიწურებს ზემოდან რომ დაჰყურებდა, მეორედ მოსვლას გეწინასწარმეტყველებთ. თქვენი უბედურება ისაა, რომ ყველაფერი გარყვნეთ და გაათახსირეთ, ხელჩასაჭიდი არაფერი დაიტოვეთ. სისხლის დაღვრა და დასჯაც კი არ შეგიძლიათ ისე, როგორც ამას თავის დროზე თქვენი სულიერი მამები აკეთებდნენ. მათ სწამდათ მაინც რაღაც, თქვენ კი რწმენასაც აქციეთ ზურგი, ღმერთსაც და ხელში შეგრჩათ მარტო სიკვდილი, რომლის გაშშვლებულმა სახიერებამ შეგზარათ, გონება დაგიჩლუნგათ, ისეთ ჩიხში გამოგამწყვდიათ, საიდანაც გამოსავალი არ არსებობს. ჩვენ შეიძლება ერთხანს მართლაც ვამტვრიოთ ქოთნები, საბედისწერო შეცდომები დავუშვათ, მაგრამ ბოლოს მაინც გავალთ იმ გზაზე, ყველა ჭკუათმყოფელმა რომ უნდა იაროს.

— ეს გზა ბევრს დაუწყია იმედით და უიმედობით დაუმთავრებია.

— უიმედობით ისინი ამთავრებენ, ვინც ილუზიას დროშასავით აფრიალებს და მარცხს გამარჯვებად თვლის.

— ბედისა და გზის არჩევაში არის რაღაც მაცდუნებელი, მომნუსხველი, და, ასე წარმოიდგინეთ, სასაცილოც კი.

— ეს ახლა გახდა მომნუსხველი და სასაცილო, თორემ იმ გზამ, თქვენ რომ აირჩიეთ, სიცილსაც გადაგაჩვიათ და ხუმრობასაც. სიცილი დაცინვად, მკრეხელობად გეჩვენებოდათ.

— ეს იმიტომ, რომ ჩვენ კი არ ვლაზღანდარობდით და ვხუმრობდით, მართლა საქმეს ვაკეთებდით.

— ხუმრობით არც ჩვენ ვხუმრობთ. რაც შეეხება საქმეს, გამუქთახორება დიდ საქმიანობას არ მოითხოვს. თქვენი ერთი დიდი დანაშაული ისიცაა, რომ ხალხი შრომას გადააჩვიეთ, ფასეულობას ფასი დაუკარგეთ. ყველაფერი ეს ახლა უკან შემოგიბრუნდათ და თქვენც ისე გაგაუფასურათ და გაგამცონარათ, როგორც თქვენ აუფასურებდით და ამცონარებ-

2. „ცისკარი", №7-8

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით ცხოვრებას.

ნახევრად ჩაბნელებულ ბუფეტში კომბინირებული ცხიმის, თამბაქოსა და ნესტის სუნი იდგა. ყველაფრს, რაც ირგვლივ ჩანდა, ჩრდილებსაც კი, სიდუხჭირისა და სიბეჩავის ფერი ედო. ეს ფერი განწყობილებას ასუსტებდა, აძაბუნებდა. ხელოვნურად განათებულ დღეს მხოლოდ კედელზე დაკიდებული საათი ანიჭებდა რეალობას. ცხოვრება კარგავდა მიმზიდველობას, რიტმს, უსახურდებოდა, უბადრუკდებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა მის მიღმა, სხვების ბუნაგებსა და სოროებში და ამიტომ ისე ვერ თრგუნავდა, რომ საკუთარი თავი დაეივწყებინა. მის დამოკიდებულებას ამ პირქუშ, წვერგაუპარსავი კაცისადმი მისივე მდგომარეობა აპირობებდა და არა განწყობილება. განწყობილებას მისთვის არ ჰქონდა ის მნიშვნელობა, რასაც ნევრასტენიკები ანიჭებენ. წონასწორობიდან ადვილად ვერც გესლიანი სიტყვა გამოიყვანდა და ვერც დაუფარავი სიძულვილი. სიძულვილი მისთვის უცხო ხილი არ იყო, ამ გრძნობას ყველგან ჰქონდა გასავალი, სადაც კი უცხოვრია. გარდა ამისა, სხვებზე უკეთ იცოდა, როგორ შეენარჩუნებია და დაეცვა ის, რაც წლების მანძილზე მასში შემოვიდა და დამკვიდრდა. ამიტომ აქამდე არც სინდისი აწუხებდა, არაფერს სთხოვდა ისეთს, რისი დაშვება და გამართლება არ შეიძლებოდა. დღემდე მას ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების გამთლიანებაც ეხერხებოდა და თუ იღიმებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ტყუილად ფიქრობდა მისი დამთხვეული თანამშრომელი და მოწინააღმდეგე, ორივე ბეჭზე დავდეო.

— ასეა საქმე, ბატონო ექსდირექტორო და თქვენთვის, ალბათ, უკეთესი იქნებოდა, დღეს აქ არ შემოხეტებულიყავით. თქვენისთანა ნაპატივები კაცი საერთო სათქვეფაცში უსიამოვნების მეტს არაფერს გადაეყრება, — უთხრა რაულ ნამჯიშვილმა ნიშნის მოგებით.

— თქვენ თუ გგონიათ, რაულ ბატონო, ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც თქვენა გაქვთ წარმოდგენილი და ნავარაუდევი, მეტისმეტად ბეცი და წინდაუხედავი ყოფილხართ. ცხოვრებას ძალების მოსინჯვა უფრო უყვარს, ვიდრე ნაფიქრალისა და ნაოცნებარის გამართლება. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის წინასწარ დაშინება და განწირვა არც ისე ღირსეული საქციელია.

— რატომ არ დაიკცევა ეს ქვეყანა, როცა თქვენისთანები ზნეობასა და ღირსებაზე იწყებენ ლაპარაკს, — წამოიძახა რაულ ნამჯიშვილმა და ისედაც ვიწრო თვალები კიდევ უფრო დაუვიწროვდა. — თუმცა თქვენ ხომ ყველგან და ყოველთვის მართლები, უცოდველები იყავით, მაშინაც კი, როცა გამცემლობასა და ჯალათობას კისრულობდით. შეიძლება პირადად თქვენ ამგვარი საზიზღრობები არ ჩაგიდენიათ, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. კოლექტიური ბოლოტმოქმედებისათვის მთელმა კოლექტივმა უნდა აგოს პასუხი და არა ცალკეულმა ურჩხულებმა.

— თქვენ, ჩემო რაულ, იმიტომ აღმოჩნდით ბარიკადის მეორე მხარეს, რომ ახლა ეს ხელსაყრელი და მომგებიანია, თორემ ისეთი ბოროტო მიზანდასახულობით განმსჭვალული კაცი, როგორიც თქვენა ხართ, კომუნისტების აღმავლობის პერიოდში პარტიის ღონისძიებათა უკომპრომისო გამტარებელი და უპირსისხლიანესი ჯალათი იქნებოდით. და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ბოსელში ხართ დაბადებული და გაზრდილი. დემოკრატია თქვენთვის ისეთივე უცხო ხილია, როგორც თეთრი დათვისათვის ბანანი. თქვენი გულისწყრომა, პათეტიკა, ამბიციები გაცვეთილი, ვულგარული და უდღეურია, რადგან წინ კი არ იყურებით, არამედ უკან, სიბნელეში, საიქედნეში,

სადაც უგუნურობა, უსულგულობა და განუკითხაობა სუფევს...

უეცრად ბერიკაცი გონს მოეგო და შეჩერდა. იგრძნო, ხმას რომ ძალა ემატებოდა და ცხვირ-პირში სისხლი აწვებოდა. ეს კი სიბერით გამოწვეული სისუსტე უფრო იყო, ვიდრე მოწინააღმდეგის უხეშობისა და უზრდელობის შედეგი. აქამდე ამგვარი რამ არ ემართებოდა, ასე იოლად არ ეგებოდა პროვოკაციაზე. ამიტომ ჩაის ჭიქა ლამბაქიანად გვერდზე გასწია, ფეხზე წამოდგა და ისე გაეცალა იქაურობას, თითქოს ნამჯიშვილი საერთოდ არ არსებობდა ამ ქვეყანაზე.

II

მტკვრისა და მზის სხივებისაგან დამძიმებული ჭადრები თავიანთ წილ სივრცეს ისაკუთრებდნენ და ძველ სახლებს ძველებურ კოლორიტს უნარჩუნებდნენ. ბერიკაცი წელგამართული მიჰყვებოდა ტროტუარს, დროდადრო ჰალსტუხს ისწორებდა და ცდილობდა რაღაც ისეთს დასხლტომოდა ხელიდან, რისგანაც თავის დაღწევა იოლი საქმე არ იყო. ახირება თუ არა, რაღა მაინცდამაინც დღეს მოუნდა გამზირზე ფეხით გამოსეირნება, რაღა დღეს აეშალა საღერღელი და გადააბიჯა იმ ზღვარს, რომლის მიღმა ხეტიალი სახიფათო იყო? რა უნდა ენახა აქ ისეთი, ასჯერ და ათასჯერ რომ არ უნახავს? ყოველი შენობის ფასადი, ყოველი ბოძი, ხე, ვიტრინა, რეკლამა მის მეხსიერებაში ისე იყო ჩაჭედილი, რომ დანითაც ვერ ამოფხეკდი. აქ რომ ყველაფერი თავდაყირა გადატრიალებულიყო, მაინც არაფერი შეიცვლებოდა. ორიოდე შენობის გარდა, ყველა სახლი მასზე ხანდაზმული, რამდენჯერმე შელებილ-შეკეთებული, მასზე მეტი კარგისა და ავის მომსწრე იყო, მის თვალწინ იცვლიდა პატრონებსა და აბრებს, მის თვალწინ იჩრდილებოდა და მის თვალწინ იღვიძებდა ღამეული ზმანებებისაგან. ეს გამზირი და მისი კოლორიტი იმიტომ აღარ იტაცებდა თვალს, რომ თბილისში დაიბადა, თბილისში გაიზარდა და თუ არ ჩავთვლით სტუდენტობის წლებს და ნებაყოფლობით გადასახლებას, მთელი სიცოცხლე თბილისში გაატარა. ისიც კი ცხადად ახსოვდა, ამ ქუჩაზე რომ კონკები დარაბრახებდნენ, ოთხკუთხა ქვებით მოფენილ ქვაფენილზე ეტლები დაჰქროდნენ და ტროტუარზე იმ დროისათვის მოდურად ჩაცმული თბილისელები დასეირნობდნენ. ყველაფერი ეს მის მეხსიერებაში არა მარტო აღბეჭდილი იყო, არამედ თბილად შეფერადებულიც.

თბილად იმიტომ ახსოვდა, რომ ბავშვობის შთაბეჭდილებები იყო, შემდეგ კი დრო ცოფიანივით გახელდა, ცხოვრება აიშალა და აიბურძგნა, გაძვირდა პური, გაიაფდა სისხლი, მაგრამ ამ ქარტეხილებს მან იმთავითვე აუღო ალღო. სხვებივით კი არ დაიბნა, დაფრთხა და დაგლახაკდა, არამედ სულის მხნეობა მოიკრიბა, დროს დროულად მოერგო და ამ ცხოვრებისაგან იმაზე მეტი მიიღო, ვიდრე ერგებოდა. დიდი ნიჭითა და შრომისუნარიანობით არც გიმნაზიაში გამოირჩეოდა და არც უმაღლეს სასწავლებელში. იყო საგნები, რომელთაც გულს ვერ უდებდა და თუ ამის საშუალება ეძლეოდა, სხვებს იხმარიებდა. საერთოდ, სხვების გამოყენების ნიჭი დაბადებიდანვე დაჰყვა. სამაგიეროდ ყველა თამაშს უღებდა ალღოს და ჩინებული ტანმოვარჯიშე იყო. სპორტის ამ სახეობაში არც გიმნაზიაში და არც უმაღლეს სასწავლებელში ტოლი არ ჰყავდა. იმ დროს სპორტსა და სპორტსმენს ის დაფასება არ ჰქონდა, როგორც შემდეგ დაფასეს, თორემ შეიძლება პროფესიონალი სპორტსმენი დამდგარიყო. თუმცა, რით სჯობია სპორტსმენის კარიერა იმ კაცის კარიერას, ვინც ორი დისერტაცია დაიცვა და დოქტორი, პროფესორი და ინსტიტუტის დირექტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი გახდა. მართალია, არაფერი აღმოუჩენია, მეცნიერებაში კვალი არ დაუტოვებია, სამაგიეროდ კვლევითი ინსტიტუტი დააარსა და მის მუშაობას ოცი წელი ხელმძღვანელობდა. ადვილი საქმე არც დირექტორობაა, მასაც ნიჭი და მოქნილობა სჭირდება. ჯერ ერთი, თანამდებობა უნდა მოიგოგო, შეიშნო, ყველას უნდა დაანახვო, რომ შენ კი არა ხარ თანამდებობისათვის შექმნილი, არამედ თანამდებობაა შენთვის, მეორეც, ქერცლი და ჭუჭყი ინტელექტსაც აქვს და ამ ჭუჭყმა რომ სხვები არ გასვაროს, დროზე უნდა გადაუკეტო გზა.

საერთოდ კი კვლევითი ინსტიტუტი ისეთივე ბიუროკრატიული დაწესებულება იყო, როგორიც ადმინისტრაციული სამმართველოებია. ადამიანები აქაც ლუკმა პურზე იყვნენ მიჯაჭვულნი და მათ ურთიერთობასაც ამ ლუკმის სიმსუყე-სიმწარე განსაზღვრავდა. ეს კი გაუთავებელ ინტრიგებს, მაბეზღარობას, ენის მიტან-მოტანას, თანამდებობისათვის ბრძოლას იწვევდა, მაგრამ აპოგეას მაშინ აღწევდა, როცა ბინები იყო დასარიგებელი ან ავტომანქანები გასანაწილებელი. ამ დროს იწყებოდა ისტერიკები, ღრიალი, ტირილი, გულის შეღონება. ყოველივე ამას დაშოშმინება, გათვალისწინება, ისე მოგვარება სჭირდებოდა, რომ არც ინსტიტუტის პრესტიჟი შელახულიყო და არც მგლებს დაეჭამათ ცხვრები. მაგრამ ყველაზე მთავარი დირექტორისათვის მაინც ისაა, რომ სასკანდალო ამბები დროზე გამოავლინოს და მანამდე აღკეთოს, სანამ ხმები გარეთ გააღწევდეს და მთელ ქალაქს მოედებოდეს. ვისაც ეს არ შეუძლია, დირექტორობაზე არც კი უნდა იოცნებოს.

ბერიკაცი ერთხანს შეჩერდა, იქაურობას თვალი მოავლო, მაგრამ როცა საყურადღებო ვერაფერი დაინახა, ისევ განაგრძო გზა. ბოლო დროს მზერამ დაკარგა ის სიმახვილე და გამჭრიახობა, რითაც ერთ დროს თავი მოჰქონდა. ზოგჯერ ხანგრძლივი რამე კარგავდა სახეს, სახის მეტი რომ არაფერი გაარჩნდა, ზოგჯერ კი ისეთი რამე იძენდა ფერს, მუდამ უფერული რომ იყო. შეიძლება ამ გამსუყებასა და გათალხებას იმდენად მხედველობა არ იწვევდა, რამდენადაც გამრუდებული წარმოდგენა, შეიძლება შუქი და ჩრდილი მის შეგნებაში უფრო ირეოდა, ვიდრე იმ გარემოში, ირგვლივ რომ ერტყა. მიუხედავად ამისა, მხედველობიდან მაინც არ გამორჩენია, როგორ აირეკლნენ ვიტრინის დიდ მინაზე შემოდგომის მზის სხივები და მის ფეხებთან დაიბნენ. მათმა ანარეკლმა უფრო გაათბო, ვიდრე დასიცხა. სითბო და მოფერება მას სწორედ ახლა სჭირდებოდა, ახლა უნდოდა სხვის ხელს გაეკეთებინა მისთვის ის, რისი გაკეთებაც საკუთარი ხელით აღარ შეეძლო, მაგრამ სითბოსა და ალერსს მისთვის არავინ იმეტებდა. ანდა რატომ უნდა გაემეტებინათ, იგი ამ ბოლო დროს, სიცოცხლის მიწურულში მოთბა და მოთვინიერდა, თორემ ამ ათიოდე წლის წინათ არავისაგან არავითარ თანაგრძნობას არ თხოულობდა, პანაშვიდებზე და გასვენებებშიც ვალის მოსახდელად დადიოდა, ვიდრე იმის გამო, რომ მიცვალებულს პატივს სცემდა და ებრალებოდა. სხვისი სიკვდილი მაშინ მისთვის ჩვეულებრივი, ბუნებრივი ამბავი იყო და გულს არ ეკარებოდა. იმ დროს სიკვდილზე ფიქრს კიდევ იმიტომ გაურბოდა, რომ იმ საზოგადოებაში, სადაც ტრიალებდა, სიკვდილზე ფიქრი და ლაპარაკი სისუსტედ, სილაჩრედ, უიდეურობად ითვლებოდა. ამიტომ ის სიმძიმე, სიკვდილზე ფიქრს რომ ახლავს თან, ერთბაშად დაატყდა თავს. ამ სიმძიმისათვის რომ გაეძლო, ვიღაცას ან რაღაცას უნდა ჩასჭიდებოდა, მაგრამ ის ვიღაც, ვის წინაშეც მუხლს იყრიან, პირადად მას შერისხული ჰყავდა. არადა, უმისოდ არა მარტო ცხოვრება კარგავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრს, არამედ მთელი ის ტანჯვა-წამება, კაცობრიობამ რომ გამოიარა. ამიტომაც უმძიმდებოდა ნაბიჯი, ამიტომაც ეუცხოებოდა ბავშვობიდანვე ნაცნობი ქუჩის რიტმი, ამიტომაც ეპარებოდა ახალშობილივით შიშველი აზრი, რომ მასაც დაუდგა მარტოობის, დაკნინებისა და კვდომის ხანა. მოულოდნელი, რა თქმა უნდა, ამაში არაფერი იყო, მარტოობა ადრეც არაერთხელ უგრძვნია , მაგრამ ის სხვაგვარი მარტოობა იყო, არსებობის უგუნურობითა და მოწყენილობით გამოწვეული მარტოობა, ახლანდელ მარტოობას კი მისი სულის სანახების გაგერანება, მეხსიერების გაბუნდოვანება, აჩრდილებად ქცეული ადამიანების გაუსახურება იწვევდა. როცა კაცს წარსულის მეტი არაფერი უჭირავს ხელში, გარიყავს და მარტოობას ვერსად გაექცევა, მაგრამ ამას წინათ სადღაც ამოიკითხა, უკან მიტოვებული წლებიც სიმდიდრეაო და სხვა თუ არაფერი, ეს სიმდიდრე მაინც ეპყრა ჯერჯერობით ხელთ.

მისი ცხოვრებისეული გზის კიდევ ერთი უპირატესობა ის იყო, რომ სიბერე ერთბაშად, მოულოდნელად კი არ დაატყდა თავს, არამედ დიდხანს, ნელ-ნელა ეპარებოდა და უწყინრად, უმტკივნეულოდ დაბერდა. მოხდა ისე, რომ მის ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესები თვით მას გამორჩა მხედველობიდან, სიბერემ მორიდებით მოუკაკუნა კარზე, რისთვისაც მადლობის მეტი რა უნდა ეთქვა გამჩენისათვის, მაგრამ ბოლოს მაინც დგება დღე, როცა ვერც სხვას დაუმალავ და ვერც საკუთარ თავს, რომ ყველი გაგიჯდა, შენი დრო მოჭამე, დაბერდი. და ეს ხდება არა შეუმჩნევლად, არამედ ყველას თვალწინ, თანამშრომლებისა და მემკვიდრეების გულის გასახარად. ამის შემდეგ სანუგეშოდ ის გრჩება, რომ ადამიანურად, წესიერად დაბერდი და სხვებივით არ აყოლებულხარ, არ აგიტეხია ერთი აურზაური.

ხოლო წესიერად რომ იცოდელა ამ ქვეყანაზე და წესიერად რომ დაბერდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. წესიერად დაბერდა თუ არა, აბა რა ჯანდაბაა, როცა შენს სიცოცხლეში არავინ მოგიკლავს, არავინ გაგიცია, არაფერი მოგიპარავს, არ გაყომარბაზებულხარ, უგონოდ არ გალეშილხარ, არც სხვისი და არც საკუთარი ქონება არ გაგიფლანგავს, ცოლისა და შვილებისათვის თითი არ დაგიკარებია, ურცხვი, უტიფარი და გამომძალველი არასოდეს ყოფილხარ, ოჯახი უპატრონოდ და ულუმპაპუროდ არ დაგიგდია? მეტი რა უნდა ქნას ერთმა კაცმა? თუ ესეც დასაფასებელი არაა, მაშინ არ ყოფილა საშველი და ისაა.

ამავე დროს რამდენი მისი ნაცნობი და ამხანაგი მოტეხა ცხოვრებამ, რამდენი ჩაიყვანა უდროოდ საფლავში. ზოგს ალღომ უღალატა, ზოგს ზომიერების გრძნობამ. სვამდნენ და ჭამდნენ იმდენს, რამდენსაც ვერ ინელებდნენ, ქალს მანამდე არ ეშვებოდნენ, სანამ არ მოყირჭდებოდათ ან რაიმე სკანდალურ ისტორიაში არ გაებმებოდნენ. რამდენი შეცდენილი ქალიშვილი მოუწყვია ინსტიტუტში უფროსებისა და კოლეგების თხოვნით, რამდენ მანკიერებაზე და უმსგავსოებაზე დაუხუჭავს თვალი. თვალის დახუჭვა იმიტომ ეხერხებოდა, რომ მამა აბრამის ბატკანი არც თვითონ იყო, არც თვითონ იკლებდა იმას, რაც რანგით ერგებოდა, მაგრამ ხარი და მდაბიო არასოდეს ყოფილა, არც ქონება აკვირვებდა და არც თანამდებობა. ამიტომ შინაც და გარეთაც წესიერი კაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და თუ გაორებულ ცხოვრებას ეწეოდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ვიგინდარა და სალახანა იყო.

ის სინამდვილე, მისი მეხსიერების ფსკერზე რომ იყო დალექილი და ის გარემო, ირგვლივ რომ ერტყა, ერთმანეთს

ვერ აკსებდნენ და შინაგან დაძაბულობას იწვევდნენ, რის შედეგადაც დრო ისლიჩებოდა, ღია სივრცე ალმაცალ-დაღმავალ ქუჩებად იტოტებოდა და არაფერს შეიცავდა ისეთს, მისი დღევანდელი განწყობილება რომ დაეშოშმინებინა. დაშოშმინება კი აუცილებელი იყო, რადგან სისხლი ედგა ძარღვებში, რომელსაც არაბუნებრივად, არანორმალურად ფუნქციონირება არ შეეძლო. ამიტომაც პატარავდებოდა საკუთარ თვალში და ის ლაქები, მის გარდა რომ ვერავინ ხედავდა, სინდისის ქენჯნის ნიშნებად მიაჩნდა. სინდისის ქენჯნა კი მისი საქმე არ იყო, ვერ ითავისებდა, ვერ ჰგუობდა და ჩვეულებისათვის რომ არ ეღალატა, გამზირზე რომ არ გამოხეტიალებულიყო, მოჯარულ ფიქრებს უკან დაახევინებდა, მომწიფების, მოღონიერების საშუალას არ მისცემდა, რადგან ამგვარმა ფიქრმა ზრდა, გამრავლება, შებოჭვა და კაცის გასრესა იცის, მაგრამ დღეს ვერც უკან ახევინებდა და ვერც ფრთებს აკვეცდა. ასეთ ხასიათზე მაშინ დგებოდა, როცა ვიღაც ან რაღაც კალაპოტიდან ამოაგდებდა, ისეთი მხრიდან მოუვლიდა ან ისეთ რამეს შეახსენებდა, რაც შეულლით, ბოლმით, პირადი ამბიციებით უფრო იყო ნაკარნახევი, ვიდრე ცხოვრებისეული აუცილებლობით. დრო ისევ ილვარჭნებოდა,წუთისოფელი ისევ მუთხლობდა და ზემო სართულებიდან პანტა-ჰუნტით ცვიოდნენ ნაჯალათარნი, ნაყაჩაღარნი, ნაკაცარნი, კატასავით ოთხ ფეზზე დგებოდნენ და არა მარტო რწმენასა და რჯულს იცვლიდნენ, არამედ თავს იწიხლაკდნენ და მომნანიებლობასაც კი იჩემებდნენ.

გასულ წელს ერთი ძველი ნაცნობი ეწვია, ორგანოვბის არაერთხელ დაჯილდოებული, დამსახურებული მუშაკი, რომლისაც ერთ დროს, სხვებთან ერთად, მასაც ეშინოდა. ამ კაცის სტუმრობამ არა მარტო გააკვირვა, შეაცბუნა კიდეც. ვერაფრით გაეგო, რა საქმე შეიძლება ჰქონოდა მასთან, რით დაინტერესა და მოიზიდა? მიუხედავად ამისა, მაინც შეიპატიჟა. სტუმარმა სახლში შეშუპებული, მორღვეული, სნეულების, ტანჯვისა და უაზროებისაგან გაშავებითლებული სახე შემოიტანა. აღარსად ჩანდა მისი სიუხეშე, სიგოროზე, აზროვნებას მიუჩვეველი კაცის თავდაჯერილობა. მის წინ იდგა კაცი, რომელიც სწორედ ფიქრმა და სინდისმა გააწამა. ის, რაც მას ბოლო დროს თავს გადახდა, ჟურნალისტულად იცოდა. სანამ მსახურობდა, პატივისცემა და დაფასება არ აკლდა, მაგრამ ცხოვრება გამრუდდა, იმ ცოდვებისათვის, ადრე რომ ჰქონდა ჩადენილი, მისი სამსახურში გაჩერება აღარ შეიძლებოდა და მისივე თხოვნით დაითხოვეს სამსახურიდან. ამასობაში ცოლიც მოუკვდა, დარჩა მარტო, სხვების ხელის შემყურე. მიუხედავად ამისა, დიდკაცობა და მბრძანებლობა მაინც ვერ მოიშალა. ამის ატანა მისი ოჯახის წევრებმა აღარ ისურვეს. ერთხანს უთმინეს, შემდეგ აუხირდნენ, საკუთარი ბინიდან გამოაგდეს, მოშორებით ერთი ოთახი უყიდეს და რაც მისი იყო, იმ ოთახში შეუყარეს. თანამდებობის დაკარგვამ და მარტოობამ ფიქრებისა და სალერღელის აშლა იცის. შეუჩნდა ეშმაკი, აჯიჯგნინა საკუთარი თავი და ისე მოაქცია, რომ მასში იმ კაცის ლანდიც კი არ დარჩა, რაც იყო.

ამ კაცის სტუმრობას არაფრით არ მოელოდა, ცნობითაც კი ძლივს იცნო. სასიკეთო საქმეზე რომ არ იყო მოსული, ამას დიდი მიზეზდრა არ უნდოდა და ამიტომ ოჯახში კი არ მიიღო, არამედ კაბინეტში შეიყვანა და მეუღლეს იქ მოატანინა ყველაფერი, რაც კი გასამასპინძლებლად დასჭირდებოდა. სახლში ყოველთვის ჰქონდა საუცხოო კახური ღვინოები და, ცხადია, ორიოდე ჭიქის გადაკვრა ამ შინაგანადაც და გარეგნულადაც მოჭმუჭნილი კაცისათვის მისწრება იქნებოდა.

როცა წაიხემსეს და ერთმანეთის შეთვალიერება-შემოთვალიერებით გული იჯერეს, სტუმარმა ჯიქურად ჰკითხა:

— იცი, რატომ გესტუმრე? მინდოდა მენახა, აგვხილა თვალი თუ ისევე დაბრმავებული ხარ?

დაუპატიჟებელი სტუმრისაგან არც მოურიდებულ კითხვას მოელოდა და არც პათეთიკურ გამკითხაობას. იყო ამ გამკითხაობაში რაღაც მოუფიქრებელი, აუწონ-დაუწონავი, უფრო ბრალმდებლური, ვიდრე მომნანიებლური. ჯერჯერობით მას მარცხი, დაცირება უფრო ალაპარაკებდა, ვიდრე მოსალოდნელი კატასტროფა. თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდი იყო. შეიძლება სიბერემ, სიკვდილის მოახლოებამ უფრო შეაშინა, ვიდრე ერთ დროს უფროსების რისხვა აშინებდა. შეიძლება ამ შიშმა დააკარგვინა რწმენაც და ხსნის იმედიც, მაგრამ მის თვალში, იგი არ იყო ის კაცი, ყველაფერი რომ ბოლომდე. გადაეფასებინა და ჯოჯოხეთის ცეცხლიდან განწმენდილი გამოსულიყო. ყოფილ ფუნქციონერს ისიც კი ამბოხებად მიაჩნდა, სინამდვილეს რომ თვალი გაუსწორა, წარსულს რომ უდიერად იხსენიებდა. ეტყობა, მეამბოხეობით თავი მოჰქონდა, დიდ ვაჟკაცობად მიაჩნდა და ისეთ ადამიანებს ეძებდა, ვისაც ან თანამოაზრედ გაიხდიდა, ანდა ნამუსზე შეაგდებდა, კედელთან მიაყენებდა. ეს უფრო სპეკულაციას ჰგავდა, ვიდრე ჭეშმარიტების გზაზე დადგომას. ამიტომ სტუმარს ისევე უდიერად უპასუხა, როგორც მან განიკითხა.

— განსხვავება ჩვენს შორის ისაა, რომ თვალი მე ყოველთვის აბელილი მქონდა და ბრმად კი არ ვთვალთმაქცობდი, არამედ შეგნებულად.

— ისე ამბობ, შეგნებულადო, თითქოს შეგნებულ მეძაველობას, შეუგნებელთან შედარებით, რაიმე უპირატესობა ჰქონდეს.

— უპირატესობა ისა აქვს, რომ ფუქსეს მითებსა და კერპებს ემსახურებოდით, მე კი საკუთარ ინტერესებს.

— მით უარესი შენთვის. ეტყობა, მართალია, რომ ამბობენ, შენდობას ის კაცი იმსახურებს, ვინც უმეცრების გამო სცოდავს, ვიდრე ის, შეგნებულად რომ სჩადის სისაძაგლესო.

— ეგ ძველი ზღაპარია და მხოლოდ მაშინ აგონდებათ, როცა სანუგეშო სხვა არაფერი რჩებათ. თქვენმა შეუგნებლობამ იმდენი სისხლი დაგაღვრევინათ, რომ აღარ იცით, ხელები სად წაიღოთ. მე კი ხელები სუფთა მაქვს და იმისათვის, რასაც მივაღწიე, არც არავინ გამითელია და არც არავისთვის გადამბიჯებია.

— მალე, ალბათ, იმასაც მეტყვი, არავინ გამიციაო?

— შენ წარმოიდგინე , მართლა არავინ გამიცია. და არა იმიტომ, რომ სხვებზე უკეთესი ვიყავი ან უდანაშაულო კაცის გაცემას თავის განწირვა მერჩია. ამხელა კეთილშობილება რომ მქონოდა, დღეს ამ სავარძელში არ ვიჯდებოდი. გამცემლობა იმიტომ არ ვიკისრე, რომ ვიცოდი, როგორ გამათანხირებდნენ, რა ჯოჯოხეთშიც ამოვყოფდი თავს და ყველაფერი ვიღონე იმისათვის, რომ ამ ჯოჯოხეთისათვის თავი დამეღწია.

—სხვისთვის რომ ამგვარი რამ გეთქვა, შეიძლება დაეჯერებინა, მაგრამ მე, ძველმა ჩეკისტმა როგორ დაგიჯერო, რომ მოგვატყუე, ხელიდან დაგვისხლტი?

— თქვენი მოტყუება არც ისე ძნელი იყო, როგორც თქვენ გგონიათ. იმაზე უკეთესები, რაც ახლა ხართ, არც მაშინ იყავით. მიზნის მისაღწევად ყოველთვის უმარტივეს, უპრიმიტიულს მეთოდებს იყენებდით და არასოდეს არ ცდილობდით ტვინი გაგენძრიათ, ისეთი ბადე მოგექსოვათ, ვერავინ დაგსხლტომოდათ ხელიდან. ახლა შენ ჩემს დოსიეს არავინ გაჩვენებს, მაგრამ კარგი იყო, ეჩვენები-

ნათ. მაშინ არ შემოძვრებოდი აქ მონანიე მელიასავით და ბრალდებებს არ წამომიყენებდი.

— ძალიან თუ გინდა, დაგიჯერებ, მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. ახლა მთავარი ისაა, მართლა წაწყმედილნი, უკეთურნი და ცოდვილნი ვართ, თუ ჩვენი უგუნური მძვინვარების გამართლება რითიმე კიდევ შეიძლება?

— საკითხის ასე დაყენება იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ილუზიების ტყეეობაში ხარ, — უპასუხა მან და ისეთი გრძნობა შეექმნა, თითქოს სტუმარმა მის კაბინეტში სიცივე შემოიტანა და აჩრდილები შემოიტყუა, რამაც კიდევ უფრო გაალიზიანა, რადგან მისი ბინის კუთხე-კუნჭულები აჩრდილების საბუდარი არასოდეს ყოფილა. უსიამო გრძნობას ისიც იწვევდა, ამ სულწაწყმედილმა კაცმა საკუთარი თავის ხელახლა ძებნა მაშინ რომ დაიწყო, როცა ძებნას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. ადრე ასეთებს საგიჟეთში ამწყვდევდნენ, ახლა კი, თუ დასაბმელი არ იყო, საკუთარი თავის ჯიჯგნის უფლებას აძლევდნენ.

— როგორ ფიქრობ, ეგავარ მე იმ კაცს, ვინც თავზე ნაცარს იყრის და ცოდვების შიშით აღარ იცის, რომელ წყალს მისცეს თავი? — ჰკითხა მან სტუმარს, რომელსაც თითები ისე დაკრუნჩხვოდა, რომ ჭიქის აღება უჭირდა.

— ტყუილა მოგაქვს ამით თავი. ახლა შეიძლება არ ჰგავხარ, მაგრამ ერთი დრო არავის შერჩენია და არც შენ შეგრჩება. ადრე თუ გვიან, ის ჭუჭყი, შიგნით რომგაქვს დაგროვილი, საიმედო ჯიბირს გაარღვევს, აიმღვრევა, აბობოქრდება და ისე გაგაშიშვლებს, რომ თავი არსად გექნება გამოსაყოფი. აი, მაშინ ენახავ, როგორ იყოყლოჩინებ და იკოპწაავებ!..

— ცხოვრების დასრულება რომ უფრო ძნელია, ვიდრე მისი დასასრულამდე მიტანა, ეს ბანალური ჭეშმარიტებაა, მაგრამ ერთი რამ მაინც მაკვირვებს: მინდ რატომ უნდა მოვიშხამო და მოვიწამლო ისევე, როგორც შენ მოიშხამე და მოიწამლე? ამ ქვეყნად ჩვენ არც ერთად გვევლია და არც იდეური თანამებრძოლები ვყოფილვართ.

— როცა საქმე წარსულს ეხება, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ესა თუ ის ეპოქა კი არ სჩადის ცოდვებს, არამედ ამ ეპოქის შვილები. ამიტომ ჩვენ ერთი დაღით ვართ დადაღულნი, ერთად ვჭამდით სისხლიან პურს. იმათ შორის, ვინც სამართლებრივ ან ზნეობრივ დანაშაულს სჩადიოდა, მარტო მე არ ყოფილვარ. მე თუ ჯალათი და ვიგინდარა ვიყავი, ჯალათი და ვიგინდარა იყავი შენც. ამიტომ ჯალათებმა და ვიგინდარებმა ერთად უნდა აგონ პასუხი იმაზე, რაც მოიმოქმედეს და არა ცალ-ცალკე.

— მე მეგონა, რაღაც გადააფასე, განიწმინდე, განკაცდი, მაგრამ, ეტყობა, ვიგინდარობა და გაიძვერობა მოუცილებელი ჭირია. რა თქმა უნდა, ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას კოლექტიური გარჩევნიათ. ერთობლივი დანაშაული დანაშაულად არც კი ითვლება, რადგან უპიროვნო, უსახელდებულია. რაც უფრო მეტია დამნაშავე, მით უფრო ნაკლებია ყოველი მათგანის წვლილი. გაანგარიშება სწორია და ამგვარ გაანგარიშებას მხოლოდ ჩვენში თუ მიიგონებედნენ.

— წარსულის შეფასების დროს ანგარიშსწორება კი არ არის მთავარი, არამედ მართლწესრიგისა და სამართლიანობის აღდგენა. თუ სამართლიანობა არ აღსდგა, ჩვენზე ცოდვილნიც კი ჩვენზე მართლები აღმოჩნდებიან და თითოეული ჩვენგანის ცოდვები ერთი ათად დამძიმდება. ახლა კი რა ხდება, ყველა დასჯილი, დამსჯელი ჰირსიხლიანი ჯალათიც კი, მართალია, ყველა დაუსჯელი დამსჯელი კი — დამნაშავე.

— ამაში გასაკვირი არაფერია. ასე

ხდებოდა ყოველთვის და ასე ხდება ახლაც. თქვე მამაცხონებულებო, ისიც გინდათ, რომ საკუთარი სიკვდილით მოკვდეთ, უსახელო, საერთო ორმოში კი არ დაიმარხოთ, არამედ წინასწარ შერჩეულ, მხოლოდ თქვენთვის გათხრილ სამარეში და ამხელა სიკეთის საფასურად არაფერი გინდათ გაიღოთ. თუმცა თქვენ ისეთი ხალხი ხართ, ყველაფერი რომ ეცოტავება, შავი მიწაც კი. თქვენ რომ სამართლიანობას მოითხოვთ, რაღა თქვან იმათ, ვისაც თქვენი წყალობით საფლავიც კი არ ეღირსა.

— ვთქვათ და იმაში, რომ საფლავი არ ეღირსათ, მე მიმიძღვის ბრალი, მაგრამ შენ და შენისთანები ჩემს მიერ გამოტანილ განაჩენს მხურვალე ტაშს უკრავდით. ტაში რომ არ დაგკრა, ახლა ამ კაბინეტში არ იქნებოდი გამოჭიმული მონურ-ბატონკაცური გამომეტყველებით. ბინებსა და თანამდებობებს ტყუილად, ლამაზი თვალებისათვის არ იძლეოდნენ. შენ აქ კაცის გაყიდვაზე ჩამოაგდე სიტყვა და ბრიყვული სიამაყით განაცხადე, არავინ გამიყიდიაო. რა განსხვავებაა გაყიდვასა და სულის გაყიდვას შორის. ჩვენ უსულო ხალხი ვართ და სხეულს იმიტომ ვუფრთხილდებით, რომ სხვა არაფერი გაგვაჩნია.

სანამ სტუმარი მჭევრმეტყველებდა, მან ცოტაოდენი ღვინო მოსვა და როცა თვალმა ნაცნობი სივრცე ისევ შეკრა, პირდაპირ ჰკითხა:

— ვერ გამიგია, რა გინდა ჩემგან? ამოგიდგე გვერდით და ვურახუნოთ ერთად თავი კედელს?

— აქამდე შენ ჯერ არ მისულხარ. რომ მიხვიდე კიდეც, კედელზე თავის სარახუნებლად ვაჟკაცობა არ გეყოფა.

— სისულელეებისათვის მე მართლაც არ მყოფნის ვაჟკაცობა.

— სისულელეებს შენ იმას ეძახი, რაც არ გსიამოვნებს, რაც შენს თავს იმ სახით დაგანახვებს, როგორიც ხარ. ზიხარ აქ ობობასავით და გაიძახი, ხელები სუფთა მაქვს, სისხლი არ მცხიაო. ყველაფერი ის, რასაც შენ დაუმსახურებლად დაეპატრონე, სისხლის ფასადაა შექმნილი, იმათი სისხლის ფასად, ვინც საკუთარ საფლავს ვერ ეღირსა. სისხლითაა მორწყული ის გზა, შენ რომ საერთაშორისო ვაგონით გაიარე და იმავე ვაგონით დაბრუნდი უკან. სისხლი ჟონავს ჭერიდან, კედლებიდან, იატაკიდან. თვალი წითელი ფერის მეტს ვერაფერს აღიქვამს, შენ კი მოკალათებულხარ აქ ჩასუქებული მატლივით და ცინიკურად იკრიჭები.

ეს უკვე უზრდელობა, თავხედობა იყო. მხოლოდ ახლა ინანა, ამ შუღლით გატენილ კაცს კარი რომ გაუღო და შინ შემოუშვა.

— შენ თუ აქ იმისთვის მოხვედი, რომ შენი სისხლიანი ხელები მე შემაწმინდო, ახლავე ადექი და გადი აქედან, — უთხრა მან სტუმარს ისე, როგორც ეკადრებოდა და ფეხზე წამოდგა.

ფეხზე სტუმარიც წამოდგა.

— მე კი წავალ, მაგრამ მალე აქ ჩემზე მკაცრი მსაჯული დგიჯდება და მისგან ასე ადვილად ვერ დაიხსნი თავს.

როცა სტუმარი ოთახიდან გავიდა, ერთი ჭიქა ღვინო კიდევ გადაჰკრა. წყენამ მაშინვე გაუარა, კმაყოფილებას კი ის გვრიდა, რომ იყო დრო, როცა ამ ვითომდა მონანიე კაცს არათუ სახლიდან ვერ გააგდებდა, მის წინაშე თითის წვერებზეც კი ივლიდა, მაგრამ ახლა, როცა დაჩიავებულსა და განიარაღებულს ხედავდა, როცა საღმა აზრმა ცოტათი მაინც იძალა და რაღაც-რაღაცები თავის ადგილას დააყენა, სტუმრის დამცირება და გაბაიბურება ერთგვარ სიამოვნებასაც კი ანიჭებდა. ეს იმდენად ბუნებრივი იყო, რომ მასში ერთი ბეწო სინანულის გრძნობაც კი არ გამოუწვევია.

III

ქუჩა ხალხით იყო სავსე, მაგრამ ბერიკაცი მაინც ისე მიაბიჯებდა, თითქოს ირგვლივ არავინ ჭაჭანებდა, არავინ არაფერს იგონებდა, არაფერს ფიქრობდა. მხოლოდ ნიავი უბერავდა მსუბუქად და ხეებს უხმაუროდ ძარცავდა. ბერიკაცს უნდოდა რაღაც ისეთში დარწმუნებულიყო, რაზე ფიქრსაც აქამდე გაურბოდა, ისე დაელაგებინა მოვლენები, რომ მისი სულიერი სალარო მეტისმეტად არ გაძარცვულიყო, მაგრამ საკუთარ თავთან დაახლოება უჭირდა, დილიდანვე დალაგებული გეგმები ამ გაუთვალისწინებელ გამოსეირნებაში, ამ გაუმართლებელ ახირებაში იძირებოდა და მის სმენამდე მხოლოდ ღრმა უფსკრულში ჩაცვენილი კენჭების გამოძახილი აღწევდა. ამ გამოძახილში იყო რაღაც არაამქვეყნიური, ბნელეთისეული, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის აღიზიანებდა, რომ საკუთარ თავს ვერ სცნობდა, ვერ იმორჩილებდა, ფეხს ვერ უწყობდა. მას შემდეგ, რაც ინსტიტუტიდან გამოვიდა, ეშმაკი შეუჯდა და მოსვენებას აღარ აძლევდა. იმ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რამაც აქამდე მშვიდობიანად მოიყვანა, მასსავე აუფასურებინებდა, აღარიბებდა, ათვალწუნებინებდა. არადა, ვერც ეშმაკს უხერხებდა რამეს და ვერც საკუთარ თავს. ვერ გაეგო, რამ გააგულჩვილა, რამ მომჩვარა და მოშხამა ისე, რომ დამსახურებულად განვლილ გზას და საკუთარ ღირსებებს თვითონვე უთხრიდა ძირს. ასეთი რამ ნასვამსაც კი არ მოსვლია არასოდეს.

ბერიკაცმა სცადა მოგონებები როგორმე დაელაგებინა, დაეხარისხებინა, სისტემაში მოეყვანა, მაგრამ არაფერი გამოუდიოდა და ყველაფერს იმას აბრალებდა, რომ შეგუების უნარი დაუჩლუნგდა, მეხსიერებაში რაღაც ისე გადაიკვანძა, რომ აღარც თავი უჩანდა და აღარც ბოლო. ასე რომ არ ყოფილიყო, რა უნდოდა ახლა ქუჩაში? ამ დროს შინ უნდა მჯდარიყო და ან გაზეთი ეკითხა, ანდა ტელევიზორისათვის ეყურებინა. საკარძელი დაეშოშმინებდა, დაეწყნარებდა, უფლებას არ მისცემდა იმ ჩვეულებებისათვის ეღალატა, აქამდე რომ საიმედოდ იცავდნენ, დასაგმობს აგმობინებდნენ და მოსაწონს აწონინებდნენ. მაგრამ დღეს ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა, საკუთარი თავი თვითონვე აცდუნა და ამ ცდუნებას ის მოჰყვა, რომ მოვლენები სხვადასხვაგვარად გადალაგდა, დამცავი ჯებირები მოირღვა და იმას, რაც მიღმა დარჩა სიმტკიცე და საიმედოობა დააკლდა.

ყველაზე უფრო დამაფიქრებელი ის იყო, რომ პრივილეგიებში, რომლებითაც სარგებლობდა, თავისუფალი მოქმედება არ შედიოდა. უადგილო რეაქცია ან იმის დაცვა, რაც დაცვას არ იმსახურებდა, მარტო შეცდომად კი არ ითვლებოდა, არამედ დანაშაულადაც. შეცდომისათვის, სულ ერთია ორგანიზაციული იქნებოდა იგი თუ ადმინისტრაციული, პასუხს არავინ სთხოვდა, არავინ ურისხდებოდა. ყველა თანამდებობაზე, სადაც კი უმუშავია, შეცდომა ერთი კი არა, ასიც დაუშვია, განსაკუთრებით მაშინ, როცა გალაწყვეტილების მიღება იყო საჭირო, მაგრამ თავი მაინც ისე ეჭირა, თითქოს ასეთი რამ მას არაფრით არ შეიძლებოდი მოსვლოდა. მარცხის ან შეცდომის აღიარება იმას ნიშნავდა, რომ დიფერენცირებულ საზოგადოებას დაპირისპირებოდა და საკუთარი თავისათვის თვითონ მოგვწყო სასამართლო, რაც არა მარტო შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ ყველ კუთხე-კუნჭულში ჩასაფრებულ მოთვალთვალეებს, არამედ მაშინვე თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებდნენ.

კაცის უბედურება მაშინ იწყება, როცა სახლს მოშორდება და გარე-გარე დაიწყებს წანწალს, — გაიფიქრა ბერიკაცმა და იმ სინამდვილის აღდგენა მოინდომა, რომელიც არ ირღვეოდა, ბურუსსა და

ქაოსში არ იძირებოდა. სწორედ ასეთი სინამდვილე ეცლებოდა ახლა ხელიდან და ეს არა მარტო ანაღვლიანებდა, არამედ იმაზე უმწეოსაც კი ხდიდა, ვიდრე იყო. უეცრად ბერიკაცი შეჩერდა, უცნაურად წამოჭარხალდა და ისე მიაჩერდა მოპირდაპირე მხრიდან მომავალ მამაკაცს, თითქოს ეშმაკი შემოეფეთა და არა ჩვეულებრივი მოკვდავი. რომ იცნო და ოდესღაც კარგად იცნობდა, ამაზე მისი შეცბუნება მეტყველებდა, მაგრამ წინ გადაგომა და მისალმება მაინც არ უფიქრია, ამდენი ხნის უნახავი კაცის მოკითხვა ფამილარობად, პირმოთნეობად მიაჩნდა. ანდა რატომ უნდა მოეკითხა, როცა მისი ცხოვრება, მისი ასავალ-დასავალი არ აინტერესებდა. მიუხედავად ამისა, აღელვება მაინც დაეტყო, მაინც არ ესიამოვნა იმ კაცის დანახვა, ვინც საბოლოოდ დავიწყებული და მეხსიერებიდან ამორეცხილი ჰყავდა. მისთვის იგი კარგა ხანია მკვდარი იყო, ახლა კი ისე გამოეცხადა ქუჩაში, თითქოს ბაზალტით მოპირკეთებული კედლიდან გამოვიდა.

ის კაცი კი, ვისი დანახვაც ბერიკაცს არ ესიამოვნა, მასზე უფრო ხნიერი და მოტეხილი ჩანდა, მარჯვენა ხელში ჯოხი ეჭირა, ცალი ფეხით შესამჩნევად კოჭლობდა, სახე ფერმკრთალი, ნაოჭებით დაღარული ჰქონდა, წვერი მოშვებული, ხელები დალაქიანებული. ერთი სიტყვით, მასზე უფრო ბებერი, მოუვლელი და ჩაუცმელ-დაუხურავი ჩანდა, მაგრამ თვალები ჰქონდა ისეთი ცოცხალი, გამომეტყველება კი ისეთი დამოუკიდებელი, თითქოს სიბერემ ფიზიკურად კი მოტეხა, მაგრამ მის სულში ვერ შეადწია. მოდიოდა თავისუფლად, სადღაც შორს, გამვლელ-გამომვლელთ ვერ ამჩნევდა და ეტყობა, კონკრეტული სახე მისთვის არც ქუჩას ჰქონდა და არც ტროტუარზე გაწოლილ ჩრდილებს. შეიძლება იმ წუთში საკუთარი თავიც კი არ ახსოვდა, რადგან ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს ისე ჩაუარა გვერდით, რომ ზედაც არ შეუხედავს, რამაც ბერიკაცი არა მარტო შეურაცხყო, არამედ უზომოდ გაანაწყენა.

ნამუსია ახლა ეს, სამართლიანია ახლა ეს, მეც ოთხმოცდასამი წელი უნდა მეცხოვრა ამ ქვეყანაზე და იმასაც, ვინც თავისი სიშლეგითა და დაუდეგარობით აქამდე ასჯერ მკვდარი უნდა იყოს? — ცხარობდა ბერიკაცი და ცდილობდა ნაბიჯი ისე გადაედგა, რომ ძველი შემართება არ დაეკარგა. ისინი ერთი ხნისანი იყვნენ, ერთ უბანში ცხოვრობდნენ, ერთად სწავლობდნენ გიმნაზიაში და ერთმანეთი ბავშვობდანვე არ უყვარდათ. რამდენჯერმე ჩხუბიც კი მოსვლიათ. ზოგჯერ მიზეზად სულ მცირე რამეც კი კმაროდა, უბრალო წაკინკლაკვება. ჩხუბში ყოველთვის ჯაბნიდა, მაგრამ მირიან ზარდაშელი არც მარცხს იმჩნევდა და არც გალახვას. მას სწორედ მისი ეს თვისება არ უყვარდა ყველაზე მეტად და ზოგჯერ აშინებდა კიდეც. არა იმიტომ, რომ მირიანი მას როდისმე მოერეოდა ან სულიერი სიმტკიცით დაჯაბნიდა, არა, ამგვარი რამ მოსალოდნელი არ იყო. მისი ნავარჯიშევი, დაკუნთული სხეული მირიანისთანა ბიჭს ორ-სამს გალახავდა. ეშინოდა სხვა რამისა, იმ მთლიანობისა, იმ შეუვალობისა, რასაც საკუთარ თავში ვერ გრძნობდა. შეიძლება სწორედ შეუვალობა იყო იმის მიზეზი, რომ მირიანს თავი უფრო დამოუკიდებლად, უფრო ღირსეულად ეჭირა, ვიდრე მას. უთანხმოებას მათ შორის ისიც იწვევდა, რომ მირიანი ტანვარჯიშსა და სპორტს არაფრად აგდებდა, შეჯიბრებასა და შეხლა-შემოხლაში მონაწილეობას არ იღებდა. მირიანს კიდევ ერთი თავისებურება ის იყო, რომ ყველაფერზე მეტად ხატვა უყვარდა და კარგადაც ხატავდა, ზოგჯერ გაკვეთილებზეც. მართალია, მასწავლებლები უშლიდნენ, მაგრამ თვითონ არ იშლიდა.

სახატავი ქაღალდი, ფანქრები და საღებავები გამოულეველი ჰქონდა, მამამისი დაუზარელად ამარაგებდა. მირიანის მამას პირადად არ იცნობდა, მაგრამ როგორც ამხანაგები ამბობდნენ, დიდად დაოსტატებული ქვაზე მკვეთელი იყო, თბილისში იტალიელებთან მუშაობდა და იმდენი შემოსავალი ჰქონდა, რომ ოჯახსაც ინახავდა და შვილის გიმნაზიაში აღზრდაც არ უჭირდა. სწავლითა და მუყაითობით არც მირიანი გამოირჩეოდა, ხშირად აცდენდა კიდეც გაკვეთილებს, მაგრამ საგნებისადმი რაღაცნაირი გონივრული, აზრიანი მიდგომა იცოდა და ამა თუ იმ საკითხის ერთმანეთთან დაკავშირება არ უჭირდა. არაფერი შურდა მისი ისე, როგორც ეს თვისება. მაგრამ ამ თვისებამ მირიანს თუ ავნო, თორემ ვერაფერი სიკეთე მოუტანა. ალბათ, იმიტომ, რომ ცხოვრებისეული მოვლენების სწორად შეფასებისა და რთულ სიტუაციებში გარკვევის უნარი აკლდა. როცა გიმნაზია დაბრუნს და ისინი ცხოვრებაში გზის არჩევის წინაშე აღმოჩნდნენ, მირიანმა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და საკუთარ მამას დაუდგა შეგირდად. ერთხანს კიდევ ხვდებოდნენ ერთმანეთს ქუჩაში, შემდეგ კი მათი გზები გაიყარა. მან თბილისში მუშებისა და გლეხებისათვის გახსნილი სასწავლებელი დაამთავრა, რაც უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების უფლებას აძლევდა, მირიანი, კი, როგორც თანაკლასელები ამბობდნენ, სადღაც გადაიკარგა. ზოგი ამტკიცებდა, პარიზში გაიქცა ხატვის სასწავლებლადო, ზოგი კი ამბობდა, რუსეთში გადავიდა, სახელოსნო გახსნა და ნეპის დროს გამდიდრებული მდაბიოების პორტრეტების ხატვით ირჩენს თავსო. ასე იყო თუ ისე, მირიანი თბილისიდან გაქრა. ღმერთმა იცის, სად დაბორიალებდა და როგორ ცხოვრობდა — მშიერ-მწყურვალი, ჩაუცმელ-დაუხურავი თუ მართლა მდაბიოთა პორტრეტების ჯღაბნით შოულობდა ლუკმაპურს. ასეთი კაცი ახლაც ცოცხალი იყო და ისე თავისუფლად , ისე თამამად დასეირნობდა გამზირზე, რომ მისნაირ დამსახურებულ და პატივსაცემ კაცსაც კი ვერ ამჩნევდა.

სიმართლე მან მოგვიანებით გაიგო და ის, რაც უამბეს, ყველა ჭორზე უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი ჩანდა. ისე უეცრად და უმიზეზოდ კაცი არ ქრება ქალაქიდან, როგორც მირიან ზარდაშელი გაქრა. არეული, სასტიკი დრო იყო, ადამიანები ერთმანეთზე ნადირობდნენ. სუფთად, ოდნავ წესიერად ჩაცმულ კაცსა თუ ქალს ქუჩაში ქვებს ესროდნენ, ჩანელებულ ქალაქში დაღამებიდან გათენებამდე ისმოდა ჩექმების ბრახუნი, ტყვეების წივილი, წვერგაბურძგნული სილუეტების ქლოშინი. ქვეყანა მთლიანობასა და ერთიანობას ვერ გუობდა, იბზარებოდა, ისეთი ფერი ედო, თითქოს ნაღველი შეასხურესო. ქუჩები თვალებდათხრილივით დაპკუნობდნენ თავიანთ ქვაფენილებზე და მზის ამოსვლის შემდეგაც ვერ თავისუფლდებოდნენ იმ კოშმარისაგან, ღამღამობით რომ ისხამდნენ ხორცს. ჰაერი მტვრითა და ხიფათით უფრო იყო დამუხტული, ვიდრე ჟანგბადით. პატივცემულნი თვალსა და ხელს შუა კარგავდნენ პატივისმცემლებს, თანამოაზრენი თანამოაზრეებს, მეინახენი მეინახეებს. იმათი სისხლი, ვისაც ამქვეყნად აღარ ედგომებოდა, წყალზე უფრო იაფი იყო. კერპთაყვანისმცემლები ისე ხმამაღლა ბღაოდნენ, რომ მათ ბღავილში ეკლესიების გუმბათები ილეწებოდა. ნგრევა მარტო ქვიშისა და ღორღის დახვავება კი არ იყო, არამედ სხვათა ნაამაგარის გაპარტახებაც, იმ კვალის გადარეცხვაც, ისედაც გახელებულ ტკინს კიდევ უფრო რომ ახელებდა. ამ გახელებას ვერც არაყი აცხრობდა და ვერც მეძავების მრუშობა და ბილწსიტყვაობა. სადღაც ცივ სარდაფებში, გაორთქლილ სამ-

ლოცველოებში შექმნილი მითები ადგილობრივი სამოსელით იმოსებოდნენ, მართლმაჯულებას უგულებელყოფდნენ და სიმართლედ მხოლოდ ის მიაჩნდათ, რაც ხელს აძლევდათ. სხვა სიმართლე არ არსებობდა, ხოლო ამ ერთის უზენაესობის დასაცავად ყოველგვარი ეჭვი ძირშივე იფხვრებოდა, ყველა არამკითხე ისჯებოდა, ყველა მეამბოხე და მებაირაღე იხვრიტებოდა. ურწმუნოთა სამხილებლად ირღვეოდა ზლუდეები, მიჯნები, კედლები. ჭერი აღარ ჭერობდა და კარი აღარ კარობდა. რაც მზე ჩადიოდა და საგნებს შორის სიცარიელე ისადგურებდა, რამდენიმე კარზე ერთდროულად იწყებოდა მუშტებისა და კონდახების ბრახუნი, დედის გინება, მუქარა, მთელი ქუჩისა და მთელი სახლის აფორიაქება. დედის გინებასა და მუქარას შიგნიდან ბავშვების ღნავილი, ქალების წყევლა-კრულვა და ძაღლების ყეფა ან წკავწკავი ეხმიანებოდა. მომხდურთ მოთმინება ღალატობდათ, თავში სისხლი აწვებოდათ, დამხვდურთ კი ხელ-ფეხი უცივდებოდათ, გონება უჩლუნგდებოდათ. ზოგი კარი აკანკალებული ხელით იღებოდა, ზოგი კი ილეწებოდა, ჩამტვრეული კბილივით ფარღალალდებოდა. და იმ დროს, როცა სახლებში ცოდვის კითხვა ტრიალებდა, სადღაც, შორს უკვე ისმოდა აცმული გასაღებების ჟღარუნი და მძიმე, რკინით შეჭედილი კარის ჭრიალი, რაც გამოძახილს მხოლოდ ბნელ ღამეში პოულობდა.

ის ამბავი, ერთ-ერთმა ამხანაგმა რომ გაანდო, სარწმუნო იმიტომ იყო, რომ ჯერ ერთი, ამხანაგმა ხმა დაიდაბლა და სათქმელი თითქმის ჩურჩულით აუწყა, მირიანი ძალმომრეობას, კაცის უმიზეზოდ დაჩაგვრას, გაჭირვებულის უყურადღებოდ მიტოვებას ვერ იტანდა და იმ განუკითხაობის ჟამს, უნდოდა თუ არა, უსამართლოდ დევნილს ან დამჩაგრობლების წინააღმდეგ ამბოხებულს, უთუოდ გაუმართავდა ხელს. ამაში ეჭვი არ ეპარებოდა და მისი ეს ვარაუდი, ამხანაგის ნაამბობმაც დაადასტურა. ისინი მერხზე ისხდნენ ბაღში. ამხანაგი დიდხანს ყოყმანობდა, ბოლოს კი ვერ მოითმინა და უთხრა:

— იცი, რატომ გადაიკარგა მირიანი?

— არა.

— ოღონდ, რასაც გეტყვი, ჩვენს შორის უნდა დარჩეს.

— თუ არ მენდობი, ნუ მეტყვი. რაც ორმა იცის, ღორმაც იცის.

მათი თანაკლასელი გულწრფელი, თავმოყვარე, სანდომიანი ჭაბუკი იყო. ჯერ კიდევ ცხოვრებისაგან გაუხედნავს დაუსაბუთებელი ეჭვებისა და საიდუმლოებების დიდხანს გულში შენახვა არ შეეძლო. ამის გამო ერთი-ორჯერ უსიამოვნებასაც კი გადაეყარა. უნდობლობა და უგულობა მისი საქმე არ იყო და ის რეჟიმი, მტკიცედ რომ იკიდებდა ცხოვრებაში ფეხს, ან გასრესდა, ანდა საბოლოოდ გაათახსირებდა. ამის არა ერთი და ორი მაგალითი მან უკვე იცოდა და ადამიანში ჩაბუდებული უკეთურობისა უფრო ეშინოდა, ვიდრე მისი ბუნებრივი თვისებებისა. აიტომ არ ესიამოვნა, როცა ამხანაგმა სიტყვა მირიანზე ჩამოუგდო, მაგრამ უკან დახევა აღარ იკადრა.

— მე იმიტომ გაგაფრთხილე, რომ თუ სადმე რამე წამოგცდა, შენი ცოდვა მე არ დამაწვეს კისერზე. მერწმუნე, სხვა აზრი გულში არ გამივლია, — უთხრა ამხანაგმა მობოდიშებით.

— შენ თუ გგონია, მე მიფრთხილდები იმისათვის, რაც დიდად არ მაინტერესებს, ეს არც ისე ხაზგასასმელი კეთილშობილებაა. გარდა ამისა, ჯერ კიდევ გასარკვევია, ჩვენ ორს შორის ვინაა გასაფრთხილებელი.

ბაღის ერთ კუთხეში რუსეთიდან გადმოხვეწილი, ძონძებში გახვეული მოზარდები, ანუ როგორც მაშინ ეძახდნენ „პა-

ცნები“ მოკალათებულიყვნენ და გაზეთის ქაღალდში გახვეული წეკოს ერთმანეთს უტოვებდნენ. ამ პაკნების ზეგავლენით თუ დუმილის გასაქარწყლებლად, მისმა ამხანაგმაც მოუკიდა პაპიროსს და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა:

— მაკლია მირიანი. მასთან მეგობრობა რაღაცნაირად მამშვიდებდა, მამხნევებდა. არც წუწუნი უყვარდა, არც იმის დაფასება, რასაც ფასი არა აქვს და არც იმის დაუნახაობა, რაც ფასეულია. არ ღირდა ის კაცი იმად, რომ მის გამო მირიანი თბილისიდან გადახვეწილიყო.

— ვინ კაცი?

— იყო ამ უბანში ერთი შებერტყილი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ომამდე მირიანის ეზოში ცხოვრობდა. სახელად დიმიტრი, დიტო ერქვა, მეტსახელად კი „მასონი“. შენ იცი, მეც იქვე, გვერდით ეზოში ვცხოვრობ და ამიტომ ყოველდღე ვხვდებოდი ქუჩაში. სიარულზე ეტყობოდა, რომ საკუთარი თავის ფასი იცოდა. უბანში დამრტყმელი, უშიშარი, ხელგაშლილი კაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ბუნებით სიბარიტი იყო, უყვარდა ჩაცმა-დახურვა, კარგი ცხოვრება და თითქმის ყოველდღე რესტორანში სადილობდა. როცა ფული შემოაკლდებოდა, ჯიბის გასასქელებლად არაფერს თაკილობდა — არც აფერისტობას, არც გამოძალვას და არც ვინმე არიფის გატყავებას კარტსა, ყიმარსა თუ ბილიარდში. ბილიარდს ისე თამაშობდა, შენისთანებს ფორას აძლევდა. ერთი სიტყვით, ისეთი კაცი იყო, თავს რომ არავის დაარაგრინებდა, მისეულს არავის არაფერს დაუთმობდა და ვინც წინ გადაუდგებოდა, კბილებით გამოღადრავდა ყელს. როცა ომი დაიწყო, სადღაც დაიკარგა, არ ვიცი ჯარში გაიწვიეს თუ თვითონ გაექცა გაწვევას, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ბაქოში აღმოჩნდა, სადაც ისეთ საქმეებში ჩაება, რომ დიდძალი ფული იშოვა. იმასაც ამბობდნენ, კავკასიის არმიის მოიჯარე გახდა და ასე უეცრად იმიტომ გამდიდრდაო. ასე იყო თუ ისე, ბაქოში სახლები შეიძინა, რომელიღაც საწარმო დააფინანსა, კერძო ბანკი გახსნა. ამასობაში მეფე დაამხეს, რუსეთში მეორე რევოლუცია მოხდა, ბაქო საფრონტო ქალაქად იქცა და ხელიდან ხელში გადადიოდა. რუსეთი მაშინ ბაქოს თავცოცხალი არავის დაუთმობდა. ამხელა ქვეყანაში ბაქო ნავთობის ერთადერთი საბადო იყო და ყოველი მხრიდან ბლოკირებულ რუსეთში ნავთი სისხლზე მეტად ფასობდა. ამიტომ მისი აღება ერთი დღითაც არ დაუყოვნებიათ. დაიწყო რბევა, ჩხრეკა, დაპატიმრება. დარბეულთა შორის ჩვენი „მასონიც“ აღმოჩნდა, მაგრამ იგი ის კაცი არ იყო, სისხლით მონაგარი რომ უსისხლოდ დაეთმო. ამიტომ ბევრი არ უფიქრია, რამდენიმე ეპოლეტებჩამოგლეჯილ ოფიცერს თავი მოუყარა, შეაიარაღა და ბოლშევიკებს ომი გამოუცხადა. მისმა და მისი თანამებრძოლების ტყვიამ არა ერთი და ორი გამოცდილი ჩეკისტი იმსხვერპლა. ამ თავზეხელაღებული ჯგუფის თარეშმა ადგილობრივი ხელისუფლება სერიოზულად შეაშფოთა. ჯგუფის სალიკვიდაციოდ ჯილდოების დაწესება და ჩეკას საუკეთესო ძალების მობილიზაცია დასჭირდათ. თუ ვინმეს სადმე წაასწრებდნენ, იქვე ულებდნენ ბოლოს. ბაქოში გაჩერება აღარ შეიძლებოდა და „მასონმაც“საქართველოს მოაშურა. მომდევნო წელს ბოლშევიკებმა თბილისიც აიღეს. თბილისის აღების შემდეგ გაუჭირდა, უფრო ფრთხილად იქცეოდა, უფრო მოხერხებულად იმალებოდა. ერთხელ შეიპყრეს კიდეც, მაგრამ არ იცოდნენ ვინ იყო და ადვილად დაუსხლტათ ხელიდან. ამასობაში თბილისში ბევრმა ბაქოელმა ჩეკისტმა მოიყარა თავი. ამიერკავკასიის ცენტრი ისევ აქეთკენ ინაცვლებდა და მის კვალს გაფაცცებით დაუწყეს ძებნა, არ უნდოდათ შეერჩინათ

ის სისხლი, მან რომ ასე მოურიდებლად დაღვარა. ბოლომ გაიგეს, რომ თბილისში იყო და არსად გაქცეულა. ამის შემდეგ რკალი მის ირგვლივ თანდათან იკვრებოდა, ისე დასდევდნენ, როგორც ცოფიან ნადირს, მაგრამ ალღო მასაც ნადირისა ჰქონდა.

— კარგი, გეყოფა, ამგვარი ამბები იმდენი მომისმენია, რომ გაგონება აღარ მინდა. შენ ის მითხარი, მირიანს რა ხელი ურევია ამ საქმეში, რა სისულელე ჩაიდინა ისეთი, რომ თბილისში აღარ დაედგომებოდა? — შეაწყვეტინა მან სიტყვა ამხანაგს და მხოლოდ ახლა დაინახა ცხადად, რომ ხვებს ნორჩი, სიმწვანით აბიბინებული ფოთლები გამოეღოო.

— ერთ დღეს ვიღაც უცნობმა მირიანი მამამისის სახელოსნოდან გამოიხმო, გვერდზე გაიყვანა და ჩურჩულით რაღაც უამბო. მცირე ხნის შემდეგ მირიანი სახელოსნოში შეუბრუნდა, ტანსაცმელი გამოიცვალა და იმ კაცს უკან გაჰყვა. უცნობმა ბოტანიკურ ბაღში მიიყვანა. მუსულმანთა სასაფლაოზე, აგურის ერთ-ერთი აკლდამის ძირში „მასონი“ იწვა მხარგასისხლიანებული და მიტკლის ფერი ედო. მირიანმა ჯიბიდან არყით სავსე ბოთლი ამოიღო, ცოტა დაჭრილს მოასმევინა, დანარჩენით კი ჭრილობა მობანა, შეუხვია და დაღამებამდე იქვე დატოვა. ნაშუაღამევს, იმავე უცნობის დახმარებით, დაჭრილი ერთი რუსი მხატვრის სახელოსნოში გადაიყვანა. ის რუსი მხატვარი რამდენიმე თვის წინათ თურქეთში გადავიდა და დაბრუნებამდე სახელოსნო მირიანს ჩაბარა. მეორე დღეს უცნობმა ბოხჩით იარაღი მოიტანა, გადაჭრილი შაშხანა, მაუზერი და ორი ხელყუმბარა. შემდეგ ის კაცი სახელოსნოში აღარ გამოჩენილა. მირიანი კი მანამდე უვლიდა დაჭრილს, სანამ ფეხზე არ დააყენა. და სწორედ იმ ღამეს, როცა ისინი ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ და „მასონს“ ქალაქი უნდა დაეტოვებინა, სახელოსნოს სანაპირო მხრიდან ალყა შემოარტყეს. მეთხუთ მხრიდან სახელოსნო მეზობელი სახლის ეზოს კედელს ებჯინებოდა. „შენ თავს უშველე, მე კი ამ ძაღლებს აქვე გამოვუყვან წირვას“, უთხრა „მასონმა“ მირიანს და საბრძოლველად მოემზადა. ის კედელი, სახელოსნოს რომ ებჯინებოდა, ერთ ადგილას გამორღვეული იყო. მირიანმა იმ ხვრელის წყალობით დაადწია თავი საფრთხეს და როცა სამშვიდობოზე გავიდა,ყუმბარის აფეთქების ხმა მოესმა. მას შემდეგ იგი ჩემს გარდა, თბილისში არავის უნახავს.

— სიკვდილს მირიანის ის ჯიბიდან გავარდნილი მეზობელიც გადაურჩა? — ჰკითხა მან ამხანაგს უფრო ირონიულად, ვიდრე თანაგრძნობით.

— გადაურჩა კი არა, საცერივით დაცხრილეს. უკეთესი დღე არც მირიანს დაადგებოდა, დროზე რომ არ გასცლოდა იქაურობას.

— მირიანს რომ ჭკუა და წინდახედულობა აკლდა, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ მაინც არ მეგონა ასეთ სისულელეს თუ ჩაიდენდა. აწი მთელი ცხოვრება შიშსა და მალვაში უნდა გაატაროს. ამგვარი საქციელი უგუნურობა უფროა, ვიდრე კეთილშობილება. ის კაცი მართლაც არ ღირდა იმად, რომ მისთვის ვინმეს თავი გაეწირა. დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა, სანამ ამქვეყნად ბოლშევიკები არსებობენ და, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს იარსებებენ, მირიანი ადამიანურ ცხოვრებას აღარ ეღირსება.

— შენ რაც გინდა ის იფიქრე და ის თქვი, მე კი მირიანი მაინც კაცურ კაცად მიმაჩნია და ძალიან მაკლია.

—ეს იმიტომ, რომ შენი არაფერი გაგაჩნია.

— რაებს მიქარავ, ყბაში გალაწუნება ხომ არ მოგენატრა?

— ჯერ ერთი, შენ ეგ ჩემთან არ გაგი-

ვა. ყბაში გალაწუნება მე რომ ვიცი, შენ არ დაგესიზმრება. მეორეც, თუ ასეთი მეგობარი იყავი, თუ იცოდი, რომ დაგაკლდებოდა, რატომ არ გააფრთხილე, რატომ არ შეაჩერე მანამდე, სანამ საბედისწერო ნაბიჯს გადადგამდა. როდის უნდა დააღწიოთ ამ ქართველებმა თავი ყოყლოჩინობასა და ინფანტილიზმს, როდის უნდა გახდეთ საქმის ხალხი და კაცები?

— ეს ამბავი მე მაშინ გავიგე, როცა ყველაფერი დამთავრებული იყო, მირიანს კი, რითაც შემეძლო, ხელი გავუმართე.

— აი რა, ჩემო ძმაო. ამიერიდან მე შენ არ გიცნობ და შენ მე არ მიცნობ, ჩემთვის არაფერი გიამბნია და შენგან არაფერი მომისმენია. ასე აჯობებს შენთვისაც და ჩემთვისაც. კარგად იყავი, თუ შეგიძლია, ჭკუას მოუხმე და ამ ამბავს სხვას ნურავის მოუყვები, თუ არადა, ჯანდაბამდისაც გზა გქონია. თქვენისთანა სულელების გადამკიდე, კაცი ისე წაააგებს თავს, რომ საკუთარი ჭკუის გამოყენებასაც კი ვერ მოასწრებ, — უსაყვედურა მან ამხანაგს და იქაურობას გაეცალა.

მაშინ იგი იმიტომ შემოსწყრა ამხანაგს, იმიტომ განერიდა გულუბრყვილობასა და ქარაფშუტობას, რომ ახალი დროის სუნთქვა, იმ ქარიშხლის ძალა იგრძნო, ჩრდილოეთიდან რომ უბერავდა. ახლა მთავარი იყო, ეკლესიის მიერ ჩამოყალიბებული ფორმულების გადაფორმულირება, იმის გაგება, რომ ახალი შურს ძიობდა ძველზე და არა მარტო საკუთარი ქვეყნის ფარგლებში, არამედ მთელ მსოფლიოში, ისეთ ქვეყანაშიც კი, სადაც ქარხნის ერთი მილიც არ ბოლავდა. ამ შურისძიებას ბოლო რომ არ ექნებოდა, გუმანით მიხვდა და მარცხს თავი აარიდა, გვერდზე გაცოცდა, გაირინდა. მაშინ სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო, არ იყო ისე აღჭურვილი, რომ ახპარეზზე თამამად გამოსულიყო. მისი ჭკუისა და ხასიათის კაცს ამის შესაძლებლობა მხოლოდ მოგვიანებით მიეცა და მან ისე მოიტანა თავი აქამდე, რომ დიდად არ გაუტანჯულა, არ გაწვალებულა.

IV

ბერიკაცი გრძნობდა, გამზირზე გამოსეირნება რომ ისევე უნაყოფო და უშედეგო იყო, როგორც სიბერით გამოწვეულ სიძაბუნესთან ბრძოლა. მისი ჩამცხრალი, ჩაფერფლილი ფანტაზია ვერაფერს აცოცხლებდა, ვერაფერს მოსავდა ბუნებრივი ფერებით. გამვლელ-გამომვლელნი არა მარტო უსახურნი და უბადრუკნი ეჩვენებოდა, არამედ გაგულგარებულნიც და გაუხამსებულნიც. დრო იყო, ტაქსი დაექირავებინა და შინ წასულიყო, დაევიწყებინა დღევანდელი დღეც და ფასადებდამახინჯებული, გაღარიბებული გამზირიც,მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ აღარც წინისაკენ მიუწევდა გული და ეს არა მარტო აკვირვებდა, არამედ იძულებულს ხდიდა, უფრო ღრმად ჩაფიქრებოდა დღევანდელ ახირებას, ისეთი რამისათვის გაესწორებინა თვალი, რაც ცხოვრებამ მოიძულა, უკუაგდო.

დილით რომ მარცხენა ფეხზე ადგა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, სხვაგვარად ძნელი ასახსნელი იყო ის, რომ გული არ მიუწევდა მყუდრო, კეთილმოწყობილი ბინისაკენ, რომელიც, მართალია, მთავრობამ მისცა, მაგრამ საკუთარი თანხით გადააკეთა, გააფართოვა, გაარემონტა და ისე მორთო, როგორც მისი რანგის კაცს ეკადრებოდა. გული არ მიუწევდა იმ ბინისაკენ, სადაც შვილები და შვილიშვილები დაზარდა, სადაც ამ ბოლო დროს უვლიდნენ, უფრთხილდებოდნენ და სისხლს არ უშრობდნენ, სადაც ყოველი ნივთი ამხნევებდა, ყოველი ძვრად ღირებული საჩუქარი მის მიერ განვლილ გზას ამართლებდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, მას რომ გული შინისკენ არ მიუწევდა, შინაურთაგან არავინ ენატრებოდა და როგორც კი იგრძ-

ნო, სადაცაა ოჯახის წევრებზე ფიქრიც აეკვიატებოდა, სამართლიანად თუ უსამართლოდ მათაც დაერეოდა, მაშინვე უკან დაიხია, შორეულ წარსულს წაეპოტინა და ამან ცოტათი დაამშვიდა.

მირიანთან შეხვედრა, მისი ასე თამამად ხეტიალი ქუჩაში და, საერთოდ მისი არსებობა იმიტომ აღიზიანებდა, იმიტომ უმღვრევდა გუნებას, რომ უსამართლობად მიაჩნდა. ამ გრძნობას შური და ბოღმა კი არ იწვევდა, არამედ ჩვეულებრივი, ადამიანური განაწყენება. მან ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ გონივრულად, უშეცდომოდ გზის გაუმრუდებლად ეცხოვრა, სადაც მოომინება იყო საჭირო — მოეთმინა, სადაც ლოდინი — უფრო ხელსაყრელ დროს ან შემთხვევას დალოდებოდა, არ აჰყოლოდა ემოციებს, წამიერ იმპულსებს, არ შესჭიდებოდა და შებრძოლებოდა იმათ, რომელთა მძვინვარებას ზღვარი არ ედო. მირიანმა კი ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე წასულიყო ამ ქვეყნიდან, ითავნება, იდიდგულა, არავის და არაფერს არ გაუწია ანგარიში და მაინც ოთხმოცდასამ წლამდე მოაღწია, მაინც არ წავიდა ამ სოფლიდან იმათზე ადრე, ვისაც შიშმა სინდის-ნამუსი დაავიწყა, კაცობაზე ხელი ააღებინა. სხვა დროს მასთან შეხვედრას ყურადღებას არ მიაქცევდა, შემთხვევითობას დააბრალებდა, მაგრამ დღეს რატომღაც წონასწორობიდან გამოჰყავდა, აღიზიანებდა, აწიწმატებდა. ეს კი ამცირებდა, ისეთ რაღაცაზე ამახვილებდა ყურადღებას, რაც ყურადღების ღირსი არ იყო.

ბერიკაცმა ისევ გაისწორა ჰალსტუხი, გუნებაში ვიღაცას თუ რაღაცას გაუწყრა, მაგრამ მისმა განწყობამ შედეგი არ გამოიღო და ისევ განაგრძო გზა და ფიქრი. ვითომ მართლა ასეა საქმე, ვითომ მართლა არაფერი დაუშავა და წაართვა მირიანმა? წართმეევა, აბა, რა ჯანდაბაა, როცა გგონია, რომ მთელი სიცოცხლე კაცურად იცხოვრე, საზოგადოებისა და ოჯახის წინაშე პირნათლად მოიხადე ვალი და უეცრად გამოტყვრება ვიღაც ტვინგადაბრუნებული და ისე მოგტაცებს ყველა ღვაწლსა და დამსახურებას, თითქოს მოპარული გქონდეს და არა მმიმე შრომით მოპოვებული? გაძარცვაა, აბა, რა ოხრობაა, როცა სინდისი დამშვიდებული გაქვს, არავისი არაფერი გმართებს, ახარებ შენს ჭიას და უეცრად გამოტყვრება ნაწანწალები, სალახანა და გინდა თუ არა, მაინც დაგაკარგვინებს წონასწორობას, ამოგაგდებს კალაპოტიდან? წართმეევა, აბა, რა შავი ქვაა, როცა ვიღაც წუპაკი და მამაძაღლი შენივე წარსულს არ განებებს და თვითონ კი არ გიფათურებს სულში ხელს, არამედ შენ თვითონ გაფათურებინებს და ისეთ რაღაცებს გახსენებს, რაც არ გიყვარდა და რისიც ცოტათი გეშინოდა კიდეც?

ბერიკაცს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს გზა, რომელსაც შეგნებულად დაადგა, იცვითებოდა, ირეცხებოდა, არ ტოვებდა არც ერთ იმ ნიშანს, ათეული წლების მანძილზე ურყევი და საიმედო რომ ჩანდა. და ეს გზა სადღაც მიწის ზედაპირზე, ხევში ან ტაფობში კი არ გადიოდა, არამედ მის შეგნებაში და როცა ბურუსით იფარებოდა, სიარული უჭირდა, ბარბაცებდა, ლასლასებდა, მაგრამ სხვების დასანახად კი არა, ამას ცოცხალი თავით არ დაუშვებდა, არამედ იმ საუფლოში, რომლის ოღრო-ჩოღრო რელიეფს მის მეტი ვერავინ ხედავდა. ახლა ამას ისიც ემატებოდა, რომ შინისკენ მიმავალი გზაც მიიგრიხ-მოიგრიხა, ატალახდა, დატბორიანდა. გარეთ შემოდგომის მშვიდი, თბილი ამინდი იდგა, მას კი სცხელოდა და ეს სიცხე გარედან კი არ იღვრებოდა მის სხეულში, არამედ შიგნიდან მოედინებოდა და თავში აწვებოდა.

ამიტომაც უჭირდა იმის გარკვევა, მოულოდნელი აგზნების ბრალი იყო ეს სიცხე თუ ავადმყოფობა ეძალებოდა. აღრე საერთოდ არ იცოდა, რა იყო ავადმყოფობა, ყოველთვის შესაშური ჯანი და ღონე ჰქონდა, მაგრამ სამუდამო რაა ამქვეყნად? გასულ წელს და ისიც გაზაფხულზე და არა ზამთარში, ფილტვების ანთება დაემართა, იმდენი ახველა, თავის სიცოცხლეში რომ არ უხველია და მთელი თვე ლოგინში ეგდო. რენტგენის აპარატიც კი შინ მოუტანეს და ისე გადაუღეს სურათი. მხოლოდ მაშინ გამოსცადა საკუთარ თავზე, რა საზიზღრობაა ავადმყოფობა. ამიტომაც შეაშფოთა ტერფებიდან დაძრულმა სიმხურვალემ, ავადმყოფობას ისევ უგუნებობა ერჩია, მაგრამ ადვილი ასატანი არც ისეთი უგუნებობა იყო, დღეს რომ მის სულში ჩაიკვამლა. კვამლი წონას იძენდა, ყველაფერ ნათელსა და მსუბუქს ხარბად იწოვდა და უმოწყალოდ აჩანაგებდა იმ ბაღს, მან რომ მოსაოხებლად გააშენა. ამის მიზეზი მარტო მირიანთან შეხვედრა არ ყოფილა. ბოლო დროს ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ მასში რაღაც იმღვრეოდა, მაგრამ მირიანთან შეხვედრამ ნაკადული ღელედ აქცია, ჩვეულებრივი, გაკვალული გზა კი ლაბირინთად.

ბერიკაცი შეეცადა თავი დაეღწია გამჭვარტლული, გაბუნდოვანებული ცდუნებებისათის, გადალაგებული მოგონებები უკანვე გადმოელაგებინა და ამ გადალაგება-გადმოლაგებას თავი ვერ გაართვა, ბუზღუნის ხასიათზე დადგა. კაცი ყოველთვის უნდა ერიდოს ისეთ ადგილებში ხეტიალს, სადაც შეიძლება ნაძირალებს ან წარსულში გაუჩინარებულ შლეგებს გადაეყაროს. მათგან ყველაფერია მოსალოდნელი. შეუძლიათ, ქუჩაში გაგაჩერონ, სახეში შეგაფურთხონ და ისე განაგრძონ გზა, თითთქოს არაფერი მომხდარაო. ასეთებს რა გამოცელის, რა გაუნელებს შუღლსა და ბოღმას? კიდევ კარგი, ზარდაშელმა ისე ჩაუარა გვერდით, ვერ იცნო, თორემ, ღმერთმა იცის, რა გუნებაზე დადგებოდა, რამდენ გესლსა და ბოღმას გადმოანთხევდა, რა აყალ-მაყალს ატეხდა? და ამას მხოლოდ იმის გამო ჩაიდენდა, რომ ცხოვრებაში ხელი მოეცარა, დრო და ნიჭი უაზროდ გაფლანგა. ასეთები ჯავრს ყოველთვის სხვებზე იყრიან, თავიანთ უჯიათობასა და უგუნურობას საზოგადოებას აბრალებენ. მაშინ მას რომ თავი შეეკავებინა და გაუგონარი სირეგვენე არ ჩაედინა, არა მარტო თვითონ ასცდებოდა სასჯელს, არამედ ამხანაგებსაც არ აურევდა და აუწყვავდა ცხოვრებას.

ის, რაც ბერიკაცს გაახსენდა, ჯერ კიდევ ომამდე მოხდა. იმ წელს ზამთარი ისეთი ცივი იყო, რომ მოკლე, გათოშილ დღეებს ფეხები დამზრალი ჰქონდათ, ზაფხული კი ისეთი ცხელი, რომ ქუჩის მოცახცახე ჩრდილები ცოდვილებივით იხრუკებოდნენ. სიცხეს, სიჩლუნგესთან ერთად, სულიერი სიბეცეც მოჰქონდა თან და არავის დანახვა, არაფრის გაგონება არ უნდოდა. ამ სიბრმავისა და სიყრუის ჟამს ხალხი ღვინოსა და ლხინს ეტანებოდა. ყოველთვის საგსე იყო რესტორნები, სასაუზმეები, სასადილოები.

ერთ კვირა დღეს ამხანაგებმა გამოუარეს. მაშინ უკვე ინჟინერი იყო, ცოლშვილი ჰყავდა და ჯერ კიდევ მთაწმინდაზე ცხოვრობდა. ბიჭებს ქეიფი, ერთმანეთთან შეხვედრა მონატრებოდათ და კაცურად სთხოვეს, ფუნიკულიორზე ავიდეთ და თითო ჭიქა ღვინო დავლიოთო. მათ შორის მირიან ზარდაშელიც იყო. მისი დანახვა არ ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია. ის ზაფხული მასზეც გამომალაყებლად მოქმედებდა და თავი მხოლოდ იმით ინუგეშა, რომ თანაკლასელთა შორის არ ჩანდა ის ყმაწვილი, ბაღში რომ თავი გაალანძღვინა. თბილისში მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ ტაქსები არ დადიოდა. მანქანები მხოლოდ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წევრებს ემსახურებოდნენ და ამიტომ ფეხით შეუყვნენ ალმართს. ვიწრო ტროტუარზე დაწყვილებულები მიაბიჯებდნენ. მის გვერდით ალმოჩნდა თეიმურაზ კალატოზიშვილი, დინჯი, იაფფასიან ამბიციებს მოკლებული, თავის ტყავში ჩატეული კაცი, რომელიც ერთ-ერთ ახალგახსნილ უმაღლეს სასწავლებელში მათემატიკის კურსს კითხულობდა. ისინი ცოტათი ჩამორჩნენ წინ მიმავალთ და რადგან ცნობისმოყვარეობა აწვალებდა, ერთმანეთის მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ, თეიმურაზს პირდაპირ ჰკითხა:

— რამდენადაც მახსოვს, შენ და მირიან ზარდაშელი მეგობრობდით. ამიტომ გეცოდინება, რომ ერთ დროს სადღაც გადაიხვეწა და საქართველოდან ფეხი ამოიკვეთა. დღეს კი თქვენს შორის დავინახე და, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. ნუთუ მართლა დაუბრუნდა უძღები შვილი სამშობლოს?

— შენი სარკაზმი მაშინ იქნებოდა გამართლებული, მირიანი რომ გამდიდრებული დაბრუნებულიყო სამშობლოში და მტრების ჯინაზე, ისეთი ცხოვრება მოეწყო, რომ შურით გამსკდარიყვნენ. ახლა კი ისე ჟღერს, თითქოს ღვარძლი გალაპარაკებდეს.

— ეს, ალბათ, იმიტომ, რომ იწფორმირებული არა ვარ. არ ვიცი, სად იყო, რას აკეთებდა ან ახლა როგორ ცხოვრობს და რას ფიქრობს.

— რას ფიქრობს, არც მე ვიცი. გამოკითხვა და სხვა საქმეში ჩარევა არ მიყვარს. დაბრუნებით კი ამ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა და ჯერჯერობით ფეხი ვერსად მოიკიდა. თუმცა, რა გასაკვირია. ამისათვის მას არც გარემო უწყობს ხელს და არც საკუთარი თავი. მაგრამ ახლა იმხელა ტვირთი ჰკიდია მხრებზე, რომ არა მგონია, ძველებურად აიწყვიტოს.

— რა ჰქნა, დაცოლშვილდა?

— მგონი კი.

— ამას მისგან არ მოველოდი.

— არც მე. მაგრამ იქიდან, საიდანაც ჩამოვიდა, ვიღაც ახალგაზრდა, თხელი, ქერა ქალი და სამიოდე წლის ბავშვი ჩამოიყვანა. არ ვიცი, ის ქალი ცოლია მისი, საყვარელი თუ უბრალოდ, შეიბრალა, შეივრდომა და პატრონობს. ბავშვი კი, ხომ იცით, ბავშვია და მიმსგავსებით შეიძლება ყველას მიამსგავსო. ამას წინათ ის ქალი ქუჩაში შემხვდა. მის უცხოობას ქერა, სადად დავარცხნილი თმა კიდევ უფრო უსვამდა ხაზს. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ძველი დროის შემთხვევით გადარჩენილი ნაფოტი უნდა იყოს. მათ გარდა, მირიანს მოხუცი დედაც ჰყავს სახლში. ქმრის სიკვდილმა ეს ისედაც სუსტი ქალი, ძალიან მოტეხა. რა ხანია, ქუჩაში გამოსხული არ მინახავს.

— არა მგონია, მირიანმა არ იცოდეს, ქალსა და ბავშვს რომ ოჯახში შემოიყვან, ადვილად ვეღარ გაყრი გარეთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოჯახს მოეკიდა.

— მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ თბილისში სამუშაოს შოვნა ჭირს, მით უმეტეს, ისეთი კაცისათვის, ვისაც სახელმწიფო დაწესებულებებში მოკალათებული მოხელეები სისხლისმსმელ წურბელებივით სძულს. ამიტომ არც სამსახური აქვს და არც რეგულარული შემოსავალი. სახელოსნოს გახსნაზე კატეგორიული უარი უთხრეს. ფინანგენტები ყნოსვით გრძნობენ, ვინ რა სულიერია და ვის რას გამორჩებიან. ერთი უბედურება კიდევ ისაა, რომ ვინც მას იცნობს, რეკომენდაციას ვერ უწევს, არ იცის, ხვალ ან ზეგ რა ოფოფები შეუჩნდება, რა ამბებს დაატრიალებს. ამიტომ ჯერჯერობით ფირნიშების წერით, წიგნების გაფორმებით, დაზიანებული სურათების რესტავრაციით ირჩენს თავს, ხოლო როცა სამუშაო არ ყოფნის, არც კარ-ფანჯრების შელებვასა

და შპალერის გაკვრას თაკილობს. ამბობენ, თვითონ ყველაკერს იკლებს, ოჯახს კი არაფერს უჭირვებსო, თუ ეს მართალია, მორჯულებულა და ეს არის.

უნდოდა თეიმურაზისათვის ეკითხა, ხომ არ აწუხებენ, სადმე ხომ არ იბარებენო, მაგრამ კითხვა სულელური მოეჩვენა და დროზე შეიკავა თავი. შეიძლება თეიმურაზმა არაფერი იცოდა იმის შესახებ, რაც მან ბაღში მოისმინა. ამიტომ ამ ამბის გახმაურებას აზრი არ ჰქონდა. იმის ახსნა კი, მირიანს რომ არ იბარებდნენ და აწუხებდნენ, ძველი კადრების დარბევით და ახლების დაწინაურებით შეიძლებოდა. ეტყობა, ძველებიდან აღარავინ დარჩა ჩეკაში ისეთი, ის ტრაგიკული ღამე და მისი მონაწილეები რომ ხსომებოდა. გარდა ამისა, სახელმწიფოს დაუძინებელი მტრები ბურჟუები და მემამულეები კი აღარ იყვნენ, არამედ ტროცკისტები და მავნებლები. შეიძლება არქივში ჯერ კიდევ იდო მირიანის მამხილებელი საბუთები, მაგრამ სანამ ვინმე არ დაბეზღებდა, არქივში ქექვას არავინ დაიწყებდა. დაბეზღებით კი, ალბათ, არ დაბეზღებდნენ ისეთ კაცს, ვინც სოციალური თვალსაზრისით არაფერს წარმოადგენდა და ვისაც წასართმევი არაფერი ჰქონდა. დრო რომ შეიცვალა და აქცენტები გადაადგილდა, ამას ისიც ადასტურებდა, რომ ქუჩებში შაშხანებისა და მაუზერების ბატეა-ბუთები აღარ ისმოდა, კარგ ტონად არც ძველი „საგმირო საქმეების“ გახსენება ითვლებოდა. ახლა, ოცდაჩვიდმეტი წლის ზაფხულში, კი კაცს გაუხმაურებლად იყვანდნენ და გაუხმაურებლად ისტუმრებდნენ იმ ქვეყნად. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, დამნაშავეს დანაშაულს პატიობდნენ და თუ მიაგნებდნენ, ისევე სასტიკად არ დასჯიდნენ, როგორც თავის დროზე იმსახურებდა. ამიტომ სიფრთხილე არც ახლა იყო ზედმეტი. შეიძლება თეიმურაზს სინდისი ხელი-თა ჰქონდა, შეიძლება ისეთივე წესიერ კაცად დარჩა, როგორიც იყო, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, თეიმურაზი იმდენად არ აფრთხობდა, რამდენადაც მირიანი. იგი მას სხვებზე უკეთ იცნობდა და არ სჯერდა მისი მორჯულება, მოშინაურება.

— ქვეყანაზე რა არ ხდება, თეთრი შავდება და შავი თეთრდება, მაგრამ მაინც მიჭირს იმის დაჯერება, რომ იმ ქალმა მირიანის მორჯულება და მოშინაურება შეძლო, — უთხრა მან თეიმურაზს და ქუჩაში გადმოზრდილი ალუბლის ტოტი ხელით გასწია.

— მართალი გითხრა, ამის დაჯერება მეც მიჭირს. კაცი რომ ასე მოულოდნელად და რადიკალურად იცვლებოდეს, დედამიწაზე სამოთხე კარგა ხნის დამკვიდრებული იქნებოდა. აქ რაღაც სხვა ამბავია. ის ქალი მე არ მეჩვენება ისეთ არსებად, ვინმეს მოთოკვა, მორჯულება, მოშინაურება რომ შეეძლოს. რატომღაც მგონია, ამის უფლება მას არც აქამდე ჰქონია მოპოვებული და არც ახლა აქვს.

— იქნებ უყვარს ან იქნებ იმხელა პატივისცემა დაიმსახურა მირიანის თვალში, რომ არ ეღალატების?

— არ ვიცი. ისინი ერთად არ მინახავს. რომ მენახა კიდეც, ქალისა და კაცის ურთიერთობაში გარკვევა ისევე მიჭირს, როგორც მტკვრის ფსკერზე კაცის დანახვა. შეიძლება მირიანი სახლში სხვაა და გარეთ სხვაა. ოჯახურ ნიადაგზე გაორებულების მეტი რა მინახავს ამქვეყნად. თუმცა ამგვარი ზოგადი ვარაუდი კონკრეტული შეთხვევის ასახსნელად არ გამოდგება. ჩემი ეჭვი იმან გამოიწვია, რომ მირიანთან ორიოდე შეხვედრამ საბოლოოდ დამარწმუნა, იგი არათუ არ შეცვლილა, არამედ კიდევ უფრო გამირიანდა.

— მერედა, როგორია კიდევ უფრო

გამირიანებული მირიანი?

— ისეთი, თითქოს საპყრობილის კედლებს მუშტებს ურტყამდეს და ტკივილისაგან რომ არ იყვიროს, ტუჩებს ისისხლიანებს. თუმცა ჩემზე ნაკლებად მას არც შენ იცნობ და ადვილად შეგიძლია წარმოიდგინო, როგორი იქნება.

თეიმურაზი მიხვდა, იმაზე მეტი რომ წამოროშა, რისი თქმაც შეიძლებოდა და ამიტომ დასკვნის გამოტანა მას გადმოულოცა. მას კი არც უცდია იმის წარმოდგენა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო კიდევ უფრო გამირიანებული მირიანი, რადგან კაცს, რომელიც წაგებულ საქმეს ებღაუჭებოდა, ამის ღირსად არ თვლიდა. საერთოდ , არ უყვარდა ამგვარი იმპროვიზებული თავშეყრა, რესტორანში ქეიფი და იმ წლების გახსენება, როცა ამ ქვეყნისა არაფერი ესმოდათ. იყო ამაში რაღაც დრამოჭმული, პროვინციული, პრიმიტიულად რიტუალური. ამიტომაც რჩებოდა ფეხები უკან, ამიტომაც ვერ აგრილებდა კოჯრიდან მონაბერი ნიავი.

როგორც იქნა, აათავეს იმ დღევანდელი სიცხისათვის შეუფერებელი აღმართი, ფოთლებმოჭღრალი ბაღი გადაჭრეს და ერთად მოიყარეს თავი. ტრამვაის ქვედა სადგურში ცოტათი გრილოდა, სულის მოთქმა შეიძლებოდა. ის წელი ისეთი იყო, ჭკუა რომ არ მოეკითხებოდა. მწვანეს წითლად ღებავდა, ცისფერს ნაცრისფრად. ადამიანებს ნიღბები ეფარებოდათ და ისე უმწეოდ გამოიყურებოდნენ, თითქოს უჩინარი ხელი სამოსელისაგან ძარცვავდათ. ამ უჩინარი ხელისა ისე ეშინოდა ყველას, რომ ერთმანეთს პირს არიდებდნენ, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ და როცა იცინოდნენ, მათ სიცილში იყო რაღაც არაბუნებრივი, ისტერიული, იმ დროის შესაფერისი, სიტყვები რომ ქვებად აქცია. ტრამვაი ჭრიალით მიიწევდა ზევით, ჰაერი მტვრისაგან იწმინდებოდა და უზარმაზარი, ხახადაღებული ჩრდილი, ტრამვაის ყოველ მიახლოებისას უკან იხევდა.

V

რესტორანში ხალვათობა იყო. სუფრა აივანზე გააშლევინეს. ეზაში მათ კიდევ ერთი ამხანაგი შემოემატათ და მაგიდას შვიდნი შემოუსხდნენ. ძირს გართხმული თბილისი მძიმედ სუნთქავდა, ჩრდილს ეძებდა, მაგრამ ჩრდილი არსად ჩანდა და თავის ქუჩებიანად და მოედნებიანად წითელ სახურავებს აფარებდა თავს. მაშინ რესტორნებში ისეთ კერძებს ამზადებდნენ და ქარხნებში ისეთ ღვინოს ასხამდნენ, უკეთესს ვერაფერს ინატრებდა კაცი. შეიძლება ამით იმ წელიწადს უხდიდნენ ხარკს, ჭკუა რომ არ მოეკითხებოდა. დაიწყო ლხინი. იგონებდნენ ბავშვობას, გიმნაზიას, თავს გადამხდარ ამბებს, კურიოზულ შემთხვევებს, მასწავლებელთა ახირებულობას. იყო ერთი სიცილი და ხარხარი, დროდადრო ვინმე ანეგდოტსაც ჩაურთავდა, მაგრამ მთელ ამ გართობასა და დროსტარებას აკლდა უშუალობა, გულწრფელობა, მოთხოვნების დაკმაყოფილების იმგვარი სურვილი, რისთვისაც ქეიფი იმართება. ამის მიზეზი მორცხვობა, მერყეობა, შემბორკავი თავაზიანობა კი არ იყო, არამედ სიფრთხილე და უნდობლობა. მიუხედავად სისხლის ახმაურებისა და სენტიმენტალური მოგონებებით გაფერუმარილებული განწყობილებისა, ვერავინ ბედავდა უხეიროდ მორგებული ნიღბის ჩამოხსნას, სიტყვის ორაზროვნებისაგან გათავისუფლებას, სიმართლისათვის უპირატესობის მინიჭებას. მთელი საუბრის მანძილზე არაფერი ინასკვებოდა, არაფერი იწმინდებოდა, არაფერს არ ჰქონდა დასრულებული სახე. სარკაზმიც და იუმორიც კი რაღაცნაირი უმარილო, უკბილო იყო. ამას ყველა გრძნობდა, მაგრამ არავინ იმჩნევდა. და არა იმიტომ, რომ განათლება ან ჭკუა აკლდათ, ზოგიერთ მათგანს

ისეთი ენა ჰქონდა, ყვავს ჩამოაგდებდა ხიდან, არამედ იმის გამო, რომ არ უნდოდა გადარჯულებულიყვნენ, გადაჯიშებულიყვნენ, გათითოკაცებულიყვნენ. ერთად პურის ჭამას ჯერ კიდევ ჰქონდა აზრი და თბილისური ეშხი. შეიძლება ისინი მთლად ასე არ ფიქრობდნენ, შეიძლება სადავოც ბევრი რამ ჰქონდათ, მაგრამ იმაში, რომ პურის ნატეხრას პურის ჭამა სჯობია, სრულიად მართლები იყვნენ. ამ სუფრაზე რომ ვინმეს რაიმე მკრეხელური წამოეყრანტალებინა, პირველი თვითონ აღუდგებოდა წინ და ან ხმას ჩაკაენდინებდა, ანდა იქაურობას გაეცლებოდა. ამის გამო არც ლაჩრად იგრძნობდა თავს და არც სინდისი შეაწუხებდა. არის მომენტები, როცა კაცს მეტი სერიოზულობა მართებს, ვიდრე ყოყლოჩინობა, ქარაფშუტობა და უაზრო ჯიბრი. ახლა ისინი ბიჭები აღარ იყვნენ, ლოთი და ჩხუბისთვი არავინ ერიათ და თუ უნდოდათ მშვიდობიანად დაბრუნებულიყვნენ შინ, თავინთ ტყაში უნდა დატეულიყვნენ. ერთადერთი, ვისი ქცევის გათვალისწინებაც ჭირდა, მირიანი იყო, მაგრამ მირიანი ხმას არ იღებდა, ქაღალდის ხელსახოცზე რაღაცას ხატავდა და მხოლოდ ღვინოს ეძალებოდა.

როცა შესაღამოვდა, რესტორანში იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ ტევა აღარ იყო. დღის სინათლე ხელოვნურმა შუქმა შესცვალა. კოჯრიდან დაძრულმა ნიავმა ხელსახოცები აიფრიალა. ამ რესტორანში ფულიანნი, წონიანნი, გავლენიანი ხალხი დადიოდა, მათ შორის ისეთი ფუნქციონერებიც, სხვაგან პურის ჭამა რომ არ ეკადრებოდათ. უმეტესობას ცოლ-შვილი აგარაკზე ჰყავდა გაყვანილი და ახლა თავისუფლებით სარგებლობდნენ, დანაკლისს ინაზღაურებდნენ. იმატა ყაყანმა, ჭურჭლის წკარუნმა, სახის ნაკვთების რღვევამ და ზარხოშმა. სამყარო იფარგლებოდა იმ სივრცით, რაც რესტორანს ეჭირა და ამ სივრცეში ზომიერების გრძნობა თანდათან ადგილს უთმობდა სიშმაგეს, ღვარძლს, სიმრუშეს. ავკაცობა გველშაპივით იღვიძებდა, იქოჩრებოდა, სარბიელს მოითხოვდა. აღარავინ იყურებოდა ცისკენ, აღარავინ მალავდა თავისი მქშინავი, ცხიმოვანი ხორცის სიმრდეს, აღარავის აღარ ჰქონდა იმის სურვილი, რომ სხვასა და თავის თავს მორიდებოდა. იქაურ ჰაერს რომ უეცრად ხორცი შეეხა და სინამდვილედ ქცეულიყო, უფრო კოშმარული სურათების წარმოდგენა, ალბათ, აპოკალიფსის შემთხზველებსაც კი გაუჭირდებოდათ. ისეთები, ერთმანეთი რომ ჭირივით სძულდათ, ამ რესტორანში ბევრად უფრო მეტი იყო, ვიდრე მის სარდაფებში ვირთხები, ისეთები, სიმყრალეს რომ სუფთა ჰაერზე არ გასცვლიდნენ, კიდევ უფრო მეტი, ვიდრე აბეზარი ბუზები, ისეთები კი, არც ღმერთსა და არც კაცს რომ არ დაგიდევდნენ და თავიანთი მიზნის მისაღწევად არავითარ დანაშაულს არ მოერიდებოდნენ,ვირთხებსაც ჭარბობდნენ და ბუზებსაც. აქ ისხდნენ მედროვეები, კარიერისტები, რომლებიც მიწიერი მეუფის განგებით ადამიანის ბედს განაგებდნენ და რაც უფრო მაღლა მიიწევედნენ სამსახურებრივ კიბეზე, მით უფრო კარგავდნენ ადამიანობასა და სახიერებას, მით უფრო ემსგავსებოდნენ ერთმანეთს.

— მოგონებები მხოლოდ იმ კაცს აფორიაქებს, ვინც ამ ცხოვრებაში სიკეთისა და ბოროტების მეტს ვერაფერს ხედავს და ჰგონია, რომ მის ცხოვრებაში მართლაც იყო რაღაც კარგი, — თქვა ამ დროს ერთმა მათგანმა ამხანაგმა, რომელსაც ფილოსოფოსობა უყვარდა და ამ ფრაზამ იმდენად მიიქცია მისი ყურადღება, რომ აზრი გაუწყდა.

— მე არა მგონია, ირაციონალური სიცარიელე სჯობდეს იმ გულის ფეთქვას, რასაც მოგონებები იწვევენ, — უპასუხა

თეიმურაზ კალატოზიშვილმა.

— ეს იმიტომ, რომ ბევრს ჰგონია, სიკეთეში არის რაღაც თბილი, ცოცხალი, ხელშესახები.

— არის კიდეც. სიკეთე რომ თბილი, ცოცხალი, ხელშესახები არ იყოს, ჩალის ფასიც არ ექნებოდა. სიკეთე და ბოროტება იმიტომ არიან გასულიერებულნი, რომ ადამიანის ბუნების ორგანული ნაწილები არიან.

— რა აზრი აქვს ისეთი ცნებების გასულიერებას, რომელთა სახელით უამრავ ცოდვას სჩადიან და ამით არც სიკეთე მრავლდება და არც ბოროტება კლებულობს. ეს ხომ ისეთი თამაშია, სადაც ოფლად და ცრემლად იღვრებიან, მოგებით კი არავინ არაფერს იგებს.

— გაჩუმდით, თუ ღმერთი გწამთ, — ჩაერია მათ საუბარში მირიან ზარდაშელი, — თქვენს ჭაუის ჭყლეტაში უფრო მეტი სიბინძურეა, ვიდრე იმ საკანალიზაციო მილში, აქედან რომ მტკვარში ჩადის.

მირიანს უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ უეცრად ხელი ჩაიქნია, სავსე ჭიქას დასწვდა და უხმოდ დაცალა. სუფრაზე უხერხული დუმილი ჩამოვარდა. მაგიდაზე გაწოლილმა ჩრდილმა ცოტა უკან დაიხია. ამხანაგებს მირიანის გამოხდომისათვის მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ, მთვრალი კაცის ახირებად ჩათვალეს. მან კი მაშინვე იგრძნო, რომ მირიანისათვის ბოლომდე იყო ჩამოყალიბებული ის სინამდვილე, რომელიც სხვებისათვის ჯერ კიდევ ყალიბდებოდა. ეს კი მირიანს არა მარტო ყოყმანისაგან ათავისუფლებდა, არამედ შემბოჭავი მარწუხებისგანაც და იმ წრეში, სადაც არავითარი უწესრიგობის დაშვება არ შეიძლებოდა, მეამბოხური განწყობილება შემოჰქონდა. ერთი წუთით ისიც კი გაიფიქრა, ავდგები და გავეცლები აქაურობასო, მაგრამ ამდენ ხალხში ამდენ ხანს ჯდომის შემდეგ, ამას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა, უდროოდ გაქცევა თავის გასამართლებდად არ გამოდგებოდა.

თამადამ ახალი სადღეგრძელო წამოიწყო. ამით უხერხულობის გაფანტვა და სუფრის ზომიერ ფარგლებამდე დავიწროება სურდა, მაგრამ მას უკვე აღარ სჯეროდა, რომ თამადა ამ მძიმე მოვალეობას თავს გაართმევდა და მისი შეშფოთება თანდათან მატულობდა, ისეთ სახეს იღებდა, როგორიც ბრალდებულს აქვს განაჩენის გამოტანის წინ. უსიამო ფიქრები რომ მოეშორებინა, სავსე ჭიქა აიტაცა, სულმოუთქმელად გადაჰკრა და როცა ჭიქა პირიდან მოიშორა, მოხდა სწორედ ის, რასაც გული უგრძნობდა.

მათგან ორიოდე მაგიდის მოშორებით ვიღაც ბობოლები ისხდნენ, ღვინოს სვამდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ აქ საქეიფოდ იყვნენ ამოსულნი, დიდკაცურ იერს მაინც არ იშორებდნენ სახიდან. შეეძლოთ, კაბინეტი ექირავებინათ და იქ გაეტარებინათ დრო, მაგრამ ამ სიცხეში ეს ხიმწრის ოფლის ღვრა უფრო იქნებოდა, ვიდრე ქეიფი. ამიტომაც გაუშლეგინეს სუფრა აივანზე. ოფიციანტები ისეთი მოწიწებით ექცეოდნენ, ეტყობოდა, ისინი პირველად არ იყვნენ აქ. სამიეს ჩექმები, გალიფე შარვლები და თეთრი, გვერდზე გაჭრილი, საყელომოქარგული პერანგები ეცვათ. ძველი რევოლუციონერები და კლასთა ბრძოლებში გამობრძმედილი ბოლშევიკები რომ იყვნენ, სერიოზულობაზე ეტყობოდათ. სიცილი, ღიმილი, სილაღე მათთვის ისეთივე დაუშვებელი რამ იყო, როგორც კომუნისტური დოგმების ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა. შინაგანად ისე იყვნენ მოწყობილნი, რომ ხალხში საერთოდ არ უნდა გამოსულიყვნენ, არ უნდა დაენახვებინათ სხვებისთვის ის სქესტანტური გამომეტყველება, დაღივით რომ აჩნდათ სახეზე, მაგრამ ახლა უცოლშვილოდ იყვნენ დარჩენილნი, დახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული სასადილოს კერძები ყელში ჰქონდათ ამოსული და ქართული კერძების მოყვარულებმა ცდუნებას ვერ გაუძლეს, სექტის ეთიკეტი დაარღვიეს. შეიძლება მათი აქ ამოსვლის მიზეზი მარტო ეს არ იყო, შეიძლება სხვა რამეც უშხამავდათ გუნებას, შეიძლება წყალი ჰქონდათ შემდგარი, მაგრამ გარედან ეს არ ეტყობოდათ. ყოველ შემთხვევაში, თავი ისე ეჭირათ, როგორც ნაღვაწ, დამსახურებულ მოქალაქეებს, რომლებიც სხვებისაგან პატივისცემას იმიტომ მოითხოვდნენ, რომ ხალხს თავისუფლება და საამური ცხოვრება მოუტანეს.

სანამ მეამბხეობაზე და მის შედეგებზე ფიქრობდა, ერთ-ერთი იმ ბობოლათაგანი, რომელსაც დიდი, მელოტი თავი და საკმაოდ მოზრდილი ღიპი ჰქონდა, ფეხზე წამოდგა, ხელში საგსე ჭიქა აიღო და დიდი რიხით დაიწყო სტალინისა და მისი უერთგულესი მოწაფის, ბერიას სადღეგრძელო. ეს იყო რაღაც წარმოუდგენელი სიგიჟე, რაღაც ისეთი, რასაც ახსნა არ მოეძებნებოდა, რაც შეიძლება ჩაედინა მარტო კომუნისტს და მეტს არავის. მთელ დარბაზში ისმოდა ტრაფარეტული ეპითეტები, პათოსით წარმოთქმული დითირამბები, იმ ლოზუნგების განმარტებები, რომელთაც პროლეტარიატის ბელადს და მის უერთგულეს მოწაფეს მიაწერდნენ.სიტუაცია სასაცილო და კომიკური იქნებოდა, ტრაგიკული და იდიოტური რომ არ ყოფილიყო. დარბაზი გაისუსა, დადამბლავდა, ვერ გარკვეულიყო, ეს სერიოზული კაცი ბელადის განდიდების ახალ მეთოდს ნერგავდა, თუ თვალი და ყური ატყუებდათ, რაღაც ეჩვენებოდათ. რესტორანში, ღვინის სმაში, ღრიანცელში იმათ სახელის ხსენება, რომელთა ავტორიტეტის შებღალვა და გასვრა არაფრით არ შეიძლებოდა, ძნელი აღსაქმელი, ძნელი გასათვიცნობიერებელი იყო. მელოტი კი თავისას მიაჭენებდა და მის ხმაში ხანდახან პათეტიკურ ბგერებს დრამატული ნოტები ცვლიდა.

უეცრად მან მზერა მირიან ზარდაშელზე გადაიტანა. გუმანით გრძნობდა, აქ რაღაც უნდა მომხდარიყო, რასაც გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვებოდა. მირიანი თავჩაქინდრული, გაფითრებული იჯდა, გათიშული ჩანდა და შეცდომაში სწორედ ამან შეიყვანა, ეგონა, ბოლო ჰქონდა მოღებული და მისგან არავითარ გამოხდომას აღარ მოელოდა, მაგრამ უეცრად მირიანი ნადირივით ფრთხილად და სწრაფად წამოდგა, სუფრიდან ღვინით საგსე ჭიქა აიტაცა, თვალის დახამხამებაში მიიჭრა იმ მაგიდასთან, მელოტმა ტრიბუნად რომ გაიხადა და მთელი ჭიქა ღვინო ისე შეასხა ორატორს სახეში, თვალიც კი არ დაუხამხამებია. გაოგნებულ დარბაზს ინსტინქტური, ცხოველური გმინვა აღმოხდა. ყველა მიხვდა, რომ ღვინო მელოტს კი არ შეასხეს სახეში, არამედ იმათ, ვინც მას ცამდე აჰყავდა. მცირე ხანს სამარისებური სიჩუმე იდგა, შემდეგ კი ვიღაცამ დანაგაყრილივით იღრიალა, მას სხვებიც აჰყვნენ და ატყდა, მაგრამ რა ატყდა! იმ ერთი ჭიქა ღვინის სახეში შესხმა თუ ყუმბარის აფეთქება არა, თოფის გავარდნა მაინც იყო. მთელი რესტორანი ფეხზე წამოიჭრა, აღარავის ექეიფებოდა და ემღერებოდა. მოირბინეს ოფიციანტებმა, მებუფეტეებმა, მალე რესტორნის დირექტორიც გამოჩნდა. მას და მის ამხანაგებს სახეზე მიწისფერი ედოთ, ის, რაც მირიანმა ჩაიდინა, სახუმარო საქმე არ იყო, მით უმეტეს ახლა, ამ გაგანია რეპრესიების დროს. უეცრად დირექტორი ორიოდე წუთით სადღაც გაქრა და ისევ დაბრუნდა. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ბრბო ყვიროდა, ყაყანებდა, იმუქრებოდა, მაგრამ მირიანს ახლოს არავინ ეკარებოდა, თითქოს ერთ წუთში იგი კეთროვანად გადაიქცა და ვინც შეეხებოდა, მასაც გა-

სვრიდა, წაბილწავდა. მირიანი აღარ ითვლებოდა ადამიანად, აღარ ეკუთვნოდა კაცთა მოდგმას, იგი რესტორანში შემოხვევით შემოხეტებული დინოზავრი იყო და მისთვის იმათ უნდა მოეკლოთ, ვისაც ეს უშუალოდ ეკლებოდა. მათ ფუნქციებში აქ მყოფთაგან ვერავინ ჩაერეოდა, რადგან ამის გამო შეიძლება ისინიც დინოზავრებად მოენათლათ. ამიტომ ყველაზე ჭკვიანურად დირექტორი მოიქცა. გაიქცა და იქ დარეკა, სადაც დინოზავრებს არჯულებდნენ. მალე მოვიდნენ კიდეც. ტყავის ჩექმები და ტყავის ქურთუკები ეცვათ, ერთი ერთ მხარეს ამოუდგა მირიანს გვერდით, მეორე, მეორე მხარეს და ისე გაიყვანეს რესტორნიდან, როგორც მძიმე ავადმყოფი. მას შემდეგ მირიანი არ უნახავთ. ამ ოციოდე წლის წინათ, ერთმა იმათგანმა, იმ დღეს რომ რესტორანში ქეიფობდნენ, სამსახურში დაურეკა და უთხრა:

— გაიგე სასწაული?

— რა სასწაული?

— მირიანი დაბრუნებულა.

VI

ბერიკაცს უკვირდა, როდის შემოეპარა ყოვლისმომცველი სკეპტიციზმი, როდის დაიდო მის სულში ბინა მჩხიბაობამ, როცა ყველა ხვრელი და ბზარი დამანული ჰქონდა. ამ მხრიდან არც ღალატს მოელოდა და არც სივერაგეს, მაგრამ საფრთხე სწორედ იქიდან შემოიძურწა, საიდანაც არ მოელოდა. იშლებოდა ის ზღვარი, რომელიც არ უნდა წაშლილიყო, ინგრეოდა ის კედელი, რომელიც არ უნდა მონგრეულიყო. ამ ცოტა ხნის წინათაც კი სკეპტიციზმისა და მჩხიბაობის ძლევამოსილება გაზვიადებული ეგონა, არ სჯეროდა, რომ ის, რაც სხვებს აჩაჩანაკებდა, მასაც მოერეოდა, მაგრამ ახლა ხვდებოდა, რომ საქმე უფრო რთულად იყო და შინაგანი წინააღმდეგობის აღსადგენად რაღაც სხვა, უფრო თანამედროვე ხერხი უნდა მოეგონებინა, თორემ ის სიბრძნე და გამოცდილება, აქამდე რომ მოჰყვა, აღარ ჭრიდა. ინსტიტუტიდან გამოსვლის შემდეგ მის მეხსიერებაში ყველაფერი აირია, გამრუდდა, გადასხვაფერდა და ამიტომ მოგონებების შემოტევისაგან ისე უნდა დაეცვა თავი, რომ არ განიარაღებულიყო, მეტისმეტად არ გაბიაბრუებულიყო. ამ რღვევის მიზეზი მარტო სიბერე რომ ყოფილიყო, არაფერს იტყოდა, მაგრამ ერთ დღეში ხომ არ დაბერებულა, დაბერებით აგერ უკვე ოცი წელიწადია, ბერდება და რაღა ახლა, ნახევარ საათში გამოჩერჩეტდა? არა, აქ რაღაც სხვა ამბავი იყო და სწორედ იმ მიზეზს უნდოდა მიგნება, რამაც საკუთარ თავს დაუპირისპირა.

ბერიკაცმა პორტფელი ხელიდან ხელში გადაიტანა და იქაურობას თვალი მოავლო. ქალაქი მოუვლელი, უპატრონო მოეჩვენა და შინაგანად დაიძაბა. შეიძლება ეს დაძაბულობა იმდენად ქალაქის მოუვლელობის ბრალი არ იყო, რამდენადაც იმ ჩრდილების აფორიაქებისა, აქამდე რომ მშვიდად თვლემდნენ. უგუნებობა აზრსაც კი არ აცლიდა ჩამოყალიბებას, ერთს ისე მოსდევდა მეორე, თითქოს საბრით ერეკებოდნენ.

ყველაფერი იმ მუდრეგის ბრალია, ცხარობდა ბერიკაცი, მისი დანახვა ვის არ აურევს ტვინს? კაცი რომ სიცოცხლის ნახევარზე მეტს სადღაც ჯანდაბაში გაატარებს, რაღა უნდა იმას სამშობლოში? გდებულიყო იქ, სადაც იყო და ეცლია ხალხისათვის ცხოვრება. არა, მომაკვდავი ნადირივით მაინც აქ მოიტანა თავი. ახლა კი უცხოსავით დაჩლახუნებს ამ გამზირზე და თავი ისე უჭირავს, თითქოს მთელმა ქვეყანამ ზედ გადაუარა. ამას არ სჯობდა, მჯდარიყო შინ წყნარად, ეკეთებინა თავისი საქმე და არც სხვები გაემწარებინა და არც საკუთარი თავი. მაგრამ კაცი რომ გაუკუღმართდება, მერე იმას წაღმა ვეღარავინ შემოაბრუნებს. მაშინ

ბევრი რამ არც მას მოსწონდა და არც მის ამხანაგებს, მაგრამ ამის გამო არ გადარეულან, ფუნქციონერისათვის სახეში ღვინო არ შეუსხამთ. ამით ხომ თავიც დაიღუპა და ცოლ-შვილიც გასწირა. თავი თუ არ ებრალებოდა, ისინი მაინც შეებრალებინა. მისი დაჭერის შემდეგ იმ ქალმა მთელი წელიწადი ითმშილა, რაც გასაყიდი ჰქონდა, გაყიდა, ქალაქში ნათესავი და შემწე არავინ ჰყავდა, მირიანის გამო სამსახურშიც არ ღებულობდნენ და როცა იმედი გადაეწურა, სამზარეულოში გასანთლული თოკი კაუჭს გამოაბა და თავი ჩამოიხრჩო. ბავშვი კოჯრის ბავშვთა სახლში წაიყვანეს. ომის დროს რაღაც ინფექციური აავდმყოფობა შეეყარა და ისიც დაუტირებლად მიაბარეს მიწას. ეს ამბავი მას მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ უამბეს, მაგრამ აზრი იმაზე, რაც მაშინ მირიანმა ჩაიდინა, არ შეცვლია.

ცოლ-შვილი ხომ გასწირა და გასწირა, მაგრამ მირიანის მაშინდელმა გამოსვლამამ ამხანაგებიც შავ დღეში ჩაყარა. იმ ზაფრისა და დამცირების მეხსიერებიდან ამოშანთვას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. ზოგჯერ გალურსული იყო, ზოგჯერ თავისთვის ფაჩუნობდა, მაგრამ მეხსიერება რის მეხსიერებაა, მოულოდნელად რომ არ გიმტყუნოს, ზურგში დანა არ ჩაგცეს? იმ ამბების შემდეგ ბევრი დრო გავიდა, დასალაგებელი დალაგდა, გასვრილი და წაბილწული მიიწმინდა-მოიწმინდა, რაც არ სიამოვნებდა ქარსა და მტკვერს გაატანა და ამიტომ ვერ შეამჩნია, როგორ გადაეცალა მტკვერი დამარხულსა და დავიწყებულს, როგორ ამოიზარდა ნაგვიდან გადასხეპილი რტოები და როგორ შეისხა ხორცი.

წარსულის მკვდრეთით აღდგომამ ბერიკაცი არა მარტო გაანაწყენა, არამედ ლანძღვა-გინების ხასიათზეც კი დააყენა. არ უყვარდა დროის ღრევა, ერთხელ და სამუდამოდ დალაგებული მოვლენების გადაადგილ-გადმოადგილება, ირაციონალურ სიცარიელეში შეჭრა. მის ცხოვრებაში ბევრი რამ ხდებოდა ისეთი, რასაც არ მოელოდა, რაშიც მხოლოდ იმიტომ მიუძღვოდა ბრალი, რომ შედეგები ვერ გაითვალისწინა, თორემ მამა აბრამის ბატკანი რომ არ იყო, ეს თვითონ კარგად იცოდა. ანდა რატომ უნდა ყოფილიყო მამა აბრამის ბატკანი, რატომ უნდა წამხდარიყო იმის გამო, რაც შეიძლება ორიოდე კაცს ხსომებოდა და ისიც ბუნდოვნად, რატომ უნდა მიეჩნია სილაჩრედ და სიჩლუნგედ ის, რასაც ჭკუა და საღი აზრი კარნახობდა, რატომ უნდა გაემრუდებინა გზა იმის გამო, რომ უგუნურად სიცოცხლესა და სიკვდილს ადამიანურად სიცოცხლე და სიკვდილი ერჩია. ამიტომაც მიაჩნდა წარსული ყოველთვის აბეზარ, უტიფარ, ანჩხლ დედაკაცად, რომელსაც არც თავისი თავის მოვლა შეუძლია და არც იმის ახსნა, რატომ წვალობს და იტანჯება ადამიანი ასე უსაშველოდ საუკუნეების მანძილზე? წარსულის ბრალი იყო ისიც, რომ ახლა მის გონებაში აჩრდილები დაბორიალობდნენ, რაღაცას ამადლიდნენ და რაღაცას ითხოვდნენ, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მართლები იყვნენ, რომ მათ წინაშე ფარ-ხმალის დაყრას და გულზე ხელების დაკრეფას აპირებდა. აჩრდილები არა მარტო უსახურნი იყვნენ, არამედ ქვეყნიდან წასულნიც და სწორედ იმ ნიშნებს ატარებდნენ, რითაც იგი მათ ერთმანეთისაგან ანსხვავებდა. ამ ნიშნების მატარებელთ კი არავითარი უფლება არ ჰქონდათ იგი ნამუსზე შეეგდოთ, გაესვარათ, დაეკნინებინათ. შეიძლება ღერძზე ძველებურად ვეღარ ტრიალებდა, შეიძლება სირბილში ახალგაზრდებს უკან ვეღარ იტოვებდა, მაგრამ არც ისე დაუძლურებული იყო, რომ სალახანებს ვერ გამკლავებოდა, საკადრისი პასუხი

არ გაეცა იმ სულწაწყმედილთათვის, რომელთაც მიწაც კი არ ღებულობდა და ზედაპირზე დაბორიალებდნენ.

უეცრად პატარა ბიჭი, რომელიც დედას ხელიდან დაუსხლტა, ბერიკაცს დაეჯახა და პორთფელი გააგდებინა. ბერიკაცი ისე შეტორტმანდა, კინაღამ წაიქცა, მაგრამ იყოჩაღა და ისევ გასწორდა. ერთხანს გაოგნებული იდგა, ვერ გაეგო, რა მოხდა, მართლა დაეჯახა ვინმე თუ იმდენად დაუძლურდა, რომ ხელიდან პორტფელიც კი უვარდება. გონს მხოლოდ მაშინ მოეგო, როცა ახალგაზრდა ქალმა პორტფელი აიღო, თეთრი ცხვირსახოცით გადაწმინდა და ბოდიშისმომხდელი ღიმილით გაუწოდა. ქალი ლამაზი, მოხდენილი იყო, ღიმილიც უხდებოდა და მიმოხვრაც, მაგრამ ახლა ბერიკაცი ისე იყო შინაგანად შეშფოთებული, რომ ლამაზი ქალის ღიმილი კი არა, გაახალგაზრდაებაც ვერ მოიყვანდა ხასიათზე. ახირება ხომ არ იკმარა და არ იკმარა, აიგდო თავი, ახლა კი კინაღამ არ შეარცხვინა თითის ტოლა ბიჭმა, კინაღამ არ გაშხლართა ტროტუარზე.

ბერიკაცმა გზა ბუზღუნით განაგრძო, მაგრამ სადღაც შიგნით, შესაძლებლობათა ზღვარს მიღმა, გრძნობდა, რომ მის სატკივარს ახლა სხვა წამალი მოუხდებოდა — მოუსვენარი ბიჭის დედის თეთრი ხელის სითბო, ალერსი, მისი ღონე და მოქნილობა. ერთი წუთით თითქმის ხელშესახებად იგრძნო ქათქათა, ბავერდოვანი სხეული. იყო ამ სხეულში რაღაც დასაბამისმიერი გამაღონიერებელი, მანუგეშებელი, მაგრამ მთელი ეს მარადიული, მომაოხებელი, მარტოობისა და ტკივილის დამაყუჩებელი სიმდიდრე სხვას ეკუთვნოდა და მისთვის არავინ არაფერს გაიმეტებდა. არადა, ახლა მასზე უკეთ არავინ იცოდა იმ ღიმილისა და იმ ხელის ფასი, რომელმაც თეთრი ცხვირსახოცით პორტფელი გადაწმინდა. იმ ქალს რომ მისდამი, არა როგორც მოხუცისა, არამედ როგორც მამაკაცისადმი ცოტაოდენი ყურადღება გამოეჩინა, დაეფასებინა, ისე მოუვლიდა, როგორც არავის მოუვლია, ისეთ პატივს სცემდა, როგორიც არავის უცია. ამჯერად იგი არ ტყუოდა, არ თვალთმაქცობდა, თავისკენ არაფერს ეაჩრებოდა. უბრალოდ, გრძნობა ჰქონდა ასეთი და ეს გრძნობა რომ ნადვილი, უბიწო და უანგარო იყო, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. უსამართლობად მხოლოდ ის მიაჩნდა, რომ ასაკის გამო, ამის უფლება წართმეული ჰქონდა და ვეღარასოდეს დაიბრუნებდა.

ბერიკაცი წელში გასწორდა, თვალებში თითქოს სითბოც კი ჩაუდგა, მაგრამ გამზირზე მაინც დაუპატიჟებელი სტუმარივით გრძნობდა თავს და ზოგჯერ ისეთი რამე ეუცხოვებოდა, რასაც უცხოობისა არაფერი ეცხო. სახლები გახუნებული ფერებისაგან იძარცვებოდნენ, ქუჩის მორთულ-მოკაზმულობა ძველი სახის დაბრუნებაზე უარს ამბობდა. ნიავი ფოთლებს იქითკენ ერეკებოდა, საითაც გზა არ ედოთ. წარსულს არა მარტო გონების თვალი აშუქებდა, არამედ სიბნელედან გამოცოცებული ასოციაციებითაც და ამგვარ ერთობლივ შემოტევას მისი გონება ვეღარ უძლებდა, მოგონებები ისე წიხლავდნენ და ჯიჯგნიდნენ, როგორც შეთქმულნი.

ერთი კვირაც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მირიან ზარდაშელი დაიჭირეს და იმ სუფრის ყველა მონაწილე შინსახკომში დაიბარეს. შინსახკომი სახელად ერქვა, თორემ იმ ამბებს, რაც იმ შენობაში ხდებოდა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან საერთო ცოტა რამ ჰქონდა, გამომძიებლებიც თავისი ჭაკვდა და ტრიბუნალებსაც თვითონ ადგენდა. მთელ მის სტრუქტურაში ერთი რგოლი არ იყო ისეთი, უდანაშაულო ადამიანს რომ გამოსარჩლებოდა. ამიტომ ის, ვისაც იქ

იბარებდნენ, მხოლოდ იმიტომ იყო დამნაშავე, რომ დაიბარეს, ვისაც ეს არ სჯეროდა — აჯერებდნენ, თანაც ისე, რომ შეხსენება აღარ სჭირდებოდა.

ჩამწარებული ქეიფის მონაწილენი ერთად კი არ დაიბარეს, არამედ ცალ-ცალკე. ცალ-ცალკე დაბარებას თავისი უპირატესობა ჰქონდა. რასაც მარტო კაცს სტყუებდნენ, იმის ჯგუფისათვის გამოძალვა ჭირდა. მოწმე იმ დროს არავის ეხატებოდა გულზე, იმ დაწესებულებაში კი, სადაც დაიბარეს, უცხო თვალი არ უყვარდათ. ამის პირველი ნიშანი ის იყო, რომ იბარებდნენ ღამ-ღამობით, ზოგჯერ შუაღამითაც კი და ამას აკეთებდნენ უფრო დასაშინებლად, ვიდრე სიმართლის დასადგენად. რა როგორ მოხდა, ვინ რა თქვა და ვინ რა მოიმოქმედა, მათ ისე კარგად იცოდნენ, რომ პირადად მას რაღაც-რაღაცების გახსენებაც კი დასჭირდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მათ შორის თუ ორი არა, ერთი მაინც იყო შინსახკომის აგენტი. ამიტომ რაიმეს დამალვას, ვინმესათვის, განსაკუთრებით მთავარი ბრალდებულისათვის ხელის დაფარებას აზრი არ ჰქონდა.

გამომძიებელი შავგრემანი კაცი იყო, სახე მოგრძო ჰქონდა, ფერი — ნაცხარისა და დაბეჯითებით ვერც ერთ იმ ეროვნებას ვერ მიაკუთვნებდი, თბილისში რომ სახლობდნენ. გამხდარსა და ვიწრომხრებიანს, სამხედრო ფორმა არ უხდებოდა, განსაკუთრებით გალიფე და ჩექმები. ასე არ უნდა სცმოდა კაცს, რომელსაც გარეგნობა ინტელიგენტური ჰქონდა, ხმა კი რბილი და არაადამიანურად ცივი. თავი ისე ეჭირა, თითქოს ჩვეულებრივი მოხელე იყო, სახელმწიფოს უშიშროებას იცავდა და ძალით თავს არავის არაფერს ახვევდა, მაგრამ თვალები ღალატობდნენ. მათში იმ კაცის ცინიზმი იგრძნობოდა, მრავალი ადამიანის ტანჯვასა და წამებაში რომ მიუღია მონაწილეობა და ამგვარ რამეს არა მარტო შეჩვეული იყო, არამედ მოთხოვნილებადაც კი ჰქონდა გადაქცეული. ამაზე მისი სახის გამოცეცხლული ნაკვთები და ტუჩების მოხაზულობა მეტყველებდა. გამოცდილება რომ დიდი ჰქონდა, რეაქციაზე ეტყობოდა. მაგიდასთან ჩასაფრებულივით იჯდა, მხედველობიდან არაფერი რჩებოდა და წინადადებას უეცრად ისე შეატრიალებდა, რომ საქმე დაემძიმებინა. როცა გამომძიებელმა ანკეტური მონაცემები ოქმში შეიტანა, თავი ასწია და უთხრა:

— რომ გიყურებთ, მიუხვედრელი კაცი არ ჩანხართ. რამ დაგაბრმავათ ისე, რომ თქვენს მეგობარში პირწავადნილი კონტრრევოლუციონერი ვერ ამოიცანით?

აგდება, დამცირება პირველივე კითხვიდან დაიწყო. სხვა ადგილას და სხვა ვითარებაში მისთვის რომ ვინმეს ეთქვა, მიუხვედრელი კაცი არ ჩანხარო, ისეთ პასუხს მიიღებდა, რომ მეორედ თავის აგდების სურვილი არ დაებადებოდა, მაგრამ აქ, ამ კაბინეტში საკმარისი იყო გულისწყრომა გამოემჟღავნებინა ან სკამიდან ოდნავ წამოწეულიყო, გამომძიებელი მაშინვე მაგიდის ქვეშ დამაგრებულ ღილაკს დააჭერდა, კაბინეტში „დამმუშავებლები“ შემოცვივდებოდნენ, ხოლო თუ დროზე არ მოეგებოდა გონს, ფეხქვეშაც კი გაიგდებდნენ.

— ის კაცი, თქვენ რომ ჩემს მეგობრად ნათლავთ, ჩემი მეგობარი არასოდეს ყოფილა, — უპასუხა მან თამამად, რადგან ეს მართლაც ასე იყო.

— რამდენადაც მე ქართულ ჩვეულებას ვიცნობ, საქეიფოდ სუფრას მხოლოდ მეგობრები უსხდებიან.

— ეს რომ მართლა ასე იყოს, ქართულ სუფრაზე ამდენი ჩხუბი და აყალმაყალი არ ატყდებოდა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა. მე სხვა რამ

მინდა გკითხოთ, როგორ შეიძლება ჩემს მეგობრად ჩაითვალოს კაცი, რომელიც თხუთმეტი წელიწადია თვალით არ მინახავს?

— ჯერ ერთი, კითხვებს აქ მხოლოდ მე ვიძლევი, მეორეც, ეს ხომ კონსპირატორთა ჩვეულებრივი ხერხია და იმას ნიშნავს, რომ თქვენს შორის არსებობდა შუალედური რგოლი, რომელმაც ქეიფი იმისათვის გამართა, რომ რესტორანში კონტრრევოლუცია მოგვწყოთ.

— პირადად ჩემთვის არც შეთქმულების გეგმა გაუნდვიათ და არც არაფერი დაუვალებიათ. მე მგონი ის, რაც რესტორანში მოხდა, მთვრალი კაცის სიშლეგე იყო და მეტი არაფერი, თორემ ასე უაზროდ რომელი ჭკუათმყოფელი იღუპავს თავს?

გამომძიებელს ისეთი პასუხი გასცა, როგორიც უნდა გაეცა, მაგრამ ზარდაშელის საქციელის შეფასებაში მართალი არ იყო. მირიანმა ერთხელ უკვე გასწირა თავი უაზროდ და იმან, რაც რესტორანში მოხდა, ის უაზრობა საბოლოოდ დააგვირგვინა. კიდევ კარგი, უნებართვოდ გამომძიებელს არქივში არ უშვებდნენ, თორემ საქმე უსაშველოდ გართულდებოდა.

— თქვენ გინდათ პოლიტიკური აქცია სიმთვრალეს, სიშმაგეს გადააბრალოთ, მაგრამ ასე მარტივად რომ იყოს საქმე, აქ არც დაგიბარებდით. ამიტომ კაცურად გირჩევთ, გულწრფელად აღიაროთ ის, რაც ჩვენ უთქვენოდაც ვიცით.

ეს უკვე იმდენად პრიმიტიული დემაგოგია იყო, რომ მისთვის ანგარიშის გაწევა სირცვენე იქნებოდა.

— რა უნდა ვაღიარო?

— ის, რომ ანტისაბჭოთა შეთქმულებაში ღებულობდით მონაწილეობას.

— რამდენადაც ვიცი, შეთქმულნი ერთმანეთს უნდა ხვდებოდნენ, მე კი წლების მანძილზე მათგან ოთხი ათასი კილომეტრით ვიყავი დაშორებული, არც ერთ მათგანთან არავითარი კონტაქტი არ მქონდა და არც თბილისში ჩამოსვლის შემდეგ შევხვედრილვარ. გულწრფელობა იმან გამოიჩინოს, ვინც შეთქმულების მოსაწყობად ღია, ხალხით გაჭედილი დარბაზი აირჩიოს.

— გიყებს, შლეგებსა და კონტრრევოლუციონერებს ჩვენ როგორმე თქვენზე უკეთ ვანსხვავებთ ერთმანეთისაგან. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი საქართველოდან გადახვევაც კონტრრევოლუციურ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. რას აკეთებდით მოსკოვში?

— ვსწავლობდი.

— სად?

—პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

— რომელ ფაკულტეტზე?

— ჩარხსამშენებლოზე.

— დაამთავრეთ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, რომ დავამთავრე.

— თუ დაამთავრეთ, დიპლომსაც ჩამოიტანდით და დახასიათებასაც.

— ყველაფერი ჩამოვიტანე.

— მერედა ინჟინერმა კაცმა არ უნდა იცოდეთ, რომ ამისთანა ბინძურ საქმეში არ უნდა გაერიოთ? სანამ თქვენისთანა ბედოვლათებს უმაღლეს სასწავლებლებში ღებულობენ, ჩვენ საქმე არ გამოგვლევა, — თქვა გამომძიებელმა ისეთი გამომეტყველებით, რომ, ეტყობა, გულზე სკდებოდა, უმაღლესი რომ არ ჰქონდა დამთავრებული და ჯიბეში დიპლომი არ ედო.

— ჯერ ერთი, ამ ქვეყანაზე სიბინძურე ბევრად უფრო მეტია, ვიდრე სიწმინდე, მეორეც, იმათ შორის, ვინც იქ იყო, ჩემზე ნაკლები ცენზი არცერთს არა აქვთ, — უპასუხა მან.

— სხვების დანაშაული თქვენსას არ ამსუბუქებს.

— თუ რესტორანში პურის საჭმელად შესვლა დანაშაულია, რა თქმა უნდა...

გამომძიებელმა პაპიროსს მოუკიდა

და ერთხანს ჩაფიქრდა. მის ჩაფიქრებაში იყო რაღაც მზაკვრული, ნაცადი, მაგრამ კითხვა ნაკლებად მკაცრი, ნაკლებად დემაგოგიური აღმოჩნდა, ვიდრე ელოდა:

— მაშ თქვენ ფიქრობთ, რომ ის, რაც რესტორანში მოხდა, მთვრალი კაცის ახირება იყო და არა სახელმწიფო დანაშაული?

— მართალი თუ გინდათ, ეს იყო ხულიგნობა და მეტი არაფერი.

— კი მაგრამ, იცით, ვინ არის ის კაცი, ვისაც ასე უდიერად მოექცნენ?

— არა, არ ვიცი.

— ძველი ბოლშევიკი, ლენინის თანამებრძოლი, სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე.

— შეიძლება, მაგრამ ის კაცი ვერ ყოფილა მთლად დალაგებული.

— რა თქვით?

— ვერ ყოფილა-მეთქი მთლად დალაგებული.

გამომძიებელს თავში რაღაც აზრმა გაუელვა და ისე ჩაფიქრდა, თითქოს სწორედ იმას მიაგნო, რაზედაც დღე და ღამე თავს იმტვრევდა. ეს ჩაფიქრება რომ მის უკანასკნელ პასუხთან და ძველი ბოლშევიკის საქციელთან იყო დაკავშირებული, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. იქნებ ამ ბობოლას მართლაც ჰქონდა წყალი შემდგარი, შეიძლება ის საღამოს უკვე იცოდა, რა დღეც ელოდა და სარეაბილიტაციოდ უკანასკნელ, ყველაზე გაცვეთილ, ყველაზე ორჭოფულ ხერხს მიმართა, ვერ გაითვალისწინა, რომ მისი უადგილო დითირამბების გამოყენება მის წინააღმდეგაც შეიძლებოდა. ეტყობა, სწორედ ამან გაახარა გამომძიებელი. მან რა თქმა უნდა, იცოდა, ძველ ბოლშევიკს რომ წყალი ჰქონდა შეყენებული და ახლა თავისუფლად შეეძლო საქმე შეეტრიალებინა, დამნაშავე გაემართლებინა და უდანაშაულო დეესაჯა. ვინ იყო მირიან ზარდაშელი იმასთან შედარებით, ვისი სახელიც ლენინთან იყო დაკავშირებული. მირიანის გაკონტრრევოლუციონერებისათვის მადლობასაც კი არავინ ეტყოდა, ძველი ბოლშევიკის გატროცკისტებისათვის კი არა მარტო დაწინაურებდნენ, არამედ კარგა მოზრდილი თანხითაც დააჯარიმებდნენ.

გამომძიებელი ფიქრებიდან გამოერკვა, ისევ ჩასაფრებული კაცის პოზა მიიღო და კიდევ უფრო შერბილებული ხმით უთხრა:

— რაიმეს ხელაღებით მტკიცება ადვილია, რასაც , ეტყობა, შეჩვეული ხართ. მე კი მინდა დამაჯერებლად ამიხსნათ, რატომ არ არის ის კაცი დალაგებული.

— იმიტომ, რომ რესტორანი არ არის ის ადგილი, სადაც შეიძლება დიდი ბელადისა და მისი უერთგულესი მოწაფის დაუფიქრებლად ხსენება. ირგვლივ ქეიფობდნენ, ყაყანებდნენ, ბილწსიტყვაობდნენ, ბევრი ჭინჭყლისა და ჩხუბის ხასიათზე იყო, ბევრს არათუ აზრის, სიტყვის მნიშვნელობაც კი არ ესმოდა. ალბათ, იყვნენ ისეთებიც, წადმა ნათქვამი რომ უკუღმა ესმოდათ. ასეთ გარემოში ბელადისა და მისი უერთგულესი მოწაფის ქებაც კი, მათი სახელების განზრახ გასვრასა და დამდაბლებას ნიშნავს. თუ დამიჯერებთ, ბევრმა მისი სიტყვები დაცინვად მიიღო და არა ქებად. ამიტომაც ატტნენ და აყაყანდნენ.

— ღვინოც ამიტომ შეასხეს სახეში?

— გამორიცხული არც ესაა.

— ზარდაშელი რომ ამას არ ამბობს.

— ზარდაშელი გალეწილი მთვრალი იყო და, ალბათ, არ იცის, რა თქვას, მაგრამ მისი საქციელის ახსნა ადვილად შეიძლება.

— აბა, ერთი ამიხსენით!

— იმ დღეს ზარდაშელი სმის ხასიათზე იყო, ღვინო სწყურდა და არ უნდოდა ვინმეს სუფრა ჩაემწარებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმ მიტინგით, უფრო სწორად, იმ ფარსით, იმ კაცმა რომ გამართა. შეიძლება მის სიტყვებს არეულობა, შეხლა-შემოხლა გამოეწვია და რესტორნიდან ხალხი გაერეკათ.

გამომძიებლისთვისაც და მისი უფროსებისთვისაც მირიანის საქციელის ადამიანური სისუსტით, მისი სიმდაბლით ახსნა უფრო გასაგები იყო, ვიდრე იმისა, რომ მან შეგნებულად ჩაიდინა პოლიტიკური აქტი.

— მაშ თქვენ ფიქრობთ, რომ მირიან ზარდაშელის საქციელი მხოლოდ ბოროტი ხულიგნობა იყო და მეტი არაფერი? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— კი არ ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ.

— თქვენი ამხანაგებიც ამ აზრისა არიან?

— თუ ცოტაოდენი ჭკუა აქვთ, ამ აზრისა უნდა იყვნენ, შეიძლება არიან კიდეც და თვითონ ვერ ხვდებიან, — მიაწოდა გამომძიებელს კიდევ ერთი გამოსადეგი აზრი.

გამომძიებლის გამომეტყველებამ და გადაწყვეტილების მიღებამ იგი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ შეიძლება მასზე უფრო იყო დამოკიდებული ადამიანის ბედი, ვიდრე იმათზე, ვის განკარგულებებსაც იგი ასრულებდა.

— რა ემართება ამ ხალხს? როგორც კი ჩვენთან მოხვდებიან, ისე იბნევიან, ვერ ხვდებიან, რა არის მათთვის სასარგებლო და რა არა, — უთხრა გამომძიებელმა ისე, თითქოს მართლაც არ იცოდა, რა აბნევდა მათ ხელში მოხვედრილ ადამიანს და მათ შორის მის ამხანაგებსაც.

— თქვენ ისე ერთგულად ემსახურებით ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, ისე ღრმად იყურებით ადამიანის სულში, ისე კარგად იცით მარსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება, რომ ამ მოძღვრებაში ჩაუხედავი ადამიანები ძალაუნებურად იბნევიან, — მოუქონა თავი გამომძიებელს.

— შეიძლება, შეიძლება, — დაეთანხმა გამომძიებელი, — აკი გითხარით მიხვედრილი კაცი ჩანხარ-მეთქი. აბა, ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ისე, რომ წყალი არ გაუვიდეს.

გამომძიებელმა კალმისტარი აიღო, ქაღალდი მოიმარჯვა და წერას შეუდგა.

მან უკვე იცოდა, რას მოითხოვდა მისგან გამომძიებელი და როცა აზრის ჩამოყალიბება უჭირდა, ერთ-ორ სიტყვას შეაწევდა ხოლმე. ბოლოს წერა დაამთავრა, დაწერილი საშრობით გააშრო და წასაკითხად გამოუწოდა. ოქმში არაფერი იყო შეტანილი ისეთი, რაც მის მდგომარეობას დაამძიმებდა და ამიტომ უყოყმანოდ მოაწერა ხელი.

— ახლა წადით, ოღონდ ქალაქიდან არ გახვიდეთ. როგორც კი დაგვჭირდებით — გამოგიძახებთ, — უთხრა გამომძიებელმა, ფეხზე წამოდგა, საშვზე ხელი მოუწერა და მორიგე ოფიცერი გამოიძახა. როცა გარეთ გამოვიდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ურჩხულის ბუნაგს დააღწია თავი და სიბინძურისაგან განწმინდა.

(გაგრძელება იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ჯაყელი

ქართული ანბანი

თავსადღეგრძელო სიმაღლით შესვა,
ვინც სული შენით ამოინათა.
მოსჭიდებიხარ სიცოცხლეს ფესვად
ანბანო ჩვენთა, — ქართლოსიანთა.
სულში წკარუნობ ღამით თუ დილით,
ვით უკვდავების თეთრი ბწკარედი
პირველად თქმული, პირველად ქმნილი
და ღვთაებრივი სისუფთავეთი.
შენი სიცოცხლე ზარივით ერთვის
გენებს, როგორაც ნამი დილისა.
ანბანო, სულო, ქართულო ღმერთის
კრიალოსანის თეთრო თილისმავ.
ყველაზე სუფთა გამოსხივებავ
ქართველი კაცის, მისი ბუნების,
ნათელ რწმენათა ნათელ იებად
ნაფერები და ნადუდუნები.
სამშობლოს ბედის, ქართული სულის
დამზევებავ და აღორძინებავ.
მზის მონათესო, ზეგარდმოსულო,
და უკვდავების ამომძივებავ,
შენა ხარ ჩვენი ხმლისა და ზვარის
და ყოვლის, რაიც იმედად გვედო —
შენა ხარ ჩვენი მთისა და ბარის
მთლად საქართველოს სიცოცხლის კრედო,
მაღალი სიბრძნის ზიარჭურჭელი
გელათის, მცხეთის და იყალთოსი.
შენა ხარ ჩვენთა მარადუცვლელი
სულის დვრიტა და აზრის სამოსი.
დარბაზის, ტაძრის, ქვისა თუ აზრის,
მამის თუ დედის, ძმის თუ დობილის
სიამაყის და სიცოცხლის ვაზი —
საუკუნეებს შემოჭდობილი.
დიდი სიბერე და სიჭარმაგე
ერის მზისა და მისი მეობის.
მარადისობის გენებს განაგებ
ყველაზე დიდი მემკვიდრეობის.
ვენახისათვის როგორაც ფესვი, —
მთავარარსობა შენა ხარ ენის.
შენა ხარ ჩემი ხატი და ფრესკა,
ციური ფერი ხმისა და ბგერის.
შენა ხარ, როგორც ქართული გზები,
მწვერვალისაკენ აღმა მავალი,
სპეტაკი სულის, ნათელი გზნების,
წინაპარიც და შთამომავალიც,
ქართული წიგნის უძველესობა,
მისი ფესვები, სული და მდადე.
ლამაზი, როგორც ენამზეობა,
და მშვენიერი როგორც სიცხადე,
ღვთისა და კაცის ხვედრი და წილი
იმედის ზეცა და მზრუნველობა.
ჭირგადახდილი, ომგამოვლილი,
გადარჩენილი ერის მეობა.
ქართული ენის სულო ანბანო,
დიდო მიზეზო ხმლის და ფიცისა,
დაე, მირონმა შენმა განბანოს
ყოველი ღირსი არა მიწისა.

მესხეთო ჩემო

მესხეთო ჩემო, ხავსისფერი ხავსის ზმანებავ,
სათოფურებში გარჩენილო ყვავის ბუდენო,
ძირძველო დარდო, დარხეულო მწუხრის ზარებად,
დროთა მსაბვრალთა და ტაძართა ძელნო
მრუდენო!...
მესხეთო ჩემო, ჩამოშლილო სიმწრის დარდებო,
ქვათა ქვითინით დაფანტულო სულო სიბრძნისავ,
სიშორისა და მონატრების სენგადამდებო,
საწუთროვ, ხანაც მზის რონინის, ხანაც სიძვისავ!...
ჯაყის თაღებში შეფრენილო მზვე და სიბნელევ,
სანთლის წვეთივით დაღვენთილო იმედის წვეთო,
რვაასწლოვანო, ეკლოვანო გზათა სიბნელევ,
უმეცართაგან დამცრობილო გენო და ღმერთო!...
ბალავნის პეწში ჩარჩენილო ლომის ქანდაკო,

ეშვთა მომტკვრევით სიძვის ქამთა თეთრო
ხარებავ.
მესხეთო ჩემო, ულვიძარო სულო ქადაგო,
შენ, საფიცარო, სანუკვარო და სახარებავ,
შემინდე, შენი მონატრების სულს ვეკვნესები,
შენი დიდება უკვდავებას ერისას ერთვის.
ისე გამძლე და მდიდარია შენი ფესვები,
როგორც თამარი, როგორც შოთა და ნება
ღმერთის.
შემინდე, შენი მონატრების სულს ვეაჯები,
თუ შენს ქვახატზე შემეპარა სურო ვიწყების.
მე დიდჭართველო, შენი გენით, სავსე მაჯებით,
შენთან ვთავდები და ისევე შენთან ვიწყები.
დგახარ მოწყენით ბებერი და მაინც მოზავთე,
თვალებჩამქრალი და სიმართლის მაინც თემიდა.
ბევრი მძულვარი შენს ლიბოსთან მოცხრენ,
მოზავდნენ
ცოდვამდიდარნი ტერფებამდე ბინძურ თხემიდან.
შემინდე, თუ კი შენზე ძვირი წაიასპიტეს,
ვერ გიპატრონე და ვერ გეკმენ ხმალად ნალესად.
ისე დიდია შენი გული, ვიცი, დაიტევს
მონარჭის შხამსაც და მირონის სიანკარესაც!
მესხეთო ჩემო, ბასტიონო ოდეს ნათელო,
სახელი შენი ტკივილია ქვეყნის მარადი.
შენი იმედის ძელზე იდგა მთლად საქართველო,
თვით იმსხვრეოდი, ჯვარ-ხატივით მას იფარავდი.
შემინდე, ქვებში შემონახულ სულს ვეაჯები,
ფრთა მონატრების ჩიტივით რომ ვერ მოგახალე.
ჯვარი გეწეროს, გაგიმთელოს ზენამ ფანჯრები,
ჯვარი გეწეროს, შენს კურთხევად თავი დავხარე!!!

მაჭახელა[1]

„ვდგავარ იქ, სადაც უნდა ვიდგე“
ასლან აბაშიძე.

საუკუნის მეჩქერება შუქი გულზე
და სიყვარულს ისე ვიხდი ყველა ვალში.
მონადირეს შველი მუდამ ნატვრით უმზერს,
მაშინაც კი, როს უმიზნებს სიკვდილს თვალში.
ოაზისზე ვის უვლია კევრით ოდეს
ვაი იმას, ვინც ვერ არჩევს არწივს ყორში!
არასოდეს, ბატონებო, არასოდეს
მაჭახელა არ გუგუნებს ძმათა ომში.
გიჟის ხალათს ნუ ჩააცმევთ გაჭრილს ველად,
ჩააგონეთ, გადუშალეთ ძმობის წიგნი.
ძმათა ომში არ გუგუნებს მაჭახელა,
მაჭახელა არ ბობოკრობს ძმათა ომში.
მაჭახელი პირმეხდება ცეცხლის ტალღით
საქართველოს საზღვრებთან და იმის გარეთ.
ქვეყნის შიგნით ნამუსია იარაღი,
და ამ ნამუსს, ბატონებო, მოუარეთ.
მოუარეთ! ამას ბრძანებს გოდერძიდან
ისტორიულ საქართველოს შუაგული.
ტაო-კლარჯეთს, ტბეთს თუ ხახულს მოძებნიდა
დიდი ჭკუის ბაზიერი დაკარგული.
მოძებნიდა!
დანარჩენი ზღაპარია,
საშიშია, მათხოვარი როცა ქველობს.
აქ ვდგავარ და ის საგანძე მაბარია,
რითაც მუდამ ამაყობდა საქართველო.
მაბარია!
ქვეყნის შიგან მოშურნეთა
დასალახვრად და წინაპრის სასახელოდ.
მაჯებიდან სისხლის წვეთი ახლაც წვეთავს,
რომ ლამკირი გავუმაგრო საქარველოს.

1 ისტორიულად ცნობილი და აღიარებული თოფი, რომელსაც აკეთებდნენ ხელვაჩაურის რაიონის მაჭახელის ხეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა-ფშაველას ძეგლი ზღვისპირას

უზენაესი პოეზიის ამონამძიეო
და წყაროსთვალო უწმინდესი მთების წყაროსი,
დიდო ვაჟაო, არწივეთის დიდო არწივო,
ამ ზღვისპირეთზე გაგიცცლია მთების ტაროსი.
რად ჩამოფრინდი?! მადლიერი გაზლავარ გარნა!..
ხომ არ გგონია აქ ბერთვისი, შატილი, არშა?
გუშინ შემომხვდნენ გოგოთური, აფშინა,
ფარნა, —
ღვთის გულისათვის გვასწავლეო, სად არის ვაჟა!..
მერე მობრძანდა ლუხუმი და უკლებლივ ყველა,
სალამ-ქალამი ათინათეს ფირუზ-ხვითურად.
მერე ცხენდაცხენ შემოიჭრა ბრიალა ლელა
და ზღვის შიშველი ქალშავები გააბითურა.
დასცხრენ ტალღები, დაიოკა ზღვამაც წადილი
და გაიტრუნა ნაგუგუნარ-ნაზანზარები.
ოლიმპოს გავდა ყოველი მთა ახლა ამ დილით
და აქ, ბათუმში, გაისმოდა ტაოს ზარები!
რეკავდა ტაო, არტანუჯი,
ართვინი, ხანძთა,
მონატრებული უცისფერესი სულის ეროსი.
ისმოდა გმინვა სიავეამით დაკარგულ
განძთა, —
საქართველოს მკერდს შოწყვეტილი საქართველოსი.
და შენ ოდესმე აფოფრილი მთების არწივი,
ფეხზე გკოცნიდნენ ზღვის ტალღები ნაზანზარები.
თვით სულიც შენი ზანზარებდა, — ღმერთის ნაწილი
და განუწყვეტლად გუგუნებენ ტაოს ზარები.

1990

ჟამთსაბრუნავი

(ციკლიდან „დროო მკურნალო“)

ახლა აქედან ჟამთა ჟამს ვუმზერ, —
გზებს, ნაბიჯებად დათვლილ არშინებს.
ყოფნა-არყოფნის თუ ვდგავარ ზღურბლზე,
მაშ, მწუხრის ზარი რად არ
მაშინებს?!
დროო მკურნალო!
რწმენის ღვთაებას
ვვედრი, შეგნდოს თუნდაც მცირედი.
თორემ ეკლებზე თმებით დაება
ლოდინი, ნატვრა, მზე და იმედი!
ნუ გამითელავ ფერების იმედს,
ამიწკრიალე ნდობის ფანჯრები.
გაწყალებისგან გადამირჩინე
რვაასწლოვანი ჩემი მაჯები.
ამჯერადაც თუ ვეღარ მიშველი,
სამუმი თუკი კვლავ მომედება,
იმედი ჩემი, სული შიშველი,
კედელში მსხვერპლად ჩაიქედება.
ათეულ წლობით მეწვა სხეული, —
შველა უნდოდა დაცემულ ირემს.
დასტურ მკურნალი თუ ხარ სნეულის,
მარქვი, ამდენ ხანს რად მაბოქირე?!

სიმართლე

მაგიური თვისება აქვს სიმართლეს,
მისით ქრება წიბოები შურისა.
იმავ წუთში, იმავ საათს, იმავ დღეს
იკურნება სნეულება სულისა.
ცისკრისფერი კულულებით შემოდის
ქალწულებრივ სიწმინდეთა ნათება.
დამშვენდები, ვისაც ოდეს შვენოდი
უნეტარეს კელაპტრებად, სანთლებად.
სამკურნალო მაგია აქვს სიმართლეს,
გრძნეულების ხვითოსავით ელვარე.
იმავ წუთში, იმავ საათს, იმავ დღეს
შემოიფრენს სული ენების მწვერვალებს.
აენთება, აანთებს და ილამებს
მარგალიტი აადუღოს სინათლის.
მომაჩქერეთ თუნდაც ერთი დილა მე
თვით ღმერთამდე ამაღლებულ სიმართლის.

1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი ირემი

აქ ბალახობენ თეთრი ირმები,
ნიმფებისაგან ნაჩუქარები.
აქ ერთი გოგო ოქროს სირმება
მოფართქალდება ფეხაჩქარებით.
სურნელი ათრობს, ხიბლავს ძალიან,
რომ ადრე დგება თიბათვე წლეულს.
ეალერსება ირემს ხალიანს,
ირმების ჯოგში ერთს გამორჩეულს.
სურვილებს გაშლის ვარდის ბუჩქებად,
ყელზე ეხვევა, ვარცხნის თითებით.
ნაზდება, თვრება და იფურჩქნება
მამრი ირემი გულმორჩილებით.
თეთრი ასული საოცარ ეშხით
თმაქარაშოტა სრბოლას აპირებს.
ჩაეჭიდება ქორბუდას რქებში
და ოცნების გზებს გაინაპირებს.
ცას გაეკვრება ნახტომი ირმის,
როგორც ჩუქურთმა ქართული სულის.
ქვეყნიერებას რომ შემოივლის,
ბედნიერება ეწვევა სრული.
მერე ქორბუდა ამაყად დგება
და მობრიალე წყლიან თვალებით
ამბობს, რომ ათრობს ქალთაგან ქება
და გასაოცრად უყვარს ქალები.
ლტოლვის ღმერთია მისი მიზანი
და აყღერდება ხმათა ზარებად.
ირმის სახეში მე რომ მიცანით,
ამაში ეჭვი არ მეპარება.

1990

***

მოველ ნათმენი ენების ღირსებით,
რომ გაგიმხილო ყველა ალიბი.
ჩემი ალერსით კიპარისები
როგორ გადიქცნენ ლამაზ ქალებად.
ჩემი ალერსით ჩუმი მხეველი
როგორ აენთენ ენების ცალებად.
ჩემი ალერსით ალვის ხეები
როგორ გადიქცნენ ამორძალებად!

მოველ ნათმენი მოუთმინარი
თეთრი ენებით და თეთრი მითებით.
შენი ლომი და შენი მქინარი,
შენს ხეობაში ნაბუღრავები.
მოველ ნათმენი მოუთმინარი
და შენი თმების ხლართში გავები,
შენი ხარლაღი და გამხედნარი,
შენს ხეობაში ნაბუღრავები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით თედორაძე

ალმაშენებელი

უკვდავებისთვის ეყოფა ცხრა ერს
დავითის მეფობა!
მეფე
აფხაზთა,
ქართველთა,
კახთა,
ხომეხთა,
რანთა,
ხსვას,
ხსვას ვის ყავდა
თუნდ მაშინ
თუნდ ხსვა დროს ქართველთ გარდა!
დავითმა ხმალი იშიშვლა,
მტერი გაფუჭდა შიშისგან!
გადაირბინა
ტაოსკარი
თურქის ლაშქარმა,
ვით ტურის ჯოგმა
ძუ ავაზის დრენით დამფრთხალმა.
უკუქცეულმა
სპარსმაც
შარა გაავერანა
და გაიშალა,
ადორძინდა ქართველთ ქვეყანა.
აგო ტაძრები,
ხანაგები,
გზები,
ხიდები...
კაი დრო იყო,
საქართველოს ხენობდნენ დიდებით.
უკვდავებისთვის ეყოფა
ცხრა ერს დავითის მეფობა!

***

ახლა როცა საქართველო
მზრუნველებით გავხილია...
ნეტა კაცი შემაზვედრა –
მათქმევინა ჰგავს ილიას –
თუნდაც ძმათა შეგონებით,
თუნდაც "ქვათა დადადისით",
თორემ მტრების გასაზარად
ქართველებში რა არ ისმის.
ეჰ, როდემდე ვიკეკლუცოთ
სიტყვით გულზე დასაქარგით,
ნეტა კაცი შემაზვედრა –
მათქმევინა ჰგავს აკაკის,
თუნდ ჩონგურის აკვნესებით,
თუნდ ბრწყინვალე "განთიადით",
თორემ მტრების გასაზარად
გავბრიყვდით და გავტიალდით.
მადლის ხიბლი დაგვავიწყდა,
ღმერთს ვთხოვთ ცოდვა გვაპატიოს...
ნეტა კაცი შემაზვედრა –
ვთქვა: როგორ ჰგავს გალაკტიონს –
თუნდ ნადველის გულში ფარვით
თუნდ მამულზე მწუხარებით,
თორემ მტრების გასაზარად
მოგვიმრავლდნენ გულხარბები.
ჩვენო დიდო წინაპრებო,
თქვენი ნიჯი მოგვაშუქეთ,
რომ მძის ხატი არ დავკარგოთ,
რომ იცხოვროს ერმა უკეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყევლა

ვინც საქართველოს უორგულებს
ცაც გაუშავდეს,
წყალიცა!
ვინც საქართველოს უორგულებს
ცოლიც გაუბაზდეს,
ქალიცა!
ვინც საქართველოს უორგულებს
სულიც დაუბრმავდეს,
თვალიცა!
ვინც საქართველოს უორგულებს
ხორციც დაეწაცროს,
ძვალიცა!
მადლი არ ედირხოს,
უმადურმა
ყვავი და ყორანი კვებოს,
დედა გველს შეაჭამოს,
მამის სიხზლით
თმა-წვერი შეიდებოს!
ჩაძადლდეს მისი ნამიერიც
უწყლოდ,
უდაბნოს ხანძრითა,
გვარიც წაბილწული,
ჯიშიც წაბილწული,
იხსენიებოდეს დვარძლითა!
ვინც საქართველოს
უორგულებს...

ვის მოვაწონო თავი

რაც უნდა ვირი მომკერძო,
ბილწთ არ შავეკვრი ზავითა:
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა...

ვაჟა-ფშაველა

ვის უნდა ვენდო,
რომ ადარ ვიცი –
ადარც ვიცინი, ადარც ვტირივარ,
სული სიმშვიდეს
ერგვმი ჰპოვებს.
მომრავლდა
დამსმენი,
მომრავლდა
ჩამშვები,
ქაჯიც ვერ ამოხსნის
რისთვის ან ვის გამო
გაგაბითურებენ პოეტს.
ის, ვინც რაინდად გამეცნო,
დამმოძღვრა,
მაიმედა,
რაკი შეპირდნენ ჩინ-მედალს,
იდედლა,
გამიმეტა.
ამათ ამქარში
გაზრდილმა
ვის მოვაწონო თავი,
მადლობა უფალს,
არა ვარ
ბილწთან შეკრული ზავით!

საქართველოს მზე გვეხატოს გულზე

მისი იყოს გამორჩენის სიხარული,
ვინც ლოზუნგობს შეზლონგების
გულისთვის,
მე მოვკვდები საქართველოს
სიყვარულით,
არც რას ველი დედის სამსაზურისთვის.
ვტკბები მზით და მლიცველიცით უხმაუროდ
ვმსაზურებ და ვუნთებ თაფლის
სანთელს,
შენ დაიხსნი ჩემს სამშობლოს,
სიყვარულო,
შენი მადლი არ მოაკლდეს ქართველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირჯვარს ვიწერ, საქართველო
უკვდავია,
ასე მწამს და ასე სწამდათ ოდით,
ჩვენს მამულზე მტრებს უჩვენოდ
უდავიათ
და ჩვენს ბედზე სულ უჩვენოდ
ბჭობდნენ.

ახლა, როცა ცა გაიხსნა
ვარდისფერად,
ახლა, როცა ღვთიურ ნათელს
ვუმზერთ,
თქვენ მოგიძღვნით ლადი სულის ამ
სიმღერას –
საქართველოს მზე გვეხატოს გულზე.

როცა წვიმები ამირბაროზენ

წვიმს –
ბათუმს წვიმა როდის უკვირდა,
ცა წარბის გახსნას არც კი აპირებს,
ამოაგორე, ცაო უბიდან
მზე – სიხარულით რომ ამატიროს.

რომ მოილხინოს ჩემმა სტუმარმა,
და ზღვას დარდები მიასამაროს,
რომ მიატოვონ რეტრო ქალებმა,
ივნძელონ და იასამანონ –

ამოაგორე, ცაო, უბიდან
მზე და სიცოცხლეს მიეც ხალისი,
დაბრუნდებიან სიყრმის სიზმრები
და სიყვარულიც მოვა თავისით.

მაგრამ ვის მისწვდეს
სიბრძნე სურვილთა,
როცა წვიმები ამირბაროზენ,
ამოაგორე, ცაო, უბიდან
მზე და ქალაქი ამიგალობე!

ნეტა ამ დღეებს მკვდარი ვენახე

ჩემს წუხილს ალბათ გაიგებს სხვებიც,
ალბათ იმათმა სულმაც იწვალა,
როცა იცნობას შეაჭრეს ფრთები,
როცა იმედი გარდაიცვალა.

მე ხშირად ვგავარ შვილმოკლულ მამას,
ცრემლს რომ მალავს და სულში ედვრება,
ყოველდღე ახალ ტკივილით მშხამავს
ქვეყანა – ხელთ რომ იგდეს რეგვნებმა.

ყურთა დაბშობა სჯობს მის ძაგებას,
თვალთა დათხრა სჯობს ახალ ბაზალეთს,
მაინც რა მოხდა, მმობის მაქებართ
ასე ერთურთი რით შევაზარეთ.

დარდმა გამხრა და სისხლიც გახვედა,
ნეტა ამ დღეებს მკვდარი ვენახე,
ოდონდ, მამულო, ყრმა რომ გხედავდი
ისე მყოლოდი და შემენახე.

ლეონიძეები
ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ არ მოსვლა მერჩია

რამ შემქმნა ადამიანად,
რატომ არ მოველ წვიმადა
ვაჟა-ფშაველა

დალოცვილ ვაჟას უთქმია –
რატომ არ მოველ წვიმადა...
მე რა ვთქვა, როცა მას შემდეგ
სიგლახემ ასჯერ იმატა.

ქვეყანა არეულია
და ყველგან შხამი თესია,
და უმტკიცებენ ძმები ძმებს
ვინ ვისზე უკეთესია.

სამოვრად უნდათ სამშობლო
ნაზვეტ-ნაძარცვით ტკბებიან,
ხალხს აბრიყვებენ, მშრომელ კაცს
სიმშვიდე მონატრებია.

ლიქნმა კაცობა წაბილწა
და პირფერობამ დირსება,
ქვეყანა გმირთა, რაინდთა,
ქურდბაცაცებით ივსება.

გამკითხავს სადღა შეხვდები,
ყველა კანონი მკვდარია,
ვის ეწადვლება რა გიჭირს,
რა გიმძიმს, რა გიხარია.

შე დალოცვილო, შე რა ვთქვა,
რას ამოვუდგე გვერდშია,
იქნება არ მოვხულიყავ,
იქნებ არ მოხვლა მერჩია.

დღეს მეფეს დავლოცავ

ძველი დვინო,
პურმარილი უხვად...
რომანტიკა,
რომანტიკა ბუხარია.
საქეიფოდ ვერ ავეწყვეთ, ვწუხვართ,
გულს არ უხარია, გულს არ უხარია.

აფხაზეთს რა უნდა?!
ოსი რას ითხოვს?!
ქართველი ქართველს ვიღასთვის
სწირავს?!

რუსთველის ქვეყანა,
თამარის ქვეყანა,
დამდგარა უფსკრულის პირას.

დდეს მეფეს დავლოცავ,
ბრძენსა და სხივნარევს,
ერისთვის მოდვაწე მამას,
გიორგის!
გიორგის!
გიორგი ბრწყინვალეს!
ურჩების დალოცვილ წამალს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სველი ზღარბები

გამთენიისას ამიტირა წვიმამ პალმები,
დალაზვროს დმერთმა,
არ მინდოდა წვიმა სრულებით,
მიბაჯბაჯებენ ბინებისკენ სველი
ზღარბები –
ძილგატეხილი, უწყინარი დამის
მდგმურები,
მე საით, ვისკენ, რომელ ქუჩას უნდა
დავადგე,
ვის დავუტოვო სანაპირო ბადის სიმშვიდე,
არ გამოვიდა, ჩემებურად ვერ ვითამადე,
ქეიფი ჩაქრა, ვიდრე გულებს
გადამიშლიდნენ.
ელვა ანათებს გადმა სერებს, ექვხი დაიწყო,
ძინავს ქალაქს და ჩაძირულა ნისლში
ზღვისპირი,
მოვალ და გეტყვი –
ისევ დავთვერ, ვითომ რა იყო,
დავთვერ და ყრმობას,
ჩვენს სიყვარულს ისევ მივსტირი.
არ გამოვიდა კაი საქმე დვინის გარეშე,
ქართული დვინო... მის დამწურავს
ვენაცვალები,
ცხრამეტი კაცის სიყვარული მოვითარეშე.
ავები არა, გულკეთილი მიყვარს მოვრალები.
რადა ამადამ ამიტირა, წვიმამ პალმები,
დალაზვროს დმერთმა,
არ მინდოდა წვიმა სრულებით,
მოვდივარ შენსკენ, საყვარელო,
სველი ზღარბივით,
ამავსე ცრემლით, უძილობით,
საყვედურებით.

ირაკლის

შენ გაჩნდი,
შვილო,
რომ მე უარმყო
და ამომივსო სული ვარდებით,
ჯვარზე გააკარ ტკივილი ჩემი,
ქარებს მიუგდე ჩემი დარდები.

მისჯილი მქონდა სიცრუის შუამი
და სიყვარულის ფერფლით გართობა,
ბედნიერება მსტუმრობდა დამით,
მიჰქონდა ჩემი ახალგაზრდობა.

მაბრჩობდა ვნება –
მთვარის წაწალი,
სულს მიმდვრევდწენ და შველას ველოდი.
გრძნობა და სიტყვა გულს დასახალი
იწყება,
შვილო,
საქართველოთი!
შენც შეგბოჭავენ კოშმარულ სიზმრით,
აგიცახცახებს ბაგეს კრწანისი...
არ გამიცივდე ოქროზე ფიქრით,
ერისთვის ტანზე თაფლი წაისვი.

ერისთვის,
შვილო,
თუკი იცოცხლებ
ამომევსება სული ვარდებით...
ჯვარზე გააკარ ტკივილი ჩემი,
ქარებს მიუგდე ჩემი დარდები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

ბებელა უფრო დიდხანს ძლებს
ვიდრე ბათუმში თოვლი
და მაინც, მაინც
მიყვარს მზე
უპირველესად ყოვლის.
მომწონს
ქარების წივილი,
წვიმაც,
ხეტყვაც და
ბარდნაც...

და მაინც დიდი
ტკივილით
დამამხო მზეზე დარდმა.
მზეო, ამოდი,
გაბრწყინდი,
გამათბე,
გამალადე,
ბაღში ვდგავარ და
დარდს ვყიდი,
მყიდველი დამანახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ახვლედიანი

ნოველები

ბეჭარი და ლომა

ყველაზე ძლიერი მხეცი რომაა, ჩემო შვილო და დირეღო, ნადირთა მეფეს რომ ეძახიან, თუ მაძღარია, საკბილოს არ ერჩის, ეს საკბილომაც იცის და მაძღარი ლომის ცხვირწინ ბალახობს გულმშვიიიდდ. აპა, ისე, ხოშის გულისათვის რომ დაერიოს თავის ქვეშევრდომთ, ხვალ მშიერი დარჩება. სამეფოს გარეშე დარჩება მეფე. მაშინ ხომ მეფედ აღარ იქნება. პირიქით, ზრუნავს კიდეკაც, რათა მის საბრძანებელში ნადირი გამრავლდეს, მოშენდეს და გასუქდეს. ამითანაი ჭკვიანია ლომი. მეფეს მარტო ძალა კი არა, ჭკვაც უნდა, ჩემო შვილო და დირეღო.

დანისპარაულში ვცხოვრობ მე. გაგიგონია? დანისპარაული თუ გაგიგონია-მეთქი. მთებს გამოკვაჭებული სოფელია. მთებსა და კლდეებს. იმის იქით, რომ იტყვიან, მამალი არ ყივის. მარა, კაააი სოფელია, შვილო და დირეღო. მეზობელი ოჯახი მყავდა ერთი. შვილები ქალაქში წავიდნენ, მიატოვეს ბერ-დედაბერი, ოჯახ-ბუჯაღი და დასახლდნენ ქალაქში. ერთხანს დაცუქცუქებდნენ ეზო-კარში მოხუცი ცოლ-ქმარი, უვლიდნენ ბაღ-ბაღჩას და ერთმანეთს, მარა მალე ესენიც მოკდნენ. ჯერ კაცი, რაღაც თვენახევრის მერე — ქალი. დარჩათ ძაღლი. ადრე, სანამ პატრონი ჰყავდა სახლს, ერთი ჩვეულებრივი ოთხფეხი გვეგონა, მერე...

ზოგს ადამიანი უნდა ერქვას და იმას ძაღლი, სამართლიანია ეს? სამი წელი გავიდა მას შემდეგ. ახლაც იქაა. დარაჯობს სახლ-კარსა და ყანა-ბაღჩას. ხან ერთი, ხან მეორე შვილი ამოვა ქალაქიდან ორ-სამ კვირაში და ამოიტანენ საჭმელს. ჩამოკრეფენ ხილს და ჩაყრიან მანქანაში.

უნდა ნახოთ ერთი, რა დღეშია ი ძაღლი. სიხარულისაგან რამდენიმეჯერ შემოურბენს ეზო-კარს, ყეფს და დარბის, დაკუნტრუშობს, მალაყებს გადადის. მთელ სოფელს ამცნობს, ჩემები მესტუმრნენო. მართლა უპატრონო კი არა ვარო. მერე სტუმრები ჩამოჯდებიან ეზოში და გაყუჩდებიან. ერთმანეთს არიდებენ ნაღვლიან მზერას. ძაღლიც მათ წინ გაწვება, თათებზე თავს დადებს და ატირდება უხმოდ.

სხვადასხვაა მათი სადარდებელი, ჩემო შვილო და დირეღო, ძაალკან სხვადასხვა.

ქალაქელი სტუმრები — მშობლიური სახლ-კარს ნაღვლობენ.

ძაღლი კი... საკუთარ უპატრონობას ტირის — ჰა!

მერე დაუტოვებენ ძაღლს ორ-სამი კვირის სამყოფს, ერთხელ კიდევ ამოიოხრებენ და გაუდგებიან ქალაქის გზას.

გამოზოგვით, მიცუცქებ-მიცუცქებით ჭამს ძაღლი თავის სარჩოს და დარაჯობს სახლ-კარსა და მამულს, კაცისაგან მიტოვებულს. გეიგონეკი, ჩემო შვილო და დირეღო, რაც გითხარი?

კი მიხთი, მარა არ გინდა გაიგო, მურვან-ყრუსავით ხარ. იმ ჩვენი ცოდვის საკვესე, ყრუს თურმე იმიტომ კი არ უწოდებდნენ, რომ არ ესმოდა. აპააჰ! ეშმაკი იყო, ჭო, ეშმაკიიი... თან ბოროტი. რის გაგონებაც არ უნდოდა, ვერ გააგონებდი.

საბარგო მანქანა რომაა, დი-იდი, „კამაზი“, იმის კაფინაში ვიჯექით მე და შოფერი. დიდი ხნის ამბავს კი არ გიყვები, აგერ ახლა იყო, ერთი თვის წინ. მესამე — ლომა. სოფლიდან ბათომს მივემგზავრებოდი. ბადიშებთან. მომენატრა და იმიტომ. უფროს

შვილიშვილს ელგუჯაი ქვია. გეცოდინება. ფირმა აქვს ახლა, თვარა ადრე მასწავლებელი იყო. იმის... ფიზკულტურის. თხუთმეტი წელი ასწავლა ი ფიზკულტურა. ავარჯიშა და ავარჯიშა ბაღნები. საქართველოს პირველობაზეც ჰყავდა ერთი-ორჯერ. ახლა ფიზკულტურისათვის ვის სცალია, შვილო და დირეღო. მაი გაკვეთილები საერთოდ არ ტარდება. ამოიღეს ცხრილიდან. ჰოდა თუ არ ჩატარდება, ფარას ვინ მოგცემს! სადაც საჭირო და აუცილებელია, იქ ვეღარ იხდის თავრობაი და ტყვილად მოგცემს? არ გედეირიო, ჭო! მერედა, რომც მოგცეს, გეყოფა? ადრეც არ ყოფნიდათ, მარა სულს იბრუნებდნენ. ახლა მასწავლებლის ხელფასით, ჩემი შვილო და დირეღო, ერთ კილო პანტა მსხალს თუ იყიდი. არადა, ქალ-ბაღანას რჩენა უნდა. რა ექნა. იფიქრა, იფიქრა.. ისე, კაი თავიანი გამოდგა ელგუჯაი. ეშმაკია, უუ!.. ჯიბიდან გაგარდნილი. იმისთანას იტყვის და გააკეთებს, მაშინვე თუ არა, მერე მაინც შესრულდება. იმიტომ რომ წინ იმზირება. ისეთია, თვალებიდან ბეწვს გამოგაძრობს. ჰოდა, ამ ცხოვრებას ჩამორჩებოდა? ფიზკულტურის მასწავლებელი იყო, ახლა ბუზ... რა ჰქვია, ჭო, იმას? ბუზ... მესმენია. ბიზმესმენი? არც ასე? აპა, როგორ? მეც მასე არ ვამბობ?.. ქვაზე რომ დასვა, ჭო, ტიტველ ქვაზე და უთხრა, ე ქვა შენიაო, ოქროდ აქცევს. საიდან გამოგვივიდა ამფერი ბუზ... ისა, წედან რომ ვთქვი... მე — ბლაყვი. თოხისა და ლაფათკის გარდა, არაფერი რომ მინახავს ცხოვრებაში. ჩემი ქალი ხომ თლაია ბენტერაი. დანისპარაულს იქით თუ სოფელია კიდო, მგონია არც იცის.

ჰოდა, იმას გეუბნებოდი, შვილო და დირეღო, ბათომს მივემგზავრებოდი-მეთქი. ი შოფერიც მაშინ გავიცანი. კააი ახალგაზრდა იყო. მაშინვე მომეწონა... მთავარ გზაზე გავედი და გავჩერდი, რაიმე ჩამოივლის და გაკყვები-მეთქი. გადის ათი წუთი, ოცი, ნახევარი საათი... მანქანის ჭაჭანება არ არის. ადრე იმითანაი მოძრაობა იყო, იმი-თანაი, მეორე მხარეს ვერ გადახვიდოდი... უცებ, გამოჩნდა ერთი. ვუქნევ ხელებს. შენც არ მომიკვდე. უწინ, იმ დაწყეველილ-დაფსილი კომუნისტების დროს, ჩვენს სოფელში ავტობუსი დადიოდა. დღეში სამ რეისს აკეთებდა. ახლა ჩვენსავით მიგდებულ სოფელში კი არა, შიგ ქალაქშიც არ დადის თურმე ავტობუსები. ეჰ, რა დრო მოვიდა... აგერ, მეორე... იმასაც ვუქნევ ხელებს. გაჩერებას ვინ ჩიკა, ჭო, ჩამიქროლა და ტალახი მომაშხეფა.

ვდგავარ ოთხმოცს გადაცილებული ბერიკაცი... თეთრწვერდაფენილი... ვი-�დი. ის იყო, ხელი ჩავიქნიე და უკან დასაბრუნებლად შევტრიალდი, რომ როხროხაი ხმა შემომესმა:

— დედეე, საით?

— ქალაქში, — ისე გამიხარდა, რომ ტანზე ადრე სულმა გამისწრო მანქანისაკენ... ფეხები ამებორკა და წავიქეცი.

მომვარდა ი როხროხაი. მაშინვე მომვარდა, დამავლო ხელი და ბაღვივით ამიტაცა.

— რამე ხომ არ იტკინე, დედეე?

— არაფერი, შვილო და დირეღო, არაფერი მტკენია.

ასე ატატებული ჩამსვა კაფინკაში.

— თუ გინდა, ბაბუს დაგიძახებ.

— შენ როგორც გინდოდეს, შვილო და დირეღო, ისე, ჩვენთან, მთიან სოფლებში, დედეა მიღებული.

— ვიცი, მაშინ მეც მასე მოგმართავ.

ჰოდა, ვიჯექით იმ დიდი მანქანის კაფინკაში მე და ი როხროხაი, მესამეც — ლომა.

კاا�о სოფელია დანისპარაული. მართლა არ ყოფილხარ? ე რა მითხარი, ჯი... ეს... მოგიწონე მაგი. თუმცა, რომელი სოფელია ცუდი ამ ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში. ამისთანაი მიწაზე იშრომე და იცხოვრე, შვილო და დირეღო, იშრომე და იცხოვრე. მარაააა... არ გვინდა. ხალხი ვართ სხვანაირი, მეტი იბრეთი და იმიტომ. რა მითხარ? აფერია, დაწყვება ყოლიფერი? ვითომ? სხვასაც სჭირვებია ასეო, რომ მებნევი, არ მესმის მაგი. იმ სხვისაგან არ უნდა გვესწავლა? მარტო ჩვენ რომ დაგვმართოდა, კიდევ ჰო, მე თუ ვხვდები, სიბერისაგან გამოჭუჭუნებული ბერიკაცი, უმაღლეს დამთავრებულებს, მეცნიერებს, პრაფესორებს, არტისტებს რა მოგივიდათ? ა? რაღა აფერი, ოქროსავით ბიჭები და გოგვები ჩაწვენ მიწაში. რომ ჩაკუფიქრდები, ცეცხლი მომეკიდება. ეროვნული მოძრაობაო! რა გაკეთდა ხალხისათვის? ერთი მაინც მითხარი, ერ-თი! ა, ამხელა, ნეკის ფრჩხილისტოლა თუ გაკეთდა მაინც? ერთმეეთის ხოცვაა ეროვნული საქმე? ერთმანეთის?! ქურდობა, ბანდიტობა, გუუტანლობა, ნამუსის ახდა, სკამითვინ ერთი-მეორის გამეტება, შვილო და დირეღო, სკამი-თვინ! თფუაი! ჩემი ძველი ჯორკო მირჩევნია მთელი დუნიის მაგითანაი სკამებს. ვისი ბრალია ე ყოლიფერი, შენ გეკითხები, განათლებულს, ხალხში გამოსულ-გამოჩენილს და მიპასუხო უნდა. ვალდებული ხარ და იმიტომ. იქნებ ისევ იმ თართქალი გოგო-ბიჭების? თუ მათი დამწვარ-დაუთოქული მშობლებისა და საბედოების? იმიტომ გასწავლეთ და ხალხში გამოგიყვანეთ, რომ გვიპატრონოთ, თუ ქვეყანა დაიფსოთ? შენი ბრალიცაა ე ყოლიფერი, აპა, რა ბბონია, შენიც. თლა ჯელიც აღარა, ხარ, შეჭაღარავებულხარ უკვე.

მაპატიე, შვილო და დირეღო, ასე რომ ბელაპარაკები, მარაა... რომ ვუყურებ ამ ერთ დროს ლამაზ ქვეყანას, გული მეჭიჭკება. უმეტესად მაინც იმ ჩვენი არჩეულების ბრალია. ბედი არ გინდა? ჰი—ჰიიი!... ყველა იმფერი როგორ შევარჩიეთ მაინც... ვუყურებ მათი სხდომების გადმოცემას და... თუმცა ახლა ველარც მაგას ვუყურებ, სადაა სინათლე... ვუყურებდი და ვფიქრობდი, ყველა ამფერი... იბრეთი რაფერ შევარჩიეთ-მეთქი. მაგასაც ნიჭი უნდა. დუნია რომ შემოიარო, მთელი დუნია, ჩვენს პარლამენტში რომ არიან, ისეთებს ვერ ნახავ. ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ და ლაპარ... მარა რას ლაპარაკობენ, ხებერი აქვთ? მთავარია იქაქანონ. მარტო მაგით საქმე გაკეთდება? კი, შვილო და დირეღო, ორი სამი ჭკვიანიც ურევია, მარა ვინ უსმენს?

რა თქვი? ისევ ჩვენი ბრალია?

კი ბატონო, იყოს მასე... მარა... თუ გახსოვს, არჩევნებისათვის მზადება რომ დაიწყო და ატყდა და ატყდა ერთი ჰაი-ჰუი! არიქაო, ყველამ მრგვალ მაგიდასნა მისცეთ ხმაო, გახსოვს? ასეა საჭირო, თვარა დავიღუპებთ, დავიფსობითო, გახსოვს? სახლებში დადიოდნენ, გზებში დადიოდნენ, ყანაბაღჩებში დადიოდნენ. ღღისით დადიოდნენ, ღამით დად... ღმერთი არ გაგიწყრეთ და სხვას არ მისცეთ ხმაი, რაც მოხდება, თქვენი ბრალი იქნებაო, ვინ გვეუბნებოდა ამას?

მარა, შენ რომ ხმაი მიეცი, მერე, ე რა ვქენიო, ამითანაი შეცდომა როგორ მომივიდო და, თოფი ესროლე, ზარბაზანი ესროლე, ბომბი ესროლე... თანაც სად ჩემო შვილო და დირეღო, ჩვენი დედო თბილისის გულისგულში, რუსთაველის ქუჩაზე, რაფერ მოგივიდა მაგი? იმ შეცდომას რომ დიდი დანაშაულიც მიაყოლე, იმიტომ ვართ ასე. რუსთაველის ქუჩაზე, ჭოოო!... ორ-სამჯერ მეც ვარ ნამყოფი თბილისში და მაგ ქუჩაზე უსულ-უსულ, ფეხის ცერებზე მივლია... ი თოფ-ზარბაზნები უნდა შემოგეტრიალებინა და საკუთარი თავისთვისნა გებუთქა.

ამას ისე ვამბობ, საცა სამართალია-მეთქი, თვარა სული რომ მწარეა, ყველაფერ ვიცით, ჰოდა თავს თუ ვერ მოიკლავ, ნურც სხვას უბათქუნებ. მე ჩემს გუმანს გებნეკი. მარაა, მოსმენა თქვენ არ იცით და დაჯერება, ე, ნასწავლი ხალხი, ერთმანეთს არ უსმენთ და მე მომისმენთ? ე-ეჰ!

ერთს კი გეტყვი და კარგად ჩაუფიქრდი, შვილო და დირეღო: ხალხური სიბრძნე რომ გვაქ — ზღაპრები, ანდაზები, ლექსები, სიმღერები, მთელ მსოფლიოს რომ მოსწონს, ჩემითანა მიწას მიბჯგენილ ხალხს შეუქმნია. სოფლებიდან მოდის, ჩვენი კლდე-ღრეებიდან მოდის, ყანა-მინდვრებიდან მოდის, ბუხრებთან გატარებული ზამთრის გრძელი ღამეებიდან მოდის. გეიგონეკი?!

ჰოდა, იმას გიყვებოდი, ვიჯექი მეთქი კაფინკაში. შოფერი ჯველი კაცი იყო, გულგახსნილი და როხროხაი. მხრები ჰქონდა — აჰა! ამერიკელი მოკრივე რომაა, ცნობილი, ჭო.. ჰო, გამახსენდა, უკაცრავად ნათქვამია... კასიუს კლეი, იმას ჰგავდა სულ. მოყვანილობაში და სიშავეშიც. თმებიც კუჭკუჭ-კუჭკუჭაი. ბექარი მქვიაო, შემოკლებით — ბექა. ცოლ-შვილი თუ გყავს? — ეკითხე. მყავსო. აპა, ამ ასაკში ან უნდა გყავდეს ცოლ-შვილი, ან... რაცხა ტენტი უნდა იყოვო. კარქათ ვერც მაგი... ჰო, ჰო, მასე თქვა, იმპოტენტიკო. გუმანით მიეხვდი, რას ნიშნავს. სამი ბიჭი მყავს, მამა ენაცვალოთ, სამი დუდღუნაიო, სამი გონგლიაო, სამი ბოკვერაო, სამი ჩხუბისთავაო... ჰო, კიდევ რაცხა თქვა... აღარ მახსოვს. ყველაზე კარქათ რომ თქვა, იგი დამავიწყდა სწორედ. ახლა გოგო ხომ უნდა იყოსო? იყოსნა, აბა, რა-მეთქი. ერთიცნა იყოს და ორიც-მეთქი. ორი ბევრიაო, ადრე არც მაგაზე ვიტყოდი ვარს, მარა დრო დადგა ცუდიო. იმედი მაქვს, გამოსწორდება ყოლიფერი, აი, ნახავ, თუ არ გამოსწორდესო.

მე, შვილო და დირეღო, აწი, რაღას ვნახავ. ჩემი კერძი ჰაერი კაი ხანია ჩავისუნთქე, ახლა სხვისას ვყლაპავ, სხვისას. თქვენი ჯავრი ნუ წამყვება და მე რა საფიქრალ-სადარდებელი ვარ. ეეჰ, იმისთანაი დრო დადგა, იმისთანაი, ძაღლი პატრონს ვერ ცნობს-მეთქი.

ამის თქმაზე ძაღლმა დაიწკმუტუნა.

რა მკითხე?

მანქანაში ძაღლი საიდან გაჩნდაო?

აპა, მესამეც ლომა იყო-თქვა, არ გითხარი? ძაღლი იყო ლომა. ისე მთელი ამ ამბის მთავარი და მთავარი ი მეცხვარის ჯიშის ძაღლია. ამ ხნის კაცი ვარ, რა არ მინახავს, რა გადამხდენია, ი-იმხელა ძაღლი პირველად ვნახე, ჭო. დიდი რუხი ღრუბელივით იყო. ნამდვილი ბომბორა. ჩემსა და ბექარს შორის იჯდა. შემომყეფა. მისი ხმა ზარბაზანივით გავარდა კაფინკაში. კინაღამ გული გადამიტრიალდა შიშით.

ბექარმა თაზე გადაუსვა ხელი:

—წყნარად, ლომავ, ნუ დაგვიფეთე სტუმარი.

მერე მე მომიბრუნდა:

— გაბრაზებული როცაა, მაშინ უნდა ნახო მაგის ყეფა. მეხთატეხა გეგონება. კბილებს რომ დაკრეჭს... ერთი, შეხედე...

— ე კბილები კი არა, ლომის ეშვებია, — მივუგე.

— წეღან ძაღლი რომ ახსენე, იმაზე შემოგეხმიანა.

— თავისი ჯიშის სახელიც იცის? — გავიკვირვე.

— ლომამ ყველაფერი იცის, დედეკ.

გამეცინა:

— შენ და შენი ნაგაზი... არ კი გეწყინოს... ისე გევხართ ერთმანეთს, ორივე დიდები ორივე შავები, შენაც რომ ლომა გრქმოდა, არ გამიკვირდებოდა.

— შენიშნე? — სიცილითვე მიპასუხა, — მაგი შენაც შენიშნე, დედევ? პირველად მაინც ცოლმა მითხრა, ჰე-ჰპეე...

— ყავ-ყავ-ყავვ!.. — აპყეა ძაღლიც. რომ შევხედე, თვალებს არ დავუჯერე: ადამიანივით იცინოდა, ყავ-ყავ-ვვ!.. იკრიჭებოდა, კიდამ გადავიქეცი სიცილისაგან.

— ე რა ძაღლი გყოლია, ჭო!.. რა იბრეთი!.. — ვამბობდი და სულს ძლივს ვითქვამდი. შევხედავდი რა ვემრიელად იკრიჭებოდა და ისევ მომასკდებოდა სიცილი. ლომა ხან მე შემეხედავდა, ხან ბექარს, იცინიანო და, თვალებმოჭუტვით ყავ-ყავ-ყავვ!... — თვითონვე გადაფიჩინდებოდა.

უცებ შეწყვიტეს სიცილი ბექარმა და ლომამ, შეთანხმებულებივით.

— ძაღლი პატრონს ვერ ცნობსო, შენ ამბობ, დედევ... რას ერჩი ძაღლებს. ისინი პატრონს ყოველთვის ცნობენ, სანამ პატრონები ცნობენ მათ. არა, აქაც არა ვარ მართალი. ძაღლი ყოველთვის ცნობს პატრონს, თუნდაც პატრონმა კინწისკვრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი მიპასუხა. გასაღები გადაატრიალა და ძრავა ჩართო. ნელა დაძრა მანქანა.

— ამას რომ უყურებ, — ნაგაზს თავზე ხელი გადაუსვა, — დიდი სიმძიმე აწევს გულზე. თავის დარდებში გახვეულს რომ ვნახავ, გული მეთუთქება.

— შენი ძაღლი არაა?

— ახლა — კი, ოთხი თვეა.

— მანამდე?

— ეტყობა, კარგი კაცი იყო მისი პატრონი. ცოცხალი არ უნდა იყოს.

— განიცდის?

— ჰო.

ლომას პატრონის კალთაში ედო თავი. უცებ ჟრუანტელმა დამიარა სხეულში. ტიროდა ნაგაზი. თვალებიდან ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

აღარ ვიცოდი, რა მექნა. სიტყვებიც ვერ გამოვნახე, შვილო და დირეღო. ვიჯექი და ველოდი. ვიცოდი, სათქმელი ჰქონდა ბექარს. მეტად საჩოთირო. ალბათ, ამიტომაც ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა. იქნებ არავისთვის გაემხილა ჯერ? მგონი ასე იყო. შინაგანი ხმა მეუბნებოდა. ამიტომაც არ ვჩქარობდი.

უცებ ლომამ თავი ასწია, წამოჯდა და გზას გახედა. შევამჩნიე, როგორ დაიძაბა. ბექარს მოხედა წამით და ისევ გახედა გზას. მანქანა სწრაფად მიქროდა თავდაღმართში. ლომამ დაიწკმუტუნა და საჭეს თათი ჩამოჰკრა.

— რაო, რა მინდაო? — ეკითხე ბექარს.

— წინ საშიშროებაო.

— საიდან ხვდება?

— აი, მაგას კი არ მეუბნება. ახლა მე სიჩქარეს მოვუმატებ. ვნახოთ, როგორ მოიქცევა.

ბექარმა ბერკეტი გადართაო და პედალს ფეხი დააჭირა. ნაგაზმა დაიღრინა და სახელოში ეცა პატრონს.

— გავიგე, კაცო, გავიგე, დაწყნარდი. აჰა, ნელა მივდივარ. — წინ კი ჯერაც არაფერი ჩანდა ისეთი.

— შეცდა, — ჩავილაპარაკე მე, — დღეს უღალატა გუმანმა.

ძაღლმა მომიხედა. წამით შეხვდა ერთმანეთს ჩვენი მზერა.

ახლაც მახსოვს ი შემოხედვა. ჯერ შევცბი, მერე შიშმაც გამკრა. მომეჩვენა, ცხოველი კი არა, ადამიანი მიმზერდა, ჭო, ოღონდ ცხოველის ტანში შესული.

დაახლოებით ნახევარი კილომეტრი გავიარეთ. ლომამ შეჰყეფა. ბოსახვევს გავცდით და დიდ ლოდს მივადექით. შუა გზაზე ეგდო. მანქანიდან ჩამოვედით.

— იმ კლდიდან მოწყვეტილა, — ვთქვი და ცაში ატყორცნილ შვერილს მივუთითე.

— რომ დაგეჯახებოდა, ბურთივით გისვრიდა ხეობაში.

— ნუთუ ხმაური გაიგონა?

— აკი გითხარი, დედევ, ლომა სხვანაირი ძაღლია-მეთქი.

ბაგირი გამოაბა ლოდს და გზის კიდესთან მიათრია მანქანით.

— ოთხი თვის წინ რუსეთში ვიყავი, — დაიწყო ბექარმა, —მანდარინი და ჩაი ჩავიტანე. თან ფირმის წარმომადგენელი მახლდა, ნიკო ბერიძე. კაი ბიჭი იყო. მანქანის მართვაც იცოდა. გზადაგზა მცვლიდა კიდევაც. დღეს შოფრობა ვინ არ იცის, მარა, ამ მანქანის საჭეს ყველას ვერ ანდობ. სხვანაირი გამოცდილება უნდა და იმიტომ. მე

პროფესიონალი მძღოლი ვარ და ვამბობ: მანქანის საჭე ყველასათვის არ მიიცემა. კაცი შეიძლება ნორმალური იყოს ცხოვრებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში, მაგრამ საჭესთან... მეზობელი მყავდა ერთი, კოკი ფერთელაძე. კარ-ფანჯრების უბადლო ოსტატი. საიდან არ მოდიოდნენ მასთან შეკეთების მისაცემად. ფულსაც ბლომად აკეთებდა. ნელა და გულდაგულ მუშაობდა.ვინმე რომ ეტყოდა, ცოტა დამიჩქარეო, იცი, რას უპასუხებდა? შენ ჩემო ძმაო, ცუდად გაკეთებული გდომებიაო, ცუდად სხვაგან აკეთებენ და იქ მიბრძანდიო. ასეთი კაცი იყო კოკი ფერთელაძე. მანქანა იყიდა, „ჟიგული“. მართვის უფლება როდის აიღო, არ ვიცი. ერთ დღეს, ვხედავ, მოაქროლებს ვიღაცა ჭაობისფერ მანქანას. მსუბუქ მანქანებს შორის გაძვრა-გამოძვრა, გაძვრა-გამოძვრა... კიდევ ერთს გაასწრო და ვხედავ, ჩემს გზაზე გადმოვიდა. მე ადრე ვიგრძენი ეს. ბევრად ადრე და სიჩქარეს ვუკელი, მერე გავაჩერე მანქანა. ძლივს ამიარა. ათითხუთმეტი სანტიმეტრით წინ რომ გამეჩერებინა, შემასკდებოდა. უხ, შენი-იი!.. ამის თქმა მოვასწარი და კოკიც ვიცანი. კიდევ კარგი, დროზე დავაჭირე ენას კბილი, თვარა შოფრების გინება, დე-დეეე!

იმ საღამოს სახლში დავიმარტოხელე და წყნარად, ლამაზად ვუთხარი, ძალიან სწრაფად დადიხარ, დღეს გადარჩი, იმიტომ რომ შემხვედრ მანქანას პროფესიონალი უჯდა-მეთქი.

— მაგაზე ნაკლები პროფესიონალის! — ისე დამიწირეხა, სტაჟიან შოფერსაც შეშურდებოდა.

— შენ, ბიჭო, კოკი ხომ ხარ? — ვკითხე.

— რატომ მეკითხები?

— იმიტომ, რომ შენი პირიდან გინება ჯერ არ გამიგონია.

— ეტყობა, შოფერი ვხდები.

— გინებით — კი. ჩათვალე, რომ უკვე ხარ. თანაც პირველი კლასის. იცი თუ არა, რომ ის პროფესიონალი მე ვარ? სიკვდილს გადაგარჩინე, ბიჭო, სიკვდილს, შენ კი მაგინებ? მეზობელი არ იყო, მე ვიცი. — ზურგი ვაქციე.

დამეწია. მკლავში ჩამავლო ხელი და ტანით მომეყრდნო:

— მაპატიე, ბექარ, გულში ნუ ჩაიდებ, თუ ძმა ხარ. პირობას გაძლევ, კუს სიჩქარით ვივლი.

რამდენიმე დღის შემდეგ, სწორედ ისეთსავე სიტუაციაში, შემხვედრ ავტობუსს შეასკდა... ახალგაზრდა ცოლი და ოქროსავით გოგო-ბიჭი დაობლა.

ჰოდა, იმას ვამბობდი, ჩემო დედეე, ხანდახან შემეცვლებოდა-მეთქი. ჯერ უჭირდა ნიკოს. ი-იმხელა მანქანის მართვა ადვილი არ არის, მაგრამ, ვხედავდი, თვალსა და ხელს შუა ოსტატდებოდა. ასე ჩავიტანეთ ი ჩაი და ციტრუსი დანიშნულების ადგილას, ვორკუტაში. იცი სად არის ვორკუტა?

— რა? — ვკითხე სიცილით, ვიფიქრე მომეყურა-მეთქი.

— ვორკუტა, ქალაქია ასეთი.

— იბრეთი სახელი ჰქონია, — ვუპასუხე. თან ეჭვით შევხედე, ხომ არ მაბლაყუნებს-მეთქი.

— შორსაა, დედეე, ძალიან შორს, ჩრდილოეთში... გავცვალეთ ჩვენი ტვირთი სასტამბო ქაღალდში...

— ე რა მითხარი, ჭო? ქაღალდითვინ გეიარე იმხელა გზა? ქაღალდი-თვინ?— ვკითხე ბრაზით, — ხალხს შია, წყურია, შენ კი ქაღალდითვინ ჩაიტანე ჩვენი ნაშრომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგრამი ერთი ვაგონი ჩაი და ციტრუსი?!

გაიცინა ბექარმა. მისებურად, როხროხით:

— შენ იცი ახლა რა ღირს ქაღალდი?

— თუ ძვირი ღირს, მით უფრო...

— კარაქისა და ბრინჯის შესახვევად კი არ მომქონდა, დედეე, წიგნები, ჟურნალები, გაზეთები უნდა დაბეჭდილიყო.

— ჰოო, მაგ სხვა ამბავია. აგერ, ოთხმოცს გადაცილებული ბერიკაცი ვარ , მარაა... კაი წიგნი ძალვან მიყვარს. გაზეთი საჭიროა. თუმცა ბოლო დროს ხებერი არ აქვთ, რას ბეჭდავენ, — მივუგე.

— დრომ მოიტანა მაგი, დედეე. ეშველება მაგასაც... ოჯახებისათვისაც ვიყიდეთ რაღაც რაღაცები... ჩვენთან ყველაფერს ცეცხლი ეკიდება, იქ ბევრად იაფი იყო.

— ყველა ჩვენ გვჯობს. დავღუპეთ ქვეყანა.

— ვხედავ, ნიკო ფეხს ითრევს. სახეზეც სხვანაირია, დამორცხვებულივით. შენ რაღაც გაწუხებს? — ვკითხე.

— ბექარ, კაცი ხარ და გამიგებ, ერთი სათხოვარი მაქვს.

— ჰე, თქვი ბარემ.

— ხვალ დილაადრიან ნუ გავალთ. რამდენიმე საათით გადავდოთ, ა?

— რატომ?

— კაცი ხომ ხარ-მეთქი!

— ვარ და იმიტომაც მეკითხები.

— ერთი გოგო გავიცანი.

— ვორკუტაში, ჭოო?

— რა, არ შეიძლება?

— ვორკუტაში, ჩემო ძმაო, ვორკუტელი ბიჭები დადიან, არ იცი მაგი შეენ?... ჰო, კარგი... ოღონდ თავი არ შეირცხვინო, იცოდე.

სიხარულისაგან შეხტა ნიკო. გადამეხვია და მოჰკურცხლა. ამ ღამეს ნუ დამელოდებიო, კარებიდან მომაძახა.

საღამოს ცხრა თუ ათი იქნებოდა, სასტუმროში დაბრუნდა.

— ?! — თვალებით შევეკითხე.

— ვერაო.

— რატომაო?

— ცოლად შემირთე და ისეო.

— ბიჭოს?! მერე — შენ...

— დავბრუნდები და შეგირთავ-მეთქი. ჯერ შემირთე და მერე დაბრუნდიო. ასე უცებ ვერ... — მეც ასე უცებ ვერაო, მომიგო.

— კაი გოგო ყოფილა, — ჩავურთე ბექარს.

— მეც სწორედ მასე ვუთხარი, დედეე, რას ერჩი, ნაღდი გოგო ყოფილა მეთქი. აგერ, ბიჭო, დერეფანში რომ მორიგეა, არც ტანი აკლია და არც ფეხი. მაგ საქმისათვის სული მისდის, ეტყობა...

— შენ საიდან იცი? — თვალები გაუბრწყინდა ნიკოს.

— გამოცდილება...

იმ ღამეს ვორკუტაში მიწა იძრა. რატომ იცინი, დედეე? მართალს გეუბნები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსბალიანი მიწისძვრა იყო. ზოგიერთ სახლს ბზარი გაუჩნდა.

— ჰი-ჰი-ჰიიი!... კაი ხუმარა ხარ.

— შენ იცინი, ჩვენ კი ღამის ორ საათზე ქუჩაში გავცივდით. იმ ყინვაში. დე-დეეე!.. ნახევარი საათი გავძელი. დავბრუნდი ნომერში თუ არა... ისევ აქანავდა ჭაღი. ერთი, შენი!... შეეუკურთხე და ლოგინში ვდურთე თავი.

დილით, ოთახში შემოსვლისთანავე, მკითხა:

— წუხელ მიწისძვრა იყო?...

— მერე როგორი! შენ რა, არ გაგიგია?

— მაგისთვის გვეცალა! — მერე დაუმატა, — მართალიაააა... ვორკუტაში ვორკუტელი ბიჭები ცხოვრობენ, მარა... არც ჩვენ ვართ ნაკლები.

ხელი ზურგში შემოვკარი:

— ჩაგეთვალა, ახლა კი...

— ნახევარი საათი, ბექარ, — ადამის ვაშლი კინაღამ გამოიღო ორი თითით, — ნახევარი საათით დამასვენე.

როცა შორი გზიდან ვბრუნდები, ასე მგონია, მანქანაც გრძნობს და უფრო მსუბუქად მისრიალებს. მოტორი კი არ გუგუნებს, მღერის. ჩვენც კარგ გუნებაზე ვიყავით. საქმე დიდებულად მოვაგვარეთ, ნიკო ხომ...

მგზავრობაში ყველაზე უკეთ შეიცნობ ადამიანს. სულ უფრო და უფრო მომწონდა ნიკო. მხიარული, კეთილი, მიმნდობი... ანეკდოტების უძირო ყულაბა იყო. ერთი ნაკლი ბქონდა მხოლოდ, ქალები...

— ხომ არ სძულდა? — ჩავურთე.

— სძულდაო? აპა-პა! სულს ლევდა. რომ ჩავალთ, მე უნდა დაგაქორწინო, თორემ ვინ იცის, რას შეესწრები-მეთქი, დავექადნე.

— ყაბულს ვარო, — მომიგო.

ოღონდ ქალს დაპირებოდი...

მოსკოვს რომ მივუახლოვდით, შევამჩნიე, ისევ აუტყდა ცმუკვა.

— ვიცი, ნიკო, რაც გგირს, მაგრამ არაფერი გამოვა, მივახალე. შენს გამო სასტუმროს ვერ დავუწყებ ძებნას-მეთქი.

ეჰ, თითო ნაკლი ყველას გვაქვს, დედევ. ბევრი რომ არ გავაგრძელო, დარჩა ნიკო მოსკოვში, მე კი გავუდექი გზას. ძნელია მარტოდმარტო მგზავრობა იმხელა გზაზე, მაგრამ რა უნდა მექნა...

— მაგ ნაკლი კი არა, ღალატია, შვილო და დირეღო, — ვუთხარი.

— მეც მასვე ვფიქრობდი, დედევ, კაცი მეგონა, ქალებს აყოლილი ბეჩი ყოფილა, კაბის გულისათვის ამხელა გზაზე მიმატოვა-მეთქი. ამ ფიქრებით მოვდივარ, თან ჩემს თავზეც ვბრაზდები: მისი ფირმის საქმეს აკეთებ. ხელშეკრულებაში ფირმის წარმომადგენლის მეგზურობაცაა გათვალისწინებული. მათვე დაარღვიეს. მარტოდმარტო გამომიშვეს ათასობით დოლარის საქონელით. გზაზე რომ მოხდეს რაიმე, ვინ აგებს პასუხს? მე შენ გეტყვი, ძველი დრო არ იყოს, კაცი რომ კაცობდა და კანონი კანონობდა. ქალებთან დროსტარება უფრო საჭიროდ მიაჩნია, ვიდრე თავისი ფირმის ბედი, თფუ! მეც მაშინვე დავყეკი. ჩემ ხათრიან ხასიათს რა ვუთხრა! კიდევ კარგი, ქალად არ გაჩნდი...

თოვა დაიწყო წვრილად. თანდათან მოუმატა. მარტოდმარტო ვარ ლარივით გაჭიმული გზაზე. არა, აგერ, მსუბუქი მანქანა გამოჩნდა. სარკეში ვხედავ, „მერსედესი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს. ქარივით მოდის. ფარებით სიგნალს მაძლევს. რა უნდათ, ნეტავ? ხელი უნებლიედ ცურდება დაბლა. გრძელტარიან ქანჩს ვუჭერ თითებს. „მერსედესში“ ორნი არიან. ჯერჯერობით თავდასხმას არ აპირებენ. ეს ყველაფრით ჩანს. თავისი ხელწერა აქვს ყველას. ვინ იცის, რა აქვთ ჩაფიქრებული. ორი ბევრი არაა — ეს ხელდახელ შესაბმელად. დღეს ყველა ყაჩაღი კბილებამდეა შეიარაღებული. „მერსედესი“ ახლოსაა. კუდში მყავს გამობმული. განუწყვეტლივ აციმციმებს ფარებს — მიბრძანებს, გაჩერდე. გასწრების შუქფარებიც ჩართული აქვს. ერთი... ქალია („იქნებ მეჩვენება?“) გამისწორდებიან და გაკრავ ამ ჩემი „კამაზით“ გვერდს. ოდნავი წახახუნებაც ეყოფა, ბურთივით გავისვრი. თადარიგს ვიჭერ. რამდენიმე წამში ყველაფერი უნდა დამთავრდეს. გზას ვათვალიერებ, მანქანის ჭაჭანება არ არის. სიჩქარეს ოდნავ ვუკელი. „მერსედესი“ მაშინვე აკეთებს რეაქციას — ისარივით იჭრება წინ. „რა სწრაფად წამოეგე ანკესზე, სულელო!“. მეც ვაწვები ფეხს სიჩქარის პედალს. ვგრძნობ, როგორ იძაბება მანქანის სხეული. მძლავრი გული აქვს „კამაზს“. პროფესიონალი მძღოლი ვარ და წამის მეასედებში შემიძლია გავთვალო მდგომარეობა.

ხვავრიელად თოვს. გამალებით მუშაობს საწმენდები. სარკეში წამითაც არ ვკარგავ „მერსედესის“ მოქმედებას. „დროა!“ გვერდითი მინა ეშვება. ქალის ხელი გამოჩნდა. მერე თავიც. „ბეკარ, ასტანავიტე-ეე!.. მი სვოი-ი! სტოიტე, ბე-კაარ!“. უფრო დავინახე, ვიდრე გავიგონე. იქედან კაციც იქნევს ხელს. ახლა თავიც გამოყო. ნიკოა! „გააჩერე, შე გოთვერანო!“ — ყვირის.

ერთმანეთს ისე გადავეზეიეთ, ვითომ რამდენიმე წელიწადი არ გვენახა.

— გაიცანი, ეს ლარისააო. ეს — მისი „მერსედესიო“.

— ლამაზი თუ იყო მაინც?

— ეშმაკსაც გადააცდენდა, დედეე, სატანასაც! ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდათ, რომ ნიკას ეკითხე, მოსკოვშიც მიწისძვრა...

არაო, თავი გააქნია. მოსკოვი შენ ვორკუტა ხომ არ გგონია, დიდი ქალაქიაო. ლარისა კი მიუჯდა თავისი „მერსედესის“ საჭეს და გაფრინდა. ამოიოხრა ნიკომ. ისე ამოიოხრა, გულ-ღვიძლიც ამოიფხრიწა თითქოს. ვინ იცის, როდის შევხვდებით ერთმანეთს, ან შევხვდებით კი?... — ამოვიკითხე მის თვალებში. ე-ეჰ, ნიკო, ნიკო!

— ჩამოსვლამდე სულ ასე ჩერდებოდა ქალაქებში?

— მეც მაგი ეკითხე, დედეე, კიდევ რომელ ქალაქებში გაჩერდებით, წინასწარ მაინც ვიცოდე-მეთქი. არცერთშიო. ლარისას შემდეგ არცერთშიო. მიპასუხა და ისევ ამოიფხრიწა გულ-ღვიძლი.

ვეცვლებოდით ერთმანეთს, ხან იგი უჯდა საჭეს, ხან — მე. ასე გამოვიარეთ მთელი რუსეთი და ჩვენი საზღვარი მდინარე ფსოუმდე.

აფხაზეთში ომი დაგვხვდა.

გვაჩერებდნენ, საბუთებს გვისინჯავდნენ, ტვირთს დაათვალიერებდნენ და გვიშვებდნენ.

ავტომეტებისა და ქვეშეხების ბათქაბუთქში გამოვატარეთ უშველებელი მანქანა ვაგონ-მისაბმელით. ერთი ენგურამდე მიგვაღწევია და, მერე შინ ვართ, ვეუბნებოდით ერთმანეთს.

გამოვიარეთ ენგურიც, ერთმანეთს გადავეზეიეთ და გადარჩენა მოვულოცეთ.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, დედეე.

თხუთმეტი თუ ოცი კილომეტრი გვექნებოდა გავლილი, სამი ავტომატიანი გადაგვიდგა. ლულები მოგვიშვირეს: გაჩერდითო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავჩერდით.

ჩამოდითო.

ჩავედით.

ვინ ხართ, სად ყოფილხართ და საით მიდიხართო.

საბუთები ვაჩვენეთ.

ეს მანქანა დაგვჭირდება. ვაგონიცო.

— იცით, ბიჭებო, — ჩაერია ნიკო, — ეს ქაღალდი თუ არ ჩავიტანეთ, ვეღარ გამოვა წიგნები, გაზეთები, ვერ დავბეჭდავთ თქვენი ვაქკაცობის შესახებ...

— ქაღალდი ჩვენც გვჭირდება, — მოგვიგეს, — ზაფხულში ბალახები იყო, ფოთლები... ადვილად გავდიოდით. ახლა ჩხირებისაგან უკანალები დაჩხვლეტილ-დაფხოზილი გვაქვს.

— გასაღები! — ბრძანა ერთმა. ჩანდა, ამათი უფროსი იყო.

კაბინისაკენ ვანიშნე თავით, ზედაა-მეთქი.

— ქართველები არა ხართ? — ნიკომ.

— ენა, შე თათარო! — კონდახი მოუღირა უფროსმა. — შმაგო! — მეგობარს მიუბრუნდა და მანქანაზე ანიშნა, — სწრაფად!

შმაგი კატის სისწრაფით გახტა საფეხურისაკენ.

— თათარო?! — შეჰყვირა უცებ ნიკომ და ჰაერშივე მისწვდა შმაგს. ორივე მიწაზე გაგორდა... მესამე ავტომატიანი, აქამდე ჩუმად რომ იდგა, მივიდა და კონდახი თავში ჩაარტყა ზემოდან მოქცეულ ნიკოს. მე გავიწიე, მაგრამ იმწამსვე ავტომატის ლულის ცივი შეხება ვიგრძენი კეფაში.

შმაგმა გულაღმა გადაატრიალა ნიკო. სახე სისხლით მოთხვროდა. ჩანდა, გრძნობა მაინც არ დაეკარგა. ტუჩებში ჩამდგარი სისხლი ათრთოლებული ხელით მოიშორა. ამოიწია, მაგრამ ვერ მოერია დამძიმებული სხეულს. შმაგი ორი ნაბიჯით მოშორდა და ავტომატის ჯერი მიუშვა...

მიწაზე გაშოტილი ნიკო ხტოდა, ძაგძაგებდა. ფეხებს და ხელებს იქნევდა. თავს ურტყამდა მიწას. პირიდან სისხლი წასკდა. შმაგი კი ისროდა და ისროდა. თანდათან მოდუნდა ნიკო, ჩაწყნარდა. მჭიდეში ტყვიების გათავებამდე ისროდა შმაგი.

გეფიცები, დედევ, არც შურისძიებაზე მიფიქრია, არც ვაჟკაცობაზე, არც იმაზე, რა მომივიდოდა... არც ის ვიცი, როდის გადავწყვიტე, თუ გადავწყვიტე საერთოდ... მათ უფროსს ავტომატის ლულაზე ხელი ვუტაცე და გამოვგლიჯე. მეორე წამს იგი ხელში მყავდა აყვანილი. ნიკოს რომ კონდახი ჩაარტყა, იმას ვესროლე. ორივე ერთად აიხორხლა მიწაზე. შმაგისაკენ შევბრუნდი. მანქანას აკვროდა ზურგით, მის წინ უშველებელი ნაგაზი იჯდა და უღრენდა. უფროსის ავტომატს დავწვდი და ჰაერში მივუშვი. მერე მეორის მჭიდეც დავცალე და იგიც მოვისროლე. ამასობაში ორივე წამოიხანხლა ფეხზე. ჯერ ერთს ამოვდევი ყბაში, მერე მეორეს. ძალა, დედევ, ღმერთს არ დაუშურებია ჩემთვის, მაგრამ მაშინ, ალბათ, ათკეცი მქონდა. უგრძნობლად გაიმუტნენ მიწაზე. შმაგთან აღარ მივსულვარ. ისედაც აღარ ვარგოდა კაცად. ნაგაზს ხახაში ჩასჩერებოდა და კანკალებდა. არც ის მიფიქრია მაშინ, საიდან გაჩენილიყო ი-იმხელა ნაგაზი. ნიკოს ვხედავდი მარტო, საკუთარი სისხლის ტბორში რომ იწვა. ახლა რომ ვიხსენებ ყველაფერს, მგონია, სიზმარში მყოფივით ვმოქმედებდი. კაბინაში, საკარძლის უკან, მოსასვენებელში, დავაწვინე ნიკო. ზემოდან მისივე ქურქი დავახურე. ძრავა ჩავრთე და მანქანა დავძარი.

ორასიოდე მეტრი მექნებოდა გავლილი, უცებ თავში გამკრა: ძაღლი! „ეს რა ვქენ?“ მან — ცხოველმა მიხსნა, მე — ადამიანმა, ვუღალატე. ისინი ხომ მოჰკლავენ. უკანასკნელ ლაჩარივით მიხვიქეცი. თფუ! უნდა დავბრუნდე“. მანქანა დავამუხრუჭე თუ არა, სარკეში თვალი მოვკარ... მოსახვევიდან გამოვარდა. იმავე წამს ტა-ტა-ტა-აა! ავტომატი აჭახჭახდა. ნაგაზი მაშინვე გაწვა. ისევ წამოვარდა. გრიგალივით მოჰქროდა. კარი გავაღე. საფეხურს არ გაკარებია, ისე შემოვარდა. ერთი-ორჯერ შემომყეფა. საალყო ზარბაზანივით დაიქუხა კაბინაში. წადიო, მიბრძანა. მაშინვე დავძარი მანქანა. პატრონის სიყვარულით თუ განსაცდელის შიშით, სპორტული მანქანის სიჩქარით გაფრინდა ჩემი „კამაზი“. ტა-ტა-ტა-ა-ა!.. მოისმა უკან და ვიგრძენი, რამდენიმე ტყვია მოხვდა ვაგონს.

სამშვიდობოს რომ დავიგულე თავი, მანქანა გავაჩერე.

შევცბი. დამნაშავის თვალებით შემომცქეროდა ნაგაზი, მაპატიე, რომ შეგაწუხეო, მეუბნებოდა მისი მზერა, ნუ გამაგდებო, მთხოვდა...

ბურთი მომაწვა ყელში. კისერზე ხელები მოვხვიე, გულში ჩავიკარ და ავტირდი. უცებ ვიგრძენ, იგიც ტიროდა. ეს შენ მაპატიე, ვეუბნებოდი, არ მინდოდა ღალატი. არც მიფიქრია... გემუდარები, დამიჯერე... საიდან მოფრინდი ჩემს მხსნელად. იქნება ყველაფერი სინამდვილე არცაა?...

იქნებ ჩემი ნიკო ცოცხალია?... ფარდა გადავწიე.

ნაგაზმა დაიყმუვლა.

მეც...

მას შემდეგ ერთად ვართ. ლომა დავარქვი. სხვა სახელი არც შეეფერება ალბათ.

პირველ ხანებში დაბნეული შემომხედავდა. უკვირდა, ნამდვილ სახელს რომ არ ვუძახდი, მერე შეეჩვია.

— მძიმე ამბავი გადაგხდენია თავს, შვილო და დირეღო, ძა-ლვან მძიმე.

— ამას რომ უყურებ, — ძაღლს თავზე დაადო თავისი დიდი ტორი, — თავიდანვე გითხარ, დედეე, ისეთი სიმწარე უნახავს, ხანდახან ადამიანივით უნდა საკუთარ თავთან დარჩენა. გაწვება, თავს თათებში ჩარგავს და ტირის. უხმოდ აღვარღვარებს ცრემლებს.

— ენა არ აქვს, თვარა ვინ იცის, რას მოყვებოდა.

— ეს სხვებისათვის არა აქვს, დედეე.

— შენთვის?

— აქვს და მიყვება კიდეც.

— არ გადამრიო!

— ჩემი ადრინდელი პატრონიც შენსავით მძღოლი იყო. ჩვენც „კამაზი“ გვქონდა, ვაგონ-მისაბმელიანი და შენსავით დავდიოდი რეისებშიო. ერთ დღეს სწორედ იმ ადგილას, დაგვაყაჩაღესო. ჩემმა პატრონმა წინააღმდეგობა გაუწია. მაშინვე მოკლეს, მე კი დამჭრესო, ტყვია აი, აქ მომხვდაო, — ბექარმა ბალანი გადაუწია და ნაჭრილობევი მაჩვენა. — მაინც ვერ გამაჩერეს, მერე ავტომატის კონდახი ჩამარტყეს თავშიო. მკვდარი ვეგონე და მიმატოვესო.

— კი. ესენი იქნებოდნენ.

— მეც მასე მგონია, დედეე. ჩვენს მანქანას რომ დაესხნენ, ეელარ მოითმინა, თავის პატრონს ეხმარებოდა ამით.

— იქნებ შურისძიებაზე ფიქრობდა?

— არა მგონია. შურისძიებაზე — არა. ლომა სხვანაირი ძაღლია, ეგ რომ ჰქონდა გულში, იქვე დაგლეჯდა შმაგს. სხვებსაც. ერთი კი ცხადია, შემთხვევით არ იყო იქ, — მაგაში გეთანხმები, დედეგ. იქნებ ფიქრობდა კიდევაც, მაგრამ ბოლო დროს ვერ გაიმეტა... არ ვიცი. ლომა სიკეთისთვისაა გაჩენილი. მიტევებისთვისაა გაჩენილი... აკი ვერც მე შევძელი, დედეგ...

ლომამ პატრონს ხელი გაულოკა, მერე კალათში ჩაუდო თავი და გაიტრუნა.

ქალაქში ჩასვლამდე ხმა აღარ ამოგვიღია.

მალე ერთმანეთს დავცილდით.

რაც დრო გადის, მით უფრო ვხვდები, რით ჰგვანან ერთმანეთს ი ჩემი უცნაური ნაცნობები — ბექარი და ლომა.

უშველებელი სინათლით. სიკეთისა და მიტევების სინათლით, ჩემო შვილო და დირეღო.

თუნთა

კაი ხანია, ქალაქში გავთხოვდი. შვილები დაგვეზარდნენ, მალე შვილიშვილებიც გვეყოლება. მარაა... გამოგიტყდები, გო, გარეგნულად ვარ ქალაქელი, გარეგნულად. ადრე ამას არ ვამბობდი, იმიტომ, რომ ახალგაზრდა ვიყავი და მრცხვენოდა ვითამ. არ ვკადრულობდი და იმიტომ. სიზმარში კი სულ იქა ვიყავი, კლდეს გამოკვაჭებულ ჩემ სოფელში. იქა დავფრინავდი პეპელასავით. ახლაც იქა ვარ. ახლა — უფრო ხშირად. სიზმარში, გო, სიზმარში. კი, ქალაქი ქალაქია, სხვანაირს გაგხდის — ლაპარაკითაც, ჩაცმულობითაც, მიხრა-მოხრითაც. კმაყოფილი ვარ, მაგრამ... სიზმრებში, გო, სიზმრებში ჩემ სოფელში დავფრინავ დღესაც.

ოჯახი? ორი გოგო და ერთი ბიჭი გვყავს, ენაცვალოთ დედა. უკვე დიდები არიან. უფროსი გავათხოვეთ, ამიტომაც გითხარი, მალე ბებია გავხვდები-მეთქი. ისე, ცოტა მეხამუშება, გო... ადრეა ჩემი ბებიობა. ბევრი ჩემი ტოლი ამ ასაკში თხოვდება და ბაღნებს აჩენს. ჩვიდმეტისაც არ ვიყავი, ელდარმა რომ... უშენოდ ყოველი წუთი ჩემთვის ჯოჯოხეთიაო. რა მექნა, მართალია ხომ არ დაეწვავდი ბიჭს. ავდექი და გავყევი. კი არ ვნანობ, პირიქით, კაი კაცი შემხვდა, ჭკვიანი, შეხედული, საქმიანი... მარა, სიზმრებში მაინც ი სოფლელი გოგო ვარ!..

ელდარზე გეუბნებოდი, ჩემ ქმარზე, ისეთია, ქვიდან წყალს გამოადენს. ეშმაკია-უუ! ამ ცხოვრებას მაშინვე აუღო ალღო. ბიზნესმენია ახლა. ადრე? რა ვიყავით ჩვენ ადრე! იგი გეოგრაფიას ასწავლიდა. უმაღლესში კი არა, სკოლაში. მე კიდო — მდივანი... ქალაქკომისაო? ცეკას არ გინდა, ცე-კას?! პირადი მდივანი, გო, სეკრეტარშა. ხუთი მინისტრი გამოვიცვალე, ხუ-თი, ხუთივეს, მოსვლისთანავე, რაცხა იმედები ჰქონდა. ხომ ხვდები... კა�ი გოგო ვიყავი, კააი. რომ ჩავიელიდი, კაცები ოო-ხხ! ამოიგნეშებდნენ, ერთი მაგიო... მე კი ჩემი კაცის ერთი შემოხედვა მთელ ღუნიას მირჩევნოდა. ახლაც მირჩევნია, მარაა... კაცი მაინც კაცია. ალბათ, ჩემი კაციც უკუტკუტებს თავის სეკრეტარშას. ლამაზი შეურჩევია-აა! ფეხები — შხვან-ტალა, თმები — მარიანასავით ხვეული და ფუშფუშა. მარა მაი შენი ცინდალივით მარიანა სად მივა იმ... გასასკიპარჭავთან. ხმაიც ნაზი-ნაზი, მიკნავებულ-მიბნედილი: „ბატონო ელდა-ა-არ!“ ერთი ჩავაფარო-მეთქი, მომინდება, მარა რა ვქნა,

მიზეზი არ მაქ, გო, მიზეზი. სულ თითო-თითოდ დავაგლეჯდი იმ ფუშფუშა თმებს „ბატონო ელდა-ა-არ!“ უხხ!

სხვამხრივ, რა მეთქმის. კაი ჩაცმა, კაი დახურვა, მანქანა — „მერსედესი“, უკანასკნელი მოდელის. შიგ რადიო, მაგნიტოფონი, ტელევიზორი. ბინაც გამოვიცვალეთ. აღრე ერთოთახიანში ვიჭიჭყებოდით, გო. ახლა... მოიცა, დავთვალოთ... ლოჯიანად ხუთი ოთახია. თანაც გარემონტებულ-გაწკრიალებული. სხვები რომ დროშებს აფრიალებდნენ და „გაუმარჯოს, გაუმარ-ჯოს!“ იძახდნენ, სინამდვილეში კი ქვეყანას ანგრევდნენ, ჩემი კაცი საქმეზე ფიქრობდა მაშინ, საქმეზე. შემოტანაზე ფიქრობდა, იმიტომ, რომ ბიზნესმენია ნიჭით. დროშების ტრიალით და „ჯოს-ჯოს“ ძახილით რა საქმეც გაკეთდა, კი ხედავ.

მე თუ მკითხავ, პოლიტიკა ქალის საქმე არაა, გო. ქალი ქალინა იყოს, ქალაქში რომ გამოვა, ქუჩებსა დეეტყოს. ახალგაზრდა აღარა ვარ, მალე შვილიშვილები-ჰჰ... მაინც ვცდილობ. შინაც და გარეთაც ჩემ ქმარს ვაწონებ თავს.

ისე, კაი კაცი შემხვდა, კაი. არაფერი რომ არ შეეშლება, ისეთი. იცის ვისთან, სად, როგორ. მაგაში ხუ-თი-ა-ნი უწერია! მერე კიდო, იმისთანა გამძვრალია, წინასწარ ხვდება, ვის დანიშნავენ, სად დანიშნავენ, რატომ დანიშნავენ. წი-ნას-წარ! გადირევი, გო, საიდან ხვდება, როგორ ხვდება... რომ ვკითხე, მეც არ ვიცი, სიცილით მიპასუხა. თვალებში შევხედე, ხომ არ მატყვილებს-მეთქი. მართალს მეუბნებოდა. 'იტყვის — შესრულდება, იტყვის — შესრულდება. უკეე შეეეჩვიე. არ დამიჯერებ და, მგონი, ისინიც ბაიბურში არ არიან, ვისაც დაწინაურებას უპირებენ, ამან უკეე იცის! საჭირო კაცია ჩემი ქმარი. დილიდან დაღამებამდე და დაღამებიდან დილამდე საქმეშია. ძნელი ყოფილა ბიზნესმენობა, ძაალვან ძნელი, მარაა... გამაგებია ერთი, საზღვარგარეთ როგორაა ნეტარ, ბიზნესმენები ცოლებს არ ეფერებიან? თუ იმ ფეხებშხვანტალა სეკრეტარშას ბრალია? მთავრობაშიც გავლენა აქვს. ჩემ ქმარზე ვამბობ, გო, საჭირო კაცია. სპონსორობა უყვარს. რა? სპონსორობა რა არის, არ იცი? როცა სხვას ფულით ეხმარები, კი არ ჩაასესხებ, ეხმარები. ესე იგი, შენ რომ ფარას მოამცრეე და სხვას მისცემ, იგია სპონსორობა. დღეს უფულოს და უპატრონოს რა გამოლევს, ჰოდა, სტუმრებია ჩამოსული — ელდარ! კონცერტია მოსაწყობი — ელ-და-არ, წიგნებია გამოსაცემი — ელ-დარ! ამ ჩემს ქმარსაც ყველა ეცოდება, გო, ყველა. ამიტომაც უყვართ და აფასებენ. ნეტარ იმ ფეხებშხვანტალასაც უყვარს? თუ უყვარს, რაფერ, ა?

ერთ დღეს, ვხედავ, თურქული უსწავლია. როდის მოასწრო, კი არ ვიცი, გო. გასულ კვირას თურქი ბიზნესმენები გვეწვია ოჯახში. სამი კაცი. ვხედავ, ჩემი კაცი ჭიკჭიკებს თურქულად. აკრუჭუნებს ენას მათებურად. ვდგევარ და ვუყურებ პირდაღებული. აგი ჩემი ელდარია თუ მეჩვენება-მეთქი!. სტუმრები რომ გავაცილეთ, ვეკითხები, — ჭო, თურქული იცოდი? საიდანო, მიპასუხა, ჩავუჯექი და სამ თვეში შევისწავლეო. სამ თვეშიო, გო! სკოლაში პირველ კლასიდან მეათე კლასამდე გაპლუკვილი სამოსანი იყო თურმე, ახლა, საქმეს რომ დასჭირდა, სამ თვეში, გოო!...

ჰოდა, იმას გეუბნებოდი, გარეგნულად ვარ ქალაქელი, თვარა სიზმრებში ისევ იქ დავფრინავ, მაღალ კლდეს მიჭუჭკულ-მიჭიპჭიპებულ ჩემ სოფელში.

რა მკითხე? ხანდახან თუ ავდივარ?

მე გულის მოკვლა მინდა კიდევ, გო? სადღაა ჩემი სოფელი, ხან ლაჟვარდებში მოფარფატე, ხან ნისლებთან მოჩურჩულე ჩემი სოფელი სადღაა-მეთქი. ამ ხუთი წლის წინ ცალი მხარე მოწყდა და უფსკრულში ჩავარდა, სახლებიან-ყანებიანად. სამი კაცი

ჩაიტანა. დღესაც იქ არიან. უფრო სწორედ, ორი კაცი და ერთი ქალი. სხვები გახიზნულ-ზოგი სად, ზოგი სად. დაცარიელდა ჩემი სოფელი. აღარ არის. იყო და აღაარ არის, გო.

სიზმრებში კი იქა ვარ, ჩემი ბავშვობის სოფელში. ჰეპელასავით დავფრინავ და გკრეფ და გკრეფ ყვავილებს. თან ვღიღინებ. უცებ დედის ხმა შემომესმება: თუნთაა! — ლამაზი ხმა აქვს, მუსიკასავით ლამაზი, — თუნთაა! მე ეპასუხობ: — აქა ვაარ, ნენიკოო!.. — და მივრბივარ მისკენ. ყვავილების თაიგულით მივრბივარ მისკენ. გზადაგზა დამივარდება ყვავილი. ვჩერდები, ვიღებ და ისევ მივრბივარ. დედა ჭიშკართან დგას — ლამაზი, აშოლტილი. რა მკითხე? ჩემსავით? მე მასთან სად მივალ, გო. დგას ხელებგამოწვდილი. მოშორებით, ღობეს იქით, ბაღში, მამა ბარს დაბჯენია და გვიყურებს.

უცებ დედა ქრება. მამაც. ვდგევარ ხელებგაწვდილი. ცალ ხელში ყვავილების თაიგულით. ირგვლივ ნისლია. დროდადრო დედიკოს სახე გამოჩნდება მქრქალად: — თუნთაა! ხმა ჩემამდე არ მოდის,მაგრამ პირის მოძრაობით ვხდები: — თუნ-თაა! მამის სახეც გაიელვებს წამიერად, მერე ნისლში იძირება ყველაფერი.

საკუთარი სლუკუნი მაღვიძებს. მარტო ვარ. ელდარი, ჩვეულებრივ, უთენია წასულა. არც მოსვლა გამიგია მისი და არც წასვლა. ლოგინს ეტყობა, გო, ლოგინს, რომ წოლილა. ჩემ გვერდით წოლილა ჩემი ქმარი. მარტო ვარ, საკუთარ ცრემლებთან ერთად. ვიცი იმისკენ მიუწევს გული... თმაფუშფუშასაკენ...ფეზებშეზვანტალასაკენ... მეხი ეცა, გო, მეხი „მერსედესსაც“ და დოლარებსაც. მეხი ეცა ხუთოთახიან ბინას, ბაროკო-როკოკოთი გაწყობილ-გაწკრიალებულს. რომ შეიძლებოდეს... ვიდეოლენტი-ვით ყველაფრის უკან დატრიალება რომ შეიძლებოდეს, უყოყმანოდ დავაჭერდი ღილაკს თითს... დავაჭერდი და უფსკრულიდან ამოვიტანდი ნახევარ სოფელს... იქ ცოცხლად ჩამარხულ დედ-მამასთან ერთად... სოფლელებს მოვაბრუნებდი სახლებში. ყველას... ყველას! მერე პატარა გოგონად გადავიქცეოდი, გავშლიდი ხელებს და ე-ე-ჰე-ჰეი!... ჰეპელასავით გავფიფინდებოდი მინდორში ყვავილების დასაკრეფად. და ისევ ერთად ვიცხოვრებდით მე, დედა, მამა და მაღალ კლდეს მიფუნჩხულ-მიჭიპჭიპებული ჩემი სოფელი.

ბუხრის პირას

რა მითხარ, ჩემო ბატონო? პატარაა ჩემი სოფელი?

ეს სხვებისათვისაა პატარა, თორემ, აბა, მე მკითხეთ ერთი. მთელი ქვეყანაა... არა, მთელი სამყაროა ჩემთვის ე სოფელი.

გვარიანად თოვს, არა? ითოვოს, რა გენაღვლება. ზამთარი იმიტომაა, რომ ითოვოს. ბავშვებს გუუჭირდებათ ცოტა, სხვაფრივ რა უშავს. ბავშვებს იმიტომ, რომ სკოლა მეზობელ სოფელშია, რვაწლიანი. ჩვენ რატომ არა გვაქვს? აკი თვითონ ბრძანეთ, პატარა სოფელიაო. ჩვენც იმ სკოლაში დავდიოდით. ზამთარში გვიძნელდებოდა. მოგეხსენებათ, მთაში თოვლი იცი-იის!.. ზოგჯერ გაზედაგ და, საკვამურები მოჩანს მხოლოდ. ქათქათა მთები, ქათქათა ტყეები, ქათქათა ბორცვები და სახლების ნაცვლად, საკვამურები... საკვამურები... ორი-სამი თვე თოვლქვეშ ვცხოვრობთ. დათვებივით, ჩემო ბატონო. შეჩვეულები ვართ. თუ გაზაფხულ-ზაფხულში კარგად იშრომებ, ზეცას მადლს ეტყვი და მიწასაც, ასწილად დაგიბრუნებს ე დალოცვილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისთანა მიწაა. შემოდგომა იცის ჩვენთან... რა გინდა, სულო — სიმინდი, ლობიო, ჩვენი კარტოფილი ხომ მთელ მსოფლიოშია განთქმული. ხილი გინდა, ბოსტნეული გინდა... თამბაქოც გვარიანი შემოდის. გავაწყობთ ასე ჩიბუხებს და ვაბოლებთ ბუხრის პირას. თან ვწრუპავთ ჩვენებურ არაყს. ცოტას რომ შევზარხოშდებით, ყოლსამასაც ჩამოვუვლით. ზემოდან თეთრი თოვლი გვაქვს გადაპენტილ-გადაფენილი, ქვეშ კი ყოლსამას ვუვლით. სუფრაზეც არაფერი გვაკლია. რაც გვაქვს, ჩვენია. ჩვენი სოფლის მადლია. კაიმაღი გაგისინჯავს? ჩვენებური მთის კაიმაღი თუ გაგისინჯავს-მეთქი. სანორი? ბორანო? იცი, რა არის? უუ3! ათი-თხუთმეტი წუთი და, ყოლიფერი შენს წინ გაჩნდება, ჩემო ბატონო. მერე თითოსაც ჩამოვისხამთ... ქალო, დაგვიჩქარე მანდ ცოტა, თორემ შევირცხვინეთ თავი ამ ხენწიფის ტოლ სტუმართან.

ჰოდა, იმას გეუბნებოდი, მეზობელ სოფლის რვაწლიან სკოლაში დავდიოდით-მეთქი. ძალვან მიყვარს ი სკოლა... ერთი ჩვეულებრივი მოსწავლე ვიყავი. სამები და ჯანმრთელობაო, რომ იტყვიან, ისეთი. მარაა... ი სკოლა მიყვარს. რატომ, ვერ აგიხსნით. თვითონ მიხვდები. მწერალი ბრძანდებით.ასე ვთქვათ, სულის ინჟინერი... ქალო, ვახშმის საქმე როგორ მიდის?.. ხომ იცი, ჩვენი დიასახლისები... სტუმრებისათვის განსაკუთრებით უყვართ თავის გამოდება. სამაგიეროდ, ვახშამი გვექნება, ჩემო ბატონო, მეფეს შეშურდება, მე-ფეს! სუნით ვგრძნობ. თქვენც, ხომ? ჰოდა, რაღა გვინდა მეტი, გავშალოთ ტაბლა ამ გუზგუზა ბუხართან, თითო-თითოც გადავკრათ და ვიჭუკჭუკოთ. ითოვოს გარეთ. ითოვოს რამდენიც უნდა. რას დაგვაკლებს. რა ბრძანეთ? ხვალ აუცილებლად უნდა წახვიდეთ? კი ბატონო, თქვენი ნებაა. ამაღამ აღარ დადებს თოვლს. მალე გაჩერდება. იმიტომ რომ დიდთოვლობისათვის ადრეა ჯერ. აი, ნახავთ, გათენდება და გზა მშვიდობისას დაგილოცავთ კიდევაც. ახლა კი ჩემი სტუმარი ხართ. თვით ღმერთმა გამომიგზავნა თქვენი თავი. ხედავ, რა გემრიელად გურგულობს ბუხარი? გეგონება, იცინისო. უხარია და იმიტომ. ახლა რომ ადგე და წახვიდე, მოიწყენს. ბუხარი მოიწყენს, კედლებიც, ჭერიც. ვახშმის ეს გემრიელი სურნელიც გაქრება. ქალოო-მეთქი!.. ჰო, სკოლაზე გეუბნებოდი. კაი სკოლა გვქონდა, ძელით ნაშენი. თბილი-თბილი. თურმე ჩემთვის იყო თბილი, ჰი-ჰიიიი! ჰოდა, იმიტომაც მიმეჩქარებოდა. იყო-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ათი წელია, დაშალეს და ახალი ააშენეს. ქვითკტრისა. მარა მე ის ძველი მირჩევნია მაინც...

ჩვენს სკოლაში ერთი გოგონა იყო. სახელად იზა. ჰო, მაშინდელ ამბავს გიყვებით, ჩემი ბავშვობის დროინდელს. სწავლით ვერ დაიკვეხნიდა. გაკვეთილების გაცდენა და მახლობელ ტყეში ჩიტების ბალობის მოსმენა უფრო უყვარდა. გამხდარი იყო იზა. გამხდარი და დიდთვალება. უცნაური. მოუხელთებელი. ხან დამყოლი, ხანაც... უჯიკზე-უჯიაკი. ხან ენად გაიკრიფებოდა, ხანაც გულჩათხრობილი დადიოდა. განსაკუთრებით არავისთან მეგობრობდა, თავისთვის იყო უფრო. კაცმა რომ თქვას, არც ამხანაგებს მისდიოდათ გული მისკენ. იზას ვეძახოდით, თორემ ჟურნალში იზაბელა ეწერა. იზა.. ბელაო, თქვა ერთმა, იზა... ბელაო... და ჩვენც მაშინვე ავიტაცეთ. ავიტაცეთ და იმ დღიდან იზა დავივიწყეთ, ბელას ვეძახდით, მარტო ბელას. იცით, რას ნიშნავს? ჩვენებურ-კუთხურად იცით, რას ნიშნავს ბელა? არა? რას და, უბედურებას, მეორედ მოსვლას, ქვეყნის დაქცევას...

— მე ბელა კი არა, იზაბელა მქვია, დედამ დამარქვა ეს სახელი, — მოგვიგებდა ამაყად. ამ სიტყვებზე კიდევ უფრო ჩაგიხითხით-ჩავიკუჭკუჭებდით გოგო— ბიჭები, იმიტომ რომ ტყუოდა იზაბელა. მას ჯერ თვალითაც არ ენახა საკუთარი დედა. პატარა იყო, სულ პატარა, წლისა თუ წლინახევრისა, საიდანღაც მამამ რომ მოიყვანა თურმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი კაცი იყო მამამისი , ჩემო ბატონო, შრომისმოყვარე, სიყტვაძვირფასი და ზნეკეთილი. დიდთან — დიდი, პატარასთან კიდო — პატარა. ბელასათვის დედაც იგი იყო და მამაც. მაგრამ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, კაცი მაინც კაცია, ქალის ხელი სხვაა, სხვა. სხვანაირი სითბო დაჰყვება, ხომ მართალი ვარ?

მარტობა უყვარდა ბელას. დაჯდებოდა თავისთვის, განმარტოებით, იდაყვებით დაეყრდნობოდა მუხლებს, ხელისგულებში ჩაირგავდა ნიკაპს და ჩაფიქრდებოდა. რაზე ფიქრობდა, არავის გაანდობდა, ა-რა-ვის, საკუთარ მამასაც კი.

დადიოდა ბელა სკოლაში. ისე ტყუილად. რა ცოდნითაც მოვიდოდა დილით, იგივე მიჰქონდა უკან. მაინცდამაინც არავის აწუხებდა მისი სიზარმაცე. ხანდახან რომელიმე მასწავლებელი თუ გადაჰკრავდა, ცარიელი ტომარა ხარო. კაცმა რომ თქვას, კლასში არავის გვიკვირდა ამისთანა ლანძღვა, იმიტომ, რომ ნახევარზე მეტი „ცარიელი ტომრები“ ვიყავით.

ერთხელ, ჩვეულებრივ, იჯდა ბელა თავისთვის, თვალებმილულვით იჯდა, ნიკაპი ხელის გულებში ჰქონდა ჩარგული. თავის სამყაროში იყო წარსული. რა სამყარო ჰქონდა ისეთი, არავინ ვიცოდით. იქ ყოფნა უფრო ურჩევნოდა ბელას, ვიდრე ჩვენთან. მაშინ სახეზეც სხვანაერი იყო. უფრო მშვიდი, ოდნავ ღიმილიანი და... ძალიან ლამაზი...

მასწავლებელი მიუახლოვდა. იმ მასწავლებელს რატომღაც უყვარდა ბელა. იქნებ ეცოდებოდა და იმიტომ?... მიუახლოვდა და თავზე ხელი დაადო.

— დედაშენი გელოდება დერეფანში, იზაბელ.

შეირხა ბელა. ჯერ შეირხა ოდნავ. მერე წამოდგა, კაბა გაისწორა და წავიდა. მთვარეულივით მიდიოდა, უფრო სწორედ, ანგელოზივით... გეგონებოდა მიწაზე კი არ დააბიჯებს, ჰაერში მისრიალებსო, მიფარფატებსო, ოღონდ ნელ-ნელა. სახეც მშვიდი ჰქონდა. ოდნავ ღიმილიანი და ლამაზი. თვალები ისევ ისე მილულული, გრძელი წამწამებით დაჩრდილული. ისე მიდიოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს... თითქოს ჯერ ელოდე მოდიოდა დედამისი მის სანახავად.

დერეფანში ქალი იდგა. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

— რამხელა გაზრდილხარ, შვილო, გამაღლებულხარ... დამშვენებულხარ... ამოიკვნესა და გულში ჩაიკრა. ეხუტებოდა და კოცნიდა და კოცნიდა.

ტიროდა ბელაც, ეკვროდა დედის თბილ სხეულს და ტიროდა...

უცებ გონს მოეგო. ცრემლები მოიწმინდა და გრძელწამწამებიანი ქუთუთოები დაბნეულად აახამხამა.

გარს ვეხვეიეთ. ვიცინოდით, ვჭუკჭუკებდით ჩვენებურად.

რაო, რა მკითხე, ჩემო ბატონო? საიდან გავიგე ე ყოლიფერი?

აგერ, ჩემი ბედნიერებაცა და უბედურებაც, აშენებაცა და დაქცევაც, გვალვაცა და ოაზისიც ჩემი — ჩემი იზაბელ! შეხედე, მოდის ხელებდამშვენებული... არ მოგკალ, ქალო შიმშილით?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ აბაშიძე

გზანი შეუცნობლისკენ

თოვდა.

ფანჯარასთან ვიდექი და ეზოს გადავყურებდი.

ცუდ გუნებაზე ვიყავი.

თოვლმაც ვერ შეძლო ჩემი ხასიათზე მოყვანა.

კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

უხალისოდ გავაღე კარი.

ჩემს წინ ნიღბიანი კაცი იდგა.

უხმოდ შემოვიდა ოთახში და სკამზე დაჯდა.

— ვინ ბრძანდებით? — შევეკითხე.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს! — თქვა მცირე ხნის დუმილის შემდეგ,

— როგორ თუ მნიშვნელობა არა აქვს! — გავბრაზდი მე.

— თქვენ № არ ბრძანდებით?

— დიახ!

—ჰოდა, მიხმობდით და, აი, მეც მოვედი!

მან ფრთხილად მოიხსნა ნიღაბი.

ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე.

ჩემს წინ სატანა იჯდა.

— გახსოვთ, ამას წინათ ამბობდით, ეშმაკი არც ისე საშიშიაო. მეც ამ აზრისა გახლავართ. მე მართლაც საშიში არა ვარ. ნურც ადულებული ფისისა და მარწუხებისა გეშინიათ.

— რა გინდათ ჩემგან? — ვკითხე ჩურჩულით.

მან გაიღიმა.

— უფრო სწორი იქნება, თუ მეტყვით, თქვენ თვითონ რა გინდათ ჩემგან?

— მე... მე არაფერი.

— მაშ, ტყუილუბრალოდ მიხმეთ?

— მე თქვენ არ მიხმიხართ.

იგი ჩაფიქრდა.

— ესე იგი, შევცდი! — თქვა ბოლოს. — კეთილი, წავალ... მაგრამ გახსოვდეთ, რომ მე თქვენი მეგობარი ვარ.

ნიღაბი გაიკეთა და... გაქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

იმ ღამეს არ მეძინა.

თვალწინ გუშინდელი სტუმარი მედგა.

— ხომ არ ნანობ? — ჩამესმა თვალდახუჭულს.

— რას?

— უარი რომ თქვი მასთან კავშირზე.

— მე ქრისტიანი ვარ!

— სწორია! ახლა კი დაიძინე.

და მე ჩამეძინა.

როცა გავიღვიძე, ერთხანს ისევ თვალდახუჭული ვიწექი.

ბოლოს ავდექი, ხელ-პირი დავიბანე და მაგიდასთან დავჯექი.

ფანჯარაში გავიხედე.

მთელი არემარე დათოვლილი იყო.

— გიყვარს? — ჩამესმა.

— რა?

— სითეთრე.

მხრები ავიჩეჩე.

— გუშინდელზე რას იტყვი?

— არ ვიცი! — ვთქვი ხმადაბლა.

კარზე დააკაკუნეს.

შევკრთი.

— გაუღე! — ჩამესმა, — ია მოვიდა.

ია სიცილით შემოიჭრა და სიხალისე და თოვლის სუსხი შემოიტანა.

— ჩქარა! წავიდეთ! ჩაიცვი! — ყვიროდა იგი, — ნახე რა თოვლია! რას შეყუჟულხარ ოთახში, ბებერივით!

მე ღიმილით შევყურებდი.

უცებ გუშინდელი ამბავი გამახსენდა და გული გადამიტრიალდა.

— მოდი, სახლში ვიყოთ! — ვთქვი მცირე ხნის შემდეგ.

— სახლში რა ვაკეთოთ! — თითქმის იყვირა იამ. — ჩქარა, გარეთ, თოვლში!

დაბნევით შევცქეროდი.

ვერ გადამეწყვიტა, მეთქვა თუ არა გუშინდელი ამბავი.

„არ ღირს“ — გავიფიქრე ბოლოს და ნაძალადევი ღიმილით ვუთხარი:

— კარგი, წავიდეთ თოვლში.

***

თოვლს მოცისფრო ფერი დაჰკრავდა.

ქუჩაში ცოტა ხალხი იყო.

მე და ია ნელი ნაბიჯით მივყვებოდი გზას.

პატარა ბაღი გამოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შევიდეთ? — მკითხა იამ.

— ჰო, — მივუგე, — დავჯდეთ სადმე.

ბაღში შევედით და სკამზე დავჯექით.

ვიჯექით და ისევ ამეკვიატა ფიქრი, რომ ჯობდა იასათვის მომეყოლა გუშინდელი ამბავი.

ასეც მოვიქეცი.

ია თვალებგაფართოებული მისმენდა.

როცა ამბის მოყოლა დავამთავრე, დიდხანს ვიყავით ჩუმად.

— იქნებ ჰალუცინაცია იყო? — მკითხა ბოლოს ეჭვით.

— არა, არა მგონია, — ვთქვი მე.

მან თავი ჩაქინდრა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — ვკითხე შეშფოთებით.

— არა!

— აბა, რა მოგდის?

— მეშინია!

— აკი გითხარით, რომ მე საშიში არა ვარ! — გაისმა უცებ.

ია შეკრთა.

— შენ თქვი რამე? — მკითხა.

— არა... — მივუგე და ირგვლივ მიმოვიხედე.

— კი მაგრამ... — დაიწყო იამ და შეჩერდა.

— ნუ გეშინია! — გაისმა ისევ.

ია მხარზე მომეკრა.

— წავიდეთ აქედან! — თქვა და წამოდგა.

წამოვდექი მეც.

ჩქარი ნაბიჯით დავტოვეთ ბაღი.

როცა გარეთ გამოვედი, სიცილი შეგვესმა.

შევდექი.

— წავიდეთ... წავიდეთ ჩქარა! — თქვა იამ.

— წავიდეთ? სად?

— სადმე, სულერთია... ოღონდ ის ხმა არ ჩამესმოდეს.

— ჩემთან წავიდეთ! — ვთქვი მე.

— შენთან? ა-არა! — თქა მან, — ისევ ჩემთან წასვლა ჯობია.

მანქანა გავაჩერეთ და მცირე ხნის შემდეგ ამ სახლის წინ ვიდექით.

როცა კართან მივედით, იგი უცებ შემობრუნდა და მითხრა:

— მოდი, შენ ნუ ამოხვალ.

ცოტა არ იყოს გამიკვირდა.

— კარგი! — ვთქვი.

— არ გეწყინოს! — თქვა იამ, — მაგრამ მარტო მინდა დარჩენა. თავი დავუქნიე.

იამ კარი გააღო და ჩქარი ნაბიჯით აუყვა კიბეებს.

შინ მისვლისთანავე ოთახი ჩავაბნელე და ტახტზე წამოვწექი.

გული საშინლად მიცემდა. თავბრუ მეხვეოდა.

— დაწყნარდი! — ჩამესმა.

— ისევ შენ! — ვთქვი ძალაგამოცლილმა.

— არა, მე შენი გუშინდელი სტუმარი არა ვარ!

— მაშ ვინ?

— შენი სინდისის ხმა, რაც აქამდის გესმოდა ხოლმე.

ცოტა არ იყოს, დავმშვიდდი.

— რას მირჩევ? — ვკითხე.

— ილოცე და ეეედრე უფალს, რომ ყოველივე ბიწიერება გავიდეს შენგან.

— ჰო... — ვთქვი ჩაფიქრებით.

— სანთელიც დაანთე.

— ჰო, ჰო, ასე მოვიქცევი, — ვთქვი სიხარულით.

— მაშ, ხვალვე წადი!

— სად?

— ეკლესიაში.

— წავალ!

— ისე კი... — გაისმა ისევ, — საოცარია ადამიანის ბუნება.

— რატომ?

— ღმერთი მხოლოდ გასაჭირში ასხენდება ხოლმე.

— მართალია... მაგრამ მე ღმერთი ყოველთვის მახსოვდა.

— მაშინ მის მცნებებსაც დაიცავდი.

— მე არ ვიცავ მის მცნებებს?

— ღმერთს უფრო მეტი უნდა შენგან! — გაისმა.

— მაინც რა?

— სიყვარული!

— განა მე არ მიყვარს ღმერთი?

— არა, შენ მხოლოდ გეშინია მისი.

თავი ჩავქინდრე.

ხმა ამჯერად მართალი იყო.

— მე შევიყვარებ ღმერთს! — ვთქვი მტკიცედ.

— ეგ ასე არ ხდება.

— მაშ, რა ვქნა?

— შენ ღმერთს უსამართლობაში სდებდი ბრალს. ასეთი გულით ღმერთს ვერ შეიყვარებ.

— მაშ, რა მოვიმოქმედო?

— ეეედრე, ეეედრე ღმერთს და გადარჩები. შეიყვარე ის, ვისაც თავისი მტრებიც კი უყვარდა. სხვა გზა ხსნისა არ არსებობს შენთვის.

მცირე ხანს ასე ვიყავი გარინდებული, მერე ჩამეძინა.

უცნაური სიზმარი ვნახე: გაშლილ მინდორზე ირმების რემა დადიოდა.

მინდორი გაყინული იყო და ირმებს ფეხი უსხლტებოდათ.

ეცემოდნენ, დგებოდნენ და ისევ მიდიოდნენ.

ჩლიქებიდან ვერცხლისფერი ნაპერწკლები ცვიოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაყად მოეღერებინათ ყელი.

მათ შორის იყო უმშვენიერესი თეთრი შველი, რომელიც ერთ ალაგას იდგა გაუნძრევლად.

მივედი მასთან და ხელი გავუშვირე.

მოვიდა...

ხელი გამილოკა და უკანვე წავიდა.

უცებ, მინდორს ცეცხლი მოედო.

ირმები სწრაფად მოწყდნენ ადგილს და თავშესაფრის ძებნა დაიწყეს.

მხოლოდ ის ერთი, თეთრი შველი იდგა გაუნძრევლად.

მივვარდი...

ხელში ავიყვანე და უკან გამოვიქეცი.

ცეცხლი ბობოქრობდა ირგვლივ.

როგორც იქნა, გამოვარღვიე ქარიშხალი და შველი მიწაზე დავსვი.

იგი დაეცა.

მივედი... წამოყენება დავუპირე.

შველი არ ინძრეოდა...

ცრემლი სდიოდა თვალებიდან...

იქ, სადაც მისი ცრემლი ეცემოდა, ყვავილები ამოდიოდა. ბოლოს, ცრემლი დაუშრა თვალებში.

ახლოს დავიხარე მისკენ.

მკვდარი იყო.

როცა გავიღვიძე, მზე უკვე ზენიტში იდგა.

ჩავიცვი და ეკლესიისკენ გავემართე.

შევედი...

ეკლესიაში ხალხმრავლობა იყო.

მაცხოვრის ხატთან სანთელი დავანთე.

სკამზე დავჯექი.

საკმევლის სუნი იდგა ირგვლივ.

ავდექი. ხატის წინ დავიჩოქე.

დიდხანს ვლოცულობდი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვიგრძენი, თითქოს რაღაც ნათელი მომეფინა.

ხელები გავიშვირე ზეცისაკენ.

ვტიროდი..

ვმეტანიობდი...

გადარჩენას შევთხოვდი უფალს.

ბოლოს, ძალაგამოცლილი, წამოვდექი, პირჯვარი გადავიწერე და ეკლესიიდან გამოვედი.

მზე კაშკაშებდა.

გაყინული სისხლი ამოძრავდა ძარღვებში.

გუშინდელი სიზმარი გამახსენდა და ახლა მივხვდი, ვისი თვალები ჰქონდა შველს: იას თვალები იყო.

ყოველგან მყოფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უჩინარო,
მომეცი ძალა შენი შეცნობის.
მე მოგენდობი, და სადაც წავალ,
სადაც გასწვდება
აზრი სამყაროს,
ვერა რა ძალა ვეღარ შეიძლებს
მონა უფლისა
უფალს გამყაროს.
ტაძარი,
სულში აშენებული,
სული — ლოცვებით აღზევებული,
შველი — ღვთიური
სახების ხილვა,
მაცხოვრის ხატთან —
სანთლების ბრწყინვა...
ო, უსაწყისო და უსასრულო,
ცხადო, სიზმარო,
ჩემო წარსულო,

და მომავალო,
და აწმყოვ,
ბეწვის ხიდზე მავალო,
მომეცი ძალა
უფლის შეცნობის!
კარზე ზარის ღილაკს ხელი დავაჭირე.
— ვინ არის? — მომესმა.
— მე ვარ! — ვთქვი.
კარი გაიღო.
ჩემს წინ ია იდგა.
— შეიძლება? — ნაძალადევად გავიღიმე.
— მოდი! — თქვა ჩურჩულით.
შევედი.
— როგორა ხარ? — ვკითხე.
— ცუდად!
არაფერი მითქვამს.
— კიდევ ხომ არ განმეორებულა ის ხმა?
მან შემომხედა. თვალებში შიში ედგა.
— ჰო! — წარმოთქვა ბოლოს.
— მე კი... — დავიწყე და აღარ დავამთავრე.
— რა? — ჩამეკითხა იგი.
— არაფერი...
ერთ ხანს სიჩუმე ჩამოწვა.
— ილოცე! — ვთქვი უცებ, — ილოცე და ყველაფერი კარგად იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ჩაჰკიდა.

— ცოდვიანი გამოდგა ჩვენი სიყვარული, — თქვა.

ერთ წამს ჩუმად ვიყავი.

ვუყურებდი მის გამხდარ, ნაზ სხეულს, დიდრონ შავ თვალებს, ოდნავ დაძარღვულ გამხმარ ხელებს და საშინლად მეწვოდა გული.

— არა მგონია ჩვენი კავშირისათვის გვსჯიდეს ღმერთი, — ვთქვი, — აქ უფრო ღრმადაა ფესვები წასული.

სევდიანი თვალები მომაპყრო.

— მაშ რისთვის?

— არ ვიცი.

— მეშინია! — თქვა მან, — მეშინია და მცივა.

ახლოს მივედი. მისი ხელები ხელებში მოვიმწყვდიე.

ყინულივით ცივი ჰქონდა ხელები.

— მიცვალებულივით ცივი ვარ, არა? — თქვა ნაძალადევი ღიმილით.

არაფერი მითქვამს.

— იქნებ მედიტაციამ გიშველოს.

— მედიტაციამ? არა... არა მგონია.

— მაინც სცადე!

— ვგრძნობ, რომ არ მიშველის. მე მხოლოდ ერთი რამ მიშველის ახლა.

— მაინც რა?

— სიკვდილი!

— ნუ აჭარბებ! — ვთქვი მე — ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა ასეთი?

— რა მოხდა? — ჩამეკითხა იგი.

— ორი დღეა ბოროტება ჩამძახის ყურში! ვიფიქრებდი, რომ შიზოფრენია მჭირს, მაგრამ შენც ხომ ჩაგესმა ის ხმა. ორივე ერთდროულად ხომ არ გავგიჟდებოდით.

— მაინც, რა ჩაგძახის?

— რომ ამ ქვეყნად ყოველივე სისულელეა, რომ ღმერთი არსებობს, მაგრამ სამსახოვანი კი არა, არამედ ერთი; რომ მას უნდა დავუჩოქო და არა ქრისტეს და სულიწმინდას... მე კი ვიცი, რომ მხოლოდ მამა-ღმერთის წინაშე მუხლის მოყრა სატანის წინაშე მუხლის მოყრას ნიშნავს. კიდევ ჩამძახის, რომ ქრისტიანული რელიგიის დოგმები სასაცილოა, რომ ყველაფერი, ჯოჯოხეთიც და სამოთხეც აქ არის, დედამიწაზე, და ხელიდან არ უნდა გავუშვათ არც ერთი წამი ამქვეყნიური სიტკბოებისა.

ერთ ხანს სიჩუმე გამეფდა.

— რაში ხედავ გამოსავალს? — ვკითხე ბოლოს.

— არ ვიცი, — თქვა მან, — შენ რას ფიქრობ ამის შესახებ?

— დიდია სატანის ძალა, — ვთქვი მე, — მაგრამ როგორღაც უნდა ვძლიოთ იგი.

— მე რამე, უფრო ბრძნულს მოველოდი შენგან, — თქვა იამ, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კი გაცვეთილი, პათეტიკური სიტყვებია მხოლოდ.

— მართალი ხარ! — ვუთხარი, — მაგრამ...

— მაგრამ, — ჩამომართვა სიტყვა, — მაინც უძლურნი ვართ ადამიანები, ჰოი, რა უძლურნი!

სახეზე ხელები აიფარა.

— ნუ გეშინია! — ვთქვი, — როგორმე გამხნევდი.

— როგორ? ეს ხომ ჩემზე არ არის დამოკიდებული!

არ ვიცოდი, რა მეთქვა.

— ერთი რამ კი ცხადია, — თქვა იამ, — ჩვენ აღარ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს.

— რატომ, ია?

— ასეა საჭირო!

თავი ჩავკიდე.

— არ გეწყინოს, — თქვა მან, — სხვანაირად არ შემიძლია.

— როგორც საჭიროდ დაინახავ, ისე მოიქეცი!

— მაგრამ... შეიძლება მოგიხმო კიდეც. თუმცა ეს მხოლოდ მეგობრის მოხმობა იქნება. ახლა კი... დამტოვე.

გაბრუებულივით წამოვდექი და კარისაკენ წავედი.

კარებთან მისვლისას მოვბრუნდი.

ია ისევ ისე იჯდა და თვალებიდან ცრემლები სდიოდა.

ასე სურს უფალს!
რაა მასთან ძალა ბოროტი!
მაგრამ ხომ მისცა ერთხელ ნება —
თრგუნვა იობის —
მას, ვისაც ძალუძს
გამრუდება კეთილთა გზისა!
ახლაც ასეა!
ასეა ალბათ!
ვინ, ვინ გაიგოს ნება უფლისა!
ვინ, ვინ განაგოს კაცთა ბედი,
თუ არა იმან,
ვინაც გვიგზავნის
ცხადში სიზმარს,
სიზმარში — ხილვას!
ო, უნათლესო
და ყველგან მყოფო,
ყველაზე მაღლა
დგახარ და ბრწყინავ!

***

მოსაღამოვდა.

ოთახი ვიჯექი და ვწერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა წერას მოვრჩი, უკვე სიბნელე იყო.
თვალწინ ია მედგა. სევდიანად იღიმებოდა.
თვალები დავხუჭე.
— გენატრება? — ჩამესმა.
მხრები ავიჩეჩე.
— მას თუ ვენატრები? — ვიკითხე უცებ.
— მას ახლა აღარავინ ენატრება!
— რატომ?
— მისი გონება დაბინდულია.
არაფერი მითქვამს.
— ჩემი გონებაც დაბინდულია, — ვთქვი ბოლოს.
— ჰო, მაგრამ...
— მაგრამ რა?
— არაფერი!
ერთხანს სიჩუმე იყო.
— რად დუმხარ? — ჩამესმა.
— არ ვიცი! — ვთქვი.
— ეტყობა, ძლიერ გენატრება!
ისევ სიჩუმე.
— მაშ, თუ ასეა, წადი მასთან.
— წავიდე? — ჩურჩულით ვიკითხე.
— ჰო!
ავდექი, ჩავიცვი და გარეთ გამოვედი.

***

თოვდა.
თოვლი ფეხებქვეშ სასიამოვნოდ ხრჭიალებდა.
სწრაფად მივაბიჯებდი.
აჰა, იას სახლიც გამოჩნდა.
კიბეები ავირბინე.
ზარის ღილაკს თითი დავაჭირე.
დიდხანს ვრეკავდი.
ბოლოს მეზობელთან დავაკაკუნე.
კარი ახალგაზრდა ქალიშვილმა გამიღო.
— უკაცრავად, ია თბილისშია? — ვკითხე.
ცნობისმოყვარედ შემათვალიერა.
— კი, თბილისშია, — თქვა მცირე ხნის შემდეგ, — მაგრამ...
— მაგრამ რა?
— არაფერი გაგიგიათ?
— მოხდა რამე? — ვკითხე შიშით.
ერთხანს დუმდა.
— მონაზვნად აღიკვეცა, — თქვა ბოლოს ხმადაბლა.
შევკრთი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მონაზვნად?

— დიახ.

— სად, რომელ მონასტერში?

მითხრა.

ერთხანს გაოგნებული ვიყავი, მერე იას მეზობელს დავემშვიდობე და წამოვედი.

შინ მისვლისთანავე ლოგინში ჩავწექი.

დაძინება ვცადე. არ გამომივიდა.

— არ მოელოდი? — ჩამესმა.

— არა! — ვთქვი.

— რას აპირებ?

— არ ვიცი.

— ძალიან გინდა მისი ნახვა?

— ჰო!

— ხომ გითხრა, მოგიხმობო.

— მე ვერ დაველოდები მის მოხმობას.

— მონასტერში წახვალ?

არაფერი მითქვამს.

— მაშ, ხვალამდე, — ჩამესმა ძილბურანში.

ჩამეძინა.

დილით ადრე გამეღვიძა.

ერთხანს გაოგნებული ვიწექი, ბოლოს ავდექი, ჩავიცვი და მონასტრისაკენ გავემართე.

მონასტერში სიჩუმე სუფევდა. თითქმის არავინ იყო.

— ვინ გნებავს, შვილო? — მომესმა.

მოვბრუნდი.

ჩემს წინ ხნიერი ქალი იდგა.

ვუთხარი, ვინც მინდოდა.

შუბლი შეიკრა.

— შენ ვინა ხარ?

— მეე? — დავიბენი, — არავინ, მეგობარი.

ერთი წამით ჩაფიქრდა.

— რა საქმე გაქვს მასთან? — მკითხა ბოლოს.

— არაფერი, — ვთქვი, — მინდოდა მენახა.

უსიტყვოდ შემხედა და ნელი ნაბიჯით გამშორდა.

ერთხანს ჩუმად ვიდექი.

უცებ შორიდან ია დავინახე. ჩემკენ მოდიოდა.

ჩემგან ორი ნაბიჯის დაშორებით შეჩერდა.

— გამარჯობა, ია! — ვთქვი და ნაძალადევად გავიღიმე.

— მე ახლა დაი მართა მქვია, — თქვა მან.

არაფერი მითქვამს.

— როგორა ხარ? — ვკითხე და ახლაღა შევამჩნიე, რომ თვალები დანისლული ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა მიშავს! — თქვა მან, — რატომ მოხვედი?

— ვეღარ მოვითმინე.

მან თავი ჩაჰკიდა.

— ახლა კარგადა ვარ! — ჩურჩულით თქვა. მცირე ხნის დუმილის შემდეგ: — შენ როგორღა ხარ?

მხრები ავიჩეჩე.

— აღარაფერი მაშინებს. ან როგორ მეშინოდა რამის! რა სულელი ვიყავი.

— ძალიან მიხარია, ია!

— დაო მართა, — ოდნავ ღიმილით შემისწორა.

ერთხანს ჩუმად ვიყავით.

— ესე იგი, იპოვე ხსნა სულისა?!

— ჰო! — ჩურჩულით თქვა.

— შენ რაღას ფიქრობ? — მკითხა უცებ.

— რა უნდა ვიფიქრო?

— იქნებ ჩემთვის მოგებაძა?

— არა! — ვთქვი მე, — მაგის ძალა მე არა მაქვს.

— საწყენია! — კვლავ ჩურჩულით თქვა.

— მაგრამ მეც ვიპოვი ხსნას! — ვთქვი მე, — ვიპოვი! — დავუმატე მტკიცედ.

— მჯერა! — თქვა მან, მერე პირჯვარი გადამწერა და მითხრა: — ღმერთი იყოს შენი შემწე.

ამ სიტყვებით უკან დაიხია, მერე მიბრუნდა და... წავიდა.

ერთხანს ჩუმად ვიდექი. ბოლოს მოვბრუნდი და გარეთ გამოვედი.

თოვდა.

შინ ვიჯექი..

თავი ხელებში მქონდა ჩარგული.

— რას ფიქრობ? — ჩამესმა.

— არაფერს! — ამოვიოხრე.

— გამოსავალს ეძებ?

— ჰო!

— ეძიე, — ცოტა არ იყოს დამცინავად გაისმა.

— შენ რას მირჩევ! — ჩავეკითხე.

— ვერაფერს.

— შენ ხომ ბრძენი ხარ! — ვთქვი.

სიჩუმე.

— ესე იგი, შენც უძლური ხარ? — ჩავეკითხე.

— არა! უძლური არა ვარ, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— შენ თვითონ უნდა მიხვდე.

— რომ ვერ ვხვდები?

— შენდობა შესთხოვე უფალს.

— არც ეგ რომ არ მშველის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ...
— მაშინ რა?
— არაფერი!
მწარედ გამეღიმა.
— მაშ, ჩიხში ხარ მოქცეული?
— ჰო! — ვთქვი მე.
— ეს რაღაც მისტიური წრის მაგვარია! — გაისმა. — შენ უნდა შეძლო ამ წრის გარღვევა.
— როგორ! როგორ?! — ლამის ვიყვირე.
— ღმერთს მიმართე... ის გასწავლის.
თავი ჩავკიდე.
— ასეც ვიზამ... — ვთქვი ჩურჩულით, — ახლა კი დამტოვე.
ხმა აღარ განმეორებულა.

სამყაროს უდრი,
ნათელო დიდო,
სიკვდილ-სიცოცხლის
კიბევ და ხიდო,
მომეცი ძალა
თრგუნვა ვნებათა,
მეუფევ,
სიბრძნე — შემეცნებათა!
მომეცი ძალა,
მომეცი ძალა,
მიიღე ჩემგან სიცოცხლე — ღალა!
მიიღე სისხლი,
მიიღე სუნთქვა,
მომეცი ნიჭი,
სული რომ სრულვქმნა!
არა მინდა რა,
გარდა იმისა,
რომ ჩანდეს ბნელში
ბრწყინვა სხივისა,
სხივისა,
მზე რომ გვიგზავნის
მოკვდავთ,
ყველას, ვინც ვფიქრობთ,
არ ვცოდავთ, ვცოდავთ!

***

ნელი ნაბიჯით მივყვებოდი ქუჩას.
ბაღთან შევდექი.
შევედი. სკამზე დავჯექი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები დავხუჭე.
— გიჭირს? — ჩამესმა.
არაფერი მითქვამს.
— გიჭირს? — განმეორდა.
— ჰო!
— რას აპირებ?
—სიკვდილს.
— სიკვდილს? — გაისმა გაოცებით.
— ჰო, რა გაგიკვირდა.
— ეს ხომ მკრეხელობაა.
— ჰოდა, მეც ისეთ სიკვდილს ვეძებ, რომ მკრეხელობა არ იყოს.
სიჩუმე ჩამოვარდა.
— ასეთი სიკვდილი არ არსებობს, — გაისმა.
— ვიცი, — ვთქვი...
— მაშ, როგორღა?
— მსხვერპლად უნდა შევეწირო ყოვლის შემძლეს.
— გგონია, იგი მიიღებს ასეთ მსხვერპლს?
— ვნახოთ! — ვთქვი ჩურჩულით.
ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.
— მაინც როგორ უნდა მოხდეს ეს? — გაისმა ბოლოს.
— როგორ უნდა მოხდეს? — გავიმეორე.
— ჰო!
— არ ვიცი.
ისევ სიჩუმე.
— ღმერთი იყოს შენი შემწე — ჩამესმა.
წამოვდექი და ბაღიდან გამოვედი.

***

შინ ვიყავი.
ოთახში ბნელოდა. მაგიდასთან მივედი.
გამოვაღე.
რევოლვერი ამოვიღე და მაგიდაზე დავდე.
ერთხანს გაოგნებული დავყურებდი იარაღს.
ბოლოს ავიღე...
გადავხსენი...
შიგ შვიდი ტყვია იდო, ოთხი ცალი ამოვიღე და მაგიდაზე დავყარე.
რევოლვერი ჩავკეტე.
ხელში ავიღე... დოლურა დავატრიალე.
შუბლთან მივიტანე.
ნელა, ძალიან ნელა დავაწექი სასხლეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟუჟუნა ხაჯიშვილი

კოლხური დიადემა

ალბათ ნიმფათა ლურჯ საუფლოდან
გამომასახლა, დამბერა ქარმა,
ესა ვარ, რაც ვარ, გრილ ნიჟარაში
გამომწყვდეული ჟინი და კრძალვა.

ესა ვარ, რაც ვარ, საუკუნეთა
ჩუმ მღელვარების სითბო და ფერფლი,
არ შეშრობია პონტოს და ეგრისს
ჩემი პატარა, სოველი ტერფი...

მე ქუთაიას მკერდმოკვეთილი
მივაჭენებდი ყვითელ ულაყებს
და ვით სასწაულს, მინდვრები თვითონ
მაწვდიდნენ გრძნეულ ბალახ-ბულახებს.

ნეტავი, ღმერთო, არ დამელია
ტრფობის სამსალა – დამწველი ბანგი,
ნეტავი გარდა კოლხური მზისა
სხვაგვარი ცეცხლი არ ეგრძნო ბაგეს.

ჩამომდის წვიმა, ვით სიყვარული,
გადამდის ფიქრი, როგორც ტალღები...
და ვარდისფერი მდინარეები
ვით ოდოია, გამდის ძარღვებში.

ესა ვარ, რაც ვარ, საუკუნეთა
ჩუმ მღელვარების სითბო და ფერფლი,
არ შეშრობია პონტოს და ეგრისს
ჩემი პატარა, სოველი ტერფი...

თუბალ, გასჩქიდე!

ზღვა – მობრიალე სფინქსის თვალები,
მთები ნაჭედი თითქო ხალიბის,
და ზედ, ვითარცა თეთრ ეტრატებზე,
გადაწერილი სისხლის ხალები...

აქ წინაპარი ბრინჯაოს მკლავით
ისევ მიბელტავს ურარტუს მინდვრებს
და ვით სამშობლოს მარადი კვამლი,
სული მიბოლებს ძველთაძველ მითებს...

შეხსნა ურდული ჩრდილოეთისკენ
მქროლავმა ქარმა საუფლოს კარებს...

და ბნელ ტყეებში მივეხეტები
გრძნობაშემლილი ხეთური მთვარე...

მიმაქვს ცრემლები ადგილის დედის
და სინანული, როგორც მძევალი...
თუბალ, გასჭედე შენ ჩემი ბედი,
თუბალ, დაარჭე აქ სატევარი!..

ჟამმილეული დიდების გვერდით
ყოფნა-არყოფნის ქრიან ქარები,
იცან, სამშობლო! – პირველი კერპი,
ცას შეალეწე რვალის ფარები!...

***

ჩემს შვილებს — პაატას და გიორგის

უკვე გიამბე ცოტნეს ამბავი,
ცხრა ძმა – ლომგულთა კრწანისს მოფრენა,
შავლეგოს ცხენის თეთრი ფაფარი,
ტყეში რომ ხიზნობს... და იფოფრება...
როგორ კენკავენ უფლის ჩიტები
თედორე ბერის წმიდა ნაფლეთებს,

უკვე გიამბე დავით, ქეთევან,
უკვე ათასგვარ ტკივილს დაგპირდი...
შენ, გასაზრდელო ციდა მამულო,
წინაპრის სისხლის ცელქო ციაგო,
ახლა ზღაპარი უსალამურო
პატარა ბიჭზე... როგორ გიამბო?...

დაგეცრემლე სისხლისფერად...

სად არს ჩვენი თბილი ქოხი
მოგურგურე ბუხარით...
ჩვენი დარდიანი ოხვრა
ოჩოკოჩებს უხარით...

დაგეცრემლე, სისხლისფერად
ნანაია, ქოგგალე...
სად ხარ, ჩემო ტკბილო ჩელა,
მოდი, ჟრჟოლა მომგვარე...

თორემ სული მეყინება,
ქორთუს მკერდი მომთალეს...
ვოი-ნანა, გვეტირება,
სნეულნი ვართ ორთავე...

ცხრა ცა გვქონდა, ცხრაი კერა,
ცხრავე – უფლის საყდარი...
სად არს ჩვენი თუთარჩელა...
სავსე მთვარე სად არი?!...

***

გამოეთხოვა ათასწლოვან შფოთიან
ბურანს
და მომეახლა ჩემი ასაკი,
შეფარებია მარადიულ ყვითელ ორგიას
სული – სხეულში ჩაფრენილი
პეპელასავით.

სავსე მაქვს ტანი, მზით და მიწით
სავსე მაქვს ტანი
და მებრალება განწირული სისავსე ჩემი.
დასტირის მიწა ჩემს ვარდისფერ
ჟრჟოლას და ამურს
და ციხკენ ჟონავს სული ჩემი
– გამდნარი ცრემლი...

როგორ გავექცე დათვლილ წამებს,
როგორ გავექცე,
მკერდზე მიტოკავს უცოდველი
პაწია თათი,

და ჩემს სარეცელს, გათანგულ და
რძიან სარეცელს
გადასდის რძის და დედობის მადლი...

ჰოი, ზეცაო, რას მპირდები, მითხარ,
სანაცვლოდ?!
მოენატრება მიწას ჩემი ცრემლის
თოვება
და დააჩნდება მზესაც ლაქებად
ჩემი არყოფნის უსაზღვროება...

...სავსე მაქვს ტანი, მზით და მიწით
სავსე მაქვს ტანი
და მებრალება განწირული სისავსე
ჩემი,
დასტირის მიწა ჩემს ვარდისფერ
ჟრჟოლას და ამურს
და ციხკენ ჟონავს სული ჩემი
– გამდნარი ცრემლი...

სიმარტოვე

ახლა გრძნობა ისე ხალახია,
როგორც შენი სულის სიხატოვნე,
ალბათ მარტოობაც ლამაზია,
როცა დმერთის სწორი მიგატოვებს...

დდეებს უსახრულო სევდად მიაქვს
შენგან განწირული ნატვრის გლოვა,

ალბათ სიყვარულზე სპეტაკია,
ახჯერ სპეტაკია სიმარტოვე.

ერთხელ კიდევ, ჩემო სალოცავო
რამე გასაოცრად წმინდა მთხოვე,
მოდი, ერთხელ კიდევ გამომცადე,
კიდევ გამწირე და მიმატოვე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

ადარც მეხიზმრე ყმაწვილქალობავ,
იაიების თავსახსოვმალო...
დედა ზოზბების მეხმის გალობა,
ჩიტ-ჩიორები განა სდუმანო...

ადარც ფრთები მაქვს, რომ მერცხალივით
დანატრულ ბუდეს გადავუარო...
გადავეცეცო მინდვრებს ქარივით
მოვკენკო ჩემი ბალაბ-ბულალო...

ცეტა, საფურე ირმის ბდავილი
მიმოკარგულა უგზო უკვალოდ...
რქათა ჯაბუნი მეხმის ხარ-ირმის,
საჩიხეებში მთვარე ბურგალობს...

მზე ოქროსფერი გზით მეპარება,
სადა ხარ ჩემო ნადდო სტუმარო...
შემაზე ფიქრი... რომ ნეტარებამ
ცას ჟრუანტელად გადაუაროს...

***

ნუ გსურს, ძვირფასო, დარდი გამანდო,
მიჯობს ლოდინი – ვერ დაუთვლელი...
ნურც უზრუნველის ფანდით გამართოს,
ქვა ვარ, ლოდივით ცივი, უთქმელი...

სჯობს დამეკარგო უმისამართოდ,
გინდა დაგადონ ფრთებზე ხუნდები...

ვერც შირაზს გპოვო, ვედარც ყაბარდოს,
ვერც საყმოს გულქვა ტაიფუნდების...

ამ ჩვენს ცხოვრებას დმერთი თავადობს,
ვეძებთ ცხონებას... მიწას ვუნდებით...
სიოსაც გისროლე ჯავრის ქამანდო
ბუმერანგივით უკან ბრუნდები...

***

ო... საოცარი ის შემოდგომა
მკაცრად საამო... და სუსხიანი...
პიტალო კლდეზე მზის წამოდგომა,
ზედ მიმსხვრეული ჰანგის ჟღრიალი...

ხელგადაჭდობით უვლიან ფერხულს,
თითქოს ირხევა ქარში ზეწრები...
და მზით გარუჯულ საშრეთულ ფერ-ხორცს
სცვივა ველური მზის ნაპერწკლები...

...ო... როგორ გინდა, შენც ამ მოძახილს
თან გაჰყვე, როგორც უხმო ყიჟინა,
მაგრამ ქალი ხარ... და ამორძალი,
ხელთ ორლესული ხმალი გიჭირავს...

ო, როგორ იგრძნობს სურვილი სურვილს,
ო, როგორ იცნობს თვალები – თვალებს
და სხეულიდან გადადის სული,
როგორც გივარგის ბრიალა მთვარე...

***

რაი ნეტა, საოცარო, მითხარ,
რადა დარჩა მოსახვლელი კიდე...
დიდხანს, დიდხანს, უსასრულოდ დიდხანს,
რომ ამ ტკივილს თავთავივით ვმკიდე...

ვერ აწონი, ვერ გაიგებ მისხალს,
თუ რა დარდი ქალის მხრებმა ზიდეს...

მზე ვარ, ცაში ასაფრენი სიხხაშს,
ცა ვარ – ღრუბლით დასაფენი რიდე...

გვეედრები, ნუდარაფერს მკითხავ
ა, იმ გულზე, მე რომ მკერდში მიდევს...
ირმის ბედით... ზეტიალა გზით ვარ,
ნიშას რქებით დასამტვრევი კლიტე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განდაგან

რა იყო, რად არ მცილდები,
რა გინდა, ბიჭო, ნეტავი,
თვალისწინ აგიფრინდები,
როგორც მიმინოს ქედანი...

არ ჩაგაბედებ გულისპირს,
ლალით მოქარგულ საპირეს,
გავშლი მკლავებს და გადვიფრენ,
ჩაგიწვავ ნდომის საკირეს..

განა ყანა ვარ, თავთუხი,
გამლეწო, გამანიავო,
განა კვარი ვარ, სანთური,
მომენთო, ამაბრიალო...

არცა წყაროსპირს შეგხვდები,
არც წყალს მოგართმევ კოკითა,
არ გაგიმზევებ ხურვილებს
და არცა მოგკლავ კვდომითა...

რა იყო,რად არ მცილდები,
რა გინდა ბიჭო,ნეტავი,
თვალისწინ აგიფრინდები,
როგორც მიმინოს ქედანი.

როცა მდედრის თვალი ხედავს...

იმგვარ სათქმელს რა ფასი აქვს
ან სიწრფელეს სათქმელისას...
თუკი ტყუილს პირში გჩრიან
ვით იუდას მწარე ქისას...

რა ფასი აქვს, მითხარ, ხალათს
ნაზირ-ვეზირ ვასალისას,
თუ დიმილი გიგავს დალას
უუფლებო მასხარისას...

თუ სიმდერა ტირილია
და სიმართლეც ზდაპარია,
თუკი შენსა მწყალობელსა
მტერთან ჭიქის ჭახანი აქვს.

თუკი ტყუილს პირში გჩრიან,
ვით იუდას, მწარე ქისას,
იმგვარ სათქმელს რა ფასი აქვს,
ან სიწრფელეს სათქმელისას...

ჰოი, ჩემო დიდო ჯვარო,
სისხლო ჩემო – საწვეთარო,
ჰოი, ლელას ბახრო ზმალო,
ოთარაანთ კუთხე-თაროვ...

რა ფასი აქვს, მითხარ, ნეტა,
დაცემას ან გამარჯვებას,
როცა მდედრის თვალი ზედავს
რაინდების დალაჩრებას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲡᲬᲔᲠᲔ ᲯᲕᲐᲠᲘ

ᲩᲐᲛᲝᲘᲙᲐᲤᲐ ᲮᲘᲮᲐᲗᲐ ᲛᲗᲔᲑᲘ,
ᲩᲐᲣᲥᲠᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲙᲐᲮᲐᲑᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲡ.
ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲙᲚᲐᲠᲯᲣᲚᲘ ᲒᲖᲔᲑᲘ
ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲒᲐᲜ ᲞᲘᲠᲣᲙᲣ ᲛᲘᲓᲘᲡ.

ᲛᲘᲔᲜᲐᲗᲔᲑᲐ ᲢᲧᲔᲔᲑᲡ ᲐᲖᲘᲣᲠᲡ
ᲨᲔᲜᲘ ᲥᲐᲗᲥᲐᲗᲐ ᲩᲝᲮᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲔᲜᲘ...
ᲓᲐ ᲘᲑᲖᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ,
ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲗᲝᲕᲐᲠᲘ – ᲓᲕᲗᲐᲔᲑᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ.

ᲗᲐᲒᲝᲡ ᲗᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲑᲐ ᲤᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ,
ᲗᲐᲕᲙᲐᲚᲝᲡ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲜᲘᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲘ...
ᲞᲐᲞᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲡ ᲕᲘᲜ ᲛᲘᲢᲘᲐᲚᲔᲑᲡ,
ᲕᲘᲜ ᲒᲐᲛᲘᲧᲐᲚᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ ᲫᲔᲚᲘ.

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲛᲘᲛᲠᲗᲔᲚᲝᲡ ᲪᲐ ᲜᲐᲢᲧᲕᲘᲐᲠᲘ
ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘ – ᲛᲔᲡᲮᲣᲠᲘ ᲠᲕᲐᲚᲘ,
ᲡᲮᲐᲚᲗᲘᲡ ᲥᲝᲜᲒᲣᲠᲖᲔᲪ, ᲛᲖᲔᲕ, ᲒᲐᲓᲘᲐᲠᲔ
ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲡᲬᲔᲠᲔ ᲯᲕᲐᲠᲘ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელა გაბური

აღსარება

.. ვიდაც იყო და
მეც ვიყავი, რადა თქმა უნდა.
სულ არ მინდოდა
გავჯიბრებოდი ვინმეს ყოფნაში,
არამედ ისე,
სულ უბრალოდ,
ყველა იყო და
მეც ზომ უნდა ვყოფილიყავი...
... იყო ვიდაცა,
არ უყვარდა და იგონებდა –
ვითომ უყვარდა.
მე კი მრცხვენოდა, რომ მიყვარდა
და ვიგონებდი, ვიგონებდი,
რომ არ მიყვარდა,
რომ მეც, მახავით,
არ მყვარებოდა
და მგონებოდა – ვითომ მიყვარდა...
... იყო ვიდაც და იცინოდა...
სულ არ მინდოდა
გავჯიბრებოდი ვინმეს სიცილში,
მაგრამ მრცხვენოდა
ჩემი სიჩუმის და
მეც, მახავით,
სიცილისაგან ვიჭაჭებოდი;
და მეც, მახავით,
მივაცილებდი მთვარის მკრთალ სხივებს
უცხო კაცების და ქალების
საძინებელში
და ვცდილობდი
მეც გამეგონა დამის სიმდერა
კარის დრიჭოში დარჩენილი
ჭუჭრუტანიდან
მხოლოდ იმიტომ,
რომ გარშემო ეს სიმდერა ყველას
ესმოდა
და მე მრცხვენოდა ჩემი სიყრუის.
ო, კიდევ კარგი,
და კიდევ კარგი...
რომ მუდამ, ყველგან ვიდაცა იყო.
იმის იქითაც, უფრო იქითაც,
კიდევ იქითაც...
რომ არასოდეს ილეოდა
ირგვლივ ვიდაცა...
ვის ნაბიჯშიაც ჩავდგამდი ნაბიჯს,
ვისნაირადაც ავტირდებოდი,
ვისნაირადაც მეყვარებოდა...
რათა როგორმე დაფარულად მეტარებინა,
რათა როგორმე დამემალა
და არ გამეცა
სხვათაარმგვანი,
მარტოსულობით შიშჩამდგარი
ნატანჯი სახე...

***

ვმდერი ხან მთისას, ხან კი ბარისას
და ეს სიმდერა ტკივილად მიდირს.
ნეტავ, ისეთი დილა მადირსა,
რომ არწივობას არ ჰკვეხდეს მდილი.
დროება, როგორც ბნელი საკანი,
ნატანჯ სხეულზე შემომენასკვა,
არსად არ დარჩა თეთრი საგანი...
სიხსლიანია თვალი, ენა, ქვა...
გული, რომელიც სხვისთვის იწვოდა,
ახლა სევდისგან გათანგულია,
მიაფრიალებს დროშებს წიწოლა,
ლუხუმი სადღაც დაკარგულია...
ვმდერი ხან მთისას, ხან კი ბარისას
და ეს სიმდერა ტკივილად მიდირს.
ნეტავ ისეთი დილა მადირსა,
რომ არწივობას არ ჰკვეხდეს მდილი.

დავით ალმაშენებლის ფრესკასთან

ცა ქარვისფერს იხვევს ბურუსს,
ბურუსისფერს ვუჭვრეტ ადმართს,
მზე ისვენებს ჩემს წამწამზე
და სხეულში სკდება ნადმად,
ხსოვნის ნისლი ფერადდება,
მივეჩვიე წლების კეჭნას,
ვაჰმე, დიდო წინაპარო...
ასკეც რკინას კბილით ღეჭდი...

ვერ მიჰყიდე ხული ჩარჩებს
და სხეულსაც ვერა ჰყიდდი,
ან კვდებოდი, ან რჩებოდი,
მიდიოდი ბეწვის ხიდით.
დღეს... დაგლეჯილ საბეჭურებს,
დამცირებულ სრა-ყაწიმებს,
მამულის მზის ლილო-ჭრილოს...
ნუგეშინის ცრემლს აწვიმებ.

სადაა ბავშვი

...მე ვიცი, ვიცი
ბევრზე ბევრი რამ.
მე უკვე ვიცი,
შემოდგომა რომ მოვა ახლა;
არ ემგვანება ის შემოდგომა
არც იმის წინას...
არც წინის წინას...
და ეს მოხდება
მხოლოდ ერთი მიზეზის გამო:
მხოლოდ იმიტომ,
რომ მე თვითონ არ ვემგვანები
ჩემს თავს არაფრით...
ბევრიც რომ ვცადო,
ჩემს თავს ვედარ დავუბრუნდები
და ძალიანაც რომ მოვინდომო,
დროს ამგვარად ვედარ ავითვლი:
რომ დადამდება და გათენდება
და კიდევ ორჯერ
რომ დადამდება და გათენდება,
მაშინ მივყავარ მამას ცირკში...
მინდა თუ არა,
უნდა ვიცოდე
ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბათი...
მინდა თუ არა, უნდა მახსოვდეს წამი,
წუთები, თვეები...
და მარადისობაც უნდა მახსოვდეს.
და ზოგჯერ ლექსიც
უნდა ვწერო
ასეთ სიტყვებით:
"მოვდიოდი და...
არყოფნაში ყოფნას ვნატრობდი".
ო, დმერთო ჩემო,
როგორ ძალიან სასაცილოა ეს ყველაფერი!
სადაა ბავშვი,
სადაა ბავშვი,
რომ შემეკითხოს ფართო თვალებით
და მიამიტად:
"ნეტავ რამდენი
დადამებაა და გათენება
იმ არყოფნამდე?"
სადაა ბავშვი,
სადაა ბავშვი,
ის შემოდგომა რომ დააბრუნოს
და ამ ძნელი სიტყვების ნაცვლად
და გაცრეცილი სამყაროს ნაცვლად
და ავადმყოფი ლექსების ნაცვლად
ისევ მაჩუქოს
ცირკის ბილეთი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

მუნჯი წყურვილით
ფრთაშესხმული
ვეძებ მუსიკას –
გადმოდვრილს ჩვილთა
უმანკო ხმიდან...
და ადტაცების
მწადს სიცხადე, რომ
მოვინატრო...
ისეთი მძაფრი
და ცისფერი
სახმილი მოაქვთ,
რომ ფითრის ბილიკს
ვარ შეზიზნული...
ისეთი სუსტი
და მსუბუქი
ჭკრთიან ბგერები
და ერთვიან დამის ნირვანებს,
რომ სიკვდილიც ადარ არსებობს...
ნეტარების ჟამს
სიფხიზლემდე მიმაქანებენ
ნათლის სტუმრები
და სახიერი ჩვენების
უძირო ფსკერი
მიზიდავს, როგორც
სიყვარული-ადამიანებს.

... ცოდვილი სულის
ვის ესმა ჩქამი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვიად რატიანი

არითმია,
ერთჯერადი გამოყენების პოემა

1

არავინ იცის, ვინ არის ღირსი
შენი სხეულის, ვინ კიდევ — არა.
სულ მალე, ალბათ, იქნები სხვისი,
ის მოგეხვევა,
გაგათბობს...

კმარა!
მე მინდა
შენი მსუბუქი ხელი
მე მინდა შენი უსირცხვილოდ
ცხადი მკლავები
შენი სხეულის ყველა ბორცვი
და ყველა ხვრელი
და ყველა ელდა ვერმოთმენის,
ვერშეკავების
მე მინდა
მინდა
მინდა
მინდა
შენი სისხლიდან
ამოღფეული კვნესის სითბო...
ბეტყვი უკეთესს:
მე ყველა ფიქრს და ყველა ფარ-
სულს შემოვიხსნი და
შენს აფვდილ ყელში მოგიზგიზე
ცეცხლს შევუკეთებ

მორჩა!
დავწყნარდი!
მე, უბრალოდ, ისე მიყვარხარ,
როგორც მიყვარდა ის არავინ, შენ რომ
შეავსე.
ჩემში, უბრალოდ, უდროო დროს ამოიხ-
რახნა
შენი სურვილი...

ვუმეორებ ჩემს თავს მეასედ:

„არის გვიანი, არ გივარგა პულსი,
იშლები.
ვალერიანი —
ორი სუფრის კოვზი —
გიშველის“.
მე მინდა...
არა, გვიანია, ახლა დაწვები,
თვალებს დახუჭავ, წაიფარებ ბეჭებზე
საბანს...
მაგრამ მე მინდა...
არა-მეთქი, ნუ მევაჭრები!
არ გაგექცევა ეგ ტკივილი,
დაწექი,სწრაფად!

და შეიცვალა ყველაფერი — თარო, ფარდები,
მაგიდა, ლამპა, კალმისტარი, სარკე,
კამოდი, —
როგორც მეტროში იცვლებიან
მგზავრთა ნაკვთები,
როცა ვაგონი გვირაბიდან მზეზე გამოდის.

მეც გამოვდივარ წარსულიდან, ძველი
წლებიდან,
ნაჩვევ საწოლში
მძიმედ ვწვები და
ჩემი ბავშვობა მენატრება, როცა ბალიში
ასე ლამაზად თამაშობდა შიშველ
ქალიშვილს.

2

მე წავალ, წავალ.
უფრო სწორად — წავედი უკვე.
არ დაეტყობა უჩემობა ამ ქუჩებს,
ნაძვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ კი იცოცხლებ.
ძველებურად.
ან უფრო უკეთ.
შეიცვლი კაბებს, ვარცხნილობებს,
ღიმილებს, კაცებს...
მე წავალ,
ფარდებს დაუშვებენ ჩემი ფანჯრები.
შენ გამომხედავ. არ დაგხვდები.
არც გაიკვირვებ.
ცოტაც და — წავალ, გაგეცლები,
მარტო დარჩები
და ხელს გაუწვდი ახალ სითბოს,
ახალ გვირგვინებს.
იქნები ძნელი,
სასურველი,
მძაფრად ქალური.
გარს შემოიკრებ შენი მკვეთრი
სიცხადით მთვრალებს
და ჩემი ხსოვნა —
უდროო დროს ამოკალული —
არ დაამძიმებს შენს ზედმეტად
პოეტურ თვალებს.
შენისთანები უყვართ ხოლმე,
ადვილად უყვართ.
შენისთანები, ლამაზები, საჩვენებლები...
და ამაყობენ, —
მიმიკებით, სიტყვებით, უტყვად, —
როგორც თავისი კაცურობის
დასტურ-ემბლემით.
რას ვიზამთ, ხდება,
ასეც ხდება, — კარგაგენ ქალებს.
რას ვიზამთ, ძაღლიც კი ელევა
სასურველ ლუკმებს.
გუშინ, ან შარშან, ან უფრო მალე მე წავალ...
უფრო სწორად — წავედი უკვე.

3

ნუ მაპატიებ —
იმ უარით დაცლილმა და ხელშებოჭილმა,
ფარ-ხმალს ვინ ჩივის, ჩემი ყველა
სურვილი რომ ასე დავყარე,
რომ შეგელიე ასე ადვილად.
ნუ მაპატიებ,
რომ მე —
ასე ერთგულმა და
ასე მორჩილმა,
რომ მე — ასე მორჩილმა და ასე
ნამდვილმა, —
ვერ შევძელი და
ჩემი თავი ვერ შეგაყვარე.
— ნუ მაპატიებ!

რადგან ყველა ოცნება — შ ე ნ თ ა ნ —
ფასს იღებდა,
მშორდებოდა
და ძვირდებოდა,
და რადგან შენი სიყვარული მართლა
ძნელია!

რადგან ის ხელი,
შენს სხეულს რომ სჭირდება
ყველაზე მეტად,
და შენს თმებს რომ სჭირდებოდა,
— ჩემი ხელია!
რას არ შევახე მე ეს ხელი,
სად არ ვათრიე!...
სადღა აღარ ჩავიქნიე,
რით არ დავღალე!..
და გევედრება: ნურასოდეს
ნუ მაპატიებ,
რომ მე
ეს ხელი —
ჩემი ხელი —
ვერ შეგაყვარე.

რომ არ გიჩვენე ჩემი სული, ნუ მაპატიებ.
ნუ მაპატიებ, ჩემი სული რომ არ გიჩვენე.
რომ მილიონჯერ დაგხვეწე და გაგამარტივე.
რომ მილიონჯერ დაგტოვე და ამოგიჩემე.

ნუ მაპატიებ, რომ ვერაფრით გაჩვენე ჩემში
კაცი, რომლისაც უნდა გწამდეს, უნდა გიყვარდეს,
კაცი, რომელსაც თავის დიდ და ძარღვიან ხელში
შენი თოვლივით თბილი ხელი უნდა სჭეროდეს.

ნუ მაპატიე, რომ მე, ვისაც მართლა მესმოდა
შენი ბაგშვური სილამაზის ჩუმი დიდება,
რომ მე, რომელსაც მხოლოდ
ერთხელ გამომეწოდა
ბედნიერება — ხორცშესხმული
ფერმკრთალ თითებად,

ვერ მოგიფრთხილდი, დავიღალე,
თავი დავხარე
და დაკარგულთა გულის ამრეკ რიგში ჩაგტიე...
ნუ მაპატიებ, რომ ეს ხელი ვერ შეგაყვარე!
რომ ვერ გიჩვენე ჩემი სული, ნუ მაპატიებ!

მე აქ ვარ, აქვე,
შენს მახლობლად,
მე,
ვინაც მართლა —
შენ რომ ითხოვდი — იმ სიყვარულს
ვინახავ გულში.
მე —
ასე ცხადი,
ასე მრუში
და ძველმოდური.
მე კარ ფანქარი
და მაკლია მხოლოდღა გათლა,
რომ შემოვხაზო შენი მკერდის ცხელი
კონტური.
მე აქ ვარ,
ახლოს,
და გზვერავენ ჩემი თვალები.
შენი სურვილი დღევანდლამდე მე მოვათ-
რიე
და ახლა აქ ვარ,
მუხლმოყრილი გემუდარები:
ნუ მაპატიებ —
ის ღალატი რომ გაპატიე!

4

დავცარიელდი,
როგორც წიგნთა სიმძიმისაგან
ჩამტყდარი თარო.
ეგ არაფერი! — ბევრჯერ უფრო
მეტადაც დამცეს.
რა მოხდა მერე, რომ იცოცხლებ უჩემოდ
და რომ
შეიცვლი კაბებს,
ვარცხნილობებს,
ღიმილებს,
კაცებს...

რა მოხდა მერე! — ცოტას დავთმობ,
გიგლოვებ ცოტას,
ბოლოს კი, იქნებ, ამ ტკივილთან
რაიმეს გავხდე.
ეგ არაფერი, —
როცა ერთი ლამაზად სცოდავს,
მეორე უნდა კიდევ უფრო ლამაზად
წახდეს!

ვერ გაგაკვირვე,
ვერაფერი ვერ დაგაჯერე,
მეც ის გითხარი, რაც სხვებს სხვებმა
მრავალჯერ უთხრეს,
და თუ რაიმე შემეშალა,
რა მოხდა მერე! —
ვიღებ შენიშვნებს, საყვედურებს,
საჩივრებს, ფურთხებს!...

რად უმღერიან ქალის თმებს და
თვალებს და
ტუჩებს
და არასოდეს ახსენებენ კეფასს ან ნიკაპს?
მე შენ მიყვარხარ მთლიანად და
მოვინატრებ უბიწობას შენი ნეკისას..
იცი, რას მიგავს ახლა სული? — სნეულ
თევზს მიგავს,
— აკვარიუმში
წყლის გამოცვლა რომ არ ეღირსა.

და მე არ გთხოვ, არც მუხლებში არ ჩაგივარდი
და,
როგორც მღვდელმა აღმსარებელს,
ისე მარტივად —
მე შევისმინე,
რომ სხვა გიყვარს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იმ სხვასაც დიდხანს უყვარდი
და რომ მე მხოლოდ
კეთილი და დიდი დათვი ვარ...

თანამიგრძნობენ. ალბათ მომისამძიმრებენ.
მანუგეშებენ.
მირჩევენ — სულით არ დავეცე,
დასძენენ „აფსუს“-ს,
და ამ სიყვარულს,
ყავლგასულს და გაუხეშებულს,
ოდესმე ალბათ მეც შევარქმევ
„სულელურ ლაფსუსს“.

ვხვდავ —
ვიღაცას, ჩემზე ძლიერს, სადღაც მიჰყავ-
ხარ.
რა მოხდა მერე, რომ ვერ გიჭერ, ვერ გე-
ჭიდები.

მე შენ,
უბრალოდ,
სადღაც,
ახლოს,
მართლა მიყვარხარ!
მე შენ, უბრალოდ, სადღაც, ახლოს, მარ-
თლა მჭირდები!

სხივი კი — ვითომც არაფერი!
— ნედლ ფოთოლს ერთვის...

როგორ დავსაჯო? სად განვდევნო?
— ანდა რას ვერჩი!
თუ გაგახსენდე, — ჩემი კარი ღიაა
შენთვის,
ოღონდ
ფეხები გაიწმინდე
შემოსასვლელში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ლობჟანიძე

***

აპრილის ბოლოს, აჰა, ლელვიც
გამოიკვირტა,
საცაა, ალბათ, იგავთქმული მოვა
ზაფხულიც...
ვინც ცოდვა კაცთა სიყვარულის
გამო იტვირთა
და უმოწყალოდ იქნა ჯვარზე ჩვენგან
გაკრული...
გვიახლოვდება!
და ვაი ჩვენ, ჭუჭყში ჩაფლულებს...

XX საუკუნე

ულმერთობის და ბორკილების გადის ეპოქა,
შორს, ჰორიზონტზე ჩანს სინათლის
ფერმკრთალი ზოლი,
დაღვრილი სისხლი საუკუნეს ასსაც ეყოფა,
კაცობრიობა გაგვიხსენებს შიშით და
ძრწოლით!

მე რაც შემეძლო, ვიწვოდი და ვანათე ბნელი,
ამ დროს აპრილის ჩახმახა მზე ენთო
სხვა მხარეს...
და ყელში მიჭერს ათეული ჩამწვარი წელი,
თვალს და ხელს შუა გაფრენილი
სიცოცხლე მწარე!

***

რა გადაიტანს ამხელა ზამთარს,
შიმშილს, სიცივეს, ჭორსა და ტყუილს,
სიკვდილს, რომელიც სამშობლოს
კართან
ჩაყუნცულა და ძაღლივით ყმუის!..

რა გეიშველის და ვინ გადაგვარჩენს,
თვალებს ვხუჭავ და წინასწარ ვტირი:
ხალხს, ვინც სხვის თვალში
ბეწვსაც კი ამჩნევს,
საკუთარში კი ვერ ხედავს დირეს!.

***

მინდა ვიფიქრო რამეზე, კარგზე —
მზეზე, ნათელზე, სითბოზე, ქალზე,
ვხუჭავ თვალებს და ოცნებას ვქარგავ
და დაჟინებით — მაკვირვებს ერთი! —
მიეშტერებივარ სივრცეში წერტილს, —
ვფიქრობ სიკვდილზე, ტყვიაზე, შხამზე,
ათას ბილწსა და მილიონ აკზე,
სასაფლაოზე,
სამარეზე, ცივსა და შავზე!
.....
თვალებს გავახელ,
მინდა ფიქრი მომშორდეს მრუდე,
მაგრამ ამაოდ,
ვფიქრობ მხოლოდ და მხოლოდ ცუდზე!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომი

რამდენმა ბიჭმა დახუჭა თვალი
და ჩაიყოლა საფლავში ნატვრად
თეთრწვიანება და ლურჯთვალა ქალი,
მისი ცქერით და კოცნით ვერ დათვრა.

რამდენმა გოგომ ჩაიცვა ძაძა,
მზეს დაუმალა გულმკერდი ბროლის,
რამდენიც ისე მიწაში ჩაწვა,
ვერ გახდა კარგი ვაჟკაცის ცოლი...

***

თქვენ ხომ არ იცით, რა არის ტანჯვა
და ამაღლება გულწრფელი დარდით,
წყალწყალა სიტყვებს ბზესავით ხარჯავთ,
თვალებზეც ყალბი ცრემლები დაგდით.

მოიცალეთ და დაფიქრდით წამით
(მაინც მოგიწევთ სამარის კართან), —
თუ გახსოვთ ვინმე, თუ გიყვართ რამე,
თქვენი პატარა გულების გარდა!...

ზღვა

მშობელ მიწაზე დავაბიჯებ, როგორც
სტუმარი...
მკლავს უცხოობა და სიჭრელე ზღვისპირა
მხარის,
ირგვლივ თვალები ყინულივით ცივი,
მდუმარე, —
ვეღარ ვცნობ, ნუთუ ჩემი ძველი მამული
არის?!..

ღმერთო, რისთვისღა ზღვა სისხლი და
ჭიდილი ერთა,
საუკუნობით შენსკენ ლტოლვა ხმლით
და სანთურით...
მხოლოდ იმიტომ, საქართველო
სახელად ერქვას
და არ ცხოვრობდეს აქ ჯვარს ცმული
ტომი ქართული?!

***

ხედავ? რამდენი მტერი გყოლია
და უგუნური რამდენი შვილი,
შენს თეთრ მწვერვალებს, მარად თოვლიანს,
კვლავ ჩრდილოეთით დაეცა ჩრდილი...

კვლავ სისხლი გდის და კვლავ სიკვდილს ებრძვი,
მაგრამ ვაი, რომ მკურნალი არ გყავს...
ნეტარი არის, ვინც მოკვდა შენთვის
და საგზლად შენზე ნაღველი წაჰყვა...

***

თურმე რამხელა ყოფილა მიწა,
ყოველწამს კაცის სიკვდილი მესმის,
იქით ევროპის ნაწილი იწვის,
აქეთ აფრიკა შიმშილით კვნესის.

ჩვენ?
ნაჭერ-ნაჭერ ნაგლეჯი ერი!
(კიდეც ვიწვით და კიდევაც გვშია),
თუმც არეულად, შვიდ ხმაში ვმღერით...
მივითრევთ სისხლის საბელს და მივალთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

ბზინავს, ბუყბუყებს დროება ყალბი
და ბნელ ჭაობში გვიპირებს დანთქმას,
მიხვედრილია ყველაფერს ხალხი,
მაგრამ შიშისგან არ იცის, რა თქვას.

გაივლის წელი თხუთმეტი, ოცი,
გამოერევათ ფოლადი ხმაში,
განიძარცვება შიშისგან ხორცი
და იქნებ რამე გვეშველოს მაშინ!...

***

აღარ გირეკავ, ყვავილებსაც აღარ გიგზავნი,
მინდა ჩემს წარსულს სამუდამოდ ვუთხრა
უარი,
აღარც სითბო და
აღარც რამე დიდი მიზანი,
როგორც ზამთრის დღე, ცარიელი
გულიც ყრუ არის,

თუ ზოგჯერ მაინც გამოკრთება სხივი მცინარი
და მოწყალებას წამით ჩემთვის კვლავაც
ინებებს...
ვიტყვი, – რა ხანი
ჩავლილია ტრფობის მდინარე
და ყველაფერი წალეკილა წელთა
დინებით!

***

ზრიალებს ქარი, ლამის ჭერი დამამხოს თავზე,
გარეთ გმინავენ გათოშილი ხეები ხმელი,
არავითარი შებრალება და ფიქრი სავსე,
ძალა რომ მქონდეს ამ თებერვალს
დავაბრჩობ ხელით!
მკლავს უფერო და გაყინული დღეების წყება

და თითქოს მართლაც მინდა ვიყო
ბოროტი მკვლელი...
სულში სიცივე, სიმარტოვე ჩრდილივით
წვება,
ღმერთო, როდემდე!
მაინც ხვალის მზიან დღეს ველ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ხოფერია

გზები

რომანის ფრაგმენტები

გიორგის უინტერესო, მონოტონურ, ერთფეროვან ცხოვრებაში, ალბათ, იულიას გამოჩენა იყო ყველზე დიდი მოვლენა.

ერთ დღეს სარდიონისაგან ახალი დავალება მიიღო გიორგიმ. ურემი სიმინდით სავსე ტომრებით დატვირთა და უთენია გაუდგა გზას სამაზრო ცენტრისაკენ. ის ცნობილი მედუქნე ინახულა, სიმინდი მიუწონა, ფული მიითვალა, დააწყო ურემზე ცარიელი ტომრები და ბევრი აღარ დაუხანებია, სახლისაკენ გამოეშურა.

უჩვეულო გვალვიანი ზაფხულის დღე იდგა. ზენიტზე მდგარი მზე მთელი ძალით აცხუნებდა და ნელ-ნელა იპყრობდა, გუდავდა ყველაფერს ხვატი. გზიდან ამდგარ მოყვითალო მტვერს დაეფარა გზის პირას ამოსული ბალახები, გაქუცული, დაჩიავებული და გვალვისაგან ფოთლებშემჭკნარი ბუჩქები. დასიცხულ ხარებს პირზე მწვანე დუჟი მოსდგომოდათ, ზანტად იკოხნებოდნენ, უგერგილოდ, იქნევდნენ ფუნჯისფერ კუდებს და იგერიებდნენ აბეზარ, ჭინკასავით შეჩენილ ბუზებს. ურემი ნელა მიჭრიალებდა მტვრიან გზაზე და გაუსაპნავი ღერძის მონოტონური ჭრიალი არღვევდა ირგვლივ გამეფებულ შუადღისეულ მყუდროებას. გიორგი ურემზე იჯდა. სიცხისაგან მოთენთილი, სანახევროდ ჩათვლემილი თუ გაბურსალებული, დროდადრო მილულავდა თვალებს და ხელის ზურგით იწმენდდა შუბლზე დაცვარულ ოფლს. ხელში თხილის გრძელი, მოქნილი შოლტი ეჭირა, რომელსაც დროდადრო გადაუქნევდა ხარებს, ცდილობდა აეჩქარებინა ისინი. როგორც კი იგრძნობდნენ შოლტის სიმწვავეს, დასიცხული ხარები ოდნავ აუჩქარებდნენ ნაბიჯს, მერე კი რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ, ისევ ჩვეული სიზანტით და მონოტონურობით განაგრძობდნენ გზას. გზაზე ძეხორციელი არ ჭაჭანებდა და გიორგი, თავისი ხარებითა და ამ მოჭრიალე ურმით, რაღაცნაირ თავისებურ რეზონანსს ქმნიდა ამ შუადღისეულ, დასიცხულ სიჩუმეში. სიცხისაგან შეწუხებულს ერთი სული ჰქონდა, თუ როდის მივიდოდა სახლში, როდის გადაივლებდა სახეზე ცივ წყალს და როდის დაისვენებდა.

სახლამდე კი ჯერ კიდევ საკმაო მანძილი ედო გასავლელი, ჯერ აღმართი უნდა დაეძლია, მერე დაღმართში დაშვებულიყო. მერე კი გზას გაუყვებოდა და ასე ჰქვია, სახლში იყო უკვე.

აღმართი ალია, მერე დაღმართიც ჩავლო და აი, მისი სოფლის მიჯნასაც დაუახლოვდა. გზამ გაივაკა, გასწორდა და გაიწვართა. ახლა იგი სანახევროდ დამშრალი, დაკლაკნილი მდინარის გასწვრივ გაწოლილიყო. მდინარე ჩუმად, მდორედ მიედინებოდა და შორიდან ისე მოჩანდა, იფიქრებ-

დით, თითქოსდა ერთ ადგილზე დგასო. სანაპიროზე რიყის ქვები ეყარა და მზისაგან გადახურებულ ქვებზე სიცხის ალმური რონინებდა.

გზიდან გადაუხვია, ჯერ ხარებს დაალევინა წყალი, მერე თავადაც დალია. დაგრილდა, ცოტა დაისვენა და ისევ გაუდგა გზას.

მოულოდნელად გზის პირას, უზარმაზარი ცაცხვის ძირას მჯდარი ქალები დაინახა და მისდაუნებურად მიაპყრო მზერა. უცნობები ჩანდნენ. ვერ მიხვდა, რისთვის იჯდნენ ამ დროს, ამ გაგანია სიცხეში, აქ, გზის პირას და რას, ან ვის ელოდებოდნენ.

მის დანახვაზე ქალები ფეხზე წამოდგნენ და რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს. ერთი ხნიერი იყო, მეორე — ახალგაზრდა, ორივეს ძველმანები ეცვათ, სხვადასხვა ფერის საკერებლებით აჭრელებული, სიძველისა და რეცხვისაგან გამოხუნებული კაბები. შიშველი ფეხები მტვერში ამოგანგლოდათ. ჯერ ბოშები ეგონა გიორგის ისინი. სოფელში ხშირად დაწანწალებდნენ მოხეტიალე ბოშა ქალები, რომლებსაც ზურგზე მოკიდული ფუთებით დაჰყავდათ მეძუძური ბავშვები და ყველაფერს თხოულობდნენ,

ყველაფერი მიჰქონდათ, რასაც კი წაახელთებდნენ. ერთხელ ეს ბოშა ქალები სარდიონსაც ეტუმრნენ. ქალბატონს უმკითხავესს, გასამრჯელო აიღეს და თან უადგილო ადგილას დადებული ქალბატონის ბეჭედიც გააყოლეს ხელს.

კარგად რომ დააკვირდა მათ, მხოლოდ მაშინ დარწმუნდა გიორგი, რომ ისინი ბოშები არ იყვნენ.

ხნიერი ქალი დაბალი იყო, სქელი, უშნოდ ჩაგოდრებული, მუცელი ისე წამობეროდა, საცაა მოილოგინებსო, იფიქრებდა მისი დამნახავი კაცი. მან იქვე, ცაცხვის ძირას მიგდებული საკმაოდ მოზრდილი ფუთა აიღო ხელში და ურმისაკენ წაგვანგვალდა.

— გაიჩერე, გაიჩერე ურემი, ნენა!

გიორგიმ ხარებს შეუძახა და როცა ურემი გაჩერდა, თავი მისკენ მიაბრუნა და დაელოდა.

გიორგი ჯერ ხნიერს უცქეროდა, მერე კი მზერა ახალგაზრდისაკენ გადაიტანა, რომელიც ნელი, აუჩქარებელი და გაუბედავი ნაბიჯებით მიყვებოდა უკან ხნიერს. სწორედ მაშინ შეხვდნენ ერთმანეთს გიორგისა და იმ გოგოს თვალები. გოგო, თითქოსდა მეურმის მზერამ მონუსხაო, მისდაუნებურად შეჩერდა, აარიდა მზერა, დახარა თავი და ერთმანეთზე მიტყუპებულ და გამტვერილ საკუთარ ფეხებს დააცქერდა.

გიორგიმ კი არ იქნა და ვერასდიდებით ვეღარ მოწყვიტა მზერა გოგოს. უცქეროდა და ვეღარ გაეგო, რატომ უცქეროდა, რისთვის უყურებდა ასე დაჟინებით, რა ხდებოდა მის თავზე, რა ძალა იყო, ასე რომ აიძულებდა ეცქირა მისთვის და ვეღარ მოეწყვიტა მზერა. გარკვეული კანონზომიერების თანახმად, ასეთ კაბაში, ასე მორთული, ასე გამტვერიანებული, დაუბანელი და ფეხშიშველა, არ უნდა გამოჩენილიყო მაინცდამაინც ლამაზი, მიმზიდველი და თვალდასატანებელი, მაგრამ, რატომღაც, გიორგის თვალში პირიქით კი ჩანდა. მაღალი, აშოლტილი, ალვისტანა, წელამდე დაყრი-

ლი მსხვილი, ნახშირივით შავი ნაწნავებით, დიდრონი, ბრიალი, თაფლი-სფერი, წყლიანი თვალებით, პატარა, ლამაზი, მარწყვისფერი ტუჩებით, სწორი, სანთელივით ჩამოქნილი ცხვირით, წვრილი წარბებითა და გრძელი წამწამებით, ერთმანეთზე მჭიდროდ მიტყუპებული ფეხებით, დამორცხვებული, ნაზი და კდემამოსილი, მართლაც რომ საოცრად ბუნებრივი, არაჩვეულებრივად ლამაზი, ჰაეროვანი და მომხიბვლელი მოჩანდა ამ ხნიერი, უშნო ქალის, ამ სიცხის, დაჭირებული მზისა და მტვრიანი, მოყვითალო ფერის გზის ფონზე.

და ის დაკონკილი, ძველი და გამოხუნებული კაბაც კი შვენოდა, ნათხოვარივით რომ ადგა ტანზე, მეტ ლაზათსა და ეშხს მატებდა თითქოსდა, უფრო მიწიერს, უფრო ბუნებრივს, უფრო ახლობელსა და გასაგებს ხდიდა.

გოგოს თვალთვალში გიორგის ლამის სრულიად დაავიწყდა ის საოცრად უშნო დაგვაჯული ხნიერი ქალი, რომელმაც ურმის გაჩერება სთხოვა და რომელიც ახლა ოდნავ შემცბარი, ოდნავ დაბნეული იდგა, სინათლეში მოხვედრილი ბუსავით აპარპალებდა თვალებს, ტუჩებს აცმაცუნებდა და ვერასდიდებით ვერ გაეგო, ვერ მიმხვდარიყო, ეს მეურმე რატომ არ იღებდა ხმას და რატომ არაფერს არ ეკითხებოდა. ერთხანს იდგა და უცდიდა, მერე კი, რაკიღა დარწმუნდა, ეს ახალგაზრდა მეურმე ხმის ამოღებას არც აპირებდა (ერთი გაფიქრება ისიც კი გაიფიქრა ქალმა, ეს საცოდავი ბიჭი მუნჯი ხომ არ არისო), ისევ მან დაარღვია დუმილი, მიაჩერდა თვალებში და რაღაც ჰკითხა, მერე კი რომ ჩართო, წაწყო და გაბა, აღარ იქნა მისი გაჩერება. გიორგი, ცოტა არ იყოს, გააოცა და გააღიზიანა ქალის ამდენმა, ასე უაზრო და უთავბოლო ლაქლაქმა და შეკითხვებმა. დიდად ლაპარაკის მოყვარული და ენაგალესილი არც არასოდეს ყოფილა, ახლა კი სულ შეიკრა კრიჭა და ამ საფანტივით მიყრილ აბდაუბდა შეკითხვებზე სანახევროდ, ცალყბად და უნდილად სცემდა პასუხს. მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალი არ მოუცილებია გოგოსათვის, მისი ასეთი დაჟინებული მზერით დამორცხვებული, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი, თავდახრილი რომ იდგა ერთ ადგილზე და მზერა რომ ვეღარ მოეცილებინა საკუთარი ფეხებისათვის...

მერე, როდის-როდის, თვალი რომ მოაშორა გოგოს და შეხედა ხნიერ ქალს, გიორგიმ ახლა ისიც შეამჩნია, სხვა სიკეთესთან ერთად ელამიც რომ იყო იგი და თვალები ისე აცა-ბაცად გაურბოდა, ეშმაკიც ვერ მიუხვდებოდა, საით, რომელი მიმართულებით იმზირებოდა საერთოდ. ბოლოს, ის ხნიერი ქალი შეეშვა და ამჯერად საკუთარ თავზე წამოიწყო ლაპარაკი, ამ აბდაუბდა, დაულაგებელ-დაუწყობელი მონაყოლიდან გიორგიმ მხოლოდ ის გაიგო, რომ ისინი დედა-შვილი ყოფილან, მას მარია რქმევია, მის გოგოს კი იულია. ბოლოს რომელიღაც სოფელი დაასახელა მარიამ, იქედან ვარო, თქვა. ამ სოფლის სახელი პირველად ახლა გაიგონა გიორგიმ, მერე ბევრიც ეცადა, ბევრიც იწვალა, მაგრამ ვერაფრით გაიგო და დაადგინა, თუ სახელდობრ სად, რომელ გრძელსა და რომელ განედზე, რომელი მიმართულებით მდებარეობდა იგი, შორს იყო

აქედან თუ ახლოს, ყურისძირში თუ დასაკარგავში. გვარიანი შორიდან ყოფილაო, მაინც დაასკვნა რატომღაც გუნებაში. ის კი მაინც ვერ გაიგო, თუ რატომ იყვნენ გადმოხვეწილები აქეთ, რა უნდოდათ, საით მიდიოდნენ.

არადა, დრო იყო გზას გადგომოდა. დაღლილი იყო და მზისაგან, სიცხისაგან გამოლაყებულს ერთი სული ჰქონდა, თუ როდის მივიდოდა სახლში და დაისვენებდა. აბა მთელ დღეს ხომ არ იდგებოდა აქ, ამ გაგანია სიცხეში და ამ ქალის (რომელიც სხვათა შორის, სულ მთლად დალაგებული რომ არ იყო, ამას კი მიხვდა) ბოდიალს ხომ არ მოისმენდა დაუსრულებლივ? ბოლოს, ის-ის იყო, ჩემთან რა გინდათო, უნდა ეკითხა მისთვის, რომ ამ კაჭკაჭივით მოლაყბე ქალმა დაასწრო და ამ საკითხშიც გაათვითცნობიერა.

— შენ, ალბათ, ქე გაგიკვირდება, ნენა, აქანე რა უნდებიენო, გაიფიქრებ, ალბათ, მარა... — წამოიწყო მან, — ჩვენი საქმე წამხდარია და სულ მომსპარ-მოდაგული. ნამეტარი დიდი უბედურება გვეწია ჩვენ, ნამეტარი დიდი, ცეცხლმა გადაგვიბუგა სახლ-კარი, მთელი ჩვენი საბადებელი ნაცრად და ნახშირად იქცა და ქე ვართ ახლა დარჩენილები ასე ღვთის ანაბარად და ძაღლის შესაჭმელად, ვიქეციით აგერ მათხოვრებად, ნენა, დავდივართ სოფელ-სოფელ, ვეძებთ რაიმე საქმეს და თავშესაფარს. ძებნით ქე ვეძებთ აგერ ამდენი ხანია, მარა რათ გინდა მერე? არაკაცს არ სჭირდება მუშახელი... ჰოდა, ნენა, ღმერთი გიშველის და შეგეწევა იმდენს, იქნება შენ იცოდე ვინმე, იცნობდე იქნება ახლო-მახლო ვინმეს, მოსამსახურე რომ ჭირდება. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, არაფერზე არ დევიხევთ უკან, ოღონდ კი ღამის გასათვი მოგვცეს და ლუკმა მოგვცეს...

ახლა კი შეხედა თანაგრძნობითა და გულშემჭირნედ გიორგიმ ამ ქალს. განსაკუთრებით მაინც ის გარიყულივით მდგარი, დასჯილი ბავშვივით თავდახრილი იულია შეებრალა. ეეჰ, რამდენი გაჭირვებული და უბედური ყოფილა ამ ქვეყანაზეო, — გაიფიქრა გულისტკივილით, ერთხანს ჩაფიქრდა, მერე ხელისგული ჩამოისვა გაოფლილ და სიცხისაგან გავარვარებულ სახეზე და ახლა იმაზე დაიწყო ბჭობა გუნებაში, თუ რისი გაკეთება, რა შველა და ხელის გამართვა შეეძლო ამ უბედური, გასაცოდავებული და ბედისანაბარად მიგდებული ქალებისათვის. — საჭმელისა და ღამის გასათევის მეტი აფერი არ გვინდა ჩვენ, ნენა! — შეახსენა მაროიამ, რაკი მიხვდა, ჩვენს მდგომარეობაში ჩადგა, ჩვენი დარდი და გასაჭირი ახლოს მიიტანა გულთან და რითი დაგვეხმაროს, ახლა იმაზე ფიქრობსო, — ისე მივემსახურებით, ისე გავუკეთებთ საქმეებს, არ დარჩება ნამდვილად ჩვენი უკმაყოფილო.

რასაც მაროია ამბობდა, ასე რომ იქნებოდა, ამაში კი იყო დარწმუნებული რატომღაც გიორგი, მაგრამ ვის სჭირდებოდა ამათი სამსახური, ამაზე უნდა ეფიქრა ახლა. სანამ რაიმესს მოიფიქრებდა, კარგახანს იფხანა თავი და ისრისა თვალები. ეს უიმედო, უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილი დედა-შვილი ისე შეეცოდა, ისე ახლოს მიიტანა გულთან მათი გასა-

ჭირი, თავად რომ ჰქონოდა იმის საშუალება, რაიმეთი დახმარებოდა მათ, ერთი წამითაც კი არ შეყოყმანდებოდა, არც კი დაფიქრდებოდა რაიმეზე, ისე გაუწვდიდა დახმარების ხელს. მაგრამ ახლა რა უნდა ექნა, როცა საკუთარი, მისეული, მისი კუთვნილი არაფერი გააჩნდა საკუთარი სხეულის გარდა და თავადაც სხვის ჭერქვეშ იყო შეკედლებული? იფიქრა და ამ ფიქრში რომ იყო, ერთი ბედნიერი აზრი მოუვიდა თავში.

— სარდიონს რომ მივუყვანო, რა იქნება ვითომ? — გაიფიქრა. მაგრამ მეორე წუთს, იმდენად შეუსაბამო და უაზრო ეჩვენა თავისივე განაფიქრი, მაშინვე უარყო იგი.

— კი, მაგრამ, მიიღებს ამათ სარდიონი? რაში სჭირდება ესენი? მოსამსახურის, საქმის გამკეთებელის მეტი რა ჰყავს მას? — განაგრძობდა იგი ფიქრს, — კი მაგრამ... მაინც... რომ მივუყვანო ესენი, რას იტყვის ნეტავი? ხომ არ გაჯავრდება, ესენი ვინ ოხრები მოგითრევიაო, ხომ არ მიყვირებს ნეტავი? ისე, რა კარგი იქნება, რომ მიიღებდეს, ამაზე სამადლო და სასიკეთო საქმეს, აბა რას გააკეთებს მეტს კაცი?

— ხომ არ გეგულება, ნენა, მაგფერი საქმე? — ფიქრიდან გამოიყვანა მაროიას შეკითხვამ.

აგერ მესამეჯერ ეკითხებოდა მაროია ერთი და იგივეს. თავი ასწია და შეხედა. მაროია უცქქროდა (რომ უცქქროდა ამას გუმანით მიხვდა გიორგი, თორემ კაცს რომ შეეხედა, მართლა სადღაც მიღმა, გაურკვეველი მიმართულებით იყურებოდა) — როცა ამ ქალს უცქქროდა, გიორგის რატომღაც გაორებული გრძნობა ეუფლებოდა — ეცოდებოდა ეს ქალი და თანაც ძალიან აღიზიანებდა კიდევაც თავისი დაჟინებული მზერითა და ამდენი აბდა-უბდით, აზრჩაუტანებელი შეკითხვებით. იგი სადღაც, გულის კუნჭულში გრძნობდა, თუ არა ის გოგო, იულია, მაროიას გულისათვის, მიუხედავად ამ სიცოდვისა და თანაგრძნობისა, მაინცდამაინც დიდად არ გაიცხელებდა თავს. ეტყოდა, ისეთს არავის ვიცნობ, თქვენი შეფარება რომ შეეძლებაო, და მორჩა, არხეინად გაუყვებოდა თავის გზას. მაგრამ ახლა, როცა მაროიას იულია ახლდა თან, როცა ასე უჭირდათ და როცა ასეთი კარგი გოგო იყო ეს იულია , ვერ გამოიჩენდა გიორგი გულგრილობას, ვეღარ მიატოვებდა ასე მათ და, თითქოსდა არაფერიაო, ვერ გაუდგებოდა თავის გზას გულცივი და სხვისი ჭირის არაფრად ჩამგდები კაცივით. არა, ვერასდიდებით ვერ მოიქცეოდა ასე გიორგი. შეხედა გიორგიმ მაროიას, მერე აარიდა თვალი და ისე, რომ მის შეკითხვებზე პასუხი არ გაუცია, განაგრძო საკუთარ თავთან ბჭობა და ფიქრი:

— თუ სარდიონნი ამათ მიიღებს და შეიფარებს, ამას რაღა აჯობებს? გვერდით მეყოლებიან აგერ. კარგი გოგო ჩანს და... — წინასწარ იგუმანა, წინასწარ ჩაიფიქრა, წინასწარ ინატრა და გაუხარდა გიორგის და, ინატრა, გულში, მიეღო ისინი სარდიონს.

— რაც იქნება,იქნება! — დაასკვნა საბოლოოდ ფიქრისა და ბჭობის შემდეგ, მიუბრუნდა მაროიას და მოკლედ, მტკიცედ, გადამწყვეტად უთხრა. — ამოდით, აბა, ურემზე!

— რავა, გეგულება ვინმე, ნენა? — ვეღარ დაფარა სიხარული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღფრთოვანება მაროიამ.

— რაკი გითხარი, ამოდი-მეთქი, მეგულება, ალბათ!

— შენ კი გეიხარე, ნენა, შენს ცოლ-შვილში! — ხელები მოღაღადესავით აღაპყრო მაროიამ და ისე დალოცა, მერე დაფაცურდა, ჯერ ფუთა შეაგდო ურემზე, მერე მიუბრუნდა იულიას და დაუცაცხანა: — რა შენმა ცოდვამ გამოგაბლუცუნა, გოგ? რავა დგახარ მაქანე ხატზე გადაცემულივით? ვერ გეიგონე, რა თქვა ამ ასაშენებელმა? მოგვხედა მგონია ღმერთმა და მორჩა ჩვენი აღმა-დაღმა წანწალი. ამოი ჩქარა ურემზე და წევიდეთ, თვარა გამიწყალა ტვინი თავში ამ სიცხემ. — თქვა ეს მაროიამ, შვილს არ დაუცადა, დიდი გაჭირვებით აბობღდა ურემზე, ჩამოჯდა ტომრებზე და მერე კარგახანს ქშინავდა უზომოდ დაღლილივით, ტომრებზე მჯდარი და უშნოდ ფეხებგაჩაჩხული. იულია, თითქოსდა ყოყმანებს, ავიდეს თუ არაო, რამდენიმე წამს კიდევ იდგა ერთ ადგილზე, მერე, როგორც იქნა, გადაწყიტა, ავიდა ურემზე, მიუჯდა გვერდით მაროიას და თვლემამორეულივით გაირინდა.

გიორგიმ ერთხელ კიდევ გადახედა ურემზე მოკალათებულ დედა-შვილს, მერე შოლტი გადაჰკრა ხარებს და ისევ გაუყვა ურემი მტვრიან, ცარიელ შარას ჩვეული ჭრიალითა და ზოზინ-ზოზინით.

როგორც კი ურემზე მოიკალათა და საქმე უკვე აჟურში მოყვანილად ჩათვალა, გამხიარულებულმა, ენაჭარტალა, კაჭკაჭის ნაშიერმა მაროიამ რომ ჩართო, არ იქნა და აღარ გააჩერა ენა, აჭარტალდა, მაგრამ რა აჭარტალდა, მოხსნა გუდას თავი და პირდაპირ გამოყარა სათქმელ-საოაპარაკო.

მომთენთავი სიცხისა და მისი ლაქლაქით გაღიზიანებულმა გიორგიმ ერთი წუთით გაიფიქრა კიდეც, რა ჩემმა ჯანდაბამ წამომაყვანია ეს ქალი და თავი ასეთ გასაჭირში რატომ ჩავიგდეო. ცდილობდა, აღარ მიექცია ყურადღება მისი ლაქლაქისათვის, სანახევროდ მიეგდო ყური. მისი ლაპარაკი სულ უაზრო რახარუხად ეჩვენებოდა და დროდადრო უსიამოდ ჭმუხნიდა შუბლს. ხანდახან კი მაროიას მალულად მიაბრუნებდა თავს და შეფარვით მიაჩერდებოდა იულიას, რომელიც ჩვეულებრივ გასუსული იჯდა, კრიჭა-შეკრულს დაეხარა თავი და დასჩერებოდა ერთმანეთზე მჭიდროდ მიტყუპებულ მუხლებზე დალაგებულ ხელებს.

მაროას ლაქლაქმა ისე აუშალ-აუწეწა ნერვები, სხვა, მის ადგილზე მყოფი, ალბათ, დიდხანს არ დაახანებდა. და მაროიას თავის ფუთიანად ბურთივით გადმოისროდა ურმიდან. ანდა, გაჩუმდი, ამდენს რა გალაპარაკებსო, ამას მაინც ეტყოდა. მას, გიორგის, კი გაბრაზებაზე უფრო ის უკვირდა, ამ ქალს რა ალაპარაკებსო ამდენს. კვირობდა ამაზე გუნებაში და ვერაფრით ვერ გაეგო და გაერკვია ეს. ცხადია, რაც უნდა ყურადღებითა და გულისყურით მოგესმინა, მაროიას ლაპარაკიდან ძალიან ჭირდა ხოლმე რაიმე კონკრეტული აზრისა და შინაარსის გამოტანა-დადგენა. თუმცაღა, გიორგი არც კი ცდილობდა მისი ლაპარაკიდან რაიმე გაეგო და აზრი გამოეტანა, უსმენდა მხოლოდ როგორც მისჯილი, იძულებით უსმენდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაროია და მისი ლაპარაკი იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც მაროია იულიას აუცილებელ და მოუცილებელ დანამატს წარმოადგენდა.

გოგოების მეტი რა ენახა თავის სოფელში გიორგის. გოგოებს რა გამოწყვეტდა აბა, ლამაზებიც მოიპოვებიან და უშნოებიც, ეშხიანებიცა და ულამაზოებიც, მაგრამ გიორგის არცერთი მათგანისათვის ზედაც არ შეუხედავს და, ამას დაუახლოვდებიო, არასოდეს გაუვლია გულში. შეიძლება ამის მიზეზი ისიც კი იყო, რომ საქმით ისე იყო დაკავებული და დაყურსული, თავისუფალი დრო თითქმის არ გააჩნდა და ასეთ რამეებზე საფიქრალად და საოცნებოდ არც კი ეცალა. ასე იყო თუ ისე, ეს პირველი შეთხვევა იყო, ასე რომ მიიქცია მისი ყურადღება გოგომ, ასე რომ დაინტერესა და ასე ერთბაშად და მოულოდნელად რომ გამოაღვიძა მისი აქამდე მიძინებულ-მიყუჩებული გრძნობა.

არა, მაინც რა უცნაურია გული და თვალი კაცისა. შეიძლება, სოფელში გაცილებით უფრო უკეთესი გოგოები ყოფილიყვნენ და ამ ჩაკონკილ-ჩამოძონძილმა, ამ გაზანგულ-გაწვირულმა, ვინ იცის, რამდენი ხნის დაუბანელმა, მაგრამ მაინც ლამაზმა, მიმზიდველმა და საოცრად მიწიერმა და ბუნებრივმა გოგომ ასე მიიქცია, ასე მძაფრად მიიზიდა მისი ყურადღება.

მთელი ამ ხნის განმავლობაში გოგოს ერთხელაც არ დაუძრავს კრინტი და ისე, როგორც წელან, მაროია დაეჭვდა გიორგიზე, ახლა თავად ის, გიორგი, შეეჭვდა — ეს გოგო შემთხვევით მუნჯი ხომ არ არისო.

მაგრამ არა, იულია მუნჯი როდი იყო. მართალია, დედამისივით მოლაპარაკე არ გახლდათ, მასავით უაზროდ და დაუნანებლად როდი ფანტავდა სიტყვებს, მაგრამ, როცა საჭიროება მოითხოვდა, ლაპარაკის უნარი საკმაოზე მომეტებულადაც გააჩნდა, რაშიაც ცოტა მოგვიანებით გიორგიც კარგად დარწმუნდა. და თუკი ახლა იულია დუმდა, ამჯერად მისი დუმილი მხოლოდ და მხოლოდ ორი რამით იყო განპირობებული — ჯერ ერთი, რომ ამ უცნობი ახალგაზრდა მეურმის ერცხვინებოდა, ასეთ მდგომარეობაში რომ იყო. მეორეც კიდევ, მაროიასავით არ იყო ბუნებით უდარდელი, ქარაფშუტა და ყველაფრის არაფრად ჩამგდები, გულთან ახლოს მიუტანელი. დაფიქრების, განსჯის უნარი საკმაოდ გააჩნდა, თუ რა უიმედო მდგომარეობაში იყვნენ ჩავარდნილები, იმასაც კარგად ხვდებოდა და იმის ფიქრი არ აძლევდა გასაქანს, თუ სად მიდიოდა ახლა ამ ურემზე მჯდომი, რა გარემოებაში მოხვდებოდა და, როგორ წარიმართებოდა შემდგომი მისი ბედი.

სადაც სამართალია, ასეთ რამეებზე, უპირველეს ყოვლისა, მაროიას უნდა ეფიქრა და ეზრუნა, მას უნდა ეტეხა თავი და ევალალა. და მაროია რომ თავიდანვე მოკლებული იყო სწორად განსჯისა და რამეზე ჩაფიქრების უნარს, ჭრიჭინობელასავით უზრუნველი რომ იყო, სადაც დაიღამდებოდა და დაათენდებოდა თავზე, რომ არ სწუხდა, ასე ქერქეტა რომ იყო, იქნება ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, ასე ბოშასავით აღოღებული, სხვის ურემზე რომ იჯდა ახლა და ერთმა ღმერთმა რომ უწყოდა, სად მიდიოდა, სად გადაისვრიდა შემდგომი ბედი.

როდის-როდის, მაროია მოეშვა უთავბოლო ლაყბობას და გაჩერდა. ან სათქმელ-მოსაყოლი შემოელია, ანდა კიდეც ამდენმა ლაქლაქმა, თავზეც უმოწყალოდ დაცხუნებულმა მზემ, კიდევ უფრო გამოულაყა ისედაც ნაკლული ტვინი, ნაცარწყაერილი ნაკვერჩხალივით მილულ-მიბჟუტა თვალი და მალე თავის კანტურიც აუტყდა.

გაჩუმებული და თვალებმილეული მაროია რომ დაინახა, როგორც იყო, მშვიდად ამოისუნთქა გიორგიმ, დამადგა საშველიო, გაიფიქრა და ხარებს შოლტი გადაუქნი, ააჩქარა. რაკიღა მაროია გაჩუმდა, სიჩუმე ჩამოვარდა ირგვლივ, რომელსაც მხოლოდ ურმის ჭრიალი არღვევდა. იულია ისევ გატრუნული იჯდა ტომრებზე და ვინ იცის, რაზე ფიქრობდა ახლა. გიორგი ისევ მიაჩერდა მას. ერთხანს უცქირა, მერე რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვეღარ გაბედა და ისევ ასე ჩუმად და უსიტყვოდ ცქერა ამჯობინა.

მაროიას დუმილმა დიდხანს როდი გასტანა. მალე ჩაეძინა და ახლა მისმა ხვრინვა-ხროტინმა ურმის ჭრიალის ხმაც კი გადაფარა. გიორგიმ უკმაყოფილოდ შეჭმუხნა შუბლი. ამას, ნამდვილად გაღვიძებული რომ იყოს და ჩვეულებრივად ლაქლაქებდეს, ისა სჯობსო, გაიფიქრა.

მაროიას ხვრინვა-ხროტინზე იულია გამოცოცხლდა, ჯერ გიორგისაკენ გააპარა მფრთხალი, მორიდებული-დამორცხვებული მზერა, მერე კი უჩუმრად წაჰკრა ქიმუნჯი გვერდში პირდაღებულს და უსაშველოდ ახროტინებულ მაროიას.

ამ მოულოდნელი ბიძგით ძილგამფრთხალმა მაროიამ ჯერ გამოქვაბულის შესასვლელივით დაღებული პირი დახურა, მერე თვალი ღრუბლიდან თავდახსნილ მზესავით გამოაჭყიტა და ხამხამით გაიხედა აქეთ-იქით, მერე, რამდენიმე წამს, გაოგნებულივით იჯდა, მტვერდაფენილ, ბატის კანივით ოკრო-ბოკრო, ხორკლიან სახეზე გაოცება და გაურკვევლობა აღბეჭდოდა. ვერაფრით გაეგო, თუ რა იყო ასეთი უეცარი და მოულოდნელი ბიძგის მიზეზი. ბოლოს თავი იულიასაკენ მიაბრუნა და იკითხა — რა ამბავია, გოვ?

— რა უნდა იყოს? — წყნარად მიუგო გოგომ, — რაზე მეკითხები?

— რაზე გეკითხები და... ჩამინგრია გვერდი რაცხამ და არ გკითხო, აბა?

— მე ვიყავი!

— შენ იყავი, გოვ? შენ კი დაგაყარე მიწა! რაიზა მერე, გოვ?

— ხვრინავდი, ბატონო, ხვრინავდი! შეაწუხე ხალხი...

— როდის ვხვრინავდი, გოვ? — არ დაიჯერა მაროიამ.

— რავა, გატყუებ, აბა? გეძინა და ხვრინავდი...

— დავუშვათ და მეძინა, მერე რას მერჩოდი, გოვ? დაღლილი ვარ და მადლი იყო, დავისვენებდი.

— ხვრინავდი-მეთქი, არ გითხარი, ადამიანო? სირცხვილია!

— დაგაყარე მიწა! როის ვხვრინავდი მერე? უხეირო ხარ და უკულმართი!

— კაი, კაი ახლა, გაჩერდი ერთი! — იულია სახეზე წამოწოთლდა და მალულად გააპარა მზერა გიორგისაკენ.

— შენ გაჩერდი შავ მიწაში!

გიორგის, ცხადია, სიტყვა-სიტყვით ესმოდა დედა-შვილს შორის გამართული ეს ცხარე დიალოგი, მაგრამ თავს ისე აჩვენებდა, თითქოსდა არაფერს აქცევდა ყურადღებას და მხოლოდდამხოლოდ თავის ფიქრებში იყო გართული.

ამჯერად ამით დამთავრდა ყველაფერი, მაგრამ დუმილი და მყუდროება დიდხანს არ გაგრძელებულა; მაროიას ისევ ჩაეძინა, ისევ ახროტინდა კისერში თოკწაჭერილივით და იულიამ ისევ გაიმეორა თავისი ილეთი, ისევ აჯუჯღურდა გამოფხიზლებული მაროია: — რას მჯიქავ და მჯვგლემ შე სასიკვდილე და არგასახარელო? როის მძინავს და როის ვხრინავ მე?

მიყვა, მოყვა და ისევ განმეორდა ყველაფერი...

გზა თითქოსდა დაუსრულებლად გაგრძელდა. დასიცხული ხარები უგერგილოდ იცოხნებოდნენ და ზანტად ადგამდნენ ნაბიჯებს, გზის ორივე მხარეს ერთმანეთს ენაცვლებოდნენ რცხილისა და თხმელის ხეები, შქერისა და იელის ბუჩქები, შორს, ფერდობზე, მდინარისა და გზის გაღმა-გამოღმა სიმწვანეში ჩაფლული, კრამიტითა და ყავრით დახურული ოდა-სახლები ჩამორიგებულიყვნენ. თითქოსდა გლოვობსო, არე-მიდამო დადუმებულიყო, აღარც ჩიტის გალობა ისმოდა, აღარც ძაღლის ყეფა და აღარც მამლის ყივილი, მხოლოდ მაღლა, მაღლა ქოჩორა ტყით დაფარული გორაკების თავზე ძერა აკეთებდა ირაოს და საცოდავად წიოდა.

ძერას წიოკზე მაროიამ შეშინებული და გაკვირვებული ქათამივით რაღაცნაირად ალმაცერად ააღირა თავი, ირიბად ახედა ფერდობს, მიაჩერდა მობოინე ძერას და თქვა:

— ჯაჯაა მაგი, ჯაჯა! დაწყევლილია მაგი საცოდავი, დაწყევლილი!

— დაწყევლილი? — გაუკვირდა გიორგის, — როგორ?

— კი, დაწყევლილია, დაწყევლილი! — დარწმუნებით თქვა მაროიამ, — რავა, შენ არ იცი, მაგი?

— არა! ვინ დაწყევლა?

— მაგი რა ვიცი, ნენა, მე? მარა მასე კია და...სიცხე რომაა ძალიანი და იწობა ხეი და მიწა, წყალი მოწყურდება მაგ უბედურს ნამეტარი. მარა რა გინდა მერე, ვერ სვამს ვერასდიდებით წყალს.

— ვერ ნახულობს, ალბათ.

— ნახვით რაფერ ვერ ნახულობს, მარა ვერ სვამს.

გაუკვირდა გიორგის: — თუკი ნახულობს, რაფერ ვერ სვამს? მიაჩერდა მაროიას.

— დაწყევლილია-მეთქი, ხომ გითხარი? იხრჩობა წყურვილით და იმიზა წივის და წიოკობს ასე, მარა ვინაა გამგონი და მშველელი? არა, ნამეტარი გლახა და ბინძური წყევლაა მაგი, ნამეტარი! რავა, წყალი მოგწყურდეს და ველარ დალიო? — წამით პაუზა გააკეთა, ჩაფიქრდა და მერე უფრო ხმამაღლა და გაბოროტებით აჯუჯღურდა: — ჩემი კაცი უნდა დატა-

ნჯო ასე, ჩემი კაცი! მოაწყურო უნდა და არ უნდა აღირსო წყალი, ისე უნდა აწამო და წყურვილით ამოაშპო სული!

— ქმარი გყავს? — დაინტერესდა გიორგი.

— მყავს, აბა არ მყავს? — გაიოცა მაროიამ, თითქოს და ამაში ეჭვი როგორ შეეპარაო, — ქმარი მყავს, კაცი მყავს, აბა აგი გოგო ციდან კი არ ჩამოფრენილა.

გიორგიმ ხარის ბუშტის ქისა ამოიღო ჯიბიდან, თამბაქო გაახვია, მოუკიდა, გააბოლა და დინჯად იკითხა:

— მერე რას ერჩი, რა დაგაშავა?

— რა დამიშავა და ყოლიფერი!

— ახლა სად არის შენი ქმარი?

— ეშმაკში და ჯანდაბაშია მისი თავი და ტანი! — კიდევ უფრო ხმამაღლა აჯუჯღურდა გაბრაზებული მაროია და ინანა გუნებაში გიორგიმ, ნეტავი რატომ ვკითხეო რამე.

— ვიცი მე სადაა და არ გეუბნები? ფოთში უნდა ეგდოს მგონია!

—ფოთში? რა უნდა ფოთში?

— მისი სიკვდილი და გადაშენება-გადასკვარამება უნდა! რა ვიცი მე, რა უნდა?

— მუშაობს ალბათ, — ჩაილაპარაკა დაბნეულმა გიორგიმ, რომელ-მაც ვერც თავი გაიგო და ვერც ბოლო ამ აბურდულ-დაბურდული საქმისა...

— რა ვიცი მე, მუშაობს თუ ისვენებს? ჩვენდა კაი ხანია დაკარგული კია და...

— რაო, მიგატიათ? — როგორც იქნა ჩაწვდა ოდნავ გიორგი საქმის ვითარებას.

— მიგვატია, აბა, კაი ქნა, რამე?.. ქე ვიყავით ჩვენთვის ლამაზად, სახლი გვქონდა და კარი, გვიჭირდა თუ გვილხინდა, ერთად მაინც ვიყავით და ქე ვცხოვრობდით სხვებივით. მიწა გვქონდა, ვთესავდით სიმინდს, ლობიოს, მოგვყავდა მოსავალი და ქე გაგვქონდა რაცხაფრა თავი...

— არ უნდა გაგეშვა ფოთში! — შეაწყვეტინა გიორგიმ და ხარებს შეუძახა.

მაროია ნიშნისმოგებითა და მდურვით მიაჩერდა: — რავა ლაპარაკობ შენ? მე გოვუშვი თუ? ეიჩემა ერთ დღეს მიზეზიან ბაღანასავით, ფოთში უნდა წავიდე, ფოთში უნდა წავიდეო, ვერ იქნა და ვერ გადავაფიქრებინეთ ვერასდიდებით. რა გინდა იმ დასაქცევ და დასანაცრებელ ფოთში-მეთქი, რომ ვკითხე, გაბრაზდა და იმფერი სიტყვა ამოუშვა პირიდან, რომ იმფერი რამე-რუმეები მაკადრა, ყურიდან-ყურში არ გოუშობდა კაცი. შენ რა იცი გამობენტერებულმა დედაკაცმაო, ვინაც კი ფოთში წევიდა, სული მეითქვა და მე, აბა, რავა წავხდები, სხვებს რომ ჩამოვრჩე და ორი კაპეიკი ვერ გავაკეთოო... ჩვენც წაგვიყვანეთ-მეთქი, რომ ვუთხარი, ააგდო ქვი და შეუშვირა თავი — თქვენი წაყვანა რაფერ შეიძლება, ჯერ ღამის გასათევი უნდა ვნახო სადმე, მერე ჩამოგაკითხავთ და თქვენც წაგიყვანთო. რაღა მექნა? დავეთანხმე ბოლოს, კაი, აბა, რავარც შენ იტყვი-მეთქი. ადგა, დაკრა

ფეხი, გაშპა ფოთში და ქე მიგვატია ღვთის ანაბარად. ვართ მე და ჩემი გოგონა და ვუცდით, თვალები სულ ჭიშკარზე გვაქ მიბჯენილი — აბა ახლა გამოჩნდება და აბა ახლაო, მარა სადაა? გევიდა ასე კვირეები და თვეები, მერე წელიწადიც ჩაგველია ხელში მის ცდაში. ვის არ ვეკითხებოდით, იქნებ ფოთში იყავით რომელიმე და იქნება მადლიზა იმ ჩემს კაზახს მოკრათ სადმე თვალი-მეთქი. აპა, არ შეგჭამოს ჭირმა, არ იცის არაკაცმა მისი ასავალ-დასავალი, კაციშვილმა არ იცის, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. მაშვინ კი ვიფიქრე, რაცხა ფარცაგი არაა მის თავს-მეთქი და ამიტანა მარა რა ამიტანა შიშმა. დღე და ღამე სულ იმაზე ვფიქრობ და ვტირი. დავზაფრე აგერ ყაზილარი და იგია, მერე, მეტი ვერაფერი რომ ვერ გავაკვლიე, დევისესხე მეზობლებში რაცხა ორი კაპეიკი და გადავწყვიტე წავსულიყავი ფოთში. წასლა ქე გადავწყვიტე, მარა ქე ამიტანა შიშმა, კი მივალ, მარა, სად მივალ, გზაი ვიცი თუ კვალი? ფოთი კი გამეგონა, მარა სად იყო, სად ჯანდაბაში, მაგი ნამდვილად არ ვიცოდი. ფოთში დიდი სახლებიაო, ბევრი ხალხიაო, დროგებითა და ფაიტონებითაა ავსებული იქაურობა, აგიც ქე გამეგონა. გავბედე, გავრისკე და წავედი მაინც. ფეხით გავიარე იმხელა გზა და ჩევედი მატარებლის გაჩერებაზე, ვიღაც მადლიანმა მასწავლა — ბილეთი აიღეო. მატარებელი მოვა, ახვალ და ორი-სამი საათის მერე ფოთში ამოყოფ თავსო... შენ გინახავს მატარებელი, ნენა? — შეეკითხა მოულოდნელად გიორგის.

— არა! — უარის ნიშნად თავი გადააქნია გიორგიმ.

— ნეტაი განახა, ერთი, რაფერია! — ბრიყვული აღტაცება გამოეხატა სახეზე მაროიას, — მეც პირველად ვნახე იმ დღეს მატარებელი. კინაღამ ფირიფიშაი გამისკდა და ადგილზე კინაღამ გავაჩხიკინე ფეხები, რომ დევინახე. გევიხედე და რას ხედავს ამას ჩემი დასაფსები თვალები — მოდის მარა რა მოდის, გაცოფებული კამეჩივით რომ ქშინავს პირდაპირ? ცხვირიდან სულ ფუტსა და ნაკვერჩხლებს ყრის გველეშაპივით და მიაქ ხეი და მიწა, მე პირველად გველეშაპი მეგონა და არიქა, ახლა გადამყლაპავს-მეთქი, რომ ვიფიქრე, მატარებელი მევიდაო, თქვა ვინცხა აშენებულმა და ქე დავწყნარდი პაწა. იმ ასაშენებელმა, ბილეთი რომ ამაღებია, ძალით ამსვა ბორბლებზე შემდგარ ოთახში და ძალით დამსვა სკამზე. ვჯდანვარ, მარა ვაი მასეთ დაჯდომას, აწურული ვარ და სულ იმაზე ვფიქრობ, ახლა რა იქნებამეთქი. ხალხი ჯდანა და ქე ლაპარაკობს არხეინად, მე კი ინდაურს ჯოხს რომ დაკრავ და დეებნევა ტარაბუა, სულ მთლად ისე ვარ გაბურსალებული. რავა ვიღებ ხმას, სულ ცივ-ცივი ოფლი მასხამს და სულ ამას ვნატრობ გუნებაში — ღმერთო, მწყალობელო, ერთი აქედან ცოცხალი ჩასვლა მაღირსე, ჩემს მეზობლებთან დატოვებული ჩემი ბაღანას ნახვა მაღირსე და ჩემი მოღალატე კაძახი თუ გინდა წყალს წაუღია-მეთქი... რავარც იქნა ასე შიშსა და ჯახირ-ჯახირში ჩევედი იმ დასაკურმუხეთებელ ფოთში... ვხედავ, მარა რას ვხედავ — სულ ერთმანეთშია არეული ურმები, დროგები, ფაიტონები, ხალხი ხომ სულ ჭიანჭველების ბუდესავით ისვრება. არის ერთი ყვირილი, ხორხოცი, ჩოჩქოლი, ზრიალი და ერთი ვაი უშველებელი. მივალ ამდენ ხალხში, კაციშვილი არაა ნაცნობი და მეც არ ვიცი სად ჯანდაბაში მივდი-

ვარ. ერთ ადგილზე კინაღამ გამჭყაპა დროგმა. მედროგემ კინაღამ მცემა, მერე იმფერი სიტყვები მაკადრა, ერთხელ ჩემმა ქმარმა რომ მითხრა, შეცდომით ღვინის მაგიერ ძმარი რომ დავუსხი და დალია... რა უნდა მექნა? მევითმინე... მივალ და მივალ, გავაჩერებ ერთს, მეორეს, მესამეს... ვეკითხები, ამა და ამ კაცს თუ იცნობ-მეთქი. ზოგი საერთოდ არ მეკითხება აფერს, ზოგი რაცხას მეუბნება, მარა ვერ ვგებულობ, რას მეუბნება, ზოგი კიდევ რომელ ქუჩაზე ცხოვრობსო, მეკითხება, რომელ ნომერშიაო. რა ვიცი მე ქუჩა და ნომერი მეთქი, ვეუბნები. აბა, აქ სოფელი ხომ არაა, მაგის გარეშე კაცი რავა მოიძებნებაო, უკვირან. რავა, ჩემს სოფელში მე ყველას ვიცნობ-მეთქი, ვეუბნები. აქ კიდე, ქალაქიაო, მეუბნებიან და გაკვირვებულად მათვალიერებენ, ვითომდაც რაცხა აბდრული რამე ვკითხე... ჰოდა, ამ ძებნა-ძებნაში რომ ვარ, უცებ არ გადავაწყდი იმ ჩემს გათახსირებულ ქმარს? გევიხედე შემთხვევით და არ მუა შუა გზაზე? ისთე გამოკოხტავებულა, ისთე გამოცლილა, ქე გამიჭირდა პირველად მისი ცნობა. გვერდზე ვინცხა ქალი მოყვება — მაღალი, აწოწვილი, გაჩხორიკებული, ცარიელი ძვალი და ტყავი, დრუნჩი წითლად შეუღებია, ლოყები რაცხაით მოუტურტლავს და ბატის ქონმა რომ იცის, რომ წეისვამ და დეიწყებს ბზინვას, ისთე ბზინავს სწორედ. მომკრა თვალი და ეს ჩემი კაცი რომ დეერჭო ერთ ადგილზე, ველარ მეიცვალა ფეხი. დგანა, დოუყლიპავს თვალები გომბიოსავით, მიყურებს გაშტერებული და პირდაფჩენილი, ხომ არ მომეჩვენაო, ფიქრობს, ალბათ, გულში...

— შე მოღალატე დიმიტრია-მეთქი, რომ დოვუყვირე და ვებდღვენი ერთი ჩემებურად, მეიკუშა მატლივით, მეიკუშა და ძლივს დაძრა ენა პირში — მენ აქ რა გინდაო, მკითხა ბლუკუნ-ბლუკუნით. შენი გაცოფება, შენი ფეხის გაჭიმვა და შენი არ გადარჩენა-მეთქი, ვუთხარი მე — რომ დაკარი ფეხი, რომ მოშპი და გამეიქეცი, ქალი და ბაღანა რომ მიატიე, აბა, რაფერ ფიქრობ შენ, ვითომ არ მოგძებნიდი-მეთქი?! ვერაფერი მითხრა, აბლუკუნდა გლახასავით, მოყვა რაცხა უთავბოლო და უაზრო ბოდიალს: მუშაობა დევიწყე, ფულს ვაგროვებდი და სახლში მომქონდაო... მატყუებს, ვატყობ ეს გასაციებელი, არც ერთი სიტყვა არაა მართალი და სწორი მის ნათქვამში, აგი ქალი ვინაა-მეთქი, რომ ვკითხე და იმ გაჩხორიკებულ ქალზე ვანიშნე, სულ დეიბნა და დაიპნა ბრინჯივით. ჯერ, მეზობელიაო, მითხრა, მერე ამხანაგიო, მერე კი ნამეტარი რომ შევუჩნდი და შევუჩნდი, ქე მითხრა სიმართლე და, ცოლიაო, გამომიტყდა. ცოლიაო, რომ მითხრა და ქე გადამეფარა თვალებზე ბინდი, ისთე გადამეფარა, დაღამდა-მეთქი, ვიფიქრე. მერე, მოგეცა სიკეთე, ვიკივლე მარა რა ვიკივლე, სულ ცაი ჩამევიღე კივილით დაბლა, ვებდღვენი მერე თმაში იმ ქალს, დავითრიე, გავყღვართე მიწაზე, წამოვაჯექი ზეიდან დასაკლავი ღორივით და ვუჟაქე და ვუჟაქე ცხვირ-პირში. მოგროვდა მაშინათვე ხალხი, ატყდა ერთი ვაი-უშველებელი, ვერ გეიგებ; ვინ რას ჩივა, არის ერთი დუგუდუგი, ზოგი გვაშველებს, ზოგი გვამხნევებს და გვაქებს — მიდით, მიდითო, ზოგი გვამტყუნებს და არის ერთი ამბავი. ძლივს გამომგლიჯეს ხელიდან, თვარა ქე შემომაკვდებო-

და ის ჭიამკვდარა ქალი და ქე ვნახავდი შაირს. ამასობაში ჩემმა ქმარმა, რავარც კი ნახა მომენტი, დაავლო ხელი თავის გაჩხორიკებულ ქალბატონს და არ მიეფარა თვალს! აქეთ ვეცი, იქეთ ვეცი, მარა რას ნახავ ამდენ ხალხში? ამ უცხო ქალაქში? მისი ნახვის იმედი რომ გადამიწყდა, ქე გამოვბრუნდი ისევლე სახლში ტირილ-ტირილით... ო, ღმერთო, ჩემი გამწარებიზა დიმიტრიე მანახე ერთი მოწყურებული და ეგერ რომ ყრანტალებს, იმ ჯაჯიასავით გამწარებული... ქმრის გაქცევა არ მაკმარა ღმერთმა და გასულ თვეში სახლიც ქე დამეწვა. დავრჩით ასე ცარიელ-ტარიელი მე და ჩემი გოგო...

— სახლი რამ დაწვა? — შეაწყვეტინა გიორგიმ.

— მისით დეიწვა, თუ ვინმემ შეუბიდილა ცეცხლი, არ ვიცი. რავარც იყო, ქე დეიწვა და... კიდომ კაი, დღეი რომ იყო, თვარა ღამე რომ გაჩენილიყო, ხომ გამევიბრაწებოდით ვირთხებივით შით?

— კი, აბა! — დაეთანხმა გიორგი და მერე დასძინა, — ნუ გეშინიათ, ცოცხალ კაცს ყველაფერი ეშველება.

— რა ვიცი, არ ვარ დარდით და ფიქრით და...

...მაროიას ქაქან-ქაქანში სარდიონის კარ-მიდამოსაც მიადგნენ.

გიორგიმ ხარები შეაჩერა, ურმიდან ჩამოხტა, ვეება ხის ჭიშკარი შეაღო და წინ წაუძღვა ხარებს.

თვალუწვდენელ ეზოში კოინდარი ბიბინებდა. ვეება, ორსართულიანი, ხისრიკულებიან, განიერ აივნიანი ოდის წინ ვეებერთელა ცაცხვის ხეები ჩამორიგებულიყვნენ. ცაცხვებს მარაოსავით გაეშალათ ტოტები და იქაურობას ქოლგასავით აჩრდილებდნენ...ოდის უკან დიდი, კრამიტით დახურული სამზადი და სხვადასხვა სათავსები მოსჩანდა — ერთმანეთის მიყოლებით ჩამორიგებულიყვნენ ბეღლები, სასიმინდეები, თავლები და ვინ იცის რა არა კიდევ.

ყოველივე ამის დამნახავმა მაროიამ კიდევ უფრო მიბრიც-მობრიცა ისედაც ელამი თვალები, გაოცებულმა და პირდაღებულმა მოავლო მზერა ყველაფერს და მოწონებით, მოწიწებითა და შიშით ჰკითხა გიორგის: — რავა, შენ ცხოვრობ აქანე?

გიორგიმ უხმოდ, გაურკვევლად დააქნია თავი და ხარებს შეუძახა.

— ხედავ შენ, გოვ, რავა კრიალებს აქაურობა? — მიუბრუნდა მაროია იულიას, — ხედავ შენ, სად მევედით, გოვ?

— ვხედავ! — მოკლედ და მკვეთრად მოუჭრა იქაურობის თვალთვალში გართულმა იულიამ, რომელსაც დედამისისა არ იყოს რაღაცნაირი შიში და მოკრძალება დაეუფლა ასეთი კარ-მიდამოს დანახვაზე, კიდევ უფრო დაზაფრა და დაადუმა ამ მოულოდნელობამ და იმისმა წინასწარმა ანგარიშმა, თუ რა იქნებოდა, როგორ იქნებოდა მომავალში, როგორ შეეგუებოდა აქაურობას და როგორ წარიმართებოდა მისი შემდგომი ცხოვრება.

— კაი ადგილია, გოვ, კაი! — აღარ ცხრებოდა მაროია, — აბა ქე მევითქვამთ სულს მე და შენ, არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იულიამ რაღაცნაირი მდურვით შეხედა და აღარ უთქვამს აღარაფერი.

გიორგიმ ურემი სამზადის გვერდით გააჩერა, მიუბრუნდა დედა-შვილს და თქვა: — აბა, ჩამოდით ახლა დაბლა!

მაროია იულიას დახმარებით კრუსუნითა და ოხვრით ჩამობობღდა დაბლა,

ერთხელ კიდევ მიათვალ-მოათვალიერა იქაურობა და აკვიატებულივით გაიმეორა:

— კაი ადგილია, ნამდვილად, კაი!

გიორგიმ ჯერ ფაქიზად დაკეცილი ტომრები ჩამოიღო და ლაფაროში დააწყო, მერე ფუთა დაითრია, ტომრებთან დადო, ხარები გამოხსნა, გომურში შედენა, წყალი დაალევინა, საკვები დაუყარა და გამობრუნდა.

— წავიდეთ, აბა, სარდიონთან! — თქვა, როცა მაროიას მიუახლოვდა.

— სარდიონი ვინაა, ნენა? — იკითხა მაროიამ, — მამაა შენი?

— მამა კი არა... — ჩაიცინა გიორგიმ.

— აბა? რავა, შენი არაა აქაურობა?

— ჰმ! — მწარედ ჩაიცინა გიორგიმ, — ჩემი კი არა... მე ვინ მომაშავებს ასეთ სახლ-კარს!

— აბა, შენ რა ხარ? — სულ დაიბნა მაროია...

— მოჯამაგირე!

მაროიამ მოულოდნელად მოიწყინა, სადღაც გაქრა მისი აღტაცება და სიხარული. ჩაფიქრდა და ორჭოფულად იკითხა: — რას იზამს ვითომ, მიიღებს თუ არა სარდიონია თუ ვინცხა?

— რა ვიცი მე! — მხრები აიჩეჩა გიორგიმ.

— თუ არ მიგვიღო, რა გვეშველება? — არ ცხრებოდა მაროია.

— ადგებით და ქე წახვალთ თქვენს გზაზე! — მიუგო გაღიზიანებულმა გიორგიმ, — წამოდით, წამოდით, დავიღალე, დავისვენო უნდა!

— ჩვენც ქე გვინდოდა დასვენება, მარა... — ლაპარაკ-ლაპარაკით მიჰყვა მაროია უკან.

ოდის წინ, ცაცხვის ძირას გაფენილ ჭრელ ფარდაგზე კაცი იჯდა, მუხლებზე გადაშლილი წიგნი ედო, დინჯად ახრჩოლებდა ყალიონს და, ცოტა არ იყოს, გაოცებულ-გაკვირვებული მზერით გასცქეროდა მისკენ მიმავალ ამ უცნაურ დელეგაციას.

გიორგი სარდიონთან მივიდა, დედა-შვილი კი მოშორებით შეჩერდნენ.

სარდიონმა თვალები მოჭუტა, ყალიონი მოქაჩა, ააცქერდა გიორგის და დაღლილად იკითხა: — როგორაა, ბიჭო, საქმე?

— კარგად! — უბიდან რაღაც შეკვრა ამოიღო და გაუწოდა: — აი, ეს გამომატანა და დაითვალისო, შემოგითვალა.

სარდიონმა შეკვრა ჩამოართვა და იქვე მიაგდო ფარდაგზე. — არ უნდა ამას დათვალა! ისიც არ შეცდებოდა და შენაც გენდობი! ჰო მეტი რაო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ დამჭირდება და შემოგითვლიო!

— შემომთვლის და ქე მივცემ, სომინდის მეტი რა გვაქვს, ბიჭო!.. დაიღალე გზაზე?

— დავიღალე... სიცხეა...

— კი, ნამეტარი ჩამოხუთულია დღეს... დაისვენე ახლა, თავისუფალი ხარ დღეს, არაფერს არ გთხოვ მეტს! — სარდიონმა ისევ მოქაჩა ყალიონი, გახედა ერთ ადგილზე უხერხულად აწურულ დედა-შვილს და თითქოსდა ახლა შეამჩნიაო ისინი, სასხვათაშორისოდ იკითხა: — ესენი ვინ მოგიყვანია, ბიჭო?

— ესენი... გზაზე შემხვდნენ... სახლი დაეწვათ... სამუშაოს ეძებენ რამეს... ვინმე რომ შეგვიფარებდესო...

— ვინმეო, ხომ?! — სარდიონი ჩაფიქრდა, მერე მოულოდნელად და მჭახედ გადაიხარხარა: — მკვდარი მკვდარს გადაეკიდაო, ბუზს არ ჰქონდა და ყვავს გაჰქონდაო, ისეა შენი საქმე, გოგია!... მარა სამადლო საქმე და... მიანც რისი გაკეთება შეუძლიათ, ნეტა?

— ყველაფერს გავაკეთებთო, მარტო ჭამისა და შესაყუდრებელისათვის ვიმუშავებთო, ასე თქვეს.

— მარტო ჭამისა და შესაყუდრებელისათვისო, არა! — დამცინავად იკითხა სარდიონმა, — ჩვენც ჭამისა და შესაყუდრებელისათვის ვმუშაობთ და ვცხოვრობთ, გოგია! ყველა მაგისთვის მუშაობს.

— შენ რომ ბევრს მუშაობ, კი გეთქმის რაღა! — გაიფიქრა გიორგიმ.

სარდიონმა გამომცდელად გახედა დედა-შვილს, მერე მზერა იულიას მიაბჯინა. თვალები ნელ-ნელა სულ სხვანაირად აემღვრა და კარგახანს ველარ მოაშორა.

იულიამ იგრძნო კაცის ვნებიანი, მოწყურებული მზერა და მთელი სხეული ჭინჭრით დასუსხულივით აეწვა. დაბნეულს, უმწეოს, საბოლოოდ დამორცხვებულსა და საქციელწამხდარს საით გაეხედა და რომელ მიწაში ჩამძვრალიყო, ველარ გაეკვლია. მაროია, ცხადია, ვერაფერს გრძნობდა და ხვდებოდა, თუ რა ხდებოდა ახლა მისი შვილის გულში, იდგა არხეინად და ხან ცაცხვებს მიაპყრობდა მზერას, ხანაც კიდევ ოდას.

უხერხული, დაძაბული დუმილი ისევ სარდიონმა დაარღვია. მან მზერა მოსწყვიტა იულიას და თითის დაქნევით მოიხმო თავისთან დედა-შვილი. მაროია მაშინვე გაეშურა მისკენ და წინ აესვეტა, იულია კი ფეხათრევით, ზოზინით წავიდა და ზურგისკენ ამოეფარა დედას.

რაკი მაროია იდგა მის წინ, სარდიონმა უშუალოდ მას მიმართა:

— ვინა ხარ, ქალო, შენ?

— ჩვენ, ბატონო... — მღელვარებით იწყებს მაროია, ცალი თვალი რომ მისთვის მიუბჯენია, მეორეთი სადღაც, აღმართში იხედება და ცხენის ჩიჩვირივით გადმოფლაშულ ტუჩებს უშნოდ ბრიცავს, — ჩვენ, ბატონო, ერთი გაჭირვებული, წყალწაღებული ხალხი ვართ, არც სახლია ჩვენს ბარობაზე და არც არაფერი. გაჭირვებამ აგვაღოღა აგერ და სხვის სამოწყალოდ გადმოგვაგდო. — სალაპარაკო რაკი ნახა, მიყვა-მოყვა და ამჯერად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარდიონის წინაშე გადმოალაგა ყველაფერი.

სარდიონი ერთხანს გაოცებულ-შეცბუნებული უცქეროდა, ტუჩებს კუმავდა და ჰმუხნიდა შუბლს, ბოლოს ვეღარ გაუძლო ამდენი აბდა-უბდის მოსმენას და ხელის მკვეთრი აქნევით გააჩერა:

— კაი, კაი, ახლა, ნუ გამომიჭედე ყურები! რა ამბავია, კაჭკაჭი ხომ არ გადაგიყლაპავს, ქალო?!

მაროია შეცბა, გაჩუმდა და მზერა მიაპყრო — ვერ მიხვდა, რა მოხდა, რისთვის შეაჩერა ამ კაცმა.

— ეს გოგო შენია, არა? — როდის-როდის იკითხა სარდიონმა და ისევ მიაპყრო იულიას ხარბი მზერა.

— ჩემია, აბა, რა?! — ცოტა არ იყოს, თავმომწონედ მიუგო მაროიამ.

— ჩემთან რისთვის მოდით ახლა?

მაროია დააბნია ამ შეკითხვამ, მერე მოახერხა და ყველაფერი გიორგის მოახვია თავზე: — მე რა ვიცი, ბატონო! ამ ბიჭმა წამოგვიყვანა აგერ, ამისი მეგონა მე აგი ოჯახი.

— კი, კი, მაგისია, მამა გიცხონდეთ იმდენი! — გაეცინა სარდიონს, — ზარმაცები ხომ არა ხართ? საქმის გაკეთება თუ შეგიძლიათ?

— ზარმაცებიო?! — თვალები ააპარპალა მაროიამ, — რას ჩივი, ბატონო, შენ? ზარმაცები რავა ვართ? გასაკეთებელი იყოს საქმე და ყოლიფერს გავაკეთებთ ჩვენ, ყოლიფერს! ძროხის მოვლაო, ჭადის გამოცხობაო, ბაღნის ყურადღებაო, ქათმისო, ბატისო, იხვისო...

— კაი ახლა, ქალო, კაი! — ძმარდალეულივით დაიჭყანა სარდიონი, — რაა, რომ გადააბი და ვეღარ გაგაჩერებს ადამიანი? არ მიყვარს მე ბევრი ლაქლაქი! დარჩით, თუ გინდათ, საქმელი გექნებათ და ღამის გასათევი, მეტი რაღა გინდათ, აბა?

ამის გამგონე მაროია ცას ეწია სიხარულით: — აგაშენებს ღმერთი! საქმელი და ღამის გასათევი თუ გვექნება, მეტი, აბა რა შავი ქვა გვინდა, ბატონო?!.

სარდიონი ჩაფიქრდა, მერე მიუბრუნდა გიორგის და უთხრა: — მიიყვანე ერთი ესენი სამზადისში და უთხარი ქალებს, გამოიყენონ რამეში. მერე კი ვნახოთ... ჰო, მართლა, ღამის გასათევი სად გამოვუნახო მაგენს?.. შენს გვერდით, ხომაა ერთი სათავსი? რაღაც-რაღაცები, ხარახურა რომ გვიყრია, ჰოდა იქა...

— ახორში რაფერ ვიცხოვროთ, ბატონო? — გაიოცა მაროიამ, — მაგი რაფერ იქნება?

ამის გამგონე სარდიონს მოულოდნელად ხარხარი აუტყდა, დიდხანს იცინოდა ხმამაღლა, მადიანად და მალიმალ იწმენდდა თვალზე მომდგარ ცრემლს ვეება, ნიჩბისებური ხელისგულებით, — არა, არა, მაინც როდის გამობრძანდით სასახლიდან, დედოფალო? — ჰკითხა მერე მაროიას, სიცილი რომ შეიკავა, — ეეჰ, ქალო, ქალო! ვერაფერს იტყვი, კაი გვარიანად გქონებია კუდი ყავარზე გადებული, მაგრამ მოსაქნევი რომ არ გაგაჩნია, ამას არ უნდა დაუფიქრდე შენ?.. მიდით, მიდით, თუ გინდათ, და ქალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეტყვიან რა უნდა გააკეთოთ!

გიორგი გაბრუნდა, დედა-შვილი უსიტყვოდ გაჰყვა.

... მაროიას სამზადისში უკრეს თავი, იულიას კი, ქალბატონის ბრძანებით, ოდისა და ეზოს მოვლა-დასუფთავება დააკისრეს. დედა-შვილს ის ჩაბინძურებული, აბლაბუდით გავსებული სათავსო დაუთმეს, დაუდგეს ერთი მორყეული ტახტი, მიუგდეს ძველი, დაკონკილი ქვეშაგებელი და მიუჩინეს იქ ღამის გასათევი.

მხოლოდ თხელი, სიფრიფანა ლამფის კედელიღა ყოფდა გიორგის იულიასაგან და რაც იქ ღამ-ღამობით ხვდებოდა, სულ უბრალო ჩქამი და გაფაჩუნებაც კი სულ გარკვევით, მისხალ-მისხალ აღწევდა მის ყურამდე...

მას შემდეგ, რაც დედა-შვილი დაუმეზობლდა, ძილი გაუტყდა გიორგის, თუკი აქამდე მთელი დღის საქმით და ჯაფით გადაქანცული, როგორც კი ბალიშზე მისდებდა თავს, მაშინვე მკვდარივით იძინებდა და მერე დილამდე გვერდშეუცვლელად ეძინა, ამჯერად ჯერაც გაურკვეველ-შეუცნობელი და ბუნდოვანი, უცნაური და უჩვეულო აწუხებდა, აფორიაქებდა და არ აძლევდა ძველებურად ძილისა და მოსვენების საშუალებას. გიორგიმ არ იცოდა, თუ რა იყო ეს „რაღაც“, რას წარმოადგენდა კონკრეტულად იგი — ასე ბუნდოვანი, და ასე იდუმალი, ასე ტკბილ, ნეტარ სატანჯველში რომ აგდებდა და ქანცმილეულს აიძულებდა, არ დაეძინა და ეფხიზლა. ხანდახან ცოტათი ჩასთვლემდა, მაგრამ უმალვე იღვიძებდა, ფხიზლდებოდა და მერე დიდხანს ტრიალებდა ხის მაგარ მოჭრაჭუნე ტახტზე. მისი ფიქრები დროთა განმავლობაში თანდათანობით, ნელ-ნელა და დაჟინებით კონკრეტდებოდა და ერთ პრიზმაში გადაჭრილი, უკვე დაკონკრეტებულ-ჩამოყალიბებული და ხორცშესხმული იულიასთან იყრიდა თანდათანობით თავს. ძილგატეხილი და მოთენთილი შესცქეროდა გიორგი ჭერს და მისდაუნებურად უგდებდა ყურს იმ თხელი, სიფრიფანა კედლის მიღმა ყოველგვარ ჩქამსა და ხმაურს. იქედან კი მაროიას ხრეტინის, ბუტბუტის, ბურტყუნის ხმა მოისმოდა მხოლოდ და დროდადრო, როცა მაროია წამიერად ჩაცხრებ-მიჩუმდებოდა, იულიას მშვიდი, თანაბარი სუნთქვაც ესმოდა. ხანდახან მაროიას, ალბათ, კოშმარული სიზმრები არ აძლევდნენ გასაქანს და მაშინ იყო სწორედ, რომ ასტეხდა კბილების ღრჭიალს, ბუტბუტს, ოხვრას, დასაკლავ საქონელივით ზმუილს და გაუთავებელ ბლუკუნს — ვინ იცის, იქნებ სიზმარში თავის მოხეტიალე ქმარს ებრძოდა მაროია?

ვიწრო, პატარა ფიცრულში თონესავით ცხელოდა. ერთადერთი, ერთი ციდა ფანჯარა მაინც და მაინც ვერაფერ შეღავათს იძლეოდა. ცხელოდა, სუნთქვა ჭირდა და იდგა ფუნის, შარდისა და წუნწუხის გაუსაძლისი სუნი. როდის-როდის, დიდი წრიალ-ტრიალის შემდეგ, მხოლოდ გამთენიისას ჩაეძინებოდა გიორგის, იძინებდა ჯანმრთელი, ახალგაზრდული, უშფოთველი ძილით. ალიონზე კი მაინც ეღვიძებოდა და ყველაზე ადრე დგებოდა თანდაყოლილი, დაუოკებელ-დაუძლეველი ინსტინქტის წყალობით..

ამასობაში მაროია და იულია თანდათანობით შეეჩვივნენ თავიანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვედრს. იულიას, — სიტყვაძვირსა და ჩაფიქრებულს, კაცოშვილი ვერ მიუხვდებოდა, კმაყოფილი იყო თავისი ხვედრისა თუ არა, მაგრამ მაროია კი ნამდვილად გახარებული რომ იყო და უზომო კმაყოფილი, ამაში არც შეიძლებოდა რაიმე ეჭვის შეტანა. მაროია სამზადს შეეკედლა და მწედ და მშველელად მოევლინა გამოჩურჩუტებულ, გადაყრუებულ და კარგახანია ყავლაგასულ თებრონიას, რომელსაც ყველაფერი ავიწყდებოდა ამ ქვეყანაზე, საკუთარი არსებობაც კი.

უცნაური, ახირებული ქალი იყო თებრონია — გადაყრუებულსა და წელში კითხვისნიშანივით მოხრილ-მოკაკულს, გაძვალტყავებულსა და ჩამომხმარს, შავი, კოჭებამდე ჩაფართხუნებული კაბა ნათხოვარივით ადგა ტანზე, შიშველი ფეხები ჯლარკებში წაეყარა, ქალბატონის ბოძებული ჭრელი თავსაფარი წაეკრა, მთელი დღე — ადრე დილიდან გვიან საღამომდე — სამზადში დაბაჩუნობდა და რაც კი შეეძლო, ევალებოდა თუ არ ევალებოდა, ყველაფერს აკეთებდა. მეხსიერება კარგახანია დაკარგული ჰქონდა. ხშირად სად რას დადებდა, არ ახსოვდა და მერე საათობით ეძებდა იმ „გადასკვარამებულ“ ჭურჭელსა თუ საგანს. ცხვირწინ კი ედო და მაინც ვერ პოულობდა, ეძებდა, ბუტბუტებდა, ბურტყუნებდა თავისთვის რაღაც გაუგებარ, განცალკავებულ, აზრჩაუტანებელ ბგერებს და საკუთარ თავზე გაბრაზებული, გამეტებით იკვნეტდა ჩაშავებულ ტუჩებს. სანახევროდ ყრუ იყო და სიტყვაძუნწი თებრონია. ლაპარაკი თუ არა, მოსმენა უყვარდა ძალიან, ალბათ, ამის გამოც იყო, მაროიას რომ ჩინებულად შეეთვისა. მაროია ყველაფერს ასწრებდა — საქმესაც და ლაპარაკსაც. არც ხელს აჩერებდა და არც ენას. თებრონია უსმენდა, მაგრამ ხანდახან სანახევროდ აღწევდა მის სმენამდე მაროიას პირიდან გასროლილი, საფანტივით გადმოყრილი უსწრაფესი სიტყვები, არადა, ძალიან აინტერესებდა მოსმენა და მაშინ იყო, რომ საყვედურობდა: — რავა ჩურჩულებ, გოგო? არ შეიძლება ხმამაღლა თქვა პაწა?

მაროიას, აბა, რა შენიშვნა და გაფრთხილება სჭირდებოდა. თებრონიას შენიშვნაზე უმალვე აუწევდა ხმას და სწორედ მაშინ იყო, მისი რატრატით შეწუხებული სარდიონი რომ დაავალებდა ახლო-მახლო მყოფს: — ერთი ის აშარი დედაკაცი ჩაახუმეთ რამენაირად, თორემ აღარ შემიძლია მეტი და გადავირევი ნამდვილად!

მაროია, სარდიონის შიშით, მცირე ხანს კი დაუწევდა ხმას, მაგრამ მერე ისევ ჩართავდა. ასე გრძელდებოდა ყოველდღიურად და გაუთავებლად. სამზადში მთელი დღის განმავლობაში, ზამთარ-ზაფხულ ენთო ცეცხლი, მზადდებოდა საუზმე, სადილი და ვახშამი. სარდიონი ჭამის მოყვარული კაცი იყო და პირის გემოც გვარიანი ჰქონდა, წუწკი და წუწუტაქი ნადვილად არ იყო, ლუკმას არავის უთვლიდა და მეტი, აბა, რაღა უნდოდა მაროიას? საჭმელ-სასმელი თავზე საყრელი ჰქონდა, ღამის გასათევი გაეჩნდა და რაღას უნდა შეეწუხებინა ამის მეტი! საქმიანობდა მაროია — რეცხავდა, ხვეტავდა, ზელავდა, აცხობდა, არაკუნებდა ქვასანაყს და ენას — უყვებოდა თებრონიას ცის, ბარის, განაგონს, გადატანილს, მოსმენილს,

მართალსა თუ ბრუნდს, ყვებოდა თავის მოღალატე ქმარზე, გადაბუგულ სახლზე და ვინ იცის, რაზე არა კიდევ.

თებრონია უზომოდ მადლობელი იყო მაროიასი, რადგანაც მისმა გამოჩენამ რაღაც სიახლე შეიტანა მის ერთფეროვან, მონოტონურ ცხოვრებაში, აქამდე თუ აღარავის ეცალა მასთან სალაპარაკოდ და საჭორაოდ და მთელი დღეები დამუნჯებულივით დუმდა, ახლა უკვე დამლაპარაკებელი ჰყავდა, გამრთობი, სევდისა და წუხილის დამავიწყებელი.

თებრონია დიდიხანია შეგუებული იყო თავის სავალალო ხვედრს და ყველაფერზე ხელჩაქნეული, ყველაფრისა და ყოველივეს მიმართ გულგრილი, მისდაუნებურად, მაშინალურად მიუყვებოდა ცხოვრების ამ მონოტონურ, უინტერესო, ნელ და უდრტვინველ დინებას. ახლა მისთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო და ოდნავადაც კი არ აინტერესებდა, თუ რა იქნებოდა მომავალში, შეიცვლებოდა რაიმე თუ არა მის ცხოვრებაში. იგი იმდენად იყო შეგუებული თავის სავალალო ხვედრს, ალბათ, ყოველგვარი ცვლილება, სულ მცირედი და მისთვის სასიკეთოც კი, შეაშფოთებდა და შეაშინებდა. ახლა იგი უკვე აღარ ფიქრობდა იმაზე, თუ რატომ იყო ამ ოჯახში შეკედლებული, რატომ არ იყო დაფასებული მისი სიკეთე, მადლი, გარჯა, შრომა, რატომ იყო შეუმჩნეველი არარსებულივით. ამაზე იგი მხოლოდ პირველ ხანებში, დიდიხნის წინათ ფიქრობდა. მერე კი, ცხადია, არც ცდილობდა როგორმე თავი დაეღწია ამ ყოველდღიური, თავმომაბეზრებელი ერთფეროვნებისათვის და ეშველა საკუთარი თავისათვის. მაგრამ, კიდევაც რომ მოენდომებინა, ვინ იყო მშველელი, წაქცეულის წამომყენებელი და შემკედლებელი? ვიღას სჭირდებოდა, ვიღას უნდოდა ახლა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მისული, ორიოდე პარასკევდარჩენილი დედაბერი? აღარავის, ცხადია! ანდა რაღა შეკედლებაზე შეიძლება ლაპარაკი. ერთხელ სამადლოდ შეკედლებულს ხელმეორედ შეკედლება რაღას უშველიდა?

მაგრამ, ცხადია, აღარც თებრონიასათვის იყო უცხო და ახალი ის ადამიანური სევდა — ყოვლისმომცველი და ყოვლისდამთრგუნველი, რომელიც დროთა განმავლობაში ყველას მოესტუმრება ხოლმე.

ერთ დროს ყველაფერი გააჩნდა თებრონიას, სხვებივით კმაყოფილი იყო თავისი ხვედრისა, კმაყოფილი იყო მთელი არსებით და არა ისე, მოჩვენებით, ნაძალადევად, როგორც ახლა, სარდიონთან შეკედლებული. მაშინ პირიქით, კმაყოფილიც კი იყო, მაგრამ არა ბედსშერიგებული, რადგან ბედს მხოლოდ მაშინ ურიგდება კაცი, როცა საბოლოოდ იქნევს ხელს უიმედობის ნიშნად და როცა ხვდება უკვე, რომ ყველა გზა, ყველა ბილიკი მოჭრილი აქვს და აღარსადაა ხსნა და შველა. ვინ იცის, აბა, თუ რა იქნებოდა მაშინ, ადამიანის სწორედ ეს შეგუების, შეთვისების უნარი რომ არ ქონებოდა? მაშინ ხომ თებრონიაც ვერ შეეგუებოდა და გადაიტანდა იმას, ერთ დროს ოჯახი რომ ჰქონდა, სახლ-კარი, ქმარი ჰყავდა, შვილები, ახლა კი აღარაფერი...

იმ ბედნიერი წარსულიდან მხოლოდ ხსოვნა, გახსენება იყო შემორ-

ჩენილი და ეს ხსოვნაც, ეს გახსენებაც კი, დროთა განმავლობაში, თანდათანობით კარგავდა სიმძაფრეს, სიცხოველეს, პირველყოფილ განცდასა და სინედლეს, ნელ-ნელა, მოხუცის გონებასავით ჩლუნგდებოდა და ინთქმებოდა წარსულში.

სახადის სახით გამოცხადებულმა სიკვდილმა ქმარიც გამოაცალა ხელიდან, შვილებიცა და ოჯახიც. მხოლოდ თებრონია დაინდო სიკდილმა. მხოლოდ იმიტომ, ეცოცხლა, ძაღლუმადურად გაეთრია დარჩენილი დღეები, ეტანჯა და ედარდა. როცა იფიქრა, გადავიტანე და გამოვიგლოვეო, სწორედ მაშინ გამოეცხადებოდნენ სიზმარში ხან ქმარი, ხანაც შვილები და იმ სიზმრებში უსაშველოდ, სინამდვილეზე უფრო მძაფრად და შემაძრწუნებლად მეორდებოდა ყოველი.

თებრონია და მაროია ასე რომ შეეთვისენ ერთმანეთს, შეიძლება ეს იმითაც კი იყო გამოწვეული, რომ მათი ხასიათები ასე მკვეთრად რომ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

თებრონიასთან ასე რომ იყო შეგუებული, სამაგიეროდ პელაგიას ვერ შეეთვისა მაროია. პელაგია ერთადერთი ქალი იყო ამ ოჯახში, რომელთანაც ხმის ამოღებას ვერ ბედავდა მაროია. მის დანახვაზე ისე გაციმციმდებოდა, ისე ჩაიგდებდა ენას მუცელში და დამუნჯდებოდა, ამ ქალს ცხოვრებაში არ დაულაპარაკებია ალბათო, იფიქრებდით მისი შემხედვარე.

პელაგიას გარკვეული, მყარი და მტკიცე ადგილი ეჭირა ოჯახში. იგი სარდიონის ძიძა იყო, მისი აღმზრდელი, სარდიონის მამის შორეული ნათესავი. ამ ოჯახში რომ მოიყვანეს, სრულიად ნორჩი იყო, ბავშვი. აქ გაიზარდა, აქ დაქალდა, ამ ოჯახს შეეთვისა და აქ ჩაბერდა კიდეც. პელაგიას მოსამსახურეების ზედამხედველობა ევალა. კი არ ევალა, თავად ივალდებულა ეს საქმე. საოცრად სისუფთავის მოყვარულს, თავად სუფთას, პეწენიკსა და აკურატულს, იშვიათად თუ მოსწონდა სხვისი ნასაქმებ-გაკეთებული. იგი განსაკუთრებით მაროიას უყურებდა ეჭვით, ათვალწუნებით და ზიზღითაც კი. ვინ იცის, რამდენჯერ უფეთა მაროიას ანგელოზები და პანიკური შიშით შეპყრობილი მაროია, როგორც კი მოკრავდა თვალს სამზადისისაკენ ჯოხის რიტმული კაკუნით მომავალ პელაგიას, მაშინვე გასწყვეტდა ხმას, მონდომებით შეუდგებოდა საქმეს და თანაც თებრონიას გაფრთხილებასაც ასწრებდა:

— გაჩერდი, გოვ, ხომ ხედავ მოდის მაგი სამიწე!

— რომელი სამიწე, გოგო? — დინჯად იკითხავდა თებრონია.

— სამიწე და გადასასკვარამებელი ვინაა, არ იცი შენ?.. პელაგია, გოვ, პელაგია!

— მერე რა, რომ მოვა?

— გაჩერდი, ნუ ლაპარაკობ!

— მე გაჩერებული არ ვარ? შენ გაჩერდი, შენ!

პელაგია შევიდოდა სამზადისში, უსიტყვოდ, დაკვირვებული მზერით მიავლ-მოავლებდა ყველაფერს თვალს და რაიმე თუ არ მოეწონებოდა, მაშინვე მისცემდა შენიშვნას მაროიას.

სანამ პელაგია სამზადში იყო, მაროია ეკალზე მჯდომივით გრძნობდა თავს და ერთი სული ჰქონდა, როდის წაშვდებოდა იგი.

მაროიას თუ ათვალწუნებით უყურებდა, სამაგიეროდ იულია უყვარდა პელაგიას, ძალიან ემადლიერებოდა მას და ძალიან მოსწონდა მისი ნამოქმედარი.

ამასობაში დრო თავისი გზით მიიკლაკნებოდა წინ, ერთმანეთს მისდევდნენ დღეები, კვირეები და თვეები, ერთმანეთს ენაცვლებოდა გაზაფხული და ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი, დარი თუ ავდარი, სიცხე თუ სიცივე, მზე თუ წვიმა, ჩვეულებრივ ტრიალებდა, ბრუნავდა დედამიწა, ჩვეულებრივ ცხოვრობდნენ ადამიანები, იბადებოდნენ, კვდებოდნენ, იყო ქორწილი და ქელეხი, სიმღერა და ტირილი...

გიორგი და იულია მხოლოდ საღამოობით თუ ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაშინ, როცა მთელი დღის ნამუშევარი, ოფლით გაჟღენთილი და გადაქანცული გიორგი სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა და ყველანი — სარდიონის მოსამსახურე თუ მოჯამაგირე, — სამზადში იყრიდა სავახშმოდ თავს. როცა იულიას ხედავდა მის გვერდით, მხოლოდ მაშინ იყო სულიერად მოსვენებულ-დამშვიდებული გიორგი. მაშინ აღარც დაღლას გრძნობდა და არც არაფერს, ბოლო ხანებში, ეტყობოდა, აღარც იულია იყო გულგრილი გიორგის მიმართ. ხანდახან, შეფარვითა და სხვების უჩუმრად ისე გააპარებდა მისკენ მზერას, ეტყობოდა, მასაც მოსწონდა იგი. ხანდახან, როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდებოდნენ, აარიდებდა მზერას, დამორცხვებული დახრიდა თავს და ჩაჩერდებოდა მიწას. ლაპარაკით კი ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მთავარ სალაპარაკოზე, იმ მთავარ სათქმელზე არცერთი არ იღებდა ხმას. ცხადია, როგორც მამაკაცს, ამ მხრივ გიორგის უნდა ეაქტიურა და უნდა ეცადა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებდა ამას. არც გაბედულება ჰყოფნიდა და არც ამისი გამოცდილება გააჩნდა, თორემ ის კარგად მოეხსენებოდა, უთქმელად, მუნჯურად რომ ვერ გააგებინებდა და აუხსნიდა სიყვარულს. თავისი მთავარი სათქმელის თქმას ყოველთვის აპირებდა გიორგი, წინა დღით რომ გადაწყვეტდა — რაც იქნება-იქნება, ხვალ აუცილებლად ვეტყვი და გავუმხელო, ეს ხვალეც რომ დადგებოდა, ხუხულასავით ეფუშებოდა მთელი გეგმები და მერე ისევ მეორე დღისათვის ხდებოდა ყოველივეს გადავადება. და ასე გრძელდებოდა კარგახანს...

იულია უკვე აღარ იყო ისეთი, როგორიც პირველად იხილა გიორგიმ — ჩაბინძურებულ-ჩაზანგული, ჩამოკონკილი, ფეხშიშველა, ახლა მას უკვე ფეხზეადაც ეცვა და ტანზედაც. მართალია, ქალბატონის ბოძებული კაბა ნათხოვარივით ადგა ტანზე და მასში ბარე ორი იულიასნაირი ჩაეტეოდა, მაგრამ ეს ბევრს ვერაფერს ენებდა იულიას გარეგნობას...

სარდიონის მეუღლეს, მინადორას, არ უყვარდა იულია, ათვალწუნებული ჰყავდა და ალმაცერად უცქეროდა. იულია პირველ ხანებში ვერ ხვდებოდა ამ ათვალწუნების მიზეზს, ამას მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა...

ბოლო ხანებში იულია ამჩნევდა, რომ სარდიონი სულ რაღაც, სხვა-

ნაირი ორაზროვანი მზერით შესცქეროდა, ამ მზერაში ენებაც იყო, ნდობაც, დაუფლების პირუტყვული ყინიცა და ყველაფერი ცოტ-ცოტა — ამაზრზენად ბინძური და პირუტყვული. მისი მზერა ნუსხავდა, ბოჭავდა იულიას, საქციელს უკარგავდა და არ აძლევდა გასაქანს.

რაც დრო გადიოდა, გიორგის უფრო და უფრო მეტ საფიქრალსა და სადარდელს უჩენდა იულია, უფრო და უფრო ეზრდებოდა მისდამი ლტოლვა, უფრო და უფრო იპყრობდა და ითავისთავადებდა ეს გოგო მის არსებას, მისდაუნებურად აიძულებდა ეფიქრა მასზე, ეოცნება, გაურკვევლობის ბურანში გახვეულიყო.

ხანდახან, მუშაობაში გართულს, ისე მოენატრებოდა იულია, ძლივს იკავებდა ცდუნებისაგან თავს, — მიეტოვებინა საქმე, გაქცეულიყო იქ, სადაც იულია ეგულებოდა, მხოლოდ ერთხელ შეევლო თვალი, ერთხელ შეეხედა მხოლოდ, მერე ისევ უკან გამობრუნებულიყო და განეგრძო თავისი საქმე. და იმდენად ძლიერი, იმდენად მძაფრი და ყოვლისმომცველი იყო ეს სურვილი, რომ ძლივს იკავებდა თავს ამ ცდუნებისაგან და რჩებოდა ადგილზე.

როცა ადამიანი მოცლილია და საქმისაგან თავისუფალი, სწორედ მაშინ იწყება ფიქრი და განსჯა, განმარტოება და ბჭობა საკუთარ თავთან. ბევრიც რომ მოესურვებინა, აბა, დღისით სად ეცალა იულიას საკუთარ თავთან სასაუბროდ? მისი წილხვდომილი ყოველი დღე სხვისი იყო, სხვისთვის განკუთვნილი, სხვებზე მოხმარებული და ჩალეული. მისი, მხოლოდ ღამე იყო, მხოლოდ ღამე იყო მის განკარგულებაში. ფიქრსა და ოცნებას გიორგიზე იგი მხოლოდ მაშინ იწყებდა, როცა ღამით მაროიასთან ერთად შეაკეტავდა სადგომის ფიცრულ კარს და მარტოდ დარჩებოდა სიბნელისა და საკუთარი თავის წინაშე. მთელი დღის განმავლობაში ენა და სხეულ გადაღლილი მაროია ძლივს ასწრებდა ლოგინთან მისვლას, გადაიძრობდა გაზინთულ, მწებვარე, ოფლით გაჟღენთილ კაბას, მიეგდებოდა საწოლზე და მაშინვე საღამათას ძილს დაეუფლებოდა. მერე მთელი ღამის განმავლობაში ხერხავდა მისი ხვრინვა სიბნელესა და ღამისეულ სიჩუმეს.

როცა მაროია უკვე ღრმა ძილით ეძინა, იულია მხოლოდ მაშინ შეუდგებოდა დასაწოლად მზადებას. თუმცა რაღა ამდენი მომზადება სჭირდებოდა ერთი სიფრიფანა კაბის გახდას, მაგრამ იულია რატომღაც არ ჩქარობდა და ისეთი სიზანტით, ისეთი გაუბედაობით აკეთებდა ამას, თითქოსდა თავის ცხოვრებაში პირველად იხდიდა კაბას. ანდა კიდევ, პირველად შიშვლდებოდა სრულიად უცხო, ეს-ესაა გაცნობილი მამაკაცის წინაშე და იმაზე ჭოჭმანებდა, დანებებოდა თუ არა. ორივე ხელს კაბის კალთას ჩაავლებდა, ამოიკალთავებდა და კარგა ხანს იდგა ასე სიბნელეში რომელიღაც კუთხესა თუ წერტილს მიჩერებული, იდუმალად გასუსულ-მიჩუმათებული და უსმენდა თუ აკვირდებოდა რაღაცას — იდუმალს, დაუნახავს, არარსებულს, მხოლოდ მის წარმოსახვაში არსებულს. რატომღაც ასე ეგონა, როგორც კი კაბას გაიხდიდა და ღამის დედაშობილა დარჩებოდა სიბნელეში, თითქოსდა სწორედ ამ მომენტის შემხედვარე და მომლოდინე,

ნადირივით ჩასაფრებული გიორგი მუშტის ერთი, ძალუმი დარტყმით გა-ანგრევდა ამ თხელ კედელს, ხელის ცეცებით მოსძებნიდა ლოგინთან აწურულ იულიას, დაავლებდა ხელს და წაალალებდა თავის ბუნაგში. ამ შინის პარალელურად, ქვეცნობიერად, იმასაც კი ხვდებოდა იულია, რომ სისულელე იყო ამაზე შიში და ამისი გაფიქრებაც კი. გიორგი ისეთი ვინმე როდი იყო, ეს რომ ეკადრა, გაებედა, მოეხერხებინა, მოეფიქრებინა და თუნდაც გულშიაც კი გაევლო ასეთი რამე.

როდის-როდის გაიხდიდა კაბას იულია, გუმანით ჩამოკიდებდა კედელზე მიჭედილ ჟანგიან ლურსმანზე, მაშინვე ჩაწვებოდა ლოგინში, მიიკუნჭებოდა კუთხეში, წაიხურავდა თავზე ვინ იცის ვის ნახურავ, რისი, რანაირი სუნით გაჟღენთილ საბანს და მერე კარგახანს სუნთქავდა საშინელ ხიფათსგადარჩენილივით აჩქარებულად და არათანაბრად. ასე ეგონა, იქეთ, ამ თხელი კედლის მიღმა, რატომღაც დაყურადებული გიორგის მისხალ-მისხალ ესმოდა ყველაფერი და ამიტომაც იყო ასე რომ ცდილობდა იულია როგორმე არ ეხმაურა და ისევ მომზადებულიყო ძილისათვის — უხმაუროდ, საფუძვლიანად, ჩქამის გაუღებლად. ამ ცდილობასა და ჩალიჩში რომ იყო, ვერც კი ამჩნევდა, ისე მოეპარებოდა მთელი დღის ნაჯაფარს ძილი...

ღმერთმა თუ ეშმაკმა მართლაც იმ წყალმოწყურებულ ძერასავით დასწყეველა მაროია, არც ძილში, არც სიფხიზლეში არ ჰქონდა მოსვენება. ხომ ძნელი წარმოსადგენი იყო მისი ხვრინვა-ხროტინში გაძლება, მაგრამ იულია კარგახანია მიჩვეული იყო ასეთ ხმურში ძილს. ერთს რომ ჩაიძინებდა, მერე დილამდე გაუნძრევლად ეძინა და აღარაფერი აშფოთებდა მის ტკბილ, თანაბარსა და წყნარ ფშვინვას. თვალებს მაშინ გამოახელდა, როცა დილის რიჟრაჟი შემოჭყეტდა ერთადერთი, მუშტისხელა, გამურული სარკმელიდან და შეებრძოლებოდა ოთახში დაგუბებულ სიბნელეს. გამოღვიძებისთანავე მაროიას გადახედავდა, რომელიც პირაღმა გართხმულიყო ლოგინზე.

რამდენიმე წამს დასცქეროდა მძინარეს უკმაყოფილო, შუბლშეჭმუხვნილი, მერე დაურიდებლად წაჰკრავდა ზურგში ქიმუნჯს, ნაკლულ გუდასავით შეაჯანჯღარებდა, ცდილობდა როგორმე ამნაირად ჩაედგა სული მისთვის, გამოეყვანა საღათას ძილისაგან და გამოეფხიზლებინა.

მაროია როდის-როდის მოდიოდა გონს, ჯერ ხროტინს შეწყვეტდა, ცალ თვალს გამოახელდა, მერე კიდევ მეორეს და უაზროდ იკითხავდა შემცბარი:

— რა ამბავია, გოვ, ცეცხლი ხომ არ გაგჩენია? ხომ არ ვიწობით, გოვ?

— ცეცხლი კი არა... გაიღვიძე, ქალო, ხომ ხედავ, გათენდა უკვე!

— ჯერ რა დროის გათენებაა, გოვ? — კვირობდა მაროია, უსაშველო მთქნარებით გადაბრუნდებოდა გვერდზე და თითქოსდა, პირაღმა ვერ დაინახავდაო, ახლა ასე გვერდულად გახედავდა ფანჯარას იმის დასადგენად, ეს გასაცვეთი გოგო მატყუებს თუ მართლა ნამდვილად გათენდაო.

იულია ადგებოდა, წაუყრიდა შიშველ ფეხებს ჯლარკებში, ჩამოიღებდა ლურსმანზე ჩამოკიდებულ კაბას, გადაიცვამდა, გამოაღებდა ჭრიალა კარს და გავიდოდა გარეთ, რათა პირი დაებანა, მთელ დღეს ჯარასავით სატრიალებლად რაც კი შეიძლება საფუძვლიანად მომზადებულიყო.სანამ მაროია ასადგომად განეწყობოდა, ძილით გაბურსალებული საბოლოოდ დაუბრუნდებოდა სააქაოს, სანამ მთქნარება-მთქნარებითა და კრუსუნ-კრუსუნით, უკმაყოფილო ბუტბუტ-ბურტყუნით წაჩლახუნდებოდა სამზადისაკენ, იულიას ერთი პირი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდა და ის-ის იყო მეორეს იწყებდა უკვე.

ასე მეორდებოდა ყოველთვის , ყოველ დილით და ვეღარაფერი ვერ ცვლიდა ამ ჩვევად ქცეულ, ერთხელ დაკანონებულ ზოზინა მონოტონურობას.

გიორგიმ დატვირთული ურემი დაცალა, ხარები დააბინავა, თავად კი დაღლილ-დაქანცული სამზადის წინ ჩამოჯდა ჯორკოზე, თამბაქო გახვია და გააბოლა. იჯდა დაღლილი, ისვენებდა, ეწეოდა, დროდადრო ჩითის ჭრელი ნაჭრით (რომელიც ცხვირსახოცისა და ხელსახოცის მოვალეობას ასრულებდა ერთდროულად) იწმენდდა შუბლზე დაცვარულ ოფლს და მისდაუნებურად ყურს უგდებდა სამზადისიდან გამოსულ ხმებს...

მაროიას მკლავები დაეკარწახებინა, კარის მახლობლად ჩაცუცქულიყო და ნაცრით ხეხავდა ვეება, ჭვარტლით გამურულ ქვაბს. ხელებსაც და ენასაც მარჯვედ ატრიალებდა.

მაროიამ წამით პაუზა გააკეთა და მერე იკითხა:

— წაბრძანდა, აბა, ქალბატონი?

— რომელი ქალბატონი, გოგო? — ვერ მიუხვდა თებრონია.

— ქალბატონი რომელი გვყავს ჩვენ? მინადორა, გოვ, მინადორა!

— ჰოო! მერე? სად წავიდა?

— მშობლებთან მივალო, უთქვამს. დოუვლია ხელი ბაღნებიზა და ქე წაუყვანია. არ ჩამოვა კაი ხანს ალბათ და ქე დავისვენებთ გემოზე მე და შენ...სარდიონი რატომ არ წაყვა ნეტა?

— როდის იყო მაგენი ერთად დადიოდნენ? არ უყვართ მაგინებს ერთმანეთი. ძულან ერთმანეთი და ჩხუბობენ სულ.

— რას ჩივი, გოვ? ცოლ-ქმარს ერთმანეთი არ უყვარდეს, პირველად გევიგონე მე.

— ჰი, ჰი! — უგემურად, ჩიფჩიფით გაიცინა თებრონიამ, — პირველადო, რომ იძახი, შენი ამბავი დაგავიწყდა მაგერ?

— რა ჩემი ამბავი, გოვ?

— რა ამბავი და... მაგ შენს ქმარს ნამეტანი უყვარდი და იმიტომ მიგატია?

მაროიას არაფერი უთქვამს, ერთი კი შეცბა და თითქოსდა არ გამიგონიაო, ისე წაუყრუა. თავი ანება ქვაბის ხეხვას. იდაყვამდე მჭვარტლითა და ნაცრით გამურული გავიდა გარეთ და გიორგი რომ დაინახა, ჰკითხა: — მოი შენ ბიჭო, უკვე?

— რავარც ხედავ... — წარმოთქვა უგემურად, დაღლილსა და სიცხისაგან შეწუხებულს აღარ ჰქონდა მასთან ლაპარაკის თავი.

— დაიღალე ხომ? — თანაგრძნობით მიაჩერდა მაროია, — დაიღლებოდი აბა არა? მეც ქე დევიღალე გვარიანად, მთელი დღეა, ამ გამურულ ქვაბებს ვხეხავ აგერ... ჰო, ხაჭაპური არ გინდა? — შესთავაზა მოულოდნელად.

— ხაჭაპური? — გაუკვირდა გიორგის. — მინდა მარა... სადაა მერე?

— მოგცემ, თუ გინდა! — მარაოია სამზადში შებრუნდა და მალე კეცზე გამომცხვარი ხაჭაპურის ნახევარი გამოუტანა: — ჭამე, შე გაჭირვებულო, ჭამე! ქალბატონი წაშავდა, დრო ვიხელთეთ მე და თებრონიამ, გამოვაცხვეთ ჩვენთვის და შენც გამოგინაწილე აგერ.

სანამ გიორგი მადიანად ილუკმებოდა, წელზე დოინჯშემოდგმული მაროია თავზე ადგა და მომლოდინედ შესცქეროდა თვალებში.

— ხომ იყო კაი? — ჰკითხა, როცა გიორგიმ ყველის უკანასკნელი ნამცეცი გადაყლაპა.

— კაი იყო, აბა არა?! — მიუგო გიორგიმ და მერე, თითქოსდა, ახლა გაახსენდაო, დასძინა: — ჰო, იულია სად არის?

— ჩემს გოგოს რაიზა კითხულობ ბიჭო, შენ? — განგებისად ცუღლუტურად გაიმეორა მაროიამ.

— ისე ვიკითხე, რავა, არ შეიძლება? — აირია და სახეზე წამოწითლდა გიორგი.

— რავა არ შეიძლება, მარა... ოდას ალაგებს, ალბათ...

სწორედ ამ დროს სამზადისაკენ მომავალ პელაგიას მოჰკრა თვალი, მაშინვე გაჩუმდა, დამნაშავესავით ჩამოუშვა ხელები და ჩაილაპარაკა: — მიწა დავაყარე თავზე! რა უნდა, ნეტა, მაგ სასიკვდილეს?

პელაგია დინჯად, ჯოხის კაკუნით მიუახლოვდა მათ, ჯერ გიორგის გადახედა, გაულიმა და იკითხა: — ისვენებ, შვილო? დაისვენე, დაისვენე! შენ რომ მუშაობ...

— კი, კი, ბევრს მუშაობს მაგი, ბევრს! — მისებურად ჩაერია საუბარში მაროია, მაგრამ პელაგიამ ისეთი თვალებით შეხედა, მაშინვე გაწყვიტა ხმა, შემცბარმა მოკუმა ტუჩები და ყოველი შემთხვევისათვის, აქაოდა, მარცხი არ მომივიდესო და შემთხვევით არაფერი წამომცდესო, ხელისგულიც მიიფარა პირზე.

პელაგია მიაჩერდა მაროიას. უცქირა, უცქირა და მერე უთხრა:

— ეი, შენ, ქალო! ამდენი ხანია მინდოდა მეთქვა შენთვის და გადამცილდა გულზე...

— რა გადაგცილდა, გოვ? — ვეღარ მოითმინა მაროიამ.

— მინდოდა მეკითხა შენთვის... შენი ქმარი რატომ წავიდა სახლიდან?

— მერე გეკითხა, გოვ! ვერ გეტყოდი თუ რაი? რაიზა წავიდა და ოხერი და უბედურის ერთი რომ იყო, იმიზა!

პელაგიამ ტუჩები მოკუმა და თავი ჯიუტად გააქნია უარყოფის ნიშ-

ნად: — არა, მაროია, არა! შენი ქმარი ოხერი კი არ იქნებოდა, შენ რომ ვერ გაგიძლო, იმიტომ წავიდა!

— შეხედე, შენ?! — გაუკვირდა მაროიას, — რავა, ჩემი ქმრის ამბავი ჩემზე უკეთ იცი შენ? — წელზე დოინჯი შემოიდგა და ურცხვად შეაჩერდა თვალებში: — რავა, მე რა მჭირდა გასაძლები, გოვ? რა გოუძლებელი და ოუტანელი მე მნახე?

— ვერ მიხვდი, ხომ? — ამრეზილად მოკუმულ ტუჩებზე დამცინავი ღიმილი აღებეჭდა პელაგიას, — ბინძური რომ ხარ, ტალახში ამოგვანგლული ღორს რომ გავხარ და ისე ქოთხარ, კაცოშვილი რომ ვერ მოგეკარება სათოფეზე... კაბას ვერ გაირეცხავ, წყალს ვერ გაცხელებ და ვერ დაიბან ერთს? შენი გაკეთებული საჭმელი პირში თუ ჩაიშვება, ქალო? — თავი გააქნია, შებრუნდა და ჯოხის კაკუნით გაშორდა.

მაროიამ კარგახანს ვეღარ ამოიღო ხმა. იდგა ლენჩივით პირდაღებული და გაოგნებული-გამოშტერებული უცქეროდა მიმავალ პელაგიას. მერე კი, როცა იგი თვალს მიეფარა, თავისებურად აჯუჯღურდა: — რას გადამეკიდა აი ძუნკალი ქალი, ნეტაი, გასაქანს რომ არ მაძლევს და სულ მჭამს და მკბენს? გეიგონე შენ, რა მაკადრა, ახლა? ბინძურიო! ბინძური არ უნახია მაგას. მითხარი ერთი, ვარ მე ბინძური? — მიუბრუნდა გიორგის.

— რა ვიცი მე ხარ თუ არა ხარ? — ჩაილაპარაკა გიორგიმ და მცირე პაუზის შემდეგ დასძინა: — პელაგია კაი ქალია, კაი!

— კაიო?! — შეიცხადა მაროიამ, — იმდენი მაგას გადოუშენდა პატრონი, რავარც კია გადაშენებული და მოსანტალებული. მაგი ვნახე ერთ დღეს კუბოში გაწვართული და გულზე ხელებდაწყობილი. არ მომშალა ნერვებზე და არ გამიცია აი სიმწრით გამომცხვარი ხაჭაპური? — შებრუნდა და სამზადში დურთა თავი.

გიორგის კიდევ ესმოდა სამზადიდან მისი უკმაყოფილო ჯუჯღური. მერე ადგა და ის-ის იყო, უნდა გაშორებოდა იქაურობას, რომ მოულოდნელად ვიღაცის გულამოსკვნილი ქვითინი ჩაესმა. ასე ვინ ტირისო, ამის გასაგებად შეჩერდა და მიმოიხედა. დაინახა, იულიას ხელისგულები აეფარებინა სახეზე, რაღაცნაირად მოდუნებულ-მოშვებულად, ზანტად და ზოზინით, სვენებ-სვენებით ჩამოდიოდა კიბეზე და გულსაკლავად ქვითინებდა.

გიორგი გაოგნდა, ტანში უსიამოდ გასცრა, იულიასადმი თანაგრძნობით აღივსო, მაგრამ რა უნდა ექნა, ის კი ვეღარ მოახერხა, ვეღარ დაიძრა ადგილიდან, იდგა და შესცქეროდა კიბეზე დუნედ ჩამომავალს. იგი პირველად ხედავდა იულიას ასეთ მდგომარეობაში, ასე მტირალს, ასე მოშვებულსა და საცოდავს. გიორგიმ არ იცოდა, რა ეფიქრა, რა ევარაუდა, ვისთვის და რისთვის დაებრალებინა მისი ასეთ დღეში ჩავარდნა, ვინ იყო თავი და თავი მიზეზი, ეს ვერ გაეგო.

ამასობაში იულიამ ქვითინ-ქვითინით ჩამოათავა კიბე და სამზადისაკენ წალასლასდა...

სწორედ ამ დროს მაროია გამოვიდა სამზადიდან. გამურულ ხელში ხაჭაპურის ნაჭერი ეჭირა, პირიც გამოტენილი ჰქონდა და მოშიებულივით

იღმურძლებოდა. შეხედა მაროიამ იულიას და ლუკმა გაუშემდა პირში. კარგახანს იდგა პირდაღებული და შესცქეროდა იულიას. ბოლოს, ეტყობოდა, რაღაც იაზრა, რაღაცას ჩაწვდა და ყბა ისე მოექცა, კივილს რომ დააპირებს ქალი. მაგრამ მაშინვე მოეგო გონს, აღარ უკივლია, თავისუფალი ხელი მიიფარა მაგრად მოკუმულ პირზე და კივილის მაგიერ რაღაც ხავილისმაგვარი ხმაური მაინც დაცდა. სწორედ ეს ხავილი ჩაწვდა აზლუქუნებული იულიას სმენას, სახეზე აფარებული ხელისგულები ნელ-ნელა ჩამოაცოცა დაბლა და მწუხარებით გათანგულმა, სველი, ნამტირალევი თვალები მოაპყრო მაროიას.

— რა დაგემართა, გოვ? — როგორც იქნა პირში გაშეშებული ლუკმა გადაყლაპა მაროიამ, ენა მოაბრუნა და იკითხა მისთვის უჩვეულო, აკანკალებული და ჩავარდნილი ხმით.

მის შეკეთებაზე ხელმეორედ წასკდა ქვითინი იულიას, ძალაგამოლეულივით, ტორტმანით მიეყრდნო მაროიას და ზლუქუნ-ზლუქუნით, დანაწევრებულად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოილაპარაკა: — იმან... წარდიონმა... არაა ჩემი ბრალი...

— უიმე! — დასცდა ხმამაღლა ამის მოსმენით განადგურებულ და მეხდაცემულ მაროას. მაგრამ ამჯერადაც შეიკავა თავი და ჩუმი, მოგუდული სისინით, გამაფრთხილებლად და მრავალმნიშვნელოვნად უთხრა: — ჩუმად, შე სასიკვდილე, ჩუმად! — ცალი თვალი გააპარა მოშორებით მდგარი გიორგისაკენ და კიდევ უფრო დაუწია ხმას: — რეიზა გამიჩნდი შე სასიკვდილე და დასამიწებელო, რეიზა? რატომ მუცელში არ გამიწყალდი. მომჭერი თავი და გამომაჭენე შარაზე, ხომ? ორივეს დაგაყარე მიწა, ორივეს! რა გეშველება შენ აწი? მიწა რომ გეითხარო ფულუსავით და რომ ჩაძვრე შიგ, იგი გირჩენოდეს. რა გიყო მე აწი? რაფერ გიწამლო და რაფერ მოგიარო? შენს სირცხვილს და თავის მოჭრას ასე ხმამაღლა რომ ჩივი, ასე შეიძლება, შე ბენტერა? — ერთხელ კიდევ გააპარა მზერა ერთ ადგილზე ბოძივით დარჭობილ, მათკენ მაცქერალ გიორგისაკენ და ყასიდი ხმის აწევით, ყალბი კაპასითა და დატუქსვით განაგრძო: — ისთე ბღეჯელებდი, ქე გადამიტრიალდა გული შე სასიკვდილე, ქე მომკალი და რაღაი ახლა? ფარცაგი არ მეგონა რაცხა? ვინცხა სხვანაირად იფიქრებს და ხომ მოგვეჭრა თავი, გოვ? რატომ არ დაუჯერე ბატონს? რატომ გაალანძღვინე თავი? იყავი ალბათ გასალანძღავი და ქე გაგლანძღა და ამიზა ფლიკვინებ ამხელა ქალი, გოვ?

იულიას ეგონა, დედაჩემი ნამდვილად ვერ მიხვდა, თუ რა უბედურებაა ჩემს თავზეო, ცრემლით საუსე თვალები მიაპყრო და უთხრა: — შენ რა იცი, მე რაცა მჭირს, დედა!

— ვიცი, შე მიწადასაყრელო, აბა, არ ვიცი?! — ჩაისისინა მაროიამ, გიორგის ნამალევად, გამეტებით უჩქმიტა მკლავზე და დასძინა: — წაი ახლა, დეიბანე პირი და კრინტი არ დაძრა არსად, კრინტი!

იულიას არაფერი უთქვამს, ერთი შეხედა მაროიას, ჩაქინდრა მერე თავი, შებრუნდა და წავიდა ნელ-ნელა, მოზოზინე, თავჩაქინდრული და მიწას დაჩერებული.

მაროია ერთხანს იდგა და გასცქეროდა მიმავალს, მერე კი როცა იგი თვალს მიეფარა, ნელა დაიძრა ადგილრდან, მიუახლოვდა გიორგის და თითქოსდა სხვათაშორისოდ უთხრა: — არ გოულანძღავს, ბიჭო, ჩვენს ბატონს ჩემი გოგო?

— გაულანძღავსო?! — გაიკვირვა გიორგიმ, — რატომ ვითომ? დოურტყამს თუ?

— არა, დარტყმით არა, მარა ისე, სიტყვით გოულანძღავს!

— ამიტომ ტოროდა ასე? — იკითხა გიორგიმ გულუბრყვილოდ, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე.

— აბა, მეტი რაიზა იტირებდა ვითომ? — მიუგო მაროიამ, მიატოვა ერთ ადგილზე გახევებული გიორგი და სამზადში დურთა თავი.

— რა ატირებდა შენს გოგოს, ქალო? — შესვლისთანავე ჰკითხა თებრონიამ და ისე მიაჩერდა თვალებში, მაროია დაიბნა, თვალი ვეღარ გაუსწორა, აარიდა მზერა, საქციელწამხდარი და დაბნეული აბლუკუნდა:

— ვერაფერს ვერ ვხედავ, არაფერი არ მეყურებაო, რომ ჩიოდი, მაგი რაფერ გეიგონე და დეინახე, გოვ?

— დევინახე, გევიგონე და მომკალი ახლა! ისე ზლუქუნებდა, მაშინათვე მივხვდი, კაი ამბავი არ იყო მაგის თავზე...

— კი, კი, აბა! უგინებია სარდიონს, კინაღამ დოურტყამს! — თვალთმაქცურად, თვალების ბრეცით შეაწყვეტინა მაროიამ.

— კინაღამ დოურტყამს, ხომ?! — დამცინავად, ბებრული ხრიწინით აქირქილდა თებრონია და ცახოცის კიდით მოიწმინდა ჩაბჟუტულ თვალებზე მომდგარი კურცხალი, — დარტყმა რათ უნდოდა, შე ქალო? მეეფეს ეჩოდა პატარას და... მინადორა არ ბრძანდება სახლში და ნახა მომენტი სარდიონმა...

— კაი ერთი, გოვ, რას ბეუტურობ თუ იცი შენ? აბა რაფერ ახლა, მეეფერა და იმიზა იტირა?

— ჰი-ჰიი! — აქირქილდა თებრონია, — გააჩნია, რაფერ მიეფერა! მე რას მიმალავ, ქალო?

რაკი დარწმუნდა, თებრონიამ ყველაფერი იცის და მასთან დაფარვას აზრი არა აქვსო, სამუდამოდ გასცა თავი მაროიამ, ახლოს მიუჩოჩდა თებრონიას, შეთქმულივით მიმოიხედა და ხმის დაწევით, ისე რომ თებრონიას გაეგონა და სხვებს არა, განაგრძო:

— რა მეშველება აწი მე? აგი მინდოდა ახლა მე? აგი ჭირდებოდა ჩემს გაჭირვებულ საქმეს? გაჭირვებულს ქვაი წამეწია აღმართშიო, ისეა ჩემი საქმე, სწორედ!..

— ვიცი, ვიცი! — თანაგრძნობით შეხედა თებრონიამ, საქმეს თავი ანება, ჩამოჯდა ჯორკოზე და განაგრძო: — ახლა უნდა მაგ შენს გოგოს შველა და პატრონობა, ახლა! რამ გაგაჩიჩინა, ქალო?! მისმენ თუ არა?

— სმენით რავა არ გისმენ, მარა რა გავაკეთო, რომ არ ვიცი? — გამოერკვა მაროია.

— მე ვიცი სამაგიეროდ! უნდა გავათხოვოთ მაი გოგო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაროიამ ურწმუნოდ გააქნია თავი და იმედგადაწურულივით იკითხა: — ვინ წაიყვანს აწი მაგას?

— შენ ნუ გეშინია, წაიყვანს!..

— ვინა, გოვ?! — მთელი დაინტერესება, გაგების ნდომა და სურვილი თვალებში ჩაუდგა მაროიას, — მითხარი ჩქარა, ნუ ამომაშპე სული, ვინაა მაგფერი?

— ვინა და გიორგი არაა აგერ?

— გიორგი?! — ტუჩები მოკუმა მაროიამ და მრავალმნიშვნელოვნად გაჩუმდა.

— რას გაჩუმებულხარ, ქალო? მიკვირს პირდაპირ, რავა, წუნობ, თუ? რავა აბა, თავადიშვილი მეიყვანს მაგ შენს ჩამოკონოკილ და გაბახებულ გოგოს, თუ რაა ვითომ?

გაჩუმდი ერთი! არ უნდა ახლა მაგას ბევრი ფიქრი, უყვარს შენი გოგო მაგას და მეიყვანს ნამდვილად. რას იტყვი შენ, გინდა?

მაროიას მალევე გადაეყარა გულზე დარდი და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვეულებრივად, მხიარულად აქაქანდა.

თებრონიამ უცქირა, უცქირა და მერე დაუფარავი საყვედურით უთხრა: — ეხ, ნეტავი შენი გული და ხასიათი მომცა, ქალო! გულთან არაფერი არ მიგაქვს ახლოს და ასეთი უდარდელი რომ ხარ!

— რა ვქნა აბა, გოვ? — გაიკვირვა მაროიამ — ყოლიფერზე თუ თავი მევიკალი, ყოლიფერზე თუ ვიდარდე და გევიხეთქე გული, რაფერ უნდა ვიცხოვრო ისე?

თებრონიამ უცქირა, უცქირა და მერე ტუჩებში გამოსცრა: — მართლაც, —ჩაფიქრდა და კარგახნის მერე, სახედანაღვლიანებულმა და დამწუხრებულმა, თითქოსდა აბეზარ ბუზებს იგერიებსო, მკვეთრად დააქნია თავი და გაიმეორა: — მართლაც, მაროია, მართლაც!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო ხაბეიშვილი

მოგონებები ოქროს ტბაზე

კოტეჯების ყრუ გარემოცვაში ტროტუარზე ყვითელი ვაშლები ეყარა. იქ იყვნენ მიუსაფარი და მოწყენილი ადამიანები, უსაზური სევდით და დილაობით მზეზე საუბრებით... მაზსენდებოდა შავი თუთები, მტკვრის პირას, წყალსაცავთან რომ იდგნენ დიდი ხნის წინათ. ჩვენ ვერ ვზედავდით როგორ ეზვეოდა ქალაქი მზურვალე ჰაერში საკუთარი უცხო სხეულით, მაზსენდებოდა: ორი კორშუნი 8ა ან 48 2ა ქალაქში, რომელსაც მერე რატომდაც ჩვენი ქალაქი დაერქვა. ისევ ოქროსფერ დიდ ქვებს ატარებდნენ, ეცვათ თაგვისფერი ძველი ჯინსები და ხშირად იმეორებდნენ ნაცნობ სიტყვებსა თუ ნაცნობ გრძნობებს. ქალაქში იმართებოდა გამოფენები და თეატრალური პრემიერები დიდ და შავ ყუთში, რომელსაც მარგო კოროხლიოვას პერფომანსის თეატრი ერქვა. აქ ბევრმა ვერაფერი გაიგო და მთვარეში არეკლილი საკუთარი ფანჯრის მინების მიღმა განაპირდა. ისინი უმწეო და მწუხარე ადამიანები იყვნენ და დამით ერთმანეთის ჩრდილების ეშინოდათ. მერე ძილშიც კი დიდხანს ვიხსენებდი პატარა ოთახს, სადაც კიბის ქვეშ ფანარი ეკიდა, ფანარზე წითელი გემები ეხატა... ოდნავ გამოდებული კარიდან ვხედავდი, რომ ტროტუარზე დაყრილ ყვითელ ვაშლებს ბავშვები უხმაუროდ აგროვებდნენ, მათ აგონდებოდათ უმართავი ნოხტალგიით შორეული, მაგრამ მშობლიური ზდვისპირეთი, ბავშვები სანატორიუმის ეზოში, მაღალი მთების გარემოცვაში იდგნენ, მერე მათი მრგვალი თვალები მშიერი და უფერო მწუხარებით გაიჟდინთა... არც მე ვიცოდი რატომ მოვედი აქ ამ ვაშლებთან, ბავშვების სევდახთან... იმ პატარა ოთახის შემდეგ, სადაც იყო ძილი, დიდი, თბილი და უსასრულო პატარა ფანარზე მიხატული გემების წიადში.

აქ მინის ყუთში ასვენია ყველა
სიცხადე, —
ღამისკენ სვლაში უფერული და ვერგათვლილი,
(და ეს ქალაქი საკუთარი უცხო სხეულით).
ფანჯრის მინებზე შერჩენილი ჭუჭყის
ლაქებით, ბრმებით,
ხედვით, მათხოვრებით, შუქნიშნებით
და წითელი მცენარეებით,
კვლავ დაგვიტოვებს სასოწარკვეთ და
უსასურ ერთფეროვნებას,
როგორც უამრავ პირობითობას
და ჰაერიც ისე ახლოა...
გეტყოდი მხოლოდ:
მეშინია ახლა სახლების,
სადაც კარები იკეტება დღისით და ღამით,
და ბავშვებივით ვტოვებ ჩვენს სიტყვებს, —
ფრენაგაყინულ ჰეპლებს ვტოვებ უხეშ
ქოვილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მინის ყუთში ასვენია ყველა სიცხადე —
ნიკარაგუაში,
ჩამქრალი ცეცხლის ზედაპირზე,
ტილოზე,
სადაც სიკვდილის ნაცვლად გადაფარე ერთი
სანთელი.
გეტყოდი მხოლოდ:
გავეპაროთ მოზეიმე პირობიობებს,
შემოვსაზღვროთ ერთი ადგილი,
ერთი სივრცე შემოვსაზღვროთ
თეთრი კენჭებით.
მერე ვისწავლოთ როგორ უნდა
ავიდგათ ფეხი.
და მწირ სივრცეში ფრინველების
გადაფრენას
შევავლოთ თვალი...
შევეხოთ ზღაპარი,
იქნებ მითიც,
იქნებ სიზმარი,
სადაც ყოველ კადრს გადაფარავს ნისლის
ფარდები.
(მექარავნეთა წინამძღოლი, ბრმა და ეული
დაკემსილ კალთებს შეაშველებს ზეცის
წყალობას)
მდინარეების შენაკადებს ვაწყოთ
სისხლი,
რომ წითელი გათენდეს დილა.
ეს პათეტიკა, სალონური ცივი ფრაზები,
ეს პიდგაკი,
ეს ლოკოკინა გამოსული თავის ბუდიდან,
ეს მასიური სამოსელი,
ეს პეპლები გაყინულნი უხეშ ქოვილზე,
ეს მაკეტები და წითელი მცენარეები
(მდინარეებში რომ ჩაიკარგა გარდასახვის
განწირულებით)

გეტყოდი მხოლოდ:
სივრცის ტრამალზე ჭუჭყის გროვიდან
თუ გაპურული საკვამურების გალანდული
რეალობიდან
ნახანძრალ სახლებს
შავ ჩინჩხებზე დაეკარგებათ ვარისკაცების
რუხი მზერა.
გაიხსენებენ ბავშვობის ზღაპარს,
დაბალ ხმაზე ისაუბრებ
და იტყვი ერთი შემთხვევითობის შესახებ,
მარტივად იტყვი:

ამბავი N 1 საჰაერო ბუშტები

ეს იყო ორი საჰაერო ბუშტი
რომელთაც სახელები აწუქეს
და სახეზე, მარჯვნივ და მარცხნივ
ორი თვალი მიახატეს...
ეს იყო ორი საჰაერო ბუშტი
ერთი ცისფერი და ერთიც ნაცრისფერი.
მათ დამოუკიდებლად ისწავლეს ფრენა
და მერე გვერდიგვერდ გაჩერდნენ
უკიდეგანო სივრცის ტრამალში.
სურათზე გაჩნდა ერთი მნათობი,
ეკლესიის თეირი ფასადი და ქალი უწვეულო
საკრავით.
ქალი ზურგშექცევით იჯდა,
მამაკაცი ხელებ მაღლიდან დაჰკურებდა.
ეს იყო ორი საჰაერო ბუშტი,
რომლებიც ხშირად იცვლიდნენ
მიმართულებას
და ქარის ხმა აკრთობდათ.
მათ არ იცოდნენ, რომ პლანეტაზე
დაუწერელი კანონები და ტაბუები
არსებობდა,
რამდენიმე ძაღლი და ორი ჭუჭა.
აქ ყველაფერი ორი იყო.
და ნახატი ჰგავდა თოვლის მეტამორფოზას
მხურვალ მიწაზე,
მას დაბრუნება ერქვა,
ან იმედი,
ან სასწაული.
მზე გაიბნა ორი სინათლის ზოლში.
მამაკაცმა არ იცოდა,
როგორ იმუშავებდა წითელ პეიზაჟებზე,
და იქნებ დროებით ან უკანასკნელად
ისინი გაჩერდნენ ერთ სივრცეში;
მათ საკუთარი სახელები ჰქონდათ,
ჰქონდათ სახლები,
წიგნების დამტვერილი თაროები
და ორი გამჭირვალე სხეული
ქალის და მამაკაცის.

. . .

ეს ამბავი ზღაპარსაც არ ჰგავს,
მინის ყუთში ასვენია ყველა სიცხადე,
ყველა ფრაგმენტი; ყველა ელეგია;
თვალის გუგებში დალექილი წარმოსახვები;
მკვდარი ჩიტები
და იანვრის სუსხის ნელი მუსიკა ჩიტებთან
ერთად.
ასე უსაგნოდ
გაუმხელელი სინანულით
ჩამოივლის ყაზარების სარკვლებს
ვარისკაცების რუხი მზერა.
სხვა ზამთარი დაიწყება ათი წლის შემდეგ
ათ დღეს და ათ შუადღეში
ვერცხლისწყალში ამოვლებული კოზებივით
იბრწყინვალებს მუქი ომი რეტროსპექტივა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალისმომჭრელი სიყალბიდან
თვალისმომჭრელ რეალობამდე.
და გინდა ცრემლი,
გინდა იყოს ეს ქალაქიც ცივი, პირქუში.
ამ კორპუსების გისოსებში ხომ
მხოლოდ ხელები ირეკლება და უმწეობა,
მხოლოდ ყინვა,
მხოლოდ ზამთარი...
და იტყვი ერთი მარადისობის შესახებ,
მარტივად იტყვი.

ამბავი N 2 ჩიტებზე მონადირე ქალი

დაველოდებით ღამეს, ან საღამოს, ან
გათენებას —
აქ დრო ექცევა ერთ ნაკადში,
აქ დროს თავისი კულტი და ფუნქცია აქვს:
გადაღებები, სახელოსნო,
ტელევიზიის გაცრეცილი სტუდიები ან
ჭარბი სხივი,
საელჩო და საელჩოში ორი პასპორტი:
შემოქმედებით მივლინებებზე
ყველგან ერთი და ერთი.
მხოლოდ ღამე,
ან საღამო,
ან შუადღე და გათენება...
როცა ყველა აუცილებელ გეზს ივიწყებ
და ყველა აუცილებელ ზღვარს ათანხმებ
ნაცნობ „პორტრეტთან“.
იქ კი ერთი სახეა —
ქალის სასტიკი მზერა, უცებ შემცბარი
და თავზე ჩიტების გალია,
ხელები თეთრად,
ან რძისფრად,
ან მოყვითალოდ
ესვენება სიცოცხლის მეკვლისს მწირ
ბაკუუმში.
იქ საუბარია დედას და შვილს შორის,
ადამიანებს შორის,
ჩიტებს შორის,
ჩიტსა და ქალს შორის,
მათ უკვე ველარ შეათანხმეს ერერთი
ფრაზა,
ისინი ერთმანეთში ხედავენ მტერსა და
სიკვდილს.
თითო კვერცხი სიცოცხლის გაგრძელებას
უდრის,
მაგრამ თითოეული მთავრდება სიკვდილით.
აქ ტყეა,
აქ ხეებია.
ხეებზე ჩიტის ბუდეები ერცელ სიმწვანეში;
ქარავანი აგრძელებს უდაბნოს,
ყვითელ ქვიშაში იმარხება აგვისტოს ხეატი...
არაფერი ბრუნდება უკან —
არც ბუნებრივი მოვლენები,
არც ადამიანური მწირი განცდა,
არც ზღვაზე ტალღა და გემბანზე
ბაცი ყვითელი.

. . .

ამბავი N 3 ყვითელი მუსიკოსი

იყო ქალაქი
და წვიმაში მოქანავე ყოფიერება.
იქ მახლობლად მიწა დუღდა.
ის ლურჯი იყო.
არა ზეგანი,
არა მთა და
არა მწვერვალი.
მიწა დუღდა
და მიწაზე მიწისავე ლურჯი ბუშტები.
იყო ფიალი — სამყაროს შექმნა,
ყველგან ნისლი, ყველგან ბურუსი,
მდინარესავით სწრაფმავალი ქუში, უსახო.
ის ხედავდა ყვითელ მუსიკოსს,
ყვითელ ქვებში დაკარგული რიტმის
შეგრძნებით.
ქალაქში იყო ბევრი ბავშვი
და ბევრი ქალი
და სუროთზე სახეების ნაცვლად მხოლოდ
ლაქები რჩებოდა
(თავს ზემოთ და ფეხებთან ახლოს
შემოსაზღვრული სამკუთხედით)
თეთრი ფრინველები ქმნიდნენ ცას,
ღრუბლებს, წვიმის ფარდებს
და ყვითელი მუსიკოსი იდგა უმწეოდ,
მისი მხრები მუქ სიბრტყეზე
დაეკარგა წერილმან პრაქტიკიზმს...
აქ, რომანტიკა — მოყვითალო,
გარეთ ყოფა — სახელმწიფო:
საბურავებიანი სახლები და სარწეველა
სავარძლები.
ისევ ფრაზები კონტექსტებით
და ხმამაღალი მოწოდებები:
სოლიდარობა ხელოვნებას!
მხარდაჭერა!
მარადისობა!
იქ, კი, ქალაქში მიწა დუღდა.
იქ იყო ერთი მუსიკოსი,
ფერით ყვითელი
და უწვეულო საკრავის სიმებზე
თითებს ასვენებდა.
ქალს ეშინოდა,
შიში იყო მისი სათქმელი.
ის იყო ლომი, ის კი — ვერძი;
დაივიწყეს ჰოროსკოპები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ასტროლოგებმა ყველაფერი წინასწარ
გათვალეს.
მამაკაცი იდგა ტყეში,
სამკლაურზე ყვითელი ზოლით
და ხედავდა ყვითელ მუსიკოსს,
როგორც ბგერას, ან როგორც
ფოთოლს.

იყო ნაცრისფერი პეიზაჟი,
იყო ჭრელი მოზაიკა განწყობილების.
აქ ყველაფერი იწყებოდა და მთავრდებოდა...
და დარჩა ფრაზა ამ ამბავიდან,
სამყაროს თეთრ კედელზე მკრთალად
მიწერილი:
„მარადისობაშიც სიკვდილია!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირინე იმერლიშვილი

ნოველები

შესვენება

ეს ქალი ძლიერმა კაცებმა დადალეს.

ძლიერმა, თამამმა, უბოდიშო და უმეცდიმო ბატონკაცებმა.

ხწორედ ისეთებმა, როგორებსაც მუდამ ელტვოდა, ჯერ კიდევ ბავშვობიდან რომ ნატრობდა, ისეთებმა.

ძლიერი კაცი – აი, რა იყო მისი იდეალი! ყოველმხრივ ძლიერი, ხიტყვაძუნწი, ჩუმად მოყვარული, ემოციებმოთო�eი... ასეთები იზიდავდნენ, ასეთებს ნატრობდა, ნატრობდა და პოულობდა, უფრო კი – ისინი თავად პოულობდნენ, თავიანთ ძლიერ ხელისგულებზე ატარებდნენ.

ჯერ კიდევ ბავშვობაში იცოდა, როგორი კაცებიც უნდა ეძებნა, როგორებისთვისაც უნდა ეცადა. არ უნდა აჭრქარდეო, ფიქრობდა, უნდა ველოდო, დიდხანს უნდა ველოდო და მოვლენო.

არც ალოდინეს, არც თავი აძებინეს, თავად მოვიდნენ, თავადვე ეახლნენ. ერთად არა, ცალ-ცალკე, რიგ-რიგობით მოდიოდნენ, ერთი მეორეს ცვლიდა, ერთი მეორეს ჩრდილავდა, თითქოს ადარც ილეოდა მათი რიგსვი, თითქოს რიგში იდგნენ და დრო რომ მოუწევდათ, შემოდიოდნენ მის ცხოვრებაში.

ერთი რომ თავის თავს ამოწურავდა, "შემდეგიო", უნდა ეთქვა, და ისიც უმალვე მასთან ჩნდებოდა, მოდიოდა ძლიერი, ლამაზი, ძველის დამჩრდილავი.

აი ისინიც, ის ძლიერი, იდეალური მამაკაცები, ქალის წარსულთ ვეებერთელა ბერმუხებად ჩამწკრივებულნი, ნანატრნი და აზდენილნი, თავის დროზე ამოწურულნი, თავის დროზე ჩამოცილებულნი, ახალი კაცისათვის ადგილის დამომზნი.

მოდიოდნენ და უყვარდათ ეს სუსტი და ბედნიერი ქალი, ცხოვრება რომ ტკბილ სიზმრებად ქცეოდა, ყველა ნატვრა რომ აზდენოდა.

მაგრამ უეცრად ქალი დაიდალა, მოულოდნელად და ერთიანად მოეშვა, მოდუნდა, ჩაქრა.

ეს ქალი ძლიერმა კაცებმა დადალეს, გაცხადებული ოცნების შვილებმა.

და ახლა ერთ თითქმის ცარიელ კაფეში იჯდა, გაივებულ ყავის ჭიქას დაჰყურებდა და... არ ტიროდა.

მერე კი იმას შეხვდა, იმ ჩია კაცუნას, მოპირდაპირე მაგიდასთან რომ მოკალათებულიყო.

ოცდაათზე მეტის იქნებოდა, უკან გადავარცხნილ ტალდოვან თმაში რამდენიმე ჭაღარა სასაციოოდ გამორეოდა, მსუქანი არ ეთქმოდა, მაგრამ დაბაბი კი ორასკილოიანი კაცისა ჰქონდა; ყავისფერი ბერანგი ეცვა, გაზუნებული. მის პატარა, სასაციოოდ ამოზურცულ ლიპთან, ფოლაქსა და ფოლაქს შორის, თეთრი ხორცის ელიფსი ილანდებოდა. მაგიდაზე მუყაოს საქადალდე, საქადალდეზე კი ორი გაზეთი იდო. კაცი არაკანს შეექცეოდა, დროგამოშვებით ჩაის წრუპავდა.

ქალი შეჰყურებდა ამ სასაციოო კაცუნას, შეჰყურებდა და შიფრავდა. თქმა არ უნდა, ეს კაცი იქვე, ახლოს მუშაობდა, რომელიმე ნახვრადბრეტიჟული დაწესებულების რიგითი თანამშრომელი იყო, ახლა ერთსაათიანი შესვენებით ესარგებლა და კი არ ჭამდა, მხოლოდ კალორიებს იღებდა. ალბათ ყოველდდე მოდიოდა ამ კაფეში, ალბათ ყოველდდე არაკანს იღებდა, ჩაის აყოლებდა... ალბათ ბედნიერი ეგონა თავი.

ქალი შეჰყურებდა. ქალი, რომელიც ძლიერმა კაცებმა დადალეს, ამას შეჰყურებდა, ამას, რომელმაც მხოლოდ ერთხელ ამოზედა, ფრთხილი სიამაყით შეათვალიერა და კვლავ ჭამა... – ბოდიშით! – კალორიების მიდება განაგრძო.

ქალმა იცოდა, ქალმა უკვე ყველაფერი იცოდა და ახლა დიდსულოვნად ელოდა, როდის დაიცლებოდა არაკანის ქილა მოპირდაპირე მაგიდაზე.

ამან კი, კაცუნამ, უკვე გაციებულ ჩაის რომ წრუპავდა, ჯერ არაფერიც არ იცოდა და ეგონა, რომ შესვენების შემდეგ ჩვეულად გამოცხადდებოდა ხამსახურში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლე ჩართვა

მორიდანვე მოვკარი თვალი, ლურჯი კაბა ეცვა, მარტო იდგა. ზუთი წლის თუ იქნებოდა, მეტის არა. მივუაზლოვდი. გავუდიმე. რადაცნაირად მიყურებდა. ვიცი, არიან ქუჩაში შემზვედრი ბავშვების მომფერებელ-გამომლაპარაკებელ-მომზიყვარულებელი ადამიანები; ისეთებიც არიან, კამფეტ-ნაყინ-სათამაშოებს რომ ჩუქნიან ბავშვებს. მე არასოდეს ვყოფილვარ ასეთი, და როცა ამ გოგონას გავუდიმე, თვითონვე გამიკვირდა.

რადაცნაირად ამომყურებდა.

უცნაური განცდა, რომელმაც მოულოდნელად მომიცვა, იმ ჩემს გადიმებას მივაწერე, რომელმაც ჩემთვის ჩვეულად ქცეული ნორმებიდან ამომაგდო, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ ეს უცნაური განცდა რადაც უფრო მეტს ნიშნავდა. არ ვიცი, რა ძალამ შემაჩერა ამ პატარა გოგონას პირისპირ,მაგრამ პირველი გადიმებიდან სულ რამდენიმე წამის შემდეგ მე უკვე მის წინ ვიდექი. ამომყურებდა. ისევ დამეუფლა ის განცდა, რომელსაც ადრე მხოლოდ ჩემად ვთვლიდი, მხოლოდ საკუთარ ხასიათს მივაწერდი და, მოგვიანებით, სხვებისგანაც შევიტყვე, რომ ასეთ რამეებს თურმე ისინიც განიცდიან. იმ უცნაურ განცდას ვგულისხმობ, როცა რადაც სიტუაცია თავს გაზსენებს; როცა იგრძნობ, რომ ის, რაც ახლა ხდება, ერთხელ უკვე მომხდარა, მაგრამ ვერ იხსენებ, როდის. თავიდან ეს მხოლოდ ჩემი გრძნობადხსოვნის თვისება მეგონა, მეორე კი გავიგე: არ არსებობს ადამიანი, ეს არ გაეცადოს.

ახლაც ეს განცდა დამეუფლა. დავყურებდი ამ პატარა, ლურჯკაბიან გოგონას და ვგრძნობდი, რომ ეს ყოველივე ერთხელ უკვე მოხდა. ისე ნუ იფიქრებთ, თითქოს გოგონა მეცნო, არა, პირიქით, თუ რაიმეს იმ წუთში ვერ აღვიქვამდი, ეს, პირველ რიგში, ამ ბავშვის ხაზე იყო. მე განწყობილება მეცნო, მეცნო ეს მწვანე ბადი, გოგონას ლურჯი კაბა, მეცნო სუნი და – რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს – ყველაფერზე მეტად საკუთარი თავი მეცნო. დიაზ, საკუთარი თავი, რომელსაც თითქოს გარედან ვხედავდი, – ვთქვათ, იმ სკამიდან, ან შადრევნის მოაჯირიდან ან, თუნდაც, ამ ზის კენწეროდან და ან – რაც ყველაზე უჩვეულო და, ამავე დროს, ყველაზე უტყუარად მეჩვენება – ამ პატარა, ზუთიოდე წლის ლურჯკაბიანი გოგონას თვალებიდან.

რადაცნაირად ამომყურებდა.

განცდა, რომელიც პირველად დამეუფლა და რომელიც არსებულის ერთხელ უკვე მომხდარობაში მდგომარეობს, – მხოლოდ ჩემს თვისებად რომ ვთვლიდი და სხვებისაც რომ გამოდგა, – ნელ-ნელა მინელდა და ბოლოს, საერთოდ გაქრა.

ასეთი განცდების ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ თავს გაზსენებს ის, რისი გაზსენებაც შეუძლებელია, მე კი ვიგრძენი, რომ სიტუაცია, რომელიც ასე ჯიუტად მაზსენებდა თავს, გაზსენებადი იყო. ვიგრძენი, ჩემი გონება უკვე ამართლებდა რადაც სურათებს – მორიდან, ჩემი ბავშვობიდან.

ლურჯკაბიანი გოგონა კი ისევ ამომყურებდა, ოღონდ უკვე ჩვეულებრივად, "რადაცნაირად" აღარ.

ზომ ზდება ზოგჯერ: რადაცის გაზსენება გსურს და იმასაც ვვდები, რომ ვერ შეძლებ ან, თუ შეძლებ, ძალიან დიდი დატვირთვისა და ფიქრის ფასად, და უეცრად, სრულიად მოულოდნელად, გონება გინათდება, გეწმინდება, ცხადად ადსდგება შენს მეზსიერებაში ის სურათი, რომლის გაზსენების იმედიც თითქმის არ გქონდა. ასეთ დროს გიჭირს ირწმუნო, რომ მეზსიერებამ ყოველგვარი ბრძოლისა და დატვირთვის გარეშე დაგითმო სურათი, – ძველი, დაზავსებული, მრავალაწმყოგადავლილი.

ასე დამემართა. ჩემს გონებაში დაუჯერებელი კონკრეტულობით გაცხადდა ერთი ძველი და დავიწყებული დდე.

გამაზსენდა:

მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, ალბათ ოთხი წლის ან ზუთის, მეტის არა. "აქ დამელოდეო", იმან მითხრა, "არსად წაზვიდე, მალე მოვალო", და წ[illegible]იდა.ასე დავრჩი ერთ მწვანე და ზალზმრავალ ბალში. ვიდექი. მოშორებით, მადრევანთან ბავშვები თამამობდნენ. მეც მინდოდა თამაში, მაგრამ არ შემეძლო, – "აქ დამელოდეო", მითხრა. ისინი კი თამამობდნენ. მე, სამაგიეროდ, იმ ბავშვებზე ლამაზი კაბა მეცვა, ახალი, ლურჯი კაბა. ვიდექი. მერე დავინახე ქალი, რომელიც ჩემსკენ მოდიოდა. მივაჩერდი. ქალს ნაცრისფერი კაბა ეცვა, შავხაყელოიანი ნაცრისფერი კაბა. მომიახლოვდა და გამიღიმა. მერე ჩემს წინ გაჩერდა. მე ავყურებდი. ქალმა მადრევნისაკენ გაიხედა, კარგა ხანს იყო ასე, მერე კი ისევ დამაჩერდა, ადარ იდიმებოდა.

უცნაურია, ეს დდე არასოდეს მომგონებია, დდეს კი, აი, გამახსენდა, თან ასე ცხადად.

მადრევანს მზერა მოვწყვიტე და ისევ ლურჯკაბიან გოგონას დავხედე, ცოტა ხანს ვუყურებდი, მერე წავედი.

რადაც ძალიან უცნაურს ვგრძნობდი, ანგარიშმიუცემლად მივაბიჯებდი. რამდენიმე წუთის განმავლობაში ვერაფერზე ვერ ვფიქრობდი, უბრალოდ მივდიოდი. მერე ნელ-ნელა გონს მოვეგე და პირველივე, რაც ვიგრძენი, იყო ის, რომ სამინლად მეზელოდა. შევჩერდი, მარცხენა ზელით ორი დილი შევიხსენი, კაბის საყელო გადავწიე, თავი დავზარე და საკუთარ მკერდს სული შევუბერე. ცოტა ხანს ასე ვიდექი, თავდაბრილი, – ჩემი ნაცრისფერი კაბის შავ საყელოს დავყურებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ზოიძე

აჭარა

ბედი ყოველთვის გქონდა სხვაგვარი
და მუდამ იყო შენი მდევარი...
ოთოლთასავით ქედზე შემდგარი
ხან ფარი იყავ, ხან სატევარი.

გვერდში იმედად გედგა გონიო
და სხალთა რწმენის უბრელი დროშა,
საუკუნეთა მიღმა, მგონია,
კვლავ ედავები ავბედით დრო-ჟამს.

მერე რა იქნა, ანდა რა მოხდა,
თუ ზოგჯერ იყავ ცეცხლში ჩანთქმული,
მას შემდეგ დიდი ხანი გამოხდა
და დგახარ ისევ მკლავშემართული.

ბევრი რამ უკვე მორჩა, გათავდა
ვით სამასი წლის ღამის თევანი,
უნდა ჩაწურო ახლა თავადა,
ტყეს გახიზნული ვაზის მტევანი.

ოჰ, ხვედრი რადგან ახლაც მკაცრია,
ყველა სიზმარი ველარ. ახსენი,
ზოგს ვითომ შენი დარდი აცვია
ტანზე და მხოლოდ სიტყვით გიხსენებს.

ყველა მოკეთე ხომ არ იქნება,
ბევრი კვლავ შანთით სხეულს დაგიწვავს,
ზოგი ლანდივით გაგიქრება და
ზოგი კი დაფნის გვირგვინს დაგიწნავს.

ჩემო აჭარავ! კვლავ ხარ ლელოსი
გამტანი, ძნელი გზებით მავალი,
მარადი დღე ხარ საქართველოსი,
შენი წარსულით და მომავალით.

მე ვიქნები ლენონი, შენ კი ედიტ პიაფი

საითკენ მიიჩქარი,
გაფრენილი უბელოდ,
რას გერჩის ეს მთის ქარი,
მშობლიურო ღრუბელო.
ზე ასულო ქედებზე,
ყელი თუ მოიღერო...
ჩვენს საყვარელ ედემზე
მოდი, ერთად ვიმღეროთ.
გავაღვიძოთ მდელონი,
სიყვარულით იაფით,
მე ვიქნები ლენონი,
შენ კი ედიტ პიაფი.

1992

***

ჩემს სავალ გზაზე დამდგარხარ, პერანგას ნისლის სწორო,
ხასიათში რომ არ მგავხარ, შენ რა ბრალი გაქვს, ცოლო.
შენი ალალი გულისხმა ხარის ხმასავით მესმის,
სულ არ მჭირდება შენი თქმა, ოჯახს რას ვმატებ ლექსით.

თავი არ გავიყადრე და ცას შევრჩი როგორც წერო,
ლექსისთვით დავიბადე და ლექსები უნდა ვწერო.
ეს საყვედური არ არის და არც ამოთქმა ბოლო,
ლექსი რომ მაინც სხვა არის, შენც კარგად იცი, ცოლო!

ბავშვები

ვერ გარკვეულნი ჯერ ერთმანეთში,
თავიდან მზაკვრულ აზრებს იქრობენ
და წუთისოფლის წკვარამ ღამეში
ვარსკვლავებიან ცაზე ფიქრობენ.

აგებენ, ისეთ ტაძრებს აგებენ,
გამოღვიძების ჟამს რომ ინატრებ,
ამ ქვეყნად მოსვლის მიზეზს არკვევენ
ვერ მიწვდომილნი რაღაც სიმაღლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არსებულის რამე სურვილით
ცისა და მიწას შორის რჩებიან,
უცოდინარნი შუღლის სრულებით
ერთიმეორეს ეურჩებიან.

ყოველდღიური ფერისცვალებით,
არ ავიწყდებათ რაც იყვნენ წინათ
და სხივიანი მათი თვალები
ვარსკვლავებიან ცასავით ბრწყინავს.

ხმა იდუმალი სხალთის ტაძართან

ასწლეულებმა დამიმძიმეს მხრები ლოდივით,
ასაკი მთანგავს, ჯეელივით ნორჩი როდი ვარ,
მკერდშებოლილი შევაბერდი ამ მთებს ლოდინით,
სხვას რომ გონია, იმნაირი ახლა როდი ვარ.

მაშინ როდესაც დამიბზარეს ფრესკა ღალატით
და მედებოდნენ უცხოური ტანზე ხანძრები,
უფრო ავმაღლდი, ტანჯვით კი არ დავპატარავდი,
მადლი წყალობდა საქართველოს დიდი ტაძრების.

ასე გადვურჩი ავბედითი დროის გრიგალებს
და ავღორძინდი გახიზნული ვაზის ფესვებით,
ცაო, მშობელო, ტკივილიან მკერდით გიგალობ,
შენი ვარ, შენი და ვერაფრით ვერ დაგეხსნები.

სიცოცხლე ყვავის, იარები ძველი მირჩება
და ცუდ ამინდებს გაზაფხულის ცვლიან დარები,
უფლის წყალობით ეს სოფლები გადამირჩება,
აღარ დარეკენ გლოვის ხმაზე ჩემი ზარები.

შენახული მაქვს შეუბღალი რწმენა-ღირსება
იქ, სადაც დიდი წინაპრების ხმები ისმოდა,
სიცოცხლე ჩემი საკვირველი ძალით ივსება,
გვირგვინად მადგას ნათელი და მარადისობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ჭყონია

28 აგვისტო

მთა სამეჯლისოდ მორთულია მწვანე სუროთი,
მარიამობის უშფოთველი, თბილი ღამეა,
ყელზე ჰკიდია გატრუნული ჩვენი კურორტი —
პირდაწინწკლული მარმარილოს თეთრი კამეა,
რაზეც იმედით დაუტეხიათ ადამის ძეთა,
ნაგვემ სიზმრებით მიახლეპულთ კართან ბუნების
დრო-ჟამისაგან დალექილი მეტად და მეტად
უსაზღვრო სევდა სათავეთან კვლავ დაბრუნების.
ნეტარო ფდეავ, ამ ღამეში კრთის შენი შუქი
და წილხვედრნი ვართ რაკი მისი საკვთი ნებისა,
გეწამს, გენიჭება ბედნი წყაროს დაბეჭდული, თუკი
კვლავ დგეიფარავს კალთა შენი სათნოებისა.

მოთქმა

გესლის ნთხევით წყლულდასხმული ენის ხაო,
შურის ცეცხლში ჩახანძრული ბაია...
ვაი ისევ! დაჩოქილო ჩემო ძმაო,
ვო-და! ჩემო ჩაწიხლულო დაია.
საჩრდილ — ცოდვა სამიწე და თვალსაბრმაო,
ტანზე — ტანჯვის ფარჩა და დარაია,
ვაი ისევ! დაჩოქილო ჩემო ძმაო,
ვო-და! ჩემო ჩაწიხლულო დაია.
ჩვენსაც სისხლით სავსე ყელში საშობად
ჩაჩეხილი „ტაია-ვატატაია“...
ვაი ისევ! დაჩოქილო ჩემო ძმაო,
ვო-და ჩემო ჩაწიხლულო დაია.
ღამის როკვა ურჩხულებთან სამეძაო,
ჯილდოდ — ჯალი, ცეცხლის ქალაღაია,
ვაი ისევ! დაჩოქილო ჩემო ძმაო,
ვო-და! ჩემო ჩაწიხლულო დაია.
და კვლავ მოდიხს რკინის ყბებში სამეიოდ
ზღვათა ლურჯი ქერუბიმი-აია...
ვაი ისევ! დაჩოქილო ჩემო ძმაო,
ვო-და! ჩემო ჩაწიხლულო დაია.

თებერვალი

როგორ იცვლება წამ-წამ მზე,
რა უცხო ცეცხლივით ბრწყინავს,
სხვა ცა მეკიდა წამწამზე
შარშან და შარშანწინაც.
ყოველი ტოტის სიშიშვლეს
ჩემს მცივან ტანზე ვხედავ,
ვტივტივებ მთვრალი შიშის ქვეშ,
სიფხიზლეს ჟამ-ჟამ ვბედავ...
და იქნებ შიში არც ჰქვია,
ის იდუმალი მელტვის,
რაც სიტყვამ ვერ გაარკვია,
მასთან შეხება მეტყვის.
ლარნაკის ყელში ვეტყვი,
რიურაუის ჩქაფზე ვკრთები,
ვვემამ მიმტერია კეტებით
ცით ნაბოძები ფრთები.
ათას ჯვარაზე ნართავი
ნაფლეთ-ნაფლეთი ხსოვნა,
მარადი და უმართავი
თავდახსნის მისი თხოვნა
მწუხრისას დოლთან ხმანაზავს
ამიყორიალებს ზარებს,
სიზმრებში მაგრად ჩარაზავს
ყველა გასაქცევ კარებს...
და მაინც თებერვალია
და გარდასახვის სევდა,
ესეც ვიღაცის ვალია,
საკვირტე ცრემლს რომ ვხედავ.
ეს ამოდენა ფიფქები
მაინც რა ციდან მოდის,
ფიფქებია თუ ფიქრები:
როდის, როდის, როდის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგა ფალიანი

ნოველები

მოლოდინი

მთელი დღე ქალაქში იტრიალა ლევანმა, იმ პაპანაქებაში ოთხივე სახელოსნო თავიდან დაათვალიერა, მაგრამ საბოლოო პასუხი ვერცერთის პატრონს ვერ უთხრა. ოთხივე სახელოსნო მოსწონდა, აქედან ორი, მართალია, ცენტრიდან ძალზე შორს მდებარეობდა, სამაგიეროდ, გაცილებით იაფს აფასებდნენ,ვიდრე შუქმონავანის და ცის კამარის ქუჩებზე მდებარე სახელოსნოებს. არც ეს ორი იყო ისეთი ძვირი, რომ ვერ გასწვდომოდა, მაგრამ მაინც ყოყმანობდა და გადაწყვეტილების მიღება უჭირდა. ეზოში რომ შემოუხვია და მანქანა გააჩერა, ცენტრიდან დაშორებული სახელოსნოები უკვე სათვალავიდან ამოგდებული ჰქონდა. ჰაერით დაჩრდილული გრძელ მაგიდას მეზობლის კაცები უსხდნენ, დომინოს თამაშობდნენ და ნათელი ჭიქები ლუდს წრუპავდნენ. მაგიდის ბოლოში განახევრებული სამლიტრიანი ქილა იდგა. ლევანი შორიდან მიესალმა მეზობლებს და სწრაფად შევიდა სადარბაზოში, რომ ვინიცობაა ვინმეს მისი მიპატიჟება არ მოენდომებინა. მესამე სართულზე ავიდა და კარი თავისი გასაღებით გააღო, რადგან მშობლები დასასვენებლად იყვნენ ზღვაზე. წაივაბშმა. ერთი პირობა გაიფიქრა, დათოს დავურეკავ, მის აზრს გავიგებო და ტელეფონისაკენ წავიდა, მაგრამ უცებ საშინელი მოთენთილობა იგრძნო, ხელი ჩაიქნია და თავის ოთახში შევიდა. აივნის კარი გამოაღო, ლოგინი გაშალა, გაიხადა და დაწვა. ახლა სასთუმალთან მდგარი ტელეფონისაკენ გაექცა ხელი, მაგრამ დაღლილობამ სძლია და თავი ბალიშზე მიდო. ერთხანს თვლემდა, მერე ერთბაშად გამოფხიზლდა, ღამის ნათურა აანთო, მაჯის საათი აიღო და დახედა. თერთმეტი სრულდებოდა. ნახევარი საათიც არ სძინებოდა, მაგრამ უჩვეულოდ დასვენებული და გამოცოცხლებული იყო. შუქმონავანის თუ ცის კამარის! ორივე სახელოსნოში შეიხედა, შევიდა, გაიარ-გამოიარა, მერე ორივედან გამოვიდა და ახლა გარედან შეათვალიერა. ერთს შუქმონავანის ქუჩაზე თექვსმეტსართულიანი სახლის მესამე სართული ეკავა, მეორეს-ცის კამარის ქუჩაზე თექვსმეტსართულიანის ბოლო, მეთექვსმეტე სართული. ორივე ვრცელი, ნათელი და თავისებურად მყუდრო იყო, ფასიც ერთი ჰქონდათ და ამდენს ამიტომაც ორჭოფობდა. ახლა მანქანით დაუყვა შუქმონავანის ქუჩას, სამსართულიანი სახლის წინ გააჩერა, მესამეზე ავიდა, კარი გააღო და ზღურბლიდან გახედა ცარიელ სივრცეს, შევიდა დარბაზში, გაიარ-გამოიარა, თავისი სურათებით შეავსო კედლები, დადგა სამუშაო მაგიდა,დაალაგა საღებავები, ფანქრები, გადაჭიმულ ტილოზე ერთი თვალის მოსმით შექმნა მქრქალი რუხი ფონი, იქიდან ნელ-ნელა, როგორც წყლიდან, ისე ამოტივტივდა რუხკაბიანი სიფრიფანა, ლამის უხორკო, უსახო ქალი გულზე მიხუტებული ბავშვის კონტურებით, მაგრამ მაშინვე ჩაიძირა სირუხეში და ცარიელი დატოვა ტილო. ცის კამარის ქუჩას აუყვა, მანქანა თექვსმეტსართულიანი სახლის წინ გააჩერა, ლიფტით ავიდა მეთექვსმეტეზე, კარი გააღო და ზღურბლიდან გახედა ცარიელ სივრცეს, ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო და წამით თვალი გაუშტერა ლაჟვარდს, მერე გაიარ-გამოიარა დარბაზში, თავისი სურათებით შეავსო კედლები, დადგა სამუშაო მაგიდა, დაალაგა საღებავე-

ბი, ფანქრები, ერთი თვალის მოსმით შექმნა მჭრეალი რუხი ფონი...

თვალი რომ გაახილა, ოთახი მზით იყო სავსე, საათს დახედა: ცხრა სრულდებოდა. ხელი ტელეფონისაკენ წაიღო, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, ჯერ ადრეაო. ცის კამარის თუ შუქმონავანის! წამოდგა. გონება ისევ ცარიელ სახელოსნოებში ტრიალებდა, ხოლო სხეული დამოკიდებლად ატარებდა დილის ჩვეულ რიტუალს — იბანდა ხელებს, იხეხავდა კბილებს, იპარსავდა პირს, ადუღებდა ჩაის და საუზმობდა. როცა დაბანილ-გაპარსულ-ნასაუზმევი ლევანი თავის ოთახში შებრუნდა და გამთლიანდა, ერთგვაროვნად გაკვირვებული დარჩა — მხოლოდ შედეგს შეიგრძნობდა, თორემ ბანვა-პარსვა-საუზმობის პროცესი არმომხდარივით აღიქმებოდა. აივანზე გავიდა და სიგარეტს მოუკიდა. შუქმონავანის თუ ცის კამარის! შუქმონავანი-მთოვარე, მანგი, მთვარის ციალი...გამოჩნდა მთვარე ნათითა გარე შუქ მონავანითა. ცის კამარის თუ შუქმონავანის!... ცისა კამარა, ლაჟვარდი სივრცე, ნავარდი, ფრთები... „ცის კამარის!“ —გადაჭრით წარმოსთქვა, უფრო იმიტომ, რომ ბოლო მოეღო გულისგამაწვრილებელი, გაუთავებელი ყოყმანისათვის. ოთახში შევიდა, სიგარეტი საფერფლეში დასრისა და საწერი მაგიდის უჯრა გამოსწია. ფული გადათვალა, კარი გამოიკეტა და ეზოში ჩავიდა.

გადაბარგებაში დათომ და კოტემ უშველეს. ორ დღეში სახელოსნო სახელოსნოს დაამსგავსეს და სახელდახელოდ ახალმოსახლეობაც აღნიშნეს ვიწრო წრეში, რადგან მეგობრების უმრავლესობა ქალაქიდან გაკრეფილი იყო. იმ ღამეს, შინ რომ დაბრუნდა, კიბეზევე შემოესმა ტელეფონის წკრიალი. სწრაფად გააღო კარი და იქვე, დერეფანში მდგარი ტელეფონის ყურმილს დასწვდა. მამა რეკავდა. ლევანმა მშობლები მოიკითხა და სახელოსნოს ყიდვის ამბავი უთხრა. მერე მისაღებ ოთახში შევიდა, ანგარიშმიუცემლად ტელევიზორი ჩართო და რიგრიგობით მიაჭირა თითი ყველა ღილაკს, მაგრამ ეკრანზე სულ უცხო, გულმოსავალი ადამიანები მოძრაობდნენ, ამოუხსნელი, მიუწვდომელი ხმები და ჰანგები ესმოდა — ტელევიზორი სუსხს აფრქვევდა და აზრობდა. მოუნდა ვინმე მახლობელი, თავისიანი, მასზე მზრუნავი, ისეთი, ვინც უსიტყვოდ გაუგებდა, სულში ჩაეღვრებოდა. ტელევიზორი გამორთო და სავარძელში ჩაჯდა. გადაჭიმულ ტილოზე ერთი თვალის მოსმით შექმნა მჭრეალი რუხი ფონი, შუაში თეთრად გამოიკვეთა ქალის სილუეტი მკერდზე მიხუტებული ბავშვით, გონება ტკივილამდე დაიძაბა, მაგრამ მაინც ვერ შეასხა ხორცი, ვერ შეაფრქვია ფერი. ლოდინად ქცეული კონტურები ჯიუტად შემოსცქეროდნენ, ებუტებოდნენ და მაინც არ ეშვებოდნენ. იტანჯებოდა ლევანი, მაგრამ ეს ის ტანჯვა იყო, რომელსაც უცნაური ტკბობა მოაქვს, როცა დანამდვილებით იცი, რომ ეს გვემა თანდათანობით ათავისუფლებს, გზას აძლევს შენში ჩახვეულ განცდას და როცა ზვირთებად მოგაწყდება და ამოხეთქავს, ნეტარებით დამთვრალი უტყუარი ალღოთი იგრძნობ ნაკვეთების პროპორციებს და ნანდომი ფერების ცისარტყელას.

დილით დაწმენდილ გონებაზე გაიღვიძა. მაგრამ გული და წუხანდელი კონტურები დაუოკებლად ეწეოდნენ სახელოსნოსაკენ. ხალისიანად ისაუზმა, ეზოში ჩავიდა, მანქანა დაქოქა და ცის კამარის ქუჩისაკენ გაემართა. ათიოდე წუთში იქ იყო. მანქანა გააჩერა, სიგნალიზაცია ჩართო და გადმოვიდა. მანქანას რომ კეტავდა, უნებლიედ სადარბაზოსაკენ გაიხედა და კარში შეფრიალებულ თეთრ კაბას მოჰკრა თვალი. მზე გამეტებით აჭერდა და ჰაერი ბრჭყვიალებდა. დინჯად გაემართა და სადარბაზოში შევიდა. კარი რომ მიიხურა, დღის შუქიდან მრუმე სადარბაზოში შესულს უცებ თვალთ დაუბნელდა და ცოტათი შეყოვნდა. ლიფტი რახრახით ეშვებოდა დაბლა და ვიდრე იქამდე მივიდოდა, ავტომატურმა კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაც გაიღრჭიალა. თვალში უცებ აღუდგა შუქი, ლიფტისაკენ გაუხვია და მის კარში შეფრიალებული თეთრი კაბის კალთა გაარჩია. თვითონაც შევიდა და ანაზდად ნაცნობი ლურჯი თვალები შეეჩეხა. ერთხანს უხმოდ, მონუსხულებივით უყურებდნენ ერთმანეთს, მერე ლევანს თავსი ხმა მოესმა:

— გოგო გეყოლათ თუ ბიჭი?

— გოგო, — ოდნავაც არ შემკრთალა, მშვიდად და სავსებით ბუნებრივად უპასუხა.

— აქ ცხოვრობთ?

— ერთი თვეა, რაც გადმოვედი.

—მე კი ერთი კვირა იქნება, ზემოთ სახელოსნო ვიყიდე.

— მხატვარი ყოფილხართ და იმიტომ მიცანით.

— ჰო, მხატვარი ვარ, მაგრამ თქვენ, თქვენ როგორ მიცანით? რამდენი ხანი გავიდა?

— შვიდი წელი, ჩემი გოგონა შვიდი წლისაა.

— სულ არ შეცვლილხართ.

გაიღიმა და მეათე სართულის ღილაკს მიაჭირა თითი.

— სასწაულია, რა არ ხდება, —ჩაილაპარაკა ლევანმა.

— ჰო, კინოში რომ მენეხა ან წიგნში წამეკითხა, ავტორს უნიჭობას დავწამებდი.

ჩუმად იყვნენ. ლიფტი ნელა, რახრახით მიიწევდა მაღლა.

მრგვალად ამოჭრილ, წელსზემოთ მომდგარ კაბაში ლევანმა იცნო მაღალი კისერი, ნატიფი ლავიწები და სავსე მკერდი.

— თქვენი გოგონა თქვენსავით ლამაზია?

— მე არ მგავს, მაგრამ ძალიან ლამაზია, — აუღელვებლად, დაჯერებულად მიუგო.

ლიფტი მეათე სართულზე გაჩერდა, ქალმა ნახვამდისო, თქვა და გავიდა. ლევანმა თვალი ჩააყოლა ვიწრო წელს, მკვრივ, ჯიშიან წვივებს. მან მარჯვნივ გაუხვია. ლევანს გასაღების ჩხარუნი მოესმა და ლიფტის კარიც დაიხურა.

ლევანი სახელოსნოში შევიდა და ტახტზე ჩამოჯდა. ერთხანს გარინდებული იჯდა და აბურძგნულ გონებას ეფოფინებოდა, ალაგებდა. მერე წამოდგა, მაგიდასთან მივიდა და საღებავებს დააკვირდა. ჩემი გოგონა შვიდი წლისაა, შვიდი წელი გასულა, მთელი შვიდი წელი! მერე მოხდა რაიმე ამ შვიდი წლის წინათ? — შემოეედავა გამოფხიზლებული გონება. არაფერი, სულ არაფერი. იმ დღეს ბოლო გამოცდა ჩააბარა ლევანმა. ზაფხულის ცხელი დღე იდგა, ავტობუსის ბოლოში, სკამზე იჯდა თავჩაქინდრული, ფიქრებში წასული. ავტობუსი ოპერის წინ გაჩერდა. როცა კარი დაიხურა და ავტობუსი დაიძრა, ლევანი ფიქრებიდან გამოერკვა — მუხლზე ცისფერი და ვარდისფერი ყვავილებით დაჩითული კაბის ბოლო დაჰფენოდა. თვალი ნელა ააყოლა მაღლა და გამობურცულ მუცელს წააწყდა. გაშრა. უცებ გაიმართა წელში და ლურჯ თვალებს შეხვდა, რომლებიც მიმჭრალი მზერით იცქირებოდნენ. მერე უკან გადავარცხნილი წაბლისფერი თმა, სწორი ცხვირი, სველი უბეებიც დაინახა და ფეხზე წაოიჭრა. „დაბრძანდით!“ ქალიშვილმა შეხედა, სევდიანად გაიღიმეს გაბუტულმა ტუჩებმა, გმადლობთო, თქვა და დაჯდა. ნამტირალევს ჰგავდა. ავტობუსში ხალხმა თანდათან იკლო, ლევანმა უკან დაიხია და ფანჯარას მიეყრდნო. რამდენჯერმე ქურდული მზერა გაექცა მისკენ. ქალმა თვალი შეასწრო და ლევანს საშინლად შერცხვა, რომ ორსულს ათვალიერებდა, მაგრამ მან ისე გულიანად გაუღიმა, რომ ლევანს ერთბაშად გულზე მოეშვა და თავადაც გაეღიმა. ლევანი თავის სახლთან არ ჩავიდა, უფრო სწორედ, ვერ ჩავიდა და კიდევ რამდენჯერმე გაექცა მისკენ თვალი. ქალი ამის გამო უხერხულობას სულაც არ გრძნობდა და ლევანი მიხვდა, იმიტომ არ ეჩოთირებოდა უცხო ვაჟის მზერა, რომ მართალი იყო, ეამაყებოდა დედობისათვის მომზადებული, დამძიმებული სხეულის ტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება და კიდევ იმიტომ, რომ ლევანის თვალებში მისი მდგომარეობით გამოწვეულ ალალ აღტაცებას და მოწიწებას ხედავდა. სუფთები და მართლები იყვნენ ორივენი იმ წუთებში და ორივემ იცოდა ეს. ამასობაში ქალის უპეები შეეშრა და სახიდან ნაღველი გაუქრა. როცა ჩასასვლელად მოემზადა, კიდევ ერთხელ, ახლობლებივით გაუღიმეს ერთმანეთს და ის ჩავიდა. სამი დღის შემდეგ კიდევ ნახა ქუჩაში, შორიდანვე შენიშნა ყვავილებით დაჩითული განიერი კაბა. ამჯერად გვერდით ლევანივით მაღალი, მხარბეჭიანი, ლამაზი ბიჭი მოსდევდა, აშკარად ქმარი იყო. ლევანი რომ დაინახა, გაუღიმა. ამის მეტად აღარ შეხვედრია. არადა, ლევანს ხშირად ახსენდებოდა, ხან ორსული ქალის დანახვისას, ხან ისე, უმიზეზოდ. ერთი პირობა მისი დახატვაც გადაწყვიტა, მაგრამ არ ცდილა, რაღაც არ უშვებდა, თითქოს ორსულს დახატვას ვერ უბედავდა, რაღაც უჩინარი წინააღმდეგობის გადალახვას ვერ ახერხებდა და არც უნდოდა, რომ გადაელახა. როცა მის დახატვაზე ფიქრობდა, ის სირცილის გრძნობა დაეუფლებოდა ხოლმე, მაშინ რომ იგრძნო, როცა ქალმა თვალი შეასწრო — რომ უთვალთვალებდა და იმისი გაღიმება სჭირდებოდა, რომ სირცხვილს გამკლავებოდა. მერე ისიც იფიქრა მუცლის გარეშე დავხატავო, მაგრამ თვითონვე შეძრწუნდა, შეებრალა პატარაც და დედაც, თითქოს სურათში მუცლის მოშორებით საშოსაგან ნაყოფს მოაშორებდა. ბავშვიანი ქალის დახატვაც დაეპირა, და ამასაც ვერ მოაბა თავი. ძე თუ ასული, ძე თუ ასული, — უცნაურად აეკვიატებოდა ხოლმე და წარმოსახვაშივე უძლურდებოდა ხაზი და ხუნდებოდა ფერი.

ლევანმა საღებავით გასვრილი ხელი ჩვარზე შეიწმინდა, ფუნჯი აიღო და ტილოსთან გაჩერდა. ცოტა ხანს დაჭიმული იდგა, მერე შვება იგრძნო მარჯვენამ, ამოძრავდა, გალაღდა და ღრუბლებით დაიტვირთა ტილო, მტრედისფერი, პირისფერი, ლაინისფერი გადმოსკდა, ბოლქვებად აფეთქდა აზეიმდა. თეთრი ქალი გამოვიდა ღრუბლებიდან, ნიავმა აუფრიალა თეთრი კაბის კალთები და შუაზე გაყოფილი აბრეშუმივით თმის ბოლოები: ლურჯი თვალები, გაფრენილი წარბები, გაბუტული ტუჩები დაასხდა მწყაზარ სახეზე, ოქროსფერკულულებიანი გოგონა მიიხუტა სავსე მკერდზე და ამაყი მზერა მიაპყრო სივრცეს. უკან დაიხია ლევანმა. პირი გაშრობოდა და თავი უბრუოდა. ტახტთან მივიდა და მოწყვეტით გულაღმა დაწვა. თვალები დახუჭა. აუტანლად მოუნდა ქალის გრილი, მოალერსე ხელების შეხება, საფეთქლებზე ნაზი, ალერსიანი თითების შეგრძნება. თითქოს ამ განწყობილებებიდან თავის დაღწევა უნდოდა, წამოიწია და თვალი გააბილა თუ არა, ქალის ამაყ მზერას წააწყდა. წამოდგა, ფანჯარა გამოაღო და თავი ღამის აგრილებულ ჰაერს შეუშვირა. ოქროსფერი ციმციმა მძივებით უხვად მოქარგულ შავი ხავერდის გულისპირს ჰგავდა დაბლა გაწოლილი, მიჩუმებული ქალაქი. საათს დახედა. შუაღამე გადასულიყო. მთელი თორმეტი საათი სულმოუთქმელად ეხატა. დარბაზის კუთხეში ონკანთან მივიდა, ბოლომდე მოუშვა და დათხუპნილი ხელები შეუშვირა. ლურჯი წყლის წვეთებით დაეწინწკლა თეთრი პერანგი. მერე წყალი გაცისფრდა, გაბაცდა, განისლისფერდა და გახალისდა. სველი თითები მოისვა სახეზე, საფეთქლებზე, თვალებზე, თიხის ფიალა შეეავსო და დაეწაფა. გამოფხიზლდა, ონკანი დაკეტა, ფანჯარა მიხურა, თვალის შეუვლებლად ჩაუარა სურათს, კარი გააღო, სინათლე ჩააქრო, გავიდა, გასაღები ორჯერ გადაატრიალა საკეტში და ლიფტი გამოიძახა.

ქუჩები ცარიელი იყო, თავის სახლამდე სულ რამდენიმე მანქანა თუ შეხვდა. დინჯად აიარა კიბე, შინ შევიდა და პირდაპირ ლოგინისაკენ ქნა პირი. დაწოლისთანავე

მკვდარივით ჩაეძინა.

დილით ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა. წამოიწია და ყურმილს დასწვდა.

— ლევან, გაგაღვიძე? გაგონილა თორმეტ საათამდე ძილი? ეს-ეს არის ჩამოვედი. იცი, როგორ მომენატრე?! შენც ხომ მაგრად მოგენატრე! საღამოს მოდი, ან თუ გინდა, მე მოვალ, ახლავე წამოვალ!

—გამარჯობა ქეთი, როგორა ხარ? — თავადვე განაცვიფრა თავისმა განურჩეველმა ტონმა და შეუსაბამო სიტყვებმა.

— ლევან, რა მოხდა? —გაისმა შეძრწუნებული ხმა. — არ გინდა, რომ მოვიდე?

— იცი, სადგურზე უნდა გავიქცე, დღეს ჩემებიც ჩამოდიან და იმათ ვხვდები, — ახლა ასე სახელდახელოდ მოგონილმა ტყუილმა გააკვირვა ლევანი.

— რაღაც მოხდა, ამ ორ კვირაში რაღაც მოხდა, —ტირილი შეერია ქეთის ხმაში.

— არა, საყვარელო, რა უნდა მომხდარიყო, როცა მოვიცლი, მე თვითონ დაგირეკავ, — გონს მოეგო ლევანი.

— დამირეკავ?

— უსათუოდ დაგირეკავ.

— არ დარეკო! — ქვითინი წასკდა ქეთის და ყურმილი დადო.

ლევანმა სინდისის ქენჯნა იგრძნო. ამდენი ხანი ქეთი არც კი გახსენებია, ის კი მთელი დრო ალბათ ლევანზე ფიქრობდა, აკი ჩამოსვლისთანავე დაურეკა კიდეც...როგორ თქვა, მხატვარი ყოფილხართ და იმიტომ მიცანითო? თვითონ, თვითონ როგორღა იცნო, ხუმრობა ხომ არ არის მთელი შვიდი წელი, ბავშვი, ქმარი, ოჯახის საზრუნავი, და მაინც იცნო შვიდი წლის წინათ ორჯერ ნანახი, ნანახი არც კი, დანახული ვიღაც...ჰო, ქეთის უყვარს, ალბათ ძალიანაც უყვარს, ჩამოსვლისთანავე დაურეკა, მომენატრეო. თვითონაც ხომ ეუბნებოდა, ქეთი, მიყვარხარ, შენისთანა კარგი გოგო ქვეყანაზე არ დადისო...ნეტავი რა ჰქვია? სახელიც არ იცის, ალბათ ქმარს მაგრად ეყვარება, ამასაც ეყვარება, კარგი ბიჭი ჩანდა, იქნებ მეორე შვილიც ჰყავთ, მესამეც, რატომაც არა, ამ შვიდ წელიწადში შეიძლება მესამეც შესძენოდათ...ცოდვაა ქეთი, დაურეკავს, უსათუოდ უნდა დაურეკოს, როგორ აწყენინა, როგორ დატოვა მარტო თავის გრძნობებთან...ნეტავი, რა ჰქვია, იქნებ ქეთი, არა, ქეთი არ ერქმევა, რატომ იცნო, რატომ ახსოვდა, გამოდის, რომ მასაც მთელი შვიდი წელი ხსომებია...

ლევანი წამოდგა, რომ როგორმე განთავისუფლებულიყო ამ უთავბოლო ფიქრებისაგან; მას ქმარი ჰყავდა, შვილი ან შვილებიც, რა აზრი ჰქონდა მასზე ფიქრს, ან რა უფლებით ფიქრობდა. თავს შეებრძოლა და ტელეფონისაკენ მიტრიალდა. დაურეკავს ქეთის, ეტყვის, რომ გადაიფიქრა სადგურზე წასვლა, თავს გაიმართლებს...მაგრამ გაუშვშდა გაწვდილი ხელი, კვლავ გაორდა მის სულში რაღაც, დაიშალა, დაირღვა ის წამიერი მთლიანობა. ნუთუ ასეთი მყარი იყო ის უხილავი სიმი, ამ შვიდი წლის წინათ რამდენიმე წუთში რომ გაიბა მათ შორის, ნუთუ შვიდ წელიწადს გაუძლო?! ასე რომ არ ყოფილიყო, ხომ არ იცნობდა ისიც. ისევ გამოეზიზღდა გონება და შერცხვა ლევანს, რომ ტილი დასწამა ორსულ ქალს, ლევანის სისუფთავის იმედზე მომღიმარს, მის სინდისზე უყოყმანოდ, დაუეჭვებლად დანდობილს, ეს ნდობა შვიდი წლის შემდეგაც რომ გამოჰყოლოდა და იქ, ლიფტში იმ ნდობის ხსოვნით სიტყვა რომ არ შეაცივა პირში და შვიდი წლის წინათ მდუმარედ დაწყებულ საუბარში მხარი აუბა.

ზარი გაისმა.ლევანი შეკრთა, ქეთი მოვიდაო, იფიქრა, ფეხათრევით გავიდა დერეფანში და კარი გააღო.

— დათო, შენა?

— რა ძალიან გაგიკვირდა? უნდა მიშველო, ცეცხლსფერს ვეძებ და არაფერი არ გამომდის, ვერ შევაზავე, შენს ალებავებს უნდა გადავხედო, სახელოსნოში მოგაკითხე, სახლში ყოფილხარ, — სხაპასხუპით მიაყარა დათომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—შემოდი. გუშინდელს აქეთ არაფერი მიჭამია, ვისაუზმოთ და მერე ავიდეთ.

დათო მადიანად ილუკმებოდა და თავის ახალ ჩანაფიქრზე გატაცებით ლაპარაკობდა. ლევანი უღიმღამოდ პასუხობდა და უგემურად ღეჭავდა ლუკმას.

— რაღაც გუნებაზე ვერა ხარ, —შენიშნა დათომ, როცა კიბეზე ჩადიოდნენ.

— უბრალოდ, გადავიღალე, — გაღიმება სცადა ლევანმა.

მთელი გზა დუმდნენ. ცის კამარის ქუჩაზე, მანქანიდან რომ გადმოვიდნენ, ლევანმა სახლს ახედა და მეათე სართული გადათვალა, სათვალავი აერია და ახლა მეთექვსმეტე სართულიდან ჩამოთვალა, მაგრამ მზემ თვალი მოსჭრა და უკან მიჰყვა უკვე სადარბაზოდე მისულ დათოს.

— უნდა დაისვენო, ძმაო, გინდა, სადმე წავიდეთ? არც მე მაწყენს სუფთა ჰაერი...თუმცა, იმდენი ფული შვლიპე ამ სახელოსნოში და არც მე მაქვს მუთაქებში გამოკრული, —სცადა ხუმრობაში აეყოლებინა მეგობარი. ამასობაში ლევანმა სახელოსნოს კარი გააღო.

— ბიჭოს, ეს ვინ არის?! — ზღურბლზევე შესძახა დათომ და სურათისაკენ წავიდა. — ვენერა ღრუბლებიდან კი არა, ქაფისაგან იშვა. ანტიკურობის უცოდინრობას ამყღავნებ, მეგობარო...კარგი, ისევ მე გიშველი, „მადონა ღრუბლებში“ დაარქვი.

— არ მოგწონს? — გულგრილად ჰკითხა ლევანმა, თვალი შეავლო გუშინდელ ნამუშევარს და სცადა მთლიანობაში აღექვა ფერადოვან ღრუბლებად განფენილ კოსმოსთან შეუღლებული ქალური ფორმები, მიწიერებისაკენ დაძრული სახის ნაკვეთები, პირმშოს ოქროსკულულებიანი კეფა, ნისლშეფრქვეულ პაწაწა სხეულზე შემოჭდობილი თლილი, მზრუნველი თითები. ნაზი, სისუსტემდე ჰაეროვანი იყო ქალი, მაგრამ, ამავე დროს, საოცრად ძლიერი, ძვირფასი ტვირთით გაამაყებული, შინაგანი სიმშვიდით სივრცეზე გაბატონებული.

— ეს რა დაგმართნია, ძმაო! გაუთავებელი ტეხილი ჩრდილების, ხავსიანი აგურების, კუბისტური კომპოზიციების, ბნელი ფანჯრების, წატეხილი კონუსების და ნაცრისფერი დადუღებული რკალების შემდეგ ეს...არ ვიცი, რა გითხრა, მაგრამ აშკარად რაღაც დაგმართნია. აბა, თვალი გადავლე შენს სურათებს...ვერსად ვერ ვხედავ იმის ოდნავ მინიშნებასაც კი, რომ ამისათვის ემზადებოდი. — დათომ თვალი მოავლო კედლებს და მერე ეშმაკურად გახედა ლევანს. — არა, ისე კარგი ქალია, რას იტყვი, ჰა?

— კარადაში და მაგიდაზეა ყველაფერი, ნახე, იქნებ რამე იპოვო, —ბოლო სიტყვებს წაუყრუა ლევანმა.

— აშკარად ვერ ხარ გუნებაზე, ნაღდად რაღაცაშია საქმე, რაღაც მოხდა, რაღაც დაგემართა, — იმეორებდა დათო და კარადაში იქექებოდა. ლევანი თავზე ადგა და ხმას არ იღებდა.

— მგონი ვიპოვე, — ნარინჯისფერ საღებავს წაატანა ხელი დათომ, —ხომ არ დაგჭირდება?

— მე კიდევ მაქვს, აიღე.

— აბა, გავვარდი! მაგრად იყავი, არაფერს შეეშინდე! აქ არა ვართ?! —შეუძახა და მხარზე ხელი დასცხო. მერე ზღურბლიდან კიდევ ერთხელ გამოჰხედა ტახტზე ჩამომჯდარ, თავჩაქინდრულ ლევანს და კარი გაიხურა.

რატომ მიცნო შვიდი წლის შემდეგ...მე რატომ ვიცანი? სულ არ შეცვლილა, თუმცა ახლა ისეთი სიფრიფანაა, მაშინ კი...დათომ, რაღაც დაგმართნიაო, რა დაემართა...ჰო, რა მოხდა ბოლოს და ბოლოს, შვიდი წლის წინათ ადგილი დავუთმე ორსულ გოგონას, რა დიდი საქმედ ვაქციე, ლამის არის ყელში ამოვადინო ის პატივისცემა...რა ამბავია, ეს გაუთავებელი „როგორ მიცნო“, „რატომ ვიცანი“... წამით გაბრაზდა საკუთარ თავზე. რატომ უთმობდა ამდენ ყურადღებას უცხო ქალს, უცხო ქმრიან ქალს, უცხო ქმარშვილიან ქალს...უცხოს...არა, ის უცხო არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის, უცხო ისეთნაირად ვერ გაგიღიმებს, იმგვარად ვერ მოგენდობა, როგორც ის მაშინ, შვიდი წლის წინათ...უცხო რომ იყოს, ვერც მე ვიცნობდი შვიდი წლის შემდეგ...იმანაც მიცნო...

სურათს ახედა და თვალი თვალში გაუყარა ქალს. უცნაურად სასიამოვნო სევდა დაეუფლა სულს, მაგრამ უცებ ის ბიჭი აისვეტა ქალის გვერდით, წამსვე სუსხიანი ეკლები გამოისხა სევდამ და ლევანს გულში მწარედ ეტკინა რაღაც. არსებობდა ვიღაც კაცი, ერთხელ თვალშოკრული, რომელსაც მისთვის თითქოს არაფერი დაეშავებინა, მაგრამ მაინც გაუსაძლისი წუხილი მოჰქონდა, რადგან იმის ქმარი იყო...თვითონ ისიც ხომ უცხო იყო...მარტო ამ ტელოზე დაეპატრონა, აქ იყო მისი... არა, ის უცხო არ იყო. ჩავა, ახლავე ჩავა მასთან; მაგრამ ვისთან? ვისი სახელიც კი არ იცის?! მერე ქმარი! რას ეტყვის ის კაცს? არაფერია, რაიმეს მოიფიქრებს! თვითონ მას რას ეტყვის? თქვენი სახელის გასაგებად მოვედიო? ჰო, ის მაშინ ნამტირალევი იყო, ამ შვიდი წლის წინათ! ვინ აწყენინა? ვინ აატირა?

თითქოს ცნობიერება დაებინდა, თითქოს ნებისყოფა წაერთვა, წამოხტა, კარი გამოგლიჯა, მთვარეულივით ჩაიარა კიბეები, მეათე სართულზე ლიფტს გასცდა და შეჩერდა. ორი კარი აღიმართა მის წინ, ერთი მარჯვნივ, რკინის, შავი, შეუღებავი და მეორე მარცხნივ, თეთრი, ოქროსფერსახელურიანი. გულმა თეთრისკენ გაუწია, მაგრამ შავთან მივიდა და მიაყურადა, მოხუცის ჩიფჩიფა ხმა მოესმა, თითქოს ბავშვს ტუქსავდა. ახლა მარცხნივ შებრუნდა და თეთრ კარზე დარეკა. ზარის წკრიალმა გამოაფხიზლა, გულმა ბაგაბუგი დაუწყო, ცოცმა ოფლმა დასხა, მერე თავიდან რაღაც ჩამოიღვარა, მთელი სხეული ჩამოიარა, გამყარდა და ლევანი უცნაურად დამშვიდდა. კარი გაიღო და ის გამოჩნდა.

— გამარჯობა, — მტკიცედ თქვა ლევანმა.

— გამარჯობა, — შემკრთალმა ნაძალადევად გაიღიმა.

— შეიძლება?

მან უსიტყვოდ დაიხია უკან და ოთახში მოაღვივა. ლურჯი მაისური და ჯინსის შარვალი ეცვა. ლევანი შევიდა და დერეფანში გაჩერდა. ის მიხურული კარის მიყრდნობოდა გამშრალი, ცივად უელავდა დიდრონი ლურჯი თვალები. ლევანი შეწუხდა, მიხვდა, რაღაც უნდა მოეფიქრებინა, რომ როგორმე გაემართლებინა თავისი კადნიერება და დაემშვიდებინა ისიც.

— მაპატიეთ, რომ ასე შემოვიჭერი, დარეკვა მინდა და ამ სახლში თქვენს გარდა არავის ვიცნობ, —უთხრა და დამნაშავესავით შეხედა.

ის მოლბა, შვეიმთ ამრისუნთქა და ოთახში შეუღღვა. ვრცელ, მზიან, თაფლისფერ ოთახში დიდი ძველებური ბუფეტი, ტაბლა ფართო სავარძლებით, მრგვალი მაგიდა და რამდენიმე სკამი იდგა. ლევანი სავარძელში ჩაჯდა და თავისი ნომერი აკრიფა. ის ფანჯარასთან გაჩერებულიყო.

— არ პასუხობენ, — თქვა ლევანმა და ყურმილი დადო.

— კიდევ სცადეთ, — განურჩევლად, უფრო ზრდილობის გულისთვის უთხრა.

— ბავშვი სად არის? — ჰკითხა ლევანმა.

— წყნეთში ისვენებს, —უპასუხა და ამჯერად თბილად გაიღიმა.

ლევანი საბოლოოდ დამშვიდდა და მისმა ღიმილმა ცოტათი გაათამამა კიდეც. იგრძნო, რომ შეიარყა უცხოობის კედელი.

— რატომ ტიროდით?

— ჰო, ნამტირალევი ვიყავი...ისე, წვრილმანზე ვიტირე, მაშინ ყველაფერი მწყინდა. ზურა მეგობრის ქორწილში წავიდა ორი დღით და არ წამიყვანა, ჩემი მეზავრობა უკვე არ შეიძლებოდა, მეწყინა, რომ ორი დღით დამტოვა. მთელი ღამე ვეხვეწე, არ წასულიყო. არა, არ წავალო, მპირდებოდა, მერე დილით ადგა და წავიდა. იმავე ღამეს დაბრუნდა, ვერ გავძელიო... — ის ფანჯარაში იყურებოდა მოგონებებში ჩაფლული, თითქოს ლევანის აქ ყოფნა დავიწყებოდა. მერე უცებ გამოერკვა, მკვეთრად მოტრიალდა, ლევანის მზერას წააწყდა და თავი ჩაღუნა.

— რა გქვია? — ჰკითხა ლევანმა.

— ლელა, — უსუსური, მიუსაფარი იყო ამ წუთას.

— მე ლევანი მქვია. შვიდი წელია ვიცნობთ ერთმანეთს და სახელები არ გვცოდნია. ლამაზი სახელია ლელა.

— ჰო, შვიდი წელია ვიცნობთ, — დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე და ლევანი შეკრთა.

— ლელა, ალბათ სულელი ბგონივარ. წავედი, გმადლობთ, —თქვა და ფეხზე წამოდგა. —ის სამსახურშია? — მაინც დასცდა, მაგრამ არ შედრკა, თამამად შეხედა.

— თათას დაბადებამდე დაიღუპა ავარიაში, — ლამის ჩურჩულით უპასუხა. შეშფოთებულ გაიმართა, კვლავ ცივად აუელვარდა თვალები და მკაცრად, მტკიცე ხმით დაასრულა: — ლევან, აქ აღარასოდეს მოხვიდე.

ლევანი გამოვიდა და ბრმასავით დაეშვა კიბეზე. ცხელოდა, მაგრამ მას ამცივნებდა, ყურებში გაუთავებლად ესმოდა ბოლო ფრაზა და სწყინდა, ძალიან სწყინდა იმ ბიჭის სიკვდილი. ქუჩაში გამოვიდა და სახლს ახედა, მეათე სართულის ფანჯარაში ლელა დალანდა და იგრძნო, რომ მალე, სულ მალე დაბრუნდებოდა მასთან და ერთად ივლიდნენ შვიდი წელი, კიდევ შვიდი, კიდევ შვიდი, კიდევ შვიდი წელი — მთელი ცხოვრება.

იალკიალი

სიცხით გათანგული ქალაქს გავცდით თუ არა, სალონში საამო სიგრილე შემოიპარა და ადღეღებული გონება ცოტათი დაგვიცხრო. დათო საზურგეს მიენდო და საჭეს ჩაფრენილი ხელები მოადუნა. ათიოდ კილომეტრიც და თათიას აგარაკზე ვიქნებით. ახლა ორივენი თავგამეტებით ვკვერავთ ხალისს, მხნეობას, სიმშვიდეს და ძალად ვიტენით შემკრთალ სულებში. წუხელ გავიგეთ, რომ თათიას სისხლის გათეთრება აღმოაჩინდა, ის განწირულია და რამდენიმე თვის სიცოცხლეღა დარჩენია. თათიამ არ იცის, იციან მისმა მშობლებმა და რამდენიმე ახლობელმა. ჩვენ უნდა გავიჟღინთოთ ხელოვნური იმედით, რომ თათიამ არ შეგვატყოს სასოწარკვეთა და სიბრალული. მას უნდა სჯეროდეს, რომ მალე განიკურნება.

შარაგზიდან მარჯვნივ გადავუხვიეთ, სოფელს ჩავუარეთ და ტყიანი ბორცვის ძირში განმარტოებით მდგარ დიდ თეთრ სახლს მივადექით. დათო მანქანიდან გადავიდა და გაუბედავად შეაღო ჭიშკარი. ეზოში არავინ ჩანდა. გვერდით ამოვუდექი, ერთი ღრმად ამოვისუნთქეთ, მხრებში გავიმართეთ და მედგრად შევუყევით სახლისკენ მიმავალ მოფილაქნებულ ბილიკს. აქეთ-იქით, ფაქიზად გაკრეჭილ ხასხასა ბალახში კალიები დახტოდნენ. ეზოს შუაგულში შემაღლებულ მრგვალ გაზონზე ყვითელი ვარდები ყვაოდა. აქ ბილიკი ორად იყოფოდა, გაზონს ორივე მხარეს უვლიდა, კვლავ ერთდებოდა და სახლის მთელ სიგრძეზე გაშლილ ხეთსაფეხურიან კიბესთან წყდებოდა. ამ აგარაკზე ბევრჯერ ვყოფილვართ, რადგან თათია ჩვენი ბავშვობის მეგობარია. ბოლოს შარშან ვესტუმრეთ, დაბადების დღეზე. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ თათიას ნატიფ სხეულს უკვე უკურნებული სენი დაუფლებოდა. თეთრი, მაქმანებიანი კაბით ფერიასავით დაფრიალებდა ქალაქურ ყაიდაზე გაწყობილ ვეებერთელა სახლში, ბედნიერი და უზრუნველი. ყოველთვის მომწონდა თათიას მამა, ეს მაღალი, ხმელ-ხმელი ორმოცდათიოდე წლის პროფესორი, საოცრად დახვეწილი კაცი, რომლის მზერაში ღრმა ინტელექტთან ზიარებულ შინაგან მამაკაცურ სიძლიერეს ვამჩნევდი. თათიას დედა, ასაკთან შედარებით გაცილებით უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა ქანდაკებასავით ჩამოსხმული ქალური სხეუ-

ლით, წაბლისფერი სწორი თმითა და თაფლისფერი, მშვიდი თვალებით. იმ საღამოს ჩვეულებისამებრ ხალისიანად, დედაშვილური მზრუნველობით გვეკვლებოდა თავს. მახსოვს, თათიას მამამ შვილს სადღეგრძელო რომ წარმოთქვა, მეუღლეს მხარზე ხელი მოხვია, თათიისაკენ გაემართა და შვილს ეამბორა. ერთ წუთს სამივენი იდგნენ, პირზე ნათელი გადასდიოდათ და გაცისკროვნებული თვალებით შესცქეროდნენ. ბედნიერი და ძლიერი მამა ბურჯივით დასდგომოდა მის ფართო მხრებს შეფარებულ მეუღლეს და უზრუნველად მინდობილ შვილს. მსიამოვნებდა ძლიერი და მოსიყვარულე ოჯახის ცქერა.

კიბე ავიარეთ და კარს მივადექით. დათომ განწირულივით მომხედა და დააკაკუნა. რამდენიმე წამში კარი გაიღო და თათიას მამა დავინახეთ. მობერებული მეჩვენა. თვალი ძლივს გავუსწორე და რაღაც, მისალმების მაგვარი წავილუღღლუღე. გაგვიღიმა, ხელი ჩამოგვართვა, რომ იცოდეთ, როგორ გამახარეთო, გვითხრა და ვრცელ დერეფანში შეგვიძღვა. დერეფნიდან მზით გასხივოსნებულ ოთახში შევედით, სადაც გრძელ, ოვალურ სასადილო მაგიდას თათია, თათიას დედა, კიდევ ერთი ქერათმიანი ქალი და ორი პატარა, ასევე ქერათმიანი გოგონა უსხდა. ყველანი მომლოდინენდ შეხჩერებოდნენ კარს. ჩვენს დანახვაზე თათია წამოდგა. შავი ვიწრო შარვალი და შავივე მაისური ეცვა. ისეც ფერმკრთალ გოგოს მთლად სანთლისფერი დასდებოდა სახეზე. ღიმილმა დაუჭიმა თხელი, მქრქალი ვარდისფერი ტუჩები, გავრცელდა ღიმი, თვალებშიც გაკრთა და მერე ცხადად დავინახე, როგორ დაიღვენთა სიმშვიდედ, მაგრამ რაღაც უნდობელ, ჩასაფრებულ სიმშვიდედ. დავიშაშრე.

— შინ რომ არავინ დაგვიხვდა, მივხვდით, აქ იქნებოდით, — დათოს რიხიანმა ხმამ გონს მომიყვანა და ძალა მოვიკრიბე.

— ჰოდა, სინათლის სისწრაფით ჩამოვქროლდით, — გახუმრება ვცადე და ლაპარაკზე ვაკოცე თათიას.

— სულზე მოგვისწარით, სადილობას ვაპირებდით, — ვითომ ხალისიანად გვიპასუხა, მაგრამ ხმაში სიყალბე დავიჭირე. აშკარად რაღაცას ხვდებოდა.

— ყოჩაღ, ბიჭებო, რომ არ დაიზარეთ და გვესტუმრეთ, — თითქოს შორიდან მოისმა თათიას დედის მოგუდული ხმა. მივეახლე და ხელზე ვეამბორე. მისი გაყინული, უღონო ხელის შეხებამ მთლად მომსპო.

— გაიცანით, ქალბატონი კრისტინა, ელენეს გარე ბიძაშვილის მეუღლე შორეული ესტონეთიდან და მისი ქალიშვილები, მარტა და აგნესა, — მოგვმართა თათიას მამამ.

კრისტინას უკვე მოესაზრებინა, ძველებური ბუფეტიდან ჩვენთვის თეფშები და დანა-ჩანგალი გამოეღო და ნარნარი მოძრაობით მაგიდაზე ალაგებდა. თავისი სახელის გაგონებაზე ზღვისფერი თვალები შემოგვანათა და მადლიანი ღიმილი შემოგვაფრქვია. გულს მომეფონა. მივუახლოვდი, ჩემი სახელი ვუთხარი და თბილ, ფაფუკ ხელზე ვეამბორე. სუფრასთან მიგვიწვიეს. მე თათიას დედის გვერდით აღმოვჩნდი. დათო ჩემს პირდაპირ, თათიასა და კრისტინას შუაში იჯდა, ხოლო გოგონები მაგიდის თავსა და ბოლოში მოკალთებულიყვნენ და ერთმანეთს უცინოდნენ. სადილის შევექცეოდით და წითელ ღვინოს ვწრუპავდით.

— ელენე, შენ თითქმის არაფერს ჭამ, — მზრუნველი ხმით მიმართა მეუღლეს თათიას მამამ და მხარზე ნაზად შეახო ხელი.

ახლაღა შევნიშნე, რომ თათიას დედის თეფშზე ხელუხლებლად იდო პურის ნაჭერი. მან ხმის ამოუღებლად დადგა ღვინის გრძელფეხიანი ჭიქა, მორჩილად გადაიღო მაინოგზმოსხმული ბოსტნეულის სალათი, ორიოდე ლუკმა გადაყლაპა და ჩანგალი უკანვე დადო. მერე ხელები დაუცურდა და უმწეოდ დაესვენა კალათაზე.

— ეს სალათი კრისტინამ გააკეთა, ესტონურია, — ყრუდ წარმოთქვა, კრისტი-

ნას გაუღიმა და ჯერ მარტას, მერე აგნესას გახედა, — ბავშვებმა გამოგვაცოცხლეს, ხალისი შემოიტანეს ამ დიდ სახლში... — ხმა აუთრთოლდა და გაჩუმდა. დავინახე, როგორ მოძებნა თათიას მამამ მეუღლის თხელი, ცისფერ ძარღვებით დასერილი ხელი, ისე, რომ ძირს არ დაუხედია და თავის მუჭში მოიმწყვდია. თათია თეფშს ჩასცქეროდა და დათოს უსმენდა. კრისტინა ვაშლს თლიდა. ლამაზი, მკერდაფუებული ქალი იყო, გულამოჭრილი მზისფერი კაბა ოთახში შემოჭრილ სხივებში ულიკლავებდა, ნათელ, ლმობიერ თვალებში თან ღიმილი ედგა, თან მიუწვდომელი სევდა.

შევეცადე ჯგუფებად დახლეჩილი სუფრა გამემოლიანებინა და საერთო უხერხულობა დამერღვია.

— ესტონეთში ჩვენთან შედარებით სიცივე იქნება, არა, კრისტინა? ერთხელ ვიყავი და შუა ზაფხულში ლამის გავითოშე, — მივმართე რუსულად.

— ჰო, რა შედარებაა. აქ ისე ცხელა! მომწონს თქვენებური ზაფხული, —თბილად გამიღიმა და თათიას გახედა. — თათია დამკინის, ზაფხულს სიცოცხლეში პირველად ხედავო.

— მერედა, ვტყუივარ? — თათიამ გადაიკისკისა და მე ნაძალადევი მეჩვენა მისი კისკისი.

— კრისტინა, ერთი ჩვენებური შემოდგომა განახათ, — ჩაურთო თათიას მამამ.

— ქარვისფერი შემოდგომა! ეს ქარვის მძივი კრისტინამ მაჩუქა, —თქვა თათიას დედამ და მკერდზე ჩამოკიდებულ მსხვილ ქარვის მძივზე დაისვა უსიცოცხლო ხელი.

ყავისფერ გულდახურულ კაბას ახალისებდა მსუყე ქარვა, მაგრამ ქალის დატეტკილ სახესთან, მიმქრალ თვალებსა და ღარდარჩნეულ შუბლთან ვერაფერს გამხდარიყო.

— ძალიან გშვენის, კრისტინას ჩინებული გემოვნება ჰქონია, — უთხრა თათიას მამამ, მძივი გამოსწია, ხელის გულზე დაიდო და ნაზად გადაუსვა გრძელი, ღონიერი თითები. მძივს მზერა მოვწყვიტე და კრისტინას ზღვისფერ თვალებში ჩამდგარი სხივი შევნიშნე.

— ჩვენში მშვენიერი, ნაირ-ნაირი ფერის ქარვაა. ეს მძივი რომ ვნახე, ელენეს კეთილი, თაფლისფერი თვალები გამახსენდა, — თქვა კრისტინამ.

თათია მამას ფრთხილი, ალერსიანი მზერით შესცქეროდა. თათიას დედა გახევებული იჯდა, გაცრეცილ ტუჩებზე ღიმილი შეჰყინვოდა, ჩამქრალი თვალებით დაჰყურებდა მეუღლის თითებში ჩაღვრილ ქარვას და სახეზე თანდათან ტანჯვა ეხატებოდა. თათიას მამამ ფრთხილად გაუშვა ხელი მძივს, სუფრას თვალი მოავლო და როცა დარწმუნდა, ყველანი დანაყრებული ვიყავით და ზრდილობის გულისთვისღა ვისხედით, წამოდგა, მადლობა გადაიხადა, მეუღლის სკამის საზურგეს ხელი მოჰკიდა და ჩვეული გალანტურობით ქალს ადგომაში მიეხმარა. წამოვიშალეთ.

— მე ავალგებ,-თქვა კრისტინამ და თეფშების შეგროვება დაიწყო.

— კრისტინა, შენ ისედაც ბევრს შრომობ, თანაც ღღეს ჩემი რიგია, —მიმართა თათიას დედამ.

— სუფრა ხომ შენ გააწყე, ალაგება ჩემზეა, —ხელი შეაშველა თათიამ.

— თქვენ სტუმრებს მიხედეთ, მე და ჩემი გოგონები მალე მოვიჩენით და შემოგიერთდებით, — გადაჭრით თქვა კრისტინამ და თათიას ჩვენკენ უბიძგა.

თათიას მამამ მეუღლე სავარძლთან მიაცილა და თვითონაც გვერდით მოუჯდა. ჩვენც იქვე, დივანზე ჩამოვსხდით. თათია მამის გვერდზე იჯდა და ხელი მის მხარზე ედო. მე ვხედავდი მწუხარებისაგან ფუძეშერყეულ ოჯახს — უკვე დამარცხებულ, უსიცოცხლო დედას, დაღლილ, გატეხილ მამას, რომელიც მეუღლისადმი გადაჭარბებული თავაზიანობით და მოჩვენებითი სიხალისით ებრძოდა თათიას გულში ჩასახულ ეჭვებს, რომელმაც იცოდა, რომ მისგან

ფარ-ხმალის დაყრა საძირკველის გამოცლას ნიშნავდა და რომ სწორედ მას, მამაკაცს მართებდა, ბოლომდე ეზიდა ჯვარი: მე ვხედავდი შემკრთალ შვილს, რომელიც დედის ჩამქრალი თვალებით და დაშრეტილი სულით გაწბილებული, სუსტი ხელებით ებღაუჭებოდა ჯერ კიდევ ილაჯშერჩენილ მამას, შვილს, რომელიც გაუცნობიერებლად, საკუთარი იმედის გადასარჩენად მამის სულში მბჟუტავ ნაპერწკალს დაჰფოფინებდა. წამით თათიას სახეზე ონავრულმა ღიმილმა გადაურბინა და მე თვალი შევასწარი, როგორ მოსწყვიტა კაცმა თვალი სუფრასთან მოფუსფუსე კრისტინას მოხდენილ სხეულს. თათია მამას მიეკრო და მხარზე თავი დაადო. ვუყურებდი თათიას დედის გამოციებულ, კედელს მიშტერებულ თვალებს, მაჟრჟოლებდა და მინდოდა, ძალიან მინდოდა ამ ოთახიდან გავვარდნილიყავი და მცხუნვარე მზეს მივფიცხებოდი.

— ტყეში წავიდეთ, სოკოზე, —მოულოდნელად წამოიძახა თათიამ და ფეხზე წამოიჭრა, — მამი, ტყეში წავიდეთ, მამუკა, კრისტინა, დათო, ტყეში წავიდეთ, დედა...

თათიას დედა შეკრთა, ფიქრებიდან გამოერკვა და შვილს ახედა.

— თათია, შვილო, თქვენ წადით, ხომ იცი, მე მზეს ვერ ვიტანე. კრისტინა, მოეშვი, მე გავაგრძელებ.

— ჩემმა გოგონებმა ჭურჭელი კიდეც დაამშრალეს, ასე რომ, საქმე აღარაფერია და ყველანი წავიდეთ.

— მე დავრჩები, —სივრცეში ისროლა თათიას დედამ.

თათიას მამამ მეუღლეს შეხედა; მდუმარედ ეკვდრებოდა თვალებინი, ბაგეებით, მთელი სახით, მომუჭული თითებით, თავისთვის ძალა დაეტანებინა, რომ თათიას იმედს კიდევ ერთი სხივი არ დაკლებოდა, მაგრამ ჩანს, თათიას დედას ამის გაგებაც აღარ ძალუძდა. ის დერეფანში გავიდა და მძიმედ აუყვა ხის მასიურ კიბეს. ერთხანს უსიამოვნო დუმილი ჩამოვარდა. თათია გამომცდელი მზერით უყურებდა თავჩაქინდრულ მამას. მე, კრისტინა და დათო ვგრძნობდით რა ძალ-ღონის დაძაბვით ახერხებდა კაცი როგორმე ხელის ცახცახი შეეკავებინა, რა ძვირად უჯდებოდა მშვიდი იერი შეენარჩუნებინა; ვხედავდით, უსასოობასთან მორკინალი კაცი მარცხდებოდა, ვიცოდით, ახლა ჩვენ უნდა შეეშველებოდით და გამალებით ვეძებდით შესაფერის სიტყვებს, ქმედებებს, მოძრაობებს. კრისტინამ გვიხსნა.

— თათია, რა კარგი მოიფიქრე, კალათებს გამოვიტან და წავიდეთ. დედა დაღლილია, თავი სტკიოდა და თითქმის არ უძინია, დაისვენოს, — მაცოცხლებელი ზეფეებივით მოგვესხურა მისი წკრიალა ხმა. თათიას მამა თავი აიღო და წამოიმართა, გატეხილი, სხივჩამქრალი, მაგრამ მაინც ამტანი, უიმედო იმედს დაყრდნობილი.

— თათია, მე რომ სოკოს ცნობა არ ვიცი: არც დათო მყავს ნამეტანი ყოჩაღი მაგ საქმეში, — როგორც იქნა მოვახერხე ხმის ამოღება.

— მამამ იცის, კრისტინამაც, ეგენი გვიშველიან, — ათრთოლებული ხმით მომიგო, მერე უცებ წელში გაიმართა, ყელი მოიღერა, დამელოდეთ, ახლავე ჩამოვალო, მტკიცედ თქვა და გავიდა.

მე და დათო ეზოში ჩავედით. მალე კრისტინა და მისი გოგონები გამოკვრიალდნენ, მერე თათიას მამა გამოვიდა. ყველანი ვარდების გაზონთან ვიდექით და თათიას ველოდებოდით. კრისტინამ ვარდის ტოტი ფოთლით ფრთხილად გამოსწია და დაყნოსა. ამ დროს თათიაც გამოჩნდა თეთრი, მაქმანებიანი კაბით. შარშანდელივით შვენოდა ეს კაბა, მაგრამ უფერული სახე და თვალებში ჩამდგარი გამომეტყველება საზარელ სინამდვილეში გვაბრუნებდა. გზას გავუყევით. წინ მარტა და აგნესა მირბოდნენ, თავიანთ ენაზე რაღაცას ჟღურტულებდნენ და კისკისებდნენ. თათიას მამას და კრისტინას მოწნული კალათები ეჭირათ.

მზე მაგრად აჭერდა, მაგრამ მისი მცხუნვარება ჩვენ არ გვაწუხებდა. კრისტინას კაბა მოხდენილად შემოკვალთოდა მაღალ თეძოებზე, მოდიოდა ჯანსაღი, ძლიერი, მოალივლივებდა მზისფერ კალათებს, მზისფერ თმას. მდინარეზე გადებული ფიცრებისგან შეკრული ბოგირი გადავიარეთ, შეიმართი ავთავეთ და ერთბაშად დაბურულ ტყეში ავღმოვჩნდით. მიწაზე სქლად ეფინა ნედლი ფოთოლი, აქა-იქ მიფანტულ ლოდებზე მწვანედ ღაღანებდა ხავსი. რბილ ნიადაგზე ნაბიჯებს რაღაც მოკრძალებით, ფრთხილად ვადგამდით და სულგანაბულები ვუსმენდით სიჩუმეს. მერე თანდათან გავუშინაურდით ტყეს და სოკოს კრეფას შეუდექით. მე, თათია, დათო და გოგონები გაჭირვებით ვპოულობდით ნეშოში მიმალულ თეთრა სოკოს და კრისტინას ან თათიას მამის კალათში ვყრიდით. კრისტინა და თათიას მამა კი გაწაფულად ირჯებოდნენ.

— გეყოფათ, ნაფლარ ირჯებით! — შემოგვძახა თათიამ და ლოდზე ჩამოჯდა.

— აგაშენა ღმერთმა! — ამოიხვნეშა ღ[illegible]ომ და ნეშოში მიჯდა. მეც დათოს მივბაძე. პატარა გოგონები იქვე დარბოდნენ. თათიას პირდაპირ ვისხედით და ვდუმდით. კრისტინას გარეშე გვიჭირდა. ის კი კარგა მანძილით დაგვშორებოდა სოკოს კრეფაში გართული. თათიას მამაც მის სიახლოვეს ჩანდა. ვიჯექი და ვფიქრობდი, რა მომეგონებინა, რომ თათია გამერთო. ამ წუთებში ცხადად ვიგრძენი, როგორ სჭირდებოდა ამ განადგურებულ ოჯახს, ასეთ მძიმე დროს კრისტინას გვერდში ყოფნა, მისი მომხიბვლელობა, მისი ქალური ალღო და მისი შვილების ხალისიანი კისკისი. კრისტინა სჭირდებოდა თათიას დედას, თათიას, თათიას მამას — სამივეს.

ვზივარ ასე, უკიდურესად დაძაბული, კუნთებდაჭიმული და უცებ ვამჩნევ, რომ თათია ჩვენთან არ არის. უნებლიედ მის მზერას თვალს ვაყოლებ იქით, სადაც ოქროსფრად ლივლივებს კრისტინას კაბა. მერე დათოს რაღაც ანეკდოტი ახსენდება. ვიცინით, მაგრამ თათიას სიცილში ვეღარც ნაღდს ვარჩევ და ვეღარც სიყალბეს. ის არის, დათომ ახალი ანეკდოტი უნდა დაიწყოს, რომ უცებ თათია ხელის აწევით აჩერებს.

— იცით, რას გეტყვით? მოდი, მდინარეზე ჩავიდეთ საბანაოდ, — ამბობს და დგება.

— აგესა, მარტა, საბანაოდ წავიდეთ, — გასძახის გოგონებს და ისინიც სასწრაფოდ გამორბიან. თათია ხელებს ჰკიდებს თათ, ყვირის, მამა, კრისტინა, საბანაოდ მივდივართ, მდინარეზე დაგელოდებითო და ადგილს სწყდება. თათიას და პატარა გოგონების კისკისი ედება ტყეს. დავინახე, როგორ ერთდროულად გაიმართნენ კრისტინა და თათიას მამა და ჩვენკენ გამოიხედეს. მე და დათო ჯერ მოუხეშავი ძუნძულით მივყევით თათიას, მერე ჩვენც აგვიჩაღდა სხეულები და სირბილით დავეშვით მდინარისაკენ.

მარიამობა

ზაფხულის თბილი საღამოა. შარაზე დინჯი მასლაათით მოდიან საგანგებოდ გამოწყობილი სოფლის ქალები, კალათებით სანივაგე მოაქვთ, მოტუნტულებენ აყიყინებული ბავშვები, ჩუმად მოაბიჯებენ ჭუდიანი კაცები. აიარა ნონიაანთ ჯალაბობამ, ერთხანს მიჩუმდა შარა და ახლა ჯაფიაანთ ქალ-რძალი, ბავშვები და კაცები გამოჩნდნენ, იმათ სოსიაანი მიყვნენ, მერე ლაზარიაანი და ეშმაკურაანი. მარიამობა დღეა. ღვთისმშობლის საყდრის ეზოში ღამე უნდა ათიოს სოფელმა. მუხის ქვეშ, ღობესთან მიმდგარა შავ, ბებრულ კაბაში გამოკრული, გალეული, მოკაკვული დედაბერი, გამ-

ხმარი ხელები მუხლებამდე დასთრევს, თავი ურაცრაცებს, ტუჩებმოკუმული წინ გაიყურება და ხედავს დედაკაცების შავი თუ ჭრელ-ჭრული კაბების კალთებს, კაცების ღონიერ, ჩექმებიან ფეხებს, მზისაგან დამკრახულ, ჯანსაღ ბავშვებს. თვალებს სინათლე არ დაჰკლებია, მაგრამ ცოდვით დამძიმებულ ზურგს მაღლა ვერ იღებს და მის თვალთახედვაში მიმავალნი წელამდე ძლივს თავსდებიან, ბავშვები კი, პატარა ბავშვები მთელი სიგრძე-სიგანით. სმენაც მახვილი შერჩა ბებერ ანეტას, ბავშვების ყივყივიც კარგად ესმის და დედაკაცების გადაძახილ-გადმოძახილიც. „ისეთი ლობოო შევკმაზე, თითებს ჩაიკვნეტთ,“ „შენ ჩემი ქადები უნდა ნახო!“ „რა ქენი, ლიზიკო, დაიჭირე ის შენი დედალი?“ ხედავს და ესმის ბებერ ანეტას, მაგრამ ბურუსი უტრიალებს თავში, ვერ გარკვეულა. „ნეტავ სად დაძრულა ამოდენა ხალხი,“ გამოინაკვთება ფიქრი და ისევ ბურუსში გაიდღაბნება.

— აი, შენ კი გაგიწყრა ღვთისმშობლის მადლი, შენა! — ესმის ხრიწიანი ქოქოლა.

— გამწყრალი აქვს და ეგ არის, სიკვდილსაც არ უნდა ეგ ჯოჯოხეთის მოციქული, ეგა!

— მაგის ხნის ქვა აღარ დაგორავს ამ სოფელში!

დაცარიელდა შარა, მიწყდა ხმები, ჩამოიმუქა. დარჩა ბებერი ანეტა მიწას დაჩერებული. გონებაში წელან გაგონილის ნაგლეჯები ბორიალობდნენ, მეხსიერებას უხათქუნებენ დაკონკილ კიდეებს. „შენ კი გაგიწყრა ღვთისმშობლის მადლი...მოციქულო...შენ კი გაგიწყრა...ღვთისმშობლის მადლი...ჯოჯოხეთის მოციქულო...“

უცებ ბებერ ანეტას გამოციებული სახე ერთბაშად ეძაგრება და თვალები უჩვეულოდ უფართოვდება...

— ბიჭო, კოლა, ახლა კი ფრთხილად მოუმარჯვე ბარი, ამაზე ღრმად ხომ არ დაფლავდა ეგ ჯოჯოხეთის მოციქული, ეგე! ბაღის ბოლოში ჩარიგებული ჭანჭურების ქვეშ ერთი კაცი მიწას თხრის, სხვები გარს შემოეხვევიან და მითითებებს აძლევენ.

— აი, შენ კი გაგიწყრა ღვთისმშობლის მადლი ამ მარიამობის დღეს, შე შავ მიწაში ჩასადგმო, შენა!-წამოიძახებს განაპირას მდგარი გაავებული დედაკაცებიდან რომელიმე და წყევლა-კრულვას მიაყრიან დანარჩენებიც.

— რა ეგონა, ვერ ვატყობდით, გაბერილი რომ დადიოდა?!

— ჩამოვიდა გუშინ დილას წყაროზედ უმუცლოთა!

დედაკაცების წინ ნორჩი, ლამაზი ანეტა დგას პერანგისამარა, წელამდე აყრია გიშერივით შავი თმა, გიშრისფერივე ამოღამებული თვალები საოცრად უპრიალებს.

ობოლი ანეტას ბაღში ნახევარ სოფელს მოუყრია თავი, გადაუჯეგავთ დახუნძლულ ვაშლებს შუა ჩარიგებული ლობიო და სიმინდი.

— ვაი, —უცებ დაიღმუვლებს კოლა და აბუტუნდებიან კაცები. ქალების კივილი ცას მისწვდება და ერთხანს დუმილი დაისადგურებს. კოლა ხელიდან ბარს აგდებს, რეტიანივით გამობარბაცდება და პირველივე ვაშლის ხეს ჩაეკონება. განზე გადგებიან კაცები. მოხუცი გუცა ორმოსთან ჩაიჩოქებს, წაიხრება, აკანკალებული ხელებით ამოიღებს ჭინჭებში გახვეულ რაღაცას, მუხლებზე ხალხისაკენ მოტრიალდება, მიწაზე დასვენებს და ფორთხვით გაერიდება. ისევ აივლებიან ქალები და ისევ ჩამოსკდება სიჩუმე.

— ცოდვისშვილოო, საცოდავო ცოდვისშვილოოო, —აღუღუნდება მოხუცი მართა, რწევა-რწევით წავა წინ, ძირს დაუშვება და ფრთხილად, მზრუნველად ჭიჭინებს შემოაცლის ჩვილის გალურჯებულ გვამს. — გაგაღვიძევით, პატარაა, გაგაღვიძევით, ცოდვისშვილოო?

გულში მჯიღს დაიცემენ დედაკაცები, მისცვივდებიან ქვად ქცეულ ანეტას, თმით

დარბაზში ჰანგებად იღვრება დაუოკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიათრევენ ორმოსთან, გადაბამენ ჭიჭინებს, ყელზე ჩამოჰკიდებენ, შიგ ჩაუწვენენ გვამს და გაიგდებენ წინ. აატარ-ჩაატარებენ შარაზე, მთელი სოფელი, დიდ-პატარიანად მისდევს უკან და წყევლა-კრულვას აყრის.

საღამოხანს, საყდრის იქით, სასაფლაოს ბოლოში პაწაწინა საფლავს თხრიან კაცები, ყელიდან ტვირთს ჩამოხსნიან ანეტას, სახელდახელოდ გაკეთებულ პაწაწინა კუბოში ჩაასვენებენ და ხელმეორედ ასაფლავებენ.

დგას ქვად ქცეული ანეტა.

— ნეტავი ვისი იყო? — ჩურჩულებენ დედაკაცები.

— გაღმა და გამოღმა სოფლისა, ქვეყნის ოხერი დაუდიოდა.

— ვერ ვუპატრონეთ ობოლ გოგოს, — გმინავს მოხუცი გუცა.

გვერდს აუქცევენ ანეტას, გაიკრიფება სოფელი სახლებში, ვიღას ახსოვს მარიამობის დღესასწაული, მთელი კვირის სამზადისი.

ის ღამე ახალ საფლავზე აგდია გონწასული უპატრონო ანეტა. გარიჟრაჟზე სოფლის შარაზე მოლასლასებს პერანგისამარა, თავისი ქოხის კარს შეაღებს და სოხანეზე დავარდება.

...

გარიჟრაჟზე ღამისთევიდან ბრუნდება სოფელი. მუხის ქვეშ, ღობესთან პირქვე გდია ბებერი ანეტას უსულო გვამი.

კოლაჟი

მუსიკალური პიესა

ბელი ჟინი, აუხსნელი გამიჯნულობა, გადაჩეხილი ძახილი და გაწონასწორებული ლტოლვა, გამჭვირვალე ერთობა, განფენილი თხრობა. ზვირთებად მოვარდნილი არპეჯიოები, მიკროთემების კასკადი, მოულოდნელად უცილობლად სი ბემოლზე რომ წყდება და შეკითხვებად გაისმის: აკორდები, ხმაჩახლეჩილი აკორდები გაიქცევიან და სიმყარეს ვერ აღწევენ, მიწა ეცლებათ ფეხქვეშ...მერე დამშვიდდება, გაივაკების თემა, დაიწმინდება ბგერა, ხმას შეუწყობენ ტრიოლები, გაცხადდება ამბავი, კანონზომიერი დასასრულისაკენ წავა და...ისევ სულის ცეცებით ყიალი, გაუსაძლისი წყურვილი...დარბაზში არიან ორივენი.დიანა რომ მოვიდა, მაესტრო მოსაცდელში იდგა და მაესტროს ჩათვლით ყველამ სათითაოდ ჩამოართვა ხელი. მერე ის იყო, კონფერანსიემ ბოლო სიტყვები წარმოთქვა —ასრულებს ავტორიო, რომ კულისებში ნიკა შემოვარდა: დედა მოვიდა, შეიძლება მასთან დავჯდეო, და კიდევ კარგი, პასუხს არ დაელოდა, თორემ დიანამ არ იცოდა, რა ეპასუხა. ნისლი...პატარა გოგო საკუთარ ანარეკლს მისჩერებია სარკეში და რაღაც ამოცანის ახსნას ლამობს: ეს მე ვარ, მე ვარ, მე ვარ, ...რა...ვინ...უკვდავი...არ დავბერდები...მე ვარ...სულ ვიქნები...ვიყავი...სად...ეს მე ვარ...იქამდე იმეორებს გონება, ვიდრე უსასოობას შიში არ შეცვლის და სარკეში ანარეკლი არ შეიმღვრევა. მერე ერთბაშად თავს გააქნევს, თვალებს დახუჭავს, ისევ გაახელს და სარკეს შორდება. პიანინოს ახდის, კლავიატურას დააცქერდება და უცებ თითებით დაედევნება რაღაც მქროლავს, დაუდგარს...მიეწევა, საცაა უნდა წაატანოს ხელი, მაგრამ უსხლტება, უსხლტება...ეპარება მაინც, თითებში მოიმწყვდევს, დაეუფლება, ჩაუსახლდება...ნისლი...

დედა, მამა მოვიდა...რა უცებ დაალაგა ბავშვმა ათი წლის მოუვლელი, ნებაზე მიშვებული და გაველურებული, ათი წლის წინათ დაწყებული, ძირშივე მოკვეთილი, უფესვოდ განტოტილი და გაფოთლილი. შეხვდნენ, შეეყვარდათ, შეუღლდნენ... ნისლი...უშენოდ მოკვდები, კიდევ კარგი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გიპოვნე, რა კარგია, რომ მიპოვნე...მოლბერტი, ხატვა და ხატვა გაუთავებლივ, საღებავების განზავება, ფუნჯების წმენდა, ტილოების გადაჭიმვა...პიანინო, დაკვრა და დაკვრა გაუთავებლივ, ტონალობების ძიება, ბგერის აღმოჩენის სიხარული, აქ დიეზი, იქ ბემოლი...ვნება, გაშმაგებული ხვევნა-ალერსი, ერუანტელი და ნეტარება...რა ბედნიერი ვარ...მეც ბედნიერი ვარ...რა უყავი ჩემი ფანქარი, გესმის, გასკდა თავი, რას ჩაიცინდი მაგ მელოდიას...შემკრთალი თვალები, საღებავით დადღაბნილი კლავიშები, დარტყმის მოსაგერიებლად აფარებული ხელები...მაპატიე, მიყვარხარ, უშენოდ მოკვდები...ენინიანი კოცნა, ვნებიანი ხვევნა, ერუანტელი...დღეს ნუ დაუკრავ, სიმშვიდე მინდა, გამოფენამდე ცოტაღა დარჩა...დღეს ნუ დაუკრავ, ახალ სურათზე უნდა ვიფიქრო, ოთახიდან გადი, ან სჯობს, ცოტა ხნით მშობლებთან დაბრუნდე...მოხვედი? კარგია, რომ მოხვედი...პიესა დაწერე? მომასმენინე? ყოჩაღ, კარგია. მიდიხარ? კარგი. მოხვედი? რას უნდა გატყობდე? მართლა? მიყვარხარ...ბავშვი გააჩუმე, გააჩუმე, თორემ გავგიჟდები! რა ჯოჯოხეთია! წაიყვან? კარგი...დინა, შენა ხარ? სად ხარ, რატომ არ მოდიხარ? როგორაა პატარა? რაო? როგორ ბედავ? მე მაგას არ დავუშვებ! უკვე შეიტანე? ორ თვეში? არ გაპატიებ!

სასამართლოში არ გამოცხადდა ერთხელ, მეორედ, მესამედ, მეხუთედ, მეშვიდედ და ბოლოს გაბეზრებულმა მოსამართლემ გამოიტანა განქორწინების გადაწყვეტილება. ტკივილიანი ტანჯვა, ლოგინიდან აღარ ავდგები, ვიწვები წლობით, ვიდრე სიკვდილი არ მომაკითხავს და ვუყურებ ბავშვის გაზრდას. იწვა ერთ კვირას, მეორე კვირას, არ ესმოდა ბავშვის ტირილი, ჟღურტული, ელოდა მას, იქიდან კი არაფერი ისმოდა. მერე უფრო გამყარდა ნისლი და დინა თანდათან ფეხზე წამოდგა. საათები კლავიშებთან, დღეები, თვეები და წლები, ისევ ძიება, ისევ მუსიკა...გადარჩა! უკან აღარ იყურებოდა. ხუთიოდწლის წინათ გამოუგზავნა ნათესავი, ბავშვი მაჩვენე, დაგეხმარებითო; მეორედ, მესამედ; სამჯერვე გაიხსნა ჭრილობა, რად უნდოდა შუამავალი, ნუთუ დინასთან აღარაფერი ესაქმებოდა? სამჯერვე უარით გაისტუმრა. ეს იყო და ეს. მერე თვითონ მიაკითხა ბავშვს სკოლაში, მიიჩვია და დინას დაუკითხავად თავიც შეაყვარა. ბავშვი მამას მაინც ვერ ეძახდა, ხანდახან ეტყოდა ხოლმე დინას, დღეს „ის“ მოვიდაო და დინაც არაფერს ეკითხებოდა.

ნისლი...ცხოვრებამ გვერდზე ჩამოიარა, განცდები მხოლოდ კლავიშებთან, წარმოსახვაში. ნამდვილი სიცოცხლის წყურვილი, ვიხრჩობი!...ვიღაცის მოლოდინი. ის გასულ ზაფხულს გამოჩნდა, გასულ ზაფხულს, როგორც მამაკაცი, ისე გამოჩნდა, თორემ ცნობით უკვე სამი წელია იცნობდა და ისეთი უკიდურესი პატივისცემით იყო გამსჭვალული, ლამის სუნთქვა ეკვროდა ხოლმე შეხვედრისას...დო მინორში სჯობს, აქ გრავე, მთავარი თემა წარმოაჩინე...ადაჟიო...კანტაბილე...იქ სი ბეკარი...აქ მერვედია...მათი ოსტატ-შეგირდული ურთიერთობა უჩვეულო, უცხო თვალისათვის საეჭვოც იყო. ეს ორივემ იცოდა და ამიტომ სიტყვა არავისთან დასცდენიათ; ერთმანეთი კი არ გაუფრთხილებიათ, ჩვენი შეხვედრების შესახებ არავის უთხრაო, თვითონვე იგრძნეს, რომ ასე იყო საჭირო, თორემ გაფრთხილებისაკენ უბრალო მინიშნებაც კი გააფუჭებდა, გააიფებდა ყოველივეს და დაიფრთხობდა ორივეს, მეტადრე დინას...მკვეთრი სტოკატო...პაუზა...პიანისიმო...მეთექვსმეტედი...აქ ბემოლი სჯობს...ეს უნისონი ცოტა ყალბად ჟღერს...სათუთად შეინახეს ის სამი წელი და მერე ნავსი ოსტატმა გატეხა: „მიყვარხარ!“ მეც მიყვარხართო, ანგარიშმიუცემლად მიუგო დინამ, მაგრამ იმ სიყვარულს არ გულისხმობდა. ასე თავისუფლად იმიტომ უპასუხა, რომ მასთან ყოველთვის მშვიდად გრძნობდა თავს. მერე აღმოჩნდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ კაცი მართლა იმ სიყვარულზე ლაპარაკობდა. დინას გაუკვირდა, ერთი დიდი მინუსი დაუწერა გუნებაში და ცოტა კიდეც ეწყინა, რომ ის თითქმის ჩვეულებრივი აღმოჩნდა; მაგრამ პატივს სცემდა, მისი ამაგი ახსოვდა და მართლა უყვარდა, თუმცა ჩვეულებრივად. თანდათან დაჰყვა, იმიტომ, რომ სჭირდებოდა განცდები, იმიტომ, რომ სანდო იყო...ნისლი ყმაწვილობისდროინდელ ჩემს თავს მაგონებ, ისეთი ჩემი ხარ...მე მომწონს შენი სხეული...აქ რეპრიზა ზედმეტად მეჩვენება...ფორშლაგები გამჭვირვალებას შემოიტანს...აქ კონტრაპუნქტი...სინკოპა...თემას დახვეწა სჭირდება...შენ ჩემთან კარგად იქნები...აქ კრეშენდო...მდორედ, მშვიდად მიდიოდა ყოველი...და ერთხელ...გახდი ჩემი ცოლი!...აკიოლდა მოგონებები: უშენოდ მოვკვდები, რა კარგია რომ გიპოვნე...გაშმაგებული ხვევნა-ალერსი...დაუოკებელი ჟინი...გადაჩეხილი ძახილი...

ის დარბაზშია...მასთან მოვიდა, ახლა უკვე დიდი მხატვარი. ეს ცხოვრებაა, ნისლში გალანდული სინამდვილე და უნდა გაიფანტოს ნისლი, ვიდრე თითები უკანასკნელად მოსწყდება კლავიშებს და მუხლებზე დაესვენება.

დედა, მამა მოვიდა!

ხმაჩახლეჩილი აკორდები გაიქცევიან. სიმყარეს ეძებენ...

დედა, მამა მოვიდა!

უკიდურესად დაჭიმულ თემას ზვავივით ატყდება ძლიერი კადენცია... დედა, მამა მოვიდა! სამი მეხივით აკორდი, და ნისლი მთლიანად იფანტება.

ღრუბელი

ღიმილაკრული შედის ლაბორატორიაში და მისალმებებს არიგებს. მაგიდას მიუჯდა, უცხოური ჟურნალი გადაფურცლა და სტატიები გადაათვალიერა, წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა, კომპიუტერთან დაჯდა, ჩართო და ისევ ადგა...გულს ვერაფერს უდებს. სრული ათი დღეა მისგან არაფერი მსმენია. ასეთი დიდი შუალედი ჯერ არ ჰქონიათ. უშედეგოდ ელოდა ტელეფონის ზარს შინ თუ სამსახურში. მერე ისევ აუტანელი შაბათ-კვირა, როცა ის შინაა და დარეკვა განსაკუთრებით უჭირს შინაურების გამო. როგორც იქნა, ეს ორშაბათიც დადგა. იცის, ახლა სასოწარკვეთილი გამომეტყველება აქვს, ასე ჰგონია, ყველა ატყობს ამ ოთახში, რაც უჭირს. ეს ათი დღე ყურმილის აღებას ვერავინ ასწრებდა, მაგრამ ან სხვა ურეკავდა, ან სხვას ურეკავდნენ. ეგონა, ისიც ეტყობოდა, თუ როგორ ელოდა ერთ ზარს. შინაც იგივე მდგომარეობაა. პარასკევ საღამოს რომ ვეღარ მოითმინა, თვითონ დაურეკა.მან უპასუხა. დინამ „გამარჯობათო“ უთხრა თუ არა, ყურმილი დაუკიდა. ოფლმა დაასხა, ყურებმა შეხეილი დაუწყო, სამიოდ წუთს გარინდებული იჯდა და აზრს ვერ იბრუნებდა. მერე ერთბაშად დაუბრუნდა ცნობიერება, ყელი მოიღერა და უჩვეულო სიამაყე დაეუფლა. იმ წამებში აღარ სჭირდებოდა ის, წამოდგა, თავისი ოთახიდან გავიდა, ბავშვი ხელში აიტაცა და მიეფერა. ქმარმა წიგნიდან თავი აიღო და სიყვარულით ახედა ცოლ-შვილს. ძლიერი, დამოუკიდებელი, თავისუფალი იყო ერთხანს. მერე თანდათან ისევ ჩაიძირა ნაღველში, ეჭვებში, უსასოობაში. თერთმეტი სრულდება, ახლა ალბათ სამსახურშია და უსათუოდ დარეკავს. მაგრამ რომ არ დარეკოს...ოთახში კიდევ სამი ადამიანია, მაგრამ დინა შეუპოვრად სწვდა ყურმილს. „დიახ“,-მისი ხმაა. „ალო,“-ამბობს გაუბედავად, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ხმა გააგონოს. ის ცარიელია. შედის და გამეტებით

კრეფს იმავე ნომერს. სხვა პასუხობს. „თავი ამარიდა“. ყურმილს დებს და ყურები შხუილს უწყვეტენ. ჯიქურ წამოიჭრა, თავის ოთახში შებრუნდა, ჩანთა აიღო, დაიბარა, მალე მოვალო და გავიდა. დერეფანში თვალთ უბნელდება, ასე ჰგონია, გვირაბში მიდის, თითქოს ვიღაც გამოელაპარაკა, თითქოს მიუგო, მალე დავბრუნდებიო, და კარს მიადგა. ლიფტის ლოდინს ვერ აიტანს, მიქრის, არ აზროვნებს, ხელები თავის ნებაზე მოძრაობენ, უკვე რაღაც მანქანაში ზის, მოედანზე აჩერებინებს და მსხვილ კუპიურას აწვდის. „ვაითუ გამასწროს, მემალება!“ ხურდას არ ელოდება, სწრაფად გადმოდის, პატარა, მშვიდ ქუჩას აირბენს. თანდათან უბრუნდება ცნობიერება. კიბე აათავა. მისი ოთახის კარი ღრიჭოდაა დატოვებული. თვალი მოჰკრა. „მოვუსწარი!“ ოთახში კიდევ ორი თანამშრომელია. კარს მორიდებით აღებს და კითხულობს:

— შეიძლება?

წამოდგა, ხელი ჩამოართვა და აკოცა. თანამშრომლები გაუღიმებენ და საუბარს აგრძელებენ. ერთი-ორჯერ დინასაც ჰკითხა რაღაცა, თავაზიანად პასუხობს, იღიმება, შინაგანად მათგან რაღაც მხარდაჭერას ითხოვს, თვითონ მას შეხედვას ვერ უბედავს და არ უნდა, ძალიან არ უნდა, რომ ის ორნი ოთახიდან გავიდნენ. ეშინია, ჰგონია, რომ გააძევებს. საუბარი მთავრდება და ის ორნი ოთახიდან გადიან.

— როგორ ხარ? — ეკითხება.

— ავად იყავით? — კითხვითვე პასუხობს და გაუბედავად უყურებს. „ნაავადმყოფარს ჰგავს“.

— არა, ღრმა დეპრესია მქონდა, შინიდან არ გავდიოდი, ნელ-ნელა გამოვდივარ მდგომარეობიდან. შენი ნახვა ერთობ დადებითად იმოქმედებს.

— მე ხუთ წუთს დავრჩები, შეიძლება?

— მეტი იყოს!

— მე...მე უთავმოყვარეობო არ ვარ, მაგრამ...შუქი...სიცხადე მინდოდა...

— როგორ, როგორ თქვი? უთავმოყვარეობოო? — ეღიმება. — ღრუბელო, ეს დღეები დარეკვას და ლაპარაკს ვერ ვახერხებდი, ცხრა მოწმე მადგა თავს. იმედი მქონდა, მაგრად იქნებოდი. ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ თუ არ ვრეკავ, მაშ შეუძლებელია დარეკვა. დღესაც იმიტომ გავთიშე, რომ ამდენი ხნის შემდეგ მშრალად და სიმბოლოებით ლაპარაკი არ შემეძლო. ვიფიქრე, ესენი რომ გავლენ, მერე დავფურეკავ-მეთქი. მართლა, ასე სწრაფად როგორ მოხვედი?

— მანქანა გავაჩერე, ვიფიქრე, გამექცეოდით. გაურკვევლობაში ყოფნა აღარ შემეძლო...

— რატომ უნდა გაგქცეოდით?! განა მე არ გიპოვნე?! რა ვერ გაარკვიე? ნუთუ ვერ ხვდები, რომ მაგ უნდობლობით შეურაცხყოფას მაყენებ? იცი, ძალიან მიყვარხარ და მეტისმეტ პატივს გცემ იმისათვის, რომ რაიმე, სულ ცოტაოდენიც კი მოგატყუო. მე ხომ ყველაფერში ბოლომდე გენდობი, შენ რატომ...

— მაპატიეთ.

— კარგი ქენი, რომ არ დაიზარე და მოირბინე. ახლა გაერთიანებული ძალებით შევუტევთ ამ მაჯლაჯუნას. შენ ყოფილხარ დეპრესიაში?

— არა, მიზეზი კი ბევრჯერ მქონია. თუმცა აპათიაში მუდმივად ვარ.

— მე კი ყოველ წელს მემართება ხოლმე. ჰო, მართლა, შენზე ამბობენ, მაგარი გოგოაო, მართალია? — ცდილობს როგორმე გადააბიჯებინოს ბარიერს.

— თქვენს გარდა ამას არავინ ამბობს, —ბარიერს იქით რჩება დინა, მაგრამ უკვე შვებით სუნთქავს. —წავედი.

— ზეგ შეგიძლია?

— შევძლებ.

— ზუსტად იმავე დროს მოვალ. ალბათ ისევ შენ მიმასწრებ.

კარამდე აცილებს და კოცნის.

დინა მშვიდად მიაბიჯებს ქუჩაში, უხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია მზე, უხარია ახალი შინდისფერი შარვალი, დღეს სასოწარკვეთილებასთან გასამკლავებლად რომ ჩაიცვა, აკვირდება ადამიანებს. სიამოვნებს ყმაწვილების ალერსიანი მზერა, უხარია გაფოთლილი ხეები, უყვარს ძველი კედლები, ასფალტიდან უნებურად ქვაფენილზე გადადის და ქუჩას მაღლა მიუყვება. გზა აქეთ არ აქვს, მაგრამ ჰგონია რომ გადაუხვიოს, ეს ნეტარება მაშინვე გადაიკლის, ცნობიერება ბურუსში ლივლივებს; თითქოს ნაბიჯს არც ადგამდეს და ესკალატორზე იდგეს, შეუმჩნეველ ალმართზე სულ მაღლა და მაღლა მიიწევს. ბურუსი ერთბაშად იფანტება და ხედავს ტაძარს, ცნობიერება მყარდება, შემკრთალი პირს იბრუნებს და სწრაფი ნაბიჯით თავდაღმა დაუყვება. სამსახურში მიიჩქარის. „ღრუბელო, ღრუბელო...აბა, ღრუბელს ყველას ყველას ხომ ვერ დაარქმევს, ღრუბელი მარტო ჩემია.“

ამჯერად ლიფტს დაელოდა, მესამე სართულზე ავიდა, მშვიდად გაიარა დერეფანი, ოთახში შევიდა და მაგიდას მიუჯდა.

შავი ულაყი შეკაზმა. შავი მძიმე ბათინკები აცვია, შავივე გახუნებული სქელი შარვალი და ქურთუკი. წვიმა ახლადგადაღებულია, ნისლი ჯერ კიდევ აწევს მთების კალთებზე შეფენილ ნაძვნარს. მწვერვალებიც სანახევროდ ჩანს.

— დირექტორმა თათბირი დანიშნა და პირველ საათზე ყველანი მის კაბინეტში შემობრძანდით, — ოთახში თავი შემოყო მდივანმა ქალმა.

შავი, მძიმე კლიტე დაადო დარბაზს, ეზოს ჭიშკარი გადაარაზა და ულაყზე შეჯდა. თავდაღმართი ჩაათავა, აქაფებულ მდინარეზე გადებული ბეტონის ხიდი გადაიარა და ასფალტს გაუყვა. კანტი-კუნტად ხვდება გამვლელი, ერთი-ორი მანქანაც ჩაუვლის. აი, სოფლის მოედანზე კი საკმაოდაა ხალხი, წვიმის შემდეგ რომ გამოიშლებიან ხოლმე. შავ, ჯიშიან ულაყზე შემართული მხედრის დანახვა არ უკვირთ, თვალი შეაჩვიეს, მაგრამ მაინც წყვეტენ საუბარს და ზოგი მალვით, ზოგიც დაუფარავად უმზერს.

— პირველი შესრულდა, — შემოიხედა ბესომ.

დირექტორის კაბინეტში თორმეტამდე თანამშრომელი შევიდა. დინამ იქაურობას თვალი მოავლო, თვალსაჩინო ადგილას მდგარი სავარძელი გამოარჩია და როცა თანამშრომლები კედელთან მიჯრით მიდგმულ სკამებზე ჩამორიგდნენ, იმ სავარძელში ჩაჯდა, მზერა დირექტორს მიაპყრო და გაირინდა.

— სამეცნიერო კონფერენციის მასალები წავიკითხე...

შავსამოსიან მხედარს თვალი არსად გაურბის, დაჟინებით გაჰყურებს ჰორიზონტს. ოქროსფერი დალალები ოდნავ მოუჩანს თავსაბურიდან. მხრებზე რომ ეფინოს გამომწვევი გამოჩნდება, მას კი სულაც არ უნდა ხალხის სალაპარაკო გახდეს. ერთი მიზან-სურვილი აქვს — ზემოთ უნდა ავიდეს, იმ ტყიანი მთის წვერზე და ღრუბლებში გაერიოს.

— კონფერენციამდე ორი თვე რჩება...

წვიმით დამბალ მიწაზე მედგრად აბიჯებს შავი ულაყი, ფეხი ერთხელაც არ დასხლტომია. ცოტაღა რჩება წვერამდე, მხედარი მალე აისრულებს საწადელს; მაგრამ მზე მძლავრობს, ნისლი გაიფანტა და ღრუბელი გამალებით აიჭრა ცაში. ვერც დღეს მიუსწრო.

— ეს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება აქამდეც გამოიყენებოდა, მაგრამ...

წარბიც არ შეტოკებია მხედარს. არაფერია, როცა იქნება მიუსწრებს. ჩამოქვეითდა. მიაბიჯებს თაკარა მზის ქვეშ, გზადაგზა კენკრას კრეფს და ველურ თაფლს აგროვებს. არაფერია! კიდევ ამოვა, აისრულებს საწადელს. ზურგზე მოექცა ულაყს.

— შეიძლება ითქვას, აღმოჩენის ტოლფასი გამოკვლევა...

უკან ბრუნდება შავოსანი მხედარი,

ბურავიდან. სოფლის შემოსასვლელში ჩამოქვეითდა. აღვირით მოჰყავს შავი ულაყი, თვალი არსად გაურბის, დაჟინებით გაჰყურებს ჰორიზონტს.

— ჩვენი ინსტიტუტის სახელოვანი ტრადიციები...

შავი ულაყი მორჩილად მისდევს ულაყს უკან. ხალხს არ უკვირს მათი დანახვა, თვალი შეაჩვიეს უკვე, მაგრამ მაინც წყვეტენ საუბარს და ზოგი მალვით, ზოგიც დაუფარავად უმზერს.

—დისციპლინაზე ნუღარ მალაპარაკებთ. სამუშაოს ცხრა საათზე ვიწყებთ და ხუთზე ვამთავრებთ. როცა არ უნდა დამჭირდეთ...

აქაფებულ მდინარეზე გადებული ბეტონის ხიდი გადაიარა, აღმართი აათავა, ეზოს ჭიშკარი გააღო და...

— სად ხარ, ეი, დაბრუნდი, —წასჩურჩულა ბესომ.

დინა არ შერხეულა, ისე დააბრუნა გონება დირექტორის კაბინეტში. თამბირი მთავრდებოდა.

— თავისუფალი ხართ. დინა, თქვენ დარჩით.

თანამშრომლები გაიკრიფნენ.

— დინა, თქვენი დისერტაციის აპრობაცია ერთ კვირაში ჩავატაროთ. მგონი, ყველაფერი მზად გაქვთ.

— დიახ, —მორჩილად უპასუხა, სწრაფად ადგა და გამოვიდა.

— რაო, სად იყავი, სად დაფრინავდი? — ღიმილით ჰკითხა მისი ოთახის კართან ჩამომდგარმა ბესომ.

— სადაც მინდოდა იქ, —უგერგილოდ მიუგო, ოთახში შევიდა და მაგიდასთან დაჯდა.

დარბაზი გაღო და უნაგირი შიგნით შეიტანა. კენკრას და ვილუარ თაფლსაც იქვე მიუჩინა ადგილი. მერე იქაურობას მოავლო თვალი. უნდა დაალაგოს. ის ხომ ზეგ მოვა.

მწერალი ვარ!

ოქროსფერი დალალი ჩამოშლია თავსა-

მე წერას ვიწყებ! მე წერას ვიწყებ, რადგან რა ხანია ვიცი, სულით ხორცამდე მწერალი ვარ, თუ დიდი არა, პატარა მაინც. რატომ ვარ ასე თავდაჯერებული? იმიტომ, რომ ვგრძნობ, ვხედავ, სხვანაირად ვუყურებ გარემოს, ადამიანებს, მოვლენებს, ყველაფერში რაღაცას ვეძებ, ყოველ წვრილმანში ვცდილობ დავინახო ის, რაც სხვებს არც მოაფიქრდებათ.

ლოდინს ვერ ვიტან. სხვები რომ მოთმინებით იცდიან ავტობუსის გაჩერებაზე, მე ერთ წამს დავდგები, იმავე წამს ვკარგავ მოთმინებას, რადგან ვერ ვეგუები უძრაობას და ფეხით გავუყვები ხოლმე. მივაბიჯებ ჩემთვის და ერთთავად რაღაცას ვჩიჩქნი, იმიტომ, რომ მწერალი ვარ. აი, მაგალითად, იმ დღეს ვხედავ, „ჟიგულის“ საჭეს შუახნის მსხვილ-მსხვილი ქალი უზის, ისეთი, საჭესთან რომ გეუცხოვება. კაპოტზე ბენზინის ჭურჭელი შემოუდგამს, ჩანს ბენზინი გაუთავდა. მე რომ ჩავუარე, მის წინ ახალგაზრდა, სიმპათიურმა ყმაწვილმა გააჩერა გასისინებული „ფორდი“. მივდივარ, მგრამ სულ უკან-უკან ვიხედები, მაინტერესებს რისთვის გააჩერა იმ ყმაწვილმა მანქანა, ბენზინი ხომ არ უნდა ჩაუსხას. ყმაწვილი გადმოვიდა. მივდივარ და ისევ უკან ვიხედები. სხვები მიდიან და წინ იყურებიან. მე უკან ვიხედები, იმიტომ, რომ მწერალი ვარ და მინდა გავარკვიო, თუ რატომ გააჩერა ყმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვილმა მანქანა და რატომ გადმოვიდა. ის ყმაწვილი იქვე, მაღაზიაში შეიდის. მაშ, იმ ქალის გულისთვის არ გაუჭირებია. გასაგებია და სავსებით ლოგიკური. არადა, იმისათვის რომ გაეჩერებინა და ბენზინი მიეცა, როგორი გულის ამრევი სიკეთე გამოვიდოდა, იმიტომ, რომ ქალი შუა ხნისაა, დედად ან ბებიად ერგება და თანაც შეუხედავია. ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, ხომ მისთვის გაიჩერებდა. იმ ქუჩაზე ნეტა სხვამ თუ იფიქრა ამაზე, ან საერთოდ ვინმემ თუ შენიშნა ის ჟიგულიანი ქალი და ფორდიანი ყმაწვილი? თუმცა, შენიშვნით როგორ არ შენიშნავდენენ, მაგრამ ამდენი ფიქრით, მჯერა, მარტო მე გავიცხელე თავი, იმიტომ, რომ მწერალი ვარ.

ტელეფონი რეკავს.

— ზურიკო, ბიჭო, უნდა მიშველო, ელექტროკარდიოგრაფის პასპორტი უნდა მითარგმნო, ახალ მეთოდს...

— თიკუშ, გენაცვალე, ამჯერად უნდა მაპატიო, ჩემი საქმე მაქვს.

— როგორ, უარს მეუბნები?

— ო, მე წერას ვიწყებ, იმიტომ, რომ ვიცი, სულით ხორცამდე მწერალი ვარ. ბულგარეთში ვიყავი ტურისტულ ჯგუფთან ერთად. რომელიღაც ქალაქში შევჩერდით. სასტუმროში გიდმა გვითხრა, ოცდახუთიოდ კილომეტრში ბაჩკოვოს ქართული მონასტერია და თუ მძღოლს ხუთ-ხუთ ლევს მისცემთ, წაგიყვანთო. ჯერ გაისუსნენ, მერე ერთბაშად აყაყანდნენ, დავიღალეთო, ერთმა ურცხვმა დედაკაცმა ნავსი გატეხა, ხუთ ლევად ერთი კი „მიიკას“ ვიყიდიო, კაცებმა კიდევ ცივ „ჰივას“ დავლევთო და მიიფენტ-მოიფენტნენ. გულში ყველას შევუკურთხე და მძღოლთან მივედი, ბაჩკოვოში წაყვანა ვთხოვე. ასი ლევი დაგიჯდებაო. ფული გადავთვალე, დარჩენილი გროშები ჯიბეში ჩავიბრუნე და მივეკი. მწერალი ვარ და იმიტომ. წინაპრის კვალზე გავლა მომინდა და კიდეც გავიარე, იმიტომ, რომ მწერალი ვარ.

[illegible] სარულსა ვწერ, ალბა [illegible] მეუბნებიან, [illegible] ამ ჯერ [illegible] თოკუშ, [illegible] შენცა, ბიჭო კოტიკო, ხომ დაგიწერე მაგარი რეზენცია შენი ლექსების კრებულზე. მორჩა, მეყო თქვენი სამსახური, ჩემი უნდა დავწერო, ნამდვილ მწერლობას ვიწყებ.

ოცდაათს გადავბიჯე და ახლა ვიტკიცე, არადა, რა ხანია ვიცი, სულით ხორცამდე მწერალი ვარ. ნაცნობი ბიჭი მოკვდა, უცაბედად. გასვენებაზე წავედი. დიდი ტირილი და უბედურება იყო, ქალებმა დედამისი გაკაკვეს, მოგლეჯეს კუბოს და გაარიდეს იქაურობას. მამა თავად მოშორდა და განზე გადგა. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ მეგობრები, მეზობლები, ნათესავები. „წაიყვანეთ, კაცებო, მამამისი, ვფიქრობ, მე რომ მოვკიდო ხელი, არ ივარგებს, ახალგაზრდა ვარ და მეტჩარობაში ჩამეთვლება; ჰეი, ჭარმაგო კაცებო, წაიყვანეთ, არ გაიგონოს ჩაქუჩის რაკარუკი“. ხელი არავინ მოკიდა, ახლო არავინ გაეკარა, ბაასობდნენ თავისთვის. მე და მამამისს ერთნაირად გვხდებოდა ჩაქუჩის ყველა დარტყმა გულში. „ახლა ქვების რახარუხი ატყდება, მიდით, კაცებო, ხელი მოხვიეთ, თქვენი მკლავების ძალა მიეცით, გამაგრეთ უბედური.“ გაგიგონია, განაგრძობენ ბაასს, კაცი კიდგას გაშშებული. „თქვენ დაგეყაროთ მიწა“, დედაკაცივით ვიწყევლები და მისკლას მაინც ვერ ვბედავ გამწარებულ მამასთან. მარტო მე ვიტანჯები ჭირისუფლის ტანჯვით, მწერალი ვარ ხორცამდე და იმიტომ.

— ზურიკო, დათო მოვიდა, — შემოდის ჩემი ცოლი, დათოც უკან მოჰყვება.

— ბიჭო, გაზეთი მიკვდება, ავანგარდისტების გამოფენაა გალერეაში, ვრცელი სტატია უნდა გამიკეთო სასწრაფოდ.

— ვრცელი, არა?! დათო, ძმობილო, დღეს მე შინიდან ფეხს არ გავადგამ, — სულის მოთქმას არ ვაცლი, ზურგს ვაქცევ.

— მღუპავ?

კრიჭაშეკონული ვზივარ მაგიდასთან და აღარაფერი მეყურება. მხატვრებიო, ფიზიკოსებიო, მედიკოსებიო...მეყო ამდენი სულიერი პროსტიტუცია, აღარ მინდა ცოტათი მხატვრობა, ცოტათი ფიზიკოსობა, ქიმიკოსობა, მედიკოსობა, ცოტათი კრიტი-

 კოსობა, მოკრიველობა, მთარგმნელობა...არა, ძმაო, სანახევრო არაფერი ვარგა. მე მწერალი ვარ, გესმით, მწერალი, აქამდე გულში ვწერდი, ახლა ქაღალდზე უნდა დავწერო.

— ეს რა ქენი, ზურიკო, გაგიჟებული წავიდა ის ბიჭი, — ჩამესმის ცოლის ხმა.

— წავიდეს, შენც წადი, თავი დამანებეთ, მე წერას ვიწყებ.

ვარ მწერალი, მაშ! სხვას ვის მოუვა თავში, მე რომ მომდის ხოლმე. ერთხელაც, დავაბიჯებ დრეზდენის გალერეაში და ვტკბები დიადი ხელოვნებით. სხვებიც გადიგამოდიან დარბაზებში და ტკბებიან; მაგრამ მე ხომ მწერალი ვარ, ჰოდა მე მინდა განსხვავებულად შევიგრძნო, ხელშესახები გავხადო ჩემი განცდა. მარტო აღმოვჩნდი მურილიოს რომელილიაც ტილოსთან, აღარ მახსოვს რომელი იყო და არცა აქვს მაგას მნიშვნელობა, თუნდაც ველასკესი ან პიკასო ყოფილიყო. ჰოდა, მივიხედ-მოვიხედე, არავინ მიყურებს, ავწიე ხელი და ნეტარებით დავუსვი თითები ზედაპირს, მხატვრის ხელების ოსტატობას თუ რაღაც ამდაგვარს მინდოდა გამოვრჩენოდი სურათს. ჩემს მეტი იზამდა ამას ვინმე?! ყოველ შემთხვევაში იქ ეგეთი არაფერი შემიმჩნევია. კიდევ მახსოვს, რომელიღაც მუზეუმში ეპოქის სულის შეგრძნება განვიზრახე და როცა ახლოს არავინ იყო, შუა საუკუნეების რაღაც მომცრო ფიგურას შევახე ხელი. სიგნალიზაცია ჩაირთო და იმისთანა ზრიალი ატყდა, მტრისას...გაპარვით ვუშველე თავს. აი, ეგეთი ამოჩემება ვიცი, მწერალი ვარ და იმიტომ.

ბიჭო, ბესო, ორ დღეში გჭირდება არა, ეგ სტატია, დისერტაციისათვის მეჩქარებაო. ვერ მოგართვი, არ ვარ მე მთარგმელი, არ მაინტერესებს შენი კიბერნეტიკა.

მერე როგორი მწერლური ინტუიციაა მაქვს. მარშან მეზობლის ქორწილში ავედი. აუჰ, როგორ მოიწონა ხარშილაძეების პატარძალი! ბიჭიც არ არის ურიგო, მაგრამ იმ გოგოს რომ შევხედე, ვიგრძენი, საკუთარ ქორწილს არ ესწრებოდა, სიზმარში იყო თითქოს. არ გამოვა მანდედან არაფერი-თქვა. მოკლედ, მომეჩვენა, რომ მისი სული ვიცანი. წინათგრძნობამ გამიმართლა, მწერალი ვარ და იმიტომ — ორი თვის თავზე, შუაღამისას, ფეხაკრეფით გამოეპარა ქმარს სახლიდან და მშობლებს დაუბრუნდა.

ისევ დრეზდენში ვარ, მახსოვს, და გიდმა გვითხრა, იმ სასახლის უკან ერთი ადგილია თეთრად მონიშნული, იქ ნაპოლეონი მდგარაო. ისე მოისმინეს, ვითომც აქ არაფერიაო. წავედი, იმ თეთრ წერტილს მივაგენი, დავდექი ზედ, გავირინდე და შევეცადე ნაპოლეონის თვალით დაგვიერვებოდი სივრცეს. მწერალი ვარ და იმიტომ. საჩხერეში ჩავედით ღამით, კოკისპირულად წვიმდა, სისხამზე თბილისს უნდა წამოვსულიყავით. მასპინძელმა აიენიდან „მოდი ნახე“ დაგვანახა, ბნელში ვერც გაარჩევდი. გაჩაღდა ქეიფი. დავკარი ფეხი და იმ კუნაპეტში, იმ თავსხმაში, ყელამდე ტალახში გავუდექი გზას. თვითონაც არ ვიცი, როგორ მივაგენი ციხეს. ხომ ვარ მწერალი?! ბიჭო ბესო, კოტიკო, დათო, გოგო თიკუშ, შენცა, სალომე, ხომ მაგრად იქეიფეთ იმ ღამეს, გრძელ-გრძელ სადღეგრძელოებსაც იტყოდით. ღმერთმა შეგარგოთ!

გროტესკი ვარ, ვიცი, მაგრამ თქვენც რომ გროტესკები ხართ ყველანი? მე იმას მაინც ვგრძნობ, რომ გროტესკები ვართ მეცა და თქვენც, მწერალი ვარ და იმიტომ, სულით ხორცამდე მწერალი. რომც არაფერი დავწერო, მაინც მწერალი ვარ. მორჩა, მე წერას ვიწყებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა შაბათაშვილი-დავარაშვილი

თოვლი

გატყდა დამე,
დარდი სადდაც მიმაქანებს,
აი ისიც, ის ზელმრუდი ქარაშოტი.
მოგონების წიადიდან მოდის ქალი–
მაზსოვს, ერთად ასკინკილას
ვთამაშობდით.

...წლების ცეცხლი ზღაპარივით
წამეკიდა,
მარტო დავრჩი იმ სიზმრების
აკიდოთი.
თოვლი მოდის ჩემი სევდის განედიდან...
რა თქმა, უნდა, შენც თოვლივით
წაზვიდოდი.

***

არ მინდა მერქვას
მარტოსულის მშრალი კერია,
დარდი ბევრი მაქვს,
საზიაროდ, თავში საცემიც.
თუმც წვიმებისთვის ლურჯი
კაბაც შემიკერია,
მაინც შიში მაქვს საკუთარი
თავის გაცემის...

არ მინდა მერქვას მომლოდინე
და უსახრულო,
როცა ჩემს ფეხქვეშ მოთიბული
ბალახი იწვის,
თვალი დაუდგეს ტაძარს, საწოლს,
მზეს უსახთუმლოს,
გაჩენის დღიდან ქალის ბედის
დამწერს და ხირცხვილს!

***

როცა წვიმები ჩამოჰბანენ თვალებს
საღებავს
და ჭიასავით გამომიხრავს დარდი
საგულეს,
როცა მიხვდები, რომ ყველაზე ნადდი
სახე მაქვს

და შემოდგომის დღესასწაულს
დავისაკუთრებ,
გაგიკვირდება უცნაური ეხე
ხიმართლე:
თამაში იყო,
რაც სულს ცხოვლად აჩნდა აქამდე...

რედაქციისაგან:

ქალბატონი ნანა შაბათაშვილი-დავარაშვილი უკვე რამდენიმე წელია, ისრაელში ცხოვრობს; კვლავინდებურად წერს ლექსებს, აქვეყნებს ადგილობრივ ქართულენოვან პრესაში, ამ სამიოდე ლექსით თავის დაუვიწყარ საგაზრდილოსაც შემოეხმიანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვეტლანა ალილუევა

წიგნი შვილიშვილთათვის

თავაზიანი, მშვიდი ვალოდია ბრინჯივით დაიბნა. ეს ნაკლებსასიამოვნო ინციდენტი იყო, მით უმეტეს, რომ ვალოდია და მისი ცოლი დიდი ხანია იცნობდნენ ლიუდას, ახლა კი დარწმუნდნენ, რომ მას არავითარი დადებითი გრძნობები არ ჰქონდა ჩემს მიმართ. მე მათ იმით ვამშვიდებდი, რომ „ჩემთვის ახლა ყველაფერი სულ ერთია. ერთი მტრით მეტი თუ მეყოლება, ამით არ დავიღუპები.“ მაგრამ საშინელება იყო იმის ცოდნა, რომ ჩემი შვილი, ეტყობა, მთლიანად ცოლს დაჰყავდა თავის ჭკუაზე.

მოვიდა გრიშა იმის გასაგებად, თუ როგორ იყო ჩვენი საქმეები, და მე ვუთხარი, რომ გორბაჩოვისაგან არავითარ პასუხი არ მიმიღია. ჩანს, გრიშა ახლა ძალზე ახლოს იდგა „ზემოთა“ წრეებთან — გაცილებით ახლოს, ვიდრე მე ვვარაუდობდი. მირჩია, შევხვედროდი სუკის ვიღაც ძალიან მაღალი რანგის პირს და გამეგო მისგან, თუ რა ამბავი იყო ჩემს თავს. „იქნებ, მისგან გაიგო რამე“, —მითხრა გრიშამ.

საქმის ასე შეტრიალებამ გამაოგნა, მაგრამ დრო იყო, უკვე აღარაფერი გამკვირვებოდა...ჩვენ მოსკოვში სულ რამდენიმე დღეღა შეგვეძლო დარჩენა და, რამდენადაც პასუხს სხვისგან ვერსად მივიღებდით, დავურეკე იმ შემოთავაზებულ ამხანაგ X-ს. მან მაშინვე დამინიშნა აუდენცია.

ის გამოიყურებოდა, როგორც ახალი ყაიდის, საკმაოდ ცივილიზებული და განათლებული ჩეკისტების წარმომადგენელი, საზღვარგარეთ რომ დადიან და ქვეყნიურება ნანახი აქვთ. მას ინგლისსა და ამერიკაში უწევდა ხოლმე ყოფნა და ინგლისურად ლაპარაკობდა, მაგრამ ეს არაფერი, მე სხვა რაღაცამ შემაძრწუნა, თუმცა უკვე ვხვდებოდი, რომ მას მაღალი პოზიცია ეკავა სადღაც, მთავრობის ზემო ეშელონებში. სასიამოვნო ღიმილით თქვა: „სხვათა შორის, მე ვიყავი პირველი, ვინც თქვენ დაბრუნების ნება მოგცათ, როცა ჩვენ გავიგეთ ლონდონის საელჩოსათვის მიწერილი თქვენი წერილის შესახებ. ჩემი „ჰო“ გადამწყვეტი და გარკვეული იყო. სხვაგვარი ხმებიც გაისმოდა, რაც თქვენც კარგად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ“. მე არ შემეძლო მეკითხა მისთვის, რა სახით შეიძლებოდა ის ახლოს ყოფილიყო საელჩოს საქმეებთან, თუმცა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა! სუკი ყველგან ძვრება როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის გასაკეთებლად. ასე რომ, მას „მადლობა“ უნდა ვუთხრა? მე ვდუმდი.

სულ ავირ-დავირივე, რადგან ის „გულღია საუბარს“ მთავაზობდა, ხუმრობდა, საზღვარგარეთ თავის მოგზაურობებზე მიყვებოდა — აქაოდა, იქ ჩვენც ვყოფილვართ, ყველაფერი ვიცითო...მე კი მისგან მხოლოდ იმის გაგება მინდოდა, გორბაჩოვმა ჩემი წერილი მიიღო თუ არა.

„ის იცნობს იმ წერილის შინაარს, — გამოუცნობლად თქვა X-მა, თქვენს ქალიშვილს შეუძლია ინგლისში, თავის სკოლაში დაბრუნდეს, ეს პრობლემა არაა. რასაკვირველია, ახლა ის იქ გაემგზავრება როგორც საბჭოთა მოქალაქე და თქვენთან არდადეგებზე ჩამოვა ხოლმე. ყოველივე ამის მოგვარება ძალზე ადვილი საქმეა“.

მე მდუმარედ ვუსმენდი. გამოდის, რომ ის გორბაჩოვის პასუხს მაუწყებს? თუ ვიღაც სხვისას? გორბაჩოვს ჩემი წერილი „გაანალიზა“? ეს X,

---

გაგრძელება. დასაწ. იხ. „ცისკარი“ № 6,7,8,9,10,11,12, 1990 წ. №1, 1994 წ. №1, 2, 3, 4, 1995 წ.

ეტყობა, უწინდებურად წყვეტს ჩემს ბედ-იღბალს — როგორც ეს-ესაა თავად ალიარა.

„თქვენ მოსკოვში უნდა გადმოხვიდეთ,-განაგრძო მან უფრო სერიოზულად.- თქვენ ხომ მოსკოველი ხართ! საქართველო თქვენთვის შეუფერებელი ადგილია. ადრე იქ ხომ არასოდეს გიცხოვრიათ. ყველა თქვენი ძველი მეგობარი აქაა“.

ვუსმენდი და ვხვდებოდი, რომ ოფიციალური პასუხი გადმომცეს...ვდუმდი. მაგრამ ჩემს არსებაში, შიგნით, ყველაფერი დუღდა. — მე გადავეჩვიე ადამიანთა ბედ-იღბლის გადაწყვეტის საბჭოურ მეთოდს.

ბოლოს ვუთხარი, რომ მაინც მოვითხოვდი პასუხს იმაზე, რაც გენერალურ მდივანს მივწერე. ამაზე მეგობრულად მიპასუხა: „ძალიან მინდა გავიცნო თქვენი ქალიშვილი. მას რუსულად ლაპარაკი უკვე შეუძლია?“ მე დავარწმუნე, რომ ოლგას სავსებით შეეძლო აზრის გადმოცემა რუსულად, მივეცი ჩვენი მისამართი და ტელეფონის ნომერი და დავემშვიდობე. გორკის ქუჩაზე მიმიყვანა. მისი მანქანის მძღოლი გაჭაობებული სახით იჯდა და ხმას არ იღებდა.

შინ, გრიშას მიერ დატოვებულ ვალიდოლს ვეცი. გამოდის, რომ „ძვირფასი“ გრიშაც „მიიმხრეს“ და ახლა მას ჩემსკენ გადმოდებულ „ხიდად“ იყენებენ. ღმერთო, ღმერთო, გადავეჩვიე მე ამ მეთოდებს. ყველა გზა მოჭრილი მაქვს. მე და გრიშას ჩემს ვაჟიშვილსა და შვილიშვილზე არც კი გვისაუბრია; მან, უბრალოდ, იმისთვის შემოიარა,რომ იმ „დიდ ვინმესთან„ შეხვედრა ერჩია... ისიც ჩანდა,რომ გრიშა უკმაყოფილო იყო ჩემი ვაჟიშვილით და შვილიშვილითაც,რომლებსაც ძალზე იშვიათად ხვდებოდა. „რა უცნაურია, — გავიფიქრე — ისინი ხომ ყველანი ერთ ქალაქში ცხოვრობენ“.„ოჰ, ის წყეული პოლონელი ქალი, დედამისი! — ვუთხარი გრიშას. „ნუ ნაღვლობ,გულს გაუფრთხილდი!“ — ახლა მისი განუწყვეტელი მისამღერი ეს იყო. ყველა ამ საოჯახო წვრილმანში გარკვევა შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ აქ რაღაც ვერ იყო რიგზე.

კატერინას მამამ, იური ანდრეის ძე ყდანოვმა, წერილი გამომგზავნა როსტოვიდან, სადაც უწინდებურად ასწავლიდა უნივერსიტეტშიგამომგზავნა კატერინას ფოტოსურათები— და მეროგორც იქნავანახე ჩემი კატია,ზრდასრული,ოცდათი წლისა, პატარა გოგონაურთრთ,მაგრამ მაინც ისეთი,როგორიც მახსოვდა-ერთ ფოტოსურათზე ის ჯდა ადგილობრივ ჯიშის ტანმორჩილ ცხენზეისინი იქ ან ცხენებით დადიან, ან ვერტმფრენით დფრინავენ, — უგზოობაა. მეორე სურათზე გიტარა ეჭირა. ოლიაც დადის ცხენით და გიტარაზე დაკვრასაც სწავლობდა.ისინი ერთმანეთს ჰგვანან კიდეეც, ორივე შავთვალა.

იური მწერდა: „იყავ მომთმენი მის მიმართ.საშინლად დამოუკიდებელია. არავის რჩევებს არ უსმენს. მაგრამ კარგად მუშაობს, სერიოზული მეცნიერი იქნება. კატია რომ სერიოზული მეცნიერი იქნებოდა, არ მეეჭვებოდა. მხოლოდ ის მეეჭვებოდა,როდისმე ვნახავდი თუ არა მას.

აჭ, მოსკოვში, ჩვენ ვხვდებოდით ნათესავებსა და ჩემს ძველ მეგობრებს. ჩემი ვაჟიშვილის ნახვა განზრახული არ მქონდა. რაკი იცის, რომ აქა ვარ, და ისიც კი იცის, სადაცა ვარ, შეუძლია დამირეკოს. მაგრამ არ მირეკავდა. მე ვფიქრობდი, რომ მართალი იყო ოლგა, როცა ერთხელ გვსლიანად მანიშნა: „შენ მე გყავდი. განა ეს ცოტაა? არა, შენ ყველანი — ისინიც — მოგინდა. ხედავ, რაც მიიღე! ჩვენ ინგლისში უნდა ვიცხოვროთ. ეს უსიამოვნებები შენ თვითონ დაიტეხე თავს!“

ნამდვილად მართალი იყო. როცა ჩემს ვაჟიშვილს ვთხოვე, საქართველოში ჩემთვის გადმოეგზავნა ჩემი ძველი წიგნები, თქვა, რომ „ურჩევნია დაწვას ყველაფერი“, ვიდრე მე მომცეს. უკვე აღარ მესმოდა მისი.

ჩემი ბიძაშვილის კაბინეტში დივანზე დაწოლილი, მთელი ღამე მოუსვენრად ვტრიალებდი. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, თავს ცუდად ვგრძნობდი, სუნთქვა მიჭირდა. მეორე დღეს ყინავდა და ფანჯრის მინები თრთვილით იყო დაფარული. მე ყოველთ-

ვის ძალიან მიყვარდა ზამთრის მზიანი, თრთვილით გაბრწყინებული მოსკოვი, მაგრამ ახლა საამისოდ არ მცხელოდა. სუკელ „დიდ ვინმესთან“ გუშინდელი საუბრის შემდეგ ახალი იდეა უნდა ამეწონ-დამეწონა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲘ

იმის შემდეგ, რაც მეგობრებს სამუშაოლია ბარათები გავუგზავნე და ჩვენი მისამართი ვაუწყე, საქართველოში უკვე მოდიოდა ჩვენს სახელზე კორესპონდენცია ინგლისიდან და ამერიკიდანაც კი. წერილები დიდხანს მოდიოდა, მაგრამ მაინც აღწევდა ჩვენამდე, კორესპონდენციების ნაწილი აშშ-ში საბჭოთა საელჩოს, აგრეთვე ინგლისში საბჭოთა საელჩოს მეშვეობით იგზავნებოდა.

მაგრამ პრინსტონელი ადვოკატის წერილების დასტაში, რომლებიც ნიუ-ჯერსის საქველმოქმედო ტრესტის საქმეებს შეეხებოდა, მოულოდნელად ვიპოვე სულ სხვა რამ: ერთი წლის წინათ მოსკოვში ამერიკელი კონსულის მიერ ჩემთვის გამოგზავნილი წერილის ასლი. ეტყობა, დაკარგა ყოველგვარი იმედი იმისა, რომ ეს წერილი ჩემთვის გადმოეცა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით და გადაწყვიტა, ამ გზით გამოეგზავნა. არ ვიცი, როგორ გამოვიდა ასე, მაგრამ, თუმცა ჩემთვის გამოგზავნილ წერილებს უმკაცრესად სინჯავდნენ, ასლი მაინც ჩემს ხელში აღმოჩნდა.

წერილის ასლი ფიქსირებული იყო გერბიან ქაღალდზე, რომელსაც ყველა საჭირო ბეჭედი და ტიტული ესვა და წარმოადგენდა ჩვენთან, ამერიკელ მოქალაქეებთან, ააშ-ის კონტაქტის ერთადერთ ძაფს.

წერილში კონსული ერთხელ კიდევ ადასტურებდა იმას, რომ ოლგა და მე ვიქნებით ამერიკის მოქალაქეები მანამდე, სანამ არ ვისურვებთ ამერიკის მოქალაქეობაზე საჯაროდ და ოფიციალურად, ელჩის დასწრებით და ფიცის წარმოთქმით უარის თქმას, რის გაკეთებასაც ჩვენ, იგულისხმება, არ ვაპირებდით.

ეს წერილი ახლა მოსკოვში ჩამოვიტანე, ჩანთაში მედო და შეიძლებოდა აშშ-ის საელჩოში შესასვლელ ოფიციალურ საშვად გამომეყენებინა. კარგად ვიცოდი, რომ შესასვლელს საბჭოთა მილიცია იცავდა და რომ საელჩოში შესვლა, არსებითად, შეუძლებელი იყო. მაგრამ, გადავწყვიტე რომ უნდა მეცადა ამ სახით „განცხადების“ გაკეთება, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, „სიგნალის გაგზავნა“.

მეორე დღის სუსხიან დილას მე და ოლია მეტროთი მივედით ზოოპარკთან, იქიდან კი ფეხით გავუყევით სადოვაიას — მოღრიალე ავტომობილებით გადაჭედილ ფართო ქუჩას. ყინავდა და მზე ანათებდა, გული გამალებით მიცემდა და ღმერთს ვევედრებოდი, რომ საელჩოს ახლოს მის მოსამსახურეთაგან ვინმე შემოგვყროდა: მას იოლად ავუხსნიდით ყველაფერს.

მასთან ერთად შევიდოდით საელჩოში. იმის იმედიც მქონდა, რომ საელჩო თავის მთავარ შესასვლელს შიდა ტელეკამერებით უთვალთვალებდა, რაკი სასოწარკვეთილი საბჭოთა მოქალაქეები ხშირად მოდიოდნენ აქ თავიანთი მოთხოვნებისა და გრძნობების გამოსახატავად. მაგრამ მათ ყოველთვის მილიცია ხვდებოდათ. ო, რა ბრძად სწამს ყველა საბჭოთა მოქალაქეს, რომ „საკმარისია ამერიკელებს უთხრან მთელი სიმართლე“, ისინი მაშინვე რამეს იღონებენ...აშშ-ში მრავალი წლის მანძილზე ცხოვრების შემდეგ ამგვარი ილუზიები უკვე აღარ მქონდა.

მხოლოდ წამით დავყოვნდით ჭიშკრის წინ, უბრალოდ, შევჩერდით. დაუყოვნებლივ შემოგვერტყნენ ირგვლივ მილიციელები და ვიღაც სამოქალაქო ტანსაცმლიანები და გვთხოვეს, რომ „გავყოლოდით“. ოლგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბნა: ასეთი რამის გამოცდილება არ ჰქონდა, ეს მხოლოდ კინოში თუ ენახა.

უაღრესად თავაზიანად მიგვაცილეს იქვე, საელჩოს გვერდით მდგარ საგუშაგომდე. („ნუთუ ფანჯრებიდან იმას არ უთვალთვალებენ, რაც ხდება შესასვლის გვერდით?“— გავიფიქრე). ფრიად თავაზიანმა მილიციის ოფიცერმა მკითხა, რაშია საქმეო.

„ჩვენ ამერიკის მოქალაქეები ვართ, — ვუთხარი რუსულ ენაზე და ოფიცერს წარბები მაღლა აეზიდა, — ამერიკის კონსულის ნახვა გვჭირდება. აი — ხედავთ? ხელთა გვაქვს მისი წერილი ჩვენადმი. ჩვენი ნახვა სურს“.

მან წერილი, ბომბს რომ იღებენ, ისე აიღო, დახედა და სადღაც წაიღო. საკმაოდ დიდხანს ვისხედით, ჯიხურში ცოდა, კუთხეში მხოლოდ პაწია ელექტროღუმელი იყო ჩართული. ჩემი ოლია დათრგუნული იყო და ვცდილობდი დამერწმუნებინა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, თუმცა ამაში მთლად დარწმუნებული თავადაც არ ვიყავი.

ოფიცერი დაბრუნდა და ჩვენი ამერიკული პასპორტები მთხოვა. „პასპორტები იქაა, შენობაში, კონსულთან, — გადაჭრით ვუთხარი — ჩვენ ის უნდა უნდა ვნახოთ“.

მაშინ პირადობის დამადასტურებელი რამე ცნობა მომთხოვა და მომიხდა დაძრობა ჩემი ახალი საბჭოთა პასპორტისა, რომელშიც შეტანილი იყო ჩემი ქალიშვილიც, — მცირეწლოვანი მოქალაქე „ოლგა ვილიამის ასული პიტერსი“. ოფიცერმა ისეთი გამომეტყველებით შემოგვხედა, რაც დაახლოებით ამას ნიშნავდა: „დაგლახვროთ ეშმაკმა, რომელი ამერიკელები თქვენა ხართ?“ მაგრამ არაფერი უთქვამს.

შემდეგ შემოვიდა მეორე ოფიცერი, უფრო მაღალი რანგისა, და თქვა, რომ მალე მოვიდოდა კიდევ უფრო მაღალი რანგის პირი და იმას უნდა დავლოდებოდით. „ჩვენი წერილი სადაა? — ვკითხე, — გეთაყვათ, შეატყობინეთ კონსულს, რომ ჩვენ მისი ნახვა გვჭირდება“.

„მოდით, დავიცადოთ,“— მომიგო მან. მისი აზრით, არ შეიძლებოდა ამერიკის საელჩოში საბჭოთა მოქალაქეების შესვლა. ამის დაშვება არ შეეძლო. მოვა უფროსობა და გაერკვევაო.

დაახლოებით ორი საათი ვისხედით და გათოშილ ფეხებს იატაკზე ვაბაკუნებდით. ამასობაში კუთხეში პატარა რადიომ კრემლიდან პარტიის XXVII ყრილობის გახსნის გადაცემა დიიწყო. მე კი ეს სულ დამავიწყდა! „ეით უკეთესი, — გავიფიქრე — გამოდის, რომ ყრილობის გახსნის დღეს დემონსტრაციის მსგავსი რაღაც მოვაწყვეთ! არა უშავს. ეს არც კი დამიგეგმავს. ჩვენ ამით გორბაჩოვისადმი მიწერილი ჩვენს წერილზე უფრო მეტად მოგაქცევინებთ ყურადღებას“. და, თუმცა ოლია გაავებული თვალებით მიყურებდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორედ დღეს, აქ მოსვლით კარგი სვლა გავაკეთეთ.

რამდენიმეე დღის წინათ, კვირადღეს, გადავწყვიტე წავსულიყავი იმ ეკლესიაში, სადაც მოვინათლე 1962 წელს. ძალიან მინდოდა მისი ისევ ნახვა. „რუსული ბარაკოს“ სტილის შესანიშნავი ვარსკვლავებით მოფენილი ცისფერგუმბათებიანი ეკლესია ახალგადაღებილი ჩანდა და სადღესასწაულოდ გამოიყურებოდა. მის ირგვლივ ახალი ქალაქი წამომართულიყო ოცდაოთხი წლის წინათ.

აქ, ხეების გარდა, არაფერი იდგა და ტრამვაი წრეს უვლიდა პატარა მოედანს. ახლა კი აქ უამრავი ნაგებობა აღმართულიყო და ეს კომპლექსი შემორტყმოდა გარს.

საკმაოდ აღელვებული შევედი შიგნით. ლიტურგია მიმდინარეობდა. ხალხის ტევა არ იყო, განსაკუთრებით ბლომად იყო ახალგაზრდობა. მაშინ, როცა მე მომნათლეს, აქ გაცილებით ნაკლები მლოცველი იყო და ყველანი როგორღაც მოღუშულნი იყვნენ. ახლა საზეიმო განწყობამ, რაღაცნაირმა სიხარულმა და ლხენამ განმაცვიფრა. უნებლიედ გამახსენდა მამა ნიკოლაი ალექსანდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს ძე გოლუბცოვი, ჩემი ნათლია ლიდია და მაისის დღე, როცა აქ მოვედი...

მაგრამ ცხოვრების როგორი წრე შემოვხაზე მე იმ დღიდან აქამდე განვლილ წლებში...აქედან დაიწყო ჩემი ბარიკადნა და სხვა ადამიანად გადაქცევა. შეიკრა თუ არა წრე ამ ჩამოსვლასა? ამის შეგრძნება არ მქონდა. უფრო ის, რომ გზას, გზას უნდა დავდგე — აი, რა განწყობა დაეუფლა აქ ჩემს გულს. მიხარიდა და კარგად ვგრძნობდი თავს. არც ქმუნვა, არც შიში, არც ეჭვები, გადიფურცლე ცხოვრების ფურცელო. შენი გზა ჯერ არ დამთავრებული, ადრე მოგინდა მოსვლენება "И вечный бой. Такой нам только снится" — თქვა ბლოკმა. რა ზუსტი რამაა!

ანდრეი სიანოვსკი, რომელიც აქ ჩემამდე ზუსტად ნახევარი წლით ადრე მოინათლა, ახლა საფრანგეთში ცხოვრობს. შენ კი აქ რას აკეთებ?

უცნაური ამბავი იყო ისევ აქ ყოფნა, მაგრამ ეს ისე კარგი, ასე საჭირო რამ გახლდათ! მაცხოვრის იაფი, მცირე ზომის ხატი და პატარა ჯვარი ვიყიდე. წასვლისასკ კი შევბრუნდი და დიდხანს ვუყურე მცირე მინაშენს, სადაც ნათლავდნენ მოზრდილთ. მინდოდა ხელი გადამესვა ამ კედლებისათვის. ისინი, თუმც კი თებერვლის სუსხიანი დღე იყო, თბილი მეჩვენებოდა. მამა ნიკოლაი მოწიფულთ მოაქცევდა, ისინი ახალი ცხოვრების წიაღში შეჰყავდა. ასე იყო ჩემი საქმე. კიდევ რამდენმა ადამიანმა გაიარა გალავნის, აი, ეს კარი, რითაც ისინი სამყაროში შეცვლილნი, ქრისტეს სხეულის ნაწილად ქცეულნი გავიდნენ. . . ისობით? ათასობით?

„ქართველებსა და სომხებს არაჩვეულებრივად ძლიერი რწმენა აქვთ, — ამბობდა მამა ნიკოლაი გოლუბცოვი. — ეს იმის გამოა, რომ ისინი იმ რაიონში ცხოვრობენ, სადაც უფალმა პირველი ადამიანი შექმნა. მე არასოდეს ვივიწყებდი მონათვლის დღეს თქმულ ამ სიტყვებს. მაშასადამე, გზებს იმისთვის მოვუყვანივარ საქართველოში, რომ იქ მისი რწმენა გამეგო. ჩემთვის ეს ხომ არ უსწავლებიათ! ყველაფერი ეს ხომ „ისტორიის სანარცხეზე" იყო გადაგდებული... კი წამოვიღე ეს კულტარული, ეტყობა, კონსერვის ქილებისგან დაშტამპული მცირე ხატი და პატარა ჯვარი. ისინი „ოქროსასა" ჰგავდნენ, მაგრამ მათში ოქროზე უფრო მეტი რამ იყო ჩაქსოვილი...(ახლა ორივე ჩემთანაა შორეულ ვისკონსინში, ამერიკაში, და ეს სწორად მოხდა: რწმენა მთელ ქვეყნიერებაზე მოგზაურობს, ახალ და ახალ მიწებს იპყრობს).

გბრწყინებული, ნუგეშცემული, დამშვიდებული, გახარებული და უშიშარი დავბრუნდი იმ დღეს შინ, გორკის ქუჩაზე. ყველაფერი სწორად ხდება. განვაგრძობთ ჩვენს გზას.

ამაზე ვფიქრობდი იმ საათებში, როცა მე და ოლია აშშ-ის საელჩოს ახლოს, გუშაგის ჯიხურში ვისხედით. არაფრისა მეშინოდა — ისეც კი მეჩვენებოდა, რომ ხელისუფალთ ჩვენი ეშინიათ, არ იციან, რა გაა წყონ ჩვენთან...დიდხანს ლოდინის შემდეგ, როცა მარტონი წუთითაც არ დავუტოვებივართ, როგორც იქნა, გამოჩნდა კაცი, რომელსაც კარგი სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. ძალზე თავაზიანად წარმოგვიდგინა თავი საელჩოს დაცვის უფროსად და შემოგვთავაზა, სახლამდე ჩემი მანქანით მიგიყვანთო. ასე დამთავრდა ჩვენი ვიზიტი ამერიკის კონსულთან. „ისინი ფანჯრიდან, ალბათ, არასოდეს იხედებიან!" — გავიფიქრე და მაინც საელჩო რატომ არ ინტერესდება მასთან მომსცლელებით.

ამერიკელი კონსულის წერილი არ დამიბრუნეს. გზად, გორკის ქუჩისაკენ რომ მოვდიოდით, სამოქალაქო ტანსაცმლიანმა დაცვის უფროსმა გვითხრა, რომ რამდენიმე საათის შემდეგ შევხვდებოდით ამხანაგ X-ს, (იმას — სუკელს), და რომ თვითონ შემოგვივლიდა მასთან წასაყვანად. მაშ, ეგრე! მაშასადამე, ამერიკის საელჩოსთან ჩვენმა „დემონსტრაციამ" მაინც იმოქმედა! ჩვენთან ისაუბრებენ. „ამხანაგი X ბოდიშს იხდის, — მითხრა მან, — რომ თქვენთან უფრო მალე შეხვედრა არ შეუძლია, რად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან ყრილობაზე ზის კრემლში.“ ჩინებულია, ჩინებული! მაშასადამე, ჩვენ ის შევაწრიალეთ, ამ ვითარებაში ჩვენთვის თვალყურის დევნება სხვას არავის აკისრია, თუ არა სუკს. რაკი ეგრეა, რა გაეწყობა. რაცაა, ისაა. შინ სწრაფად წავიხემსეთ. ვალოდიასა და სვეტლანასთვის არაფერი გვითქვამს, რათა ისინი არ შეგვეშფოთებინა. უბრალოდ, ჩავედით ქვევით, მაღაზია „არმენიაში“, სადაც უკვე გველოდა ამხანაგი X, რომელსაც ისევ ის ელეგანტური, გათრიმლული ტყავის კურტკი ეცვა. უადრესად დელიკატური იყო ოლიასთან, აჭედდა მის რუსულ მეტყველებას და ეხუმრებოდა ტყავის კურტკის თაობაზე: „დარჩით ჩვენთან, უფასოდ ისწავლით და დაზოგილი ფულით შეძლებთ ნამდვილი გრძელბეწვიანი ქურქის ყიდვას!“ რაზეც ოლიამ უპასუხა: „არა, მე მირჩევნია, ჩემს კერძო სკოლაში სწავლის ქირა ვიხადო.“

შეხვედრის ადგილზე შესამჩნევად შეშფოთებული ის ჩვენი ორი მეურვეც გველოდა სამინისტროდან. საელჩოში მისვლა მათ ეხებოდა. ისინი, ყველანი, შოკირებული იყვნენ იმით, რომ ჩვენ აშშ-ის კონსულთან შეღწევა განვიზრახეთ. „მაგრამ ჩვენ გვაქვს მისი ნახვის უფლება. ჩვენი პასპორტები იქ, საელჩოშია. და თვითონ მიგვიწვია თავისი წერილით“, — ვუთხარი მე რაც შეიძლება უშუალოდ და გულუბრყვილოდ, თითქოს ყველაფერი ეს სულ უბრალო საქმე ყოფილიყოს.

“ მაგრამ ის წერილი როგორ მიიღეთ?“ — მკითხეს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა.

„წერილი, სხვა კორესპონდენციასთან ერთად, ვაშინგტონის საელჩოს მეშვეობით ადვოკატმა გადმომიგზავნა.“

„ეს შეუძლებელია! ეს შეუძლებელია!“ — წამოიძახეს ერთხმად, — ცდილობდნენ გაემართლებინათ თავიანთი თანამშრომლები ვაშინგტონის საელჩოში, რომლებმაც საჭიროებისამებრ ვერ „შეამოწმეს“ ჩემი ფოსტა...

გავიცინე. „მაგრამ წერილი მე ამ გზით მივიღე.“ ამხანაგი X მაინცდამაინც არ იყო ამ წერილით შეფიქრიანებული. მას ჩვენი მოქმედება აშკარად არ მოსწონდა. „გირჩევთ, მსგავსი ცდები მეტად არ გაიმეოროთ“, მითხრა რაც შეიძლება თავაზიანად. — თბილისში როდის ბრუნდებით?

„ხვალისათვის გვაქვს ბილეთები“.

„ძალიან კარგი, გაემგზავრეთ“.

„მაგრამ ჩემი შეკითხვის პასუხი აქამდე არ მიმიღია. მეც მინდა ჩემს გოგონასთან ერთად გავემგზავრო ინგლისში. ამის შესახებ ვწერდი გენერალურ მდივანს, მაგრამ პასუხი არ მიმიღია“.

ისინი — სამივენი — ძალზე მომთმენნი იყვნენ, მაგრამ ჩემს უკანასკნელ სიტყვებს უგულებელყოფდნენ. ოლიასთან საუბრობდნენ, ტაბებოდნენ იმით, თუ რა ჩქარა აჩეჩიკდა ის რუსულად. ოლია დიდხანს უხსნიდა მათ, რატომ იყო მისთვის აუცილებელი დაბრუნებოდა თავის კვაკერების სკოლას. მართლაც, გასაოცრად კარგად „მეტყველდა“ რუსულად. ისინი, უბრალოდ, ისხდნენ და დაუფარავი სიმპათიით უსმენდნენ ოლიას. სულ ერთ წელიწადსა და ოდნავ მეტ ხანში ისწავლა ასეთი რუსული! „თბილისში მისი რუსული ენის მასწავლებელი ძალიან კარგი მეთოდისტი იყო“, — ვთქვი მე. მათ არაფერი მიპასუხეს. საუბარი დამთავრებული იყო. პასუხი არ მიმიღია.

„მე თქვენ თბილისიდან დაგირეკავთ“— განვუცხადე მათი გაშეშებული სახეების შემყურემ. ძალიან კმაყოფილი იყვნენ იმით, რომ აქედან ხვალვე მივდიოდით. იქით, კავკასიის ქედს მიღმა მივდიოდით.

რუსულიდან თარგმნა

ჯუმბერ თითმერიამ

თეიმურაზ ფანჯიკიძე
გრიგერ ფარულავა

რელიგიური და ეროვნული

ჩვენ სრულიად მარტივ ამბავზე შევთანხმდით, დავსვამდით კითხვებს რელიგიურისა და ეროვნულის, მათი ურთიერთმიმართების შესახებ, რომელზედაც პასუხები დამოუკიდებლად უნდა გაგვეცა და შემდეგ დიალოგის სახით შეგვეჯერებინა. როდესაც პასუხები მოვიტანეთ, აღმოჩნდა, რომ დიალოგი იმ სახით, რომლითაც ჩაფიქრებული გვქონდა, აღარ გამოვიდოდა. ამიტომ ვამჯობინეთ ეს პასუხები ცალ-ცალკე გამოგვექვეყნებინა, რათა დასმულ საკითხზე უფრო სრული და ნათელი შთაბეჭდილება შეგვექმნა.

„ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იდვწოდა...“

რას ვგულისხმობთ რელიგიურისა და ეროვნულის ცნებებში.

გ.ფარულავა: შევთანხმდეთ, თავსამტვრევი კითხვებია, მეცნიერებისათვის, ღვთისმეტყველებისათვის, ხელოვნებისათვის ჯერაც დაუძლეველი. ჩვენი პასუხებიც ჭეშმარიტებასთან მიახლოების მხოლოდ მცდელობა იქნება. იმ განსჯათ შევეხმიანებით, რომელთა მეშვეობით, გვგონია, რომ საქმის არსი უფროა მოხელთებული.

რელიგია ჩვენი ცნობიერების ის უბანია, სადაც სამყაროსა და ადამიანის არსებობასთან დაკავშირებული ყველა გამოცანა ამოხსნილია, წინააღმდეგობანი გადაწყვეტილია, ტკივილები კი — დამცხრალი. უზენაესი ჭეშმარიტებისა და მშვიდობის ამ საუფლოს ცენტრია ღმერთი, ყველაფრის შემქმნელი და განმაცხოველებელი. მორწმუნე ადამიანის ყველა სხვა სწრაფვა ამ ცენტრისაკენ სვლის უმაღლეს მიზანს უქვემდებარდება. ამის კვალობაზე, კაცი მაღლდება სასრულ არსებობაზე და ეზიარება თავისუფლებას.

ყოველივე ამას სხვაგვარად ასე გამოხატავენ: რელიგია არის ადამიანის სულის ძიება, მისი მიმართება აბსოლუტურ (ღვთაებრივ) სულთან. რელიგია შეიძლება გავიგოთ, ვითარცა სულის უმაღლესი პოტენციალი, უსაუკეთესოესი ძალისხმევა, იდეა სულისა. რელიგია არის ის, რაც ამგვარად, თავისი თავის შესახებ იცის ღვთაებრივმა სულმა სასრულო, ადამიანური სულის მეშვეობით. რელიგიური ცოდნა, ამისდაკვალად, აბსოლუტურად ჭეშმარიტი ცოდნაა.

ახლა — ერისა და ეროვნულობის თაობაზე.

ერი ერთობ რთული ისტორიული წარმონაქმნია, მაგრამ მისი არსი და პათოსი ბუნებიდანაა ამოზრდილი, ყოფიერების სიღრმიდან მოდის. უთუოდ საოწმუნოა აზრი, რომლის მიხედვით, ერი არის „ერთადერთი შესანიშნავი ბუნებრივი კონკრეტული სოციალური ორგანიზმი...ერთადერთი ნორმალური ბუნებრივი ჭურჭელი საზოგადოებრივობისა“ (მ. წერეთელი). აქ ის იგულისხმება, რომ ეროვნული ორგანიზმის წიაღში უფრო წარმატებულად, ბუნებრივად ხორციელდება ესა თუ ის საზოგადოებრივი ღონისძიება, ვიდრე, მაგალითად, სახელმწიფოში. ეს უკანასკნელი უფრო ხელოვნურ სოციალურ ორგანიზმად ითვლება, ვიდრე ბუნებრივად. ერს, ვითარცა დასაბამიერს და ბუნების დუღილს წარმონაქმნს, ორგანული სიცოცხლე, სიმტკიცე და სიმჭიდროვე აქვს. ავტორიტეტული თვალსაზრისით (ნ.ბერდიაევი, მ.ბუბერი, ვ.სალავიოვი

და სხვანი), ერი ღვთაებრივი შემოქმედების უსაჩინოესი ნაყოფია, კოსმიური ყოფიერების ერთი იერარქიული საფეხური. ერში ისტორიული პროცესის სიგრძეზე ხდება კოსმოსის ჩამოყალიბება. ამის შესაბამისად, ერის მოსასპობად მიმართული ქმედება ანგრევს კოსმოსს, ქაოსისაკენ მიგვაქცევს.

ერის ორგანიზმში შემოქმედისაგან ჩამყნილია ნერვი, ჩადებულია მექანიზმი, დამანგრეველ მოქმედებათაგან რომ იცავენ მას. ეროვნული სული საოცარის ძალით უკეტავს გზას ისტორიული პროცესის ერთ უმთავრეს ტენდენციას, დაანგრიოს, მოაკვდინოს; ეს სული „ღალიან-ბარაქიან ძუძუს“ აწოვებს ყოველი სიცოცხლისეულის შემნარჩუნებელ და ამაღორძინებელ ძალებს, აწმყოსა და მომავალს არ აზიემებს წარსულზე (რ.თ.უ. ჯანსაღი კონსერვატულობის აზრით). ეროვნული სული „აღიარებს ჩვენს მამა-პაპას, ჩვენს წინაპრებს ისეთივე ცოცხლებად, როგორც ჩვენ ვართ, როგორიც ჩვენი შთამომავლები იქნებიან.ეროვნული ცხოვრება არის უწყვეტი კავშირი წინაპრებთან და პატივისცემა მათი ანდერძებისა. ერის ნებაში მონაწილეობენ არა მხოლოდ ცოცხალნი, არამედ გარდაცვლილნიც, მონაწილეობს დიდი წარსული და ჯერ გამოუცნობი მომავალი. ერში შედიან არა მხოლოდ ადამიანთა თაობები, არამედ ტაძართა, სასახლეთა და კარმიდამოთა ქვებიც, საფლავის ლოდები, ძველი ხელნაწერები და წიგნები. და ამისათვის, რომ მიეწვდეთ ერის ნებას, უნდა ვუსმინოთ ამ ქვებს, წავიკითხოთ გაცრეცილი ფურცლები“ (ნ.ბერდიაევი.)

გარკვეული მიწა-წყლის, ფიზიკურ-ფსიქიური და ენობრივი არსებნალის მფლობელი ერი, ყოველივე ზემოთქმულის კვალობაზე, სულიერ-კულტურული ქმნადობის პროცესში განუმეორებელ სახეს იძენს, იქცევა კრებით პიროვნებად, ცოცხალ სოციალურ ინდივიდად. ინდივიდუალურ პიროვნებათა ორგანულ, ცოცხალ ნაერთად შედუღებული ერის ყოფა ასევე ინდივიდუალობაა, ვინაიდან ყოველი ყოფა ინდივიდუალურია: თავად კაცობრიობაც, რომელსაც ერი შეერთვის, მოიაზრება უმაღლესი იერარქიული საფეხურის კონკრეტულ ინდუვიდუალობად და არა აბსტრაქციად, არა მექანიკურ ჯამად. იმ თვალთახედვის მიხედვით, რომელსაც აქ ჩვენ ვიზიარებთ, ღვთაებრივი ნება კი არ აჭრობს, არამედ ასულდგმულებს მრავალსახოვანი ყოფის ყველა ინდივიდუალურ საფეხურს:ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, სამყაროულ საზრისს ადამიანი ეზიარება პიროვნული ინდივიდუალობის გზით, ეროვნული ინდივიდუალობის გამოვლით. არ არსებობს განყენებული კაცობრიული კულტურა. რუსთაველი ქართული ეროვნული სულის სიღრმეებთან წოლნაყარობის გზით, ამ წიაღის პოტენციალის გაცხოველების კვალობაზე ეხმიანება ზოგადსაკაცობრიოს. ქართველობის დიდი და განუმეორებელი მადლის ძალით შეუძრავს იგი გულს გერმანელსა და ინდოელს, ინგლისელს, ესპანელს...კაცობრიობის სიყვარულს ბალავრად ერის სიყვარული უდევს. ყოფიერების საკაცობრიო გზას წარმოიდგენენ სხვადასხვა საფეხურის ინდივიდუალობათა შემოქმედებით ურთიერთშეზრდად: პიროვნებისა — ერში, ერისა — მთელ კაცობრიობაში, კაცობრიობისა — კოსმოსში, ხოლო კოსმოსისა — ღმერთში.

თ. ფანჯიკიძე: როგორია რელიგიურისა და ეროვნულის ურთიერთმიმართება, ურთიერთგავლენა?

გ. ფარულავა: ამ კითხვას ნაწილობრივ უკვე გაეცა პასუხი. მაშინ, როცა უზენაესი გონი დასაბამიერ ქაოსს კოსმოსად გარდაქმნის, უსახურს სახეს აძლევს, ფიქრობენ, რასიულ ქაოსში იკვეთება ეროვნული. კოსმიური სიცოცხლის დასაბამში, ბუნების სიღრმეშია ჩადებული იდეა ერისა. როგორც ითქვა, ერის ისტორიულ ჩამოყალიბებაში ჩამოინაკვთება კოსმოსი, ხორცს ის-

ხამს უზენაესი ნება. ის, რომ ეროვნულ ორგანიზმში მიმოიქცევიან რაციონალური განსჯით მოუხელთებელი ძალები, მომავალსა და აწმყოს რომ არ ამარჯვებინებენ წარსულზე, დასაბამიერ ფესვებს ცხოველმყოფელობას რომ არ აკლებენ ჟამთასვლის უსასრულობაში, მიგვანიშნებს, რომ ეროვნული ცნობიერება რელიგიურ საფუძველზეა დაშენებული. ნ. ბერდიაევი ბრძანებს: „ყოველი ერის ყოფას რელიგიური საფუძველი აქვს. ეროვნული და რელიგიური მომენტები გადაწნულია ერთმანეთში და ზოგიერთ წერტილებში იდუმალებრივ ედუღებიან.“ როგორც მოგეხსენებათ, უზენაესთან სიახლოვის განცდაა რელიგიური ცნობიერების განმსაზღვრელი. ხოლო ამ სიახლოვეს ყველაზე ბუნებრივად, ყველაზე უფრო სამშობლოში აღწევს ადამიანი, როცა ეგოიზმის არტახებისგან თავდაღწეული, მოყვასის უანგარო და უშურველ სამსახურში გრძნობს ღვთაებრივის იდუმალსა და სანეტარო ფეთქვას საკუთარ მკერდქვეშ. ხომ გვასწავლის მოციქული, რომ მოყვასის სიყვარულში განსრულდება სიყვარული ღვთისა. ხოლო დიდი ილია გოდებდა: ქართველობასო

„დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული“.

ღმერთს თავის ქვეყნიერ, ხორცასხმულ სახედ, გვიქადაგებს მგოსანი, ჩვენთვის მამული უბოძებია, შაინცდამაინც მამულის სამსახურში გაცხადდება ყველაზე უფრო სიყვარული უზენაესისა. ხოლო „თორნიკე ერისთავში“ აკაკი განმარტავს:

„ვიცით, რომ ქრისტემ უდაბნოდ დაჰყო
ის ორმოცი დღე ლოცვა მარხვითა,
მაგრამ ეს იმ დროს იმა ლოცვითა
ქვეყნად საერო საქმეს ზრახვიდა“.

ასე აზროვნებდნენ ღვთისმოსავ ერთა საუკეთესო შვილები. მაგრამ არის ერთი ერი, ებრაელობა, რომელიც თითქოს სწორედ იმიტომ მყოფობს ამ სამზეოში, რომ „სულ ერთსა გვიწვრთნის,“ კერძოდ, რელიგიური და ეროვნული საიდუმლოს არსებობას და განუყოფლობას. დიდი ფილოსოფოსი და ქრისტოლოგი ვ. სალავიოვი ამბობს: სწორედ ებრაელი წინასწარმეტყველნი იყვნენ უდიდესი პატრიოტები...მაგალითი ებრაელ წინასწარმეტყველთა, უდიდეს პატრიოტთა და ამასთანავე უნივერსალიზმის უდიდეს წარმომადგენელთა, უაღრესად ბევრის მასწავლებელია ჩვენთვის. იგი მიგვითითებს, რომ თუ ჭეშმარიტი პატრიოტიზმი აუცილებლად თავისუფალი უნდა იყოს ხალხის გამორჩეულობისა და ეგოიზმისაგან, იმავდროულად და ამავე მიზეზით, ზოგადსაკაცობრიო თვალთახედვა, ჭეშმარიტი უნივერსალიზმი იმისათვის, რათა იყოს რაიმე, ჰქონდეს ნამდვილი ძალა და დადებითი შინაარსი, გარდაუვლად უნდა მოგვევლინოს დადებითი სახალხო იდეის გაფართოებად და უნივერსალიზაციად და არა ცარიელ და განურჩეველ კოსმოპოლიტიზმად.“

თ. ფანჯიკიძე: რა არის ეროვნული რელიგია და რა როლს თამაშობს იგი ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიაში?

გ. ფარულავა: ზემონათქვამთა კვალობაზე, საეჭვოა წმინდა წყლის „ეროვნული რელიგიის“ არსებობა. უნივერსალიზმის ის პრინციპი, რასაც ახლა ვიმოწმებდით ვ. სალავიოვის ნაშრომიდან, ძნელად წარმოგვადგენინებს ისეთ მსოფლშეგრძნებას, რომელსაც რელიგიის პრეტენზია ექნებოდა და, იმავდროულად, მხოლოდ რომელიმე ერის სულიერ ცხოვრებას გამოადგებოდა. რელიგიურად მომართული ასეთი ცნობიერება სერიოზიულ კულტურულ როლს, ალბათ, ვერ ითამაშებს.

თ. ფანჯიკიძე: შეიძლება თუ არა სხვა ნიადაგზე და ტრადიციებზე წარმოქმნილი რელიგია ახახავდეს ერის ინტერესებს?

გ. ფარულავა: შეიძლება და ჩვეულებრივ სწორედ ასე ხდება. პალესტინის მიწაზე და ებრაელი ერის წიაღში შობილმა ქრისტიანობამ ევროპისა და ამერიკის კონტინე-

ნტება მოიცვა, აზიისა და აფრიკის მრავალი ხალხიც მას ეზიარა. ე.ი. ათეულობით ერი მიიჩნევს, რომ სწორედ იესო ნაზარეველის მოძღვრება გამოხატავს მის მსოფლშეგრძნებას, იდეალებს. რელიგიური ჭეშმარიტება ხომ ღვთაებრივი ჭეშმარიტების გამოსხივებაა, სასრულო ადამიანური სულის ენაზე „თარგმნილი“ აბსოლუტური სულია. და როცა სასრულო ადამიანური სული ებრაელისა, ბერძენისა თუ ინდოელისა, ასე ახლო მიდის ღვთაებრივ სულთან, მისგან წვდომილი საკმარისად ფართოა და საყოველთაო, რათა შინაგანად მოიცვას კაცობრიობა, იყოს უნივერსალური, ვ. სალავიოვის მოხმობილ მსჯელობას რომ შევეხმიანოთ, ე.ი. რომელიმე ერის გენია (რა თქმა უნდა, სწორედ ამ გენიალობის წყალობით) პირველი მისწვდება და ჩამოიტანს მიწაზე ზეციურის მარცვლებს. ამ მინაწვდომში მერე სხვა ხალხებიც იპოვნიან თავიანთ თავს. და თუ რაციონალურ ლოგიკას უჭირს იმის წარმოდგენა, როგორ მოიცავს და აფორმებს უნივერსალობა ამდენგვარ ნაციონალურ ინდივიდუალობას, უნდა გვახსოვდეს, რომ საქმე გვაქვს ღვთაებრივი შემოქმედების ურთიერთულს წარმონაქმნთან. აკი ეუბნება შექსპირის ერთი პერსონაჟი მეორეს: „ბევრი რამ არის, ჰორაციო, ქვეყნად ისეთი, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოელანდებათ“. სწორედ ფილოსოფოსი განგვიმარტავს, რომ რელიგიური და ეროვნული იდუმალებრივ ერწყმიან ერთმანეთს. ხოლო მოხმობილ ფრაზაში, — „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“, — ისინი ხომ იგივებრივად არიან დასახულნი. ერთობ საყურადღებოა მერვე საუკუნის ქართველი მწერლის იოვანე საბანისძის („აბოტფილელის მარტვილობის“ ავტორის) შენიშვნა, რომ „ჩვეულებისამებრ მამულისა სვლა“ ჩვენი ქვეყნისათვის არის სვლა ქრისტიანობის გზაზე. ე.ი. უკვე იმ დროს არის გააზრებული და გაცხადებული, რომ ორგანული, ბუნებრივი ფორმა ქართველთა ეროვნული ყოფისა არის ქრისტიანობა.

თ. ფანჯიკიძე: რა როლი ითამაშა რელიგიურმა ფაქტორმა ქართული ეროვნული პრობლემების მოწესრიგებაში?

გ. ფარულავა: განუზომლად დიდი. ილია ჭავჭავაძეს მოვუსმინოთ: „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვეტკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილის გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა.“ ქრისტეს მოძღვრებამ „იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნება და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე.“

საუკუნეთა სიგრძეზე ქრისტიანობა გვემსახურება კედლად, ზღუდედ, რათა არ გავთქვეფილვიყავით, არ ჩავკარგულვიყავით ჯერ მაზღიანურ, მერე მაჰმადიანურ გარემოცვაში. ამიტომ იყო, რომ მომხდური, მტერი ყოველ ღონეს ხმარობდა ამ კედლის დასანგრევად, ამ ზღუდის გადასაქცევად. ხოლო მამულიშვილები ოფლითა და სისხლით ადუღაბებდნენ მტერთაგან დაბზარულ ამ ზღუდეს. „გავწყდით, გავიყლიტენით, — განაგრძობს ილია, — ვიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მოვეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ“. საქართველოს სულიერ ცაზე ბრწყინავს მთელი ხომლი წმინდანებისა, ხორცი რომ მისცეს სულისათვის. ისინი ეროვნული გმირები არიან. ნაციონალური შეგნება არ ანცალკევებდა საეკლესიოსა და საეროვნოს. როცა, მაგალითად, VIII საუკუნის მიწურულს (786—790) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, სამოელი, იოვანე საბანისძეს თხოვს ქრისტეს ტარიგად დაკლულ აბო ტფილელის ღვაწლი აღწეროს, გარკვევით მიუთითებს, რომ აბო „ყოვლისა ამის სოფლისა ჩუენისა ქართლისა“ შეიწირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიგია, უპირველეს ყოვლისა, კულტურული სულის შიდა ფორმაა, გამონათებაა. განუზომლად დიდი როლი შეასრულა ქრისტიანობამ ქართული ეროვნული კულტურის განვითარებაში. მან გაიყვანა ქართველობა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის სულიერ ფასეულობათა ძიების დიდ გზაზე, გაჭრა სარკმელი ევროპისაკენ. ამ საქმეს ემსახურებოდნენ მრავალრიცხოვანი ეკლესია-მონასტრები ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. აი, რას ამბობდა ათონის ივერთა მონასტერზე კ.კეკელიძე: „უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღოო“.

შეიძლება ითქვას, რომ სულიერ ცხოვრებას რუსთველამდელ საქართველოში მთლიანად ბერ-მონაზონები უძღოდნენ, ხოლო ყველაფერი საუკეთესო, ყველაფერი, რასაც ზოგადსაკაცობრიობო ფასი აქვს ქართული სულიერების ნაყოფთაგან „ვეფხისტყაოსნიდან“ დღემდე, ქრისტიანობის ცხოველმყოფელ ძირებზეა დამყნილი.

თ.ფანჯიკიძე: რამდენად ეროვნული იყო ქართველთა წინა ქრისტიანული სარწმუნოება?

გ.ფარულავა: ყველა ერი გაიელის ხოლმე ჭეშმარიტების ძიების ძნელ, ზოგჯერ გრძელ გზასაც. ქართველობამაც გაიარა გზა წარმართულ რწმენათაგან ქრისტიანობამდე, სიყმაწვილიდან — სიმწიფემდე. ეს იმას ნიშნავს, რომ წინაქრისტიანული რელიგიური წარმოდგენები მხოლოდ ძიება და მიახლოება იყო ეროვნულ პოტენციალთან.

თ. ფანჯიკიძე: არის თუ არა ქრისტიანობა ჩვენთვის ეროვნული რელიგია, ან რა ხდის მას ქართულ ეროვნულ რელიგიად?

გ.ფარულავა: უკვე ითქვა, რომ წმინდა წყლის ეროვნული რელიგია არც არსებობს, ჩვენის აზრით. იმის ცხადყოფასაც შევეცადეთ, რომ ჭეშმარიტი რელიგია, თავისი უნივერსალური დიაპაზონის კვალობაზე, იტევს და აცხოველებს ეროვნულ ინდივიდუალობათა მთელ წყებას. ამ ასპექტით და მხოლოდ ამ აზრით ქრისტიანობა ჩვენთვის ნამდვილად არის ეროვნული რელიგია.

რაც ითქვა იმის თაობაზე, თუ რა როლი ითამაშა ქრისტიანობამ ქართული ეროვნული პრობლემების მოწესრიგებაში, იმასაც წარმოგვიჩენს, რა ხდის ქრისტიანობას ქართულ ეროვნულ რელიგიად. მხოლოდ ერთს დავამატებდით, რაც შეეჯამებდა სათქმელს: ღმერთის განკაცებისა და ჯვარცმის აქტით, ქრისტეს მოძღვრების მოფენით პასუხი გაეცა ქართველი კაცის უღრმეს სულისმიერ ძიებებს: რა არის ადამიანი, რისთვის მოივლინა და საით უნდა ვიდოდეს? რას ქვია კეთილი და რას ბოროტი? რა არის ლამაზი და რა მახინჯი? რას ნიშნავს სიყვარული და სიძულვილი, მეგობრობა და მტრობა, თავმდაბლობა და ქედმაღლობა, მიმტევებლობა და შურისგება, ცოლობა და ქმრობა, სტუმრობა და მასპინძლობა...ის გაგება, შინაარსი, რაც ამ კითხვებს ჰქონდა ქართველის გულისა და გონში, ჩამოინაკვთა, გაფორმდა ქრისტეს მოძღვრებით; მსგავსი მსგავს მიესწრაფა (სხვა ერისეული გაგება, მსოფლგანცდა სხვაგვარი იყო და არ ითვისა ქრისტეს მცნებანი).

ამგვარად, ქრისტიანობამ თავისი თავი, თავისი საუკეთესო „მე“ აპოვნინა და დაადგენინა ქართველობას. ე.ი. გარკვეული აზრით, ქრისტიანები ვიყავით ამ რჯულზე ოფიციალურ მოქცევამდე.

გონიერ კაცობრიობაში ჩამარხულია ამ საუკეთესო „ მესაკენ“, ჭეშმარიტისაკენ, მშვენიერისაკენ ამოურწყავი ლტოლვის წყურვილი. აი, რატომაა, რომ უძველესი ხალხები, — ამბობს ფლობერი, — უძველესი სახელმწიფოები მრეწველები და კომერსანტები კი არ იყვნენ, არამედ, პოეტები, მხატვრები, ტაძრებისა და პირამიდების მაშენებელნი. მათ პოემების თხზვა უფრო ადრე ისწავლეს, ვიდრე შალის ქსოვა, — სულს უფრო სწყურია საკვები, ვიდრე კუჭსო. და ამ ფრაზას ფლობერი უცნაურად,

ერთის შეხედვით, ულოგიკოდაც კი აგრძელებს: „აქედან დასკვნა: მე მსურს, რომ იესო ქრისტე არსებობდეს ნამდვილად, და დარწმუნებული ვარ, რომ იგი არსებობდა, ვინაიდან, ჩემის აზრით, უფლისეულ-ღვნებათა საიდუმლო — ყველაზე მშვენიერია, რაც არის ქვეყანაზე“ („საიდუმლო აზრები“). ფლობერს სურს გვითხრას: მშვენიერების წყურვილს პირველად ხელოვნების სფეროში დაიკმაყოფილებო. მაგრამ ეს სულის გაუნელებელი ხმობა საბოლოოდ მშვენიერების უზნეაეს საუფლოსკენ „ყველაზე მშვენიერისაკენ“ მიგვასწრაფებს. „ყველაზე მშვენიერისაგან“ რომ არ მომდინარეობდეს, როგორ, საიდან იარსებებდა სხვა სილამაზე?!

უკეთილშობილეს წყურვილთ აღგვიძრავს უფლისაკენ მიპყრობილი მზერა და ამ წყურვილთა მოკვლის უანკარეს წყაროდ გვევლინება უფლისგან მოპყრობილი მზერა. ბარათაშვილი ღაღადებს: „ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა, დამინთქე მასში სალმობანი გულისა სენთა.“ ჭეშმარიტი ცხოვრების წყაროდ რომ გვექცა, ათასგვარ „გულისა სენთა“ განმაქარვებლად რომ გვექმნა, აი, ეს ხდის ქრისტიანობას ქართულ ეროვნულ რელიგიად (რომ იგივე ხდის ამ სარწმუნოებას, ვთქვათ, ინგლისელის ეროვნულ რელიგიად, ეს კია გასაკვირი, მაგრამ გაუგებარი როდია უნივერსალურის და ინდივიდუალურის იმ შერწყმის კვალობაზე, ზევით რომ ვცდილობდით წარმოგვეჩინა).

თ.ფანჯიკიძე: რა როლს შეასრულებს რელიგიური ფაქტორი ჩვენს დროში ეროვნული და ზნეობრივი პრობლემების გადაჭრაში?

გ.ფარულავა: არ ვიცი, რა როლს შეასრულებს, მაგრამ იმის წარმოჩენას შეეცდები, რა როლი შეიძლებოდა შეესრულებინა და შეიძლება შეასრულოს. ილია ჭავჭავაძე „აჩრდილში“ ამბობს:

„ორი რამ იყო, რისთვისაც ძე ადამისა ვწოდა,— ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა,— მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა, ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მას ანაცვალა“.

ამ დასკვნას უფრო ესტყვისება საქართველოს ისტორიული ცხოვრების იერ-სახე VIII ს. ოცდაათიანი წლებიდან XIX ს.-მდე. რა უნდა იგულისხმებოდეს „სხვა საქმეში“, რომლისთვისაც ქართველობა უბედობამ „არ მოაცალა“. რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ეკონომიკა, მეურნეობა, აღმშენებლობითი საქმიანობა, არამედ უპირველეს ყოვლისა, კულტურის, სულიერების სხვადასხვა უბანი: მეცნიერება, ხელოვნება, ღვთისმეტყველება, სამართალი, მუსიკა, მხატვრობა, ლიტერატურა...ეროვნული გონისა და სულის მთელი ენერგია თითქმის მთლიანად „მამულისა და რჯულის“ გადარჩენას შეეწირა, ასე ცალმხრივ წარმართულმა საქმიანობამ დაასუსტა, გამოფიტა ეროვნული სული და ენერგია. ასე შევეგებეთ XIX საუკუნეს, როცა ნაციონალური თვითმყოფობა წაგვართვეს მამულის, სხეულისა და რჯულის ემპირიული იერის შენარჩუნების საფასურად. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით კი რუსეთმა ფაქტობრივად დაამხო სარწმუნოება, რითაც ხარაკირი გაუკეთა ჩვენს ზნეობრივ ცხოვრებას და ეროვნულ შეგნებასაც.

დღეს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ეკლესიის თვითმყოფობაც აღდგენილია, სარწმუნოებაც პატივშია. მაგრამ რა?! აღმოჩნდა, რომ იმ საშინელებათა, რაც უკანასკნელი შვიდნახევარი საუკუნის სიგრძეზე გამოვიარეთ, ეროვნული დამოუკიდებლობის მომვლელ-განმამტკიცებელი ძალა წარუხოცავს ქართველობის დიდ ნაწილისათვის. „გონება განდგომილი ღმრთისაგან, — ამბობს გრიგოლ პალამა, — გარდაუვლად იქცევა ან ცხოველურად, ან სატანურად.“ ამ ჭირმა, ასე რომ ვათარეშეთ საქართველოში განსაკუთრებით 1921 წელს შემდგომ, ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალხილულად იჩინა თავი და, უპირველესად, ჩვენივე უგუნურებით, ნაქვეყნარის დავამსგავსეთ ჩვენი ქვეყანა. ამაზრზენია იმის ცქერა, რომ ისინი, ვინც გუშინ, გუშინწინ სარწმუნოებას თხრიდნენ, დღეს ღვრთისმოსაობით იმკობენ თავს და ცდილობენ კაპიტალი ახლა ამ გზით დააგროვონ.

ჭეშმარიტი თავისუფლება, გვასწავლის პავლე მოციქული, არის თავისუფლება თვითნებობისაგან და არა თვითნებობის თავისუფლება, როგორც დღეს ბევრს ჰგონია. თავისუფალი არის ის კაცი, ვინც ძალმოსილი განმგებელია. უფალია ვიწრო პირადული სურვილებისა, ეგოისტური ინსტინქტებისა. თუ ამ სურვილებსა და ინსტინქტებზე არ ვიბატონეთ ე.ი. შინაგანად არ განვთავისუფლდით, თავისუფალ ქვეყანას ვერ ავაშენებთ. თავისუფალ სახელმწიფოს თავისუფალი ადამიანები აშენებენ. ცნობილ აზრს გავიმეორებ, თუ ვიტყვი, რომ საზოგადოებრივი წესრიგი განმტკიცდება, მოვალეობის შეგნება გამყარდება მაშინ, როცა მათ ბალავრად რელიგიურობა აქვთ, უწმინდესი, რაც ადამიანშია, სინდისი მისი, მხოლოდ რელიგიაში ჰპოვებს თავის აბსოლუტურ დასაბუთებას და საიმედოობას. ამგვარ თვალსაზრისს თავისუფლების ქრისტოლოგიური გაგებიდან გამოიტანს ჰეგელი და იტყვის: ხალხები, რომელთაც არ უწყისთ, რომ ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, თავის შიგნით უნდა იყოს თავისუფალი, ცხოვრობენ დაჩლუნგების მდგომარეობაში როგორც სახელმწიფოებრივი მოწყობის, ისე რელიგიის მხრივ. „ხალხს, რომელსაც ღმერთის ცუდი გაგება აქვს, ცუდი სახელმწიფო, ცუდი მთავრობა, ცუდი კანონები აქვს.“ ასეთ მდგომარეობაში წარმომიდგება მე ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, პირველარს რომ გადაისახავს, „ღმერთი ჩვენთან არს„ რომ გაიძახის და ეშმაკურ საქმეებზე და ეშმაკთან კი დაკუნცულებს (ურწმუნონი რომ არ იყვნენ, განა არ მოეხსენებათ, რომ ღმერთს არ მოეტყუების?!). ამნაირთა შესახებ ამბობდა ვაჟა:

„...ჯვარი ნაზარეველის
სამკაულად გვაქვს გარეთა,
ვერ ჩავისახეთ გულშია
მასხივოსნებელ მთვარედა“

სად არის ხსნა? ხსნა „ჩვეულებრივსა-მებრ მამულისა სვლის,“ ე.ი. ქრისტიანობის გზაზე სვლის, აღორძინებაშია. მაშინ გვეშველება, როცა ქრისტეს მცნებანი გულის ზრახვად და გონებით ნაკურთხად გვექმნებიან, როცა მაღალი სულის ქროლვა ოდნავ მაინც შეარხევს ეროვნული ცხოვრების ზედაპირს.

ვიცი, ეს ძალიან აბსტრაქტულ, მიუწვდომელ ამოცანად, იდეალად მოეჩვენება ბევრს. და იმიტომ, რომ ერთობ სავალალოდ გამოიყურება ჩვენი ზნეობა დღეს. მითუმეტეს გვმართებს არ შევურიგდეთ მდგომარეობას. გვმართებს და ძალგვიძს, თუ ამას სერიოზულად მოისურვებენ სახელმწიფო და ხალხი. პირველი სიტყვა აქ მაინც სახელმწიფოს მესვეურთ ეკუთვნით. უკომპრომისო ზნეობრივი პოლიტიკით მათ უნდა გაალხონ მასის სასომიხდილობა და ინდიფერენტიზმი. თუმცა საქმელიც გვაკლია და სასმელიც, გათბობაც და გადაადგილებაც პრობლემად ვექცა, გამორჩეული ყურადღება და ძალისხმევა მაინც განათლებას, ეროვნული ეკლესიის აღორძინებას, კულტურას, ლიტერატურასა და ხელოვნებას უნდა დაეთმოს. ასეთი ძალისხმევა და დანახარჯი უკუგებას 3—4 წელიწადში ვერა, მაგრამ მერე და მერე, როცა „გაადამიანებული“ ადამიანები მოეფინებიან ჩვენს მიწა-წყალს, აუცილებლად მოგვცემს შედეგს თვით მატერიალური პროდუქციის სფეროში (ოდენ მატერიალური სიმდიდრე, თავისთავად, ხომ სიღარიბეა), უნდა დავუჯეროთ სულმნათ ილიას, რომ მხოლოდ ქრისტიანული „მცნების ნათლით ზეაღზიდულ, ამაღლებულ“ საქართველოში „მოვა შრომის სუფევა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მთავარი მაინც მამული არის, განსაცვიფრებლად არის მთავარი“.

თ. ფანჯიკიძე: დღეს, როდესაც საქართველოში რაიმე გბატონებული იდეოლოგია აღარ არსებობს, როდესაც ჩვენი ქვეყანა იბრძვის რეალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, როდესაც ქვეყნის წინაშე დგას მრავალი საჭირბოროტო და გადაუწყვეტელი საკითხი, როდესაც ესოდენ ძლიერია ცენტრიდანული ძალები, ჩვენ გაცხოველებით ვეძებთ რაიმე გამაერთიანებელ იდეას, რომელიც მოგვეხმარება ორგორც ჩვენი ერის სულიერ, ისე ფიზიკურ გამთლიანებაში, დაქსაქსულობის დაძლევაში, ტკივილების დაყუჩებასა და მოშუშებაში, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გაძლიერებასა და განმტკიცებაში. ამ მიზნით, ჩვენს მზერას სულ უფრო ხშირად ვაპყრობთ ქრისტიანობას, რელიგიურ ფაქტორს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საუკუნეების მანძილზე იყო, ზოგჯერ ერთადერთი სულიერი იარაღი მომხვდური მტრის წინააღმდეგ, ჩვენი შეკავშირების და გადარჩენის საშუალება. დიდ ყურადღებას ვამახვილებთ რელიგიურისა და ეროვნულის ურთიერთობაზე, მათ ურთიერთმიმართებაზე, ვცდილობთ განვსაზღვროთ რელიგიური ფაქტორის როლი ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში, გავარკვიოთ მისი როლი თანამედროვე, ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტაში. სწორედ ამ საკითხებისათვის ნათელის მოფენას ემსახურება ჩვენი დიალოგი.

მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა, თუ რატომ იქნა არჩეული დიალოგის ერთ-ერთ მონაწილედ ფილოლოგი, ხომ არ აჯობებდა ეს მსჯელობა უშუალოდ ფილოსოფოსებს ან ისტორიკოსებს შორის გამართულიყო, ან იმათ შორის, ვინც უშუალოდ მუშაობს ეროვნულ საკითხზე? უპირველეს ყოვლისა, ჩემი ყურადღება ბატონმა გრიგერ ფარულავამ თავის სფეროში მაღალი რეიტინგის გარდა, მიიპყრო რელიგიის სასარგებლოდ გამოთქმული კატეგორიულობით და შეუვალობით. რელიგიური ფაქტორისადმი მისი ასეთი ამაღლებული დამოკიდებულება ამ წერილშიც ნათლად გამომჟღავნდა. გარდა ამისა, ის ხაზი და მიმართება, რომელიც არსებობდა საქართველოში რილიგიურსა და ეროვნულს შორის, საკმაოდ კარგად ჩანს ისტორიულ თუ ლიტერატურულ წყაროებში, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში, თვით სასულიერო პირები წერდნენ, ამიტომ მათი გარჩევის და ანალიზის გარეშე გაჭირდება ალბათ ამ საკითხებისადმი სწორი პოზიციის გამომუშავება. არ დავმალავ, მე ყოველთვის ვეძებდი დამაჯერებელ არგუმენტებს რელიგიის დადებითი როლის სასარგებლოდ საქართველოში ეროვნული საკითხების გადაწყვეტის საქმეში. წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ ბატონ გრიგერის ამ წერილში მოტანილი ბევრი მოსაზრება და საბუთი საყურადღებო და მისაღებია ჩემთვის. მაგრამ, მაინც დარჩა ზოგი ისეთი რამ, რამაც საბოლოოდ ვერ გაფანტა ჩემი ეჭვები რელიგიის როგორც ერის ერთადერთი გამაერთიანებლისა და გამამთლიანებლის შესახებ. სანამ ყოველივე ამის შესახებ ვიტყოდე რაიმეს, მანამდე უნდა ვთქვა, თუ რას ვგულისხმობ რელიგიურისა და ეროვნულის ცნებებში.

ეროვნულის და რელიგიურის ცნებების შესახებ ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება, მათ ურთიერთმიმართებაზე კი ტომებიც შეიძლება დაიწეროს. მაგრამ ჩვენ ამჟამად უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ იმით, რაც ჩვენ უშუალო მიზნისთვის, ამ დიალოგისათვის გვჭირდება.

რას ვგულისხმობთ ცნებებში — რელიგიური და ეროვნული? რელიგიურში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვივარაუდოთ ის საყოველთაო, წმინდა და ძვირფასი იდე-

ალი, რისკენაც უნდა ილტვოდეს ყოველი მორწმუნე ადამიანი, საითკენაც უნდა ესწრაფვოდეს საზრგადოება და თვით სახელმწიფოც. ეს სწრაფვა, ცხადია რელიგიური წესით ცხოვრებისაკენ, მაღალი ზნეობისაკენ უნდა იყოს მიმართული, რომელიც ღმერთის რწმენაზე და მისადმი შიშზე არის დამყარებული, რამაც, საბოლოო ჯამში, უნდა გადაგვარჩინოს, იხსნას ჩვენი სულები ცოდვისაგან და უზრუნველყოს ადამიანთა იმქვეყნიური მომავალი.

რელიგიურისადმი ორგვარი მიდგომა არსებობს: მორწმუნე ადამიანისათვის, როგორც უკვე ვთქვით, ეს წმინდათაწმინდა იდეალია, ხოლო არამორწმუნისათვის ის რეალობაა, რომელსაც ადამიანთა უმეტესი ნაწილი აწყდება და რასაც მან იძულებულია ანგარიში გაუწიოს.

რაც შეეხება ეროვნულს, მასში ჩვენ ალბათ უნდა ვიგულისხმოთ ყოველივე ის, რაც არსებითია, სპეციფიკურია ამა თუ იმ ერისათვის, ის, რაც ქმნის განუმეორებლობას, რაც ასახავს მის ძირეულ ინტერესებს, პასუხობს მის მიზნებსა და მისწრაფებებს, გვეხმარება ერის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში. ეროვნულში, ცხადია, იგულისხმება ენაც, ეროვნული კულტურაც, ეროვნული ღირებულებებიც, ეროვნული ტრადიციებიც. ამ ჩამონათვალში, ცხადია, განსაკუთრებული ადგილი რელიგიასაც უკავია, რომელიც, თავის მხრივ, უშუალო კავშირშია როგორც კულტურასთან, ისე ეროვნულ ღირებულებებთან და ტრადიციებთან, რომელზედაც უდიდეს გავლენას ახდენდა და ახდენს.

როგორი უნდა იყოს მათ შორის ურთიერთმიმართება? — რასაკვირველია, პირდაპირი და მჭიდროდ დაკავშირებული. იდეალურ შემთხვევაში, რელიგიური ხელს უნდა უწყობდეს ეროვნული მიზნებისა და ამოცანების გათავისებას და გადაწყვეტას, თუ რელიგიური ეროვნულიდან გამოდის, თან მის ინტერესებსაც მოიცავს, ცხადია, იგი ამ ქვეყნის ძირეულ ინტერესებსაც გულისხმობს. ვიმეორებ, ყოველივე ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ორი ცნება რეალობაში იდეალურ თანხმობაშია და ერთმანეთისაგან გამომდინარეობს. ასეთ პირობებში შედეგიც ყოველთვის სახეზეა. სხვა შემთხვევაში ისტორიამ იცის სხვა, საწინააღმდეგო მაგალითებიც.

მე, რასაკვირველია, გამიჭირდება დავეთანხმო ბატონ გრიგერის აზრს იმის შესახებ, რომ „საეჭვოა წმინდა წყლის ეროვნული რელიგიის არსებობაო“, თუმცა სულ ცოტა ადრე იგი, ამ მხრივ, იუდაიზმის უნიკალურობას უსვამდა ხაზს. ჩვენის მხრივ, ამას შეგვიძლია ინდუიზმი და ზოგიერთი სხვა რელიგია დავუმატოთ. გარდა ამისა ეროვნულ რელიგიებად უნდა ჩაითვალოს მრავალრიცხოვანი პოლითეისტური რელიგიები, რომლებიც უმეტესად ადგილობრივ ეროვნულ ნიადაგზე იყვნენ აღმოცენებულნი. მკვლევარები სამართლიანად შენიშნავენ, რომ ისინი „ვიწრო ნაციონალურ ქარგაზე“ იყვნენ გამოჭრილნი. ამიტომაც ეს რელიგიები ძირითადად ასახავდნენ თავისი ქვეყნის განვითარების დონეს, ტრადიციებს, ადათებს, წეს-ჩვეულებებს, ეროვნულ მისწრაფებებს. იუდაიზმიც იმ ფორმით, რომლითაც იგი არსებობს, ასევე „ვიწრო ნაციონალურ ქარგაზე“ იყო გამოჭრილი, მათი ღმერთი მხოლოდ ებრაელებს მფარველობდა და მის მტრებს სულაც არა სწყალობდა, რაც შეეხება მესიას, მათ იგი იმისთვის სჭირდებოდათ, რომ ეხსნათ ებრაელობა სხვა ხალხების ჩაგვრისაგან. იუდეველთა წარმოდგენით ეს უნდა ყოფილიყო ძლევამოსილი მესია, რომელსაც უნდა გაენადგურებინა ებრაელთა მტრები. მათ სწორედ ასეთი მესია უნდოდათ და არა ისეთი, ვისთვისაც სულ ერთი იქნებოდა „ებრაელი თუ ელინი“. მესია, რომელიც დაეხმარებოდა მათ ეროვნული მეობის შენარჩუნებაში და გადაარჩენდა ებრაელებს იმ უკიდეგანო ოკეანეში გაჭრობისაგან, რომელსაც რომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპერია ერქვა. სწორედ ამიტომ არ მიიღეს მათ იესო ქრისტე, არ აღიარეს იგი მესიად და ჯვარზეც აცვეს, რადგან ამჯობინეს ერთი კაცი მოეკლათ, ვიდრე მთელი ერი დაღუპულიყო და ამ ძირითადი ხაზისაგან მათ არც შემდგომ გადაუხვევიათ. ამ ფაქტში კარგად ჩანს რელიგიურისა და ეროვნულის ურთიერთმიმართება. იუდეველები მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე ცდილობდნენ რელიგია ერის ხსნისათვის გამოეყენებინათ, რაც, თავის მხრივ, საკუთარი რელიგიის სიწმინდის დაცვასაც გულისხმობდა.

რაც შეეხება მსოფლიო რელიგიებს — ბუდიზმს, ქრისტიანობას, ისლამს — მიუხედავად მათი გარკვეული გლობალური პრეტენზიებისა, უნივერსალიზმისა და კოსმოპოლიტიზმისა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უამრავ ქვეყანაში და ხალხში არიან გავრცელებული, მათ მაინც ახასიათებთ გარკვეული ეთნიკური ნიშნები, იმ ადგილის და იმ ხალხების ნიშნები, სადაც ისინი წარმოიშვნენ და ჩამოყალიბდნენ.

ამის მაგალითად თუნდაც ისლამი გამოდგება. როგორც ცნობილია, მუჰამედმა ბევრი რამ ისესხა იუდაიზმისა და ქრისტიანობისაგან. იგი, მართალია, არ უარყოფდა ამ რელიგიათა წმინდა წიგნებს, მათ ხშირად ახსენებდა და იყენებდა კიდეც, აღიარებდა მოსეს და ქრისტეს რეალურ არსებობასაც, მაგრამ თანდათან მივიდა იმ აზრამდე, რომ საჭირო იყო შეექმნა საკუთარი რელიგია, საკუთარი ღირებულებანი, გამომდინარე თავისი ხალხის ბუნებიდან და არა სხვის მიერ შექმნილი და მოტანილი. ახალი რწმენა, რომელიც სხვა რელიგიებზე უფრო ჭეშმარიტი იქნებოდა: ალაჰმა „თავისი მოცალული (მუჰამედი — თ.ფ.), — ნათქვამია ყურანში, — მოავლინა წარმართებისთვის და ჭეშმარიტების სარწმუნოებით განმტკიცებული, რათა ყოველი სარწმუნოების უმაღლეს დაეყენებინაო (48;28).

ამ მიზნით მოხდა ე.წ. „ყიბლის“ დადგენა. თუკი თავდაპირველად მუჰამედის მიმდევრები ლოცვისას სახეს იერუსალიმისკენ აპყრობდნენ, ახლა მექისაკენ უნდა ექნათ პირი. ამ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არაბებისათვის. რაც შეეხება არაბების ძველ ტომობრივ კერპებს, ისინი მუჰამედმა ან სრულიად გაანადგურა, ან შინაარსი შეუცვალა, სრულყო და ამით თავისი რელიგია ნაციონალურ რელიგიად გამოაცხადა.

ძნელია არ დაეთანხმო ასეთ მტკიცებას, ისლამი არაბისათვის, მართლაც, ნაციონალური რელიგიაა, რადგან იგი გულისხმობს მისი ცხოვრების წესსაც, ტრადიციებსაც, წეს-ჩვეულებებსაც და თვით კლიმატიდან გამომდინარე ნიუანსებსაც კი. მაგრამ რამდენად ეროვნულია იგი სხვა ხალხებისათვის, მათ შორის ქართველი მუსლიმანისათვის, რამდენად ითვალისწინებს იგი მის რეალურ ეროვნულ ინტერესებს, ან რამდენად მისაღებია ის ფაქტი, რომ ქართველი მუსლიმი ლოცვისას მექისკენ უნდა იყურებოდეს, მხოლოდ იქ ეძებდეს სიწმინდეს და ნუგეშს, როგორ მოქმედებს ეს ქართული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე?

ყოველივე ეს ბუნებრივად ბადებს კითხვას: „საერთოდ კი შეიძლება სხვა ნიადაგზე და ტრადიციებზე წარმოქმნილი რელიგია ასახავდეს სხვა ერის ინტერესებს?“ ამ კითხვაზე ალბათ ერთგვაროვანი პასუხის გაცემა არ ივარგებს. აქ, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნას, რამდენად დაემთხვევა ესა თუ ის რელიგია ერის ინტერესებს, მის მიზნებსა და მისწრაფებებს, რამდენად გაითავისებს ერი ამ რელიგიას, რა მიმართულებით წაიყვანს მას და ცხოვრების როგორ წესს შესთავაზებს, რა როლს შეასრულებს მის განვითარებაში, განმტკიცებაში, როგორ კულტურასთან დააკავშირებს, შეუნარჩუნებს თუ არა მას თვითმყოფობასა და თვითშეგნებას. ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა წარმოუდგენელია ჩვენი ისტორიის გადახედვის გარეშე. ეს კი, თავისთავად, უკავშირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება საკითხს, თუ რა როლი შეასრულა რელიგიურმა ფაქტორმა ქართული ეროვნული საქმის მოწესრიგებაში?..ამ კითხვაზე პასუხი ალბათ არ უნდა გაჭირდეს. ყველასათვის ცნობილია მრავალი გამოჩენილი ქართველი მოღვაწის დადებითი დამოკიდებულება და გამონათქვამები ქრისტიანობის შესახებ, რომ ქრისტიანობამ ჩვენ გაგვაერთიანა, მან შეგვინარჩუნა ჩვენი მიწა, თვითმყოფობა, ტრადიციები, ენა, ყოველივე ის, რასაც ქართველობა ჰქვია. ის იყო საუკუნეთა მანძილზე მძლავრი სულიერი იარაღი, რომელიც მოგვიწოდებდა არ გავთათარებულიყავით, შეგვინარჩუნებინა ეროვნული მეობა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდში ხშირად ქართველობა და ქრისტიანობა იდენტურ ცნებებად აღიქმებოდა. ჩვენ გვაქვს შესანიშნავი მაგალითები ქრისტიანობის ზეგობისა, სამშობლოსათვის თავდადებისა და თავის შეწირვისა. გვახსოვს დავით აღმაშენებლის სიტყვები დიდგორის ომის წინ ქრისტიანობის მნიშვნელობის შესახებ. მაგრამ ყოველივე ეს და კიდევ მრავალი სხვა რამ, რაც ქრისტიანობის სასარგებლოდ მეტყველებს, მოქმედებდა მანამ, სანამ სხვა რელიგიის მატარებელ ხალხებს ვებრძოდით ან მათგან ვიცავდით თავს. მაგრამ ჩვენ ისიც კარგად ვნახეთ, თუ როგორ დაბლაგვდა ეს მრავალნაკადი სულიერი იარაღი მაშინ, როცა ჩვენ დავდექით საფრთხის წინ ჩვენივე სარწმუნოების ხალხისაგან. როდესაც ჩვენ აშკარად და გასაგებად გვითხრეს: თუ თქვენ მარტო ქრისტიანობისათვის იბრძოდით, თუ ეს არის თქვენი საბოლოო მიზანი, აი, ჩვენ გვაქვს ზუსტად ისეთი სარწმუნოება, რომელიც თქვენშია გავრცელებული და საბრძოლველიც აღარაფერი გაქვთო. ჩვენ მოწმე შევიქმენით იმისა, თუ ერთმორწმუნეობის საბაბით როგორ გაგვიუქმეს ეკლესიის დამოუკიდებლობა, როგორ წაგვართვეს დიდი საეკლესიო ქონება, როგორ იქცა საუკუნეთა მანძილზე გამოცდილი ჩვენი სულიერი იარაღი ჩვენივე დამორჩილების, დაბრიყვებისა და გადაგვარების საშუალებად. ყოველივე ამან, რასაკვირველია, დაგვიჭვა ჩვენი ორიენტაციის სისწორეში, რომელიც დამყარებული იყო „მართლმადიდებლურ გულუბრყვილობაზე.“ ამ საკითხზე იმიტომაც ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ერთმორწმუნეობის ფაქტორს გარკვეული ძალები მნიშვნელოვან არგუმენტად დღესაც თვლიან და იყენებენ.

იყო კი როდესმე რელიგია საქართველოში სუფთა ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილი? რამდენად ეროვნული იყო, ვთქვათ, ქართველთა წარმართული სარწმუნოება? ამ კითხვაზე პასუხი მიჭირს, რადგან ჩვენი წინაქრისტიანული სარწმუნოება არცთუ ისე კარგად ვიცით. ტყუილად როდი ფრთხილობდა აკად. იჯავახიშვილი, როცა წერდა, რომ „...დიდი სიფრთხილე და კრიტიკული წინდახედულებაა საჭირო, რომ უცხო ქართულად არ ვცნათ, ახალი ძველად არ გვეჩვენოს.“ მაგრამ ის, რაც ვიცით — ფეტიშები, ტოტემური, ანიმისტური თუ ჯადოქრული ქმედებები, წინაპართა კულტი თუ ცალკეული ღვთაებები — უმეტესად ადგილობრივ ნიადაგზე, ყოფაზე და ტრადიციაზე უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი. ისინი საკმაოდ პოპულარულნი იყვნენ ხალხში. ამიტომაც იყო, რომ ქრისტიანობას გაუჭირდა გავრცელება საქართველოში, განსაკუთრებით კი მთაში. ხოლო ხალხში გავრცელებული ტრადიციები და წეს-ჩვეულებების ნაწილი, ის, რასაც ქრისტიანობა ვერ მოერია და თავიდან ვერ მოიშორა, იძულებული იყო შეეთვისებინა და გაეთავისებინა.

რა შეიძლება ითქვას ამ მხრივ თვით ქრისტიანობაზე. არის თუ არა ქრისტიანობა ჩვენთვის ეროვნული რელიგია, ან რა ხდის ქრისტიანობას ქართულ ეროვნულ რელიგიად? ამ კითხვაზე პასუხი თითქოსდა არ უნდა გაჭირდეს, აკი ჩვენ ვხმარობთ გამოთქმას „ქართული მართლმადიდებელი

ეკლესია“, მაგრამ განა ამ ეკლესიის მოძღვრება რითიმე სერიოზულად განსხვავდება, ვთქვათ, ბერძნული, რუსული ან სხვა მართლმადიდებლობისაგან? განა ყველა მათ ერთნაირი საფუძველი, დოგმები ან ტიპიკონი არა აქვთ?

თავის დროზე რომის პაპი პიუს მე-12 კათოლიკური მოძღვრების შესახებ წერდა: „კათოლიკური ეკლესია თავისი არსებით წარმოადგენს ზენაციონალურს, ეკლესია არის დედა, ჭეშმარიტი დედა, დედა ყველა ერის და ყველა ხალხების არანაკლებად, ვიდრე ცალკეული ადამიანების, და სწორედ ამიტომ იგი წარმოადგენს ყველას დედას. იგი არ შეიძლება ეკუთვნოდეს ამა თუ იმ ხალხს, ან რომელიმე ხალხს უფრო მეტად ვიდრე მეორეს, არამედ ყველას ერთნაირად. იგი არის დედა და აქედან იგი არავისთვის არ არის უცხო და არ შეიძლება ასეთი იყოს, რადგან იგი ცხოვრობს ან ყოველ შემთხვევაში, თავისი ბუნებით უნდა იცხოვროს ყველა ხალხებში...ამდენად ეკლესია წარმოადგენს ზენაციონალურს, რადგან იგი წარმოადგენს ყველასათვის უხილავ, ყოვლისმომცველ ერთობას“. ამ მხრივ, ყველა ერის და ყველა ხალხების დედობის, საკუთარი მოძღვრების ჭეშმარიტების პრეტენზიები მართლმადიდებელ ეკლესიასაც არანაკლები გააჩნია. მაშ რაში მდგომარეობს მისი ეროვნული ხასიათი? მისი ეროვნული სული?

ჩემი აზრით, მისი ეროვნულობა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ იგი გახდა მემკვიდრე საქართველოში გავრცელებული ძველი თუ ახალი რწმენებისა, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებებისა. თუ ზოგადად ვიტყვით, მაშინ, როდესაც ქრისტიანობა სხვადასხვა ქვეყნებში ვრცელდებოდა, მას ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია და მანამდე არსებული რელიგიური რწმენების დაძლევა უხდებოდა. ის, რის დაძლევასაც იგი ახერხებდა, იმას თავიდან იცილებდა, *რის თავიდან აცილებასაც ვერ ახერხებდა*, მას უკვე სათანადოდ გადამუშავებულს თავის არსენალში ღებულობდა. სწორედ ეს აძლევდა ეროვნულ ელფერს მართლმადიდებლობას საქართველოში, განსაკუთრებით ეს შეიმჩნეოდა მთაში. ყოველივე ეს, ზოგჯერ იმდენად უცნაურ ნაზავს ქმნიდა, რომ ორთოდოქსი ღვთისმეტყველები უარს ამბობდნენ ასეთი ნაზავის მართლმადიდებლობად აღიარებაზე. ამ მხრივ, თუნდაც ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილების გახსენებამაც კმარა (იხ. „ხევსურები“; ეპისკოპოს ანტონის აზრი ფშავ-ხევსურთა სარწმუნოებაზე; ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. 9,1964წ.) — გარდა ამისა, ქრისტიანობის ეროვნულობა ჩვენში იმაშიც გამოიხატა, რომ მისი მოძღვრებით იცხოვრა მრავალი საუკუნე, მის საფუძველზე შექმნა თავისი კულტურა; ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა, არქიტექტურა, თავის სამართალსაც რელიგიური ზნეობა დაუდო საფუძვლად.

თუმცა, მე თუ მკითხავთ, ქართველის ლაღი და თავისუფალი ბუნება ნაკლებად შეესატყვისება მკაცრ და ასკეტურ ქრისტიანულ მოძღვრებას. მაგრამ ქართველებმა ისტორიულად სწორედ ეს რელიგია აირჩიეს და მას უერთგულეს.

რა როლს შეასრულებს რელიგიური ფაქტორი ჩვენი ეროვნული პრობლემების გადაჭრაში? ამ კითხვაზე ასევე ძალზე ძნელია პასუხის გაცემა, რადგან ჩვენს დროში ქართველები მხოლოდ ერთ რელიგიას როდი მისდევენ. ახლა ქართველები მართლმადიდებლებიც არიან, კათოლიკებიც, ბაპტისტებიც, ორმოცდაათიანელებიც, ძველმართლმადიდებლებიც, ადვენტისტებიც, იეღოველებიც, კრიშნაიტებიც, მუსლიმებიც და ა.შ. ყოველივე ეს, რასაკვირველია, აფერხებს ქართველთა ერთობას. ისევე როგორც ესოდენ ფართოდ გავრცელებული პარტიები უშლიან ხელს ერთმანეთს ქართველთა იდეურ გაერთიანებაში. თანაც, არ არის გამორიცხული, *რომ ამ რელიგიურ სექტებს*, რომელთაც ცენტრები სხვა ქვეყ-

ნებში აქვთ, გამოიყენებენ ჩვენს პატარა ქვეყანაზე პოლიტიკური ზეგავლენის მოსახდენად. მით უმეტეს, რომ, როგორც მათი უმრავლესობა თვლის, რელიგიური ყოველთვის წინ უნდა იდგეს ეროვნულზე. ზოგი მათგანი კი, საერთოდ იგნორირებას უკეთებს ეროვნულ ფაქტორს. ზოგის აზრით, „ნაცია — ერი წარმოადგენს ადამიანთა მოქმედების შედეგს, რომელსაც ღმერთი უშვებს და არ კრძალავს, იგი განკუთვნილია ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისათვის, რომელიც გარკვეულ დროს არსებობს...ქრისტიანობას ეკუთვნის პირველობა და უმაღლესობა, რამდენადაც ღმერთის ქმედება სჭარბობს ადამიანის ქმედებას, იმდენად ქრისტიანობა აჭარბებს ეროვნულს.“

აქ აქცენტები იმდენად ნათლად არის დასმული, რომ დამატებით განმარტებას აღარ თხოულობს.

პირადად ჩემთვის კი რელიგია იმდენად არის ძვირფასი, რამდენადაც იგი ერის სულს, მის მისწრაფებებს გამოხატავს, იმდენად, რამდენადაც ხელს უწყობს ეროვნულის დანერგვას და განმტკიცებას და თუკი იგი ამ ფუნქციას ვერ ასრულებს, ჩემთვის მისი მნიშვნელობა კნინდება.

ჩვენ დაგვხვდა ისეთი საქართველო და იმ ზომის საქართველო, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დაიცვეს და დაგვიტოვეს; ხოლო ის, რასაც ჩვენ დავიცავთ და დავტოვებთ, ჩვენს შთამომავლობას დარჩება. შესაბამისად მიზანი ჩვენს ისტორიაში იმ ქართველი მებრძოლებისა, იმ 300არაგველისა თუ 9 ძმა ხერხეულიძისა, იმ გმირობისა და თავდადებისა, რომელსაც ისინი ბრძოლაში იჩენდნენ, პირველ ყოვლისა, ჩვენი სამშობლოს და მამულის დაცვა იყო, რათა არ დაგვეკარგა სამშობლო და სხვაგან არ ვყოფილიყავით თავშეფარებულნი, რადგან არავინ არ არის ამქვეყნად იმაზე უბედური და საცოდავი, ვისაც სამშობლო არ გააჩნია. ძალაუნებურად გახსენდება ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსის სტრიქონები: „მთავარი მაინც მამული არის, განსაცვიფრებლად არის მთავარი.“ ამ საქმეში კი რელიგიამ თავისი სიტყვა უნდა თქვას. ხმა ღვთისა და ხმა ერისა უნდა გაერთიანდეს ამ სანუკვარი მიზნის განსახორციელებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ ჩხაიძე

უსაზრისო ყოფა

(რეზო ჭეიშვილი — 14 ნოველა. „ბანთიადი“. 9.91.)

პირველი ნოველა, რომელსაც ჰქვია „რუა“, სახელი — მდინარის, წყლის, ვით სიცოცხლის საწყისისა, საერთო ტონალობასა და აზრს ანიჭებს ნოველების ამ ციკლს. აქ არის დახატული ერთი პატარა სურათი, თავისთავად ფრიად სიმბოლური და, გასინჯეთ, თითქოს წინასწარმეტყველურიც: ღორი დაადორებს ეკლის ღობის ძირას კაცის თავს. ამ სურათს უყურებს დაღუპულის ორი გაოგნებული ამფსონი. დაღუპვის მიზეზი: ავტოავარია, ორსავე მხარეს საჭესთან მსხდომთა გამოთაყვანებამდე მისული სიმთვრალე. გაივლის არც ისე დიდი ხანი და მწერლისეული ხილვა, ვაგლახ, აცხადდება უფრო ფართო და საზარელი სახით: საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში ღორები ჯიჯგნიან ტვინგადმონთხეული ჭაბუკების თავებს. ამას თავისი თვალით ხედავენ დახოცილ-დასახჩირებულთა ამხანაგები. ვერ აიტანენ კოშმარულ სანახობას, ავტომატის ჯერს მიუშვებენ გათავხედებული პირუტყვისაკენ...ადადგვარების მწვერვალი: ატყდება ვაიუშველებელი. ჩივიან არა ადამიანის სისხლის დაღვრას, ისიც — თვისტომთა, ისიც — ერთმანეთის ხელით, ჩივიან ღორების დახოცვას, თანაც — ქალები, დედები...ზემომოტანილი ორი სურათი მხოლოდ გარეგნულად როდი ჰგავს ერთიმეორეს. ნოველისეული ხატი, თავად ქმნილების საერთო განწყობისაგან გამომდინარე, შეგვიძლია აღვიქვათ თვითგანადგურებისკენ ლტოლვის თავისებურ გამომჟღავნებად, თუნდაც არაცნობიერი ლტოლვისა, განა იმავე აზრისკენ არ გვიბიძგებს სინამდვილის ის ფაქტებიც, რასაც ასოციაციით აღგვიძრავს ნოველაში დახატული ზემოთ მოხმობილი სურათი?

თვით ნოველა შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ პირობითად: პირველ ნახევარში ძუნწ ინფორმაციას, მოწოდებულს მდინარისა და სოფლის ადგილმდებარეობის, მისი გეოგრაფიული გარემოს შესახებ, მოსდევს აქ გაშენებული ბოტანიკური ბაღის დახასიათება. ავტორის განგებისად უემოციო აღწერითს თხრობას ერთბაშად ცვლის მღელვარებამორეული ხმა ქალისა, რომლის ნაუბარი მთლიანად გვირღვევს თავდაპირველ იდილიურ წარმოდგენას ამ, ერთი შეხედვით, მყუდრო, სუფთა, ჯანსაღ, ადგილზე. ქალის ჩივილის გასამხელად, ჩივილისა იმის გამო, რომ ეს ადგილი კერაა რაღაც უცნობი დაავადებისა, რისგანაც სნეულდებიან და იღუპებიან ადამიანები, შერჩეულია ჟურნალისტთან ინტერვიუს ფორმა. თავად ინტერვიუერი და მისი თანამოსაუბრე არ ჩანან, ასე ვთქვათ,კადრს მიღმა არიან. გვესმის მხოლოდ თანამოსაუბრის პასუხი, შინაგანად აღელვებული ადამიანის მონოლოგი, წუხილის, შეშფოთების გრძნობით გამსჭვალული.

მეორე ნაწილში აღწერილია (ასევე საკმაოდ ძუნწად), როგორ გამოვლენ აქ ჩადგმული რესტორნიდან შუაღამემდე ნაქეიფარი, უგონოდ მთვრალი ამფსონები, როგორ დაეჯახება მათ მანქანას მეორე მანქანა, როგორ აღმოჩნდებიან საავადმყოფოში და როგორ დაბრუნდება უკან ორი გადარჩენილი თანამეინახე დაღუპული ამხანაგის თავის მოსაძებნად.

სულ ეს არის გადმოცემული ნოველაში, რომელსაც ჟურნალის ორად ორი გვერდი უკავია. უმარტივესი მონტაჟი სამი უბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალო რამის: სოფლის გარემოს ძუნწი აღწერა, უჩინარი პერსონაჟის მოკლე მონოლოგი და ყოველდღიური, ჩვეულებრივი ამბავი — ავტოავარია, ერთი უამრავ შემთხვევათაგანი.

არადა, თავს ეკითხები: რატომაა, რომ გულგრილად ვერ წაგიკითხავს თითქმის ოქმისებური სიმშრალით დაწერილი ეს მინიატურა?

ჩვენ ჩვენდაუნებურად ხშირად ყურს ვაჩვევთ, ვეგუებით ხოლმე ზოგ ისეთ რამეს, ისეთ მოვლენას, რასაც ადამიანი არ უნდა ეგუებოდეს. ეს გვემართება არა მხოლოდ პრესა-ტელევიზიის, თავად გართულებული ცხოვრების ზეგავლენით, გვემართება ლიტერატურისა და ხელოვნების მოჭარბებული პროდუქციის ზეგავლენითაც. რამდენჯერ გავცნობილვართ ათასგვარ სიავეს, წიგნის ფურცლებზე მოთხრობილს, და რამდენჯერ გვითქვამს გუნებაში: „ეს ხომ ნაცნობი, ჩვეულებრივი ამბავია, აკი წაგვიკითხავს მსგავსი რამ.“ ჭეშმარიტი მხატვრული ნიჭი თითქოს პირველად, ან ხელახლა, ხელახალი თვალით შეგახედებს საგანსა თუ მოვლენას, გულში გიღვიძებს მიძინებულ გრძნობას გაკვირვებისას. ეს თვისება რეზო ჭეიშვილის ნიჭსაც ახასიათებს, არაერთ მის მოთხრობაში გამოვლენილია იგი მკაფიოდ. დღეს, აბა, ვის გააოცებ მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის წარმოჩენით? როცა „რუას“ კითხულობ, იმ მონაკვეთს, სადაც კორესპონდენტთან მოსაუბრე ქალის ხმა მოგესმის, შენი არსების სიღრმეში მიჩქმალული ეს პირვანდელი გრძნობა (გაოცებისა) აღგეძვრის. მხატვრული სიტყვის ზემოქმედების, მხატვრული ეფექტის საიდუმლო რომ ბოლომდე, ზედმიწევნით შეიცნობოდეს, ზღვარი შემოქმედებასა და ხელოსნობას შუა დიდი ხანია წაშლილი იქნებოდა. მხოლოდ ზოგიერთ ძირითად ხერხს, საშუალებას — თუ საცნაურყოფთ, რომლებსაც ხელოვანი ქვეშეცნეულად იყენებს რაიმე მოვლენის ასახვისას. ფსიქოლოგიური ზემოქმედების საფუძველს „რუას“ პირველი ნახევრის კითხვისას, უწინარეს ყოვლისა, ალბათ მოულოდნელობის ეფექტი ქმნის, ის კონტრასტი, რაც ვლინდება ძუნწი შტრიხებით წარმოდგენილ სოფლის იდილიურ გარემოსა და ამ იდილიურობის საფარველს მიღმა, სინამდვილეში არსებულ სავალალო მდგომარეობას შორის. თანაც ეს გადასვლა ხდება ერთბაშად, მკითხველის რაიმე წინასწარი შემზადების გარეშე. მხატვრულ ეფექს აძლიერებს ისიც, რომ დაავადების, უცნობი გამოსხივების კერად შერჩეულია ისეთი ალაგი, როგორიც ყველაზე მეტად შეეფერება ჩვენს წარმოდგენას „სუფთა და წმინდა ადგილის“ შესახებ —ბუნების ნაკრძალი, ბოტანიკური ბაღი. „გვაკვირვებს“ ისიც, თუ რა მორიდებული კილოთი ლაპარაკობს ადამიანი თავის კუთხის უბედურებაზე, იმ საფრთხეზე, რაც აქ მცხოვრებთა სიცოცხლეს ემუქრება. მკითხველი ვერ გარკვეულა ხეირიანად, სამარჩიელოდ, თითქმის გამოცანად გახდომია, რატომ ამჯობინებენ აქაურები, არ გაამხლონ თავიანთი ჭირ-სატკივარი, ვისი ან რისი ეშინიათ. თავად მსხვერპლად აქ გავრცელებული სნეულებისა ქალებია მითითებული. კორესპონდენტთან მოსაუბრე პირდაპირ ამ სიტყვებით იწყებს: „აქ ქალები ავადდებიან ქალური ავადმყოფობით, საშვილოსნოს ყელის და თვით საშვილოსნოს სიმსივნით...“ უფრო მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, ავტორს ბავშვების მდგომარეობაზე გაემახვილებინა ყურადღება, ეს თითქოს უფრო „ბომგებიანი“ იქნებოდა შთაბეჭდილების მოხდენის თვალსაზრისით. ავტორი არ ჰყვება ამ ცდუნებას. თუ დავუკვირდებით, მითითება ქალზე, დაავადების კონკრეტულ სახეობაზე სიმბოლურ აზრს შეიცავს. ქალი და დედა-მიწა. წაბილწულია პირველის საშო — წიაღი შვილოსნობისა და ნაყოფიერებისა. წაბილწულია მეორის საშო — დასაბამი სიცოცხლისა.თუმცა ამ ნოველის სიმბოლიკაზე ქვემოთ კიდევ შევჩერდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ნახევრის მხატვრული ზემოქმედების თავისებურებას ძირითადად მკითხველის შეცბუნების, „შოკირების“ პრინციპი განსაზღვრავს. ჩვენ ისე შევაჩვიეთ თვალი და სმენა ათასგვარ უბედურ შემთხვევას, სამწუხაროდ, ისეთ ჩვეულებრივ ამბად იქცა ავტოკატასტროფა, ადამიანთა მსხვერპლი, რომ ძნელია შთაბეჭდილება მოახდინო მანქანის ავარიის აღწერით. ავტორი არცა ცდილობს ამას. სამაგიეროდ იგი პოულობს ერთადერთ ნიშანს, თავისებურებას, რითაც ეს კონკრეტული უბედური შემთხვევა განსხვავდება სხვა უამრავი მსგავსი შემთხვევისაგან. აქაც იყენებს მოულოდნელობის ელემენტს. ჩვენ ჯერ მხოლოდ ის ვიცით, რომ ოთხი ამხანაგიდან ორი დაიღუპა, ისიც ვიცით, განგებისად მშრალი საგაზეთო ინფორმაციის ენით ნათქვამი: „ალაგობრივ დაიღუპა ორი, ორი არც დაშავებულა.“ მხოლოდ საავადმყოფოს ექიმის მოულოდნელი განცხადება, თავი სად არისო, გვგვრის შეცბუნების გრძნობას, ბოლოს კი შოკში ვვარდებით იმ ორ პერსონაჟთან ერთად, რომლებიც ავარიის ადგილას ბრუნდებიან და გამთენიის ხანს თავიანთი თვალით ხედავენ ამაზრზენ სურათს, ამ წერილის დასაწყისში რომ მოვიხმეთ.

ორი-სამი შტრიხით მონიშნული უბადრუკი სინამდვილის სურათი აქ უფრო საგულისხმიეროა, უფრო ძლიერ ემოციურ დამოკიდებულებას გვიქმნის, ვიდრე ბევრი საგულდაგულოდ დახატული სურათი შეგვიქმნიდა. აქ, ამ კუთხეში, არავის არაფერი ანაღვლებს, არც ვინმე პასუხს აგებს დანაშაულის გამო. სრული განუკითხაობა გამეფებულა. მეტიც: ავტორის ძუნწი, ქრონიკის შესაფერისი ცნობა, სარკაზმის გვარიანი დოზით შეზავებული, გვაუწყებს, რომ რაიონის მილიციის მუშაკებმა ერთ-ერთ პერსონაჟს, ავარიაში მოხვედრილსა და უვნებლად გადარჩენილს, „ტოპრაკში გამოკრული ანაშა შეუგდეს მანქანაში, დაიჭირეს და უკვე მერამდენედ, გაასამართლეს ნარკოტიკული ნივთიერების (გასაღება არ დაუმტკიცდა) ხმარებისათვის და მალე გამოუშვეს.“

ადამიანთა უბედურება და დანაშაული წესრიგის ოფიციალურ დამცველთ ხელის მოთბობის საშუალებად, შემოსავლის წყაროდ გაუხდიათ. ყველანი კვლავინდებურად არხეინად გრძნობენ თავს ამ დამყაყებულ ყოფაში, ამ ჭაობში. თავისიცა და ქვეყნის ბედიც ფეხებზე ჰკიდიათ. ნიშანდობლივია: ერთადერთი ადამიანი გამოსთქვამს შეშფოთებას არსებული მდგომარეობის გამო და ისიც უცხოელია, წარმოშობით უცხო ტომისა...

ერთი შეხედვით, მარტივად დახატული მარტივი სურათები პატარა ნოველისა, მთლიანობაში აღქმული, თავისთავად იძენს, მწერლის მხრივ ძალის დაუტანებლად, განზოგადებულ, ფრიად საგულისხმო სიმბოლურ აზრს. ამ მინიატურულ ქმნილებაში, ისე, როგორც სარკეში, შიშვლად, შეუღამაზებლად ვხედავთ საკუთარ თავს, დამოკიდებულებას საკუთარი მიწა-წყლისადმი, საკუთარი არსებობისადმი. წმინდა მდინარის სანაგვედ გადაქცევა, ღვთის ბოძებული სამოთხისებური ალაგის გამოყენება სიცოცხლის დამახინჯებისა და თვითგანადგურების არენად უბრალო ყოფითი მოვლენები აღარაა, ეს ყოველივე ამხელს ჩვენს ფარულ სახიფათო მიდრეკილებას, წამოჭრის ულმობელ კითხვას ჩვენს წინაშე: გვსურს თუ არა სიცოცხლე? ხომ არ მოიღალა ჩვენი მოდგმის სისხლი, ხომ არ მილეულა ჩვენი სიცოცხლის ძალა? ამ კითხვებს ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ გავერიდებით, ვერც ვინმეს იოლად ვანუგეშებინებთ თავს ტკბეკინთ, ყურში მოღიტინე ბაიათებით.

ნოველის ავტორი ცდილობს, ცდილობს ძალზე ფრთხილად, აღგვიძრას ერთი სარისკო ასოციაცია. ამ მიზნით იგი ახდენს გათამაშებას სიტყვებისას: „თავი“, „ტრიფოლიატის ნაყოფი“, „გორება“, „ბურთი“, „ფეხით თამაში“. უფრორე სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნალის, ვიდრე მინიშნების დონეზე, სურთ „ჩაგვაწვეთონ“ რომ ადამიანის თავის გორება და ტრიფოლიატის ნაყოფით ბურთის თამაში დაახლოებით თანაბარი რიგის მოვლენებია. როცა ინდივიდის სიცოცხლის ფასი ამ ზომამდე დაეცემა, ასე გაუფასურდება, ეს იმაზე მეტყველებს, რარიგ გაუცხოებულა ადამიანი სხვა ადამიანთაგან, მთლიანად საზოგადოებისაგან, რაოდენ უაზრო გამხდარა მისი არსებობა.

უაზრო ცხოვრების თემაზე დაწერილ ვარიაციებს ქმნის ნოველები: „გიო“, „ექიმი კვინიხიძე“, „მენაგრე“, „ვასო ერედელი“. ასაკით, პროფესიით განსხვავებულ ადამიანთა უღიმღამო ცხოვრება გაიელვებს ჩვენს თვალწინ, გაიელვებს ლანდივით და უკვალოდ ქრება. ბოლო, აღსასრული, არყოფნაში გადასვლა განსაკუთრებული სიცხადით წარმოაჩენს თითოეული მათგანის ცხოვრების მოჩვენებითობას, ეფემერულობას, ძალაუნებურად დაგაფიქრებს კითხვაზე: ან მათი მოსვლა რა იყო, ან მათი — წასვლა? დამცრობილ-დაკნინებული ყოფა,მოკლებული რაიმე მიზანს, აქ საერთო ადამიანური ცხოვრების გარკვეულ ნორმად უფროა მიჩნეული, ვიდრე საკუთრივ ობივატელთა არსებობის ხვედრად. თუმცა ავტორს ხელთ ერთობ მწირი საშუალებანი აქვს პერსონაჟთა უბადრუკი ცხოვრების საჩვენებლად, ის განწყობა, რაც სურს მკითხველს გადასდოს, მაინც კარგადაა გამოხატული; უნარიანად არის შერჩეული და გამოყენებული ყოველი დეტალი, შტრიხი, ქცევა, შესიტყვება, პერსონაჟსა და უშუალოდ მის გარემოს რომ გვიხასიათებს. ზოგი პერსონაჟი აღსასრულის წინ აშკარად ხედავს თავისი სიცოცხლის უაზრობას, ზოგი არხეინად, ფარვანასავით გალევს წუთისოფელს. ზოგ ამ ნოველათაგანს იუმორთან და ირონიასთან ერთად მსუბუქი მელანქოლია ახლავს, ზოგი ტრაგიფარსის ხასიათს იძენს („ექიმი კვინიხიძე“).

გაუცხოების თემას ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში შეეხო ჩვენი მწერლობა. აქ, პირველ ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ არჩილ სულკაური და თამაზ ჭილაძე. მათს ადრინდელ ზოგიერთ პროზაულ ქმნილებაში უკვე ვხედავთ, როგორ იჩენს თავს, როგორ ღრმავდება შინაგანი კრიზისი ახლობლებს შორის, ოჯახურ ურთიერთობაში, თვით სიყვარულით შეუღლებულ ქალვაჟს შორისაც კი. გაუცხოება ზოგიერთი პერსონაჟისა სცილდება ოჯახური წრის ფარგლებს, ვთქვათ, დამოკიდებულებას შვილსა და მშობლებს შორის, და გადაიზრდება დისჰარმონიულ მიმართებაში გარემომცველ საზოგადოებასთან (მაგ.,დათო ნათიშვილი ა. სულკაურის „ოქროს თევზიდან“). თამაზ ჭილაძესთან სიღრმისეულ მიზეზად მოყვარულ ადამიანთა განშორებისა და ერთიმეორისაგან გაუცხოებისა ცხოვრების პროზა წარმოგვიჩნდება. არჩილ სულკაურთან საცნაური ხდება სოციალურ-ზნეობრივი კონფლიქტი ან კიდევ პერსონაჟთა ხასიათში გამომჟღავნებული სიხარბე, ლტოლვა ნივთების შეძენისკენ, ხვეჭისა, რაც არყევს, სპობს ადამიანურ კავშირს (მოთხრობა „გაბო“). ჟანრული თვალსაზრისით მათს ამგვარ ნაწარმოებებს უფრო სულიერ-ფსიქოლოგიური ან საზოგადოებრივ კონფლიქტზე აღმოცენებული სოციალურ-მორალური დრამის ნიშნები ახასიათებს, თუმცა შიგადაშიგ სატირის ელემენტიც არის გამოყენებული. სატირულ-პაროდიული სახით გამოიხატა ნათესაური კავშირის გაუკუღმართება ჯემალ ქარჩხაძის საყურადღებო მოთხრობაში „ოპერაცია „დეიდა ტასო“. რეზო ჭეიშვილი თავის მოთხრობებში უპირატესად სატირულ- გროტესკული ფორმით წარმოსახავს ჩვენი საზოგადოების ადამიანს, ეს მისი პროზის ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ გამოკვეთილი ნაკადია, აქ ახერხებს იგი შემოქმედებითი ნიჭის თავისებურების მეტი სისრულით გამოვლინებას, თუმცა ადრინდელ მის ზოგი-

ერთ ნოველაში, ხოლო შემდგომ მოთხრობების ციკლში — „მუსიკა ქარში“, რომელიც ბავშვობის მოგონებებითა და შთაბეჭდილებებით არის ნასაზრდოები, შესამჩნევად და საკმაოდ მიმზიდველადაც გამომჟღავნდა ლირიკულ-პოეტური საწყისი. გაუცხოებული ადამიანის თემა, თემა საზრისსმოკლებული, დამცრობილ-დაკნინებული ყოფისა რეზო ჭეიშვილმა სატირულ-გროტესკული თვალსაზრისით ყველაზე უფრო მრავალმხრივ და შთამბეჭდავად ასახა (ნაირა გელაშვილთან ერთად) თანამედროვე ჩვენს მწერლობაში.

ერთი მთავარი მიზეზი მწერლის მოთხრობათა გმირების გაუცხოებისა ერთიმეორისგან, საზოგადოებისგან და საკუთარი თავისგანაც ესაა გაუცხოება შრომისაგან, უშუალო მოვალეობით გათვალისწინებული საქმისგან, საერთოდ საზოგადოებრივ-შემოქმედებითი საქმიანობისაგან („ჯი“, „ციხფერი მთები“, „კომპოზიტორი ჩირიბერიძე“, კინომოთხრობა „წარსულის სურათები“). არც ერთი პერსონაჟი არ ასრულებს, არ ადგას ისეთ საქმეს, რაც მათ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ კმაყოფილებას მოჰგვრიდა. მწერალი ცდილობს ადამიანთა საზოგადო საქმიანობა მაქსიმალურად დაწუროს შინაარსისაგან და წარმოადგინოს აბსურდულ რამედ. ამგვარი აზრი ცნაურდება, მაგალითად „ციხფერ მთებში“. აქ საგულისხმოა ისიც, რომ ამ მოთხრობის საბოლოო ვარიანტს პირვანდელთან შედარებით ემჩნევა ტენდენცია პარადოქსული ვითარების განვითარება-გაღრმავებისა აბსურდული სიტუაციისაკენ. ავტორი ესწრაფვის აბსურდულობის ეს აზრი განაზოგადოს და შრომითი საქმიანობიდან გაავრცელოს საერთოდ ადამიანის არსებობაზე. ეგევე აზრი განსახილველთაგან ერთ-ერთ ნოველაში („გიოში“) ასე ვთქვათ, ენობრივ დონეზე მჟღავნდება, ფრაზეოლოგიურ-სემანტიკური ფორმით მხილდება. მაგალითად, მთავარ პერსონაჟზე ნათქვამია: „სახლიდან გამოსულმა არ იცოდა, მიადგებოდა თუ არა იქამდე, სადაც არ მიდიოდა.“ აქ ჩანს სურვილი, მოქმედების ალოგიკურობა, მთლიანად უმიზნო არსებობა პერსონაჟისა ავტორის სუბიექტური წარმოდგენიდან გადატანილ იქნეს ონტოლოგიის სფეროში. ძალაუნებურად აღიძვრის მწერლის მსოფლმხედველობის საკითხი, რის შესახებაც ბოლოს ვიტყვი ორიოდე სიტყვას.

ნოველა „ჭეეპი“ (სოფლის სახელია) გარკვეულწილად ენათესავება ზემოთ მითითებულ ოთხ ნოველას, „განთიადის“ მე-9 ნომერში რომ არის წარმოდგენილი, ენათესავება მინორული განწყობილებით, სევდით, წარმავლობის, ცხოვრების უსიხარულობისა და ამაოების გამო. იგი დაწერილია მოგონების ფორმით და ემყარება სოფლის ბავშვობისდროინდელ გარემოსთან ორმოცი წლის შემდგომ ნანახი გაპარტახებული სახლ-კარის შეპირისპირებას. ეგ კია: ყოველივე ეს მკითხველისთვის უკვე საკმაოდ ნაცნობი განწყობილება და ნაცნობი ანტურაჟია.

რაგინდ ნიჭიერიც უნდა იყოს ბელეტრისტი, ვერ მოვთხოვთ ყველა ქმნილება თანაბარი ღირებულებისა გამოუვიდეს მხატვრულ-შემეცნებითი თავლსაზრისით.

„ტურისტულ გემში“ აღწერილია, როგორ მოგზაურობს ტურისტთა ჯგუფი ევროპის გარშემო. ერთ-ერთი ტურისტი „სუკ“-ის წარმომადგენელი ეგორნებათ თანამგზავრებს. ეჭვმიტანილი, ცოლშვილიანი ახალგაზრდა კაცი, ისე განაწყენდება, ისე შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს ამის გამო, უცხო ქვეყანაში დარჩენას გადაწყვეტს; გაჯიქდება და ვერაფრით მოახერხებენ დაიყოლიონ და უკან გამომგზავრებისას თან წამოიყვანონ. შესაძლოა, ავტორს განზრახული ჰქონდა კიდევ ერთი სატირული ისარი ეტყორცნა ყბადაღებული, აწ უკვე წარსულს ჩაბარებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისათვის, სურდა გავეკვირვებინეთ, ნახეთ, რა საძრახისი უნდა იყოს ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაცია, თუკი საკმარისია ეჭვი მიიტანო კაცზე, დაბრალო, „ორგანოს“ მუშაკი ხარო, რომ პროტესტის ნიშნად ცოლ-შვილზეც და სამშობლოზეც ხელი აიღებინოო. მაგრამ ერთია განზრახვა, მეორეა მხატვრული შედეგი. მიზანი აქ მიეღწეველი რჩება. საბოლოოდ, კაცმა რომ თქვას, თვალწინა გვაქვს ერთი ჭირვეული კაცის ახირებული საქციელი. „მეჭეში“ გამოყვანილია თავისებურად საინტერესო ბიოგრაფიისა და ხასიათის მქონე კაცი, უკვე საკმაოდ ნაცნობი ჩვენი ლიტერატურიდან: დამძიმებული კაენის ცოდვით, რომლისთვისაც ბოლომდე უცხოა მონანიება, ახლაც ძველ დროს მისტირის გულში და დიქტატორის სადღეგრძელოს სვამს. არადა, ზიზღი, სიძულვილი მეზობლებისა სიბერეშიც წინ ხვდება. იგი ცოცხლად არის დახატული. ძირითადი დატვირთვა აქ დიალოგსა და ზუსტად შერჩეულ დეტალებზე მოდის. ახალი შტრიხი ამ ხასიათისა ის არის, რომ საჭირო, დასაფასებელი ხელობის მიმდევარია და ეს ხელობა თავისებურ მიმზიდველობასაც არ არის მოკლებული. ჩვენ თითქოს გვეკითხებიან: რატომ არის ან როგორ ხდება, რომ კაცის არსებაში სასიკეთო საქმის სიყვარულთან, წმინდა ადამიანურ თვისებასთან კაენის სული შეთავსებულაო. ამის იქით ავტორის მხატვრული აზრის ძიება არ მიდის.

„ნოდარია თოვაში“ ჟანრულ-სახასიათო ჩანახატის შთაბეჭდილებას უფრო ახდენს, ვიდრე სრულფასოვანი ნოველისას. „დენში“ ჩანს ჩვენი, ქართული ხასიათის თავისებურება, ორგვარი ბუნება: სიფიცხე და სილბო ერთსა და იმავე დროს, განწყობილების სწრაფი ცვლა, ერთი უკიდურესობიდან ერთბაშად მეორეში გადასვლა. ჩანს აგრეთვე მადლი კაცის გარჯისა, როცა ადამიანს შეუძლია სხვა ადამიანები გამოიყვანოს, მართალია, არცთუ ისე მიძიმე, მაგრამ მაინც უსიამოვნო ყოფითი გასაჭირისაგან.

ერთ-ერთ ნოველაში, რომელსაც „ქ-—— შვილი“ ჰქვია, აღწერილია ახალბედა ავტორის შეხვედრა პოეტ გიორგი ჭეიჩიშვილთან, მასთან გატარებული ერთი დღე. მწერლის სურვილია წარმოაჩინოს ქეჩიშვილის გულღია, პოეტური ბუნება, და მაინც ეს თვისება აქ ვერ იძენს შესაფერისი მხატვრული განზოგადების ხასიათს, არსებითად, კერძოობითი ადამიანის კერძო თვისებად რჩება. შედარებისათვის მივუთითებ მურმან ლებანიძის პროზის ერთ-ერთ ნიმუშს — „კაცის გახსენებას“, რომელიც ავტორს თავისი კრებულის მოგონებათა განყოფილებაში მოუთავსებია, არადა ერთი მშვენიერი ნოველაა. შეუძლებელია ეს ნოველა წაკითხო და სამუდამოდ არ დაგამახსოვრდეს მწერალ სოსო იორამაშვილის სახე, ხასიათი, ბუნება, თვალწინ არ დაგიდგეს იგი, თუნდაც პირადად არ გცნობოდეს, რაც მთავარია, შენიანად, ახლობელად არ დაიგულო. მურმან ლებანიძის მიერ შენიშნული ადამიანური თვისება იორამაშვილის ბუნებისა, ესოდენ ფაქიზი ნიუანსებით ოსტატურად წარმოჩენილი, სცილდება კერძოობითობის ფარგლებს და საერთო ადამიანურ თვისებად იშლება, თანაც გაყოსავენებს სურნელს იმისას, რასაც რევაზ თვარაძეს „ადამიანურ ურთიერთობათა პოეზია“ უწოდა. ის ერთგვარი გრძნობა უკმარისობისა, რაც რეზო ჭეიშვილის ზემომოხსენებული ნოველის წაკითხვისას გიჩნდება, შესაძლოა უშუალობისა და ლირიზმის უკმარისობის ბრალი იყოს, მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ რეზო ჭეიშვილი მოთხრობასა თუ ნოველას ზოგჯერ, თუმც იშვიათად, საფანელად უდებს ხოლმე საფუძველს ჩანაფიქრის ადეკვატური ხორცშესხმისათვის, სათანადო მხატვრული განზოგადებისათვის.

„სიუზანა მაკდონალდში“ ნაჩვენებია ჩვენებური, გადაჭარბებული, უკულტურო, პროვინციული სტუმარმასპინძლობის ჩვეულება, როცა გვგონია, თან გადავყევით უცხოელსო, სინამდვილეში კი, იმის მაგიერ, სიამოვნება მივანიჭოთ, შე-

ვაწუხებთ და გავტანჯავთ ხოლმე. ეს თემა „ყამირი“ არ არის თანამედროვე ჩვენს მწერლობაში. პირველი ხნული, თუ არ ვცდები, რეზო მიშველაძემ გაავლო.

„ჩიმაროზა“ ისეთ უმნიშვნელო რამეზეა აგებული, ჩიტი ბდღვნად არ ღირდაო, რომ იტყვიან. სამაგიეროდ ბოლო, მე-14 მოთხრობა, „ატროპოსი“, დიახაც დამაგვირგვინებელია ნოველების ამ ციკლისა. აქ კვლავ გველის „შეხვედრა“ რეზო ჭეიშვილთან, მისი ნიჭის საკადრის ქმნილებასთან, თუმცა შინაარსი ამ ქმნილების ქუფრი, საკმაოდ მძიმე აქვს. თავში, პირველი ნოველის „რუას“ განხილვისას ვთქვი, ავტორს ეხერხება-მეთქი ისე მოგაწოდოს რაიმე ტრაგიკული შემთხვევა, რომელიც თითქმის ჩვეულებრივ ამბად ქცეულა, რომ შეგაცბუნოს, აგაღელვოს, თანაც საფიქრალი გაგიჩინოს. ანალოგიურ მხატვრულ ეფექტს ახდენს რეზო ჭეიშვილის თხრობის ხელოვნება ამ ბოლო მოთხრობაში. დაიკარგება სტუდენტი ქალიშვილი. რამდენიმე დღის შემდეგ გარეუბანში, ტყეში იპოვიან მკვდარს, ტანსაცმელშემოგლეჯილსა და გაუპატიურებულს. ჩვენი უკუღმართი ცხოვრების ამ ფაქტზეა აგებული მოთხრობა. ეს ფაბულა ისეა ხორცხშესხმული, გიჩნდება ილუზია, თითქოს ახალ ამბავს ეცნობოდე. ავტორი უბრალოდ, ძალდაუტანებლად მოგვითხრობს უბედური ქალიშვილის თავგადასავალს, არც შინაგანი დაძაბვა ეტყობა, არც განსაკუთრებული ცდა — როგორმე აგვაფორიაქოს, შეგვძრას. თავად ქალიშვილს გარეგან ხედვით გვიჩვენებს, თანაც საკმაოდ ძუნწად, მხოლოდ ფიზიკურ პორტრეტს გამოკვეთს მკაფიოდ, ისიც კონკრეტულად, სულ ორიოდე დამახასიათებელი დეტალით. და მაინც თანდათან გიჩნდება ინდივიდუალური ემოციური დამოკიდებულება პერსონაჟის მიმართ. ამ მხრივ ორი გარემოებაა ყურადსაღები: მამა-შვილის დამოკიდებულების თავისებურება, უფრო სწორად მამის დამოკიდებულება ქალიშვილისადმი, ამასთან დაკავშირებული ზოგიერთი ფსიქოლოგიური დეტალი, რაც უშუალოდ პერსონაჟის (მამის) ქცევისას მჟღავნდება და თავისებურება დედის მწუხარების გამოხატვისა. თუმცა თხრობის სტილი გარეგნულად სადა და ნათელია, მოთხრობაში იქმნება განსაკუთრებული იდუმალების ატმოსფერო, რაც ამძაფრებს შთაბეჭდილებას. ეს ატმოსფერო იწყება მისტიფიკაციით, ძლიერდება დედის სიზმრით და გვირგვინდება მისივე მისტიკური ხილვით, მისტიკური კავშირით ქალიშვილის სულთან. მეორე მხარე მოთხრობისეული სინამდვილისა ესაა თავად საზოგადოება, მისი რეაქცია მომხდარი ფაქტის მიმართ, აგრეთვე დამოკიდებულება გაუბედურებული დედის დარდისადმი, დამოკიდებულება არაერთგვაროვანი. ეს საზოგადოება, მწერლის ყალმის ძუნწი, მაგრამ ეფექტური მონასმების წყალობით, ტრაგიკულთან ირონიულ-კომიკურის ელემენტის შეხამებით, თხრობის მიმდინარეობაში ანონიმი პერსონაჟის ცინიკური სატელეფონო გამოხდომის ჩართვით, წარმოგვიდგება თავისებურ პანოპტიკუმად, ხილვად საზარელი რომ არის. თუ „რუაში“ ცნაურდება ბნელი ინსტინქტური ლტოლვა სიცოცხლის ესთეტიკური თვალსაზრისით დამახინჯებისა და თვითგანადგურებისადმი, აქ, ამ ბოლო მოთხრობაში, თავად სიცოცხლე წარმოჩნდება შემაძრწუნებელი სახით. კაფკას ჩაუწერია დღიურში: სიკვდილის იმდენად როდი უნდა გეშინოდეს კაცს, შიში სიცოცხლისა უნდა გქონდესო. „ატროპოსი“ ამ სიტყვების დადასტურებად გამოდგება.

რეზო ჭეიშვილის სატირულ-გროტესკული მოთხრობები საბჭოური სინამდვილის შინა სახეს ააშკარავებდა, ამხილებდა საბჭოთა იდეოლოგიის სიყალბეს, იდეოლოგიისა, რომელიც ცდილობდა, საბჭოთა ადამიანის ხასიათი და ცხოვრება ვარდისფრად, ყოველნაირად შელამაზებული წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოედგინა. ამას შეეძლო შეექმნა მცდარი წარმოდგენა, ადამიანის სულიერი სატკივარი, გაუცხოება, უსაზრისო არსებობა — საბჭოური სინამდვილის სპეციფიკური ნიშან-თვისებანი, მისი დამახასიათებელი სენიაო. თუ ხალხს არ გააჩნია ეროვნული თავისუფლება და, მაშ, არ აქვს არც საკუთარი საზოგადოებრივი იდეალი, ეს მძიმე სულიერი შეჭირვების დაღს დაასვამს მას. არადა, დასავლეთის სინამდვილეში ჩვენზე უფრო ადრე იჩინა თავი ხსენებულმა სენმა, იქაურ ლიტერატურაში ფართოდ და მძაფრად აისახა იგი. ასე რომ, დასავლური ცივილიზაციის გზაზე შედგომა ჯერ კიდევ არ არის ამ სენისაგან თავის დაღწევის გარანტია.

მას შემდეგ, რაც ჩვენი მწერლობა განთავისუფლდა საბჭოური იდეოლოგიის შემბოჭველი არტახებისაგან, სულ უფრო არსებით მნიშვნელობას იძენს მწერლის მსოფლმხედველობის საკითხი, მითუმეტეს, სერიოზული პრობლემების დამუშავებისას. წინათ კიდევ შეიძლებოდა ფონს გასვლა საზოგადოებრივ მანკიერებათა უბრალოდ მხილებით, მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვით. ამიერიდან ეს საკმარისი აღარ არის. ახლა ნაწარმოების მიხედვით უნდა ჩანდეს, სახელდობრ რა მრწამსის მქონე ავტორი დგას მის უკან, რამდენად წრფელია ეს მრწამსი, მისეულია თუ ნასხვისარი, მწიგნობრული, წამმაძველობის ნიშნით აღბეჭდილი. ზემოთ უკვე ვთქვი, რეზო ჭეიშვილი ცდილობს ადამიანის ქცევის ალოგიკურობას, აბსურდულობას ონტოლოგიური საფანელი დაუდოს-მეთქი. ამ ცდას, ჩემი აზრით, მსოფლმხედველობრივი სიღრმე აკლია. როცა, ვთქვათ, კაფკა ადამიანის ყოფის აბსურდულობას წარმოსახავს, ჩანს: ეს ღრმა რწმენის უკუფეგნაა, რწმენისა, რომლის მიხედვითაც ადამიანის ბედს ირაციონალური ძალები განაგებს. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მსოფლმხედველობრივი მიმბაძველობა და ზერელობა, საკუთარი თვალსაზრისის შემუშავება უნდა შევძლოთ ზოგიერთ კარდინალურ საკითხზე. აქ, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება შეხედულება ნების თავისუფლებასა და ადამიანის ბუნებაზე. ამ საკითხს თვალი უნდა გამოვაყოლოთ იმ დავიდან, რაც ჰუმანიზმისა და რეფორმაციის ეპოქათა მიჯნაზე ატყდა ერაზმ როტერდამელსა და ლუთერს შორის, აგერ მეოცე საუკუნის ფილოსოფიური მიმდინარეობის, ეგზისტენციალიზმის შიგნით გამართულ კამათამდე სარტრსა და კამიუს შორის შესახებ იმისა, არსება წინ უსწრებს თუ არა არსებობას, ანუ არის თუ არა წინასწარ განსაზღვრული ადამიანის ბუნება. ცხადია აქ ლაპარაკი როდია მსოფლმხედველობის შემუშავებაზე მხოლოდ თეორიული, მწიგნობრული განათლების გზით. მწერლის მსოფლმხედველობას მთელი მისი ცხოვრების გამოცდილება, თანაც ტანჯვით მოპოვებული გამოცდილება აყალიბებს.

თანამედროვე ჩვენს მწერლობაში, აგრეთვე კრიტიკულ ნააზრევში, აზრთა სხვადასხვაობა ვლინდება ზოგიერთი არსებითი პრობლემის ირგვლივ. შეინიშნება ტენდენცია იმ თვალსაზრისის დამკვიდრებისაკენ, რომლის თანახმადაც ადამიანის ბუნება უცვლელია; ხოლო ზნეობა განიხილება, როგორც თვითკმარი,ავტონომიური რამ, მოწყვეტილი სოციალურ ფაქტორს. ამას მოსდევს სხვადასხვაგვარი პასუხი კითხვაზე: როგორ შეიძლება გარდაიქმნას საზოგადოება — თითოეულმა მისმა წევრმა ინდივიდუალური ძალისხმევით თვითგაუკეთესებასა და თვითსრულყოფას უნდა მიაღწიოს, თუ ჯერ საჭიროა ცხოვრების პირობები შეიცვალოს, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით საზოგადოების ჯანსაღი საფუძველი შეიქმნას? მსოფლმხედველობრივი პოზიციის გამომუშავება ამ კითხვებში გარკვევას მოითხოვს მწერლისაგან.

რეზო ჭეიშვილმა ისე მრავალმხრივ და საფუძვლიანად დაამუშავა გარკვეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემატიკა, ამ მხრივ თითქოს ამოწურა კიდეც თავისი თავი. ყოველ შემთხვევაში, საკუთარი თავის განმეორების საფრთხე ელის, თუ ახალ გზასა და საშუალებას არ მოძებნის. ესეც გავითვალისწინოთ: ამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აგერ ჩვენს თვალწინ რა უმსგავსობა და სიგლახე არ გამოაშკარავდა, რა საშინელება არ დატრიალდა, რამდენი გაუგონარი რამ მოხდა. ყოველივე ამან თითქოს წინდაწინვე გააფერმკრთალა, უძლური გახადა მხატვრული სიტყვა. მართლაცდა, რაღამ უნდა გაგვაკვირვოს ამიერიდან, თუკი სინამდვილემ ფანტაზიას გადააჭარბა? თუმცა, ვინ იცის, მწერლის სატირილმა ნიჭმა კვლავ შეძლოს ჩაგვახედოს სარკეში და განცვიფრებით გვათქმევინოს გულში: ნუთუ ეს ჩვენ ვართ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი მინდიაშვილი

„უჩემოდ არაფრის ქმნა არ შეგიძლიათ“

ხშირად ღმერთის არსებობასა და მის სამართლიანობაში ეჭვი იმის გამო უჩნდებათ, რომ ბოროტება და „ბოროტი ადამიანები“ არსებობენ. ფიქრობენ, თუ ღმერთი არსებობს და ყოვლადძლიერია, მაშინ რატომ უშვებს და როგორ ჰგუობს ბოროტებას? თუ ღმერთი არსებობს და ყოვლადკეთილია, მაშინ როგორ ითმენს ერთეულ ადამიანთა მიერ ათასობით და ათიათასობით ადამიანის გაუბედურებას, ტანჯვა-წამებასა და სიკვდილს? მაგრამ წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით ბოროტება თავისთავად ტანჯვა და სიკვდილი კი არ არის, არამედ ჩვენი ცოდვები, ჩვენი ზნეობრივი დანაშაული, ანუ როგორც სულხან-საბა განმარტავს: „ცოდვა ესაა ავის ქმნა. ბოროტი, გინა უშჯულოება“...

ღმერთმა ადამიანები მთელს ქვეყნიერებაზე, ყოველივე არსებულზე იმით აგვამაღლა, რომ შეგვექმნა ხატად და მსგავსად თვისა, მოგვცა უკვდავი სული, გონება და თავისუფალი ნება, არჩევანის შე- საძლებლობა, — ვიაროთ ან საღვთო გზით, რომელსაც ცხონებისკენ, მარადიული ნეტარებისაკენ, ცათა სასუფეველისაკენ მივყავართ, ან ღვთის საწინააღმდეგო გზით, რომელიც წარწყმედისაკენ, მარადიული სატანჯველისა და ჯოჯოხეთისაკენ გვიხსნის კარს.

ჩვენ ყოველ წამს, ყოველ წუთს თავისუფალი ვართ, განუწყვეტლივ თავისუფლების, არჩევანის წინაშე, როგორც კირკეგორი იტყოდა: „ან-ან“-ის წინაშე ვდგვართ. ღმერთი სიყვარულია. სწორედ ამიტომ არ სურს, მისკენ ძალდატანებით ვიაროთ, არ სურს, იძულებით ვიყოთ მისი ნების მორჩილნი, არამედ სურს ვიმოქმედოთ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი თავისუფალი ნებიდან გამომდინარე, ანუ როგორც წმინდა წერილში კვითხულობთ: „ღმერთმა დასაბამიდანვე შექმნა ადამიანი და მისი ხელის ანაბარა დატოვა.“

ბოროტება არის ცოდვა — ღვთის ნების დარღვევა. მაშასადამე, ბოროტება სამყაროში ჩვენი ადამიანური ნებიდან, ჩვენი თავისუფლებიდან შემოდის. ჩვენთვის ყველაფერი ნებადართულია, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია! ღმერთს შეეძლო უცოდველნი, ე.ი. უბოროტონი, უბიწონი დავრჩენილიყავით, მაგრამ მაშინ ასეთები ვიქნებოდით იძულებით, აუცილებლობით და არა ნებაყოფლობით, არა ჩვენი თავისუფალი ნებიდან გამომდინარე. ღმერთი სიყვარულია! ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი, ამ სიყვარულის თვალსაჩინო გამოვლინება და გამოხატულებაა ისიც, რომ იგი არ გვტოვებს ჩვენი ნებით ჩადენილი ცოდვებისა და ბოროტების ამარა, და თვით ბოროტებასაც კი, საბოლოო ჯამში, ჩვენს სასიკეთოდ, ჩვენს სასარგებლოდ წარმართავს. მოციქულებსა და მორწმუნე ქრისტიანებს, განსაკუთრებით, პირველ საუკუნეებში, უსასტიკესად, დაუნდობლად დევნიდნენ, შეიძლება ითქვას, ნადირობდნენ მათზე; აიძულებდნენ მშობლიური ქვეყნებიდან სახელმწიფოებში გადახვწილიყვნენ, მაგრამ ამით მდევნელებმა, ჯალათებმა, ტირანებმა არაფერი ვერ ამოძირკვეს და ვერ მოსპეს ქრისტიანული მოძღვრება, თავიანთი ნების წინააღმდეგ ხელიც კი შეუ-

წყვეს განდევნილ მორწმუნეთა მიერვე მთელს დედამიწაზე ქრისტიანული სარწმუნოების სწრაფ გავრცელებას. ქრისტიანებს კლავდნენ, ხერხავდნენ, წვავდნენ, მიწაში ცოცხლად მარხავდნენ, ჯვარზე აკრავდნენ, მაგრამ ამ მოწამეთა დაღვრილი წმინდა სისხლის წვეთებიდან, როგორც ფიგურალურად ამბობენ წმინდა მამები, ასიათასობით და მილიონობით ქრისტიანის სიცოცხლე აღმოცენდა. ისინი, ქრისტე მაცხოვრის რწმენასა და ერთგულებაში განმტკიცებულნი, იღებდნენ თავიანთ ჯვარს და მიჰყვებოდნენ უფალს, ლოცულობდნენ თავიანთ მდევართათვის, აკურთხებდნენ თავიანთ მკვლელებს, გალობდნენ, ფსალმუნებდნენ: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამორგუნველი და საფლავებს შინათა ცხოვრების მომნიჭებელი“...

მათ სიკვდილისა და მოწამებრივ აღსასრულს საუკუნეთა შემდგომ ჩვენს დღეებშიც მოაქვს კეთილი ნაყოფი: „და ნათელი ბნელსა ში ნათობს“; სინათლე ქრისტესი, სინათლე რწმენისა და ჭეშმარიტებისა, იმედისა და სიყვარულისა ჩაუქრობელი აღმოჩნდა, რადგან „ბნელმა იგი ვერ მოიცვა“ (იოანე 1,5).

ვინც ბოროტებას გეგმავს და ვინც ბოროტებასა იქმს ჩვენი ერის მიმართ, არ უწყიან, რომ ეს ბოროტება საბოლოოდ ჩვენს სულიერ-სარწმუნოებრივ გამოღვიძებასა და აღორძინებას მოემსახურება. თვით სტალინური უბედურებანი, მიწისძვრები, წყალდიდობები, მეწყრები, კატასტროფები, ხოცვა-ჟლეტა ასაკოვანთა თუ უასაკოთა, ძმათა კვლა, ომები, ძარცვა, ტაცება, — ყოველივე ეს, ჩვენი ურცხვი მოუნანიებელი ცოდვის გამო დაშვებული ჩვენს მიმართ, წმინდა წერილის ღვთაებრივი სიბრძნიდან გამომდინარე, ღმერთისა და ერთმანეთისაკენ მოგვაქცევს, გაგვახსენებს ღვთის მიხედვით ჭეშმარიტებაში სიარულის აუცილებლობას, დაგვარწმუნებს, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ და მხოლოდ ღმერთშია, ჩვენი სასიცოცხლო ენერგია კი ქრისტიანულ სარწმუნეობაში და არა ადამიანთა მიერ შეთხზულ რომელიმე, თუნდაც გენიალურ და ჰუმანურ მოძღვრებაში. ჩვენი დღევანდელი ვითარება და მდგომარეობა, მართალია, გვაკრთობს და გვაძრწუნებს, მაგრამ სასოება მაინც არ უნდა დავკარგოთ. უფლისადმი რწმენით, იმედითა და სიყვარულით, სულიერი მოძღვრებით უნდა ავიტანოთ ყოველგვარი განსაცდელი და უბედურება, შეურაცხყოფა და დამცირება, დევნა და ცილისწამება, რადგან როგორც ბიბლია, როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, ვინც განსაცდელში ჩავარდება და გაიმარჯვებს, იგი დიდების გვირგვინის ღირსია („ბოროტი საქმე ყოველი, მოკლეა, მით ოხერია,“ — რუსთაველი).

მსოფლმხედველობა, რომელზედაც საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ერის სულიერ-კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება შენდებოდა, შეიძლება ასეთი, მოკლე ფორმულით განისაზღვროს: ქრისტიანული პატრიოტიზმი. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში პატრიოტული გრძნობებისა და ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებას, ეროვნული მოძრაობის აღორძინებას ხალხში, წამყვან, წარმმართველ ძალებში პარალელურად არ მოჰყვა ასეთივე ძალითა და ინტენსივობით ქრისტიანულ-ეკლესიური ცხოვრების აღორძინება, ამიტომ მივიღეთ პატრიოტიზმი ქრისტიანობის გარეშე, ეროვნული ცნობიერება ქრისტიანული ცნობიერების გარეშე, ეროვნული სული ქრისტიანული სულის გარეშე, თუმცა ეროვნულმა მოძრაობამ განსაკუთრებული, გამორჩეული როლი ითამაშა ერის ერთი ნაწილის მართლმადიდებელი ქრისტიანული იდეალებით სულიერ-სარწმუნოებრივ ცხოვრებაში დასაბრუნებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინა საუკუნეებში ქართველობას, მაშინაც კი როდესაც ტერიტორიული მთლიანობა ჰქონდა დაკარგული, ქრისტიანული მსოფლმხედველობა და ქრისტიანული იდეალები აერთიანებდა, როგორც ილია იტყოდა, ქვიშკირივით ჰკრავდა და ადუღაბებდა ერთ მთლიან ეროვნულ სხეულად. წარსულში ქართველები არ ფილოსოფოსობდნენ, რომელი უფრო მაღლა იდგა — ღმერთი ანუ ჭეშმარიტება თუ სამშობლო, მოყვასი. ღმერთის ჭეშმარიტებისა და სამშობლოს, მოყვასის სიყვარული ურთიერთგანუყოფელი იყო. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ გასაბჭოებამდე საქართველოს საქრისტიანოს უწოდებდნენ, ქართველს — ქრისტიანს. ილიას სიტყვებითვე:

„რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დასაცავად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა — რჯულის დაცვად. რჯული ჩვენი მამული, ჩვენის ეროვნობის ხმლად იქცა ზედმოსევისათვის და ზედმოსეულთათვის.

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელი საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთსა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ იტყვიან: გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპტიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამ წმინდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახურო, თავგანწირვით ამოქმედოს...

...ქრისტიანობამ მოაგებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნება მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული მამულსა და ეროვნებასა, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება ზაიმძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრით გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა“.

ჩვენი ერის ძალა სწორედ ქრისტიანობისა და ეროვნულობის გაუთიშველობაში იყო, იდეალად კი ქრისტიანული საქართველო გგქონდა. ქართველთა ძლიერება რომ ქრისტიანობისა და ეროვნულობის ერთიანობაში მდგომარეობდა, ეს შესანიშნავად იცოდა ჩვენი ერის ყველა მტერმა — შინაურმა თუ გარეულმა. ამიტომ ცდილობდნენ მუდამ და დღესაც არ აკლებენ ცდასა და მონდომებას ქართველი ერის საბოლოოდ დასამონებლად და გასანადგურებლად ჩვენი სულიდან მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრას, ქრისტიანულ-ეროვნული იდეალების ამოძირკვას.

ქართველი ერისადმი ეს დამოკიდებულება, ეს პოლიტიკა ლაკონურად ჩამოაყალიბა აკაკიმ ერთ-ერთ თავის პოემაში („რაჭა-ლეჩხუმი“), ქართველთა ერთ-ერთი დაუძინებელი მტრის პირით:

სანამდი სარწმუნოება
ქართველს ექნება ხელშიო
და არ მოკვდება ზნეობით, —
ხელს ვერ წაუჭერ ყელშიო!
ჯერ უნდა რჯული წავართვათ,
გავხადოთ უნამუსოო
და მერე შევძლებთ ადვილად,
რომ კიდეც გავათათროოთ...

იმავე აზრს გამოხატავს შაჰ-აბაზი აკაკის „ბაში-აჩუკში:“

„რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუხორცებია და სულს ხორცზე მაღლა აყენებს...ხალხი, რომელსაც სხეული გაუკაჟებია და სული აუმაღლებია, საშიშია, ჯერ უნდა სხეული დაუდუნდეს, სული დაუმდაბლდეს და მერე შეიძლება მისი დამონება.“

ასევე ფიქრობენ თვით მოღალატე ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველებიც: გავიხსენოთ აკაკის მოთხრობა „წმინდა გიორგის რაზმი“, რა რჩევას აძლევს მოღატე ქუთათელი იზმაილ ფაშას:

„ქართველი ხალხი რომ საყდარში სიარულს აღარ დაიწყებს და საქრისტიანო მოძღვრებას მოკლებული იქნება, მაშინ ნელ-ნელა დაივიწყებს რჯულს, დაჰკარგავს სარწმუნოებას, ზნეობითად დაეცემა და ამნაირად სულით მკვდარი ხალხი ადვილად მოსათოკი იქნება“...

გარკვეულწილად ეს ამოცანა ჩვენმა მტრებმა შეასრულეს: ქართველობის უდიდესი ნაწილი ქრისტიანული იდეალებისა და ეკლესიის გარეშე აღმოჩნდა.

დღეს არც თუ იშვიათად ფიქრობენ, თითქოსდა ჭეშმარიტი ქრისტიანული მოძღვრება გამორიცხავს სამშობლოს, თანამემამულის სიყვარულს და მხოლოდ ზოგად-ადამიანურ, კოსმოპოლიტურ სიყვარულს ითვალისწინებს. ეს მცდარი, არასწორი თვალსაზრისია.

წმინდა პავლე მოციქული სასტიკად შეიძულეს თანამემამულეებმა, რადგან მათ ქრისტეს მოძღვრებას უქადაგებდა და ამიტომ თავიანთი მამების რწმენის მოღალატედ მიაჩნდათ.

წმინდა პავლეს კი იმდენად უსაზღვროდ უყვარს ისინი, მზადაა თავად საუკუნო სატანჯველში მოხვდეს, ოღონდ კი ჭეშმარიტებისაგან განდგომილი თანამემამულენი ცხონდნენ:

„დიდია ჩემი მწუხარება, და დაუმცხრალია ტკივილი ჩემი გულისა;

ასე რომ, ვისურვებდი თავად ვყოფილიყავი შეჩვენებული ქრისტეს მიერ ჩემი ძმების, ჩემი სისხლის და ხორცის გამო“ (რომ. 9. 2—3).

ურწმუნო ადამიანი ამქვეყნად მსჯავრდებულია უკვე იმით, რომ ურწმუნოა. ერთი სიტყვით, წმინდა მოციქული გვასწავლის: შორეული, უცხო ქვეყნის წარმომადგენელი რომ შეიყვარო, ჯერ შინაური, ახლობელი უნდა შეიყვარო; კაცობრიობა რომ შეიყვარო, ჯერ შენი ერის სიყვარული უნდა ისწავლო; ღმერთი რომ შეიყვარო, ჯერ მოყვასის სიყვარულში უნდა გამოიწრთოს შენი სული (მოყვასის სიყვარულში პირადი მტრის სიყვარულიც იგულისხმება...

ღმერთის, ანუ ჭეშმარიტების სიყვარული განუყოფელია მოყვასის სიყვარულისაგან, ამიტომ გვიწესებს მცნებად იოანე ღვთისმეტყველის პირით უფალი; ღმერთის მოყვარულს ძმაც უყვარდესო (იოანე 4, 21).

ჩვენ შორის არიან ისეთები, რომლებიც ხმამაღლა აცხადებენ, რომ ღმერთი, ჭეშმარიტება უყვართ, მოყვასი კი სძულთ. გავიხსენოთ, როგორ ახასიათებს ასეთ ადამიანებს წმინდა წერილი:

„თუ ვინმე ამბობს, რომ ღმერთი მიყვარს, თავისი ძმა კი სძულს, იგი მატყუარაა, ვინაიდან ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, არ შეუძლია უყვარდეს ღმერთი, რომელსაც ვერ ხედავს!“ (იოანე.4,20).

ამიტომ ღმერთის მოყვარულს თავისი ძმა, თავისი მოყვასიც უნდა უყვარდეს.

თვით იესო ქრისტე, ადამიანთა მთელი მოდგმის, ყოველი ჩვენგანის ცოდვების გამომსყიდველი ებრაელ ერს, თავის ხალხს უწოდებს. იერუსალემში ქრისტეს დიდებით შესვლისას აღრფოთოვანებული ხალხი უფალს „ოსანას“ შეძახილებით ეგებებოდა,ფერხთით საკუთარ სამოსს და პალმის რტოებს უფენდა, თვითონ უფალი კი ამ დროს ქალაქს გადაჰყურებდა და ტიროდა, მაგრამ ტიროდა არა თავისი მოახლოებული ვნებისა და ტანჯვის გამო, არამედ თავისი ერის გამო, სადაც იშვა ის ხორციელად, ტიროდა თანამემამულეთა გამო, რომელნიც მას, ჭეშმარიტ ღმერთს, განკაცებულ ჭეშმარიტებას ჯვარს აცვამდნენ, უარყოფდნენ, რის გამოც შემდგომში საუკუნეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმავლობაში მისი საყვარელი ერი, ჯვარცმული, ტანჯული ცხოვრებით იცხოვრებდა; ტროოდა იერუსალიმის მომავალი დანგრევის გამო, რაც მას ქრისტეს ჯვარცმიდან უახლოეს პერიოდში დაატყდებოდა თავს (ლუკა 19, 41–44., ლუკა 21,6).

როცა იესო ქრისტე თავის მოწაფეებს, წმინდა მოციქულებს გზავნის საქადაგებლად, უპირველეს ყოვლისა უბარებს:

„მიაკითხეთ უპირატესად ისრაელის სახლის დაკარგულ ცხვრებს“(მათე 10,6).

ამრიგად, ზემოთ ციტირებული ორიოდე მაგალითიდანაც საკმაოდ თვალსაჩინოდ გამოჩნდა, რომ ქრისტიანობა არათუ გამორიცხავს ეროვნულობას, ჭეშმარიტ პატრიოტიზმს, ნაციონალურ გრძნობას, არამედ აუცილებლობით გულისხმობს კიდეც მას. ასეთნაირად გაგებული ნაციონალიზმი კი, თავის მხრივ. ცხადია, შეიცავს სხვა ერების, კაცობრიობის სიყვარულს. მაშასადამე, რელიგიურად გამართლებულია ნაციონალიზმი, ოღონდ ნაციონალიზმი, ქრისტიანული სულით გაჟღენთილი, წმინდანები უფრო ინდივიდუალურნი და ნაციონალურნი იყვნენ, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანები, უამრავი ადამიანი ღმერთთან, ეკლესიურ ცხოვრებასთან ნაციონალურ-ეროვნული ტკივილებიდან მიდიოდა: წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ნაციონალიზმი, სამშობლოს სიყვარული ღვთაებრივი სიყვარულით არ არის გასხივოსნებული, ის შეიძლება კერპთაყვანისმცემლობის შეფარულ ფორმად, ღვთისმბრძოლობლად და კაცთმოძულეობის წყაროდაც კი გადაიქცეს. აქედან გამომდინარე, გასაგებია ვაჟას სიტყვები: ვისაც გსურთ, იყავით კოსმოპოლიტები, ჩვენ ნაციონალისტებად დავრჩებით...

ოდესღაც ქრისტიანულ-ეროვნული იდეალებით შემოსილნი, აწ უღმერთოდ გაეხდით, საღვთო მცნებას არათუ არ ვიცავთ, (რომელთა გარეშე ხსნა და გადარჩენა საერთოდ შეუძლებელია), არც კი ვიცნობთ ამ მცნებებს. ჩვენი ცხოვრების წესით და საქმეებით არა ვართ ქრისტესთან, ხოლო ვინც ქრისტესთან არ არის, ის ღმერთის მტერია: „ვინც ჩემთან არაა, ჩემს წინააღმდეგაა“ (ლუკა 11,23). ღმერთის მტერსა და მოწინააღმდეგეს კი შეუძლებელია რაიმე წარმატება ჰქონდეს ერისათვის საჭირბოროტო და სიცოცხლისეულად მნიშვნელოვან საქმეებში. ამიტომ დღეს ჩვენს ტრაგიკულ, ისტორიულ ობლობასა და მარტოობას დედამიწაზე ემატება მარტოობა და მიტოვებულობა ღვთისაგან:

„ვინც გადადის ქრისტეს მოძღვრებას და არ მკვიდრობს მასში, არა ჰყავს ღმერთი; ხოლო ვინც მკვიდრობს ქრისტეს მოძღვრებაში, მამაცა ჰყავს და ძეც“ (იოანე 1,9)

„თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ ასრულებთ იმას, რაც გამცნეთ თქვენ“ (იოანე 14.)

არავინაა ამჟამად ჩვენი ერის მეგობარი არც დედამიწაზე, არც ზეცაში ქრისტიანული ცხოვრების გზიდან გადახვევისა და მოუნანიებელ ცოდვათა გამრავლების გამო. ჩვენი ერის ხვედრია – კოსმიური მარტოობა, ტრანსცენდენტური მიუსაფრობა, ღვთისაგან და დანარჩენ ერთაგან მიტოვებულობა, როგორც სულიერი, ისე რეალური თავისუფლების უქონლობა. მარტოობა კი, წმინდა წერილის მიხედვით, ღმერთის მიერ მოვლენილი სასჯელია, სასჯელი იმის გამო, რომ მაცხოვნებელი ქრისტიანული „ვიწრო“ გზით ცხოვრებას „ფართო გზით“ სიარული ვამჯობინეთ, მთელი იმედი და სასოება ღმერთიდან და საკუთარი თავიდან „მეზობელ თუ შორეულ ხალხებზე, უცხო ძალებზე გადავიტანეთ. გავიხსე-

ნოთ, ამის გამო რა ბედი ეწიათ ასურელებს მაშინ, როცა ღმერთის მფარველობაში მყოფებმა ყველა სასოება და იმედი ღმერთის ნაცვლად სხვა სახელმწიფოებს დაუკავშირეს:

„დამასკოს განაჩენი. აჰა, წაერთმევა დამასკოს ქალაქობა და ნანგრევების გროვად იქცევა! დაწვებიან და ვერავინ დააფრთხობს მათ. არაფერი დარჩება ეფრემის ციხე-სიმაგრისაგან, დამასკოს სამეფოსაგან და ბარმამის ნატამალისაგან...იქნება ისე, თითქოს მომკელს აეღოს ყანა და მის მკლავს მოემკას თავთავები...დარჩება ნამცვრევი, რამდენიც რჩება ზეთისხილის ჩამობერტყვის შემდეგ: ორი, სამი მარცვალი წვერში, ოთხი, ხუთი მსხმოიარე ტოტებზე! იმ დღეს მიიხედავს ადამიანი შემოქმედისაკენ...იმ დღეს უღრან და გაუვალ ტყეს დაემსგავსება მისი გამაგრებული ქალაქები...და გაუდაბურდება, რადგან დავიწყებული გყავს შენი ხსნის ღმერთი!“(ესაია 1–10).

ღვთისაგან ამა თუ იმ პიროვნებისა თუ ერის მიტოვებაზე როცა ვსაუბრობთ, ყოველთვის ვგულისხმობთ შემდეგს:

ღმერთი, საერთოდ, ყველასთანაა – ცოდვილთანაც და უცოდველთანაც, კეთილთანაც და ბოროტთანაც; იგი ყველას სიცოცხლეს იცავს და იფარავს, რადგან „ჩვენ მისით ვცოცხლობთ და ვმოძრაობთ და ვართ“ (საქმ. 17,28). მაგრამ თავისი განსაკუთრებული მადლითა და შემწეობით უხილავად მხოლოდ მათთან იმყოფება, ვინც მის მიხედვით ცხოვრობს, ვინც მას მუდმივად მოუხმობს: „ახლოა უფალი ყველა მის მლოცველთან, ყოველთან, ვინც მას მოუხმობს ჭეშმარიტებით (ფსალმუნნი144, 18).„„მის მოშიშთა სურვილს შეასრულებს და მათს ღაღადისს მოისმენს და უშველის მათ. იცავს ყველა მის მოყვარულს და ყველა ბოროტს მოსპობს“ (ფსალმუნნი 144, 19–20).

იესო ქრისტე ვაზია ჭეშმარიტი, ჩვენ კი – ლერწები (რტოები). როგორც ვაზისგან მოცილებული ლერწი თავისთავად ნაყოფს ვერ გამოიღებს, ასევე ვერც ერთი ადამიანი თუ ერი, ქრისტესგან დაშორებული და მისგან გაუცხოებული, ღვთის მოსაწონ ცხოვრებასა და საქმეებს ვერ მოიტანს: „ვინც ჩემში რჩება, ხოლო მე მასში, დიდძალი ნაყოფი გამოაქვს, ვინაიდან უჩემოდ არაფრის ქმნა არ შეგიძლიათ. ვინც არ დარჩება ჩემში, ლერწივით გადაიგდება და გახმება“ (იოანე 15, 5–6). გავიხსენოთ მსგავსი აზრის გამომხატველი რუსთაველის აფორიზმი: „არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმერთისა ძალი.“ სწორედ ამიტომ ვერ იმკის ქრისტესა და მისი წმინდა ეკლესიისაგან განდგომილი ქართველობა, ბრძოლებისა და მცდელობის მიუხედავად, იმ ნაყოფს, რომელიც ღვთისთვის მოსაწონი და ერისთვის სასარგებლო იქნება.

ანალოგიურ თვალსაზრისს გამოხატავს ილია წერილში „წმინდა ნინო“, რომელშიც ამტკიცებს, რომ სწორედ ღმერთმა, ქრისტეს ერთგულებამ, „ქრისტიანობამ...მოაგებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წამიმღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრით გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნარჩუნა და ქართველობაც.,წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამცთუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმა უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მიაკლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად; თავისი ძლევამოსილი კალთა გადაუფარა ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისი

ღვთაებურის ძალ-ღონით გამოჰზარდა, შეჰმოსა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა...ამ ძალ-ღონით ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება...ქრისტიანობამ ქვითკირივით შეგვკრა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობა გაგვიძღა მამულისა და ეროვნების შერჩენისა და ხსნისათვის“.

ილიას ციტირებული სიტყვებიდანაც უაღრესად თვალსაჩინოა, რა უმთავრესი მიზეზი განაპირობებს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის უკიდურეს ტრაგიკულობას — ესაა ქრისტიანობის, ქრისტიანული სულის დაკარგვა, ერის ყველა ფენაში სარწმუნოებრივი, მაღალზნეობრივი ცხოვრების აღმოფხვრა; ღმერთისათვის, ჭეშმარიტებისათვის ზურგის შექცევა („ღმერთია ჭეშმარიტება“ იოანე 14.6.). ჩვენი ხსნა ქრისტიანული და ეკლესიური ცხოვრების, ღვთაებრივი და ეროვნული იდეალების გაეშე შეუძლებელია. ბევრს უკვირს, რატომ ვერ ვჯაბნითო მტრულ მცირე ეთნიკურ ჯგუფებს, რატომ განვიცდით ჰერმანენტულ მარცხს ჩვენი ნაციონალური ცხოვრებისა თუ ბრძოლის ყველა სფეროში უკანასკნელ ხანებში, რატომ ვართ დისკრიმინირებულნი საკუთარ ტერიტორიაზე:

ღმერთს ამით სურს, დაგვანახოს, შეგვაგნებინოს, გაგვაცნობიერებინოს, რომ უქრისტეოდ და უმადლოდ დარჩენილებს უფლის შემწეობის გარეშე, თუ დიდი სინანულითა და ქრისტიანულ-ეკლესიური ცხოვრებით არ დაებრუნდით ჭეშმარიტებასთან, თუ მთელს ჩვენს სიყვარულს, რწმენასა და იმედს, უპირველეს ყოვლისა, ღმერთზე და საკუთარ ეროვნულ შესაძლებლობებზე არ დავამყარებთ, ნებისმიერი, თვით ყველაზე მცირერიცხოვანი მტერიც კი დაგვძლევს და დაგვჯაბნის, როგორც ეს არაერთგზის ხდებოდა არა მარტო ჩვენი ერის, არამედ ძველი აღთქმის ერის ცხოვრებაში. ამასთან დაკავშირებით გავიხსენებ წმ. წინასწარმეტყველთა წიგნებიდან უფლის სიტყვებს თავისი რჩეული ერის მიმართ ღვთისაგან განდგომის ჟამს. და თუ ჩავუკვირდებით მათ, ჩვენი დღევანდელი უმწეობისა და უძლურების უმთავრეს მიზეზსაც დავინახავთ:

— რადგან ცოდვები გაამრავლეთ და გაასასტიკეთ, რადგან ხსნის ერთადერთ გზას — ღმერთს — ჭეშმარიტების გზას გადაუხვიეთ, რადგან დამივიწყეთ, რომ გამიხსენოთ, — ამბობს უფალი ღმერთი, — თქვენივე სულის გადარჩენისათვის ღობეს (ე.ი. საზღვრებს) მოგირღვევთ, რომ გაპარტახდეთ, ზღუდეს მოგინგრევთ, რომ გაითელოთ, გაგაველურებთ...მრავალი სახლი გაუდაბურდება, დიდნი და კეთილნაგები გაუკაცრიელდებიან...განსჯა აღარ არის თქვენში. სიბრძნე რომ გქონდეთ, მიხვდებოდით ამას, განჭვრეტდით თქვენს ბოლოს: ერთი როგორ დაგედევნებათ ათასს? ორნი როგორ გაგყრით ათიათასს, თუ თქვენმა მფარველმა არ გაგწირათ, თუ უფალმა არ ჩაგადდოთ მათ ხელში?!

არ არსებობს ადამიანი, არ არსებობს ერი, რომელსაც არ შეუცოდავს. ჩვენც შეგცოდეთ, — სიმართლეს, ჭეშმარიტებას ვუღალატეთ, ღმერთს განვუდექით, შედეგად კიდევ უფრო ურწმუნონი და ახალ-ახალი უსასტიკესი, პათოლოგიური ცოდვებით დამძიმებული გავხდით, რის გამოც, ღვთის დაშვებით, უმწეო მდგომარეობაში ჩავცივდით. მაგრამ რაოდენ დიდი და მძიმეც უნდა იყოს ჩვენი ცოდვები, ისინი ღმერთის სიყვარულს ჩვენს მიმართ მაინც ვერ გადაფარავენ, მით უფრო, რომ თავად უფალი გვიდებს აღთქმას და გვპირდება: ჩემთან მოსულს არ გავაძევებ, იესო ქრისტეს — „მონანულთა ღმერთის“ — ჩვენდამი სიყვარუ-

ლით გამთბარ ამ სიტყვებთან დაკავშირებით ჩემთან მოსულ არც ერთ მონანიე ცოდვილს არ გავაძევებ, არ განვაგდებ, ყველა უძღვებ შვილს მივიღებო (ლუკა 15), — უადგილო არ იქნება, თუ გავიხსენებთ აკაკის ნაკლებად გახმაურებულ ლექსს, „ცოდვილის სინანული.“, რომელიც მან ცხრამეტი წლისამ დაწერა:

სოფლის ღელვისგან აღტაცებულმან,
გადავსცდი მცნებას, გცოდე, მამაო!
და ვაი! დღეს სცნო ბოროტმა სულმან
სოფელი ესე ცრუ და ამაო!
გგრძნობ სახიერო! ეს ბოროტება
გამოუთქმელი და საშინელი,
თუმც სხვათ ბოროტთა აღემატება,
მაგრამ შენდობას მაინც მოველი!
რადგანაც ზეცავ, შენ, ჰა, მოგმართე,
ამაოდ ნუ ჰყოფ ჩემს სინანულსა!
კეთილისათვის გზა წარმიმართე,
ძალ-მეც, ვსთრგუნვიდე ბოროტსა
სულსა!
შენანებულს შენ არ მოიძაგებ,
ნუგეში ამით მე მემატება!
და სულგრძელებას შენსას ვადიდებ,
ოდეს მეზვერე გამახსენდება.

საკუთარი ცოდვების მონანული უძღები შვილის — ძე შეცდომილის მსგავსად ჩვენც თუ „გონს მოვეგებით“ (ლუკა 15, 17), ე.ი. თუ შევინანებთ ჩვენს უღმერთო და დაცემულ ცხოვრებას და დავუბრუნდებით ჩვენს შემოქმედს, ვისაც ღრმად განვუდექით, ყველას სიხარულით მიგვიღებს. იგივეს გვიმეორებს უფალი წმინდა ზაქარია წინასწარმეტყველის პირით: „მოიქეცით ჩემდამი, და მე მოვიქცე თქვენდა,“ და სხვაგან, წმინდა წერილში: „მომიახლოვდით, რათა მოგიახლოვდეთ“...ღმერთი, როგორც დავით წინასწარმეტყველიც ადასტურებს, სწორედ გულითშემუსრილთა, ე.ი. სულით მოდრეკილთა, გულით მორჩილთა და მონანულთა მახლობელია (ფსალმუნნი 50,19). თანამედროვე ქართველებს, — დღევანდელ ძე შეცდომილებს — სწორედ ეს მხსნელი სინანული და გულითშემუსრვილება გვაკლია ცოდვათა ჩვენთა გამო („თუ არ შეინანეთ...ყველა დაიღუპებით“) გვაკლია სინანული, საიდანაც იხსნება კარი, და მხოლოდ და მხოლოდ აქედან იხსნება კარი ყოველი ერის, მათ შორის, ცხადია, ჩვენი ერის ხსნისა და გადარჩენისა, აღდგომისა და აღორძინებისა, სარწმუნოებრივ-სულიერი გაბრწყინებისა და ამაღლებისა.

ძველი აღთქმიდან ღვთის რჩეული ერის და თვით ჩვენი ერის ისტორიული გამოცდილების მაგალითზე ვიცით, მაგრამ დღეს მრავალს აღარ გვახსოვს, რა მკაცრია უფალი — თავისი უმაღლესი სამართლიანობიდან გამომდინარე ჩვენივე საბოლოო კეთილდღეობის, გამოსწორებისა და გადარჩენის მიზნით მოუნანიებელი, ცოდვილი, ურწმუნო ცხოვრების გზით მოსიარულე ცალკეული პიროვნებებისა თუ ერების მიმართ:

„მალე იხილავენ იმ კაცთა ძვლებს, რომელნიც განმიდგნენ. მატლი მათი არ დაილეკა და ცეცხლი მათი არ დაიშრიტება...უსამართლონი იღელვებენ და განსვენებას ვერ შეძლებენ...ვეღარ გაიგონებთ მხიარულობის ხმას თქვენი სახლებიდან, რადგან არ არსებობს ულვთოთა სიხარული (ესაია წინასწარმეტყველი).

ჩვენ, ქართველობამ, მართალ, მადლმოსილ, ღვთისადმი რწმენით, იმედითა და სიყვარულით აღსავსე ცხოვრებას მიწიური, ამქვეყნიური ინტერესებით აღსავსე, რელიგიური ენით რომ ვთქვათ, „ხორციელი ცხოვრება“ გარჩიეთ, ყურად არ ვიღეთ გაფრთხილება უფლისა: „საჭმლის გულისთვის ნუ დაანგრევთ ღმერთის საქმეებს“, რადგან „საჭმელი მუცლისთვისაა და მუცელი საჭმლისთვის, მაგრამ ღმერთი მოსჰობს ერთსაც და მეორესაც,“ სული კი, ცოდვებით დამძიმებული, მოუნანიებელი, კეთილი საქმეე-

ბით ღატაკი, ზეცაში ავა უფალთან, მაშინ რით და როგორ შეეძლებთ უზენაესის წინაშე თავის გამართლებას?!

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება მართლაც ხორციელი და უაღრესად მიწიურია, ნიცშე იტყოდა, „ადამიანური, მეტისმეტად ადამიანურია,“ მაგრამ არა ღვთაებრივი, არა უფლისათვის სათნომყოფელი და მოსაწონი, — ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ურწმუნოების შედეგია. ურწმუნოება კი, თავის მხრივ, ღვთისაგან ჩვენი განდგომილებისათვის, მოუნანიებელი, განუწმენდელი ცოდვებისათვის, არაქრისტიანული, არაეკლესიური ცხოვრებისათვის უდიდესი სასჯელის გამოხატულებაა:

„ვისაც სწამს, იგი არ განისჯება, ხოლო ურწმუნო ახლავე, უკვე ამქვეყნად სოციოცხლეშივე განსჯილია, ვინაიდან არ იწამა სახელი მხოლოდ შობილი ძისა“ (იოანე 3, 16.).

იმ გარემოების შეგნება და გაცნობიერება, რომ ჩვენი გამრავლებული, მოუნანიებელი ცოდვების გამო ღმერთმა მიგვატოვა, ბევრს სასოწარკვეთილებაში აგდებს. მაგრამ უნდა გვწამდეს, რომ ღმერთი დღეს თავის მფარველობასა და მზრუნველობას სწორედ ამით გამოხატავს, ამგვარად ამყღავნებს. დღეს ჭეშმარიტებამ — „ღმერთია ჭეშმარიტება“ (იოანე,14,6). „დაიძინა ჩვენი ერის მიმართო“ (სოლომონ ბრძენის გამოთქმაა), დროებით დაგვტოვა, მადლი აიღო, რადგან ჩვენ მის გარეშე ვისურვეთ ცხოვრება. ჩვენივე ნებით ღვთისგანდგომილებს უამრავი ჭირი, ტანჯვა, უბედურება, განსაცდელი და ურიცხვი ბოროტება რომ დაგვატყდება თავს, საკუთარი თავის უმწეობისა და სრული მარტოობის განცდა რომ დაგვეუფლება, უქრისტეოდ და უმადლოდ დარჩენილნი როცა დავინახავთ, რომ ქრისტე ღმერთის შემწეობისა და დახმარების გარეშე არაფერი არ შეგვიძლია, სწორედ მაშინ გავიღვიძებთ უჯულო, არაქრისტიანული ცხოვრებიდან (სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, მოგეხსენებათ, უმძიმესი მდგომარეობაა მთელს საქართველოში — მთასა თუ ბარში, ქალაქსა თუ სოფელში, ზედა ფენებსა თუ ქვედა ფენებში, უწიგნურებსა თუ მწიგნობრებში), გავიხსენებთ მას, ვინც დავივიწყეთ, ვის წინააღმდეგაც წარვმართეთ საკუთარი ცხოვრება და უთუოდ მივალთ ღვთის ნების, ქრისტიანული მცნებების, საღრმთო კანონების მიხედვით ცხოვრების აუცილებლობისა და გარდუვალობის შეგნებამდე.

ჩვენი ერის კრიზისული, ერთი შეხედვით გამოუვალი მდგომარეობის გამო თავის დროზე ვაჟა-ფშაველა სწერს ექვთიმე თაყაიშვილს:

„ხშირად ისეთი დროც ჩამოვარდება ხოლმე, რომ ყველას უჭირს, დიდსა და პატარას, — ყველა წოდების კაცს ერთისა და იმავე ერისას, — ეს ის დროა, როცა გაერეშე მტერი შემოესევა და იკლებს ქვეყანას. ამისთანა დროს საერთო და საერო აზრი იბადება თავის ხსნისა და შველისა: ყველა ამას ამბობს, ამაზე ფიქრობს. ხშირად ისრეც მოხდება, რომ შინაურობაშიც გაჩნდებიან ხოლმე მტრები, რომელნიც არანაკლებ გარეშე მტრებისა აზარალებენ და აბეჩავებენ ქვეყანას. როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში, შველა ქვეყნისა შეგნებულთა საქმე ყოფილა და იქნება; შეგნებულნი ამაღლებენ დროშას“.

ვაჟას ამ სიტყვებიდანაც შესანიშნავად ჩანს, თუ კიდევ რა მიზნით უშვებს ხოლმე ერის განსაცდელში შეყვანას ღმერთი.

პირადად მე, წმინდა წერილიდან, წმინდა ღმერთშემოსილ მამათა სწავლებიდან და ჩვენი ერის ისტორიული ცხოვრებიდან გამომდინარე, მწამს: დადგება ჟამი როცა იმ უბედურებათა და სა-

ტანჯველთა გამო, რომელნიც უფალმა ჩვენი გადარჩენისათვის, გამოღვიძებისათვის, სწავლებისა და ჭირში გამობრძმედისათვის დაუშვა, ერთ დღესაც მრავალწამებული, მრავალტანჯული და მრავალსისხლდანთხეული ერი ჩვენი წმინდა დავით წინასსწარმეტყველივით შეჰღაღადებს უფალს:

„ვიცოდი, უფალო, რომ მართალია შენი სამართალი და სამართლიანად დავიტანჯე.“

„ვიცოდი, უფალო, რომ ვეწამე, იმისათვის, რათა ვისწავლო წესები შენი!“

ღმერთმა ჩვენს მიმართ განსაცდელი იმისათვის დაუშვა, რათა გამოვსწორდეთ და გამოვიცადოთ, გამოცდილებიდან იმედი შევიძინოთ, იმედის მქონე კი, როგორც ერთ-ერთი მოციქული ამბობს, არ შერცხვება. ამიტომ, საღვთო მოძღვრებიდან გამომდინარე, ნებისმიერი მდგომარეობა, როგორც პირადულ, ისე ეროვნულ ცხოვრებაში, რაოდენ მძიმე, გაუსაძლისი და აუტანელიც უნდა იყოს, როგორი უზნეობა და უსამართლობაც უნდა ზეიმობდეს, ქრისტიანებს უფლებას არ გვაძლევს სასო წარვიკვეთოთ, იმედი გადავიწუროთ.

თუ ჩვენი ერის, ჩვენი წინაპრების ცხოვრებას გავიხსენებთ, დავრწმუნდებით, რომ მათი არსებობა ფაქტობრივად ტანჯვა წვალებით აღსავსე მოწამებრივი ცხოვრება იყო.“ დიდი წამება კი, — როგორც ილია ამბობს, — არა სისუსტისა და უძლურების, არამედ დიდბუნებოვნების ნიშანია, როგორც დიდი ძლევამოსილება. დიდი წამება იგივ დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად ჰხვდება ხოლმე დიდბუნებოვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ, რომ თვითონ სტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს, და წამებული კი თვით იწვის სანთელივით და სხვასაც უნათებს.

ამიტომ ეკლიანი გვირგვინი წამებულისა უფრო უანგაროა, უფრო მიმზიდველია, უფრო საგულმტკივნეულოა და, მაშასადამე, უფრო მშვენიერი, სასახელო და სადიდებელი. მარტო ამ წამებულთა ჰლოცულობს კაცობრიობა, მარტო ამ წამებულთა აღიარებს იგი წმინდანებად და თაყვანსა სცემს ლოცვითა და კურთხევითა.

„თუ ვისმე სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლობელნი შვილნი ლმობიერებით პირქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდებულთა და ქება-ქებულთა“ („წმინდა ნინო“).

დღევანდელი ქართველი ერიც მრავალი ჭრილობით დასერილი და გულგასენილია. მაგრამ არ არსებობს ისეთი ჭრილობა, იქნება ის ზორციელი თუ სულიერი, რომლის განკურნებაც მაცხოვარს არ შეეძლოს, ისეთი მწუხარება, რომლის განქარვებაც მისთვის იყოს ისეთი უიმედო მდგომარეობა, საიდანაც ჩვენი იმედიანი გამოყვანა არ ძალუძდეს. როგორც წმ. მართლმადიდებელი ეკლესიის მამები აღნიშნავენ, ღმერთი სწორედ იქ და მაშინ ავლენს თავის განსაკუთრებულ ძალმოსილებას, სადაც ყველანაირი სხვა ძალა უძლურია.

რამდენი ტანჯვა, რამდენი ვაება, რამდენი ჭირი და განსაცდელი დაითმინა მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეკლიანი ისტორიის მანძილზე ქართველმა ხალხმა; ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ — რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის მკერდზე, მაგრამ რწმუნდებოდა, რომ მისი ხსნა ღმერთში იმალებოდა, მისი სიცოცხლისუნარიანობა და სასიცოცხლო ენერგია — ქრისტიანულ სარწმუნოებასა და ეკლესიურ ცხოვრებაში. აი, მხოლოდ ამის შემდეგ უბრუნდებოდა ღრმა სინანულითა და მტკიცე გადაწყვეტილებით უფალს, განცხრომისა და ფუ-

ფუნების ჟამს დავიწყებული რომ ჰყავდა. გავიხსენოთ, რამდენი ტანჯვა-ვაება დაითმინა იობმა, მაგრამ სანაცვლოდ განუზომლად დიდი საზღაური მიიღო განსაცდელში მყოფმა ჭირის დათმენის გამო. ჩვენმა რამდენმა წინაპარმა, რამდენმა საერო თუ სასულიერო პირმა, რამდენმა ღირსულმა თანამედროვემ, სხვადასხვა ქვეყნების რამდენმა ქრისტიანმა ყველა დროისა დაითმინეს ყოველგვარი დამცირება, წამება და გვემა, ბორკილები და საპყრობილე ჭეშმარიტებისათვის, სიმართლისათვის; რამდენი იყო ჩაქოლილი, შუაზე გადახერხილი, ხმლით განგმირული,ცხვრისა თუ თხის ტყავით მოარული, გაჭირვებული, ურვილი, ძვირხილული, უდაბნოსა და ტყე-ღრეში მოხეტქნი, მღვიმეებსა თუ მიწის ხვრელებს შეფარულნი, რომელთა ღირსიც, თუ წმინდა პავლე მოციქულს დავიმოწმებთ, არ იყო მთელი ქვეყანა და ყველა ამათ მიიღეს მოწმობა რწმენით (ებრ. 11, 30—38).

დიან, მწუხარებანი და უბედურებანი გვასწავლიან და გვაძლევენ ყველაზე მთავარს, — სინანულს საკუთარი ცოდვების გამო, ე. ი. თვითშეცნობას, შიშს ღვთისას, რომელიც სოლომონ ბრძენის თქმით, სიბრძნის დასაწყისია და რომელიც დღეს ჯერჯერობით გადაკარგული გვაქვს, უმთავრეს ფარსა და მახვილს გვაწვდიან, როგორც ხილული, ისე უხილავი (დემონური) ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში — რწმენას, იმედსა და სიყვარულს ღვთისას და მოყვრისას გვიღვივებენ. გვასწავლიან ლოცვას უფლისადმი, ყოველდღიური ცხოვრების, ამქვეყნიური ამაოების მტკვრში ამოგანგლული ჩვენი გულების „ზეაღსვლას ზეცაში“, ანუ ზეციურ ეკლესიაში. ამიტომ ჩვენი დღეგანდელი ყოფნაც განსაცდელში მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ჩვენი რწმენა, მორჩილება და სასოება ღვთისადმი, ვედრება და ლოცვა მის მიმართ, ერისა ხსნისა და გადარჩენისთვის ისეთ ღრმა და უსაზღვრო არ გახდება, როგორიც იყო. მაგალითად, რწმენა და იმედი სახარებისეული ტანჯული, უბედური ქანაანელი დედისა, როდესაც დედამ მთელი თავისი არსებით ირწმუნა, რომ სასიკვდილოდ განწირულ შვილს ამქვეყნად ქრისტე ღმერთის გარდა ვერანაირი ადამიანური ძალა ვერ იხსნიდა და ვერ განკურნავდა მომაკვდინებელი სენისაგან, ამის შემდგომ მთელი თავის არსებით სწორედ უფალს, და მხოლოდ მას შესთხოვდა. ამიტომ მიიღო მან ის, რასაც ითხოვდა — განკურნება შვილისა („ითხოვდეთ და მოგეცემათ“).

ამ განსაცდელის ღირსეულად გადამტანნი შეეძლებთ მოვიპოვოთ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული, დავიკვიდროთ სასუფეველი. სასუფეველი კი, როგორც დღეს მრავალს ჰგონია, ფული, სიმდიდრე და სამელ-საჭმელი კი არ არის, არამედ სწორედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარულია სულიწმინდით (რომ. 14, 17). ხოლო ვინც ამით ემსახურებოდა ქრისტეს, იგი სასურველია ღმერთისათვის (რომ 14,7—9). ამიტომ წარმავალი სიკეთეებისათვის, „საჭმლისათვის, — როგორც მოციქული გვირჩევს, — ნუ დაანგრევთ ღმერთის საქმეებს“ (რომ. 14,20).

ამავე დროს, მან, ვინც ქრისტესაკენ მიმავალ გზაზე იყლის, იქნება ის პიროვნება თუ ერი, წინასწარ უნდა იცოდეს და გაითვალისწინოს, რომ „ქვეყნიერებაზე ჭირი გექნებათ, მაგრამ გამხნევდით: მე ვძლიე ქვეყანა“ (იოანე,6,33).

იმავეს აცხადებს წმ. პავლეც:

„და მეტისმეტად რომ არ აღზევდე გამოცხადების ზეობით, მომეცა მე ნესტარი ხორცში, სატანის ანგელოზი (ჩვენს ერს კი — როგორც შინაური და გარეული, ისე უხილავი მტრები — დემონური ძალები), ჩემდა საწამებლად, რომ არ აღზევდე.

სამგზის ვევედრე უფალს, განმაშორე-მეთქი.

და მითხრა მე: შენთვის საკმარისია

ჩემი მადლიც, რადგან ჩემი ძალა აღსრულდება უძლურებაში. ამიტომაც მეტი ხალისით დავიქადი ჩემს უძლურებას, რათა ქრისტეს ძალა დაემკვიდროს ჩემში;

ამიტომაც ვტკბები უძლურებით, შეურაცხყოფით, გაჭირვებით, დევნილობითა და ქრისტეს გამო შევიწროებით, რადგან როცა უძლური ვარ, მაშინა ვარ ძლიერი“ (2 კორ. 12, 7–10).

მოციქულის ამ სიტყვებიდან ჩანს, რა დიდი სარგებელი ჰქონია განსაცდელში ყოფნას ქრისტეს გამო ანუ ჭეშმარიტების გამო დევნილობაში, ტანჯვა-წამებასა და უძლურებაში ყოფნას.

თვალს თუ გავადევნებთ და გავიხსენებთ წმინდანთა, წამებულთა, საერთოდ – ღირსეულ საერო თუ სასულიერო პირთა ცხოვრებას, შევნიშნავთ ერთ საერთო დამახასიათებელ კანონზომიერებას:ყველი მათგანი რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ყველაზე დიდ სულიერ სინათლეში იყო განსაცდელის, მწუხარების, დევნა-შევიწროების, გაჭირვებისა და უბედურებათა ჟამს. აღარას ვამბობთ ბიბლიურ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა ტანჯულ და მოწამებრივ ცხოვრებაზე, რომელნიც განსაკუთრებულად სწორედ ცხოვრების უმძიმეს პერიოდებში ბრწყინავდნენ (გავიხსენოთ აგრეთვე ანალოგიური მაგალითები ჩვენს წმინდანთა ცხოვრებიდან, აგიოგრაფიული ლიტერატურიდან).

ძე შეცდომილთა, ღვთისაგან, ჭეშმარიტებისაგან გაუცხოებულთა ღმერთთან მისვლა და „უფალში დადგომა“ ჭირისა და განსაცდელის გარეშე როგორც ცალკეული პიროვნებისათვის, ისე ამა თუ იმ ერისათვის, კონკრეტულად ჩვენი ერისთვისაც, შეუძლებელია:

„შვილო, თუ უფალს მიეახლები სამსახურად, განსაცდელისათვის გაამზადე თავი, გული დაიმორჩილე, მოთმინებით აღიჭურვე და ნუ აჩქარდები განსაცდელის ჟამს, მიეახლე მას და ნუ განშორდები, რათა ამაღლდე ბოლოოდ; რაც შეგემთხვევა, ყველაფერი მიიღე სულგრძელობით. დაითმინე დამცირებანი, რადგან ოქრო ვერცხლში გამოიცდება, უფლის სათნონი – მორჩილების ქურაში. ერწმუნე მას და შეგიწევა; სწორად წარმართე გზები და მისი იმედი იქონიე. უფლის მოშიშნო, მის წყალობას ელოდეთ და ნუ მოიქცევით, რათა არ დაეცეთ. უფლის მოშიშნო, იმედი გქონდეთ სიკეთისა, საუკუნო სიხარულისა და წყალობისა. გადახედეთ ძველ თაობებს და იხილეთ: ვინ ირწმუნა უფლისა და შერცხვენილი იქნა?! ან ვინ იყო მოშიში და მიტოვებული?!... რადგან უფალი შემბრალეა და მოწყალე, ცოდვათა მიმტევებელი და მხსნელი გასაჭირის ჟამს. ვაი გულმხდალებს და ხელაბუნებს, და ცოდვილებს ორი გზით მავალთ. ვაი გულს, დაძაბუნებულს, რადგან არ სწამს, ამიტომაც ხილული არ იქნება! ვაი თქვენ, მოთმინების დამკარგავნო! რას მოიმოქმედებთ, როცა უფალი მოგაკითხავთ!.. უფლის მოშიშნი თავიანთ წყალობას ეძიებენ და მისი მოყვარულნი აღივსებიან რჯულით, უფლის მოშიშნი თავიანთ გულებს გაამზადებენ და მის წინაშე დაიმდაბლებენ. ჩავვარდეთ უფლის ხელში და არა კაცთა ხელში, რადგან რა დიდიცაა იგი, იმგვარივეა მისი წყალობა“ (ზირ. 2, 1–18).

როდის უნდა დამთავრდეს მწუხარებანი და უბედურებანი ჩვენი ერის სარგებლისათვის, ეს ღმერთის უფლებამოსილებაა, ხოლო როგორ გადავიტანთ ამ უბედურებებს, ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული. ქრისტეს და წმინდა მამათა სწავლების მიხედვით, უბედურებათა გადატანა გვართებს მადლიერებით, იმიტომ, რომ უფალმა ჩვენზე უკეთ იცის, როდის რა არის სასარგებლო ჩვენთვის, და რა მავნებელი. აი, სწორედ ამ რწმენით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვმართებს ძლევა და შემსუბუქება იმ მწუხარებათა და უბედურებათა, რომელნიც თავს დაგვატყდა ქართველობას. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ უფალს ვინც უყვარს, მას გამოარჩევს, და ვისაც გამოარჩევს, მას ტანჯავს, რათა საკუთარი ჯვრის ზიდვით ასწავლოს „ჭეშმარიტებაში სიარული“ მარადიული სიცოცხლისაკენ: „და ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება უკან, ვერ იქნება ჩემი მოწაფე“ — ამბობს უფალი (ლუკა, 14, 27).

ჯვარი მაცხოვრისა ანი და ჰოეა, დასაწყისი და დასასრულია ჩვენი ერის ისტორიისა, ჩვენი ცხოვრებისა, ჩვენი ხსნისა და ცხონებისა. ჯვრის გარეშე ჩვენ ქრისტიანები არა ვართ, ჯვრის გარეშე ჩვენ სრულფასოვანი ქრისტიანები არა ვართ, არა ვართ ძენი ღვთისა, არა ვართ წევრები ქრისტეს წმინდა ეკლესიისა, მოწაფეები მაცხოვრისა. „ჯვრით ვიბადებით, ჯვრით ვცხოვრობთ და ჯვრით კკვდებით“.

ჯვარი ქრისტესი ჩვენი სულიერი მახვილია, რომლითაც ვამარცხებთ როგორც ხილულ, ისე უხილავ მტრებს — ამიტომ ლოცულობენ ჩვენი წინაპრები და მორწმუნენი დღესაც. ლოცულობენ, შესთხოვენ უფალს — საერთო მტერზე გამარჯება ჯვრით მოაპოვებინოს და არა ცეცხლითა და მახვილით:

„ძლევა ჯვრითა ბარბაროზთა ზედა ღვთივ დაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ“...

„ძლიერებაო ჯვარო, ვაზისაო, დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ“...

„ჯვარსა შენსა თაყვანი ვსცეთ მეუფეო, და წმინდასა აღდგომასა შენსა ვადიდებთ და ვუგალობთ“.

ჯვარი — ესაა ბრძოლა ჩვენს ადამიანურ ნებასთან და ვნებებთან, რომელნიც გვაუცხოებენ ღვთისაგან, ჯვარი — ესაა ბრძოლა ჩვენში ღვთაებრივი ნების გასაბატონებლად, იმ წმინდა ნებისა, რომელიც საღმრთო მცნებებში, წმინდა წერილში გვაქვს მოცემული (მხოლოდ ღვთის ნებისადმი სრულ მორჩილებაში შეიძლება მიაღწიოს ჰიროვნებამ ჭეშმარიტ თავისუფლებას).

გარდა ამისა, ვერტიკალური სხივი ჯვრისა გამოხატავს ადამიანის სულის სწრაფვას ზეცისაკენ, ღმერთისაკენ, მაგრამ ამ სწრაფვას ერწყმის, გადაეჯვარედინება მეორე, ჰორიზონტალური სხივი, რომელიც მოყვასისაკენ, ადამიანისაკენ სწრაფვასა და სიყვარულს აღნიშნავს საუკუნეთა მანძილზე. გავიმეორებ, ქრისტეს მორწმუნე ქართველები გამუდმებით ცდილობდნენ ღმერთის სიყვარული მოყვასის სიყვარულთან შეეხამებინათ და შეეერთებინათ. ისევე, როგორც ჩვენი მაცხოვნებელი ჯვარი წარმოუდგენელია ერთმანეთზე გადაჯვარედინებული, ურთიერთგადამკვეთი ორი სხივის გარეშე, ასევე ღმერთისა და მოყვასის სიყვარული — ერთმანეთისაგან განუყოფლად, გაუთიშველად, ერთმანეთისაგან გამიჯნულად ქართველებსაც ვერ წარმოედგინათ. გავიხსენოთ უფლის შეგონება, რომლის თანახმად ღმერთის მოყვარულს მოყვასიც უნდა უყვარდეს (1 იოანე 4, 21). ქართველ ხალხს ისტორიულად აღებული ჰქონდა არა მარტო გარეგანი, არამედ შინაგანი ჯვარიც. ჯვრით ჰქონდა შეპოსილი არა მარტო მკერდი, არამედ გულიც. ჩვენი ერის ისტორია — ესაა არსებითად ტანჯვის, გოლგოთისა და ჯვარცმის, ჯვრის შემეცნების საიდუმლოს ისტორია. თავისი ორიათასწლოვანი ქრისტიანული ცხოვრების განმავლობაში ქართველი ერი სწორედ ჯვარში — ამ „განსხვეულებულ სიყვარულში“, ქრისტეში — ამ „ჯვარცმულ სიყვარულში“ ხედავდა საფუძველს ხსნისას და გადარჩენისას, და როგორც ვთქვით, ასეც ეგედრებოდა უფალს: „ ძლევა ჯვარითა ბარბაროზთა

ზედა ღვთივ დაცულსა ერისა ჩვენსა მოანიჭე“...

ქართველ ერს საუკუნეთა მანძილზე უარყოფილი ჰქონდა თავისი სული ქრისტესათვის და ამიტომ შეძლო მისი მოპოვება და შენარჩუნება.

დღეს საკუთარი სულის შენარჩუნებას ცდილობს ქრისტეს გარეშე და ამიტომ კარგავს მას. დღეს ქართველი ერი თანდათანობით იმოსება მოწამებრივი გვირგვინით და ჯვრით, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ გარეგანი ჯვარია. ჩვენს ხალხს ჯერ ბოლომდე არ აუღია შინაგანი ჯვარი. ის რწმენითა და იმედით შესცქერის დღეს ჯვარს შორიდან და ინტუიტურად გრძნობს, რომ მახვილი და ფარი ხსნისა და გადარჩენისა მასშია. მაგრამ თვით უფლის, ქრისტეს მოციქულთა, წმინდა მამათა, წამებულთა და ჩვენი მაღალღირსეული წინაპრების ცხოვრება გვასწავლის არა მხოლოდ თაყვანისცემას, არამედ „ჯვარზე აღსვლას“: „და ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ მომყვება, — მოგვმართავს მაცხოვარი, — იგი არ არის ჩემი ღირსი; თავისი სულის გამაფრთხილებელი, დაკარგავს მას. ხოლო თავის სულის დამკარგველი ჩემთვის, პოვებს მას“ (მათ, 10, 38—39).

მწამს, ჩვენი ერი განსაცდელიდან და ყველა უბედურებიდან უახლოეს მომავალში, უახლოეს წლებში გამარჯვებული გამოვა. სხვადასხვა პარტიებში, დაჯგუფებებში, საზოგადოებებში, სექტებში დაქსაქსული, კვლავ ქრისტეში გაერთიანდება, სულიერ-სარწმუნოებრივად და ეკლესიურად აღორძინდება, ხსნისა და ცხონების გზას დაადგება.

ეს გზა ერთადერთია:

„მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და ცხოვრება“, — ამბობს უფალი იესო ქრისტე (იოანე 14, 6).

ვისაც სხვა „გზა“, სხვა „ჭეშმარიტება“ და სხვა „ცხოვრება“ სწამს, მას ღმერთი არა სწამს, ხოლო ვინც ქრისტე ღმერთთან არ არის, ის მისი მტერია, ე. ი. ბოროტის მსახურია.

ქრისტე ღმერთი კი გვაფრთხილებს:

„ნეტარ არს, ვინც არ შემცდარა ჩემში“ (მათე, 11, 6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კანკავა

„ოთარაანთ ქვრივი“, „წყევა-კრულვიანი საკითხავი“, ანუ საკუთარ ისტორიასთან „ჩატეხილი ხიდი“

დღევანდელი დღე „შეყენებული“ სტერეოტიპების გადასინჯვა-გამოცვლას მოითხოვს. გამონაკლისი არც ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობაა. მრავალი ლიტერატურული თვალსაზრისი, რომელიც შემდგომ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ტრადიციული შეხედულებად იქცა, ცნობილი მიზეზების გამო თავიდანვე „მკვდარი“ იყო და მათგან გათავისუფლება საშური საქმეა. „ოთარაანთ ქვრივზე“ ტრადიციული შეხედულება არსებობს, რომლის მიხედვით მოთხრობის მთავარი თემა სოციალური პრობლემატიკითაა შემოფარგლული. ამ წერილის მიზანია, უკუვაგდოთ ეს მცდარი მოსაზრება და ვაჩვენოთ, რომ მოთხრობა ძლიერი ეროვნული განზოგადების შემცველია და სოციალური პრობლემატიკა — წოდებათა შორის „ჩატეხილი ხიდი“ ეროვნულ პრობლემატიკაშია „ჩაწერილი“.

ილია ჭავჭავაძის პროზას, კერძოდ, მის მოთხრობებს, ორი გამოკვეთილი გმირი ჰყავს — ქართული ენა და საქართველო. ლიტერატურა მისთვის ის „ადგილია“, სადაც მშობლიური ენა უკვდავყოფილი უნდა იქნეს, ხოლო საზოგადოებისათვის ლიტერატურამ მის აკ-კარგზე, მის ვინაობაზე თვალისმხელი „სარკის“ ფუნქცია უნდა შეასრულოს. ლიტერატურისადმი ამ უტილიტარისტული მიდგომის ერთი მთავარი მიზეზი ილიას თანადროული მძიმე, დრამატული ეროვნული ვითარებაა. მართლაც, „ოთარაანთ ქვრივში“ წამოჭრილ დრამატულ, „წყევლა — კრულვიანი საკითხავების“ სიღრმე და სიმრავლე სქელტანიან რომანსაც კი ეყოფოდა, არათუ მოთხრობას. შემთხვევითი არ არის, რომ ამ მოთხრობა-რომანში კონფლიქტური ვითარების უკიდურესად მწვავედ ამსახველი ჟანრის — ტრაგედიის ზნესრული გმირის დაღუპვა-განწმენდის სალიტერატურო სქემაა გამოყენებული. ზნეობრივი საჭირბოროტო ვითარება გაკვრით, მაგრამ მკაფიოდ არის მოცემული: „კაცი კაცს ვეღარ ნდობია“ და სხვა...გმირის დაღუპვა-განწმენდის სქემა ორჯერ გვხვდება. განწმენდაც ორგვარი ხასიათისაა: ზნესრული გმირის, გიორგის დაღუპვით შემრული, „თვალახელილი“ არჩილი მეცნიერული, სოციოლოგიური შინაარსის „ცრემლიან ცოდნას“ უქადაგებს კეროს (მკითხველს, საზოგადოებას), რამაც ეროვნული საჭირბოროტო ვითარება უნდა დაძლიოს და ერის „განთიადის დასაწყისი“ მოიყვანოს. ამგვარად, ეს ცოდნა განწმენდავი, რეალობის დრამატიზმის დამძლევი ხასიათისაა. თავში — „ეძახის“, ოთარაანთ ქვრეს, ამ „რკინის დედაკაცს“ ქრისტეშობის ღამით მისი უკანასკნელი გზის ბოლოში ღმერთი ელოდება; აქ განწმენდა რელიგიურ-სიმბოლურ ხასიათს ატარებს. მართლაც, გიორგი და ქრისტე ერთ დღეს არიან დაბადებული. გარდა ამისა, გიორგის დაღუპვა „სხვისთვის“ თვალის ამხელია და, ამდენად, სქემატურად იგი, ქრისტესავით, „მოყვასისათვის“ შეწირული ზვარაკია. ამიტომ შემთხვევითი აღარ გვეონია გიორგისა და ქრისტეს დაბადების დღის დამთხვევა. მოთხრობაში მათი სქემატური გაიგივება

ხდება. ამგვარად ვგებულობთ, რომ ოთარაანთ ქვრივს ღმერთი უხმობს თავისთან.

გადავიდეთ მოთხრობის ძირითადი თემატიკის განხილვაზე, რომელიც, ჩვენი აზრით, ეროვნულ პრობლემატიკასა და თემატიკას მოიცავს. „ოთარაანთ ქვრივს“ მთავარ თემას განვმარტავ, როგორც ერის საკუთარი ისტორიისაგან გაუცხოების ან, სხვანაირად, საკუთარ ისტორიასთან „ჩატეხილ ხიდს“. „ჩატეხილი ხიდი“ დროითი (ისტორიული) ჭრილის მქონე პრობლემის (ოდესღაც ხიდი არ იყო ჩატეხილი, ამჟამად ჩატეხილია, იგი უნდა გამთელდეს) „დამტვევი“ სიმბოლოა და მთლიანად შეესაბამება იმ ეროვნული პრობლემატიკის თავისებურებებს, რომელიც ზემორე სიტყვათშეთანხმებაში ჩამოვაყალიბეთ.

ამ სიტყვათშეთანხმების შინაარსის დასაზუსტებლად ხელსაყრელობისთვის გამოვიყენებთ ნ.ნათაძის ნაშრომის „ერი და ეროვნული კულტურა“ იმ ნაწილს, რომელიც ერის და მის მიერ შექმნილი ეროვნული კულტურის უმთავრეს მიმართებებს იკვლევს და განმარტავს. ჩვენი ამოცანისათვის საკმარი იქნება ამ განმარტებათა ზოგადი სქემითა და სულისკვეთებით შემოფარგვლა.

აღნიშნული მიმართების არსი და ხასიათი გამომდინარეობს ერის უმთავრესი მოთხოვნილებიდან – იყოს მარად ერთად, რასაც იგი ახორციელებს ეროვნული კულტურის შექმნა – ქონის მეშვეობით. შეიძლება ითქვას, რომ ერი (და მაშ, მისი შემადგენელი წევრები) არსებობს მის მიერ შექმნილ ეროვნულ კულტურაში (ცხოვრების წესი, ტრადიციები, ესთეტიკური საგნები...) როგორც „საკუთარ“ სახლში. ერის უმთავრესი მოთხოვნილების სპეციფიკიდან გამომდინარე ეროვნულ კულტურას ორგვარი ფუნქცია გააჩნია; ერთი, როგორც „მისაბაძი“ რაიმე, რაც ერის არსებობას უზრუნველყოფს (ცხოვრების წესის განხორციელების გამოყენების გზით), ხოლო მეორე „ემსახურება“ ერის სწორედ ამ ერად ყოფნის მოთხოვნილებას, იმ ნათელი ვითარებიდან გამომდინარე, რომ ეროვნული კულტურა სწორედ ამ ერის კულტურაა, როგორც მისი შემქმელის და არა სხვისა და ამ მიმართებაში მას სიმბოლური ფუნქცია გააჩნია. ორივე მოთხოვნილება ერისა და მაშ, ეროვნული კულტურის შესაბამისი ფუნქციებიც ძირეულია, მაგრამ მეორე უპირატესია, როგორც ერის უმთავრეს მოთხოვნილებასთან მიმართებაში (და ზოგადადაც) პირველისთვის სახის, ფორმის მიმცემი, ამდენად, უფრო მაღალი რანგისა). იგივე ითქმის შესაბამის ეროვნულ კულტურათა ფუნქციების შესახებ.

ამ ზოგად სქემასთან მიმართებაში ერის საკუთარი ისტორია გვესმის, როგორც ერის მოთხოვნილებათა (არსებობის და ინდივიდუალობის) და ეროვნული კულტურის შესაბამის უმთავრეს ფუნქციათა დაუბრკოლებელი დაკმაყოფილების შესაბამისი ისტორიული ვითარება, ხოლო საკუთარი ისტორიისაგან გაუცხოება, „ჩატეხილი ხიდი“, შესაბამისად, როგორც მათი დაბრკოლება-შეფერხება. ერის მიერ რომელიმე მოთხოვნილების შეწყვეტა მისი, როგორც ერის ისტორიიდან გაქრობის, სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა.

ისტორიულად ჩვენში საკუთარ ისტორიასთან „ჩატეხილი ხიდის“ ვითარების დამკვიდრება გაცილებით ადრე დაიწყო. მისი მკაფიოდ ჩამოყალიბება რუსეთის იმპერიის მეორეხარისხოვან ნაწილად გადაქცევაზე მოვიდა. გარდა კაცობრიობის წინაშე საკუთარი (ეროვნული) სახისა და იქ ჩვენი წვლილის დაკარგვისა, ჩვენი ეროვნული თვითობის მოთხოვნილების შეფერხების მრავალი ფაქტია ცნობილი. ენის დევნა, ერის წინამძღოლი ძალისთვის, გმირული და პატრიო-

ტული წარსულის მქონე ქართველი თავადაზნაურობისათვის ეროვნული სახის მოშლის, ეროვნული ნიადაგიდან მოშორების და საიმპერატორო ტახტის (რუსეთის) სამსახურში ჩაყენების პოლიტიკა (მაგ.ქართველი მეფის ოჯახის იძულებით რუსეთში გადასახლება), ეროვნული ეკონომიკური და პოლიტიკური (ნებადართული თვითმართველობანი) „სექტორის“, როგორც ეროვნულის „შევიწროება“ (სხვა ერების წარმომადგენელთა ხარჯზე მისი შევსებით.). ამგვარად, კულმინაცია საკუთარ ისტორიასთან ჩატეხილი ხიდისა ჩვენი, ერთ დროს ისტორიის შუაგულ პროცესებში აქტიური წილის მქონე ერის, თბილისის და ქუთაისის გუბერნიებად გადაქცევაზე მოდის. ამ მოვლენამ აქტიური ისტორია პასიურ ბიოგრაფიად გვიქცია. შედეგად, როგორც ყველაზე არსებითმა პრობლემამ, ეროვნულმა პრობლემამ ბუნებრივად მოახდინა მოსახლეობის დიფერენციაცია მისდამი დამოკიდებლობის ნიშნით; იმ ნაწილად, ვინც დაუპირისპირდა (სხვადასხვა სახით) ეროვნულ-საჭირბოროტო ვითარებას და იმათ, ვინც ეროვნულობის მოთხოვნილების რეალიზაციის შეფერხება უკრიტიკოდ, შეუსწორებლად მიიღო და პირადული მოტივაცია მასზე ააგო: მოსახლეობის ასეთ (ამ ნიშნით) დიფერენციაციას და მის აქტუალობას ჩვენი ისტორიაც გვიდასტურებს და ჩვენც კულტურის (ვიწროდ გაგებული კულტურის — მწერლობის, მუსიკის, ფერწერის...) ისტორიაც. ყველა ჩვენი სასახელო პირი, რომლის სახელის ხსენებაც საკმარისია, ეროვნული სულისკვეთების მატარებელია (ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, ივანე ჯავახიშვილი, გალაკტიონი...). საკუთარ ისტორიასთან „ჩატეხილი ხიდის“ საზოგადო ვითარებასთან კულტურული დაპირისპირების, მისი თვისების ერთი მაგალითი და შედეგი „ოთარაანთ ქვრივიაცაა.“ ამგვარად, ერის მთავარი მოთხოვნილების რეალიზაციის შეფერხების პირობებში ამ მოვლენისადმი დაპირისპირება ნებადართულის, შესაძლებლობის ფარგლებში ეროვნული კულტურის შექმნა-ქონების პირობაა, ხოლო მის შექმნა-მატარებლობას ეროვნული კულტურული ტიპი ახორციელებს.

ამ ვითარებათა დაფიქსირების შემდგომ, ჩამოვთვლით იმ ფსიქოლოგიურ (და, მაშ, საზოგადოების ზნეობაზე გავლენის მქონე) შედეგებს, რაც ერის საკუთარ ისტორიასთან „ჩატეხილი ხიდის“ მოვლენამ მოგვიტანა.

ერის მთავარი, ერად ყოფნის მოთხოვნილების რეალიზაციის შეფერხებამ, კაცობრიობის წინაშე „სხვის“ ნაწილად და არა საკუთარი ეროვნული „სახით“ (პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად,) წარდგენამ, ერს, როგორც ასეთს, უფუნქციობა „დამართა“. უფუნქციობის ფსიქოლოგიური შედეგი საკუთარი თავისადმი უპატივცემულობაა. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად (უბრალოდ ტერიტორიად, უბრალოდ — მოსახლეობად) ქცევამ ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობის გრძნობა შელახა, ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსი ჩამოგვიყალიბა (კიდევ გავიმეორებთ: სხვა საქმეა, როგორ შეხვდა ამ „მუქარას“ მოსახლეობა — დაუპირისპირდა ამ მოვლენას, თუ მიიღო იგი, თავისი პირადულის მოტივაციად გაიხადა) — არასრულფასოვნების კომპლექსის ერთი შედეგი კი საკუთარი თავისადმი არაადექვატური დამოკიდებულების ქონაში მდგომარეობს. კერძოდ, საკუთარი კარგის, რეალური ეროვნული მიღწევების ვერშეფასება-დაფასებაში (და ასევე, როგორც პირდაპირი რეაქცია საკუთარი ეროვნული მეობის გადაჭარბებული შეფასების კომპლექსზე).

ყველა ჩამოთვლილი ფსიქოლოგიური შედეგი ჩვენი „საჭირბოროტო“ ეროვნული პრობლემატიკისა მოთხრობის თემატიკაში მკაფიოდაა ასახული.

ოთარაანთ ქვრივის ოჯახის თავგადასავალი ცენტრალურია მოთხრობაში. ქვრივის სახლ-კარის აღწერისას ჩვენ იმ დროზე მინიშნებას ვხვდებით, როცა ქართველებს არა ბიოგრაფია, არამედ საკუთარი ისტორია ჰქონდათ, რაც მტრის წინაშე თავად საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვაშიც მდგომარეობს. “...კედლები ყველგან დაჩითულია სათოფეებითა. სჩანს შიშიანობის დროს ყოფილა აშენებული.“ „შიშიანობის დრო“ იმ „საკუთარი ისტორიის“ სახელია ჩვენი ისტორიული ძნელბედიანობის შესაბამისად. მაგრამ ეს დრო წარსულს ჩაბარებულა. იარაღი (თავის შემადგენლობით საომარი — თოფი, ხმალი, დამბაჩა...), რომლითაც ადრე თავს იცავდნენ მტრისგან, ახლა კედელზე დაუკიდიათ, „სადიაცოდ“ დარჩენილა, რადგან მხმარებელი, პატრონი აღარ ჰყავს. მოთხრობაში არაფერია ნათქვამი ქვრივის ქმრის, თევდორეს დაღუპვის მიზეზების შესახებ, იქნებ საგანგებოდაც, მკითხველს თავად რომ გაეკეთებინა დასკვნები ამის თაობაზე. კედელზე დაკიდებულ თოფ-ხმლით, მათი პატრონი თავად რომ ისტუმრებდა მტერს, ამ ისტორიულ დროზე სხვა მინიშნებასაც ვხვდებით. ქართული ოჯახის შიდა მოწყობილობისათვის, ინტერიერისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ნივთები მოვლილია, დაწმენდილ-დაწკრიალებულია. იგი ერთდროულად სახლის პატრონის ხასიათზე მიმნიშნებელი მეტაფორაა და ოჯახის ტრადიციულობის, ერის წარსულთან მჭიდრო კავშირის ქონაზეც მეტყველებს, ვინაიდან ეს ტრადიციული საგნები ძველია; სიძველე კი კულტურული წარსულის, ისტორიის განცდის მოუშორებელი ატრიბუტია — აღწერაში ერთგან ძველ ქართულ [illegible] მენტსაც ვხვდებით. მაგრამ სახლის შიდა მოწყობილობის შემადგენელი საგნები არა მხოლოდ ძველია, არამედ დაბერებულიცაა, განახლებას მოკლებულია. ოჯახს თევდორეს ხელი აკლია. თუმცა ქვრივი სახლ-კარს, მამულს თავად ჩინებულად უვლის. ეს მას „გამწარებულ წუთისოფლის“ ფასად უჯდება. ოთარაანთ ქვრივმა მთელი თავისი ცხოვრება ქმრის ანდერძის შესრულებას მოანდომა. ანდერძის ერთი ნაწილი იარაღის უზადოდ მოვლა-პატრონობასა და გიორგისათვის მისი დავაჟკაცების ჟამს გადაცემაში მდგომარეობს. ოთარაანთ ქვრივისათვის ქმრის ხატი მუდამ კავშირშია იარაღთან, უძვირფასეს განძთან. როცა თვალცრემლიანი ქვრივი გარდაცვლილ ქმარს იხსენებს, პირდაპირ ჩანს, რომ ოთარაანთ ქვრივისათვის „ გამწარებული წუთისოფელი“ საზოგადო მოვლენა კი არ არის, არამედ ქვრივობის, „ცალუღლობის“, „ცალად დარჩენის“ კონკრეტული ვითარების გამოხატულებაა. ქმრის სიცოცხლეში იგი მისთვის „სიხარულიანი“ ყოფილა. თავად თევდორე, თუმცა ეპიზოდური პერსონაჟია, მოთხრობის სწორად გაგებისათვის ცენტრალურ პერსონაჟთა რიცხვს მიეკუთვნება, როგორც ოთარაანთ ქვრივის ოჯახის („სხვა ნიშანწყლიანი“ — ასე აფასებს ამ ოჯახს სოფელი) წევრი და, ამაგე დროს, არა რიგითი წევრიც. თევდორე ოჯახის „დედაბოძია“, ანუ მისი საფუძველი, ქვაკუთხედი, საყრდენი; მისი არსებობისა და წინსვლის მომპოვებელი, ცხოვრებისათვის გემოს და აზრის მიმნიჭებელი. მასთან დაკავშირებულია იმ ფუნქციების შესრულება, რომელიც საზოგადოდ ეროვნული ცხოვრების წესს შეადგენს, მტრისგან თავდაცვა (საბრძოლო იარაღის პატრონია). ლხინში და ჭირში, შრომაში მოთავეობა და, მაშ, ოჯახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობის მოსაპოვებლად წინსვლის მთავარ პირობად წარმოგვიდგება. მაგრამ თევდორეს საზრუნავი ოღენ ოჯახისათვის საარსებო პირობების მოპოვება როდია. მისი უძლიერესი სურვილი ოჯახის არსებობის არშეწყვეტაში, მისი მუდმივობის მოთხოვნილებაში ძევს. ამ მოთხოვნილების რეალიზაციისათვის თევდორე ტოვებს მცირეწლოვან ვაჟიშვილს, მისთვის გადასაცემ იარაღს და ანდერძს, რომლის შესრულებამ (ოთარაანთ ქვრივის ფუნქცია) ვაჟიშვილის მომავალი (ე.ი. ოჯახისა) უნდა უზრუნველყოს. ამდენად, თავად ოთარაანთ ქვრივის ფუნქციის საფუძველი ქმრის ანდერძშია, მის აღსრულებაში. აქვე შევნიშნავთ, ეს სიუჟეტი ცნობილია მითოლოგიაში და ზღაპრშიც. მომაკვდავი ქმარი (მისი სიკვდილი, რაღაც გარეგან, ბოროტ ძალასთანაა დაკავშირებული) ცოლს აბარებს იარაღს ან ანდერძს თავისი ჯერ მცირეწლოვანი ვაჟიშვილისთვის დავაჟკაცების ჟამს გადასაცემად, რომელიც შემდგომ იარაღის (ან ანდერძის) მეშვეობით და პირადი გმირობის გამოჩენით ბედნიერ მომავალს მოიპოვებს (აქაც დედა იარაღის, ანდერძის შვილამდე მიმტანის ფუნქციაშია. იგი უკიდურეს გაჭირვებაში ზრდის შვილს). ამ მითოლოგიურ, ზღაპრულ თემას ძლიერი განზოგადება აქვს; საზოგადოდ, სიკეთის გამარჯვებისა და, კერძოდ, შეფერხებული, დროებით დამარცხებული (მამის სიკვდილი) სიკეთის საბოლოო გამარჯვების და, მაშასადამე, განვითარების, ევოლუციის ერთიანი ხაზის (მამა, წინაპარი) ცნობიერება გააჩნია (გავიხსენოთ, ერთი „პუნქტი“ თევდორეს ანდერძისა ასეთია, „მკვდარს მიპატრონე“ — ანუ წარსულის, წინაპრების ხსოვნის მომთხოვნია).

ნათქვამი კონკრეტულად ერთი ოჯახის ისტორიას რომ შეეხებოდეს, ესოდენ მნიშვნელოვანი არ იქნებოდა ჩვენთვის. მაგრამ იგი ძლიერი ეროვნული განზოგადების შემცველია. თევდორე ჩვენი ეროვნულობის „დედაბოძია“. იგი ერის საარსებო პირობების მომპოვებელიცაა და ერის უმთავრესი მოთხოვნილების — „აწ და მარადის“ იყოს ერად — მოთხოვნილების განმასახიერებელიც. ამ თვალსაზრისით იგი ეროვნული შემოქმედებითი საწყისის განმასახიერებელი პერსონაჟია. მის ამ ფუნქციაში გასაგები ხდება თევდორეს არდასახელებული დაღუპვის მიზეზიც. იგი ჩვენს ისტორიული უბედობით გამოწვეულ უფუნქციობაშია და ამავე დროს ამის უბრალო კონსტატაციასაც წარმოადგენს. ისტორიული მიზეზებით, ჩვენი ერის უფუნქციოდ დარჩენის პირობებში, უფუნქციოდ „ზედმეტი“ ხდება თევდორეც, როგორც ამ უმთავრესი მოთხოვნილების განმასახიერებელი პერსონაჟი, მაგრამ როგორც ეროვნული შემოქმედებითი საწყისი, მისი „სიკვდილი“, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ერის სიკვდილის, უმომავლობის, „უგანთიადობის“ ტოლფასი იქნებოდა, რაც ფაქტიურადაც შეუსაბამო რამაა.

ამგვარად, თევდორეს „სიკვდილი“ პირობითია, სიმბოლურია; იგი „გარდაისახება“, „რჩება“ თავის ანდერძში და მცირეწლოვან ვაჟიშვილში, რომელმაც დავაჟკაცების შემდგომ მამის ფუნქცია უნდა იკისროს. მამრული საწყისი მითოლოგიაში შემოქმედი საწყისის იგივურია. ასევე, მითოლოგიაში ცნობილია ამგვარი გარდასახვის, „მეტამორფოზის“ შემცველი სქემები (ადონისი, ისირისი, ფენიქსი...), რომელთა შინაარსი მუდმივ დაღუპვა — განახლებაში მდგომარეობს. ამასთან დაკავშირებით შემოდის ოთარაანთ ქვრივის ფუნქციაც, როგორც „გამწარებული წუთისოფლის“ ჟამს ქმრის იარაღის შემნახავის, მისი ანდერძის აღმსრულებლისა, მან, „ცალად დარჩენილმა“, შვილი უნდა დაავაჟკაცოს („არ გაა-

ღარიბოს, არ დააჩაგრინოს“) და მამის იარაღი (აგრეთვე – ზნეობრივი შეგრძნება“...თავის მარჯვენით კაცობდესო) გადასცეს, როგორც თვითობის სიმბოლო: მისი ფუნქცია ხსენებულ მითოლოგიურ სქემაში, ქალის (დედის და ცოლის), მდედრის ფუნქციას ემთხვევა: როგორც მამრის (შემოქმედებითი საწყისის) შექმნილის შემნახავი და ძნელბედობაში ვაუამდე (ასევე მამრამდე) მამის შემოქმედების, ქმნის გამგრძელებლამდე მიმტანი. აქედან ჩანს, რომ „გამწარებული წუთისოფლის“ მოტივი ეროვნული პრობლემატიკის სიბრტყეში ძევს, იგი საკუთარ ისტორიასთან „ჩატეხილი ხიდის“ ვითარებას გამოხატავს. ჰერსონაჟების ფუნქციათა ამგვარ განაწილებაში იკვეთება გიორგის ფუნქციაც. იგი ერის მომავალია. მაგრამ მოთხრობაში მისი ფუნქია გაცილებით ფართოა. თვედორე, როგორც ერის მთავარი მოთხოვნილების მატარებელი, მისი საარსებო პირობების მომპოვებელი, ეროვნული შემოქმედებითი საწყისის განმასახიერებელი, ეროვნული კულტურული ტიპია. ამ ტიპის რაგვაროობა გიორგის სახესთანაა დაკავშირებული, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ.

უფუნქციობის ისტორიის მიერ შეყრილი „სენის“ სიმპტომები მთელი მოთხრობის განმავლობაში გვხვდება, როგორც „გამწარებული წუთისოფელი“, „ცალად დარჩნა“, „ცალყურა“, „ცალთვალა“, „ნახევარკაცი“, „მკვდარი გული“ და სხვა. მისი მკვეთრი, უფუნქციობასთან დაკავშირებული ემოციური თვითგანცდის გამომსახველი ფორმულირება თავად არჩილს ეკუთვნის“...მე ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება. არა, ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კვდმაა...„უფუნქციობის თემა ყველაზე მჭიდროდ თავად არჩილთან არის დაკავშირებული. ეს არცაა გასაკვირი. ერის უფუნქციობა პირველ რიგში მის გამძღოლ, ქართველი მეფისა და მამეულის სამსახურში გმირული წარსულის მქონე თავადაზნაურობას შეეხო. მეფის რუსეთმა, ასევე, მის გამძღოლ ძალად ყოფნის გამო, პირველი დარტყმა ქართულ, ეროვნულ თავადაზნაურობას მიაყენა. სწორედ ამიტომ უფუნქციობის სენი ყველაზე ძლიერად ამ წოდებას შეეხო, რაც ასახულია კიდეც მოთხრობაში.

თავადი არჩილი თავისი წოდების ის შვილია, რომელიც ფუნქციის აღდგენას ლამობს: იგი, ბუნებრივად, წინაპართა წესის მიხედვით, პატრიოტულ პოზიციებზე დგას. მისი ახალი „იარაღი“ ცოდნა და ინტელექტუალური ძალისხმევაა. არჩილი გიორგისთან ერთად წყვილს ქმნის მომავალთან მიმართებაში (და არა მარტო მომავალთან, მათ სხვა საერთო საფუძველიც გააჩნიათ, რაზეც შემდგომ ვიტყვით). გიორგი მომავალია, მაგრამ ამ მომავალს, „განთიადის დასაწყისს“ არჩილი „ქადაგებს“.

ერთი შედეგი უფუნქციობისა, როგორც ვთქვით, საკუთარი კარგის ვერ შეფასება-დაფასებაში მდგომარეობს.

გიორგის სიკვდილით შეძრული არჩილი მოთხრობის ორ თავში („ჩატეხილი ხიდი“ და „დასაწყისი განთიადისა“) წოდებათა შორის საჭირბოროტო „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემას დასვამს და მისი „გამთელების“ გზასაც დასახავს, რამაც ერისთვის „განთიადის დასაწყისი“ უნდა მოიტანოს. საგულისხმოა, სოციალურია „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემის დაყენება – აღწერა, თავში „ჩატეხილი ხიდი“ ზემოთ დასახელებულ, ეროვნული უფუნქციობის სიმპტომების

ამსახველ ტერმინოლოგიაშია მოცემული – ცალყურა, ცალთვალა, ნახევარკაცი, ნახევარგული. ამასთან კავშირშია არჩილის თვითგანცდის ემოციური შეფასება – „მე ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება...“ აქ საინტერესოა ერთი რამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნა: ოთარაანთ ქვრივს, როგორც ძლიერი ეროვნული განზოგადების მატარებელ პერსონაჟს (თევდორეს, გიორგის, საერთოდ, „სხვანაშანწყლიან“ ოთარაანთ ქვრივის ოჯახის დარად), რომელიც კავშირშია უფრმეს ეროვნულ შრეებთან, არ შეუძლია „საკუთარი თავი სძაგდეს“, ვინაიდან ამ შრეების შესაბამისი მოთხოვნილებაა, რომ მარად იყოს, იარსებოს. სხვა საქმეა არჩილი. იგი კონკრეტული წოდების შვილია, ამდენად, ისტორიულ განზომილებაში არსებობს და, მაშასადამე, შეუძლია „სძაგდეს“ საკუთარი თავი. არჩილს ერთი ფსიქოლოგიური, ემოციური განზომილებით მეტი გააჩნია ოთარაანთ ქვრივზე.

ასე ნიშანდობლივია, რომ ამ თავის ფონს, პათოსს კარგის ვერდანახვის მოვლენა შეადგენს. თავად „ჩატეხილი ხიდის,“ თავის მთავარი თემის წამოჭრის საბაბი კეხოს „აპილპილებაა.“ იმის გამო, რომ გლეხობამ ადექვატურად ვერ შეაფასა და — ძმის „კარგი“ — სიკეთე, სურვილებისა და განზრახვის სიალალმართლე. „კარგის მქნელი — იმათია თუ ჩვენი, — ან სულელი გვგონია, ან მატყუარა“, — ასე აფასებს „ჩატეხილი ხიდის“ ვითარების დრამატულ შინაარსს არჩილი.

თავის „დასაწყისი განთიადისა“ ერთი მთავარი შინაარსი „სხვის“, „სხვა წოდების, ქვითკირის კედელს“ მიღმა არსებული „კარგის“ შეფასების უუნარობის კრიტიკაა, ხოლო „ცრემლიანი ცოდნის“ მთავარი მოწოდება „სხვისი“ კარგის „საკუთარ“ კარგად აღიარებაში მდგომარეობს. „ცრემლიანი ცოდნა“ ეროვნული ცნობიერების მქონეა და მის ამ მიმართებაშია ერის „განთიადის დასაწყისი.“ ამგვარად, არჩილი ეროვნული ცნობიერების მქონეა. მისთვის სხვაა წოდება, მისი „კარგი“ იგივე საკუთარი (ეროვნული) „კარგია“. ის რაც წოდებრივ სიბრტყეში „სხვაა“, ეროვნულ მასშტაბში „ჩვენია“, „საკუთარია“.

„ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია“ — ასე უყურებს და აფასებს იგი გლეხობას („მოკვეთილი“ — ვითარების ისტორიულობაზე, დროით მოტანილობაზე, ეროვნულ საჭირბოროტოზე მინიშნებაცაა).

ეს ფრაზა ერთი მაგალითია არჩილის ეროვნული ცნობიერების მქონეობისა. საკუთარი „ცოდნიანი ცრემლი“, გიორგის დაღუპვით დაძრული, ეროვნული ცნობიერების ცრემლია და არა წოდებრივისა. არჩილი ცოდნის, ინტელექტუალური უნარის, ეროვნული ცნობიერების მქონე პირია — ქართველი ინტელიგენტია. ეს ქართულ ლიტერატურაში ყველაზე ადრეული ცდაა ქართველი ინტელიგენტის შემოყვანისა (მის წინაპრად შეგვიძლია „დავითიანის“ მთავარი გმირი დავასახელოთ). არჩილი, გიორგის დარად, ქართული კულტურული ტიპის ღვიძლი შვილია.

მიუხედავად ყველაფერ ზემოთ თქმულისა, როგორც ვიცით, გიორგი იღუპება. იღუპება ეროვნული ცნობიერების გაუმართაობის, საკუთარი კარგის მიმართ არაადექვატური დამოკიდებულების გამო. ესაა მოთხრობაში მომხდარი ტრაგედიის მიზეზი, რაზეც არჩილი პირდაპირ ლაპარაკობს:

„გიორგი წიგნია მეთქი, მთელი წიგნი ცხოვრებისა, სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი. წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ.“

ამ მწარე, მაგრამ საკუთარი ნაკლის პირდაპირ შემყურე რეფლექსიას თან ერთვის დაგვიანებული ეპითეტები გიორგის მისამართით: „ხატი ღირსებისა,“ „მშვენიერი სული“...

ამის მიზეზი ისტორიული საჭირბოროტო ვითარებაა. ამ საჭირბოროტებაზე მინიშნებას ვითარების დამასურათებელი სიმბოლო — მეტაფორების ხმარების თავისებურებებში ვხვდებით: „ჩატეხილი ხიდი“ (ადრე მთელი იყო), „მოკვეთილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარი“ (ადრე მთელი იყო), „შუაზედ გაპობილი წუთისოფლის ულელი“ (ადრე მთლიანი იყო), „გამწარებული წუთისოფელი“ (ადრე, „სიხარულიანი“ იყო) და სხვა. ამგვარად, ზედაპირული თვალის შევლებით, სიუჟეტურად თითქოს ერთმანეთისგან (მაგალითად, ზოგი ოთარაანთ ქვრივის ცხოვრების დასახასიათებლად იხმარება, ზოგი სოციალურ წოდებათა გაუცხოების ვითარებას აღწერს, ზოგი არჩილის თვითგანცდას) სხვადასხვა სიბრტყეში მდგომი ვითარებები ერთ, ეროვნულ საჭირბოროტო საკუთარ ისტორიასთან „ჩაქეხილი ხიდის“ პრობლემატიკაში ერთიანდება.

არჩილის მიერ გიორგის, როგორც ეროვნული კულტურული ტიპის „ვერწაკითხვა“ (უფრო სწორად, საჭირო მკაფიობით „დაგვიანებული“ წაკითხვა), საკუთარი კარგის ვერდანახვა – ცნობა, როგორც მოთხრობაში აღწერილი, ისე შემდგომ მოვლენებში გათამაშებული ჩვენი ისტორიის დრამის, ტრაგედიის ერთი მთავარი „შიდა“, სუბიექტური მიზეზია.

ვიდრე მოთხრობაში გიორგის სახესთან დაკავშირებულ, ეროვნული კულტურული ტიპის რაგვარობის გარკვევას შევუდგებოდეთ, გამოვიტანოთ ზემოთქმულიდან ერთი მეტად მნიშვნელოვანი (როგორც მოთხრობის, ისე ჩვენი ისტორიის შესაბამისი ხანის გაგებისათვის) დასკვნა: სოციალური ჟღერადობის მქონე საჭირბოროტო წოდებათა შორის გაუცხოების პრობლემა მთლიანად, უნაშთოდ „იწერება“ ეროვნულ პრობლემატიკაში და სოციალური საკითხისათვის, როგორც ასეთისათვის, ადგილი არ რჩება.

ამის შესახებ ნათლად მეტყველებს სოციალური საკითხის შინაარსისა და ისტორიის და ჩვენი ერის ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის ერთმანეთთან ერთი თვალის გადავლებით შეჯერება. სოციალურ საკითხთან დაკავშირებული პრობლემა ერის მიერ დაგროვილი (შექმნილი) სიმდიდრის (კომფორტის საგნების) განაწილებასა და მათით სარგებლობის უფლებასთანაა დაკავშირებული. იგი შესაბამისად (როგორც პრობლემა) ბუნებრივად წამოიჭრა ევროპაში, როგორც ამ სიმდიდრის მქონეში, და თან იმ დროს, როცა იგი იმდენი დაგროვდა, მართლა იყო გასაყოფი რაოდენობისა. როგორც საკითხი, იგი დაისვა XIX საუკუნის დასავლურ სოციოლოგიურ ლიტერატურაში და მისი შინაარსი ერის, საზოგადოების წოდებებისა და კლასების ქონებრივი და უფლებრივი ინტერესების ჰარმონიზაციაში მდგომარეობდა. ამგვარად (შეტ-ნაკლები ეფექტიანობით) გადაწყვიტა კიდეც იგი ევროპული კაცობრიობის ნაწილმა, რისი სასიკეთო შედეგი მისთვის სახეზეა (და ჩვენთვისაც, როგორც ამის მოწმეების).

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენი (ტიფლისისა და ქუთაისის გუბარნიებისათვის) გაღატაკებული და უუფლებო სინამდვილისათვის სოციალური საკითხი და მისი შესაბამისი პრობლემა თავის ბუნებით უცხო იყო და მას ჩვენში არსებობის საფუძველი არ ჰქონია; ხოლო ცალკეული მებატონის თუ მემამულის სიხარბე თუ პათოლოგიური მიდრეკილებანი სოციალური საკითხის, როგორც ასეთის, ჩვენში აღიარების საბუთად ვერ გამოდგება. ჩვენში იდგა ერთი, ეროვნული საჭირბოროტო პრობლემატიკა, რომელიც ჩვენ უნდა გადაგვეჭრა და საკუთარი მომავლისათვის გვეზრუნა (ვინაიდან აწმყო ამ პრობლემატიკის გამოისობით „გამწარებულ წუთისოფლად“ გვექცა).

თუკი ჩვენში ატყდა დავა-კამათი გამოგონილი სოციალური საკითხის გამო, მავანთა აგიტაცია-პროპაგანდის მეშვეობით და მოსახლეობის ნაწილის დარაზმვაც მოახერხეს მის გარშემო, ეს ეროვნული ცნობიერების არქონისთვის, ერო-

ვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩაშლისთვის ანუ „ჩატეხილი ხიდის“ ეერგამრთელებისთვის გამიზნული (მაშასადამე, „განთიადის დასაწყისი“ არ უნდა მოჰყოლოდა) მტრის დაგეგმილი „ეროვნული პოლიტიკის“ განხორციელება იყო, რაშიც ქართული წარმოშობის პირებიც იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას კარიერული, პირადული მიზნებიდან გამომდინარე.

ეს ძალები ჩვენში ატეხილ აგიტ-პროპაგანდაში გამოგონილ სოციალურ საკითხს მარქსის ისტმატის მიხედვით სვამდნენ. ჩვენთვის, პირველ რიგში, საქმის არსი ის არის, რომ არარსებულის „გინდათ თუ არა“ არსებულობაზე გვიკიჟინებდნენ, მაგრამ საზოგადოდ ისტმატს ერთი დამახასიათებელი თავისებურებაც აქვს, რის გამოც იგი სოციალური საკითხის მოსაგვარებლად თავისი დაბადების ადგილზეც კი არ გამოყენებულა. ისტმატში ყირაზე დაყენებულია, ფალსიფიცირებულია რეალობა; კერძოდ, ყოველგვარი ლოგიკის დარღვევით, სოციალური საკითხი პირდაპირ წამბულია ეროვნულზე; იგი სოციალური საკითხის საბოლოო გადაჭრის შემდგომ ეროვნულის არაექტუალობის გამო უქმდება. ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ სოციალური საკითხი პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო განაწილების სისტემასთან. ე.ი. პოლიტიკურ სისტემასთან, ანუ ერის ორგანიზაციასთან, მის „ხელ-ფეხთან“ და არა უშუალოდ ერის არსთან (ეროვნულთან მაგალითად, სიმდიდრე ისევ ეროვნულ სიმდიდრედ დარჩება, როგორც არ უნდა გადანაწილდეს იგი მოსახლეობაში). ამგვარად, სოციალური საკითხის ცნებას არავითარი პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ გააჩნია ერის ცნებასთან, ხოლო თუ კი ამ კავშირების შინაარს და სულიერებას გავითვალისწინებთ, იგი რეალობის ყირაზე დამყენებელ ფალსიფიკაციად უნდა ვიჩნიოთ, მაგალითად, სოციალიზმის, პოლიტიკური სისტემის ეროვნულთან ანტაგონისტურად დაყენებას სხვაგან (სოციოლოგიურ ლიტერატურაში) არსად ვხვდებით. ეს მავნე თვისება შემდგომ მთელი ერების ისტორიამ დაადასტურა. ისტმატი სოციალური დინამიტი აღმოჩნდა. კერძოდ, იმ პირებისთვის (მათში ქართული წარმოშობის პირებიც იყვნენ), ვისთვისაც იგი თავიდანვე პირადული მიზნებისათვის გამოსადეგი დემაგოგია იყო და სხვა არაფერი, იმათ იგი „შეერგო“, ხოლო ვინც ისტმატი მიიღო და დაიჯერა (სულ ერთია, რა ქვენა, სოციალურ ჰუმანიზმთან საერთოს არმქონე მისწრაფებები ამოძრავებდათ), იმას ამ „მოძღვრების“ ნამდვილი შინაარსის მიხედვით ყირაზე დაყენებული არსებობა, ეროვნული კატასტროფა ერგო წილად.

ჩვენში ძირითადი პრობლემატიკა ეროვნული იყო. ამიტომ შეთანხმებული აგიტაცია-პროპაგანდით ისტმატ-დინამიტის ფეხის მოკიდების მიზეზი მოსახლეობის ნაწილში, სწორედ ეროვნულ პრობლემატიკასთან კავშირში ვეძიოთ. კერძოდ, აქაური ისტმატის მოტრფიალენი მოსახლეობას მოუწოდებდნენ ეროვნულობისთვის ზურგის შექცევით პირდაპირ საკაცობრიო, („ინტერნაციონალურ“) პრობლემატიკაში ჩაბმულიყვნენ, თუნდაც ეს მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესებისათვის ბრძოლა ყოფილიყო. ამგვარად მოგვიწოდებდნენ „სხვა“ გვერჩია საკუთარი თავის, „ჩვენის“ ხარჯზე.

იმავდროულად და ამის საწინააღმდეგოდ, ილია და მისი თანამშრომლები მოსახლეობას მოუწოდებდნენ, რათა „საკუთარი თავისთვის“ მიგვეხედა და მოგვეარა, როგორც, მაგალითად, კაცობრიობის ეროვნულმა ნაწილმა მიხედა საკუთარ თავს მისთვის არცთუ ისე იოლ ისტორიულ ხანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად ჩვენ (ჩვენმა ნაწილმა) „ხვა“ ვამჯობინეთ „საკუთარ თავს“. ესაა სოციალური საკითხის ჩვენში დასმისა და გადაჭრის ნამდვილი ისტორია. მიზეზი კვლავ ჩვენს მიერ არჩეულ პრობლემათა და თემათა წრეში უნდა ვეძებოთ. ერთ მიზეზს ისტორიული საჭირბოროტო ვითარებით ჩვენში (ჩვენს ნაწილში) ფეხმოკიდებული ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსში, ეროვნული მეობისადმი პატივისცემის დადაბლებაში ვხედავთ, რაც გადაება ჩვენს მიერ მეორე მიზეზად დასახელებულ ქართველის ეროვნული ხასიათისათვის მკვეთრად დამახასიათებელ უსაზღვრო ინდივიდუალობის მოთხოვნას, რაც ხშირად უსაფუძვლო ამბიციურობაში მჟღავნდება (მაგრამ არა ყოველთვის).

ამ ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსისა და უსაზღვრო ამბიციის ნასკვი კარგად გაირჩევა ჩვენი ისტორიის დრამატულ მოვლენებში. ქართველებმა მართლაც მსოფლიოში პირველი (!) სოცდემოკრატიული რესპუბლიკა შექმნეს (გადაშენების პირას მისულმა ერმა!) საკუთარი თავის არსებობის კითხვის ქვეშ დაყენების ფასად. ამ რესპუბლიკის მკვიდრნი პარტიებად დაყოფილი მოსახლეობა აღმოჩნდა და არა ერთიანი ეროვნული სახის მქონე ერი. ეს ვითარება შესაბამისად აისახა მტრისთვის გაწეული წინააღმდეგობის უნარიანობაში (ლაპარაკი არა გვაქვს იმაზე, მტერი ნებისმიერ შემთხვევაში ყურით შეგვათრევდა თუ არა ბოლშევიკურ იმპერიაში, არამედ ჩვენ საკუთარ მიზეზებზე, ჩვენ საკუთარ სახეზე, თუ ჩვენ რა ვქენით?). ხოლო მაშინ დაწყებული ქართველთა ხვრეტა დღესაც არ შეწყვეტილა. ტერიტორიების „ჩამოჭრის“ ინერცია დღესაც ძალაშია.

საზოგადოს არმცნობი, უსაზღვრო პირადული მოთხოვნილების მქონე ძალა ჩვენს ისტორიაში კარგადაა ცნობილი. მისი ზეობა ჩვენში, როგორც წესი, „ეროვნულ სამე“, მტრულ ძალასთან შეკვრით ხორციელდებოდა და მოსახლეობისთვის, ქვეყნისთვის მუდამ უბედურების მომტანი იყო. ამ ძალის „ნაკვალევს“ აშკარად ვამჩნევთ ჩვენს უახლეს ისტორიაშიც. ზოგიერთი ქართველური წარმოშობის პირი იმპერიის მასშტაბში „ მსხვილმასშტაბიან“ კარიერულ აღმასვლას ატარებდა, იმავდროულად „ჩვენ“ დადმა მივექანებოდით (იმათ „წაშველებით“) ისტორიის ყველაზე მძიმე ფურცლებისაკენ. სხვადასხვა ჯურის აქაურ მედინამიტელებს მუდამ მტრის ძებნასა და ჩვენს სადმე ყურით შეთრევაზე ეჭირათ თვალი, ვინაიდან მათ ნგრევის მეტი არაფერი შეუძლიათ და შექმნა, შემოქმედება მათ შესაძლებლობას სცილდება, რის გამოც ქვეყნის მართვაც მათი უნარების მიღმა დგას. ამიტომ მათ მუდამ ეშინოდათ „საკუთარ“ ხალხთან, მოსახლეობასთან პირისპირ დარჩენისა და მესამე ძალის ჯარისკენ აცეცებდნენ თვალებს. ასე იყო მუდამ, ამგვარად, ჩვენს ისტორიაში ახალი არაფერი მომხდარა, მაგრამ ამ ბნელ, ანტისოციალურ ძალას მუდამ წინ ედგა მისი მომოკველი და გამანადგურებელი ქართული კულტურული ტიპი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენი ყველა რეალური ეროვნული მიღწევა, მათ შორის სახელმწიფოებრიობის შექმნაც.ვიდრე ქართულ კულტურულ ტიპზე გავაგრძელებდეთ საუბარს, ზემოთ თქმულისთვის მცირე რეზიუმეს გაკეთება გვსურს. ჩვენი ბოლო ხნის ისტორიის (რომლის სიმბოლურ, პირობით ქვედა თარიღად ილიას მკვლელობის წელს ავიღებთ, ხოლო ზედა თარიღად, ასევე სიმბოლურად, რუსეთისგან ჩვენი დაპყრობისას) განმსაზღვრელ, მთავარ თავისებურებას შევაფასებდით ჩვენს მიერ გაკეთებული არჩევნიდან გამომდინარე — სამყაროში გვეარსება ეროვნულობის გა-

რეთ, არა ერთად, არამედ, უბრალოდ, ადამიანებად, ისტორიამ გვიჩვენა, რომ ამგვარი, ეროვნულობის მიღმა, უბრალო მოსახლეობად არსებობა ამ მოსახლეობისათვის უმძიმეს განსაცდელად, სპობად და თვითსპობად იქცევა.

დავუბრუნდეთ გიორგის ფუნქციის პრობლემის საკითხს. როგორც ვთქვით, გიორგი ეროვნული კულტურული ტიპია და მისი ფუნქციის გარკვევასთან დაკავშირებულია ამ ტიპის რაგვარობის საკითხი. მოთხრობაში სოფელი ორჭოფულად აფასებს ოთარაანთ ქვრივის ოჯახს, მის წევრებს. („აქ სხვა ნიშანწყალია“, „გიჟია თუ რა?“, „მოუსვენარი“, „ახალი ცოცხი“). ამ „სხვანიშანწყლისის“ რაობას ყველაზე მკვეთრად გიორგი გამოხატავს. მის პირდაპირ დახასიათებას (ავტორისა და არჩილის პირით) რამდენიმე ადგილას ვხვდებით.

„ეს ხასიათი დასჩემდა გიორგის, დედასავით, — თავისი იყო, თუ სხვისა — თუ ცუდი რამ იყო, გამოკიდებოდა“. იგი მოვლენებს შეფასებისას პირადულის საზომით (თავისი — სხვისა) არ უდგება, არამედ ზნეობრივით.

„...მაგისი ნამუსი ჭკუით კი არ არის ახილებული, გულით გამოკვეთილია, გულით...“

„...მინამ ჭკუა იტყვის, ჭკუა ურჩევს, გულმა იცის, რა ჰქმნას...“

მაშ, გიორგისთვის ჭკუა პირადულის მოთხოვნილება („ჭკუა“) დაქვემდებარებულია ზნეობრივს; უფრო ზუსტად, პირადულის, ინდივიდუალურის მოთხოვნილება ზნეობრივის მოთხოვნილებას ემთხვევა და ამის გარდა სხვას არაფერს ცნობს. გიორგისათვის ეს თვისება ინდივიდუალური განსჯის, ნებით არჩევნის შედეგი როდია, არამედ ისეთივე ბუნებრივია, როგორც შიმშილის გრძნობა, „როგორც პური შიმშილში“, „როგორც სიგრილე სიცხე-პაპანაქებაში“, ამგვარად გიორგი რომ ასეთია, ეს, ასე ვთქვათ, მისი პირადი „დამსახურება“ როდია, მას არ შეუძლია იყოს სხვანაირი, ეს მისი უარსებითესი თვისება ზეინდივიდუალური პლასტია, რომელიც ერის ისტორიულ-კულტურულ პროცესში ჩამოყალიბდა; იგი ერის უმთავრესი საგანძურია, ერის კულტურული ტიპია, კერძოდ, იგი ქართული ზნეობრივი ტიპია. მისი ეს განსაკუთრებული ვითარება რამდენჯერმეა ხაზგასმული: „...ეს დიდი საქმეა-მეთქი, დიდი“, „...ეს დიდი ნიშანწყალია კაცობრიობისა...ხწორედ დიდი ნიშანწყალია“. ქართული ზნეობრივი ტიპისათვის პირადული მოთხოვნილება საზოგადოს ემთხვევა. იგი უპირისპირდება, თოკავს და ანეიტრალებს უსაზღვრო პირადულის მოთხოვნილების მქონე ძალას და ერი ძლიერების, აყვავების გზაზე გაყავს. მტრის დარტყმაც სწორედ ქართულ ზნეობრივ ტიპზე მოდის, როგორც ერის „ჯიშის“ (სახის) და ძალის, აღორძინების უნარის მატარებელზე. გიორგი, როგორც ვიცით, ისევე ერის მომავალთან მჭიდრო დამოკიდებულებაში მყოფი პერსონაჟია. იგი მას ახასიერებს. იგი ეროვნული კულტურული ტიპია — ქართული ზნეობრივი ტიპი, რომელიც საკაცობრიო ისტორიულ-კულტურულ პროცესში ქართველ ერს „საკუთარ ისტორიას“ უქმნის. თვედრივ საკუთრივ ამ ტიპს, მის მიერ შექმნილი ფასეულობების, ცხოვრების წესის, ტრადიციების (ეროვნული კულტურის) „სალაროა“ მომავლისათვის, შემდეგი თაობებისათვის; გიორგი, როგორც ვთქვით, მომავალთან მიმართებაში მდგარი ეროვნული კულტურული ტიპია და, ამდენად, ეროვნული შემოქმედების პოტენციაა; ასეთად მიგვაჩნია ამ პერსონაჟთა ფუნქციების განაწილება მოთხრობაში.

ახლა შევეხოთ გმირების წოდებათა მიკუთვნებულობას ნაწარმოებში. გიორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი, საზოგადოდ, თევდორეს ოჯახი — ქართული კულტურული ტიპი — „ხალხური“ პერსონაჟებია, „ხალხის შვილებია“. ეროვნული კულტურული ტიპი ილიას თავის უფრო ადრინდელ „კაცია-ადამიანში?!“ აქვს მოხსენებული (შესავალში), როგორც ხალხის გენია, რომლის არსებითი თვისება „სხვისთვის“, მოცემულ კონტექსტში ეროვნულისთვის, საზოგადოსთვის გულშემატკივრობაა. ასეთივე „უხილავია“ (უსახელო) ოთარაანთ ქვრივიც. როგორ უნდა გავიგოთ, რომ ქართული კულტურული ტიპი „ხალხში“ მყოფია? რას ნიშნავს მისი „ხალხურობა“? არის თუ არა თავადი არჩილი, როგორც ეროვნული კულტურული ტიპის ღვიძლი შვილი, „ხალხის შვილი“? და თუ არა, რატომ? სიტყვა „ხალხს“ სიფრთხილით უნდა მივუდგეთ, იმდენად ყურს გაგვეჩვია წამდაუწუმი ხმარებით. მაგრამ უფრო „საშიში“ იყო ის ქირურგიული ოპერაცია, რომელიც მასზე მარქსიტ-ლენინისტმა მედინამიტე-აგიტატორებმა ჩაატარეს. რეალობის გამოცდილმა ფალსიფიკატორებმა იგი საოპერაციო მაგიდაზე მოკლეს. სიტყვა „ხალხი“, რომელიც თავის მნიშვნელობაში ეროვნული ნიშნის შემცველიცაა და, ამიტომ, სახის მქონე და, მაშასადამე, ღირებულებრივი სინამდვილის აღმნიშვნელიც, ყირაზე დააყენეს და შეცვალეს გაუფორმებელის, უსახურის და, შესაბამისად, არაღირებულებრივის შესატყვისი „მასით“, თანაც ამ „ოპერაციას“ ღირებულებრიობის ნიშანი დაასვეს — „ნაოპერაციევი“ „ხალხიმასა“, „პროგრესისა“ და „ცივილიზაციის“ სათავეში „გაგზავნეს“. ამის გათვალისწინებით და ყოველგვარი ბინდბუნდის თავიდან აცილებისათვის უნდა ითქვას, რომ თევდორეს ოჯახის „ხალხურობა“ ეროვნულის შინაარსით იხმარება.ილია სიტყვა „ხალხს“ ერის მნიშვნელობით ხმარობს. მაგრამ დასმულ პრობლემას დამატებითი ასპექტი აქვს, რომელიც დაკავშირებულია იმ აშკარა ფაქტთან, რომ ნაწარმოებში ეროვნულ-კულტურული ტიპი ყველაზე განზოგადებული სახით განსაზღვრულია — ისინი გლეხის წოდებისანი არიან და იმავდროულად ისიც, რომ სიტყვა „ხალხს“, გარდა ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობისა, ასევე გააჩნია დამატებითი მნიშვნელობაც, რომელიც გაუფორმებელი, დანაწევრებული სახის არამქონე რეალობასთან ასოციაციის აღმძვრელია. სათქმელი რომ უფრო გავათვალსაჩინოთ, გავიხსენოთ, რომ იმავე სოფელში, სადაც თევდორეს ოჯახი ცხოვრობს სხვა ოჯახებიც არიან. ცხადია, თევდორეს ოჯახის თანასოფლელნიც „ხალხია“. მაშ, რატომაა, რომ მათი დამოკიდებულება და შეფასება ამ ოჯახისა, მისი თითოეული წევრისა ასეთი ორჭოფული, უნდობლობისა და გაღიზიანების შემცველია? მათ არ ესმით ამ ოჯახის! „გიჟია, თუ რა?“ „გადარეული“, „მოუსვენარი“, „სხვა ნიშან-წყალი“... ამ და კიდევ მსგავსი ეპითეტებით მიჯნავენ თანასოფლელნი საკუთარ თავს ამ ოჯახისგან. რა არსებითი განსხვავებაა ამ ოჯახსა და თანასოფლელებს შორის? ისიც და ესენიც „ხალხია“, „ხალხს“ ეკუთვნიან, ეროვნული მიკუთვნებულობა ორივეს ერთი აქვს. მაშ, რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ თევდორეს ოჯახი, როგორც ეროვნული კულტურული ტიპი, ქმნის, „სოფელი“ კი მოიხმარს. ამგვარად, „გამყოფი“ ხაზი თევდორეს ოჯახსა და „დანარჩენთა“ შორის ეროვნულ კულტურულ ტიპისადმი მიკუთვნებულობა-არმიკუთვნებულობაზე გადის, რაც ყველაზე არსებითი „სადემარკაციო ხაზია“ მოთხრობაში. ქართული ზნეობრივი ტიპი, როგორც ეროვნული შემოქმედებითი ტიპი, შემოქმედებითი პოტენცია ერს საკუთარ ისტორიას აძლევს, მაგრამ ამით იგი საკუთარი სახესაც იქმნის

ერისა და ისტორიის წინაშე, ანუ იმ უმაღლეს კატეგორიათა წინაშე, რომლებიც ხელმისაწვდომია ადამიანური პრაქტიკისათვის. ასეთი ჩამოყალიბებული, საკუთარი სახე არ გააჩნია „სოფელს“, როგორც ნაკლებად შემოქმედებითი იგი ნაკლებ აქტიურია ისტორიის წინაშე და ამიტომ მას ნაკლებად დანაწევრებული ეროვნულის სახე აქვს, უფრო მეტიც, როგორც ერისთვის თავისი სახის მომპოვებელსა და შემქმნელს ისტორიულ პროცესში, ეროვნული კულტურული ტიპი ეროვნულ სახეს აძლევს „სოფელსაც“, რომელსაც ერის მიერ ისტორიის მოპოვების პროცესში უწესლობის გამო საკუთარი სახე არ გააჩნია და, მაშასადამე, შეესაბამება სიტყვა „ხალხის“ მეორე, ნაკლებად დანაწევრებულის აღმნიშვნელ მნიშვნელობას. მაგრამ რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს თვედორეს ოჯახს, როგორც ეროვნულ კულტურულ ტიპს, „ხალხის“ ამ მნიშვნელობასთან? ცხადია, მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როცა ეროვნული კულტურული ტიპი არარეალიზებულია, ანუ გაუფორმებელია, ანუ დანაწევრებული სახე არ გააჩნია; ასეთად კი იგი მხოლოდ ერის ჯერ არდამდგარი მომავლის წინაშე ჩნდება, როგორც ერის ჯერ არარეალიზებული კულტურული, შემოქმედებითი პოტენცია. ამგვარად, თვედორეს ოჯახის „ხალხურობა“ (გარდა იმგვარად გაგებულისა, როგორც ეროვნულისა) ერის ჯერ არდამდგარ მომავალთან მიმართებაში, ჯერ არარეალიზებულ პოტენციად დგომის მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. სწორედ ამ კუთხით განვიხილოთ წოდებითა ურთიერთმიმართების საკითხი, რაც ზემოთ ნათქვამს მეტ ნათელს მოჰფენს. მოყვანილი სქემის ფარგლებში ბუნებრივია, ეროვნულ-კულტურული ტიპის, როგორც ერისთვის საკუთარი ისტორიის მიმცემი ძალის ადგილზე წარმოვიდგინოთ ერის წინამძღოლი წოდება, რომელსაც ხელმძღვანელი როლი აქვს ერისა და, მაშასადამე ისტორიის ახპარეზზეც. ამგვარად, ჩავთვალოთ გარკვეული სქემატური მიახლოებით, რომ „წმყოსთან“ მიმართებაში ეროვნული კულტურული ტიპი რეალიზდება ხელმძღვანელ წოდებაში, ერის მიერ საკუთარი ისტორიის მოპოვების ისტორიულ-კულტურულ პროცესში. ამდენად, იგი ისტორიის წინაშე ეროვნულის ნიშნით დანაწევრებულ და, მაშასადამე, მაღალდირებულებრივ სახეს იძენს. ეს სახე ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევია და ერთხელ და სამუდამოდ მიღებული. როგორც ერისთვის, მისი ისტორიისათვის სახის მომპოვებელი და სახის მიმცემიც, იგი ეროვნულ სახეს აძლევს „დანარჩენ“ მოსახლეობასაც, ანუ სხვა წოდებებს, რომლებსაც აღნიშნულ პროცესში ესოდენ აქტიური, განმსაზღვრელი წილი არ უძევთ, რის გამოც თავადაც ნაკლებად დიფერენცირებული ეროვნული სახე აქვთ. ერის ისტორიულ პროცესში წოდებათა ამდაგვარ ურთიერთმიმართებათა ხასიათის გამო „დაბალი“ (ეროვნული ნიშნით ნაკლებდანაწევრებული სახის მქონე) წოდება ეროვნულ-კულტურული ტიპის პოტენციურად, ანუ გაუფორმებლად, დაუნაწევრებლად მატარებელი ხდება. ამგვარად, მის მიერ ეროვნული კულტურული ტიპის მატარებლობა მომავალთან მიმართებაში დგება და კულტურული „ბეღელის“ ფუნქცია აკისრია ერის წინაშე, განსხვავებით წინამძღოლი წოდებისაგან, რომელიც უკვე „დღეს“ რეალიზებულია. ამგვარად, თუმცა ორივე წოდება ყველა თვალსაზრისით განსხვავებულ მდგომარეობაშია, ერის წინაშე მათ ურთიერთშემავსებელი ფუნქცია აქვთ.

ასეთნაირად, „ხალხი“ თავისი ღირებულებრივი გაგებით (განსხვავებით „ნაოპერაციები „ხალხი-მასისაგან“) ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი მნიშვნელობით იხმარება — „ერის“ შინაარსით, ხოლო მისი მეორე მნიშვნელობა გულისხმობს ერის კულტურულ პოტენციას მომავალთან მიმართებაში. სიტყვის ამ ორივე მნიშვნელობის გათვალისწინებით უნდა გვესმოდეს თევდორეს ოჯახის „ხალხურობა“, როგორც ეროვნული კულტურული ტიპისა და მომავლის წინაშე, მასთან მიმართებაში მდგარი ეროვნული კულტურული, შემოქმედებითი პოტენციისა. ეს უკანასკნელი ფუნქცია ყველაზე მკაფიოდ გიორგის სახესთანაა დაკავშირებული. იგი თავად მომავალია, მაგრამ დანაწევრებული ეროვნული ცნობიერება არ გააჩნია.

სხვაგვარი ვითარებაა არჩილთან მიმართებაში. იგი იმ წოდების შვილია, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ მოიპოვა სახე. ამ წოდების დრამა თავად ისტორიის ავანსცენაზე გამოსვლაში მდგომარეობს, რადგან ამ დროს მაღალღირებულებრივ სახესთან ერთად იგი იძენს ისტორიულობის თვისებასაც. ცნობილია, ორჯერ ისტორიის ავანსცენაზე გამოსვლა არ ხერხდება. როგორც დანაწევრებული ეროვნული სახის მქონე, არჩილი მართლაც არ არის „ხალხის შვილი“, ამ სიტყვის გაუფორმებელთან დაკავშირებული მნიშვნელობით, მაგრამ იგი ერის შვილია, თან არა რიგითი, არამედ სასარგებლო; იგი ერთადერთია მოთხრობაში, ვისაც აქვს ჩამოყალიბებული ეროვნული ცნობიერება („ცოდნიანი ცრემლი“). ისტორიული აუცილებლობით უფუნქციოდ დარჩენილი თავადაზნაურთა წარმომადგენლები წოდების პატრიოტული ტრადიციით ბუნებრივად იკავებენ ადგილს ეროვნულ მუშაკობაში და, თუკი ილიას ნანაში თვალშისაცემია მათი სიმრავლე ეროვნულ საქმიანობაში, ეს პირველ რიგში ამ მიზეზით ხდება და არა განათლების ადვილი ხელმისაწვდომობის გამო.

დაყენებულ პრობლემასთან დაკავშირებით გვსურს კიდევ ერთ საკითხს შეეეხოთ, რომელიც არ არის ზემოთ თქმულთან პირდაპირ მიმართებაში. თავად არჩილის „ხალხის შვილად“ განათვლა არამარტო გაუმართლებელია, არამედ რაღაცნაირად ყურსაც ეწამუშება. ეს კი უკვე იმ „ღირებულებათა“ ხანგრძლივი აგიტაციის შედეგია, ყირაზემავალ იდეოლოგიას რომ ელანდება. ამ შემთხვევაში მუშაობს ნაოპერაციები „ხალხი-მასას“ მნიშვნელობა, სადაც გაუფორმებელი, არაღირებულებრივი ღირებულებრივის სტატუსითაა აღჭურვილი, უფრო სწორად, ამ მნიშვნელობასთან დაკავშირებული „კლასობრივი ცნობიერება“, რომელიც უბრალოდ სახის მქონეზე, გაფორმებულზე, „გამოჩენილზე“ მოსპობის მარტივი ანტიკულტურული რეაქციაა და სხვა არაფერი.

„ჩატეხილი ხიდის“ გამთელების მნიშვნელობა შემდეგნაირად გვესახება. გიორგი დანაწევრებული ეროვნული ცნობიერების არმქონეა (მხოლოდ პოტენციურად, გაუფორმებლად მქონე და ამიტომ მისი ქონის შემძლები). მომავალი, „განთიადის დასაწყისი“ რომ მოიყვანოს, მან იგი უნდა შეიძინოს. ამიტომ, მასსა, როგორც გლეხის წოდების წარმომადგენელსა და არჩილის წოდებას შორის „ჩატეხილი ხიდი“ უნდა აღდგეს. იგი არჩილთან უნდა დადგეს, სხვაგვარად მომავალი არ დაიწვება. ამგვარად გამთელებული „ჩატეხილი ხიდი“ ერის მიერ მომავლის „შეძენისათვის“ ერთიანი ეროვნული ცნობიერების შეძენის აუცილებლობაზე მიუთითებს. გიორგი რომ გლეხის წოდებისაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ წოდებაში იგი პოტენციის სახითაა და მომავალთან მიმართებაში დგას. სამაგიროდ, მას „აწმყოში“ დანაწევრებული ეროვნული ცნობიერება არ აქვს. ეს არსებითი მხარე ეროვნული კულტურული ტიპისა წინ მოდის ერის უფუნქციო (უაწმყოო) „გამწარებული წუთისოფლის“ ვითარებაში, როგორც აღწერილია „ოთარაანთ ქვრივში“ და რასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ საკუთარ ისტორიასთან გაუცხოება ვუწოდეთ. ამგვარად, მომავალთან მიმართებაში ეროვნული კულტურული ტიპი „ხალხშია“, როგორც ჯერ კიდევ არარეალიზებულ პოტენციაში. ილიასთვის ერისთვის „საკუთარი ისტორიის“ ქონა ძირითადად და მისთვის ის წოდება, ფენა თუ კლასია ღირებული, ვინც ერის საკუთარი სახის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფუნქციას იღებს. ასევეა ერისთვის და ისტორიისთვისაც.

ილია ქართველ გლეხს ასეთ ნდობას რომ უცხადებს, შემთხვევითი არ არის. ამის საფუძველი ის ისტორიული სპეციფიკური მიზეზია, რის გამოც არჩილი და გიორგი „ახლოს“ იდგნენ ერთურთთან ჩვენს ისტორიაში. ამ მსგავსებაზე ავტორი გვეუბნება „..ერთი დოინჯის შემოყრაღა აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადიშვილი..“

ქართველი გლეხის ამ პირადი ღირსების მაღალი (თავადიშვილური) გრძნობის ქონების საფუძველი ჩვენს ისტორიაში ძეგს. რეგულარული, პროფესიული არმიის ტრადიციის უქონლობის ვითარებაში ომის წარმართვა ჩვენში „ქუდზე კაცის“ წესით ხდებოდა, რის გამოც ქართველ გლეხობას თავისი წილი აქვს გაცემული სამშობლოს დაცვის საქმეში და პატრიოტიზმის განცდაში თავისი კუთხე-კუნჭული გააჩნია; თავადაზნაურობასთან გვერდი-გვერდ მამულის დაცვამ ქართველი გლეხი „ახლო“ დააყენა ერის წინამძღოლ წოდებასთან. ამ ორმა გარემოებამ განაპირობა ის შესაძლებლობაც, რომ ქართული კულტურული ტიპი — ზნეობრივი ტიპი თავადაზნაურობასთან ერთად გლეხობაშიც არა მხოლოდ პოტენციურად, რეალურადაც რეალიზებულიყო. მხოლოდ ამ „ახლო“ დგომის გათვალისწინებით, ანუ ქართული ზნეობრივი ტიპის გლეხობაში მკვეთრად ყოფნაში ვხედავთ ახსნას გაძიძაგების ტრადიციის არსებობისა.

არსებითად, მოთხრობის სიუჟეტის მთავარი, ზოგადი სქემა სწორედ ამაში მდგომარეობს. ახალგაზრდა ქართველი გლეხი იგივეს აკეთებს, რაც ეროვნული ტრადიციას, ცხოვრების წესს შეესაბამება, იგი ღირსების გრძნობის ქონების საფუძველზე („გული ვწვდებოდა, გული...“) წინამძღოლ წოდებასთან „ახლო“ დგება, რასაც იქ ვერ „წაიკითხავენ“ უფუნქციობის, საკუთარ ეროვნულ ცხოვრების წესთან გაუცხოვების, მის მიმართ თაკილის განცდის გამო („ხელი კი ვეღარ“).

ამგვარად, საკუთრივ ცხოვრების წესის, ტრადიციის მოშლა ან, სხვაგვარად, მისი მოსახმარებისაგან გაუცხოება, მისი შეფერხება, ანუ საკუთარ ისტორიასთან „ჩატეხილი ხიდი“ დრამის მთავარ მიზეზად გვევლინება.

ამგვარად, მოთხრობა ეროვნული განზოგადების მატარებელი იდეებითაა დატვირთული. ჩვენ შეეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ოთარაანთ ქვრივის“ ძირითადი პრობლემატიკა ეროვნული უფუნქციობის, საკუთარი კარგის ვერ შეფასება-დაფასებაში, ეროვნული ცნობიერების დარღვევაშია, რაც გიორგის დაღუპვის მთავარი მიზეზია. მოთხრობის ძირითადი თემა ოთარაანთ ქვრივის ოჯახთანაა დაკავშირებული, უფრო ზუსტად, სიმბოლურ დაღუპვა-აღორძინების სქემასთან (თვედორე — ოთარაანთ ქვრივი — გიორგი), რაც ერის ერად ყოფნის მოთხოვნილებას ასიმბოლოებს. მთავარი პერსონაჟები ეროვნული განზოგადების მატარებლები არიან — ისინი ქართული კულტურული ტიპის — ზნეობრივ-ტიპს ასახიერებენ, რომელიც ერის აღორძინების, მისთვის საკუთარი ისტორიის ბოძების განმახორციელებელი ძალაა. მისთვის პირადულის მოთხოვნილება საზოგადოს მოთხოვნილებას ემთხვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სემიონ ფრანკი

„ქრისტიანული სოციალიზმის“ პრობლემა

I

მას შემდეგ, რაც ე.წ. „სოციალური საკითხი“ წამოიჭრა, მას შემდეგ, რაც, ამ ასიოდე წლის წინათ ევროპულ კაცობრიობას მშრომელი ხალხის ფართო ფენების სიდუხჭირემ და სიღატაკემ თვალი აუხილა და სინდისი გაუღვიძა, ქრისტიანული პოზიციის დაკავებას და ამ საკითხის ქრისტიანული რწმენის თვალსაზრისით გადაჭრასაც მრავალნაირად ცდილან; ე.წ. „ქრისტიანული სოციალიზმი“ ნაირ-ნაირი სახისაა, მათ ჩამოთვლას და შეფასებას აქ ვერ გამოვუდგებით. სხვა თუ არაფერი, ცალკეული ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები მაინც ხვდებიან, რომ აუარებელი თანამოძმის სასტიკი გასაჭირისადმი ქრისტიანთა გულგრილობა და პასიური დამოკიდებულება დიდ ცოდვად აწევს ქრისტიანულ სამყაროს. კათოლიკურ ეკლესიაში ეს შეგნება ეკლესიურად სანქციონირებულ და გაცხადებულ იქნა პაპების — ლეო XIII-ის და პიუს XI-ის ცნობილ ენციკლიკებში. ადამიანები, რომელთაც სურთ ქრისტიანები, იყვნენ. სულ უფრო ხშირად და მწვავედ გრძნობენ, თუ რა აუტანელი ფარისევლობა იქნება, საღვთისმეტყველო ფიქრებს მისცენ თავი, ილოცონ, ქრისტიანული სათნოებების შეძენაზე იზრუნონ და, ამავე დრო, არ იწუხონ, რომ ეკლესიის ან ჩვენი სახლის კედლებს მიღმა მილიონობით ადამიანი — მათ შორის ქალი, მოხუცი და ბავშვი — შიმშილობს და უსახსრობისგან იღუპება. თუ, თანახმად ქრისტეს მცნებისა, საკურთხეველთან მიახლებამდე ჩვენზე განაწყენებულ თანამოძმეს უნდა შევურიგდეთ, მაშინ როგორღა შეიძლება გულგრილები დავრჩეთ იმის მიმართ, რომ მილიონობით ხელმოკლე ადამიანი ცხოვრობს საზოგადოების იმ მატერიალურად პრივილეგირებულ წევრებზე დაბოღმილი, რომლებიც აუცილებლად იმეტებენ მოყვასს საშიმშილოდ?

მართალია, ეკლესიაში ნიადაგ ლმობიერებას, ღარიბებზე ზრუნვას და მოწყალების გაღებას შეგვაგონებენ, მაგრამ არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქრისტიანული ქველმოქმედება მისი ჩვეულებრივი, გავრცელებული ფორმით უაღრესად იაფფასიანი რამ არის: გროშების გამეტება — გამღებისათვის საადვილო, თანამოძმის გასაჭირისათვის კი ვერაფერი შეღავათი. ასეთი „ქვემოქმედება“ საერთო წესის თანახმად სრულდება, ჭეშმარიტი სიყვარულის, მსხვერპლის გაღების უმცირესი ნება-სურვილის გარეშე; ის იოლად ეხამება ღარიბი და გაჭირვებული ადამიანისადმი ჩვენს გულგრილობას, უგრძნობლობას და სისასტიკესაც კი მთელ ჩვენს დანარჩენ „ეკლესიისგარე“ ცხოვრებაში და, განსაკუთრებით, მათთან ჩვენს საქმიან ურთიერთობაში; ასეთი იაფფასიანი ქველმოქმედებაც კი, უკეთეს შემთხვევაში, ათასში ერთს თუ შეეხება ხოლმე, ჩვენს მახლობლებს თუ შემთხვევთ შემხვედრთ; ის, რომ ამ ფარგლებს გარეთ კიდევ აუარებელი ლატაკი და გაჭირვებული რჩება, ჩვეულებრივ, ნაკლებად აწუხებს ქრისტიანს; სინდისის საყვედურებს ის, ჩვეულებრივ ქარაფშუტული, უსულგული აზრით ირიდებს: ყველას ხომ ვერ დაეხმარებიო.

მართებული იქნება, თუ ქრისტიანულ სამყაროზე ნამდვილ თავსლაფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხმად მივიჩნევთ, რომ, ჩაგრულთა ბედ-იღბლისადმი აქ გავრცელებული გულგრილობის საპირისპიროდ,მათი ნამდვილი, გულმხურვალე მზრუნველობა ხშირად ურწმუნო და ქრისტიანობის მოწინააღმდეგე ადამიანების პრივილეგია ხდება. როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნა ნ.ბერდიაევმა, ათეისტური სოციალიზმის და მისი უკიდურესი ფორმის — მატერიალისტური კომუნიზმის — წარმატება და მიმზიდველი ძალა, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანული სამყაროს ისტორიული ცოდვებით,სოციალური გაჭირვებისადმი მისი გულგრილობით განისაზღვრება. სოციალისტი და კომუნისტი იყენებს ამ ვითარებას, რათა დაასაბუთოს, რომ მორჩილების, მოთმინების და მიწიერი კეთილდღეობისადმი გულგრილობის ქრისტიანული ქადაგება მხოლოდ ღარიბთა ადამიანური, ღირსეული არსებობისაკენ მისწრაფების ალაგმვის მიზანს ემსახურება და მესაკუთრე კლასის ურცხვ ეგოიზმს იცავს. და სწორედ ქრისტიანული სამყაროს სამარცხვინოდ,უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მტკიცება უდავო ჭეშმარიტების ნაწილსაც შეიცავს. ადამიანებს, რომლებიც თავს ქრისტიანებს უწოდებენ — ეკლესიის მსახურებსა თუ ერისკაცებს — მართლაც ხშირად უსარგებლაათ ქრისტიანული რწმენის წმინდა მცნებებთ მესაკუთრეთა პრივილეგიების დასაცავად და გაჭირვებულთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების დასაბრკოლებლად.

ამ უბრალო და ზოგადი დებულებიდან გამომდინარე, შეიძლება მოგვჩვენებოდა, რომ „ქრისტიანული სოციალიზმი“ საერთოდ არ არის პრობლემა. და, მართლაც, რამდენადაც სოციალიზმში სხვას არაფერს ვგულისხმობთ, თუ არა მოყვასის ქმედით სიყვარულს, მისი მატერიალური ბედისადმი პასუხისმგებლობის სერიოზულ გრძნობას, ყოველი ქრისტიანი, რამდენადაც მას სურს ჭეშმარიტ ქრისტიანად რჩებოდეს, მოვალეა, ამ გაგებით „სოციალისტი“ იყოს. ქრისტიანი, ცხადია, თავს შეიკავებს მდიდრების სიძულვილისაგან — ეგოიზმის ცოდვაში მათი მხილებისას მხილებულ ცოდვილთა სიყვარულით იხელმძღვანელებს და მოერიდება ღარიბთა ეგოისტური ენებების დემაგოგიური აღვირაშვების გზით სოციალური სამართლიანობის მიღწევის მცდელობას, მაგრამ სოციალური უსამართლობის თვით ფაქტისადმი გულგრილი ვერ დარჩება და არ მოერიდება, ცოდვად შერაცხოს დაბეჩავებული თანამოძმეების გაჭირვებისადმი მდიდართა გულგრილობა და უგრძნობლობა. ის, ყოვლის უწინარეს, თავის პირად ცხოვრებაში ეცდება ნამდვილი, ქმედითი სიყვარულის სათნოება შეიძინოს, ეცდება — თავისი შესაძლებლობის ფარგლებში — განახორციელოს ქრისტეს მცნება: გაჭირვებულ თანამოძმეს გაუყოს ის უკანასკნელი, რაც კი აბადია; მდიდრებს სინანულისაკენ, ქმედითი სიყვარულისაკენ და ღარიბებზე ზრუნვისაკენ მოუწოდებს; სიმდაბლეს, თავდაჭერილობას, უანგარობას ჯერ მდიდრებს უქადაგებს და არა ღარიბებს; შეგნებული ექნება, რომ ამ სათნოებების ღარიბებისადმი ქადაგება ფარისევლობის გარეშე მხოლოდ მას მერე შეიძლება, რაც ქმედითად შეეწევი მათ გაჭირვებას და გაუყოფ, რაც გაბადია. ვიმეორებ: ამ აზრით სრულიად თვალსაჩინოა, რომ ყოველი, ვინც ნამდვილად არის ქრისტიანული სინდისის მქონე და სურს ქრისტიანი იყოს, ვალდებულია „ქრისტიანული სოციალისტი“ იყოს.

მაგრამ ნამდვილ პრობლემატიკას, რასაც სპეციფიკური აზრით „ქრისტიანული სოციალიზმი“ ეწოდება, ზემოთქმულით ჯერ სრულიადაც არ შეეხებიგართ. ეს პრობლემატიკა აქ მხოლოდ იწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ორ არსებით მომენტს შეიცავს.

1. ცხოვრების გამოცდილება, „ამა სოფლის სიბრძნე“ აშკარად მოწმობს, რომ პირადი ქველმოქმედება, სიყვარულის ინდივიდუალური ძალთახმევა არამცთუ ფართო მასების სოციალური გაჭირვების გასაქარწყლებლად, არამედ რამდენადმე გასანელებლადაც კი არ კმარა. ნამდვილი ქრისტიანული სიყვარულით აღსავსე თავგამოდებული ადამიანები ყოველთვის უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდნენ; ანგარიში უნდა გავუწიოთ„ რომ ადამიანთა დიდი უმრავლესობა ანგარი, ეგოსტი და თანამოძმის გასაჭირისადმი გულგრილია. ამ პირობებში სოციალური გაჭირვების გაქარწყლებას ანდა რამდენადმე მაინც განელებას მხოლოდ სოციალური რეფორმების ე.ი. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სოციალური ურთიერთობების იძულებითი რეგულირებისაგან უნდა მოველოდეთ (სამუშაო დროის შემოფარგვლა, კანონით დადგენილი მინიმუმი ჯამაგირისა, იძულებითი დაზღვევა, საცხოვრებელი პირობების კანონმდებლობითი ნორმირება, აგრარული კანონმდებლობა და ა.შ.). დაისმის კითხვა:

როგორ უნდა მოეკიდოს ქრისტიანი — სწორედ როგორც ქრისტიანი, ანუ ცხოვრებისადმი სპეციფიკურად ქრისტიანული განწყობის სიღრმიდან გამომდინარე — სოციალური რეფორმების იდეას? ეს საკითხი, საბოლოო ანგარიშით, მეორე საკითხზე დაიყვანება:

როგორ უნდა შეაფასოს ქრისტიანმა ხალხის მატერიალური საჭიროების დაკმაყოფილებაზე მიმართული გარეგანი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები?

2. იგივე კითხვა განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს და საგანგებო სიმწვავეს ავლენს, როცა „სოციალიზმთან“ (ამ სიტყვის სპეციფიკური აზრით) ქრისტიანულ დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობთ. როგორც ცნობილია, სოციალისტური მოძღვრება გვიმტკიცებს, რომ ე.წ. ბურჟუაზიული წყობა, ანუ შრომისა და სამეურნეო ცხოვრების პრინციპულ თავისუფლებასა და კერძო საკუთრებაზე დამყარებული წყობა უსათუოდ მიგვიყვანს (უმრავლესობის გაჭირვებისა და გაღატაკების ხარჯზე) უმცირესობის გამდიდრებამდე; ამიტომ ის „სოციალისტური“ წყობით უნდა შეიცვალოს, რომლის დროსაც სამეურნეო ცხოვრება და სახალხო შემოსავლის განაწილება სახელმწიფო ხელისუფლების ანდა სულაც კოლექტიური ხალხური ნების რომელიღაც გეგმაზომიერად მოქმედი ორგანოს მიერ დარეგულირდება სამართლიანობის ფარგლებში (ჩვენ შეგნებულად ვიძლევით სოციალიზმის ყველაზე ფართო განსაზღვრებას, რომელსაც შეიძლება მისი კონკრეტული განხორციელების ნაირ-ნაირი ტიპები მიესადაგოს). თავი ვანებოთ პირწმინდად ეკონომიკურ ან სოციალურ, ე.ი. საერთოდ ემპირიულ პრობლემატიკას — სხვანაირად რომ ვთქვათ, უკამათოდ შევიწყნაროთ (საკითხის გამარტივების და მისი პრინციპული მხარის გაშუქების მიზნით), რომ შემოსავლის სამართლიანი განაწილების და საერთოდ, ხალხთა მასების მატერიალური კეთილდღეობის თვალსაზრისით, სოციალისტურ წყობას უპირატესობა აქვს ე.წ. ბურჟუაზიული, ანუ კერძო საკუთრებასა და ეკონომიკურ თავისუფლებაზე დამყარებული წყობის წინაშე[1] და დავსვათ კითხვა: უნდა იყოს ქრისტიანი ამის გამო (თავისი ქრისტიანული შეგნების გამო) სოციალისტური წყობილების მომხრე თუ მას თავისი ქრისტიანული მოსაზრებები გააჩნია ამ წყობილე-

1. მართალი გითხრათ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოციალისტური მეურნეობის გამოცდილება (რუსეთშიც და გერმანიაშიც) უარყოფს ამ მტკიცებას და სწორედ რომ საწინააღმდეგოს მოწმობს.

ბის წინაალმდეგ, ან იქნებ შეუძლია, ან სულაც მოვალეა, ინდიფერენტული დარჩეს ამ დავაში და არავითარი პოზიცია არ დაიჭიროს (რაც, მეორნი, ყველაზე უფრო გავრცელებული განწყობილებაა)?

ორ ზემოაღნიშნულ კითხვას შორის უეჭველი კავშირის მიუხედავად, სიცხადისათვის ისინი უნდა დავანაწევროთ და თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ.

II

მაშ ასე, ჯერ ვიკითხოთ: როგორი უნდა იყოს ქრისტიანული დამოკიდებულება „სოციალური საკითხისადმი“, რამდენადაც ეს საკითხი პრაქტიკაში ქრისტიანული სიყვარულის და ინდივიდუალური ქველმოქმედების გზით კი არ გადაიჭრება, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული იძულებითი სოციალური რეფორმების მეშვეობით? უნდა იყოს თუ არა ქრისტიანი — სწორედ როგორც ქრისტიანი — სოციალური რეფორმატორი და, ამ აზრით, „სოციალისტი“? თუ — სოციალური სამართლიანობის იძულებითი, სახელმწიფოებრივი ხორცშესხმის ამოცანა, როგორც ცხოვრების პირწმინდად მიწიერი, მატერიალური მოწესრიგების პრობლემა საერთოდ სცილდება სპეციფიკურ ქრისტიანული ინტერესის ფარგლებს? ან, იქნებ, აქ სულაც რომელიღაც სხვა, მესამენაირი აზრთწყობაა შესაძლებელი? ყოვლის უწინარეს, ერთი რამ გვეჩვენება სრულიად უდავოდ: თუ ქრისტიანული რწმენა არის სიმართლის სისავსის მქონებლობა, მაშინ ქრისტიანული რელიგიური ცხოვრება და რელიგიური განწყობა ცხოვრების რომელიღაც კერძო, შეზღუდულ სფეროს არ განეკუთვნება, არ არის ცხოვრების სხვა დანარჩენ სფეროთა მიმართ უცხო და გულგრილი; პირიქით, მან მთელი ზნეობრივი და, სწორედ ამიტომ, სოციალური ცხოვრება უნდა მოიცვას და მის მიმართ თავისი სპეციფიკური მიზანდასახულობა უნდა იქონიოს.ამით ერთბაშად უარიყოფა, ერთი მხრივ, სოციალური საკითხისადმი ინდიფერენტიზმი და, მეორე მხრივ, ამ საკითხზე არაქრისტიანულ გარემოში გაბატონებული რომელიმე ტიპური შეხედულების ქრისტიანობასთან უბრალო მექანიკური შეთავსების ყველა მცდელობა. რაც შეეხება ამ ბოლო მომენტს, ქრისტიანს, რა თქმა უნდა, მართებს თავმდაბლად ეწაფებოდეს სიმართლეს, თუნდაც მას ურწმუნო წარმოთქვამდეს. ამ მხრივ ანგარიშგასაწევია ფაქტი, რომ სოციალურ სამართლიანობაზე ზრუნვის და სოციალური საკითხის გადაჭრის ინიციატივა ეკუთვნოდათ — და დღემდეც ეკუთვნით — ურწმუნოებს. ქრისტიანულმა სამყარომ პატიოსნად უნდა აღიაროს ეს მისი შემარცხვენელი ფაქტი და ისწავლოს ურწმუნოთაგან სოციალური სიმართლისათვის სწორედ მათნაირად ზრუნვა. მაგრამ მეორე მხრივ, ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ მექანიკურად გაღიაროთ მზრუნველობის საკითხში ურწმუნოთა პასუხების მართებულობა და გავითავისოთ ისინი. მართალია, მცდარი რელიგიური აზრთწყობა შეიძლება შეეხამოს ზნეობრივ მისწრაფებათა მაღალ დონეს, მაგრამ ვერაფრით ჭეშმარიტი მსოფლმხედველობის საფუძვლად ვერ დაიდება. ამიტომ ქრისტიანული დამოკიდებულება სოციალური საკითხისადმი, მისი გადაჭრის გზების ქრისტიანული გაგება არაქრისტიანული გაგების უბრალო ასლი კი ვერ იქნება, არამედ მას ზედ ზოგადქრისტიანული მიზანდასახულობის საფუძვლად მდებარე რელიგიური არსების აშკარა ანაბეჭდი უნდა ეტყობოდეს. რაში მდგომარეობს ამ ქრისტიანული მიზანდასახულობის არსება, მისი პრინციპული განსხვავება არაქრისტია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნული მიზანდასახულობისაგან? რა თქმა უნდა, ქრისტიანული ცნობიერების საზრისი არ შეიძლება ჩავატიოთ ერთ რომელიმე განყენებულ ფორმულაში, მაგრამ მაინც არის შესაძლებელი, ყველაზე არსებითი ნიშანი განყენებულად გამოვხატოთ. ეს ნიშანი კი იმაში მდგომარეობს, რომ ქრისტიანული მსოფლშეგრძნებისა და მსოფლგაგებისათვის დამახასიათებელია ყოფიერების იმ სფეროთა ძირეული, „განუყოფელი და შეურწყავი", ქვეყნიერების აღსარულამდე და მის საბოლოო ფერისცვალებამდე (რასაც სასოებით მოველით) აუცილებელი ორმაგობის შეგნება, რომელშიც ცხოვრობს და მონაწილეობს ქრიტიანი. რა სიტყვებითაც უნდა გამოვსახოთ ეს ორმაგობა — „ციური" სასუფეველი და „მიწიერი" სამეფო, შინაგანი ცხოვრება ღმერთში, ანუ „ქრისტეში" და „ამ სოფელში" ცხოვრება, ცხოვრება ეკლესიის (ძირითადად ამ ცნების მისტიკური გაგებით) სფეროში და საეაოში ცხოვრება ანდა მადლის სფეროში და სჯულის სფეროში ცხოვრება — ორმაგობის თვით ფაქტი და მისი დედააზრი ქრისტიანულ გამოცხადებას შინაგანად ნაზიარები ყოველი ცნობიერებისათვის უშუალოდ გასაგები და ცხადია. ამ ორმაგობიდან სულაც არ გამომდინარეობს, როგორც ამას ხშირად ფიქრობენ, სრული გულგრილობა „ამ სოფლისადმი", მარტოოდენ „ზეცეურით" შემოფარგვლა: პირიქით, ასეთი პოზიცია ქრისტიანული ცნობიერებისათვის ზემოაღნიშნული ფუძემდებლური ორმაგობის არარსებობის მომასწავებელი იქნებოდა. თუ ქრისტიანს მართებს საკუთარი, ეგოისტური „აქვეყნიური" ინტერესების ჩახშობა და დაცხრომის მცდელობა, მოყვასისადმი ქრისტიანულ სიყვარულში მას, პირიქით, უფლება არა აქვს ანგარიში გაუწიოს მის „აქვეყნიურ"„მიწიერ" მოთხოვნილებებს მაგრამ ერთი რამ მაინც გამომდინარეობს ამ თავისებური ქრისტიანული მიზანდასახულობიდან — სახელდობრ, შეგნება იმისა, რომ მიწიერი მოთხოვნილებებით, ყოველ შემთხვევაში, არ ამოწურება ადამიანის საჭიროებანი, მეტიც, — რომ სულიერ ცხოვრებას და მის მოთხოვნილებებს რაღაც ონტოლოგიური პრიმატი გააჩნია მიწიერ ცხოვრებასა და მის ინტერესებზე.

აქედან ჩვენი თემისათვის ზოგიერთი, უაღრესად არსებითი დასკვნა გამომდინარეობს. რამდენადაც მოყვასისადმი ქმედითი სიყვარული — თავისი ნამდვილი, ნაყოფიერი განხორციელებისათვის — „სოციალურ რეფორმებში", ე.ი. რომელიღაც ახალი ორგანიზაციული ფორმით გამოხატვას მოითხოვს, არავითარი საფუძველი არ არსებობს ქრისტიანი ადამიანისათვის — პრინციპულად უარყოფითად, ანდა თუნდაც მხოლოდ გულგრილად მოეკიდოს ამდაგვარ ძალისხმევებს. პირიქით, ის ძირითადად თანახმა იქნება ყველა იმ ღონისძიებას უთანაგრძნოს, რაც კი სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. მაგრამ, მიუხედავად სოციალური რეფორმებისადმი მთელი თავისი პრინციპული თანაგრძნობისა, რამდენადაც ეს რეფორმები ორგანიზებული, კოლექტიური ნების სფეროში მოყვასის ბედზე ზრუნვას გამოხატავს, ქრისტიანი ვერასოდეს ჩათვლის ადამიანური ურთიერთობების ამნაირ ორგანიზაციულ გარდასახვებს ადამიანური გაჭირვებების დაძლევის ერთადერთ და თუნდაც ყველაზე უფრო არსებით გზად, რადგან მან იცის, რომ ამ გაჭირვებას და ადამიანური ცხოვრების საერთო ტრაგიზმს უფრო ღრმა,ყოველგვარი პოლიტიკური ღონისძიებისათვის მიუწვდომელი სულიერი სათავე აქვს. ერთი მხრივ, ადამიანურ სულს მატერიალური მოთხოვნილებების გარდა სულიერი მოთხოვნილებებიც გააჩნია, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა დაკმაყოფილებაც, რა თქმა უნდა, არანაირი „სოციალური რეფორმებით“ არ შეიძლება. თუკი მიტევებელი ფარისევლობა და პირფერობა იქნებოდა მხოლოდ ასეთი მითითებით აგვერიდებინა თავი მოყვასის მატერალურ საჭიროებებზე ზრუნვისათვის, თუკი ქრისტიანის უპირველესი მოვალეობაა მშიერი დააპუროს და ქადაგებები არ უკითხოს მას, ამით მაინც არ უქმდება ჭეშმარიტება, რომ „არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი“. და, მეორე მხრივ, თვითონ „მიწიერი“ მატერიალური მოთხოვნილებები განისაზღვრება არამარტო ამა თუ იმ სოციალურ -პოლიტიკური წყობით, არამედ ადამიანის საერთო ცოდვილიანი, სრულქმნილობას მოკლებული ბუნებით. ქრისტიანი ვერ გაიზიარებს რუსოს აზრს, ადამიანური ცხოვრების უკეთურობანი არასწორი საზოგადოებრივი ურთიერთობებით განისაზღვრებაო.ამიტომაც ქრისტიანი ვერასოდეს იქნება სოციალური უტოპისტი; ვერასოდეს გაიზიარებს რწმენას, რომ რამენაირი სოციალური რეფორმა ან გადატრიალება ყოველგვარ უსამართლობას, ყოველნაირ უკეთურობას, ადამიანური ცხოვრების ყველა უბედურებას მოუღებს ბოლოს; ვერ ირწმუნებს, რომ რამენაირი გარეგანი ორგანიზაციული ღონისძიებით სიმართლის, მშვიდობის და ნეტარების სასუფეველი, „ღვთიური სასუფეველი“დაემკვიდრება ამქვეყნად. მან იცის, რომ სოციალური ბოროტება, ისევე, როგორც ყოველგვარი ბოროტება, საბოლოო ანგარიშით, ადამიანის ცოდვიანი ბუნებით განისაზღვრება და ამიტომ ძირეულად ვერავითარი გარეგანი ადამიანური საშუალებებით ვერ აღმოიფხვრება. მან უწყის, რომ ქვეყნად გამეფებული უსამართლობისაგან შეჭირვებულობა სამყაროს საბოლოო განღვთოებამდე და ფერისცვალებამდე (რასაც ქრისტიანი სასოებით მოელის) ადამიანის ბედისწერაა და მას ვერსად გაექცევა. მართალია, ეს რწმენა ადამიანთა სოციალური რეფორმებით მისი შრბილების მცდელობებისადმი გულგრილობის ან პასიურობის საბაბი არ უნდა გახდეს — როგორც ეს, საუბედუროდ, ხშირად მომხდარა ქრისტიანობის ისტორიაში, მაგრამ, ხალხის მდგომარეობის ორგანიზაციული გაუმჯობესების მცდელობის ქმედით მონაწილედ ყოფნის მთელი სურვილის მიუხედავად ქრისტიანი თვით თავისი ცხოვრებისეული მიზანდასახულობის დედაარსის გამო სოციალურ რეფორმებში ვერც ყველა უბედურების პანაცეას დაინახავს და ვერც თავისი ცხოვრების ერთადერთ ამოცანას.

ზემოთქმული, პირველი შეხედვით, შეიძლება „გაცვეთილ სიტყვებად“ ანდა იმ ფორმალური ხასიათის მოსაზრებებად მოგვეჩვენოს, რისგანაც ჩვენთვის საინტერესო საკითხის არსისათვის არავითარი კონკრეტული დასკვნები არ გამომდინარეობს სოციალურ საკითხებში ქრისტიანული მიზანდასახულობის შესახებ. ქრისტიანი არამცთუ ვერ თანაუგრძნობს მარტოოდენ მიწიერი კეთილდღეობის რწმენაზე დაფუძნებულ მატერიალისტურ სოციალიზმს, რომელიც კლასობრივ სიძულვილს იწვევს და შურისა და ანგარების ინსტინქტს აღვივებს ხალხთა მასებში — რაც თავისთავად გასაგებია — არამედ ვერც რევოლუციონერი იქნება (სოციალური და პოლიტიკური აზრით) და ვერც ვერანაირი სოციალური ან პოლიტიკური ფანატიკოსი.ის, ერთის მხრივ, დამღუპველ ცთომილებად მიიჩნევს და უარყოფს დიდ რადიკალურ გადატრიალებას სოციალურ ურთიერთობებში, რომელიც ყოველთვის იმის იმედადაა, რომ ერთბაშად, ხელის ერთი დაკვრით იხსნის კაცობრიობას თუ ყველა უბედურებისაგან არა, ყველაზე არსე-

ბითი გასაჭირისგან მაინც. რაკი წინასწარ იცის, რომ ყველა ადამიანური რეფორმა პალიატივია, რომ ერთი, მოცემულ მომენტში განსაკუთრებით ძნელსათმენი გასაჭირის თავიდან მოცილება იმ ახალ გასაჭირს გამოამჟღავნებს, რაზედაც ადამიანები ახლა არ ფიქრობენ, იგი იქითკენ იქნება მიდრეკილი,რომ დიდ ძვრებთან დაკავშირებულ ყოველგვარ მოჩვენებითად მაშველ გადატრიალებებთან შედარებით უპირატესობა მიანიჭოს თანდათანობით და ნაწილ-ნაწილ გატარებულ რეფორმებს. სწორედ თავისი რელიგიური რადიკალიზმის,სწორედ თავისი ზემიწიერი პოზიციის ძალით ქრისტიანი სოციალურ-პოლიტიკური რეფორმების სფეროში ზომიერი და რეალისტი იქნება. ყველა ამქვეყნიურ საზრუნავსა და გეგმათაგან უპირატესობას იმ „ჯანსაღ აზრს“ მიანიჭებს, რომელიც ბრმა და ცრუ რწმენიდან წარმოქმნილი ყოველგვარი მგზნებარე ენთუზიაზმის წინაშე ცივი გონიერების ცხოვრებისეულ გამოცდილებას დაეყრდნობა. და მეორე მხრივ რაკი იცნობს მთელი ადამიანური ცხოვრების სულიერ საფუძვლებს, მუდამ ემახსოვრება, რომ თვით ყველაზე გონივრული და მიზანშეწონილი რეფორმა, ე.ი. ცხოვრების გარეგანი პირობების ორგანიზაციული ცვლილება მხოლოდ თვითონ ადამიანთა შინაგან ზნეობრივ და სულიერ გაუმჯობესებასთან კავშირში თუ იქნება ჭეშმარიტად ნაყოფიერი. არასოდეს დაივიწყებს, რომ ერთადერთი რამ, რასაც შეიძლება უნივერსალური მნიშვნელობა მივაწეროთ ადამიანის ცხოვრებაში, ადამიანის სულის შინაგან გონიერ წყობაზე ზრუნვაა. ამიტომ ამ მხრივაც უპირატესობას ადამიანის დაზვეწასთან, მისი ცხოვრების შინაგან ჩვეულებთან დაკავშირებულ თანდათანობი რეფორმებს ანიჭებს და არა ნაჩქარევ-ნაუცბათევ და რადიკალურ ცვლილებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

ეს წინასწარი მოსაზრებები გვამზადებენ პასუხის გასაცემად ზემოთ დასმულ მეორე კითხვაზე: როგორი არჩევანი უნდა გააკეთოს ქრისტიანმა კერძო საკუთრებასა და სამეურნეო თავისუფლებაზე, ანუ სამეურნეო ინდივიდუალობაზე დაფუძნებულ, გაბატონებულ „ბურჟუაზიულ“ წყობასა და იმ სოციალურ წყობას შორის,რომელშიც სახელმწიფო ან საზოგადოება სამეურნეო ეგოიზმის წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი ნორმების მეშვეობით ზრუნავს მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობისათვის? როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საკითხის გამარტივების მიზნით მთელი პირწმინდად ეკონომიკური თუ სოციალურ-პოლიტიკური პრობლემატიკა განზე გადავდეთ და მარტოოდენ საკითხის რელიგიურ-ზნეობრივი ასპექტით შემოვიფარგლეთ.

არსებულ ბურჟუაზიულ წყობას რომ აკრიტიკებს, სოციალიზმი გვიმტკიცებს, რომ კერძო საკუთრებას და პიროვნების შეუზღუდავ სამეურნეო თავისუფლებას არამარტო სამეურნეო უთანასწორობასთან და საზოგადოების მდიდრებად და ღარიბებად დაყოფასთან მივყავართ,ამასთან ერთად, მდიდრებს, როგორც მეურნეობრივად უფრო ძლიერებს, ეს ღარიბების თავისუფალი ექსპლუატირების საშუალებასაც აძლევს; ამრიგად, ბურჟუაზიულ წყობაში სოციალური უსამართლობა თვით სამართლითვე კანონდება. სამართალი კი, თავისი არსით, სამართლიანობის საწყისის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. თუკი ცივილიზებული ხალხების სამართალი ვერ ჰგუობს, რომ ფიზიკურად ძლიერმა ფიზიკურად სუსტი აწვალოს, დაჩაგროს და დაიმონოს, მაშინ სამეურნეო და სოციალური ცხოვრების მიმართაც ეს პრინციპი (ძლიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის თავისუფლების შეზღუდვას, სადაც კი ამას უფლებების ბოროტად გამოყენებამდე მივყავართ) ხომ არ უნდა გამოვიყენოთ? მდიდარზე მეურნეობრივად დამოკიდებულების ძალით ფორმალურად თავისუფალი (დემოკრატიულ მმართველობაში) ღარიბი, ფაქტობრივად, მდიდრის მონა ხდება. ხომ არ გვავალდებულებს სამართლიანობის ელემენტარული გრძნობა, რომ სახელმწიფოს მეშვეობით გავაუქმოთ ან უკიდურეს შემთხვევაში, არსებითად შევზღუდოთ ინდივიდუალური სამეურნეო თავისუფლება და ვაიძულოთ მდიდრები, ანგარიში გაუწიონ ღარიბთა მართლზომიერ ინტერესებს?

პირველი შეხედვით შეიძლება მოგვჩვენებოდა, რომ სწორედ სრულიად წრფელი და თანმიმდევრული ქრისტიანული გონება-განწყობილებისას ეჭვისათვის აქ ადგილი საერთოდ არ რჩება. ანგარებისა და ეგოიზმის სამართებლიგ სანქციონირებაზე დამყარებული წესწყობილება, რასაც მდიდრებისაგან ღარიბების ექსპლოატაციასთან მივყავართ, ქრისტიანის თანადგომას თავისით ვერ გამოიწვევს. ეს უშუალო ზნეობრივი გრძნობა ფსიქოლოგიური საფუძველია გავრცელებული რწმენისა, რომ გულწრფელი და კეთილსინდისიერი ქრისტიანი სწორედაც სოციალისტი უნდა იყოს და პრინციპულად თანაუგრძნობდეს სოციალისტურ მოთხოვნებს. და ყოველივე ამის მიუხედავად, საკითხი არც ისე მარტივია, როგორც ეს პირველი შეხედვისას გვეჩვენება. სწორედ აქ ჩაგვსაფრებია პირწმინდად რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათის მძიმე და საბედისწერო ცდუნება.

სახელდობრ, ძირითადი პრბლემატიკა აქ შემდეგ საკითხშია: შესაძლებელი და შესაწყნარებელია თუ არა ქრისტიანული ცნობიერების თვალსაზრისით,იძულებით ვცდილობდეთ მოყვასთან სამართლიანი, ძმური ურთიერთობის დამყარებას? შეიძლება თუ არა მოყვასის სიყვარულის ქრისტიანული მცნება სამართლის მაიძულებელ ნორმად გაქციოთ? პასუხი ამ კითხვაზე, ვფიქრობ, სავსებით ნათელია:ეს ფაქტობრივადაც შეუძლებელია და მორალურ-რელიგიურადაც შეუწყნარებელი. ეს შეუძლებელია, რადგან მოყვასის სიყვარული, როგორც, სხვათა შორის,ყოველგვარი მორალური გონება-განწყობილება, იძულებით არ მოდის, არამედ მხოლოდ თავისუფლად თუ გადმოდინდება ადამიანური სულის სიღრმიდან და ღმერთთან მისი ძალდაუტანებელი ურთიერთობიდან. მაგრამ სწორედ ამიტომ არის ეს იძულება შეუწყნარებელი, რადგან როცა ვერ აღწევს თავის ნამდვილ მიზანს, ყოველი ამდაგვარი მცდელობა მხოლოდ პირფერობად, ნამდვილი ქრისტიანული ეთიკური გონება-განწყობილების აუტანელ ფალსიფიკაციად იქცევა. ყოველი მცდელობა რომელიმე ქრისტიანული სათნოების იძულებისა (იქნება ეს ფიზიკური იძულება — სამართლის ნორმების გამოყენებისას — თუ თუნდაც მხოლოდ მორალური) თვითონ ქრისტიანული გონება-განწყობილების ღალატს — ფარისეველობაში, მერჯულეობასა და გარექმედებების რელიგიაში ჩავარდნას მოასწავებდა. „ხოლო უფალი სული არს, ხოლო სადა სული უფლისაი, მუნ აზნაურებაი (თავისუფლება)არს.“ რან ხშირად და ნაირ-ნაირი მიმართულებითაც უნდა შესცოდოს ქრისტიანულმა სამყარომ ამ ჭეშმარიტების წინაშე, ეს მაინც ქრისტიანული ცნობიერების ფუძემდებლურ აქსიომად რჩება.

ამ თვალსაზრისით ნამდვილი ქრისტიანული გონება-განწყობილებიდან „ქრიტიანული სათნოების“ (ამ ცნების სპეციფიკური აზრით, რასთანაც აქ გვაქვს საქმე) ეთიკურ-პოლიტიკური პრინციპზე ერთი შეხედვით ბუნებრივი, თი-

თქოს და შეუმჩნეველი გადასვლა — სინამდვილეში ჭეშმარიტი გზიდან გადაცდენა, ის თავგზაბნეცა გამოდგა, რაც არსებითად დოსტოევსკის „დიდი ინკვიზიტორის“ ცოუნებას ემთხვევა. ქრისტიანული რწმენის თვით არსებას განეკუთვნება,რომ ქრისტიანი მძიმე ალტერნატივის წინაშე დგას:ან ქრისტესთან რჩება, ე.ი. თავისუფალ სიყვარულზე დაფუძნებული ქრისტიანული ცხოვრებისეული იდეალი აქვს და, ამასთან, გარეგან საქმიანობაში ხელმოცარვის რისკზე მიდის,ანდა ადამიანური გაჭირვების ამქვეყნიური საშუალებებით, გარეგანი ძალდატანების გზით შემსუბუქების ცოუნებას ჰყება და სწორედ ამატომ ხელს იღებს ქრისტიანული ცხოვრებისეული მიზანდასახულობის იმ ნამდვილ არსზე, რაც მხოლოდ სრული შინაგანი თავისუფლებისას და გარეგან წარმატებაზე ფიქრის უარყოფისას ხორციელდება. ამ ალტერნატივის უკანასკნელი წევრი კელავინდებურად ცოუნებად და ერესად რჩება, თუმცა კი მის შესაწყნარებლად ადამიანების სიყვარულის კეთილშობილური, მორალურად მართებული მოტივი გვაგულიანებს. ვითარება აქ ასეთია: რაც უფრო გულისხმიერია ადაამიანი სხვისი გაჭირვებისადმი, რაც უფრო გულმხურვალედ მისდევს სიმართლეს ადამიანურ ურთიერთობებში, მით უფრო იოლად ხდება ამ ცთომილების მსხვერპლი. აკი ქვეყნად სიმართლის სწორედ ასეთი ჭეშმარიტი დამკვიდრებიდან გამომდინარე მიიჩნევენ ქრისტიანობის მოწინააღმდეგენი ქრისტიანულ რწმენას „მუდმივი ხელმოცარულობის რელიგიად“; თანაც ეყრდნობიან ისტორიულ გამოცდილებას, რაც გვიჩვენებს, რომ შეუძლებელია სამყაროს ქრისტიანიზირება, ქრისტეს მცნებების თავისუფალი აღსარების გზით სიმართლისაკენ მისი მობრუნება. მაგრამ სწორედ ამიტომ, აქ საბედისწერო გზაგასაყართან ვდგავართ და გვმართებს არჩევანი ქრისტიანულ გზასა და სოციალისტურ გზას შორის.

მაგრამ რას ნიშნავს ეს? ნუთუ იმას,რომ ქრისტიანმა — აღიარა რა შეცდომად „სოციალისტური გზა“ — „ბურჟუაზიული“ წყობის სულისკვეთებას (რაც, როგორც ვნახეთ, ანგარებასა და ეგოიზმზეა დაფუძნებული) უნდა თანაუგრძნოს? და როგორ უნდა შეეუთანხმოთ დასკვნა, რომელსაც ახლა მივადექით, ზემოთ გამოთქმულ მტკიცებას, რომ ქრისტიანი შეიძლება იყოს და მოვალეცაა იყოს მომზრე სამართლიანობის დამკვიდრელი და ადამიანური გაჭირვების შემამსუბუქებელი სოციალური რეფორმებისა, რაიც ასევე იმულებითი ღონისძიებებია? ხომ არ მივყავართ ჩვენს ამ კონკრეტულ ვარაუდს — ჩვენ მიერ ყოველივე ზემოთ აღიარებულის საწინააღმდეგოდ — სოციალური გაჭირვებისადმი ქრისტიანი კაცის გულგრილობის გამართლებამდე, ე.ი. ქრისტიანული თვალსაზრისით რომელიღაც აშკარა reductio ad absurdum-ამდე?

ამ ეჭვის გაქარწყლების მცდელობას ბოლოს და ბოლოს სოციალურ საკითხთა პრობლემატიკაში ქრისტიანული ცხოვრების ნამდვილი, „სამეუფო“ გზის გაგებამდე მივყავართ.

ქრისტიანული ცნობიერების ძირეული, არსებითი განწყობილება, რაც ქრისტიანობის, როგორც ღმერთში ცხოვნების, როგორც მადლის, რელიგიის თვით არსებისაგან გამოდის არის თავისუფლების, თავისუფალი სიყვარულის განწყობილება. მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს ნაჯახური, რაციონალისტური, „ტოლსტოვური“ მტკიცება, რომ საერთოდ გარეგნულ-ორგანიზაციული ხასიათის ყოველგვარი იძულება და ღონისძიება ეწინააღმდეგება ქრისტიანულ ცნობიერებას და აღკვეთილია ქრისტია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისათვის. ზემოთ მივუთითეთ, რომ ქრისტიანული ცხოვრებისეული განწყობილების არსებიდან „ღმერთში ცხოვრებისა“ და „ამსოფლიურობის“ ორმაგობა გამომდინარეობს. სწორედ ეს ორმაგობა განსაზღვრავს ცხოვრების დაუფლების ქრისტიანული გზების ორგვარობას.აღიარებს რა სამყაროსა და კაცობრიობის ხსნის ერთადერთ გზად იდუმალ, თვალით უხილავ, ღმერთკაცობრივ აქტიურობას, რაც ადამიანური სულის სიღრმეში, თავისუფლებისა და სიყვარულის სტიქიაში აღესრულება, ქრისტიანს იმავდროულად შეგნებული აქვს თავისი ამოცანა — ბოროტებისეული ძალებისაგან დაიფაროს ცხოვრება ამსოფლად და სიმართლისა და სიკეთის გამარჯვებას შეუწყოს ხელი. ეს უკანასკნელი ამოცანა არის სწორედ გარეგანი, ორგანიზაციული ამოცანა (რაც, პირიქით, გარკვეულ პირობებში საკადღებულია), არამედ მხოლოდ ორგანიზაციული ამოცანის (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ბოროტისადმი გარეგანი შეწინააღმდეგების და სიკეთისადმი ხელშეწყობის ამოცანის) ცხოვრების იმ არსობით სახისცვალებაში აღრეკა, რაც მხოლოდ თავისუფალი სიყვარულის მიერ ხორციელდება. ანდა მისი გასხივოსნება, და სულ სხვა საქმეა მის დასაცავად გარეგანი ღონისძიებების გამოყენება და მის შინაგან ძალთა აღორძინებისათვის ხელის შეწყობა. ამ არსებითი განსხვავების შეგნება შესაძლებლობას გვაძლევს ზუსტად განვსაზღვროთ ქრისტიანის დამოკიდებულება „სოციალიზმის“, „ბურჟუაზიული წყობის“ და „სოციალური რეფორმისადმი“.

უწინარეს ყოვლისა, თვითონ ცნება „ქრისტიანული სოციალიზმისა“, რამდენადაც სოციალიზმის ცნებაში იგულისხმება არა გონება-განწყობილება, არამედ რომელიღაც საზოგადოებრივი „წყობა“ ანდა „წესწყობილება“— ცნებათა აღრევის საფრთხეს შეიცავს და არის contradictio in adgecto უკვე იმ ზოგადი გაგების, რითაც წინაადმდეგობრივია ცნება „ქრისტიანული საზოგადოებრივი წყობა“. ქრისტიანული ცხოვრების სფეროდ, ქრისტეში ადამიანთა თავისუფალი,სიყვარულისმიერი ერთიანობის აზრით გაგებული და არა რამენაირი სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი წყობილება. თუ ახლა ამ ზოგად მოსაზრებებს თავს გავანებებთ და ვიკითხავთ: რომელი წესწყობილება ან წყობა უფრო შეეფერება — სამართლებრივი წყობის პლანში — ქრისტიანულ იდეალს, პასუხის გაცემა არ გაგვიჭირდება. ქრისტიანული რწმენის და ცხოვრების ქრისტიანული გაგების თვალსაზრისით უპირატესობა იმ საზოგადოებრივ წყობილებას ან წყობას ენიჭება, რომელიც მაქსიმალური ზომით ხელსაყრელია კაცთა შორის თავისუფალი ძმურ-მოსიყვარულე ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჩანდეს,ასეთ წყობად სოციალიზმი კი არ გამოდგება, არამედ სწორედ პიროვნების სამეურნეო თავისუფლებაზე, ქონების ინდივიდუალური განკარგის უფლებამოსილებაზე დაფუძნებული წყობა. სოციალისტური წყობა ართმევს პიროვნებას ქონების თავისუფალი განკარგვის უფლებას, იძულებით ახორციელებს სოციალურ სამართლიანობას და ამით უსპობს შესაძლებლობას ქრისტიანს, თავისუფლად განახორციელოს ქრისტიანული სიყვარული აღთქმა (რასაკვირველია, იმ ზომით, რა ზომითაც ქრისტიანული აღთქმის განხორციელება საერთოდ არის გარე პირობებზე დამოკიდებული). სოციალიზმი — თავისი არსების არა რომელიმე ცალკეულ, შემთხვევით ფორმაში, არამედ სწორედ თავისი არსებით და ზოგადი ჩანაფიქრით — არის ცხოვრების სისტემა, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარყოფს თავისუფალი ძმური სიყვარულის ქრისტიანულ იდეას (იმაზე დაყრდნობით, რომ ის განუხორციელებადიაო ადამიანის ეგოისტური ბუნების გამო) და მას სოციალური სამართლიანობის სახელმწიფო-სამართლებრივი, ე.ი. იძულებითი განხორციელებით ცვლის. პირიქით, სამართლებრივი წყობა, რომელიც სამეურნეო ცხოვრებაში პირადი განმგებლობის თავისუფლებას აღიარებს, აუცილებელი ან, სულ ცოტა, ყველაზე ხელსაყრელი პირობაა ქრისტიანული სიყვარულის განსახორციელებლად თვით მთელი ავლა-დიდების გაჩუქებამდე და ქონების ნებაყოფლობით, სიყვარულისმიერ განსაზოგადებამდე (ამას ემყარება პირველქრისტიანული თემის ქონებრივი საზიარობა, როგორც ეს განსაკუთრებით მკაფიოდ არის ნაჩვენები მოციქულთა საქმეში ანანიასა და საფირას თაგვადასავალით; და ამასვე ეფუძნება, არსებითად, ერთობლივი ცხოვრების სამონასტრო წეს-წყობილება; სავსებით ცხადია, რომ აქ საქმე სოციალური სამართლიანობის იძულებით განხორციელებას კი არ ეხება, არამედ თავისუფალ ადამიანთა ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას — მოიხმარონ თავიანთი ქონება და შეადგინონ ერთიანი ქრისტიანული ოჯახი). და შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. „ბურჟუაზიული“ წყობა ისეთი ქვეყნებისა, როგორიცაა, მაგალითად, საფრანგეთი და ინგლისი, აუცილებელი პირობაა „ქრისტიანული სოციალისტების“, ანუ გაჭირვებაში ჩავარდნილი მოყვასის სიყვარულით გულგამთბარი და თავიანთი ავლა-დიდების მათთვის გამბოძებელი ადამიანების არსებობისა, მაშინ როდესაც ისეთ ქვეყნებში, სადაც სოციალური სოლიდარობა (ხშვადასხვ ფორმით) ხელისუფლების მიერ განეწესება და იძულებით აღსრულება — „ქრისტიანული სოციალიზმი“ ლამის მოუაზრებადი მოვლენაა.

ასეთ ვითარებაში ჩვენთვის აშკარად ცხადი ხდება პრინციპული განსხვავება სოციალიზმს (როგორც სამართლებრივ წყობასა) და სოციალურ რეფორმიზმს შორის.

სოციალიზმი, როგორც ცნობილია, კაცთა შორის სიმართლისა და ძმობის იძულებით დამკვიდრებას იზრახავს. ამ სახით ის პირდაპირ ეწინააღმდეგება ქრისტესმიერი, თავისუფალი ძმობის ქრისტიანულ შეგნებას. სოციალური რეფორმების ანდა სოციალური კანონმდებლობის იდეა კი იმაშია, რომ სახელმწიფო იქ ზღუდავს სამეურნეო თავისუფლებას, სადაც მას ძლიერთა მიერ სუსტების შეუწყნარებელ ექსპლუატაციასთან მივყავართ; სახელმწიფო იძულებითი ღონისძიებების მეშვეობით იცავს ღარიბ-ღატაკებს, ხელმოკლეებს, ყადაღას ადებს ამა თუ იმ ქმედებასა და ურთიერთობას, რის შეწყნარებაც სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით შეუძლებლად მიაჩნია; სხვაფრივ არ ავიწროვებს მოქალაქეთა სამეურნეო თავისუფლებას. უკანასკნელი ვითარება, რასაკვირველია, ქრისტიანული თვალსაზრისითაც ერთადერთი მართებული ვითარებაა. ნათელყოთ ეს თანაფარდობა უბრალო ანალოგიით: პოლიციის და სასამართლოს არსებობა, საზოგადოების წევრებს ცალკეულ ადამიანთა დანაშაულებრივი, კანონსაწინააღმდეგო ქმედებისაგან რომ იცავს, ცხადია, აუცილებელი და საკმარისი კანონზომიერია. ქრისტიანის მსჯელობა ამ მხრივ არ განირჩევა არც ერთი სალად მოაზროვნე ადამიანის მსჯელობისაგან (რამეთუ მთავარი, რომელსაც „ხმალი აბს, ღმრთის მსახურ არს შენდა რისხვისათვის ბოროტმოქმედთა“). მაგრამ სულ სხვა საქმეა — ყველა ადამიანი წინასწარ მიიჩნიო ბოროტმოქმედად და უკეთურად, ციხეში გამოკეტო ან მონებად აქციო, რომ მათი ძალდატანებითი მეურვეობა მოახერხო და აიძულო ისინი სამართლიანად იქცეოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი ქრისტიანულ გონება-განწყობილებას ადამიანთა მატერიალური გაჭირვებისადმი გულგრილობასა და პირფერობას უსაყვედურებენ, ჩვენც გადაჭრით ვდგებით იმ აზრზე, რომ ქრისტიანული თვასაზრისით თავისუფლება, როგორც სულიერი ცხოვრების პირობა — და, სწორედ ამიტომაც, სამეურნეო თავისუფლებაც — ყოველგვარ მატერიალურ კეთილდღეობაზე ფასეულია. ჯონ სტ. მილმა ოდეღსაც — უტილიტარიზმის საწინააღმდეგოდ — ჩამოაყალიბა დებულებულება: „უკმაყოფილო სოკრატე სჯობს კმაყოფილ ღორს“. ეს არის ერთადერთი სწორი ქრისტიანული თვალსაზრისი. მაძღარ მონებს (ვიმეორებთ: შესაძლებელიც რომ იყოს ასეთი რამ, ე.ი. დამონებას, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, გაღატაკებასთან რომ არ მივყავდეთ) უცილობლად უნდა ვამჯობინოთ თავისუფალი ადამიანები, მაშინაც კი, როცა ვატყობთ, რომ თავისუფლება მატერიალურ სიდუხჭირესა და სამეურნეო გაჭირვების საფრთხესთან არის დაკავშირებული. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სამეურნეო თავისუფლება თვითონვე გადაგვარდება ხოლმე ადამიანის დამმონებლად და ამით მის სულიერ ცხოვრებასაც დაადბრკოლებს, მართებული იქნება ძალდატანებით დავუდოთ მას ზღვარი სოციალურ კანონმდებლობაში.

მაგრამ იძულებასთან შედარებით უპირატესობას ნებაყოფლობას რომ ვანიჭებთ, ეკონომიკის ისტორიის გამოცდილებით უკვე ურაყოფილ პოზიციას ხომ არ ვუბრუნდებით? ხომ არ ვეწინააღმდეგებით ჩვენს მიერვე აღიარებულ აზრს, რომ ადამიანთა უმრავლესობის სიხარბისა და ეგოისტურობის გამო თავისუფლებას ეკონომიკურად ღონიერების მიერ სუსტების ექსპლუატაციასთან მივყავართ? ქრისტიანული ცნობიერებისათვის ამ სიძნელიდან ერთადერთი, ოღონდ სავსებით ცხადი გამოსავალი არსებობს, რაც — ქრისტიანული ყოფის ზედნაშენურ ფენებში მთელი ამ ორიენტაციის შემდეგ — ისევ ქრისტიანული ცხოვრების ცენტრალურ მიზანდასახულობასთან გვაბრუნებს. ქრისტინული რწმენა თავისი არსებით აკი რაღაც პარადოქსულია, ანუ ცხოვრებისეულ „გამოცდილებას“, „ამა სოფლის სიბრძნეს“ ეწინააღმდეგება. ასევეა განსახილველ საკითხშიც.კაცობრიობის ტრაგიკული სოციალური ბედის შემყურეებმა — რადგანაც ვგრძნობთ ჩვენს ქრისტიანულ პასუხისმგებლობას — საჭიროა ყოველგვარი გამოცდილების წინააღმდეგ ვირწმუნოთ ადამიანთა მსხვერპლისგამღები ძმური სიყვარულის და ამ სიყვარულის ქადაგების მძლეთამძლეობა. თუ რწმენას მთების დაძვრა შეუძლია, მაშინ მას, ყოველ შემთხვევაში, უნარი შესწევს დაამარცხოს ბოროტეული და სიცბიერე ადამიანურ ცხოვრებაში. ძირითადი ქრისტიანული პოზიცია სოციალურ საკითხში არის სიყვარულის ჯვაროსნული ლაშქრობა სამყაროს საუფლებლად. არავის შეწევს უნარი, წინასწარ დაადგინოს რწმენითა და მოყვასის სიყვარულით ნასულდგმულარი მოღვაწეობის (ინდივიდუალურის, გინდ ჯგუფურის) ნაყოფიერების ურყევი საზღვრები (მაგალითისათვის გავიხსენთ ზოგიერთი კათოლიკური ორდენის გავლენიანობა მათი აყვავების ხანაში). სოციალური რეფორმები, ღარიბთა და ჩაგრულთა ინტერესების კანონმდებლობითი შეზღუდვა საჭირო, ეროვნული და ქრისტიანული თვალსაზრისით მართე-

ბული საქმეა. მაგრამ სოციალური საკითხის ძირითადიქრისტიანული გადაწყვეტა (სკეპტიკოსების, ურწმუნოთა, ამა სოფლის ბრძენთა ქირქილის მიუხედავად), არის მოყვასის თავისუფალი, მსხვეპლის გამღები, ქრისტეს და მისი ჭეშმარიტების რწმენით შთაგონებული სიყვარული — სიყვარულის ღმერთის ყოვლისშემძლეობის არა სიტყვით,არამედ საქმით აღიარება.

თარგმნა ავთანდილ ჯოხაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილოცვა

ჩვენი ქალბატონი ეთერი

ჩვენს თანამშრომელს, ჩვენს კოლეგას ქალბატონ ეთერ თვარაძეს საიუბილეო თარიღი შეუსრულდა.. მის ასაკს არ ვასახელებთ; არა იმიტომ, უმშვენიერესი ქალბატონი რომ ბრძანდება დღემდე, უბრალოდ, ვინც ქალბატონ ეთერს იცნობს, ისიც იცის, იგი მუდამ ახალგაზრდული ენერგიით ტრიალებს თავის ახალგაზრდა თანამშრომლებსა თუ ავტორებს შორის.

ქალბატონო ეთერ, გთხოვთ, წუთით დაივიწყოთ, რომ ჩვენი ჟურნალის უმკაცრესი „ცენზორი“ ბრძანდებით — მშობლიური ენის არათუ დამახინჯებას, უბრალო წერტილ-მძიმის გადაადგილებასაც რომ არავის აპატიებთ, და ისე ჩაიკითხოთ თქვენი უმცროსი მეგობრებისაგან სიყვარულით ნათქვამი ეს სტრიქონები. ვიცით, გაოცდებით, იქნებ გაგვინაწყენდეთ კიდეც — ამ გაჭირვებაში რა დროს მილოცვა-ზეიმებიაო, მაგრამ მაინც ასე ვამჯობინეთ — ორიოდე თბილი სიტყვა იქნებ სწორედ ახლა, ამ მძიმე ჟამს უნდა გავიმეტოთ ერთმანეთისათვის, თქვენ კი ის ადამიანი ბრძანდებით, ვინც დიახაც ღირსია, სითბო და სიყვარული მიაგოს დღევანდელმა „ცისკარმა“. თუ ჩვენი ჟურნალი სხვა გამოცემებთან შედარებით კარგი ქართულით ესაუბრება თავის მკითხველს, ამაში უდავოდ დიდია თქვენი დამსახურება. რომ არა ავტორებთან თქვენი გულმოდგინე მუშაობა, ალბათ, გაჭირდებოდა ამის მიღწევა. ავტორები ვახსენეთ და... ვისთან არ გიმუშივიათ, ჩვენი მწერლობის კორიფეებს შებმიხართ, სიტყვა თუ ფრაზა მათსავით და ზოგჯერ მათზე უკეთ გაგიმართავთ და მადლობაც მიგიღიათ მათგან, მერე კი ასეთივე გულმოდგინებით ახალგაზრდა კაცის ნაფიქრალ-ნააზრევს ჩაჯდომიხართ და ახლა მისი ქართულის დახვეწაზე გიზრუნიათ. მადლობა თქვენ ასეთი სიყვარულისა და თანადგომისათვის, მადლობა თქვენი მშვენიერი თარგმანებისათვის, მადლობა იმისათვის, რომ დღევანდელობას აშშვენებს უდახვეწილესი გემოვნებისა და ერუდიციის მქონე მწერალი, თქვენი უმცროსი ძმა ბატონი რეზი თვარაძე, რომლის აღზრდაში თქვენს დიდ ოჯახთან ერთად თქვენი უდიდესი წვლილიც არის; და ბოლოს, მადლობა იმის გამო, რომ აგერ ლამის ოცდაათი წელია, ერთ-ერთ ბურჯად უდგახართ „ცისკარს“ და ყველა ჩვენგანის საუკეთესო მეგობართაგანი ბრძანდებით.თქვენი მახვილი თვალი და ფაქიზი გემოვნება მუდამ დაჭირდება ჩვენს ჟურნალს — ამიტომაც გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, მრავალ საიუბილეო თარიღს და საიუბილეო განწყობილებას.

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარ რედაქტორი — 99.85.81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98.53.32; პასუხისმგებელი მდივანი — 98.47.62; განყოფილებები: 98.36.43, 98.43.75. საკორექტორო — 98.47.62

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 09. 95, ქაღალდის ზომა 70 x 108 1/16; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 14,75; პირობითი ფორმათა რაოდენობა 20,65, სააღრ. სგ. თაბახი 18,8, შეკვეთა № 43, ტირაჟი 600

გამომცემლობა „აჭარა", ბათუმი, გოგებაშვილის 24

ბათუმის № 1 სტამბა, იბერიის, 91

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ბაზაკე

ზრიდონ ხალვაშის იუბილეზე სათქმელი ლექსი
რეფრენით: ბედნიერი ვარ, ხვალ მათუმში მივემგზავრები

ვინ იცის, იქნემ ჯვლაკ გასხლეკართ და მოღიდემით –
ჭრელი მუღაარი, ბღვით ნაპოდნი ლურჯი ქმიდენი.
იქნემ მიდომაც სარ ბეირფასი შენ, სიჭამუკუკ...
იქნემ მიდომაც, რომ არასდრეს არ მოორემი.
გამასსენდემა პორტთან ქალი... თმილმა ღიმილმა
ჩემს დაღლილ გულზე ასლაც ქარად გადიკიკილა,
იქნემ მიდომაც სარ ბეირფასი შენ, სიყვარულო,
სამუდამოდ რო აღმუოჭდე გულზე ცკიკილად,
იქნემ მიდომაც დღემდე ასე მთრგუნავ ზმანემით...
მედნიერი ვარ, ხვალ მათუმში მივემგზავრემი.

მიმელის საბმო აჭარლემის ღია გულემით –
ჩემი მგოსნემი, მარჩხალა მზით გათანგულემი;
ჩემი ხალვაში (იუმილე ხვალეა ვისიც),
ჩემი ხუსიკა, დაკმენილი დრთის წყლულემით.
ჩამოგთვლით ყველას, მმემ,იცით, მწამსართ ყველანი,
ჩვენ ერთი გვერგო, ქართველ მგოსნემს,მედი ვერანი,
ვხედავ,წინ დიდი მრეთლემია გადასაცანი
და გამარჯვემის გალომანი გვაქვს სამღერალი, –
ამ მოლოდინის წკრიალემენ შიგნი ბარემი...
მედნიერი ვარ,ხვალ მათუმში მივემგზავრემი.

„ინცერისცის“ წინ, როცა ღამაკ მარში ვისხედით,
დიდი არცისცის სადღეგრპელოს როცა ვისმენდი,
ვთვრემოდი ფიქრით, უფრო ფიქრით, ვიდრე არაყით...
ვგრძნობდი, ვით ბგავდა ქალაქს კაცი და კაცს ქალაქი.
ახლაც დამყვემა ის ფუხადგმელ გზემზე ბეგლიკვით,
ვცხოვრომ ხსოვნაში...კი არ ვცხოვრომ, ვარ ჩახერგილი.
იქნემ მიდომაც სარ ბეირფასი შენ, მოგონემავ,
დიდი სეკდით რო სიკვდილამდე სარ დამეგრილი.
იქნემ მიდომაც...ჯვლაკ მიხმომენ შენი არენი...
მედნიერი ვარ, ხვალ მათუმში მივემგზავრემი.

10 ივლისი, 1995 წელი.

ფასი 60 თეთრი ინდექსი 76286

ეროვნული ბიბლიოთეკა